†აბელ სურგულაძე,
სერგო ტაბალუა, სერგო დუმბაძე

აჭარის არ ომისა და სამხედრო ძალების
ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილი"

აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939 - 1945 წწ)

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
ბათუმი – 2011

UDC (უაკ) 94(479.223)
ს-961

წინამდებარე ნაშრომში საარქივო დოკუმენტების, პრესის, ეპისტოლარული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე გადმოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო-თავდაცვითი, სამეურნეო-კულტურული და პატრიოტული საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.); გაანალიზებულია აჭარის წარგზავნილთა მონაწილეობა და თავდადება ომის ფრონტებზე, პარტიზანულ და წინააღმდეგობის მოძრაობაში, აგრეთვე მოსახლეობის წვლილი ფაშიზმზე ძლევამოსილ გამარჯვებაში ფრონტზე და ზურგში.

წიგნი განსაზღვრულია როგორც ომის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევართათვის, ისე, ზოგადად, ფართო მკითხველისათვის.

მთავარი რედაქტორი **როინი რიჟვაძე**
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორი **† ტიტე ხინთიბიძე**

რეცენზენტები **ალექსანდრე ბენდიანიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ოური სიხარულიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-9941-412-86-8
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2011

შესავალი

მეოცე საუკუნის ბობოქარ მოვლენებს შორის მეორე მსოფლიო ომი ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული სინამდვილეა. იგი მოამზადეს და გააჩაღეს ფაშისტურმა გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა.

ჰიტლერული გერმანიის მიზანი იყო მსოფლიოს დაპყრობა და მასზე განუყოფელი ბატონობის დამყარება. მოკლე დროში, ომის პირველი პერიოდში (1939 წლის 1 სექტემბერი – 1941 წლის 22 ივნისი) მან ევროპის ქვეყნები დაიპყრო და მათი სამხედრო ძალები, მატერიალური რესურსები, საკუთარ ფაშისტურ არმიასთან ერთად, დაძრა საბჭოთა კავშირის–მსოფლიოს დაპყრობის გზაზე ყველაზე მთავარი დაბრკოლების წინააღმდეგ. დაარღვია რა ურთიერთთავდაუსხმელობის 1939 წლის პაქტი, 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოეთს. ამით დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მეორე პერიოდი. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის აღმოსავლეთის (გერმანია–სსრ კავშირის) ფრონტებზე საბჭოთა კავშირის მხრივ (1941-1945 წლების) დიდი სამამულო ომი. ამ ომში წყდებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ჩვენი ხალხი დილემის წინაშე დადგა: ებრძოლა ვერაგი მტრის წინააღმდეგ და შეენარჩუნებინა სისხლით და ბრძოლით მოპოვებული მყუდრო ცხოვრება, თუ დაეთმო, ჩავარდნილიყო ფაშიზმის მონობაში.

ცხადია, საფრთხის წინაშე მყოფი ხალხი გონიერულად მოიქცა, სავსებით სწორად, დაუყოვნებლივ აირჩია პირველი გზა. უზარმაზარი, მრავალეროვანი ქვეყნის მოსახლეობა ერთ მუშტად შეიკრა, მტკიცედ დაირაზმა თავისი ხელისუფლების გარშემო და გააჩაღა ბრძოლა მტრის გასანადგურებლად და ქვეყნის დასაცავად.

1418-დღიანი ბრძოლის შემდეგ საბჭოთა კავშირმა მოკავშირეთა (აშშ, ინგლისი) მხარდაჭერითა და მონაწილეობით დაამარცხა ჰიტლერული გერმანია და კაცობრიობა იხსნა ფაშიზმის უღლისაგან. ეს არის ისტორიული ფაქტი, რეალობა.

რანაირადაც უნდა შეიცვალოს პოლიტიკური სიტუაციები თუ იდეოლოგიური მსოფლმხედველობები, როგორც არ უნდა გადაფასდეს საკაცობრიო ღირებულებანი, ამ რეალობას ვერავინ გაექცევა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა, მათ შორის საქართველომ, მოიპოვეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მოხდა მოვლენათა და ღირებულებათა გადაფასება, კომუნისტური იდეოლოგიიდან ქვეყანა გადავიდა ეროვნულ იდეოლოგიაზე. ახალი შეხედულებები ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის შესახებაც.

მიგვაჩნია, რომ 1941-1945 წლების ომი 1939-1945 წლების მეორე მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილი, მისი მეორე პერიოდია და მისგან თვისობრივად განსხვავდება. იგი არა მარტო რუსეთის, არამედ საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომამდე შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის, საქართველოსათვის, იყო სამამულო ომი, რადგანაც ფაშისტური გერმანიის სამხედრო-აგრესიულ გეგმებში შედიოდა მთელი საბჭოთა კავშირის (კოდირებული სახელწოდებით გეგმა "ოსტი"), მათ შორის საქართველოს ("ედელვაისი") დაპყრობა. ჰიტლერი ამბობდა, რომ გერმანიის მიერ დაპყრობილი საქართველო იქნება იმ "მეორეხარისხოვან ხალხთა შორის, რომელთაც არ ჰყავთ არმია, არ ეწევიან საკუთარ პოლიტიკას, არ აქვთ საკუთარი ეკონომიკა". ჰიტლერის ეს ხმამაღალი განცხადებაც მიგვანიშნებს მის მიერ დაწყებული ომის დაპყრობით ხასიათს. ამიტომ ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც იბრძოდნენ მოსკოვის მისადგომებთან, ბრესტში თუ ბალტიისპირეთში, სტალინგრადთან თუ კავკასიის მთებში, უკრაინაში თუ მოლდავეთში – ყველგან იცავდნენ თავიანთ სამშობლოს – საქართველოს, ეწეოდნენ სამამულო ომს, რადგანაც მაშინ ისინი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში იყვნენ, ჰქონდათ ერთიანი ეკონომიკა, ერთიანი მიზანი, ერთიანი პოლიტიკა, ჰყავდათ ერთიანი არმია. თუ ამას უარვყოფთ, მაშინ გამოდის, რომ საქართველოდან გაწვეული 700

ათასზე მეტი მოქალაქე იბრძოდა არა სამშობლოს დასაცავად, არამედ მონაწილეობდა და უმოწყალოდ სისხლს ღვრიდა "უაზრო ომში".

აქედან გამომდინარე, მომხდარი ისტორიული მოვლენებისა თუ ფაქტებისადმი ობიექტური, მეცნიერული მიდგომის თვალსაზრისით, სხვადასხვა ასპექტით წინამდებარე ნაშრომში ვიყენებთ ტერმინებს "მეორე მსოფლიო ომი (1939–1945 წწ)", "დიდი სამამულო ომი (1941–1945 წწ)", მაგრამ არა როგორც სინონიმებს, არამედ როგორც მთელსა და მის ნაწილს, როგორც ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, პერიოდებს. სინონიმებად ეს ტერმინები არ გამოდგება, რადგან პირველი – დაპყრობითი ხასიათის უსამართლო ომი იყო, მეორე – თავდაცვით-სამართლიანი და ქრონოლოგიურადაც განსხვავებული. სამამულო ომი იყო მეორე მსოფლიო ომის მეორე პერიოდი, ან მეორე მსოფლიო ომის აღმოსავლეთის (გერმანია–საბჭოთა კავშირის) ფრონტი.

დიდი სამამულო ომი ხალხის ძალების დიდი გამოცდაც იყო, რადგან ყოველი ომი იწვევს ნგრევას, ადამიანთა განადგურებას. ამიტომ საჭიროა ყოველივე ამის გათვალისწინება და ახალგაზრდობის აღზრდა იმის შეგნებით, რომ სამშობლოს დაცვა ყოველი მისი მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია.

საქართველოს როლი და ღვაწლი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და მასზე ისტორიულ გამარჯვებაში მეორე მსოფლიო ომის დროს ასახულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ და გამოცემულ "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის მერვე ტომის პირველ–მეოთხე თავებში,[1] ხოლო ომის პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიგრაფია განხილულია ამავე ტომის შესავლის პირველ პარაგრაფში.[2] ჩვენ მის დახასიათებას არ შევუდგებით, თუმცა ბევრი რამ გადა-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვატომეული. ტ. VIII, თავები: I–IV, თბ., 1980, გვ. 86-275.

[2] იქვე, გვ. 5-33.

სახედია, რადგან მასში საკითხები გაშუქებულია კომუნისტური იდეოლოგიის შუქზე.

2004 წელს მ. ნათმელაძემ და ალ. დაუშვილმა ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად დაწერეს "საქართველოს ისტორია (1921–2000)". ნაშრომის ერთი თავი ეძღვნება საქართველოს როლს, მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების საქმეში. მასში სქემატურად, მაგრამ მაინც მოცემულია მეორე მსოფლიო ომისადმი თანამედროვე მიდგომის მთავარი ხაზი.

ამჯერად ჩვენ შემოვიფარგლებით უმთავრესად აჭარის და ზოგიერთ სხვა არქივში დაცული მასალების და დოკუმენტების დახასიათებით, აგრეთვე ანალიზით იმ ავტორთა შრომებისა, რომლებშიც ძირითადად გაშუქებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის როლი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

წყაროები. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდის მასალების შეგროვება საქართველოში ჯერ კიდევ 1943 წელს დაიწყო. იმავე წლის დეკემბერში ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს გ. ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა რესპუბლიკური კომისია, რომელსაც დაევალა ომის შესახებ მასალებისა და დოკუმენტების შეგროვება და პუბლიკაცია. 1945 წელს ეს ფუნქცია დაეკისრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს[1], ანალოგიური კომისია, საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად, შეიქმნა აჭარაში.[2]

კომისიამ ბევრი საინტერესო მასალა შეაგროვა ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის შრომითი საქმიანობისა და თავდაცვითი ღონისძიებების შესახებ, რაც ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმისა და ცენტრალურ სახელმწი-

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის არქივი (შემდგომში: სპა), ფონ. 14, საქ. 12379.

[2] აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილება (შემდგომში აჭარის არ ცსა პპოგ) ფონ. 1, აღწ. 7, საქ. 1, ფურც. 62.

ფო არქივებში. სამწუხაროდ, კომისიის მუშაობა შემოიფარგლა მხოლოდ ორი (ხულოსა და ქედის) რაიონის მოსახლეობის საქმიანობის ამსახველი მასალების შეგროვებით.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდის აჭარის ისტორიის ამსახველი მასალები ყველაზე მეტი რაოდენობით დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სადაც ინახება 1749 ფონდში 520 ათასზე მეტი საქმე[1]. დღეისათვის აჭარის ცსა-ში თავმოყრილია ეროვნული საარქივო ფონდის 3500-ზე მეტი ფოტოდოკუმენტი, 5500-ზე მეტი ისტორიული და საბჭოთა პერიოდის წიგნი, ასობით ეგზემპლარი პერიოდული გამოცემისა[2].

გასული საუკუნის 20–80-იანი წლების აჭარის ისტორიის ამსახველი საარქივო ფონდებიდან რამდენიმე ფონდი – რ-2, რ-96, რ-133, რ-883 – ასახავს მეორე მსოფლიო ომის პერიოდს. ამავე არქივის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილების (შემდგომში: აჭარის ცსა, პპოგ) ფონდი 28-ში დაცულია ომში ავტონომიური რესპუბლიკის მთელი რეზერვების მობილიზაციის, სამრეწველო საწარმოოებში იარაღ-საჭურველის დამამზადებელი საამქროების მოწყობის, ფრონტისათვის საომარი იარაღის მიწოდების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო ჰოსპიტლების მოწყობის, გამანადგურებელი ბატალიონების შექმნა–საქმიანობის, ფრონტზე დაჭრილ მეომრებზე ზრუნვის, ომში დაღუპულთა ოჯახებზე, მტრის დროებითი ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებზე მატერიალური დახმარების აღმოჩენის, მოქალაქეთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების, საპატიო წოდებების მინიჭების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მათი შესრულების შედეგების ამსახველი მასალები.

ომის პერიოდის მასალები გარკვეული დოზით დაცულია

---

[1] აჭარის არ ცსა, მეგზური, ბათუმი, 1974, გვ. 19.

[2] აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში აჭარის არ ცსა), სტატისტიკური ანგარიში. 1997 წელი, ფურც. 1,2.

აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების: ხულოს, ქედის, ბათუმის (დღევანდელი ხელვაჩაურის), ქობულეთის რაიონულ არქივებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მისი რაიონების სამხედრო კომისარიატებში.

გარდა აჭარისა, ომის პერიოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასალები დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფონდები: 600, 2514), საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების (ამჟამად საქართველოს პრეზიდენტის) არქივში (ფონდები №17, 349, 5451); გარდა აღნიშნულისა, აჭარის წარგზავნილთა მხედრული ცხოვრების ამსახველი მასალები დაცულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, რუსეთში: მოსკოვის, პოდოლსკის სამხედრო არქივების ფონდებში, სანკტ–პეტერბურგის, ვოლგოგრადის, ბრესტის, მინსკის (ბელორუსია), დიდი სამამულო ომის მუზეუმების საარქივო ფონდებში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდის აჭარის ცხოვრება გაშუქებულია პერიოდულ პრესაში, კერძოდ: საოლქო გაზეთებში ("საბჭოთა აჭარა", "ბატუმსკი რაბოჩი"), ხულოს, ქედის, ბათუმის (ხელვაჩაურის) და ქობულეთის რაიონულ გაზეთებში, მაშინდელ რესპუბლიკურ ("კომუნისტი", "ზარია ვოსტოკა", "ახალგაზრდა კომუნისტი", "სახალხო განათლება") და საკავშირო ("პრავდა", "იზვესტია", "კომსომოლსკაია პრავდა"), აგრეთვე საფრონტო თუ დარგობრივ პრესაში.

ამგვარად, ომის დროს დაგროვილი დოკუმენტები და პრესაში გაშუქებული მასალები გახდა მთავარი წყარო ომის პერიოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ზურგში და ფრონტზე თავდადებული საქმიანობის შესწავლისათვის. საარქივო დოკუმენტებისა და მასალების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე არაერთმა მეცნიერ–მკვლევარმა შექმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ამსახველი ნაშრომები.

ისტორიოგრაფია. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ბევრი რამ გააკეთა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქარ-

თეელოს ავტონომიური ერთეულების როლის შესასწავლად. ამ მხრივ აღსანიშნავია აჭარაში მომუშავე მეცნიერთა საქმიანობა. ომის თემებზე დაიცვეს სამეცნიერი დისერტაციები სერგო ტაბალუამ (1975 წ.) და სერგო დუმბაძემ (1980 წ.).

გარდა ამისა, აჭარაში არაერთი ნარკვევი და მონოგრაფია გამოიცა ომის თემებზე. საყურადღებოა რ. ართმელაძის წიგნი "სამშობლოს სახელოვანი შვილები"[1], რომელშიც ასახულია ფრონტზე აჭარის წარგზავნილთა ცხოვრებისა და ბრძოლების ძირითადი მომენტები. დიდ ინტერესს იწვევს ი. თავაძის წიგნი "ბუხენვალდი არ უნდა განმეორდეს"[2], ი. ცერცვაძის ნაშრომი "უკვდავია მათი სახელები"[3] და სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ რ. ართმელაძისა და ი. ცერცვაძის მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები ომში აჭარის მობილიზებულთა შესახებ არაა ზუსტი და მოითხოვს გადამოწმებას.

სამამულო ომის წლებში აჭარის მშრომელთა საქმიანობა ასახულია სხვა ავტორთა შრომებში.[4]

ომის პერიოდის აჭარის ისტორიის მასალები ასახული აქვთ ცალკე თავებად თავიანთ ნაშრომებში ცალკეულ ავტორებს[5]

---

[1] რ. ართმელაძე, სამშობლოს სახელოვანი შვილები, ბათუმი, 1972, (რუსულ ენაზე).

[2] ი. თავაძე, ბუხენვალდი არ უნდა განმეორდეს, ბათუმი, 1973.

[3] ი. ცერცვაძე, უკვდავია მათი სახელები, ბათუმი, 1969.

[4] ს. ტაბალუა, აჭარის კოლმეურნე გლეხობა სამამულო ომის წლებში, ჟურნალი „ჭოროხი" №3, 1970; მისივე, აჭარის ინტელიგენციის აქტივობა ომის წლებში, საქ. მთავარი არქივის ბიულეტენი №11, 1980 გვ. 21-22; მისივე, მედიცინის მუშაკები ომის წლებში, მედმუშაკთა შრომები, ბათუმი, 1973; მისივე, აჭარის მრეწველობა სამამულო ომის წლებში, ბათუმის მუზეუმის შრომები, №8, 1975; მისივე, აჭარის მშრომელები სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში, ბათუმი, 1975;

[5] ნ. პატარაია, აჭარის კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიიდან, ბათუმი, 1958; შ. პატარაია, სპორტის განვითარება აჭარაში, ბათუმი, 1977; ა. პერტია, ნარკვევები აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათუმი, 1959; ალ. ბაუაძე, ნარკვევები საკოლმეურნეო მშენებლობების ისტორიიდან, ბათუმი, 1975; პ. პატარაია, ბათუმის პედაგოგიური ინ-

დასახელებულ ავტორთა ნაშრომები დაწერილია საბჭოთა პერიოდში და ვერ აკმაყოფილებენ ომისადმი დამოკიდებულების ახალ მოთხოვნებს.

სამამულო ომის პერიოდის აჭარის შესახებ ამ ბოლო წლებშიც არ შენელებულა ყურადღება. ამ მხრივ აღსანიშნავია აჭარის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს მიერ მომზადებული და გამოცემული "მარადიული ხსოვნის წიგნი" (აჭარიდან სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულთა შესახებ)[1], საინტერესოა ს. ტაბაღუასა და კ. ცომაიას ნაშრომები[2]. ს. ტაბაღუას ნაშრომში ასახულია აჭარიდან გაწვეული ასზე მეტი ახალგაზრდის გმირობა და მამაცობა. მასალები მოძიებულია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პოდოლსკის სამხედრო არქივში. მოპოვებული მასალების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ აჭარიდან წარგზავნილ 12 მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შემდეგ, შეიცვალა რა კომუნისტური იდეოლოგია ეროვნული იდეოლოგიით, მოხდა ღირებულებათა გადაფასება. შეიცვალა დამოკიდებულება და მიდგომა დიდი სამამულო ომისადმი, საჭირო გახდა მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გაშუქება ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ამ მხრივ, საინტერესოა აბელ სურგულაძის მონოგრაფია. მან შეისწავლა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ქართველთა მონაწილეობა ევროპის ქვეყ-

---

სტიტუტის მოკლე ისტორია, ბათუმი, 1975; კ. ტოტოჩავა, ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარება აჭარაში 1921-1958 წ.წ., ბათუმი, 1975; ო. შავაძე, საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა აჭარაში, ბათუმი 1973; ი. შანიძე, ბათუმის ნავსადგური დიდ სამამულო ომში, ბათუმი, 1977; ლ. შარაშიძე, საბჭოთა ხელოვნება აჭარაში, ბათუმი, 1975; ლ. ხარაზი, სოციალისტური გაფართოებული კელავწარმოება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ბათუმი, 1970.

[1] მარადიული ხსოვნის წიგნი (აჭარიდან სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულთა შესახებ), მოამზადა აჭარის ვეტერანთა საბჭომ, ბათუმი, 1995.

[2] ს. ტაბაღუა, რაც დაიწყებით არ იბინდება, ბათუმი, 1995. კ. ცომაია, დიდი სამამულო ომის გმირები აჭარიდან, ბათუმი, 1995 (რუსულ ენაზე).

ნების (იტალია, საფრანგეთი, პოლონეთი, იუგოსლავია, ჰოლანდია და სხვა) წინააღმდეგობის, კერძოდ, პარტიზანულ მოძრაობაში, აგრეთვე გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში გაჩაღებულ ანტიფაშისტურ ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობის შესახებ არსებული ქართული, რუსული და ზოგიერთი ევროპულენოვანი ლიტერატურა, საარქივო დოკუმენტები და დაწერა მონოგრაფია "ქართველები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობაში. მონოგრაფიის საფუძველზე ავტორმა 1995 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი[1].

მეორე მსოფლიო ომის პერიოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიისა და პარტიულ–პოლიტიკური მუშაობის შესწავლას მოანდომა თავისი შეგნებული ცხოვრების ქვაზე ნაყოფიერი წლები ამ სტრიქონების ავტორმა[2]. მან 2002 წლის თებერვალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე საბჭოთა პერიოდზე პირველმა დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი თემაზე: "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში 40–50-იან წლები". სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაწილი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ) გამოქვეყნდა

---

[1] აბ. სურგულაძე, ქართველები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობაში, ბათუმი, 1995.

[2] ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცელი, ბათუმი, 1996; მისივე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სკოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (1941-1945 წ.წ.), ბათუმი, 2002 წ; მისივე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (1941-1945 წ.წ.), ბათუმი, 2002; მისივე, საკადრო საკითხი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში (40-50-იანი წლები), ბათუმი, 2002; მისივე, აჭარის წარგზავნილთა მონაწილეობა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 1939-1940 წლების სამხედრო კომფლიქტებში, ბათუმი, 2002.

ცალკე წიგნად[1].

მართალია, დასახელებული ნაშრომები და დისერტაცია მომზადებული და გამოცემულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ გამომცემლობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკისა და დისერტაციისათვის დაწესებული სტანდარტების გამო, მასში ზოგიერთი საკითხი ვერ აისახა სრულყოფილად.

ამგვარად, წყაროებისა და სათანადო ლიტერატურის ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ საჭიროა ერთიანი მონოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც სრულყოფილად წარმოდგენილ იქნება მასალები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის როლსა და ღვაწლზე, როგორც ფრონტებზე, ისე ზურგში ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიულ საქმეში.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ავტორთა (†ან. სურგულაძე, ს. ტაბაღუა, ს. დუმბაძე) მიერ წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომი.

ავტორები მადლიერებას გამოხატავენ აჭარის არ მთავრობის, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ, წიგნის გამოცემაში გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის; აგრეთვე, მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც თუნდაც მცირეოდენი დახმარება აღმოუჩინა მათ ამ საქმეში.

დაინტერესებულ მკითხველთა საქმიანი შენიშვნები უთუოდ იქნება გათვალისწინებული მომავალ გამოცემებში.

[1] ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945წწ), ბათუმი, 2005.

თავი I
აჭარა ომის წინ

§ 1. მრეწველობა

საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მემკვიდრეობით მიიღო პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების შედეგად დანგრეული და გაძარცული მეურნეობა.

საბჭოთა ხელისუფლებამდე აჭარაში სამრეწველო ობიექტს მხოლოდ ქ. ბათუმი წარმოადგენდა. სხვაგან წვრილი კაპიტალისტური წარმოება დომინირებდა.

1921 წლის 15 იულისს გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის დეკრეტი მომპოვებელი და დამმუშავებული მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ.[1] ამ დეკრეტის საფუძველზე აჭარაში პირველ რიგში განხორციელდა მსხვილი ცენზიანი კაპიტალისტური საწარმოების ნაციონალიზაცია. 1921-1922 წლებში ნაციონალიზებულ იქნა 31 მსხვილი სამრეწველო საწარმო: მომთუთიებელი, თუჯისა და სპილენძის ჩამომსხმელი, მექანიკური (საავტომობილო სახელოსნოთი), ფირფიცრის, მშრალი საღებაეების ქიმიური, თამბაქოს, ხე-ტყის დამამზადებელი, მანთაშეების ბიდონის, არაყის, ყინულის ქარხნები, პოლიგრაფიული საწარმოები, ნავთის საქაჩი სადგურები და სხვა.[2]

სოციალისტური ნაციონალიზაცია არ შეხებია კოოპერაციულ ამხანაგობებს, უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეების კონცესიურ საწარმოებს და აგრეთვე წვრილ სავაჭრო დაწესებულებებს, ისინი განაგრძობდნენ თავისუფალ საქმიანობას.

---

[1] ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში (დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925 წწ), თბ. 1959, გვ. 61-62 (რუსულ ენაზე).

[2] აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს ანგარიში 1921-1924 წ.წ. გვ. 174. (იხ. გრ. ჯიჯეიშვილის წიგნი, გვ. 63-64)

მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით 1923 წლის 5 მაისს ჩატარდა სამრეწველო საწარმოების აღწერა. აღწერილ იქნა 846 საწარმო. აღწერის მიხედვით 1922 წლის დეკემბერში აჭარაში იყო 633 სამრეწველო საწარმო. მათგან სახელმწიფო სექტორს ეკუთვნოდა - 53, კოოპერაციულს – 3, კერძო კაპიტალისტურს – 577; ყველა სამრეწველო საწარმოში დასაქმებული იყო 2014 კაცი, აქედან სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებში – 238, კოოპერაციულში – 23, კერძო კაპიტალისტურ საწარმოებში – 1153.[1]

მრეწველობაში სოციალისტური სექტორის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე მსხვილი საწარმოების გაერთიანებას ტრესტებში და მათ გადაყვანას სამეურნეო ანგარიშზე.

ოციანი წლების დასაწყისში აჭარაში გაერთიანდა თუჯისა და სპილენძის ჩამომსხმელი და მექანიკური ქარხნები, თამბაქოს ორი ფაბრიკა.

საწარმოთა კონცენტრაციის პროცესმა ხელი შეუწყო სამრეწველო პროდუქციის გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ საქმეს ხელს უწყობდა აგრეთვე საწარმოებში შექმნილი საწარმოო თათბირები, რაც ეხმარებოდა მრეწველობის ამოცანების გადაწყვეტას, მუშათა ფართო მასების პოლიტიკური და შრომითი დონის ამაღლებას. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შედეგად 1922 წლის ბოლოსათვის თუჯისა და სპილენძის ჩამომსხმელმა მექანიკურმა ქარხანამ მიიღო 4 პროცენტი მოგება, ფაიფურის ქარხანამ – 14 პროცენტი, აგრეთვე გაიზარდა მრეწველობის საერთო პროდუქცია და 1924-1925 წელს მიაღწია 2.281.177 მანეთს, ნაცვლად 211.707 მანეთისა 1922 წელს. აღნიშნულის შედეგად, აჭარის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი საქართველოს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში 1925-26 წლებში გაიზარდა 15,2 პროცენტამდე, მაშინ როცა 1923 წელს იყო 1,9 პრო-

[1] გრ. ჯიჯეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 65-66 (მასალები იხ. იქვე)

ცენტი.[1]

1925 წლიდან აჭარაში მსხვილი მრეწველობის ობიექტი იყო ბიდონის ქარხანა, რომლის პროდუქცია აჭარის მრეწველობის მთელი წარმოების 34 პროცენტს შეადგენდა.

აჭარის მრეწველობაში წამყვანი ადგილი ეკავა აგრეთვე თამბაქოსა და ხე-ტყის მრეწველობას. 1922 წლიდან ყურადღება დაეთმო აჭარის ელექტრომეურნეობის განვითარებას. 1924 წელს დაიწყო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის ("აწ-ჰესი") მშენებლობა, რაც გათვალისწინებული იყო ისტორიაში ცნობილი "გაელროს" გეგმით. ის ექსპლუატაციაში შევიდა 1936 წელს.

სახალხო მეურნეობისა და, განსაკუთრებით, მრეწველობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებდა ტრანსპორტი. ამიტომაც სერიოზული ყურადღება დაეთმო ბათუმის ნავსადგურის მოწესრიგებას. 1922 წელს ნავსადგური ემსახურებოდა უცხოეთის 251, ხოლო 1924-25 წელს – 309 გემს. მისი ტვირთბრუნვა იმავე წლებში 6.102 ტონიდან გაიზარდა 66.381 ტონამდე.

ქვეყნის შეუფერხებელი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი იყო კეთილმოწყობილი გზები. თავდაპირველად აჭარაში იყო ორი გზა: ბათუმი – ქობულეთი და ბათუმი – გოდერძის უღელტეხილი. გასული საუკუნის 20–30-იან წლებში გაიყვანეს 130 კმ ახალი გზა სხვადასხვა მიმართულებით, რამაც შესაძლებელი გახადა, აჭარის შორეული პუნქტები დაკავშირებოდა საქართველოს მთავარ საგზაო მაგისტრალს. ცხადია, ამან ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის განვითარებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხუთ წელწადში აჭარაში აღდგენილ იქნა დანგრეული მეურნეობა, ხელსაყრელი ნიადაგი შეიქმნა მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის.

ინდუსტრიალიზაცია, ძირითადად, 10-15 წელიწადში განხორციელდა. განვითარების მაღალმა ტემპებმა ქვეყანაში შექ-

---

[1] გრ. ჯიჯეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70-71.

მნა ის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რამაც უზრუნველყო ომში ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილი, ისტორიული გამარჯვება.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს და აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, რადგანაც აქ საბჭოთა ხელისუფლებამდე უმთავრესად წვრილი გლეხური მეურნეობა იყო. წარსულის ამ მძიმე ხვედრის აღმოფხვრა კი შესაძლებელი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მეშვეობით, რაც ამ რეგიონს დიდ სიკეთეს მოუტანდა იმ გაგებითაც, რომ ჩამოყალიბდებოდა საკუთარი მუშათა კლასი, მზადდებოდა ნიადაგი წვრილი გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის რელსებზე გადაყვანისათვის.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას აძნელებდა სახსრების უქონლობა. სახელმწიფომ გამონახა ეს თანხები ქვეყანაში ნაციონალიზებული საწარმოების, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და ბანკებისაგან მიღებული მოგების ანგარიშზე.

შინაგანი რეზერვების დაგროვებით აჭარის მრეწველობას მოხმარდა 1926-27 სამეურნეო წელს 692 ათასი, ხოლო 1928-29 სამეურნეო წელს — 7.389.378 მანეთი.[1]

ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში, სხვა მხარეებთან ერთად, აჭარაშიც გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები; შენდებოდა ახალი სამრეწველო საწარმოები, ფართოვდებოდა ძველი ქარხნები და ფაბრიკები, ხდებოდა ტექნიკური გადაიარაღება, სწრაფად ვითარდებოდა ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მსუბუქი მრეწველობის დარგები, ხორციელდებოდა საწარმოთა კონცენტრაცია, ყურადღება ექცეოდა ეროვნულ მუშაკთა კადრების ზრდას. 1927 წელს ბათუმში დაიწყო ნაეთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, სადაც გათვალისწინებული იყო ბენზინის, ლიგროინის, საავიაციო ნავთის, გაზოლინის და სხვა ნავთობპროდუქტების წარმოება. გაიყვანეს ბაქო-

[1] გრ. ჯიჯეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

ბათუმის მეორე ნავთობსადენი[1]. 1927 წელს ბათუმში აშენდა ხის დამამუშავებელი ქარხანა, რამაც გააერთიანა ფანერის, საკასრე და ხე-ტყის სახერხი ქარხნები და ეწოდა "აჭარტყე". ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. აჭარაში დიდი ბაზა ჰქონდა და ამიტომაც სერიოზული ყურადღება დაეთმო ტყავის მრეწველობის განვითარებას. ბათუმში იყო ტყავის სამი ქარხანა. 1927 წელს ისინი გაერთიანდა აჭარის მრეწველობის სისტემაში, ხოლო 1928 წელს – საკავშირო ტყავის სინდიკატში, რამაც უზრუნველყო ქარხნის ნედლეულით მომარაგება და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემის პრაქტიკულად მოგვარება.

ახალი ტექნიკით შეიარაღებულმა აჭარის საწარმოებმა (თუჯის ჩამომსხმელი, ქიმიური, ტყავის, მომთუთიებელი, წყლების ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკა, "აჭარტყე", პოლიგრაფიული საწარმო) 1925-26 სამეურნეო წელს გამოუშვეს 2.372.700 მანეთის, ხოლო 1927-28 სამეურნეო წელს - 2.461.000 მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ზრდის მიუხედავად, 1927-28 სამეურნეო წლის სახელმწიფო გეგმა აჭარის მრეწველობამ შეასრულა მხოლოდ 83,2 პროცენტით.[2]

გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, სამრეწველო ობიექტების ხელმძღვანელთა და, უფრო მეტად, დარგის ხელმძღვანელთა მიზეზებით, ხოლო, მეორე მხრივ, გამოუცდელობის გამო პროდუქციის ზრდის მაღალი, არარეალური მაჩვენებლების დაწესებით. საჭირო გახდა ერთიანი რეალური გეგმის საწყისების შემოღება და მის შესრულებაზე კონტროლის გაძლიერება.

1926-27 სამეურნეო წელს შემოიღეს სახალხო მეურნეობის განვითარების ერთწლიანი "საკონტროლო ციფრები". ამ გზაზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე მომზადდა ნიადაგი პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმის შესადგენად, რადგა-

---

[1] საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921-1961 წ.წ., თბ., 1961, გვ. 198.

[2] გრ. ჯიჯეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

ნაც ერთწლიან "საკონტროლო ციფრებში" არ თავსდებოდა ახალი მძლავრი ქარხნების, ფაბრიკების, ტრანსპორტის განვითარება.

საკავშირო ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე 1929 წლის ივლისში მიიღეს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომლის მიხედვით შედგა აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვისაც ხუთწლიანი გეგმა (1928/29–1932/33 წ.წ.);

ამ გეგმით აჭარაში გათვალისწინებული იყო 97.552.511 მანეთის კაპიტალური დაბანდება, აქედან მრეწველობისა და ელექტრომშენებლობისათვის – 48.988.213 მანეთი.[1]

ხუთწლიანი გეგმით დიდი სახსრები იყო გამოყოფილი აჭარის სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგების განვითარებისათვის.

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მაინც ვერ მოხერხდა იმ ნაკლოვანებებისა და სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრა, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარის სამრეწველო საწარმოთა შორის.

აჭარის მრეწველობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა "აზნავთის" ბათუმის ქარხანამ, რომლის მშენებლობა სიძნელეებით მიმდინარეობდა. ქარხნის მშენებლობის 1929-30 სამეურნეო წლის გეგმა შესრულდა მხოლოდ 81 პროცენტით. ჩამორჩებოდა პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულება. ამიტომ 1930 წლის 12 ოქტომბერს ჩატარდა ნავთობგადასამუშავებელი საწარმოს პროფესიულ მუშაკთა აქტივის კრება. კრებაზე აღინიშნა საწარმოთა მუშაობის შედეგები, გაანალიზდა ხარვეზები, ნაკლოვანებანი, ჩამორჩენის მიზეზები და დაისახა მდგომარეობის გამოსწორების პრაქტიკული გზები. საწარმოთა ხელმძღვანელებს დაევალათ გაეუმჯობესებინათ მუშა–მოსამსახურეთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები, მეტი გასაქანი მიეცათ მოწინავე მუშათა და ინჟინერ-ტექ-

[1] აჭარის ცსა, ფონ. 96, აღწ. 1, საქ. 344, ფურც. 28-29.

ნიკური პერსონალის ინიციატივისათვის, წაეხალისებინათ რაციონალიზატორები და გამომგონებლები.

აქტივის კრების ექო გადაედო აჭარის მრეწველობის სხვა ობიექტების კოლექტივებსაც. განვითარდა რაციონალიზაცია და გამომგონებლობა, რის შედეგად აჭარის სამრეწველო საწარმოებში 1929-30 სამეურნეო წელს დაინერგა 43 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც 325 ათასი მანეთის ეკონომია მისცა სახელმწიფოს.

აჭარის ხელმძღვანელობამ შეისწავლა ადგილობრივი მრეწველობის მდგომარეობა და 1930 წლის ოქტომბერში დასახა ღონისძიებები სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის.

მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შედეგად, ბევრმა ქარხანამ წარმატებით გაანაღდა 1930 წლის გეგმები. მაგალითად, ქიმიურმა ქარხანამ გეგმა შეასრულა 151 %-ით, არაყისამ—143,2, ტყავის—106,7, თუჯის ჩამომსხმელმა—100,4%, ხოლო საერთოდ აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა—100,5%-ით და წინა წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაზარდეს 37,1 %-ით შრომის ნაყოფიერება — 18 %-ით, მუშათა ხელფასი — 29,1 %.[1]

მიუხედავად გაწეული დიდი მუშაობისა, ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულება ჭიანურდებოდა. ამის მიზეზები იყო შრომის ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომები, მუშახელის დენადობა და სხვა.

1931 წლის ივლისში აჭარის ხელმძღვანელობამ გააანალიზა გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები, დაავალა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეძლიერებინა ხელმძღვანელობა სამრეწველო საწარმოებისადმი, მოეწესრიგებინა შრომის ორგანიზაცია, ეზრუნა მუშების სამუშაო, საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, ფართო და ქმედითი ხასიათი მიეცა სოციალისტური შეჯიბრებისათვის, რაც შეიძლება მეტი მუშა ჩაება მასში, ებრძოლა სახელმწი-

[1] გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი", 12 თებერვალი, 1930 წელი.

ფო გეგმების განაღდებისათვის. გატარებულმა ღონისძიებამ რამდენადმე გამოაცოცხლა ფაბრიკა-ქარხნების შრომითი კოლექტივების მუშაობა, მაგრამ აჭარის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების 1931 წლის პირველი ნახევარის გეგმა გაანაღდეს მხოლოდ 89,6 %—ით.

პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე იმსჯელეს აჭარის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1932 წლის 10-13 იანვარს.

კონფერენციამ მოიწონა აჭარის ცაკის მეათე მოწვევის მეორე სესიის (1931 წლის იულისი) მიერ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საკონტროლო ციფრები, რომლითაც 1932 წელს აჭარის მრეწველობისათვის გათვალისწინებული იყო 8.938.402 მანეთი კაპიტალდაბანდება. აქედან სახელმწიფო მრეწველობას მოხმარდებოდა 4.785.441 მანეთი, ენერგომრეწველობას — 3.338.304 მანეთი. დაგეგმილი იყო 101.532.000. მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, აქედან ქალაქ ბათუმის სამრეწველო საწარმოებზე მოდიოდა 95.587.000 მანეთის პროდუქცია.[1]

შემდგომში აღმოჩნდა, რომ 1932 წლის საკონტროლო ციფრები არ იყო სწორად შედგენილი, უმთავრესად, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში. აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭომ წინასწარ ვერ გაითვალისწინა სამრეწველო საწარმოების ნედლეულით მომარაგების საკითხები, ამიტომ შემდეგ მოახდინა მისი კორექტირება-შესწორება.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სისტემურად იხილავდა აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს ინფორმაციებს ცალკეული ფაბრიკა-ქარხნის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, არ აკლებდა მათ ყურადღებას და ხელმძღვანელობას, რის შედეგადაც 1932 წლის გეგმა წარმატებით შესრულდა. გამოშვებულ იქნა 125.405 ათასი მანეთის პროდუქცია. აქედან მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ მიაღწია 110.736.611 მანეთს. ზრდა 1927-28 სამეურნეო წელ-

[1] იქვე, 16 იანვარი, 1932 წელი.

თან შედარებით შეადგენდა 2,25 %-ს. ზეგეგმითი პროდუქციის წარმოება უმთავრესად მოდიოდა ხუთწლედში აგებულ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე.[1]

აჭარის მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა ელექტროსადგურების მშენებლობა, რისთვისაც ავტონომიურ რესპუბლიკას დიდი ბუნებრივი რესურსები გააჩნია. პირველი ხუთწლედის წინ აჭარაში არსებობდა პატარა სიმძლავრის ელექტროსადგურები ბათუმში, ქობულეთში, ჩაქვსა და სალიბაურში. პირველი ხუთწლედის პირმშოა აჭარისწყლის ელექტროსადგური. მისი მშენებლობის დასრულება დაგეგმილი იყო 1936 წლისათვის. თუ 1927 წლისათვის აჭარის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე შეადგენდა 2367 ცხენის ძალას, 1932 გაიზარდა 7448 ცხენის ძალამდე.[2]

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ, ძირეული ცვლილებები შეიტანა მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებაში, კარგი ნიადაგი შეიქმნა მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის მეორე ხუთწლედში (1933-1937 წ.წ.).

საქართველოს სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმიდან გამომდინარე, შემუშავდა და 1933 წლის 23 აგვისტოს მიღებულ იქნა აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1933–1937 წლეებისთვის). გეგმით გათვალისწინებული იყო სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის 301.503.600 მანეთი კაპიტალდაბანდება.[3]

ხუთწლედის მთავარი ამოცანა იყო სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დასრულება, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დამთავრება.

სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელების ყურადღების ცენტრში დადგა ახალი ფაბრიკა-ქარხნების, ელექტროსადგურების აშენება, ახალი ტექნიკის ათვისება.

1934 წელს, იანვარში, შეჯამდა ავტონომიური რესპუბლი-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 96, აღწ. 1, საქ. 344, ფურც. 349.

[2] გრ. ჯიჯეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.

[3] აჭარის ცსა, ფონ. 96, აღწ. 1, საქ. 442, ფურც. 95, 96.

კის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლედის პირველი ორი წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები. აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების 1933 წლის გეგმა შეასრულეს 101,1 %-ით. აწარმოეს და სახლმწიფოს ჩააბარეს 125.042 ათასი მანეთის პროდუქცია, 1934 წელს უნდა ეწარმოებინათ უფრო მეტი – 135.865.600 მანეთის პროდუქცია, მათგან წარმოების საშუალებათა წარმოების საწარმოებს – 110.236 ათასი მანეთისა.[1]

1935 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმებით დაისახა ვრცელი პროგრამა, კერძოდ, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრება, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ქალაქის რკინიგზის კვანძის, ნავსადგურის, კავშირგაბმულობის მუშაობის გაუმჯობესება, აჭარის ნედლეულის ბაზების შესწავლა-ათვისებისა და მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მუშაობის გაფართოება.

ელექტრომრეწველობის განვითარების თვალსაზრისით კი გრანდიოზული იყო "აჭესი", რომლის მშენებლობას სერიოზული ყურადღება ეთმობოდა. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს აჭარცაკის მე–11 მოწვევის მეორე სესიის 1935 წლის 18 სექტემბრის ერცელი დადგენილება "აჭარჰესის მშენებლობის მიმდინარეობისა და მშენებლობის დამთავრებისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ".[2] ცხადია, ამ დადგენილებით გლობალური ღონისძიებები გატარდა ელექტროსადგურის ადგილობრივი მუშახელით, საჭირო სამშენებლო მასალებითა და ელექტრომოწყობილობებით მომარაგების, მახუნცეთი-ბათუმი-სამტრედიის გზაზე ელექტროგადამცემი ხაზების ასაშენებლად, ბათუმი-ქედის მონაკვეთზე საავტომობილო გზის გაფართოება-შეკეთებისათვის. სესიის გადაწყვეტილებების შესრულებამ უზრუნველყო სადგურის მშენებლობის დამთავრება და 1936 წელს მისი ექსპლუატაციაში გადაცემა, რამაც ფართო შესაძლებლობა შექმნა, აჭარის მრეწ-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 96, აღწ. 1, საქ. 372, ფურც. 10-11.
[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 4, აღწ. 1, საქ. 842, ფურც. 6-10.

ველობის შემდგომ გაფართოებისა და მისი ტექნიკური რეკონსტრუქციის უზრუნველსაყოფად.

1935 წლისათვის აჭარაში მუშაობდა 29 მსხვილი სამრეწველო საწარმო, მათგან საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარებისა იყო 15, ადგილობრივი დაქვემდებარებისა – 14. ყველამ ერთად გამოუშვა 149.433 ათასი მანეთის პროდუქცია და გეგმის ზევით სახელმწიფოს მისცა 5 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია. აქედან საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა შექმნეს 141.055 ათასი მანეთის პროდუქცია, რომელშიც მძიმე მრეწველობის საწარმოთა წილად მოდიოდა 116.214 ათასი, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობის ანგარიშზე – 24.841 ათასი მანეთის პროდუქცია.[1]

სახალხო მეურნეობის განვითარების 1933-1937 წლებში დავალებები აჭარის მოსახლეობამ წარმატებით გაანაღდა. აღსანიშნავია მიღწევები მრეწველობის განვითარებაში. ამ მხრივ უსათუოდ საყურადღებოა 30-იან წლებში ქარხნების ამუშავება-ამოქმედება.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ექსპლუატაციაში (1930 წ.) შესვლით, გაფართოვდა ნავთობპროდუქტების წარმოება და ექსპორტი. მან მიიღო საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოს სტატუსი და გადაიქცა აჭარის მრეწველობის ფლაგმანად. თვალსაჩინო გახდა მისი ხვედრითი წილი მრეწველობის საერთო პროდუქციაში. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ამოქმედებას (1936წ.), რამაც დიდი ბიძგი მისცა კვების მრეწველობის განვითარებას, შემდეგში კი ჩაის მრეწველობის წინ წამოწევას. ამას მოჰყვა ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკის (1931 წ.), ჩაქვის ჩაის (1930 წ.), ხუცუბნის ჩაის (1934 წ.), ქობულეთის ჩაის (1935 წ.), ჩაქვის ჩაის დასაფასოებელი (1937 წ.), ორთაბათუმის ჩაის (1937 წ.) და სხვა ფაბრიკების აშენება და კვების მრეწველობის სამსახურში წამყვანი ადგილის დაკავება.

აჭარის ადგილმრეწველობის სისტემაში მსუბუქი მრეწვე-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 96, საქ. 373, ფურც. 29.

ლობის განვითარების ხაზით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბათუმის ტყავის ქარხანას, რომელიც ამუშავდა 1927 წელს. ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა ვერ უზრუნველყოფდა ტყავის ნედლეულის დამუშავების დარგში მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას. ამიტომ აჭარის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქარხნის რეკონსტრუქცია. ამ მიზანს ემსახურებოდა სწორედ აჭარის ცაკის 1935 წლის 11 ნოემბრის დადგენილება "ბათუმის ტყავის ქარხნის რეკოსტრუქციის შესახებ". ამ დადგენილებით დამტკიცდა აჭარის ადგილმრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ მომზადებული პროექტი ქარხნის რეკონსტრუქციისათვის 524.071 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 1935 წელს, ხოლო 1936 წელს უნდა დასრულებულიყო მთლიანი რეკონსტრუქცია.[1]

მიღებული დადგენილების სარეალიზაციოდ აჭარის მშრომელები აქტიურად დაირაზმნენ. შრომის მაღალი ორგანიზაციის პირობებში 1936 წლის ბოლოსათვის ქარხნის რეკონსტრუქცია დამთავრდა. რეკონსტრუირებულმა ქარხანამ წინ წასწია ტყავის ნედლეულის დამუშავების საქმე და ამით კიდევ უფრო შეუწყო ხელი ფეხსაცმელების წარმოებას და, საერთოდ, ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

მეორე ხუთწლედის შედეგებმა რეალური ნიადაგი მოამზადა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ახალი, მესამე, ხუთწლიანი გეგმის მიღება-განხორციელებისათვის.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების საფუძველზე აჭარის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა 1938-1942 წლებისათვის.

მრეწველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებას, რამდენადაც ეს ბევრად შეამცირებდა წარმოების ხარჯებს, პროდუქციის

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 4, აღწ. 1, საქ. 821, ფურც. 95.

თვითღირებულებას, ხელს შეუწყობდა წარმოების გაფართოებას და ა. შ.

ამ მხრივ საინტერესოა 1939 წლის 1 დეკემბერს აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი მოხსენება ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების შესახებ.[1]

აღნიშნულ დოკუმენტში შეჯამებულია 19 წლის მანძილზე მოპოვებული მიღწევები. აქვე ნათქვამია, რომ აჭარაში მრეწველობის განვითარების საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, რომლის ხელმძღვანელობით და მისი მეშვეობით აშენდა ისეთი ქარხნები, როგორიცაა ბათუმის მანქანათმშენებლობის, ტყავის ქარხანები, ფეხსაცმელების ფაბრიკა. მთლიანად რეკოსტრუირებულ იქნა ბათუმის ხის დამამუშავებელი და მომთუთიებელი ქარხნები. მუშაობს ბათუმის ლიმონათის, ლუდის ქარხნები, საკონდიტრო ფაბრიკა და სხვა. ყველა ისინი გადაცემულია საქართველოს, ან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებზე, რაც მიუთითებს ამ ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელობაზე.

დიდი მიზანმიმართული მუშაობის შედეგად, 1939 წლიდან მრეწველობის განვითარება მტკიცედ დაეფუძნა ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენების გამოყენებას. ამ მხრივ აღსანიშნავია და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის ცაკის დდგენილებებს, კერძოდ, 1938 წლის 7 აპრილს მიღებულ ორ მათგანს: "ბათუმის მომთუთიებელი ქარხნის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის გამგებლობიდან აჭარის ადგილმრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ" და "აჭარის ასსრ ადგილმრეწველობის სახალხო კომისარიატთან საშენ მასალათა დამამზადებელი კანტორის ჩამოყალიბების შესახებ"; 1937 წლის 11 აპრილისას "ქალაქ ბათუმში მექანიზირებული სამრეცხაო ქარხნის გახსნის შესა-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 170, აღწ. 1, საქ. 831, ფურც. 1-5.

ხებ";[1] 1938 წლის 5 სექტემბრის დადგენილებას: "აჭარის ადგილმრეწველობის სახალხო კომისარიატთან საშენ მასალათა განყოფილების დაარსების შესახებ",[2] "ბათუმის კოფეინის ქარხნის რეკონსტრუქციის შესახებ",[3] 1939 წლის 28 იენისისა "აჭარის ასსრ ადგილობრივი სახალხო კომისარიატისა და სარეწაო კოოპერატივის მუშაობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ"[4] და სხვა.

საქართველოს სახკომსაბჭოს წინადადებით ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ადგილმრეწველობის სახალხო კომისარიატს დაუსახა ამოცანა – აეგო ქარხანა ქობულეთის ტორფისა და ბათუმის კანალიზაციის მასების დასამუშავებლად ციტრუსებისა და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურების სასუქებით მოსამარაგებლად, რაზედაც იხარჯებოდა უზარმაზარი თანხები. ქარხნის მშენებლობისათვის გამოყვეს 2 მილიონი მანეთი. ქარხანა სრული ექსპლუატაციის შემდეგ წელიწადში დაამზადებდა 250 ათას ტონა სასუქს. ეს კი შეამცირებდა სასუქის შესაძენად გათვალისწინებულ ხარჯებს, გაზრდიდა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მოსავლიანობას.

აჭარის ადგილმრეწველობის სახკომმა აითვისა მრეწველობის ნარჩენები, კერძოდ, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, ტყავის ქარხნების, ხორცკომბინატის ნარჩენებიდან დაამუშავა არაერთი ფართო მოხმარების საგანი, როგორიცაა: სოლიდოლი, ბორბლების საცხი, ტექნიკური საპონი, სხვადასხვა ზეთები. ომის დროს კი ადგილმრეწველობამ, ნარჩენების ბაზაზე დამატებით შექმნა არა მარტო ფართო მოხმარების საგნები, არამედ თავდაცვითი დანიშნულების საგნებიც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 11 ნოემბრის დადგენილებას "მრეწველობისა

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 4, აღწ. 1, საქ. 100, ფურც. 28.
[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 170, აღწ. 1, საქ. 719, ფურც. 33.
[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 34.
[4] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 100, ფურც. 42.

და სოფლის მეურნეობის ნარჩენების ბაზაზე საკვებისა და სასუქების წარმოების შესახებ".[1]

აჭარაში, უმეტესად, ქობულეთში აღმოჩენილ იქნა თიხის მარაგი. მისი ათვისების მიზნით აჭარის სახკომსაბჭოს 1939 წლის 30 მარტის დადგენილებით ქ. ბათუმში აშენდა კრამიტის ქარხანა.[2]

აჭარის მრეწველობაში 20-30-იან წლებში ერთ-ერთი საინტერესო მოვლენა იყო სპილენძის საბადოების დამუშავება ქედის რაიონის სოფელ მერისში. ეს საბადო ცნობილი იყო XIX-XX საუკუნეების რიყრაჟზე, აქ წარმოებდა სპილენძის მოპოვება მარტივი, პრიმიტიული მეთოდებით. 1893-დან 1903 წლამდე გამოზიდულ იქნა 500 კუბმ ნედლეული, რომელსაც ამუშავებდნენ სოფელ ერგეში (ხელვაჩაურის რაიონი) ქ. ბათუმიდან 12 კმ-ზე. აქვე ამუშავებდნენ ხოფის (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა) სპილენძის ნედლეულსაც. არასრული მონაცემებით ერგეში დამუშავებულ იქნა 750 ტონა სპილენძის მადანი, მათგან 70-80 ტონა მოდიოდა მერისის საბადოებზე.[3]

1930-1936 წლებში ჯეროვანი ყურადღება მიექცა მერისის საბადოს დამუშავებას. საძიებო სამუშაოების შედეგად საკავშირო გეოლოგიური ფონდის საქართველოს განყოფილების მონაცემებით მთელი მერისის, კანლისა და ობოლის საბადოებში სხვადასხვა კატეგორიის სპილენძის მადნის მარაგი შეადგენდა 36.190 ტონას. საბადო მდებარეობდა ქ. ბათუმიდან 49 კილომეტრზე, ხოლო საავტომობილო ტრასიდან 7 კმ-ზე ძნელად სავალ სასოფლო გზაზე, რომელიც მოითხოვდა გაფართოებასა და შეკეთებას. სპილენძის საბადოთი დაინტერესდა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი. მან გაამახვილა ყურადღება მერისის სპილენძის საბადოს ამოქმედებაზე და მხარი დაუჭირა ამ საქმეს.

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 1018, ფურც. 72.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 1010, ფურც. 72.

[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 170, აღწ. 1, საქ. 808, ფურც. 112.

საქართველოს გეოლოგიურმა პარტიამ გ. ძოწენიძის (შემდგომში აკადემიკოსის) ხელმძღვანელობით ბევრი სამუშაო ჩაატარა მერისში, მაგრამ, სპილენძის საბადოს მარაგის დიდი ნაწილის ხოფისკენ განშტოების გამო, შემდგომში სახელმწიფომ ყერადღება მოადუნა პოლიტიკური თვალსაზრისით.

აჭარის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა 1937 წელს გამოუშვეს 4168,3 ათასი მანეთის, 1938 წელს – 5323,3 ხოლო 1939 წელს 6520,7 ათასი მანეთის პროდუქცია. პროცენტობით: 1938 წელს, წინა წელთან შედარებით, – 138,2 პროცენტით,[1] 1940 წელს კიდევ უფრო მეტი იყო.

აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი 1941 წელს აერთიანებდა მრეწველობის სხვადასხვა დარგის 21 საწარმოს, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია 1940 წელს შეადგენდა 7.104,7 ათას მანეთს. 1941 წლისათვის დაგეგმილი იყო 7.783,1 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება, უმთავრესად არსებული ასორტიმენტის პროდუქციის ზრდის ხარჯზე.

მოსალოდნელი ომის საშიშროების მოახლოებასთან დაკავშირებით 1941 წლისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის ადგილობრივი ნედლეულისა და საკავშირო და რესპუბლიკური მრეწველობის საწარმოთა ნარჩენების გამოყენება.

აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გაატარა ბევრი პრაქტიკული ღონისძიება ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში მოქნილი მუშაობისა და ახალი სამრეწველო პროდუქციის წარმოებისათვის ავეჯისა და სამკერვალო ფაბრიკების, ქიმიური, ბუკნარის ეთერ–ზეთოვანი და სხვა ქარხნების კოლექტივების მუშაობის გაძლიერებით, შრომის ორგანისაციის გაუმჯობესებით, ტექნიკური პროცესების გარდაქმნა–გამარტივებით, ადგილობრივი ნედლეულის მარაგის ზრდით, მუშა–მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით 1941 წელს, წინა წელთან

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 96, აღწ. 1, საქ. 483, ფურც. 1-3.

შედარებით, გამოუშვა 3 მილიონ მანეთზე მეტი სამრეწველო პროდუქცია. ხუთწლედის ბოლო–1942 წლისათვის გათვალისწინებული იყო კიდევ უფრო დიდი ზრდა.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ 1940 წლის მარტში შეაჯამა სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული პერსპექტიული გეგმის შესასრულებლად მშრომელთა მიერ გაწეული მუშაობა. აღინიშნა, რომ აჭარის მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა 1939 წელს სახელმწიფოს მისცეს 10.325 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. აჭარის მრეწველობამ 1938 წელს გეგმა შეასრულა 103%–ით, ხოლო 1939 წლისა – 108,8%-ით. 1939 წელს ამოქმედდა ახალი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ბათუმის ციტრუსკომბინატი, ლუდის ქარხანა, ქობულეთის, ხელოს, ურეხის აგურის ქარხანები: რეკონსტრუირებულ იქნა ტყავის ქარხანა და ფეხსაცმლის ფაბრიკა, ბათუმის მანქანათმშენებელმა და კოფეინის ქარხნებმა გამოუშვეს ახალი სახის პროდუქცია, რასაც ადრე ყიდულობდნენ საზღვარგარეთ.

არანაკლებ კარგი მაჩვენებლები ჰქონდა აჭარის მრეწველობას 1940 წელს. ან ამ წელს გამოუშვა 234.030, 7 ათასი მანეთის პროდუქცია, აქედან მარტო საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობამ, ჩაის მრეწველობის გამოკლებით, – 187.024,4 ათასი მანეთის, ადგილობრივმა მრეწველობამ – 4864,8 ათასი მანეთის, კოორპერაციულ საზოგადოებათა მრეწველობამ – 23.077,2 ათასი მანეთის. მარტო აჭარის ჩაის მრეწველობამ სახელმწიფოს ამ წელს ჩააბარა 19064,4 ათასი მანეთის პროდუქცია.[1] საერთოდ 1940 წელს აჭარის მრეწველობამ 1921 წელთან შედარებით გამოუშვა 135-ჯერ მეტი პროდუქცია.[2]

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომამდე აჭარაში განვითარდა, როგორც საკავშირო, რესპუბლიური, ასევე

---

[1] ს. ტაბაღუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ბათუმი, 1974, გვ. 7.

[2] ა. ჯაყელი, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 1981, გვ. 115 (რუსულ ენაზე).

ადგილობრივი მრეწველობა. აჭარა ჩამორჩენილი აგრარული მხარიდან გადაიქცა განვითარებული მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის მქონე ინდუსტრიულ–აგრარულ მოწინავე ავტონომიურ რესპუბლიკად. აჭარამ ომამდე შექმნა ის ძლიერი მატერიალური, სამეწველო–ტექნიკური ბაზა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მას ღირსეული წვლილი შეეტანა ფაშისტურ გერმანიაზე ისტორიულ გამარჯვებაში.

§ 2. სოფლის მეურნეობა

აგრარული საკითხი, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები ყოველთვის იყო საზოგადოების, განსაკუთრებით მისი მმართველი ელიტის ყურადღების ცენტრში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მიწა და მისი პროდუქცია ის მთავარი ეკონომიკური ფაქტორია, რომელთანაც დაკავშირებულია საზოგადოების გამოკვება, დამოსვა და ა.შ. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მმართველი ელიტა ახორციელებდა რეფორმებს მიწათმოწყობაში, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში და ა. შ.

საქართველოში 1864 და1919 წელს განხორციელდა აგრარული რეფორმა, მაგრამ მიწაზე კვლავ შენარჩუნებული იქნა კერძო საკუთრება.

ცნობილია, რომ მსოფლიო რელიგიები (თუნდაც ქრისტიანობა, მუსლიმანობა) აღიარებენ, რომ მიწა ღმერთისაა, ეკუთვნის იმას, ვინც დაამუშავებს. აქ მთავარი ისაა, რომ რელიგიები ზოგადად "უარყოფენ" კერძო საკუთრებას მიწაზე, მაგრამ მეფეების, გაბატონებული კლასების გამგებლობაში ტოვებენ მას. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ღმერთი ციდან მიწაზე "ჩამოიყვანა", მოახდინა მიწის კონფისკაცია, ნაციონლიზაცია და სოციალიზაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო კომუნისტური პარტიის პროგრამა აგრარულ საკითხებში.

სოფლად სოციალიზმის აშენების პროგრამა გულისხმობ-

და კოოპერაციული გეგმის განხორციელებას. ეს კი ნიშნავდა ერთპიროვნული გლეხური, პრიმიტიული, ტექნიკურად შეუიარაღებელი მეურნეობიდან გადასვლას მსხვილ, ტექნიკით აღჭურვილ კოლექტიურ მეურნეობაზე, სადაც შრომის ნაყოფიერება გაცილებით მაღალი იქნებოდა, ვიდრე ერთპიროვნულ მეურნეობაში.

კაცობრიობა კოოპერაციის მრავალ ფორმას იცნობს. საბჭოთა კავშირში შემოიღეს კოოპერაციის მარტივი ფორმა "ტოზი" - მიწის საზოგადოებრივი დამმუშავებელი ამხანაგობა, ხოლო შემდგომ გადავიდნენ – სასოფლო-სამეურნეო არტელის, ანუ კოლექტიური მეურნეობა–კოლმეურნეობის ფორმაზე.

აჭარის სინამდვილეში ფართოდ გავრცელდა სამომხმარებლო, ხოლო შემდეგ სასოფლო-სამეურნეო და ბოლოს საწარმოო კოოპერაცია.

მართალია, სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელი მთელ საქართველოში და მათ შორის აჭარაშიც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩაისახა, მაგრამ განსაკუთრებული გაქანება XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მიიღო. კოოპერაციის მნიშვნელობა ის იყო, რომ მისი საშუალებით შეიძლებოდა მოსახლეობის ძირითადი მასის ჩაბმა სოციალიზმის მშენებლობაში, ოღონდ საჭირო იყო კოოპერაცია სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო მომარაგება-გასაღების სფეროდან გადასულიყო წარმოების სფეროშიც.

კოოპერაციული მოძრაობა აჭარაში გაიშალა 1923 წელს და აღმავლობას იწყებს 1925 წლიდან. 1925-26 წლებში ის აერთიანებდა 6 ამხანაგობას, ხოლო 1927-28 წლებში მათი რიცხვი ათამდე გაიზარდა. მის წევრთა რიცხვი ამ პერიოდში გაიზარდა 5100-დან 6000-მდე.

როგორც ყველგან, აჭარაშიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას ფინანსურად ეხმარებოდა სახელმწიფო.

კოოპერაციული ორგანიზაციები სოფლად დიდ საზოგადოებრივ როლს ასრულებდნენ, მათი მეშვეობით გლეხობაში

ხორციელდებოდა აგრონომიული მეცნიერების პროპაგანდა, სამელიორაციო საქმეების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით მომსახურება (1925 წელს საბაზო აგრო-პუნქტებთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების გამქირაველი პუნქტები). გარდა ამისა, გლეხობა თვითონაც იძენდა ტექნიკას სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების მეშვეობით. ამ გზით 1930 წლისათვის აჭარის სოფლის მეურნეობაში იყო 1.444 გუთანი, 398 კულტივატორი, 155 რკინის ფარცხი, 132 მწკრივში მთესავი მანქანა, 8 ტრაქტორი და სხვა იარაღ-მანქანები. გამქირაველი პუნქტებიდან გლეხობამ შეიძინა 500-მდე სეპარატორი (რძის სახდელი მანქანა) და სხვა.

სოფლის მეურნეობის წამოწევის მიზნით 1925 წელს აჭარაში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელთანაც ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები. მათში უმთავრესად ღარიბი გლეხები ერთიანდებოდნენ. 1926 წელს ამხანაგობებში გაერთიანებული იყო 3600-გლეხი.

ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, მაგრამ მის შემდგომ განვითარებას აფერხებდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სიმცირე, რაც გამოწვეული იყო წვრილი გლეხური მეურნეობების ჩამორჩენილობით. ამიტომ სახელმწიფომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე დაიწყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. კოლექტივიზაციის დასახული ამოცანის განხორციელება უნდა მომხდარიყო სათანადო პირობების მომზადებით, კოოპერაციის მარტივი ფორმებიდან თანდათანობით მის უმაღლეს ფორმაზე – კოლმეურნეობებზე გადასვლით.

1928 წლის შემოდგომიდან აჭარაში დაიწყო კოლმეურნეობების მასობრივი ჩამოყალიბება, ღარიბ და უღარიბეს გლეხობასთან ერთად კოლმეურნეობებში დაიწყო საშუალო გლეხების შესვლა[1].

---

[1] ა. ნუცუბიძე. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1930-1934 წწ. იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, XII, თბილისი, 1961, გვ. 92.

კოლექტივიზაციის მომდევნო პერიოდში (1929–1932 წწ) მასობრივად გაიშალა საშუალო გლეხობის შესვლა კოლმეურნეობებში და ეს პროცესი მთელ აჭარაში დასრულდა 1931-1932 წლებში.

1930 წლის აპრილში აჭარის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო აჭარის მთელი გლეხობის 9 პროცენტი, იმავე წლის დეკემბერში 17,1 პროცენტი, 1931 სექტემბერში კი 35,5 პროცენტი. ამავე პერიოდისათვის აჭარაში სულ იყო ჩამოყალიბებული 265 კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანებული იყო 5.262 გლეხური კომლი[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარაში თავიდანვე იქმნებოდა დარგობრივი კოლმეურნეობები, 265 კოლმეურნეობიდან ჩაის კოლმეურნება იყო–89, თამბაქოს–124, მეფუტკრეობის–21, მებოსტნეობის–21, მეცხოველეობის–1, მემინდრეობის–2, და ტექნიკური კულტურების–1 კოლმეურნეობა.

პირველ ხუთწლედში აჭარაში შექმნილი კოლმეურნეობები მეურნეობრივად სუსტნი და ორგანიზაციულად არამტკიცენი იყვნენ. 18 სასოფლო-სამეურნეო არტელიდან შემოსავალი ხუთწლედის ბოლოს შეადგენდა მხოლოდ 2 მილიონ 302 ათას 570 მანეთს, ხოლო 236 ამხანაგობიდან მიღებული შემოსავალი –1 მილიონ 656 ათას 976 მანეთს. სასოფლო სამეურნეო არტელში კოლმეურნეობები ერთ შრომადღეზე იღებდნენ 6,6 მანეთს, ამხანაგობებში – 2,2 მანეთს.[2]

დიდი ამოცანები დაისახა სოფლის მეურნეობის წინაშე 1933-1937 წლებში. გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რამაც შედეგი გამოიღო.

1935 წლიდან გლეხობამ დაიწყო მასიური გადასვლა კოოპერაციის უფრო მაღალ ფორმაზე – სასოფლო-სამეურნეო არტელზე, რომელთა საერთო რაოდენობა იმავე წლისათვის 22-დან გაიზარდა 67-მდე. მარტო 1936 წელს 258 კოლექტიური მეურნეობიდან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე გა-

---

[1] ალ. ბაუჟაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 95.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 4, აღწ. 1, საქ. 526, ფურც. 128.

დავიდა 87 კოლმეურნეობა. ამ პერიოდისათვის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასული იყო ქობულეთის რაიონი. ავტონომიურ რესპუბლიკაში კოლექტივიზაციის საშუალო დონე შეადგენდა 65 %-ს. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო სახნავ სათესი მიწების 22,5 %[1].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქობულეთის რაიონში კოლექტივიზაციის მაღალი დონე განაპირობა რაიონში მანქანა–ტრაქტოროა სადგურის შექმნამ. საერთოდ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წარმოადგენდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ კერებს, უზრუნველყოფდნენ მათ სამოქმედო რაიონებში არსებული კოლმეურნეობების მომსახურებას მიწათმოქმედების ყველა დარგში.

მანქანა-ტრაქტოროა სადგური აჭარაში, ქობულეთის გარდა, სხვა რაიონებში არ შექმნილა, ხულოს და ქედის, ნაწილობრივ ბათუმისა და ქობულეთის რაიონები მთაგორიანია, სადაც ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა არ იყო. ამიტომაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სიკეთით უმთავრესად ქობულეთის რაიონისა და ნაწილობრივ ბათუმის დაბლობებში არსებული კოლმეურნეობები სარგებლობდნენ. ამის შედეგი იყო სწორედაც ის, რომ ქობულეთში კოლექტივიზაციის ტემპი, აჭარის სხვა რაიონებთან შედარებით, გაცილებით მაღალი იყო.

1931 წლის 2 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით მთლიანი კოლექტივიზაცია დამთავრებულად ითვლებოდა იმ რაიონებში, სადაც კოლექტივიზაციის დონე 68-70 პროცენტს შეადგენდა და სახნავ-სათესი მიწების 75-80 % განსაზოგადებული იყო[2]. ამ ნორმებიდან გამომდინარე 1937 წლისთვის, აჭარაში კოლექტივიზაციის დონემ საშუალოდ მიაღწია 70 %-ს. ამიტომ მთლიანად კოლექტივიზაცია დამთავრებულად ითვლებოდა. თუმცა კოლექტივიზაციის დონე აჭარის ყველა რაიონში ერთნაირი არ იყო. კოლექტივიზაციის საშუალოზე მაღალი

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონდ. 84, აღწ. 1, საქ. 526, ფურც. 28.

[2] სკკპ და საბჭოთა მთავრობის დირექტივები სამეურნეო საკითხებზე, ტ.2, 1957,გვ. 316 (რუსულ ენაზე).

დონე ჰქონდა ქობულეთის რაიონს (88,3%). საშუალოზე დაბალი – ბათუმის (58,5%) და ქედის (63,4 %) რაიონებს[1].

ძირითადად კოლექტივიზაციის დამთავრებასთან ერთად, მომდევნო ამოცანად დასახა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, კოლმეურნეობებში ყველა სამუშაოს მოწყობა სანარდო სისტემის საფუძველზე. 1931 წლიდან კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვისათვის შემოღებული ახალი წესი–შრომადღე–შეფასდა, როგორც კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების საუკეთესო ფორმა. კოლმეურნეობებში შეიქმნა მუდმივმოქმედი საწარმოო ბრიგადები.

არტელის სანიმუშო წესდების საფუძველზე აჭარის კოლმეურნეობები მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ. არსებული "ტოზების" წევრები და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობები კი დარწმუნდნენ კოლმეურნეობის საარტელო ფორმის უპირატესობაში. არტელების და მათში გაერთიანებული გლეხური მეურნეობების რიცხვი ბოლო სამ წელიწადში გაიზარდა 3,5-ჯერ. თუ 1935 წელს იყო 22 არტელი 1060 მეურნით, მათი რიცხვი გაიზარდა 70-მდე, რომელშიც გაერთიანებული იყო 3628 მეურნე. ამასთან, ხულოსა და ქედის რაიონებში ბევრი მოწინავე ამხანაგობა გადავიდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე. კოლმეურნეობებში შევიდა 1712 ახალი მეურნე და კოლექტივიზაციის პროცენტი რესპუბლიკაში 40,3-დან მიაღწია 50,7 %-ს. ჩამოყალიბდა 17 ახალი კოლმეურნეობა.

1936 წლისათვის აჭარაში ჩაის პლანტაციას ეკავა 4303 ჰექტარი მიწა. მარტო 1935 წელს მეჩაიე კოლმეურნეობების დარგის განვითარებისათვის მთავრობამ გამოყო 8 მილიონი მანეთის კრედიტი. ამ წელს გლეხობამ ჩაისა და ციტრუსებისაგან მიიღო 16 მილიონი მანეთი.

თუ 1921 წელს ერთი ჰექტარი მიწა იძლეოდა 418 კოლოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, 1936 წელს იგი 2.200 კილოგრამამდე ავიდა, ხოლო ცალკეულ მოწინავე კოლმეურნეობებში კი

---

[1] ალ. ბაუჟაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

4-5-6 ათას კილოგრამს მიაღწია.

1921 წელს მოიკრიფა 1000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1935 წელს —3.358, ხოლო 1940 წელს 8 ათასი ტონა.

1931 წელს აჭარაში იყო ციტრუსების ნარგაევები 262 ჰექტარზე, 1936 წელს — 1925 ჰექტარზე, 1940 წლისთვის მიაღწია 2000 ჰექტარს. 1936 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 160 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი. აჭარას ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა ციტრუსების განვითარების დარგში.

1921 წელს ტუნგი გაშენებული იყო ნახევარ ჰექტარზე, 1936 წელს გაიზარდა 977, ხოლო 1940 წელს — 1000 ჰექტრამდე.; თამბაქო იყო 38 ჰექტარზე და მიაღწია 430 ჰექტარს.

აღმავლობის გზაზე დადგა მეცხოველეობა. მიღწეული იქნა ნამატის, პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა, განმტკიცდა მატერიალური ბაზა და ა.შ. ამის შემდეგ გაიზარდა პირუტყვის სულადობა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 99.630 და წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა —71.123 სულამდე.

თუ აჭარის ბარის (ქობულეთისა და ბათუმის) რაიონები ჩაისა და ციტრუსების დარგებს ანვითარებდნენ, მთიანი ხულოსა და ქედის რაიონები გადაიქცნენ მეცხოველეობის, მეხილეობის, მევენახეობისა და მეთამბაქოების რაიონებად.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში გამოვლინდა ბევრი მოწინავე ადამიანი, მეციტრუსე-მეჩაიები იყვნენ: აიშე გურგენიძე, ბექირ ჩახვაძე, დურსუნ ნიჟარაძე, ხატიჯე გოგიტიძე, ხურიე მამეიშვილი, მარიკა ფუნდუკიდი, არონ კიტია, ხატიჯე კაკაბაძე, დურსუნ ნაკაშიძე, პროკოფ გონიაძე, გიორგი ჩხარტიშვილი და სხვა მრავალი. მეთამბაქოებაში: ალი გაგოშიძე, მურთაზ ბალაძე, მუსტაფ ხალვაში, ემინე ბალაძე, ბარათალი აბულაძე, მევლუდ კოჩალიძე, ხასან დავითაძე, ჯივან თავართქილაძე, იუსუფ შავაძე, აბდულ ცინცაძე, ემინე ბერიძე, ილიას დიდმანიძე, ლუთბიე გორგილაძე, ფადიმე სირაბიძე, ხენიფე ბალაძე, ხურიე სირაძე, სულთან ბოლქვაძე, ფატყუმე დავითაძე, ილიას ბერიძე და სხვა მრავალი.

ადრე აჭარაში თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული

მელიორაცია, ამიტომაც ზღვისპირა და ბარის რაიონებში მძვინვარებდა მალარია, რასაც უმოწყალოდ ეწირებოდა მოსახლეობა.

გასული საუკუნის 20–30-იან წლებიდან ყურადღება მიექცა მელიორაციას. ჭაობების ამოშრობისათვის დიდი მუშაობა ჩატარდა ბათუმის რაიონის გონიოს, ქობულეთის რაიონის კვირიკეს კოლმეურნეობებში, ჩაქვის და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებში, ხულოს რაიონის ბევრ საბჭოში.

აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებისათვის ახალი სერიოზული ნაბიჯები გადადგა 1938-1942 წლებში.

1935–1939 წლებში აჭარაში ძირითადად განხორციელდა სახელმწიფო მიწების კოლმურნეობებზე მიმაგრების გაფორმება სახელმწიფო აქტებით[1]. ეს თავის მხრივ მიუთითებდა კოლმეურნეობების ორგანიზაციულ განმტკიცებაზე.

კოლმეურნეობების სამეურნეო–ორგანიზაციულმა განმტკიცებამ, მათი საზოგადოებრივი მეურნეობების წარმატებებმა კარგი პირობები შექმნეს კოლმეურნობებში გლეხთა მოზიდვისათვის, ყველა რაიონში სრული კოლექტივიზაციის პროცესის დამთავრებისათვის.

კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება და გლეხთა მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ განაპირობა სახელმწიფოს მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობის რეგულირებამ. 1932 წლის 20 მაისს ამ საკითხზე მიღებული დადგენილებით კოლმეურნეთა მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობით მიღებული შემოსავალი არ იბეგრებოდა, მაშინ როცა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საკოლმეურნეო ბაზრებიდან მიღებული შემოსავალი იბეგრებოდა 30 %-ით. დადგენილებით საკოლმეურნეო ბაზარზე იკრძალებოდა კერძო ვაჭრობა და გადამყიდველობა. ეს იყო შიდაბაზრის რეგულირების ფორმა, რამაც ხელი შეუწყო სოფლად სოციალისტური გარდაქმნების ჩატარებას, გაფართოვდა საქონელბრუნვა ქალაქსა და სო-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, თბ. 1976, გვ. 649.

ფელს შორის, გაუმჯობესდა მუშების მომარაგება სასოფლო–სამეურნეო პროდუქტებით, გლეხებისა – სამრეწველო ნაწარმით.

საკოლმეურნეო მოძრაობამ, საერთოდ, და კოლმეურნეობებმა, კერძოდ, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, ხარვეზებისა და გადახვევებისა, რასაც როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები ჰქონდა, დიდი როლი შეასრულეს არა მარტო მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული დონის წამოწევაში, არამედ აჭარელი ქალების განვითარებაშიც. ქალი ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, რამაც აამაღლა მისი გონებრივი ჰორიზონტი, მიუჩინა მას კუთვნილი ადგილი არა მარტო საკოლმეურნეო მშენებლობაში, არამედ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხელი შეუწყო მამაკაცის პარალელურად ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სფეროში მის დასაქმებას.

აჭარის მიწსახკომის 1940 წლის 9 მარტის ცნობით, საკავშირო სასოფლო–სამეურნეო გამოფენაზე სულ აჭარიდან გაიგზავნა 420 მოწინავე, მათგან ბათუმის რაიონიდან 85, ქობულეთის რაიონიდან 244, ხულოს რაიონიდან 58, ქედის რაიონიდან – 33 კაცი[1].

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, კოლმეურნეობებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სახელმწიფო მეურნეობებმა, რომლებიც შეიქმნა კონფისკაციაქმნილი მსხვილი საუფლისწულო ან კერძო მამულების ბაზაზე ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში. 1940 წელსაც იყო 18 მეურნეობა.

თუ მოკლედ შევაჯამებთ აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგებს მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად მისი სერიოზული ხარვეზებისა, ნაკლოვანებებისა თუ დაშვებული შეცდომებისა, რასაც ჰქონდა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, საკოლ-

---

[1] ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში. დოკუმენტების და მასალების კრებული. 1933-1941 წწ., ბათ., 1986, გვ. 227.

მეურნეო წყობილებამ, გაუძლო ომის მკაცრ გამოცდას, შეიქმნა ის მტკიცე ბაზა, რომელმაც უზრუნველყო მრეწველობა ნედლეულით, არმია და მოსახლეობა – სურსათ–სანოვაგით, რამაც სხვა ფაქტებთან ერთად, განაპირობა ფაშიზმზე ძლევამოსილი გამარჯვება.

§ 3. აჭარა კულტურული აღორძინების გზაზე (1921-1945 წწ.)[1]

განათლება. საგანმანათლებლო დაწესებულებანი

ახალმა ხელისუფლებამ საქართველოში შემოსვლისთანავე თან შემოიტანა ფრიად მიმზიდველი ლოზუნგი: „ცოდნა–მასებს!“ მართალია რუსეთი თავად იყო ჩაფლული უწიგნურობის წყვდიადში (ამ მხრივ საქართველოში შეუდარებლად უკეთესი მდგომარეობა სუფევდა), მაგრამ განსაკუთრებული ზრუნვა სკოლასა და საერთოდ განათლებაზე იმაზე მიუთითებდა, რომ ბოლშევიკები არ აპირებდნენ ამ სფეროში ჩამორჩენილობისადმი შეგუებას.

განათლების განყოფილება პირველად რევკომთან ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, როდესაც აჭარის ასსრ შეიქმნა, იგი განათლების სახალხო კომისარიატად გარდაიქმნა.[2] 1921-22 წწ ძირითადად ჩამოყალიბდა, ერთიანი სახალხო განათლების

---

[1] მადლობას მოვახსენებთ: აჭარის სახელმწიფო არქივის თანამშრომლებს ბ–ნ სერგო ტაბაღუას და ქ–ნ ნუნუ სკამკოჩაიშვილს, რომლებმაც საშუალება მოგვცეს გაცნობოდით მათ ორტომიან ხელნაწერ ცნობარს „აჭარის ასსრ სახელმწიფო დაწესებულებათა ისტორია (1921-1944)“; აგრეთვე, აჭარის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს ბ–ნ გენო მახარაძეს, რომელმაც გასაცნობად დაგვითმო თავისი ხელნაწერი ნაშრომი „წიგნის ბეჭდვის საქმის ჩამოყალიბება და განვითარება აჭარაში“ (რუსულ ენაზე).

[2] გრ. ბაბილოძე, სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957), ბათ., 1958, გვ. 84-85.

სისტემაც. იგი ეწყობოდა რსფსრ-ს და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ანალოგიებით. ცხადია, იქაური გამოცდილების გამოყენება აადვილებდა განათლების საქმის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო არაშაბლონურად, არამედ შემოქმედებითად. ამის აუცილებლობა იმით იყო განპირობებული, რომ ისტორიული პირობების გამო აჭარას ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურება ჰქონდა.

აჭარის განათლების სამხედრო კომისარიატმა შეიმუშავა და სახელმძღვანელოდ დაგზავნა ინსტრუქცია სკოლებში მუშათა და ღარიბ გლეხთა შვილების უპირატესი მიღების შესახებ; სწავლების ენად გამოცხადდა მშობლიური ქართული; შერეული დაწყებითი სკოლები გაიხსნა ქობულეთში (ქართულ-ბერძნული), გოროდოკში (ქართულ-რუსული), ანგისაში (ქართულ-აფხაზური); მედრესების გაველენის განეიტრალების მიზნით უმჯობესად მიიჩნიეს, დროებით მაინც, საბჭოთა სკოლაში თურქული ენის სწავლება და ხოჯის დაშვება საღვთო სჯულის სწავლებისათვის; სახსრები გამოძებნეს და 1921-1922 წლებში მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდათ 5 ათასი ეგზემპლარი სხვადასხვა სახელმძღვანელო, 1926-1927 წლებში კი – 20 ათასი; 1924 წელს შეიქმნა ღარიბ მოსწავლეთა დახმარების (ე.წ. „ფუხარას“) ფონდი, რომელმაც 90 ათასი მანეთი მოახმარა სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთებისა და ტანსაცმლის შეძენას.[1] ამასთან, რაც მთავარია, გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები სკოლებში კვალიფიციური კადრების მოსაზიდად და ა.შ.

ამის შედეგად გაიზარდა (განსაკუთრებით სოფლად) სკოლების რიცხვი და მოსწავლეთა რაოდენობა. თუ 1921 წელს აჭარაში იყო 38 სკოლა 2920 მოსწავლით (აქედან სოფლად 25 სკოლა 780 მოსწავლით). 1929–1930 სასწავლო წლისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუშაობდა ყველა ტიპის 211 სკოლა 18 550 მოსწავლით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განვლილი 9 წლის განმავლობაში სკოლების საერთო რიცხვი ქალაქად

[1] იქვე, გვ. 92-93.

გადიდდა 5,5–ჯერ, ხოლო მოსწავლეებისა 6,3–ჯერ. სოფლად ეს მაჩვენებელი შეადგენდა შესაბამისად 7 და 10,9. სკოლების ზრდის არნახულ ტემპებს მოწმობდა თუნდაც ის ფაქტი, რომ 1924 წელს აჭარაში გაიხსნა 43 ახალი სკოლა, მათ შორის მაღალმთიან ხულოს რაიონში 19.[1] განათლების დარგის ასეთ წინსვლას გარკვეულად აპირობებდა ქვეყნის ეკონომიკური დონის ამაღლება და ამის შესაბამისად ბიუჯეტის ზრდა. 1923–1925 წლებში სახალხო განათლებაზე ყოველწლიურად იხარჯებოდა რესპუბლიკის მთელი შემოსავლის 33%.[2]

20–იან წლების დამლევს საბჭოთა განათლების სისტემა დაწყებით სავალდებულო სწავლებაზე გადავიდა. აჭარაში იგი 1928–1929 სასწაელო წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამასთან დაკავშირებით 1929 წლის დამდეგს სოფლად გაიხსნა 21 ახალი სკოლა და 35 პარალელური ჯგუფი, სადაც სამუშაოდ დამატებით გაიგზავნა 46 მასწავლებელი[3]. სავალდებულო დაწყებით განათლებაზე გადასვლა აქ უნდა დემთავრებინათ 1932–1933 სასწავლო წლისათვის. ამასთან დაკავშირებით ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიხურა ყველა რელიგიური სასწავლებელი, მათ შორის მედრესეებიც.

1933–1934 სასწაელო წლიდან აჭარა მთლიანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების რესპუბლიკად გამოცხადდა. 1940–1941 წლებისათვის აჭარაში სკოლის გარეთ დარჩენილი იყო მხოლოდ 2131 ბავშვი, რასაც გარკვეული ობიექტური (აგრეთვე სუბიექტური) მიზეზები ჰქონდა,[4] მაგრამ ამ სფეროში მოპოვებული წარმატებები, მართლაც, თვალშისაცემი იყო.

სკოლებში აჭარელი გოგონების ჩაბმისა და მათი სწავლისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით სოფლად მოეწყო ინტერნატები. 1940–1941 სასწავლო წლისათვის სულ არსებობდა 18 ამ ტიპის სასწავლებელი, რომლებშიც 985 მოსწავლე

---

[1] იქვე გვ. 93.
[2] იქვე. გვ. 102.
[3] იქვე. გვ. 102.
[4] იქვე. გვ. 105–106.

სწავლობდა.

სკოლების ფართო ქსელის არსებობისა და მოსწავლე–ახალგაზრდობის მიზიდვის მიუხედავად მძაფრად იგრძნობოდა მოსახლეობის საერთო კულტურული ჩამორჩენილობა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებნი, წერა-კითხვის სრული უცოდინარი იყო. ამ ახალი ხელისუფლების უპირველესი ამოცანა გახდა წერა–კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, მით უმეტეს, რომ წერა–კითხვის მცოდნეობის მხრივ აჭარა საქართველოს ერთ–ერთი ყველაზე ჩამორჩენილი მხარე იყო. 1923 წლისათვის აქ წერა–კითხვა იცოდა 8–50 წლის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 6,74%.[1]

ასეთ ვითარებაში წერა–კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია სახელმწიფო საქმედ გამოცხადდა. საქართველოში იგი არსებითად დაიწყო 1921 წლის 31 მარტიდან, როდესაც გამოქვეყნდა რევკომის დეკრეტი ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული წითელი არმიის ნაწილებში წერა–კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ. ამასთან ერთად მიმდინარეობდა მოსამზადებელი მუშაობა მოსახლეობის უწიგნურობის აღმოსაფხვრელად. მართლაც, 1921 წლის 4 ივნისს გამოქვეყნდა ახალი დეკრეტი მოსახლეობის წერა–კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

პირველი ეტაპი საორგანიზაციო ხასიათისა იყო. იმ გაქანებითა და მასშტაბით, როგორითაც იგი წარიმართა, აშკარად ჩანდა რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტია და მთავრობა მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას. საკმარისია ითქვას, რომ მისი ხელმძღვანელობისათვის პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოსთან შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია, გამოიყო კრედიტი 400 მლნ მანეთის რაოდენობით. იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები, მომარაგების ორგანოებს მიეთითათ, რომ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისას უპირატესობა

[1] იქვე, გვ. 13.

მიეცათ წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო დაწესებულებებისათვის, დაწესდა მკაცრი სასჯელი იმათ მიმართ, ვინც უარს იტყოდა ან ხელს შეუშლიდა მეცადინეობებს და ა.შ. არადა, ეს დიდი სახელმწიფოებრივი პროგრამა მიმდინარეობდა უაღრესად რთულ ვითარებაში. დანგრეული და მოშლილი იყო ეკონომიკა, რის გამოც ქალაქად და სოფლად შიმშილი და ეპიდემია მძვინვარებდა.

ამის მიუხედავად, ეს დიდი სახელმწიფოებრივი პროგრამა მთელი სისრულით წარიმართა აჭარაში. აქ ჯერ კიდევ 1921 წლის 4 მაისს რევკომის განათლების განყოფილებამ თავისი ბრძანებით „ძირს წერა-კითხვის უცოდინრობა“, მოითხოვა საბინაო კომიტეტებს, სახლის მეპატრონეებს ან მათ შემცველ პირებს ერთი კვირის განმავლობაში დაედგინათ (დაეზუსტებინათ), აღერიცხათ და განყოფილებებში წარმოედგინათ მათ რაიონში (სახლში) მცხოვრები 17 წლის ასაკმიღწეული წერა-კითხვის უცოდინარ პირთა სიები. გაირკვა, რომ 1922 წლისათვის ასეთი აჭარაში იყო 28033 კაცი, აქედან სოფლად — 19030.[1] რა თქმა უნდა, მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო, რადგან მაშინ აღირიცხა მხოლოდ 17 წლის ასაკს მიღწეული მოსახლეობა.

პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით ადგილებზე — სამაზრო კომიტეტებთან და პირველად პარტუჯრედებთან შეიქმნა წერა—კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები და პუნქტები. სწავლება ოთხ თვეს გრძელდებოდა. მასწავლებლად მობილიზებული იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი, მათ შორის პარტიის წევრები, კომკავშირლები და უპარტიოებიც. ამით „მთელ აჭარაში მასობრივად გაჩაღდა წერა—კითხვის სწავლება“.[2]

ასეთმა დიდმა ღონისძიებამ 1921-1925 წლებში სათანადო შედეგი გამოიღო. 1922-1923 სასწავლო წელს აჭარაში მოქმე-

---

[1] დ. დიასამიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში, თბ., 1964, გვ. 52.

[2] იქვე, გვ. 53.

დებდა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო 14 სკოლა, 1923-1924 წელს – 48, 1924-1925 წელს – 119, 1925-1926 წელს – 106 სკოლა, რომელიც დაამთავრა 5449 კაცმა. ამასთან, სოფლის მკვიდრთაგან ბევრმა შეისწავლა წერა-კითხვა საცხოვრებელ ადგილებში არსებული ზოგადაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთაგან. ყოველ შემთხვევაში, 1926 წლის მოსახლეობის საკავშირო საყოველთაო აღწერის მიხედვით აჭარის 131957 ასაკოვანი მცხოვრებიდან წერა-კითხვა იცოდა 38952, აქედან 24362 მამაკაცმა და 14590 ქალმა.[1] მაშასადამე, პირველი შედეგები მეტად თვალსაჩინო იყო.

ამის მიუხედავად მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მაინც წერა-კითხვის უცოდინარი რჩებოდა. ამიტომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით 1925 წლის ივლისში ჩამოყალიბდა „წერა–კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება“ ე.წ. „წერკუმსი.“ უკვე მომდევნო წლისათვის ამ საზოგადოებას აჭარაში ჰქონდა 45 უჯრედი, რომელშიც გაერთიანებული იყო 2 743 წევრი.[2]

„წერკუმსის“ შექმნამ გააქტიურა წერა–კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმიანობა. 1928–1929 სასწავლო წელს აჭარაში მოქმედებდა 157 სკოლა, რომელიც დაამთავრა 3 736 კაცმა.

საგულისხმოა, რომ ამ დროიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალთა შორის წერა–კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. საერთოდ, ამ სფეროში დიდი მუშაობა წარმოებდა. ამ მხრივ ჯერ კიდევ 1923 წელს გადაიდგა პირველი ნაბიჯები.[3] მაშინ ქედის მაზრის სოფლებში (ძენწმანი, მერისი, ქედა) შეიქმნა წერა–კითხვის უციდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები. 1926 წლისათვის აჭარაში არსებობდა 105 ასეთი სკოლა. მათგან 15 სოფლად მოქმედებდა. ქალთა სწავლება შესამჩნევად გაძლიერდა „წერკუმსის“ ჩამოყალიბების

---

[1] Материалы Всесоюзной переписы 1926 г., М., 1929, с. 174-176.

[2] დ. დიასამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[3] დაწვრილებით იხ, თ. კაპანაძე, წერა–კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია საბჭოთა საქართველოში (1921–1937), თბ., 1979, გვ. 57.

შემდეგ. ამ მიზანს ემსახურებოდა 54 სკოლა, აგრეთვე ე.წ. ჭრა–კერვის 19 სკოლა, სადაც სპეციალობასთან ერთად ქალებს წერა–კითხვასაც ასწავლიდნენ. 1928–1929 სასწავლო წელს ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში სულ მოქმედებდა 131 სკოლა, რომელიც მოითვლიდა 4 043 მსმენელს, მათ შორის 615 ქალს. 1922–1930 წლებში თუ წერა–კითხვა საერთოდ შეისწავლა 25 ათასამდე კაცმა, მათგან 9 560 ქალი იყო. 1941 წლისათვის კი წერა–კითხვა იცოდა 80 176 ქალმა. ქალთა სწავლებას იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ 1936 წლიდან თუ თითოეული მამაკაცი მსმენელის გამოშვებისათვის მასწავლებელს 15 მანეთი ეძლეოდა, ქალი მსმენელის გამოშვებისათვის 18 მანეთი იყო დაწესებული.[1]

პედაგოგიური ინსტიტუტი

1935 წლის 11 ივნისს, საქართველოს განსახკომის დადგენილებით, გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი,[2] რომელიც სულ მალე გადაიქცა უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მძლავრ კერად და საბოლოოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტის საფუძველი გახდა. იმავე წლის 12 სექტემბერს შეიქმნა საგნობრივი კომისიები და სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი განისაზღვრა 245 კაცით.[3] თავდაპირველად იყო 4 ფაკულტეტი: ქართული ენის და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის და ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის. 8 ოქტომბერს შეიქმნა 8 კათედრა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ქართული ენის და ლიტერატურის, გეოგრაფიის. 1936 წელს დაემატა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი, რის გამოც სტუ-

---

[1] ნ. გუგუნავა, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, ბათ., 1997, გვ. 267–268.

[2] აჭარის არ ცსა ფ. 432. აღწ. 2, საქ. 1, ფურც. 1.

[3] პ. პატარაია, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, ბათ., 1980, გვ. 22.

დენტთა რიცხვი 321 კაცამდე გაიზარდა. 1938 წელს ქართული ენის და ლიტერატურის ფაკულტეტთან გაიხსნა რუსული სექტორიც.[1]

სათანადო კადრების არარსებობის გამო, ინსტიტუტში სამუშაოდ მიიწვიეს პედაგოგიური სასწავლებლიდან ერუდირებული პედაგოგები: ნ. ლორთქიფანიძე, გ. გორგაძე, ვ. იაშვილი, ს. თოთიბაძე, ნ. ჟორდანია, პ. პატარაია და სხვ., აგრეთვე, თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები: ცნობილი ქართველი მეცნიერები — გ. ახვლედიანი, ა. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ს. კაკაბაძე, ა. ხარაძე, დ. მგელაძე, ლ. ებანოიძე, ა. კიკვიძე, კ. გრიგოლია, მ. დუმბაძე, ტ. ხუნდაძე, ვ. დონაძე, ა. ნოღაიდელი და სხვ., რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ბათუმის ინსტიტუტში სასწავლო—აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებას.

განათლების და საერთო კულტურის დონის ზრდამ, აგრეთვე, სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებამ მკვეთრად გაზარდა მითხოვნილება საშუალო სპეციალური და პროფესიულ—ტექნიკური განათლების კადრებზე. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება 1941—1945 წლებში სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობდა მათ მომზადებას სწორედ საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფართო ქსელის გახსნით.

1923 წლის 1 ნოემბერს ბათუმში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი (1937 წლამდე მას ინსტიტუტს უწოდებდნენ). 1925 წლიდან იგი განთავსდა ვაჟთა გიმნაზიის შენობაში, სადაც დღეს ფუნქციონირებს სახელმწიფო უნივერსიტეტი. ტექნიკუმი იყო უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით (ნ. ლორთქიფანიძე, ს. თოთიბაძე, პ. ნადარეიშვილი, ლ. ჩიმაკაძე, ვ. იაშვილი, ი. ხუსკივაძე, ი. ქათამაძე, ვ. ილიუშინი და სხვ.). პირველი გამგე იყო შუქრი ვარშანიძე. ტექნიკუმის ხელმძღვანელობამ ენერგიულად იღვაწა სასწავლებელში ადგილობრი-

[1] იქვე, გვ. 12.

ვი ახალგაზრდობის მოსაზიდად. მით უმეტეს, რომ აქ არსებობდა პანსიონი და ჩარიცხულთ ბინის პრობლემა არ ექნებოდათ. მართლაც, სულ მოკლე ხანში ტექნიკუმი გახდა პრესტიჟული, რომელიც „ველარ იტევდა სოფლიდან მოზღვავებულ სწავლის მსურველ ახალგაზრდებს“.[1] 1927 წლისათვის ტექნიკუმში სწავლობდა 40 გოგონაც, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის ქალ მოსახლეობაში მუშაობის გაშლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებდა დაწყებითი სკოლების და საბავშვო ბაღის მასწავლებლებს. სწავლის ვადა იყო 3 წელი. კონტინგენტს ღებულობდნენ შვიდ და ცხრა კლას დამთავრებულთა ბაზაზე.[2] 1924 წლის 2 აპრილს სასწავლებელს ვ. ლენინის სახელი მიანიჭეს.

1930 წელს შეიქმნა მასწავლებელ ქალთა კადრების პირველი სამჭედლო – ბათუმის აჭარელ ქალთა №2 პედაგოგიური ტექნიკუმი, სადაც ღებულობდნენ შვიდ კლასდამთავრებულ გოგონებს. სწავლების ვადა იყო 3 წელი. ტექნიკუმს პირველი გამოშვება ჰქონდა 1934 წელს. მაშინ სასწავლებელი დაამთავრა 15 გოგონამ, რომელთაგან 11 აჭარის მკვიდრი იყო. არსებობის 11 წლის მანძილზე ტექნიკუმმა 128 კურსდამთავრებული გოგონა გამოუშვა.[3] მათი დიდი ნაწილი მასწავლებლად გაიგზავნა აჭარის მაღალმთიანი სოფლების სკოლებში.

1928 წელს ბათუმში დაარსდა სამუსიკო სასწავლებელი.[4] იგი თავდაპირველად მდებარეობდა ნინოშვილის ქ. №2–ში, მაგრამ 30–იან წლებში მათ საკუთარი შენობა გამოუყვეს (ვახტანგ გორგასალის ქ. № 4). მაშინ იგი ტექნიკუმად იწოდებოდა. მისი გახსნით აჭარის განათლების სახალხო კომისარიატი მიზნად ისახავდა „აჭარის სამუსიკო კულტურისათვის“ სპეციალისტ–მუსიკოსთა და თეორიკოსთა კადრების მომზა-

---

[1] თ. კომახიძე, ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, წ. 1, ბათ., 1996, გვ. 36.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 162, ფერ. 415–418.

[3] ნ. გუგუნავა, დასახელ. ნაშრომი, გვ. 284.

[4] აჭარის არ, ფონ. 5, აღწ. 1, ს. 93, ფერც. 22.

დებას და „მასების მუსიკალური შემოქმედების გაფართოებას“, აგრეთვე ექსპედიციების მოწყობას აჭარის სოფლებში „ხალხური სიმღერების, საცეკვაო და სხვა მელოდიების“ ჩასაწერად.[1] ტექნიკუმში არსებობდა საფორტეპიანო, ვოკალური, თეორიული და საგუნდო განყოფილებები. სწავლებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ მოწვეულნი – ვ. ქაშაკაშვილი, ბ. ბეზრუდნაია, შ. თაქთაქიშვილი, ვ. ნეიშტადტი, ე. გოგიტიძე, იტალიელი მომღერალი ე. ბარერა და სხვ. ტექნიკუმის დირექტორები იყვნენ შ. თაქთაქიშვილი (ავადმყოფობის გამო იგი ერთი წლის შემდეგ თბილისს გადავიდა), მ. ბალანჩივაძე, ხოლო 1939 წლიდან კი – ა. ფარცხლაძე.

1933 წლის 3 ნოემბერს მუსიკალურ ტექნიკუმს აჭარის ასსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით ეწოდა ზაქარია ფალიაშვილის სახელი.

20–30–იან წლებში ბათუმში მოღვაწეობდნენ პროფესიონალი მხატვრები, მათ შორის ვ. ილიუშინი, დ. პახომოვი, ი. ზაგოსკინი, გ. სეჩენიანი და სხვ., რომლებმაც თავიანთ შემოქმედებაში ფართოდ ასახეს აჭარა და მისი ყოფა–ცხოვრება, წარსული და თანამედროვეობა. სწორედ მათ მოამზადეს ბაზა მხატვართა ახალი, ადგილობრივი კადრების აღზრდისათვის. მართლაც, 1936 წელს გაიხსნა ბათუმის სამხატვრო სასწავლებელი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მხატვარი ვ. ილიუშინი და მოქანდაკე ტ. ჭანტურია.

სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის 1938 წლის 20 ივლისის დადგენილების საფუძველზე კომკავშირის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის (სკულპტურა, გრაფიკა, ფერწერა) ორგანიზებას იმავე წლის 29 ოქტომბრისათვის. გამოფენაში მონაწილეობდნენ ბათუმისა და რეგიონში მოღვაწე სახვითი ხელოვნების წრის

[1] კრ. ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში (1933–1941), ბათ., 1986, გვ. 389.

წევრები და ასევე პროფესიონალებიც.[1] გამოფენამ ცხადყო აქაურ ხელოვანთა მაღალი დონე.

ომის სიძნელეების გამო სასწავლებელი 1942 წელს დაიხურა. იგი მხოლოდ 1970 წელს აღადგინეს.

პროფესიულ–ტექნიკურ განათლებას აჭარაში დიდი ტრადიცია აქვს. იგი სათავეებს იღებს 1889 წლის 8 ოქტომბრიდან, როდესაც ბათუმში ჩამოყალიბდა პირველი სახელოსნო სასწავლებელი. მასში ისწავლებოდა სადურგლო, სახარატო, საზეინკლო და საჩამომსხმელო საქმე, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიდან კი – საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა, გალობა, ტანვარჯიში და სხვ.[2] 1895 წლიდან აქ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო, ხოლო 1909 წლიდან აბრეშუმსახვევი და ნოხების საქსოვი განყოფილებები.[3] თუმცა ამ უკანასკნელ დარგებში დასპეციალებისათვის სასწავლებელს არანაირი პირობაბი არ ჰქონდა.[4] ამის მიუხედავად, სახელოსნო სასწავლებელმა მაინც შეასრულა გარკვეული როლი ბათუმის საწარმოებისათვის მუშათა კადრის მომზადებაში.

სამრეწველო ცხოვრების გამოცოცხლების კვალობაზე. თანდათან გაიზარდა კვალიფიციური მუშახელის მომზადების აუცილებლობა. ამიტომ აჭარის განათლების სახალხო კომისარიატმა დიდი ყურადღება დაუთმო ე.წ. შრომითი სკოლების ქსელის ზრდას. 1923 წლისათვის ბათუმში იყო 17 ასეთი სკოლა, ხოლო მაზრებში – 42, რომლებშიც სულ 7 642 მოსწავლე ეუფლებოდა ტექნიკური განათლების საფუძვლებს.[5]

ახალმა ვითარებამ ახალი ამოცანები დასვა ყოფილი სახელოსნო სასწავლებლის წინაშე. ხელისუფლების კურსი სახალხო მეურნეობის აღდგენა განვითარებისაკენ გადაუდებ-

---

[1] აჭარის არ, ფონ. 986, აღწ. 1, საქ. 9, ფურც. 5–6.

[2] შ. თოდაძე, ბათუმის ქალაქის №1 საშუალო პროფტექნიკუმი სასწავლებელი, ბათ., 1975, გვ. 6–7.

[3] აჭარის არ, ფონ. 27, საქ. 4. ფურც. 4.

[4] შ. თოდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[5] იქვე, გვ. 18.

ლად მოითხოვდა განათლებულ საშუალო ტექნიკურ პერსონალს. ამიტომ 1921 წელსვე იგი ინდუსტრიულ ტექნიკუმად გადაკეთდა. პირველ ხანს მას მხოლოდ ელექტროტექნიკური განყოფილება ჰქონდა, რაც პასუხობდა საბჭოების VIII ყრილობის (1920 წ.) მაშინდელ ცნობილ ლოზუნგს: „საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია უდრის კომუნიზმს“.

აღნიშნული ტექნიკუმი პოპულარული იყო საქართველოში. ამას განაპირობებდა სწავლების მაღალი ორგანიზაცია და კარგი ტექნიკური ბაზა. სწავლებას ემსახურებოდა 26 პედაგოგი, რომელთაგან უმაღლესი განათლება ჰქონდა 10 პედაგოგს, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო ტექნიკური განათლება — 16. ტექნიკუმმა მოაწყო იმ დროისათვის მდიდარი საკუთარი ბიბლიოთეკა, კარგად მოწყობილი მექანიკური, სადურგლო, თუჯჩამომსხმელი, სამჭედლო და საფეიქრო სახელოსნოები.[1] იგი იძლეოდა საქარხნო ტექნიკოსის კვალიფიკაციას. კურსდამთავრებული ინიშნებოდა საშუალო ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე. ამასთან შეეძლო უმაღლეს სასწავლებელში სპეციალობის მიხედვით სწავლის გაგრძელება, თანაც მეორე კურსიდან. ყოველივეს გამო ინდუსტრიული ტექნიკუმი სულ მალე საქართველოს ერთ—ერთ პრესტიჟულ სასწავლებლად გადაიქცა.

ტექნიკუმი თავდაპირველად იყო აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში, მაგრამ სამეურნეო ორგანიზაციებისათვის სპეციალური სასწავლებლების გადაცემასთან დაკავშირებით, 1930 წლიდან, „სოიუზნეფტს“ დაექვემდებარა. ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის გამო კი, 1931 წლის ოქტომბრიდან, იგი „აზნეფტის“ სისტემაში შევიდა. ახლა მას სახელიც შეეცვალა, იწოდა ნავთობის ტექნიკუმად და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისათვის კადრების მომზადება დაევალა. ამიტომაც აქ საქარხნო და სამოქალაქო მშენებლობის, მექანიკური განყოფილების გვერდით

---

[1] იქვე, გვ 19—20.

უპირატესი ყურადღება მიექცია ნავთობქიმიური, თბოტექნიკური და ელექტრომექანიკური დარგების სწავლებას. ამ მხრივ ტექნიკუმმა გაამართლა დანიშნულება და ნავთობის მრეწველობას ასობით საშუალო სპეციალისტი მოუმზადა.

1934 წლიდან ტექნიკუმი გადაეიდა მძიმე მრეწველობის სისტემაში და დაექვემდებარა ამ დარგის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულს. მას სახელიც შეეცვალა და კვლავ ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმად ეწოდა.

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ და მეორე ხუთწლედის გრანდიოზულმა გეგმებმა ახალი ამოცანები დააყენეს ტექნიკუმის წინაშეც. მძიმე მრეწველობის უპირატესი ზრდა მოითხოვდა კადრებს, მით უფრო საშუალო ტექნიკურ სპეციალისტებს. ამიტომაც რეორგანიზაციის პროცესში ყურადღება მიექცა ინდუსტრიულ ტექნიკუმში სწავლების არა მარტო დონის ამაღლებას, არამედ ახალი განყოფილებების შექმნას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-გაფართოებას. მართლაც, 1936—1937 სასწავლო წლებისთვის ტექნიკუმს გააჩნდა მძლავრი სასწავლო ბაზა: ქიმიური კაბინეტი, ელექტროტექნიკური ლაბორატორია, ელექტროსადგური, თბოელექტროსადგური, მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მარტო 1937 წელს 6 ათასი მანეთის ღირებულების ლიტერატურით შეივსო.

1940 წელს ისევ შეიცვალა ტექნიკუმის სტატუსი. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, იგი კვლავ გადაკეთდა სახელოსნო სასწავლებლად, თუმცა უკლებლივ გადაეცა ტექნიკუმის შენობები, სასწავლო და მთელი მატერიალურ—ტექნიკური ბაზა. ამიერიდან იგი ბათუმის გემთსაშენი ქარხნის სააბაზო სასწავლო ცენტრად ითვლებოდა.

ომის პერიოდში სახელოსნო სასწავლებელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ბათუმში ევაკუირებულ იქნა ერთ—ერთი მანქანათსაშენი ქარხნის ფილიალი, რომელთანაც არსებობდა 250-კაციანი სახელოსნო სასწავლებელი. 1944 წლის დეკემბერში ეს უკანასკნელი გააერთიანეს ბათუმის ახლა უკვე №1 სახელოსნო სასწავლებელთან. ამან მისი კონტინგენ-

ტი 800 კაცამდე გაზარდა. 1942–1945 წლებში სასწავლებელი დაამთავრა 813 კვალიფიციურმა ახალგაზრდა მუშამ (1942 წელს – 348, 1943 წელს – 96, 1944 წელს – 125, 1945 წელს – 244).[1]

1938 წელს ინდუსტრიულ ტექნიკუმთან ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი. მაშინ იქ ერთი სპეციალობა იყო – სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. მოგვიანებით, სასწავლო–საკონსულტაციო პუნქტი გარდაიქმნა ჯერ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის საღამოს სწავლების ფაკულტეტად (1980 წ.), ხოლო შემდეგ – პოლიტექნიკურ ინსტიტუტად (1990 წ.).

1921 წელს გაიხსნა ბათუმის სამხედრო–საზღვაო სასწავლებელი, რომელსაც ევალებოდა ნავსადგურის საჭიროებისათვის კადრების მომზადება. ფოთის შემდეგ იგი ამ ტიპის მეორე სასწავლებელი იყო საქართველოში. სამწუხაროდ, მისმა ხელმძღვანელობამ თავი ვერ მოაბა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას და ორი წლის შემდეგ სასწავლებელი დაიხურა. მხოლოდ 1929 წელს მოხერხდა ბათუმის ნავსადგურთან არსებული საღამოს სწავლების სამშენებლო კურსების რეორგანიზება საღამოს სწავლების საზღვაო ინდუსტრიულ ტექნიკუმად. თავდაპირველად ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი – ჰიდროტექნიკური სპეციალობა, მაგრამ მოგვიანებით დაემატა საექსპლოატაციო და გემთწამყვანის განყოფილებები. 1940 წელს აშენდა საზღვაო ტექნიკუმის ძირითადი კორპუსი, რამაც გააუმჯობესა სწავლების პროცესი. მას შემდეგ სასწავლებელი 5 ათასამდე სპეციალისტმა დაამთავრა.

ბათუმის საზღვაო სასწავლებლის როლი განსაკუთრებით ამაღლდა 1967 წლიდან. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაარსებამ და კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილების განუხრელმა ზრდამ დააჩქარა სასწავლებლის სტრუქტურის

[1] იქვე, გვ. 23.

თანდათანობითი შეცვლა, რასაც 1994 წლის თებერვალში მის ბაზაზე საბოლოოდ მოჰყვა საზღვაო აკადემიის ჩამოყალიბება.

სოფლის მეურნეობის, კერძოდ, სუბტროპიკული კულტურის განვითარების პერსპექტივები გადაუდებლად მოითხოვდა ამ დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებს. ამ მიზნით 1925 წელს მწვანე კონცხზე დაფუძნდა ბათუმის სასოფლო–სამეურნეო ტექნიკუმი. თავდაპირველად იგი განთავსებული იყო ყოფილი დაწყებითი სკოლის შეობაში. იყო სხვა სიძნელეებიც, მაგრამ სპეციალისტ პედაგოგთა (მ. ღოღობერიძე, ა. ჭირაქაძე, კ. კალანდარიშვილი, ლ. ჭანტურია და სხვ.) დიდი მონდომებით სასწავლო პროცესი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. გადაიდგა ნაბიჯი მატერიალური ტექნიკური ბაზის მოგვარებისათვისაც. 1928 წელს აიგო ხის ორი კორპუსი. ტექნიკუმმა პირველი კადრი გამოუშვა 1930 წელს (15 კაცი). 1931–1934 წლებში მან სახალხო მეურნეობას მისცა 300–მდე სპეციალისტი

1995 წელს სასოფლო სამეურნეო–ტექნიკუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებანი

1921 წლის 23 მაისს, პროფსაბჭოს ინიციატივით, ყოფილი მუშათა სასახლის ბაზაზე გაიხსნა 26 კომისრის სახელობის მუშათა ცენტრალური კლუბი (დღეს გამსახურდიას ქუჩაზე). მისი მიზანი იყო მუშათა პოლიტიკური, პროფესიულ-ტექნიკური და ესთეტიკური აღზრდა, რისთვისაც უნდა მოეწყო ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, ჟურნალ-გაზეთებისა და კომუნისტური ლიტერატურის გავრცელება, საუბრები, ექსკურსიები, კონცერტები, მუსიკალურ–ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები. ამის შესაბამისად უკვე 1921–1922 წლებში ბათუმში (აგრეთვე ქობულეთსა და ჩაქ-

ვში) გაიხსნა რამდენიმე კლუბი. 1926 წლისათვის მუშაობდა 21 კლუბი: ქალაქად – 15, სოფლად (მახინჯაური, ხულო, ქედა და ა. შ.) – 6. არსებობდა წარმოება–დაწესებულების დარგობრივი (მელითონეთა, მეზღვაურთა, განათლებისა და მედიცინის მუშაკთა და ა.შ.) კლუბები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აჭარელ ქალთა შორის მუშაობას საუკუნებრივი ჩამორჩენილობისაგან მისი გამოყვანისა და და სრული ემანსიპაციის მიზნით. 1924 წლის 18 ივლისს ბათუმში (ყოფ. ლიბკნეხტის ქ. №42) გაიხსნა აჭარელ ქალთა კლუბი. მისი შექმნის ინიციატორი იყო პარტიის საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება. მართალია საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა ჩაბმას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ განყოფილებისა და მისი ხელმძღვანელის ალვასი თალაკვაძის ენერგიული მუშაობის შედეგად 1925 წლისათვის კლუბი 114 წევრს მოითვლიდა. უკვე მომდევნო წლიდან კლუბთან არსებობდა ბიბლიოთეკა, ბავშვთა ოთახი, მუსიკალური სკოლა და საბავშვო ბაღი. კლუბის პირველი გამგე იყო ადგილობრიეი ქალი ალთუნ შაშიკაიშვილი.[1]

კლუბი ქალთა შორის ფართო მუშაობას ეწეოდა, ძირითად ჭრა-კერვას, აგრეთვე, ხალიჩებისა და წინდების ქსოვას ასწავლიდნენ. ამასთან კლუბთან არსებობდა რამდენიმე სექცია (იურიდიული, საქიმო დახმარების, დრამატული), მოეწყო ამბულატორია. 1925 წლის მაისიდან 1926 წლის იანვრამდე აქ, სხვადასხვა ფორმით, იმკურნალა 1967 ავადმყოფმა. საგულისხმოა, რომ ამბულატორია ღარიბ ქალებს უფასოდ აძლევდა წამლებს[2].

ასეთივე კლუბები მოეწყო სოფლადაც. ისინი დიდ მუშაობას ეწეოდნენ ქალთა კულტურული დონის ამაღლებისათვის. მაჰმადიანი ქალები ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად პროფესიული განათლების საფუძვლებსაც ეუფლებოდ-

---

[1] 6. გუგუნავა, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, გვ. 271–272

[2] იქვე. გვ. 274

ნენ. ქალებს იწვევდნენ სხვადასხვა წრეებში, კინო–ფილმების ჩვენებებზე, ექსკურსიებზე, სახალხო თეატრების სპექტაკლებში მონაწილეობისათვის. დიდი პროგრესი იყო ქალების გამოსვლა სცენაზე, რამაც ხელოვნების საქმეთა განყოფილება 1937 წლის მარტში მეჩონგურე ქალთა ანსამბლების ჩამოყალიბებამდე მიიყვანა.

კლუბების საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჩადრის ახდის პროპაგანდას, ამ მხრივ დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა, რომელიც ბათუმში გაიხსნა 1929 წლის 8 თებერვალს. ყრილობის მსვლელობისას ქალთა დიდმა ნაწილმა აიხადა ჩადრი და იქვე დაწვა სცენაზე გაჩაღებულ დიდ კოცონზე. ეს პროცესი გაგრძელდა 10 თებერვალს, ამჯერად მაშინდელ ვ. ლენინის მოედანზე, ყრილობის დელეგატების პატივსაცემად მიმართულ მშრომელთა დიდ მიტინგზე. თეატრის მსგავსად აქაც გიზგიზებდა ცეცხლი, რომელშიც სიტყვით გამოსული აჭარელი ქალები წვავდნენ დამპყრობლის მიერ თავს მოხვეული წყეული წარსულის გადმონაშთს – ჩადრს.[1]

აჭარელ ქალთა კლუბი არსებობდა 1935 წლის დეკემბრამდე და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივ ქალთა გათვიცნობიერებაში.

მეცნიერება. სამეცნიერო დაწესებულებანი

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ბათუმის (აჭარის) კულტურულ და მეცნიერულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მისი ორგანიზატორი იყო ნიკოლოზ გომანი. არდადეგების დროს იგი მოგზაურობდა აჭარის სოფლებში და აგროვებდა არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ სიძველეების გიმნაზიის მუზეუმისათვის. 1912 წლის 15 ოქტომბერს ქალაქის სა-

[1] იქვე, გვ. 280–281.

თათბირომ დაადგინა მისი ე.წ. საკოლო მუზეუმის გადაკეთება ბათუმის მუზეუმად. ნ. გომანი ამ მუზეუმის პირველი გამგე იყო 1937 წლამდე (შემდეგ იგი შეცვალა ხარიტონ ახვლედიანმა).

თავდაპირველად მუზეუმი განთავსდა ქალაქის საბჭოს შენობაში, სადაც ექსპონატები ექვს ოთახში იყო გამოფენილი. 1925 წელს მას აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტატუსი მიენიჭა. გაფართოებასთან დაკავშირებით იგი გაიტანეს სამხედრო ტაძარში (თანამედროვე „ინტურისტი" ადგილზე), მაგრამ მისი დანგრევის გამო (1930 წ.) საბოლოოდ ხაზინის მაშინ ერთსართულიან შენობაში (გურიის, დღემდე ჯინჭარაძის ქუჩაზე) მიუჩინეს ბინა. ამ მხრივ გარდატეხა მოხდა 1933 წლიდან, როდესაც საქართველოს მუზეუმმა გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით და სტაფანე მენთეშაშვილის მონაწილეობით, აჭარაში მოაწყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია და დიდძალი უნიკალური მასალა შეაგროვა. მაშინ 1165 მანეთად ღირებული 36 ექსპონატი ექსპედიციამ მუზეუმს გადასცა.[1] ამან ეს უკანასკნელი გეგმიანი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისაკენ წააქეზა, დასაბამი 1939 წლიდან მიეცა, როდესაც აჭარის რაიონებში მოეწყო კომპლექსური სამეცნერიო ექსპედიცია.

რევოლუციის მუზეუმი

დაარსდა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის 1933 წლის 9 იანვრის დადგენილებით. მიზანი იყო დოკუმენტურად აესახა ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორია. მუზეუმის შემკრებლობით საქმიანობას მეთოდურად ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის ვ. ლენინის სახელობის რევოლუციის მუზეუმის საქართველოს ფილიალი.[2] მუზეუმთან არსებობდა სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის გამოფენა.

---

[1] ხ. ახვლედიანი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი (გზამკვლევი), ბათ., 1958, გვ. 20.

[2] აჭარის არ.. ფონ. 1168, აღწ. 1, საქ. 17, ფურც. 25.

მხარეთმცოდნეობის ბიურო

აჭარცკაკის 1929 წლის დეკემბრის დადგენილებით შეიქმნა აჭარის მხარეთმცოდნეების სამეცნიერო ბიურო.[1] 1930 წლის 9 მაისს მას დაექვემდებარა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თუმცა მცირე ხნით. 1936 წლის 1 სექტემბრიდან რეორგანიზებული იქნა აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. ჰქონდა 4 სექცია: საწარმოო-ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ენის და ფოლკლორის, ისტორიულ-ეთნოლოგიური.[2]

ინსტიტუტი სწავლობდა მხარის ისტორიას და რევოლუციურ წარსულს, ბუნებას და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, აგრეთვე უნდა დახმარებოდა აჭარის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

ინსტიტუტი გაუქმდა 1952 წლის 29 სექტემბერს.

ჩაისა და სუბტროპიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი

აჭარაში მოქმედ სამეცნიერო დაწესებულებათა შორის ყველაზე ძველია ჩაისა და სუბტროპიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი. თავდაპირველად იგი დაარსდა საცდელი სადგურის სახით 1927 წელს და მხოლოდ 4 წლის შემდეგ, 1931 წელს, გარდაიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურის საკავშირო გაერთიანების ფილიალად, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია და მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვა.

საჯარო ბიბლიოთეკა

საფუძველი ჩაეყარა 1899 წლის 10 ოქტომბერს. 1921 წლიდან იგი ექვემდებარებოდა რევკომს. მაშინ იგი იწოდებოდა ბათუმის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკად. აჭარის ცაკის 1937 წლის 15 იანვრის ბრძანებულებით რეორგანიზებულ

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 562, აღწ. 1, საქ. 20, ფურც. 4.

[2] იქვე, ს. 23, ფ. 1.

იქნა აჭარის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად და გადავიდა განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. შეიქმნა დაკომპლექტების, დამუშავების, მკითხველთა დარბაზებისა და აბონენტებზე მომსახურების განყოფილებები.

არქივი

საარქივო დოკუმენტების (სამხედრო, სამოქალაქო) შეგროვება–დაცვის, ოჯახებში მიმობნეული პირადი არქივების აღწერა-კლასიფიკაციის მიზნით, 1921 წლის 15 ივლისს რევკომმა შექმნა ე.წ. საარქივო დოკუმენტების შემგროვებელი კომისია.[1] ადრე კომისიის მუშაობას რევკომთან ერთად განაგებდა საოლქო სამხედრო კომისარიატი, მაგრამ 1922 იანვრიდან სახკომსაბჭოს დაექვემდებარა.[2] სწორედ მისი 1923 წლის 11 აპრილის დადგენილებით საბოლოოდ ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი. სხვადასხვა უწყების განკარგულებაში იყო: 1923-1928 წწ. განსახკომის, 1928-1938 წწ. აჭარის ცაკის, 1938-1939 წწ. აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის,[3] ხოლო 1939 წლის ნოემბრიდან ამ კომისარიატის საარქივო განყოფილების გამგეობაში.[4]

კულტურის ძეგლთა დაცვა

სათანადო ყურადღება დაეთმო წარსულის სიძველეების დაცვასაც. 1936 წლის 11 დეკემბერს აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო სათანადო დადგენილება აჭარაში არსებული საისტორიო ძეგლების აღრიცხვის, დაცვის და შესწავლის ღონისძიებათა შესახებ, რითაც მატერიალური კულტურის ძეგლებზე დაწესდა სახელმწიფოებრივი მზრუნველობა. დადგენილებაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ „ისტორიული ძეგლების დაცვისა და მისი ღმა შესწავლის საქმე ჯერ

---

[1] აჭარის არ ცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 40, ფურც. 103-104.
[2] იქვე, ფ. 2, ან. 1. ს. 91, ფ. 7–11.
[3] იქვე, ფ. 7.
[4] იქვე, საქ. 14. ფურც. 121.

კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე". ეს იმაში გამოიხატება, რომ „დღემდე არ არის ჩატარებული მათი რესტავრაცია (აღდგენა) და პასპორტიზაცია, აგრეთვე არ მოიპოვება მათზე საფუძვლიანი მეცნიერული მასალები" (ე.ი. გამოკვლევები). რომ შესაბამისი ორგანოები „ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ ძეგლთა წესიერ დაცვას, მოვლა-შენახვის საქმეს". შემდეგ ჩამოთვლილი იყო დაცვის ის პირველი გადაუდებელი ღონისძიებები (დასუფთავება, შემოღობვა და დარაჯების გამოყოფა), რასაც უნდა მოემზადებინა საფუძველი ამ ძეგლების შემდგომი შესწავლისათვის. დოკუმენტში პირდაპირ იყო დასახელებული ვერნების ქვის, როგორც „ქართული ორნამენტის საუკეთესო ნიმუშის, ქალაქში გადმოტანის" აუცილებლობაზე, რისთვისაც მხარეთმცოდნების ინსტიტუტსა და მუზეუმს გამოეყოთ სათანადო ხარჯები. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ დადგენილებით „აჭარაში ისტორიულ ძეგლთა დაცვის, ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის მიზნით" შეიქმნა ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელიც განისაზღვრა 11 წევრით. აქვე გამოიყო კომიტეტის შესანახი ხარჯები 35 720 მანეთის რაოდენობით.[1]

1938 წლის 30 დეკემბერს სიძველეთა დაცვის ინსტრუქტორმა ძეგლთა დაცვის კომიტეტს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი განვლილ პერიოდში „სიძველეთა ობიექტებზე" გაწეული მუშაობის შესახებ: ჩატარდა სხალთის თაღიანი ხიდის მიმდინარე რემონტი, ხის მესერით შემოღობეს სხალთის ეკლესია. აქვე „იმდროინდელი ოსტატის სასაფლაოზე" მოაწყვეს „არქეოლოგიური გათხრა", რის შედეგად „ერთი მეტრის სიღრმეზე" აღმოჩნდა „ქვის კარნიზები გაფორმებული ჩუქურთმებით", ფიქალი ქვა ზომებით 1.2X80X10 სმ „ხელოვნურად გათლილი", აგრეთვე 10 კვ სმ მოცულობის „სპილენძის ნატეხი", რომლის გამოცნობა „ადამიანების გამო შეუძლებელიაო". მოხსენებითი ბარათის ავტორი ი. სეფერთელაძე დაასკვნიდა,

[1] კრ. ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, თბ., 1986, გვ. 396, 401.

რომ „აღნიშნული ადგილი წარმოადგენს სასაფლაოს დღემდე მოღწეული ხალხური თქმულების მიხედვით".

ჩანს ისიც, რომ ძეგლთა დაცვის კომიტეტს აღურიცხავს აჭარაში არსებული სხვა მატერიალური ძეგლებიც, მათ შორის დასახელებულია: ზემო აჭარაში (ხულოს და შუახევის რაიონებში) 10–მდე ძეგლი: სხალთა, ხიხაძირი, ფურტიოსა და დანდალოს თაღიანი ხიდები, ღორჯომის „ქალაქის ნანგრევები", ბაკოს, ხიჭაურისა და დარჩიძეების ციხეები: ბათუმის რაიონში ორი – გონიოს ციხე და მახუნცეთის თაღიანი ხიდი; ქობულეთის რაიონში ხუთი – ციხისძირის ციხე, ბობოყვათში „ქალაქის ნანგრევები", აჭყვისთავში – ელიას ციხე, ცხრაფონაში ეკლესია, ჭახათში – ქვის თაღიანი ხიდი.[1] მართალია აღსარიცხავი ძეგლი ამაზე მეტი იყო, მაგრამ ამ მხრივ რაც გააკეთეს, უდავოდ, მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ ძეგლთა დაცვის კომიტეტმა შემდეგ კიდევ უფრო დააზუსტა და გააფართოვა სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანილ ძეგლთა სია. ჩვენთვის უკვე ცნობილ ინსპექტორს ი. სეფერთელაძეს 1941 წლის 5 ივნისს აღურიცხავს 34 ძეგლი (17 ციხე, 4 ეკლესია, 8 ხიდი, 2 გვირაბი და 3 ნაქალაქარი ანუ „ძეგლთა ძეგლი"). აქვე იგი ასახელებს იმ 7 ძეგლს, რომელთაც გადაუდებელი „მიმდინარე შეკეთება" სჭირდებოდა: ხულოს რაიონში – სხალთის ეკლესიის და ფურტიოს თაღოვანი ხიდს, ქედის რაიონში – მახუნცეთის თაღიან ხიდს, ბათუმის რაიონში – გონიოსა და ციხისძირის ციხეებს, ქობულეთის რაიონში – ცხრაფონას და ჭახათის ქვის თაღიან ხიდს.[2] სამწუხაროა, რომ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა – 22 ივნისს ომი დაიწყო და არა თუ შეკეთების, არამედ ძეგლთა აღრიცხვის შემდგომი დაზუსტებისათვისაც აღარაფის არ ეცალა.

---

[1] აჭარის არ ცსა. ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 1028, ფურც. 38.

[2] იქვე. ფონ. 281, აღწ. 1, საქ. 23, ფურც. 2–3.

მხატვრული ლიტერატურა

20-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში მკვიდრდება ე.წ. პროლეტარული მწერლობა. საერთოდ, იგი არ არის არც საბჭოური და მით უმეტეს, არც რუსული მოვლენა.

საქართველოში პროლეტარული მწერლობა ჩაისახა გასული საუკუნის 90—იანი წლებიდან და დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესთან. ქართველი პროლეტარული მწერლები იყვნენ სანდრო ეული—ქურიძე, სილიბისტრო თოდრია, ნოე ზომლეთელი (ქურიძე), რაჟდენ კალაძე, სავლე საყვარელიძე, იონა ვაკელი (მეგრელიძე) და სხვ. ისინი უმღეროდნენ ოქტომერს, კომპარტიას, წითელ არმიას, ლენინს, 25 თებერვალს, მუშათა კლასს, უარყოფდნენ კლასიკურ მწერლობას, საერთოდ წარსულს თუმცა ბევრი მათგანი პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებასთან ერთად იყო დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლება შეინარჩუნებდა ეროვნულ თავისებურებას, აღორძინებდა ეროვნულ კულტურას და მშობლიურ ენას.

ახალმა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, საქართველოში დამკვიდრებისთანავე მწერლობაში ამ მიმართულებას დაუჭირა მხარი და იგი თავის იდეოლოგად გამოაცხადა. გასაგებია, რომ ხალხის წინააღმდეგობისა და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის ვითარებაში პროლეტარული მწერლობა მისი ბატონობის განმტკიცებას ემსახურებოდა.

პროლეტარული მწერლობის ტენდენციებმა გასული საუკუნის 20-იან წლებში თავი იჩინა აჭარაშიც. აქაურ შემოქმედთა ნაწერებში მთელი სისრულით წარმოჩნდა ყველა ის ნიშან—თვისება, რაც საერთოდ ამ მიმართულების მწერლობისათვის იყო დამახასიათებელი. ამიტომ ხელისუფლება ცდილობდა მათ იდეურ და ორგანიზაციულ შეკავშირებას.

მართლაც, 1927 წლის 7 აგვისტოს შედგა ბათუმელ შემოქმედთა პირველი საორგანიზაციო ანუ დამფუძნებელი კრება. მომხსენებელმა (ვ. მახარაძე) და კამათში გამოსულებმა საჭიროდ ცნეს პროლეტარულ მწერალთა გაერთიანება და აირჩიეს ხელმძღვანელი ბიურო (თ. სიხარულიძე, ვ. მახარაძე,

ე. ჯიჯეიშვილი, ჯემალ ნოღაიდელი, დ. ბერუჩაშვილი — წევრებად, მ. ასტრალი და თ. ლეჟავა — ბიუროს წევრობის კანდიდატებად). ამით არსებითად დაიწყო საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილების საქმიანობა.

სამწუხაროდ, ბიურომ თავისი მოვალება ვერ შეასრულა, რის გამოც 4 თვის შემდეგ მოხდა მისი პირველი რეორგანიზაცია. ახლა მიზანშეწონილად სცნეს ხელმძღვანელი ბიუროს პრეზიდიუმის შექმნა. ამასთან, შეცვალეს ძველი შემაგდენლობის ზოგიერთი წევრიც. ამიერიდან ერთიანდებოდნენ: პრეზიდიუმში — თ. სიხარულიძე (თავმჯდომარე), ვ. მახარაძე, (მდივანი) და გ. ნუცუბიძე, წევრები: თ. სიხარულიძე, ს. კარსანიძე, გ. გორგაძე, ვ. მახარაძე, გ. ნუცუბიძე, თ. ლეჟავა, ნ. იმედაშვილი; წევრობის კანდიდატები — ჯ. ნოღაიდელი, პ. რურუა (ოდიშელი) და გ. რამიშვილი. 1928 წლის 28 აპრილს ეს შემადგენლობაც გარდაიქმნა. ამჯერად ბიუროში წევრებად დაამატეს: დ. დუმბაძე, რომელიც „მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა აჭარის მწერალთა ორგანიზაციას,“[1] აგრეთვე ნ. ქუთათელიძე და პ. რურუა, ხოლო წევრობის კანდიდატებად — შ. ართილაყვა და გ. შავიშვილი. ამით დასრულდა აჭარის მწერალთა ორგანიზაციის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მისი ბეჭდური ორგანო გახდა ალმანახი „სიტყვა ტრიბუნიდან“.

ორგანიზაციის ფორმირებას ჰქონდა დიდი ნიშენელობა აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის ბოლოსდაბოლოს შეიქმნა ორგანო, რომელსაც შეეძლო ლიტერატურული ძალების კონსოლიდაცია პროლეტარული მწერლობის დროშის ქვეშ.[2] მართლაც, სულ მოკლე ხანში ვასილ მახარაძე ოპტიმისტურად წერდა: „ოდესღაც სიბნელით მოცულ მხარეში გამოდიან მწერლები და პოეტები, რომლებიც ადრე თუ

---

[1] იქვე, გვ. 12.

[2] შ. ქურიძე, მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათ., 1970, გვ. 10.

გვიან ყურადღებას მიიპყობენ და დაფასდებიან. არ მოველოდით აჭარისტანში პროლეტარული მწერლობის ამ დონემდე განვითარებას... ბათუმელი მწერლები, ზოგი ძველი და ზოგი ახალი, პროლეტარული მწერლობის დროშის ქვეშ დაირაზმნენ და ეწევიან მუშაობას... საზოგადოება დარწმუნდა, რომ აჭარისტანში ძალებია, რომელსაც შეუძლია თავისი სიტყვა თქვას ქართულ და საერთოდ პროლეტარულ ლიტერატურაში".[1]

1932 წელს გაქმდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და სხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი. მათ ნაცელად ჩამოყალიბდა ერთიანი საბჭოთა მწერლობის კავშირი, რომელიც აერთიანებდა ყველა მწერალს, ვინც კი აღიარებდა და მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამის შესაბამისად 1932 წლის 6 ივნისს გაიმართა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილების საერთო კრება, რომელმაც მოიწონა საბჭოთა მწერლობის კავშირის ჩამოყალიბება და აჭარის განყოფილება დაშლილად გამოაცხადა. კრებაზე შექმნა ე.წ. საორგანიზაციო ბიურო (გ. სულუხია – თავმჯდომარე, ნ. მალაზონია, პ. ლორია, დ. დუმბაძე, შ. შუბლაძე და სხვ.), რომელსაც უნდა აღერიცხა ადგილზე მოქმედი ყველა მწერალი და მოემზადებინა პირობები ახალი ორგანიზაციის შექმნისათვის.[2]

დიდი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1932 წლის 6 ოქტომბერს შედგა აჭარის საბჭოთა მწერლობის პირველი საგანგებო ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა საქართველოს საბჭოთა მწერლების აჭარის განყოფილების შექმნა და აირჩია ხელმძღვანელი ბიურო – დ. დუმბაძე (თავმჯდომარე), ნ. მალაზონია (მოადგილე) და პ. ლორია (მდივანი). აქვე შექმნა ცალკეული სექციები (წრეები) სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების მწერლებისათვის.

---

[1] იქვე, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 16.

საერთოდ, 20-30-იანი წლები აჭარის მწერალთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა. ცხადია, საუბარი არა მარტო ორგანიზაციულ ცვლილებებზე, არამედ ახალი ცხოვრების განვითარების კვალობაზე აქაურ კალმის ოსტატთა შემოქმედებაში „სოციალისტური პრინციპების“, „მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის“ „საბჭოთა სახელმწიფოსადმი ერთგულების“ იდეების დამკვიდრებაზე.

ამ მხრივ ერთ–ერთი პირველთაგან იყო ხასან კომახიძე. იგი 20-იან წლებში „ცხოვრების დიდი გამოცდილებით და თანდაყოლილი ნიჭით“ შემოვიდა პოეზიაში და მაშინდელი ლიტერატურული საქმიანობის აქტიური მონაწილე გახდა. ძველისა და ახლის ბრძოლა, ახლის გამარჯვება, ის საერთო თემატიკაა, რომელიც ხ. კომახიძის პოეზიაშია წარმოდგენილი. პოეტი ყურადღებით ეკიდება მორალურ-დიდაქტიურ პრინციპებს და თავისი ლექსებით ცდილობდა, მკითხველთა აღზრდას სოციალიზმის საქმისადმი ერთგულებით, მაღალი მორალური თვისებებით, ჰუმანისტური სულისკვეთებით. ხ. კომახიძის შემოქმედება ძირითადად გადმოცემულია 1928 წელს გამოცემულ კრებულში „ფუხარას სიტყვა“, რომელიც უფრო ხალხურ სიტყვიერებას, ფოლკლორს განეკუთვნება.[1]

თ. კომახიძის ცნობით, ხასან კომახიძის უშუალო ხელმძღვანელობით 1925 წელს აჭარაში გამოიცა პირველი ლიტერატურული ჟურნალი „პონტოსი“ – ბათუმის ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფის ორგანო.[2]

ხასან კომახიძის უფროსი თანამედროვეა მემედ ჭყონია. თავისი შემოქმედებით იგი უფრო ხალხურ მთქმელთა პლეადას ეკუთვნის. მართალია, მის პოეზიაში განმსაზღვრელია სოციალური პრობლემები, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისად არც ეროვნული მოტივია უგულებელყოფილი. თავის ლექსებში იგი კიცხავდა არა მარტო ბოროტებას და ადამიანთა სხვა ნაკლოვანებებს, არამედ „მომაკვდინებელი

---

[1] იქვე, გვ. 36–44.

[2] თ. კომახიძე, ქობულეთი და ქობულეთლები, ბათ. 1997, გვ. 55.

სატირით გესლავდა“ სედაიმილეთლებს, ამხელდა სამშობლოს მტრებს და მათ დამქაშებს. ამიტომაც მემედ ჭყონიას ღრმა პატივისცემით ეკიდებოდა ქართველი საზოგადოება. ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ მისი პოეზია გამსჭვალული იყო „ღრმა პატრიოტიზმით და სიყვარულით თავისი ერის კეთილდღეობისათვის.“[1]

ბათუმელ ე.წ. მუშა–პოეტთაგან გამოირჩევა პარმენ რურუა (ოდიშელი). მართალია ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა 1911 წელს, მაგრამ მისი აქტიური სამწერლობო საქმიანობა მაინც 20-იან წლებზე მოდის. პ. რურუა მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რამდენადაც „მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია“ და „ტანჯვის ხმები შეცვალა სოციალისტური მშენებლობის პათოსმა, შრომის აპოლოგიამ“[2]. პ. რურუა წლების განმავლობაში ოპერატორად მუშაობდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და ამიტომაც მისი პოეზია გამსჭვალულია არა მარტო შრომის ხოტბით, არამედ შთაგონებულია კომუნიზმის იდეებით. პ. რურუა თვლიდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებით საბჭოთა ხალხი „მარტო ეროვნულ პრობლემას კი არ წყვეტდა“, არამედ „ასრულებდა ინტერნაციონალურ მოვალეობასაც“ საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.[3]

პროლეტარული მწერლობის ბანაკიდან მოვიდა ქართულ ლიტერატურაში პარმენ ლორია. იგი სამწერლო ასპარეზე გამოვიდა 1918 წლიდან, როდესაც პირველად დაიბეჭდა მისი მხედრული პათოსით გამსჭვალული ლექსი. მას შემდეგ ნაყოფიერად მოღვაწეობდა და ზედიზედ გამოაქვეყნა ე.წ. მცირე უანრის მოთხრობები და პიესები („პროლეტარული“, „პირველი მაისი“, „მესამე ცოლი ღმერთის ოჯახში“, „ბახვაძის დედაბერი“ და სხვ.), რომელთაგან ბევრი წარმატებით იდგმებოდა სოფლის კლუბების სცენაზე. 30–იანი წლებიდან პ. ლორი-

---

[1] იქვე, გვ. 100.
[2] იქვე, გვ. 52-53
[3] იქვე, გვ. 56.

ას პიესები უცვლელად „იჯდა“ ბათუმის თეატრის რეპერტუარში.[1]

1935 წელს გაზ. „ლიტერატურულ აჭარისტანში“ (№2) დაიბეჭდა პ. ლორიას მოთხრობა „მევლუდი“. მკითხველის ყურადღებამ ავტორს ინტერესი აღუძრა ღრმად შეესწავლა ამ ფირალის ცხოვრება. ამ მიზნით იმოგზაურა გმირის ნაკვალევზე, იყო ქედაში, სადაც შეხვდა მის ახლობლებს, აგრეთვე შვილს ადემს და მაოგან შეკრებილი ცნობების საფუძველზე დაწერა ფართო რომანი „მევლუდი“, რომელიც 1941 წლის მარტში გამოქვეყნდა. მან დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მევლუდის „თავდაპირველი სტიქიური პროტესტი თანდათან გადაიზარდა ყველა მშომელის თავისუფლებისათვის შეგნებულ ბრძოლაში“, ე.ი. ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მევლუდის „კლასობრივ–რევოლიციური შეგნების ამაღლებას“, რითაც რომანმა „შეიძინა მკაფიო საზოგადოებრივი ღერადობა“.[2]

ამავე პერიოდში დაიწერა და გამოქვეყნდა (1937 წ.) „ჩაი“. ეს იყო „პირველი რომანი მთელ ქართულ ლიტერატურაში აჭარის ცხოვრებიდან“.[3] ავტორმა მხატვრული ოსტატობით გვიჩვენა ძველი ცხოვრების მსხვრევა და ახალი სოციალისტური წყობის მშენებლობა–დამკვიდრების რთული პროცესი, „ძირეული გადატრიალება არა მარტო მატერიალური წარმოების, არამედ სულიერი ცხოვრების სფეროში“, ე.ი. „ახალი ადამიანის, მისი ახალი მორალური სახის ჩამოყალიბება“.

1939 წელს დაიბეჭდა მწერლის ახალი რომანი „დელი მურადი“ (შემდეგ გამოვიდა „განთიადი ხევში“ სახელწოდებით). ამჯერად იგი მკითხველს ხიბლავდა არა მარტო „ფართო იდეური დიაპაზონით“, არამედ „მხატვრული სრულყოფითაც.“[4] როგორც „ჩაიში“. ისე ამ უკანასკნელ რომანებში მწერალმა

---

[1] ი. ბიბილეიშვილი, დრამატურგების ქალაქი. ბათ., 1998, გვ. 7–19.
[2] შ. ქურიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 81–83.
[3] იქვე, გვ. 77.
[4] იქვე, გვ. 78.

დიდი ოსტატობით ასახა საბჭოთა აჭარის „ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნა“ და „ახლებურად მოწყობა“.

1921 წელს შედგა ნესტორ მალაზონიას ლიტერატურული დებიუტი, თუმცა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას იგი შეუდგა 1926 წლიდან. პირველ ლექსებში „აჭარელ ქალს“, „ასწლოვანი თხმელა“, „ღამე პლანტაციაში“, „ერთი ღამე ხულოში“ და სხვაგან პოეტმა ასახა აჭარაში მიმდინარე „სოციალისტური გარდაქმნები“, საბჭოთა ადამიანების „შრომითი გმირობა და სიმამაცე“.

ომის წლებში ნ. მალაზონიას შემოქმედების წამყვანი თემა გახდა პატრიოტიზმი. „ლენინგრადში ვერ შევა მტერი“, „გმირი მფრინავი“, „უკანასკნელი ბარათი“, „წითელარმიელ შვილს“, „9 მაისი“ და სხვა. იგი უმღეროდა გმირობას, თავდადებას, სოციალისტურ სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას.[1] ფრონტზე დაღუპული ერთადერთი ძისადმი გულიდან ამოხეთქილი ურვა და მწუხარება, რაც გადმოცემულია ლექსში „მოდიან შვილო, ჯარისკაცები“ არის „ერთ–ერთი საუკეთესო სამამულო ომის პერიოდის მთელ ქართულ პოეზიაში.“[2]

ამირან შერვაშიძე, პირველი მოთხრობა „ფატმა“ რომ გამოსცა ცალკე წიგნად, 1928 წელს, 15 წლისაც არ იყო. შემდეგ კი მონაწილეობდა კინოფილმის „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ შექმნაში, რომელიც დადგა მიხეილ გელოვანმა. ამ ფილმით სსრ კავშირმა, სხვათა შორის, პირველად გაიცნო აჭარის ცხოვრება. 30-იან წლებში ა. შერვაშიძემ პიესით „პატარა შეცდომა“ ამხილა მავნე ადათ–ჩვეულები და „ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი კაპიტალისტური გადმონაშთები“.[3] პიესაში „მზე“, რომელიც 1941 წელს დაიდგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე, აღწერა ახალი ცხოვრების წარმატებები, გლეხობის

---

[1] გ. ბაბილოძე, აჭარის სახალხო განათლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ბათ., 1972, გვ. 180–206.

[2] ა. ჩაველეიშვილი, ლიტერატურულ–კრიტიკულ ნარკვევები, ბათ., 1962 გვ. 108.

[3] შ. ქურაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 118.

გამოსვლა კერძომესაკუთრული სამყაროდან და მუშათა კლასის მხარდამხარ სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩაბმა. „კრაჩუკის ცრემლებში“ ავტორმა გადმოსცა 1939-1940 წლებში დასაველეთ უკრაინის შემოერთება საბჭოთა უკრაინასთან, რისი მხილველი და მონაწილე თავად იყო. ამავე პერიოდში დაიწერა მისი რომანტიკული „სიმღერა შევარდენზე“, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირს ისრაფილ ჯინჭარაძეს. ომის დროინდელია (დაიდგა კიდეც) ა. შერვაშიძის ჰეროიკულ–პატრიოტული პათოსით სავსე „მხედართმთავარი ბაგრატიონი“.

30–იან წლებში პროლეტარულ მწერალთა გვერდით ჭეშმარიტად გამოანათა მამია ვარშანიძემ. პირველი ლექსებით („კოლექტივში“ და „კომკავშირელი რძალი“) ნათლად იგრძნობოდა, რომ მისი სახით ქართულ მწერლობაში მოვიდა საკუთარი ხმის პოეტი, რომელიც ღირსეულად აგრძელებდა ქართული პოეზიის მდიდარ ტრადიციებს. „თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა და მჭიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან“ კარგად ჩანს 30-40-იან წლებში გამოქვეყნებულ ლექსებში („ბათუმი“, „დედის ბაღჩა“, „ახალგაზრდა ვაჟკაცსა შვენის“ და სხვ.).[1]

ომის განმავლობაში მამია ვარშანიძე ფრონტზე იმყოფებოდა, მაგრამ იქაც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა და მშობლიურ კერაზე დაბრუნებულმა, 1946 წელს, გამოსცა წიგნი „მებრძოლის სიმღერები“. კრებულში შესული ლექსები, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო მკითხველისათვის, რადგან იბეჭდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე, მაგრამ წიგნად გამოსვლას საზოგადოება უაღრესად გულთბილად შეხვდა. „მებრძოლის სიმღერები“ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მოქალაქეობრივ–პატრიოტული მოტივებით და მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენით. იგი ხალხში აღძრავდა გმირობისა და სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებას.

---

[1] იქვე, გვ. 131–133.

საეროოდ, 30-იანი წლები გამორჩეულია აჭარის ლიტერატურულ ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ მწერლობაში მოვიდა შემოქმედთა ახალი თაობა: პოეზიაში – შალვა იოსელიანი და ლავრენტი ძიმისტარიშვილი; პროზაში – კაპიტონ რუსიძე; ლიტერატურულ კრიტიკაში – ლადო შარაშიძე, ალექსანდრე ჩაელეიშვილი, ნესტორ პაიჭაძე და სხვ., რომლებსაც „ნიჭთან ერთად ფართო განათლებაც ჰქონდათ“[1]. მათ თან მოიტანეს ახალი თემები, მომავლის ფართო შემოქმედებითი გეგმები, რამაც მრავალფეროვნება შემატა მწერლობას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 30-იანი წლების დამლევისათვის აჭარაში უკვე შეიქმნა ახალი (სოციალისტური) მხატვრული ლიტერატურა, რომელიც თანდათან ხდებოდა ერთიანი ქართული მწერლობის მძლავრი შენაკადი.[2]

30-იანი წლებიდან აჭარის თემა სულ უფრო მკვიდრდება ქართულ ლიტერატურაში. პიესის დასაწერად შალვა დადიანმა სპეციალურად იმოგზაურა ამ კუთხეში. საამისოდ კი იგი სერიოზულად ემზადებოდა. შეისწავლა სათანადო ლიტერატურა, შემდგომ კი ჩამოვიდა ბათუმს, სადაც შეხვდა და გაიცნო ახალგაზრდა მკვლევარი აქაური ეთნოგრაფიული ყოფის საუკეთესო მცოდნე ჯემალ ნოღაიდელი. სხვათა შორის, მის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევდა დიდი მეცნიერი იუანე ჯავახიშვილი. სწორედ მისი წინადადებით იყო, რომ ჯემალ ნოღაიდელმა ნაშრომი „გვაროვნული წყობის გადმონაშთები აჭარაში“ ჯერ კიდევ სტუდენტობისას, წაიკითხა თბილისის საისტორიო–საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. ცხადია, ასეთი ავტორი შალვა დადიანისათვის იქნებოდა საუკეთესო ინფორმატორი. მან მართლაც ათხოვა მწერალს თავისი ეს ხელნაწერი გამოკვლევა, რომელიც მწერალს დიდად დაეხმარა. ამის გამო შალვა დადიანმა სამადლობელო გამოხატა ბარათში, რომელიც 1936 წლის 26 ივლისს გამოუგზავნა ჯემალ ნოღაიდელს. იგი წერდა:

---

[1] იქვე, გვ. 20

[2] იქვე, გვ. 23-24.

„პატივცემულო ჯემალ“!

გიბრუნებთ დიდის მადლობით თქვენს ხელნაწერს: „გვაროვნული წყობის გადმონაშთები ზემო აჭარაში.

თქვენი დახმარება კიდევ დამჭირდება უთუოდ, რომ პიესა ისეთი გამოვიდეს, თქვენ რომ ისურვებთ. ხოლოდ თქვენ... ბევრს თხოულობთ... და ძნელ მოვალეობას მაკისრებთ. ერთი კია: პიესა დაწერილი იქნება სიყვარულით და ჩემს მაქსიმუმს უსათუოდ მოვიტან...

იმედი მაქვს, რომ ამ ზამთარს ბათომს კიდევ გინახულოთ და მაშინ კიდევ ერთხელ „მოვიუბნოთ“ პიესაზეც“.[1]

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ ახალი ამოცანები დააყენა აჭარის სამწერლო ორგანიზაციის წინაშე. ბევრი მისი წევრი (მ. ვარშანიძე, შ. იოსელიანი, შ. შუბლაძე და სხვ.) ფრონტზე წავიდნენ. აქ დარჩენილნიც მტერზე გამარჯვების სამსახურში ჩადგნენ. ომის თემას მიეძღვნა პ. ლორიას „ალისფერი დილა“, კ. რუსიძის „იწერებოდა სისხლით“ და „გამარჯვება“, ა. შერვაშიძის „ბაგრატიონი“, მ. ვარშანიძის ფრონტული პოეზია და სხვ. ომის დროს შეაღეს პოეზიის კარები ნანა გვარიშვილმა და ფრიდონ ხალვაშმა, რომელთა პოეტური ნიჭი ძირითადად ომის შემდეგ გაიფურჩქნა, მაგრამ ორი სისტემის იმ დიდი კოლიზიის დროს გამოქვეყნებული ლექსები ხასიათდება უშუალობით, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით და რაც მთავარია, მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენით. ფრიდონ ხალვაში კი პირველივე ლექსით „სიმღერა ისრაფილ ჯინჭარაძეზე“ ცნობილი პოეტი გახდა. ხალხმა მაშინ აიტაცა იგი და სიმღერად აქცია.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ლიტერატურის კვალდაკვალ აჭარაში ვითარდება ხელოვნების დარგებიც. ამას დიდი ბიძგი მისცა 1936 წლის ივლისში ხელოვნების საქმეთა განყოფილების შექმნამ. ამიერიდან მას

---

[1] იხ. ჩვენი პუბლიკაცია „შალვა დადიანის წერილი ჯემალ ნოღაიდელს“, გაზ. „აღორძინება“, №15, 9.04.1997.

დაექვემდებარა კინოს, თეატრიების, სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლების, სახელმწიფო კაპელას, მუსიკალური სკოლების და სხვა ხელმძღვანელობა. ალბათ ამით აიხსნება, რომ 1933-1940 წლები აჭარაში ჩატარდა „ხელოვნების აღორძინების ნიშანით“.[1] მაშინ არა მარტო ბათუმში გაიხსნა დრამატული თეატრი, არამედ ხულოში სახალხო თეატრმა დაიწყო მუშაობა, ხოლო ქობულეთსა და ქედაში ამუშავდა კულტურის სახლები, ჩამოყალიბდა სამხატვრო სახელოსნო, სახელმწიფომ თავის ხელში აიღო ისტორიული ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის საქმეც და ა.შ.

თეატრის წარმოდგენები. ბათუმის თეატრის დაარსება

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, რევკომის პირველსავე სხდომაზე, 24 მარტს, განიხილეს ჯარის ნაწილებისაგან სათეატრო შენობების გამოთავისუფლების, თეატრის დაფინანსებისა და თეატრალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საჭირბოროტო საკითხები. გადაწყდა დაუყოვნებლივ აემუშავებინათ თეატრი, როგორც „ახალი სულისკვეთებით“ მასების აღზრდის მძლავრი საშუალება. ამიტომაც იყო, რომ პირველსავე ინტერვიუში რევკომის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე აღნიშნავდა თეატრისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებო დაწესებულებების მუშაობის „რაც შეიძლება მალე“ აღდგენის აუცილებლობას.[2]

ამ მიზნით აჭარის რევკომთან შეიქმნა ხელოვნების ქვეგანყოფილება, რომელთანაც არსებობდა რამდენიმე სექცია (თეატრების, მუსიკის, ლიტერატურის, სამხატვრო...). მოგვიანებით გაუქმდა ეს ქვეგანყოფილება და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა პოლიტიკური განათლების (პოლიტგანი) მთავარი სამმართველო, რომელსაც ხელოვნებაც დაექვემდებარა. ამის შესაბამისად გარდაიქმნა სათეატრო საქმეც, შეიქმნა პირველი (ყოფილი „რკინის თეატრი“), მეორე (ყოფილი „პოლ-მელი“)

---

[1] კრ. ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, გვ. 18.

[2] გაზ. „უწყებები“, №22, 1921.

და მესამე საბჭოთა თეატრი (ყოფილი შმაევსკისა). 1921 წლის 28 მარტს დამტკიცდა თეატრების მუშაობის დროებითი ინსტრუქცია: ისინი წარმოდგენას გამართავდნენ ყოველდღე, გარდა ორშაბათისა. თეატრების შენობების გამოყენება შეეძლო აგრეთვე სომხური, ბერძნული, სპარსული და წითელარმიელების სათეატრო კოლექტივებსაც.

ქართული დასი, რომელიც ამიერიდან მესამე საბჭოთა თეატრად იწოდებოდა, განთავსდა ყოფილ შმაევსკის თეატრში. 1921 წლის 10 დეკემბერს იგი აკადემიურ თეატრად გადაკეთდა.

1921 წლის თებერვალ-მარტის მღელვარე ამბების გამო ქართველი დასის შემადგენლობა დაიშალა, მსახიობებიც დაიფანტნენ. ამიტომაც თეატრალური სექციის ხელმძღვანელმა მიხეილ გელოვანმა (შემდეგში სსრკ სახალხო არტისტი) დასის შედგენა დაავალა ქუთაისელ მსახიობ ა. გუგუშვილს. გაზ. „უწყვეტები"-ის ცნობით მასში ჩაირიცხნენ არა მარტო ადგილობრივი, არამედ მოწვეული მსახიობებიც. მათ შორის: ქალები — ე. იანქოშვილი, ვ. მარგველაშვილი, მ. მდივანი, ა. გარნელი (დარჩია), ნ. ჯავახიშვილი და სხვ., მამაკაცები — ე. აფხაიძე, ა. ვასაძე, ვ. ურუშაძე, შ. ღამბაშიძე, ა. ჭავჭავაძე და სხვ. რეჟისორებიდან მიიწვიეს ა. გუგუშვილი და ა. ყალაბეგიშვილი, თეატრის კომისრად კი დაინიშნა — ვ. ურუშაძე.

ბათუმი მაშინ უაღრესად ინტერნაციონალური ქალაქი იყო. ამიტომ ადრინდელი ტრადიციის გათვალისწინებით შეიქმნა რუსული დრამატული და საოპერო დასები, აგრეთვე სომხური, ბერძნული და სპარსული ნახევრად პროფესიული დასები.

რევკომი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალაქში კულტურული ცხოვრების აღდგენა–მოწესრიგებას, რომ უკვე 1 აპრილს თეატრმა საკმაოდ ნაჩქარევად წარმოადგინა ო. მირბოს დრამა „ჟანი და მადლენა", რომლითაც არსებითად იწყება „ბათუმის საბჭოთა თეატრის ისტორია".[1] საინტერესოა,

[1] გ. ბუხნიკაშვილი, ბათუმის თეატრი, თბ., 1979, გვ. 66.

რომ რეკომისაგე გადაწყვეტილებით, სპექტაკლზე დასწრება უფასო იყო. ამის მიუხედავად, საზოგადოების შემორიგებისა და მიზიდვის მიზნით, დამსწრეთა კონტინგენტი, ძირითადად, მაინც, სამხედროები იყვნენ.

1921 წელს სათეატრო სეზონი 15 ივნისამდე გაგრძელდა. ორთვენახევარის განმავლობაში კი ქართულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ძირითადად ქართული პიესები: პოლიო ირეთელის „ქრისტინე“ (ე. ნინოშვილის ცნობილი მოთხრობის მიხედვით), შალვა დადიანის „გუშინდელნი“, დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, ივანე გომართელის „იასონის ოინები“ და სხვ. გაზ. „უწყებების“ ცნობით: „ქართულმა დასმა... პირნათლად ჩაატარა თითქმის ყველა წარმოდგენა და პირველი ადგილი დაიკავა იქ მყოფ ყველა დასს შორის“,[1] ამასთან, გაზეთი აღნიშნავდა ცალკეულ მსახიობთა კარგ თამაშს და როლის ოსტატურ შესრულებას, განსაკუთრებით გამოყოფდა მარო მდივანს. „ქრისტინეს როლის შემსრულებელი ბევრი გვინახავს, – წერდა რეცენზენტი, – მაგრამ მარო მდივნის ასული ამ როლში სწორედ, რომ საუკეთესო და შეუდარებელია: განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს უკანასკნელ სურათში.“

სხვათა შორის, „ბათუმში საბჭოთა თეატრის დასაწყისი საკმაო ორგანიზებული და შემოქმედებითად შინაარსიანი იყო“. ეს უთუდ იმის შედეგი იყო, რომ მას არა მარტო „გამოუნდნენ ენერგიული, საქმის მცოდნე და მოწადინებული მოთავენი და მონაწილენი“, არამედ ისიც, რომ მის მუშაობას „დიდ ყურადღებას აქცევდნენ და ყოველგვარად ხელს უწყობდნენ აჭარის ხელმძღვანელი ორგანოები“.[2] ასეთი ყურადღების შედეგი იყო, რომ სათეატრო სეზონის დამთავრების (15 ივნისი) მიუხედავად, ბათუმში, კვლავ დგამდნენ სპექტაკლებს. ეს არა მარტო ადგილობრივი თეატრის ცალკეულ მსახიობთა დამსახურება იყო, არამედ საგასტროლოდ ჩამოსული თეატ-

---

[1] გაზ. „უწყებები“, №62, 1921.

[2] გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

რების მსახიობთა ენერგიულობის შედეგიც. საკმარისია ითქვას, რომ ბათუმში ჩამოვიდა რუსთაველის თეატრის მსახიობთა ჯგუფი (მ. ჭიაურელი, ვ. ანჯაფარიძე, ზ. გომელაური და სხვ.), რომელიც მაშინ საგასტროლო სპექტაკლებით მოგზაურობდნენ დასავლეთ საქართველოში. ბათუმელ მაყურებელს მან უჩვენა ნ. შიუკაშვილის „სულელი“ და ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“.

ასე რომ, 1921 წლის გაზაფხულ—ზაფხულის სეზონი ბათუმში, მართლაც ნაყოფიერი იყო. ახალი ვითარების მიუხედავად თეატრი ისევ რჩებოდა ქალაქის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

მომდევნო წლებში ამ მხრივ არსებითი ცვლილება არ მომხდარა. დრამატული თეატრის დასი ისევ მართავდა სპექტაკლებს, ბათუმში კვლავაც ჩამოდიოდნენ საგასტროლოდ. მათ შორის სცენის გამოჩენილი ოსტატები (ალექსანდრე იმადაშვილი, ალექსანდრე სუმბათაშვილ—იუჟინი და სხვ.), მაგრამ უკვე, საბჭოთა ხელისუფლების მომძლავრების კვალობაზე, განსაკუთრებით 1924 წლიდან, აშკარად იგრძნობოდა გარკვეული შეზღუდვები რეპერტუარის შედგენაში, ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევა კადრებით დაკომპლექტებაში და ა.შ. ამის შედეგად ბათუმში 1924—1925 წლების სეზონი ჩავარდა. მართალია, არსებობდა ხელშეკრულება, რომლითაც ქუთაისის თეატრი ვალდებული იყო ბათუმში სისტემატურად დაედგა სპექტაკლები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ნაკისრი ვალდებულება ვერ შესრულდა. მან მხოლოდ „ორი წარმოდგენა გამართა სეზონის დასაწყისში და მას შემდეგ ბათუმში აღარ გამოჩენილა“.[1]

1926—1927 წლებში თეატრს სათავეში ჩაუდგა მოსკოვის სამხატვრო თეატრის აღზრდილი, ცნობილი რეჟისორი აკაკი ფაღავა. იგი კარგი ორგანიზატორი აღმოჩნდა. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერ მსახიობთა დასი (წევრთაგან ბევრს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვისა და თბილისის დრა-

[1] იქვე, გვ. 78.

მატური სტუდიები), დამდგმელ რიჟისორად მოიწვია გ. ხელაია, მხატვრად დ. მირიანაშვილი. აკ. ფაღავას, როგორც დასის ხელმძღვანელს, გადაწყვეტილი ჰქონდა განეხორციელებინა „რიცხვით ნაკლები დადგმები, ხოლო ღირსებით უმჯობესი“.[1] ამის შესაბამისად ბათუმის სცენაზე 1926 წელს დაიდგა 6 ახალი სპექტაკლი და გაიმართა 18 წარმოდგენა. მაყურებელმა გულთბილად მიიღო ზოგი სპექტაკლი („მეფე არლეკინი“, „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „იღრიალე ჩინეთო“ და სხვ.). უნდა ითქვას, რომ პრესამაც აღიარა მათი იდეური და მხატვრული წარმატება. „იღრიალე ჩინეთო“ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნებამ“, მაგალითად, „ქართული თეატრის დიდ რეჟისორულ მხატვრულ მიღწევად“ მიიჩნია,[2] მაგრამ ზოგი წარმოდგენა აშკარად მოიკოჭლებდა. ბათუმურმა გაზ. „ფუხარამ“ მკაცრად გააკრიტიკა ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ და იგი ჩათვალა „სუსტ, იდეოლოდიურ საფუძველს მოკლებულ სასეირო კომედიად“.[3] თუმცა აღიარა მსახიობთა ოსტატური თამაში. მათ „შესრულებაში ვერ ნახავთ ვერც ერთ ზედმეტ შტრიხს, ვერც ერთ ზედმეტ ხაზსო“ – აღნიშნავდა რეცენზენტი.

აკაკი ფაღავა ორ სეზონს დარჩა ბათუმში. ეს ძალზე სასარგებლო იყო დასისათვის მისი შემდგომი დაოსტატების მიზნით. მან აქ განახორციელა თავისი საუკეთესო დადგმები: ბ. ლავრენევის „რღვევა“ (მოგვიანებით წარმოადგინეს თბილისში), დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“ და სხვ., რომლებსაც დიდი მოწონებით შეხვდა თეატრალური კრიტიკა. გაზ. „ფუხარას“ რეცენზენტმა „რღვევა“ მიიჩნია სპექტაკლად, რომელიც „ოქროს ასოებით იქნა შეტანილი აჭარის სახელოვნო ცხოვრებაში“. მიმომხილველი უპირველესად ხაზს უსვამდა პიესის შინაარსს, რამდენადაც „აქ გადახლართულია ერთმანეთში სოციალური და ფსიქოლოგიური

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, №267, 1926.

[2] საბჭოთა ხელოვნება, №3, 1927.

[3] „ფუხარა“, №279, 1926.

მომენტები, რევოლუციური აღტყინება, მომავლისათვის ბრძოლით გატაცება, ღრმა გარდატეხა ინტელიგეციის ერთ ნაწილში, ხოლო ჯიუტობა, სიბრაზე და დაბრმავება მეორეში". ამავე დროს რეცენზენტი გამოყოფდა ვერიკო ანჯაფარიძის, ნიკო გოძიაშვილისა და სხვა მსახიობების არტისტულ თამაშს.[1]

სხვათა შორის, თეატრალურ სპექტაკლებს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. აშკარად ჩანდა, რომ თეატრი მტკიცედ დამკვიდრდა ბათუმელთა ყოფაში. გაზ. „ფუხარა" მიესალმებოდა რა 1927 წლის შემოდგომის სეზონის გახსნას (12 ნოემბერი) მიხელ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის" ინსცენირებით, საგანგებოდ აღნიშნავდა: „ახლად გადაკეთებულ, გაფართოებული თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. ბევრი დარჩა უბილეთობის გამო გარეთ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხალხი, რომელიც ერთ დროს გაურბოდა თეატრს, ისევ მობრუნდა მისკენ, ისევ გაიზარდა სასცენო ხელოვნებისადმი ყურადღება".[2]

მომდევნო ორ სეზონში ბათუმს უკვე აღარ ჰყავდა საკუთარი თეატრალური დასი, მაგრამ მაყურებელს ემსახურებოდა ე.წ. მეორე სახელმწიფო თეატრი, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. მას ეწოდებოდა „ქუთაის–ბათუმის თეატრი". დასი ოფიციალურად დაფუძნებული იყო ქუთაისში, „აქვე ამზადებდა დადგმებს" და „რეგულარულად ჩამოდიოდა ბათუმში წარმოდგენის გასამართავად". აღნიშნულმა თეატრმა „ბათუმის მაყურებელს უჩვენა ყველა თავისი შესანიშნავი დადგმა".[3]

მომდევნო 1931–1932 წლების ერთ სეზონში აჭარის ხელისუფალთა ჩარევით და თხოვნით ბათუმის დასთან მუშაობაზე დათანხმდა კ. მარჯანიშვილი. სეზონი გახსნეს ბათუმელთათვის უკვე ცნობილი (მას უჩვენებდა ქუთაის–ბათუმის თეატრი) კარლო კალაძის პიესით „ხატიჯე". მასზე არჩევანი არ იყო

---

[1] იხ. გაზ. „ფუხარა", №13, 1928.
[2] იქვე, №262, 1927.
[3] იქვე, გვ. 85.

შემთხვევითი – იგი აჭარის ცხოვრებას შეეხებოდა. შემდეგ წარმოადგინეს პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და სხვ.

1932 წლიდან, მთელი ხუთი წლის განმავლობაში, ბათუმში არ შემდგარა პროფესიონალ მსახიობთა დასი. ეს ნაკლი თითქოს უნდა შეევსო 1934 წელს დაარსებულ ე.წ. მუშა-ახალგაზრდობის თეატრს. ასეთი თეატრები 20-იანი წლების დამლევიდან მასობრივად გაერცელდა საბჭოეთში. ეს იყო „ნახევრად პროფესიული“ და უმეტესად კომკავშირლებით დაკომპლექტებული დასები, რომლებიც „თეატრალური ფორმებით“ გადმოსცემდნენ საბჭოთა ახალგაზრდების „თავდადებულ ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე“. ამიტომაც ამ თეატრებს სოციალიზმის „სააგიტაციო–საპროპაგანდო ინსტიტუტს“ უწოდებდნენ.

ბათუმის ახალგაზრდობის თეატრს ხელმძღვანელობდნენ შოთა მანაგაძე (შემდეგში ცნობილი კინო–რეჟისორი), მოგვიანებით შალვა ინასარიძე. პირველს აქ დაუდგამს აწჰესის მშენებლობისადმი მიძღვნილი პიესა „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“, მეორეს კი – ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“. თეატრი ამზადებდა ს. მთვარიძის „სურამის ციხეს“, მაგრამ ხანძარმა გაანადგურა დეკორაციები და ამით თეატრმაც შეწყვიტა არსებობა.

გაზეთ „სიტყვა და საქმის“ ცნობით, ბათუმის ახალგაზრდობის თეატრი – „ეს ენერგიითა და შემოქმედებითი წყურვილით აღსავსე კოლექტივი“, იმავე წლის 6 მაისს, ეწვია ქუთაისს „ორი მოძმე კოლექტივის უშუალო დაახლოებისა და გამოცდილების მიღების მიზნით“. ცნობილი არაა თეატრებმა როგორ გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება, მაგრამ ფაქტია, ბათუმელთა პირველივე სპექტაკლმა „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“ ვერ დააკმაყოფილა ვერც მაყურებელი და ვერც თეატრალური კრიტიკა. ლადო შარაშიძე მას უწოდებდა დასის „პირობით გამარჯვებას“ და თელიდა, რომ საჭიროა საგანგე-

ბო ღონისძიებები მსახიობთა „თეატრალური კულტურის შესათვისებლად“.[1]

1932 წელს ბათუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსთაველის თეატრი. თან ჩამოიტანა თავისი საუკეთესო დადგმები: სანდრო შანშიაშვილის „ანზორი“, ალიო მაშაშვილის „განგაში“, გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“ და სხვ. რუსთაველებმა ბათუმში 30-მდე სპექტაკლი წარმოადგნეს.[2]

გასტროლებს დიდი ინტერესით (და იმედებით) შეხვდა ადგილობრივი საზოგადოება. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ მაღალპროფესიული კოლექტივის სპექტაკლებით დატკბობა ელოდა, არამედ ის, რომ ბათუმში ვერ შეიქმნა მუდმივი თეატრალური დასი და აჭარის ხელისუფლება თბილისელ სტუმრებს უკავშირებდა აქ თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლება-აღორძინებას. მართლაც, სანდრო ახმეტელის ინიციატივით რუსთაველის თეატრის დრამატურ სტუდიასთან ჩამოყალიბდა აჭარის სტუდია, რომელმაც იკისრა მსახიობთა ჯგუფის მომზადება ბათუმის მომავალი მუდმივი თეატრისათვის.

ინიციატორ-ორგანიზატორებს წუთითაც არ დაუკარგავთ დრო. გასტროლების პროცესშივე გამოცხადდა სტუდიაში მიღება. შემოვიდა 65–მდე განცხადება. საბოლოოდ სტუდიისათვის შეირჩა (8, შემდეგ 22) ახალგაზრდა. მათ შორის იყვნენ როგორც ახალბედები, ისე ყოფილი მსახიობები. მაგ. იუსუფ კობალაძე, რომელიც თეატრში 1929 წლიდან მუშაობდა.[3] თბილისში მათ დაოსტატებას ხელმძღვანელობდნენ: სანდრო ახმეტელი – თეატრის მეთოდოლოგიაში, აკაკი ვასაძე – მხატვრულ კითხვაში, შალვა აღსაბაძე – მსახიობის ოსტატობაში, ია ქანთარია – ქართული თეატრის ისტორიაში, პანტელეიმონ ბერაძე – საბერძნეთის ისტორიაში, ე. ლორქიფანიძე – ფარიკაობაში და ა.შ. სტუდიელები ამავე დროს რუსთაველის თე-

---

[1] შ. ქურიძე, წარსულის ფურცლები, ბათ., 1982, გვ. 150-151.

[2] ლ. ბოლქვაძე, აჭარის ხელოვნება, თბ., 1977, გვ. 15-16.

[3] ჯ. ჩხეიძე, იუსუფ კობალაძე, ბათ., 1962, გვ. 13.

ატრის თანამშრომლებიც იყვნენ და მონაწილეობდნენ თეატრის დადგმებში (ს. შანშიაშვილის „ანზორი“, ბ. ლავრენევის „რღვევა“, შ. დადიანის „თეთნულდი“ და სხვ.), რაც საუკეთესო საშუალება იყო მათი პროფესიული დაოსტატებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა მერაბ ხინიკაძე, რომელმაც განასახიერა საბა ა. მაშაშვილის პიესაში „განგაში“, ზალიკა – ს. მთვარაძის „შლეგში“, ხასბულათი – შ. დადიანის „თეთნულდში“, მეოთხე მატროსი – ბ. ლავრენევის „რღვევაში“, გლეხი – შატბერაშვილის „დუშმანში“, მემედი – ს. შანშიაშვილი “ანზორში“[1] და სხვ. ოთხი წლის თავზე შედგა აჭარის ჯგუფის გამოშვება. სადიპლო სპექტაკლი იყო კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“.

1936 წლის 5 აპრილს გაიმართა სპექტაკლის პრემიერა. მას დიდი წარმატება ხვდა. თეატრალურმა კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა წარმოდგენის მონაწილეთა მაღალი საშემსრულებლო დონე, რის გამოც „სასტუმროს დიასახლის“ დადგმა „მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაეთვალოს“.[2]

ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, თეატრის ხელმძღვანელობა არ ჩქარობდა ახალგაზრდა მსახიობებისათვის გზის დალოცვას და კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივა დაოსტატების ვადა. ამ ხნის მანძილზე კი მათ, დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით, მოამზადეს გიორგი მდივნის პიესა „ბრმა“. სწორედ მისი პრემიერით მოეწყო სტუდიელთა გამოშვება. სტუდია დაამთავრა 21 მსახიობმა,[3] რომლებმაც მკვიდრი ნიადაგი შეუქმნეს ბათუმში პროფესიული თეატრის დაარსებას.

1936 წლის დეკემბერში ბათუმის მომავალი თეატრის ხელმძღვანელად დაინიშნა ახალგაზრდა რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი, რომელსაც დაევალა კიდეც თეატრის დაარსების ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

---

[1] ე. დავითაია, მერაბ ხინიკაძე, ბათ., 1957, გვ. 10-11.

[2] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №5, 1936.

[3] გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

1937 წლის 18 მარტს საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის თეატრი. მისი დასი მთლიანად ყოფილი სტუდიელებით იყო დაკომპლექტებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბათუმს ამიერიდან მუდმივი თეატრი ჰყავდა. პირველი დადგმა იყო გიორგი მდივანის „ბრმა“, რომელიც დიმიტრი (დოდო) ალექსიძემ ადრე დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე. მეორე დღეს წარმოადგინეს ასევე თბილისში მომზადებული სპეტაკლი „სასტუმროს დიასახლისი“, ხოლო სეზონის დამლევამდე მაყურებელს უჩვენეს გ. მდივანის კიდევ ერთი დრამა „ალკაზარი“, რომელიც ეხებოდა ფაშისტების წინააღმდეგ ესპანეთის რესპუბლიკელების ბრძოლას. საყურადღებოა, რომ მაშინ სპექტაკლს ესწრებოდა 24 ესპანელი მეზღვაურიც. ამიტომ მათ პატივსაცემად დარბაზში გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს რესპუბლიკურ ესპანეთს“, „გაუმაროჯოს გმირ ესპანელ ხალხს“, ამიტომ წარმოდგენას სააგიტაციო—პროპაგანდისტული მნიშვნელობაც ჰქონდა. სპექტაკლი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელთა შორის და „იგი რამდენიმე სეზონის განმავლობაში არ ჩამოსულა ბათუმის თეატრის სცენიდან“.[1]

სულ 1937 წელს ბათუმის თეატრმა სამი სპექტალი მოამზადა და 25 წარმოდგენა უჩვენა თავის მაყურებელს. რა თქმა უნდა, დადგმის მხრივ ასეთი მოკრძალება შედეგი იყო თვით თეატრის ხელმძღვანელების კურსისა: „სჯობს რამდენიმე, მაგრამ მაღალი გემოვნებით გაკეთებული სპექტაკლი ვუჩვენოთ მაყურებელს, ვიდრე გამოვედევნოთ სახელდახელოდ მომზადებულ სპექტაკლებს“. ისინი იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ „თეატრის მთელი მუშაობა დაყდრნობილია ახალ თეატრალურ ძალებზე და მათი გადატვირვა სცენაზე განუწყვეტელი გამოსვლებით უარყოფითად იმოქმედებდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ მსახიობთა პროფესიულ ოსტატობაზე. ამიტომ მიზანშეწონილად ცნეს დასის გაზრდის მიზნით თეატრთან მოსამზადებელი სტუდიის ჩამოყალიბება.

---

[1] ე. დავითაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

პირველი სეზონის დამთავრების შემდეგ ბათუმის თეატრის ახალი ამოცანების წინაშე დადგა. თუ აქამდე მან, ასე ვთქვათ, თბილისში მომზადებული სპექტაკლებით გაიტანა თავი, ამიერიდან „დამოუკიდებლად“ უნდა ეზრუნა რეპერტუარზეც, დადგმაზე, მხატვრობაზეც და მუსიკაზეც. აქ გამოჩნდებოდა თეატრის ხელმძღვანელობის კულტურა და გემოვნება, თეატრის მართვისა და ხელმძღვანელობის უნარი, მსახიობთა მომზადების დონე და ოსტატობა. თეატრმა 1937 წლის სეზონიდან აქცენტი აიღო თანამედროვეობის ამსახველ პიესებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ამირან შერვაშიძის „მზე“, რომელიც მიეძღვნა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისათვის; გ. მდივნის „სამშობლო“, რომელშიც აღწერილია აჭარის სასაზღვრო სოფლისა და მისი უბრალო ადამიანების ცხოვრება, აგრეთვე საბჭოთა მესაზღვრეების ბრძოლა „სოციალისტური სამშობლოს საზღვრის“ დამრღვევთა წინააღმდეგ და სხვ.[1]

საყურადღებოა, რომ თეატრის რეპერტუარში ფეხს იკიდებდა პიესები ისტორიულ თემებზეც. სწორედ ამ წლებში მან მაყურებელს უჩვენა თავისი საინტერესო დადგმა ს. მთვარაძის ტრაგედია „თევრათი“, ს. შანშიაშვილის „არსენა“, გ. ნახუცრიშვილის „ლადო კეცხოველი“ და სხვ. მათ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს. აშკარად იგრძნობოდა მსახიობთა შემოქმედებითი ზრდა. გაზ. „საბჭოთა აჭარა“-ც აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა კოლექტივი განვლილ ხუთი წლის განმავლობაში „საკმაოდ ამაღლდა და გაიზარდა... თეატრმა უთუოდ გაიარა ძიებისა და დამოუკიდებელ შემოქმედებით ერთეულად ჩამოყალიბების გზა. დღეს იგი მძლავრია... თეატრის მაღალხარისხოვან მუშაობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მას უკვე ჰყავს მუდმივი მაყურებელი, რომელიც დიდი სიყვარულით ეკიდებოდა ყოველ მის ახალ ნამუშევარს და

[1] ი. ბიბილეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-28.

კმაყოფილების გრძნობით ივსება ყოველი სპექტაკლის ნახვით“.[1]

* * *

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1938 წლის თებერვალში ხულოს სახალხო ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, საკოლმეურნეო თეატრის შექმნას. რეჟისორად დაინიშნა ყურაშვილი. დასში იყვნენ როგორც პროფესიონალი მსახიობები (კომახიძე, სახნიაშვილი, ბოლქვაძე), ასევე სცენისმოყვარენი, მათ შორის „უმრავლესობა მოწაფეები“. თეატრის კოლექტივი მეტად რთულ პირობებში მუშაობდა. მსახიობებს შეფერხებით ეძლეოდათ ხელფასი, სკოლებში საზაფხულო არდადეგების დაწყებისას მოწაფე–მსახიობები იფანტებოდნენ, ამასთან თეატრს არ ჰქონდა სამუშაო ბინა, სარეპეტიციო დარბაზი. ხულოს გარე სოფლების მცხოვრებლებიც სპექტაკლებს ვერ ეწრებოდნენ და ა.შ. მართალია ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებდა თეატრზე, მაგრამ მისი შექმნით გამოწვეული სიკეთე გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. საკმარისია, ითქვას, რომ პირველსავე წელს ხულოს სახალხო (საკოლმეურნეო) თეატრმა მაყურებელს უჩვენა რამდენიმე პიესა: „მეტი სიფხიზლე“, „აჭარის მთებში“, ა. ცაგარელის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სხვ., რომლებიც „წარმატებით ჩატარდა“[2] და დიდი ზეგავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის გათვითცნობიერებისათვის.

საოპერო დადგმები. თბილისის ოპერის ბათუმის ფილიალი

ბათუმი საოპერო წარმოდგენებით ცნობილი ქალაქია. მართალია, აქ არ იყო მუდმივი საოპერო დასი, მაგრამ ხშირად ჩამოდიოდნენ შესანიშნავი მომღერლები და ადგილობრივ ძალებთან (მ. სვიშჩევსკაია, ე. ვრონსკი, ვ. კირშონი და სხვ.) ერთად აწყობდნენ კონცერტებს, მუსიკალურ საღამოებს, დგამდგენ ოპერებსაც, მათ შორის საბავშვო ოპერებსაც.

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №130, 1941.

[2] აჭარის არ ცსა. ფონ. 986, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 36–41.

1922 წელს უცდიათ საოპერო დასის შექმნაც. ამ მიზნით განათლების სახალხო კომისარიატმა ზამთრის სეზონისათვის მოიწვია ქართული და რუსული ოპერის „ცნობილი მსახიობები, რომელთა წარსული მოღვაწეობა ხელოვნების აღნიშნული დარგის წინსვლის გარანტიას გვაძლევდა მიმდინარე სეზონში.“[1] ჩანს, საბოლოოდ მაინც, საქმეს თავი ვერ მოება, რადგან საოპერო დადგმები საერთოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა.

20-30 წლების მიჯნაზე ბათუმში ე. ვრონსკისთან და ვ. კირშონთან ერთად ცხოვრობდნენ დიდი კულტურის მუსიკოსები კ. ბერესი, ვ. მულოვი, ბ. მალკინი, ლ. გურინშტეინი, ა. შიფრინი და სხვა. სწორედ მათი ინიციატივით და შრომით 1931 წლის 1 დეკემბერს ბათუმში დაარსდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბათუმის ფილიალი. დასის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ქართველი მომღერალი სანდრო ინაშვილი, დირიჟორები ვ. კირშონი, ვ. ტრახიმოვიჩი, სოლისტები ტოდინა, მოსკოვსკია, ვალერიან ქაშაკიშვილი, დავით ანდღულაძე და სხვ. ბათუმის ფილიალმა მოკლე ხანში მოამზადა და მაყურებელს უჩვენა კლასიკური ოპერას ბრწყინვალე შედევრები: „აიდა“, „პიკის ქალი“, „ტრავიატა“, „ევგენი ონეგინი“, „რიგოლეტო“ და სხვ.

მართალია, ფილიალმა ერთ წელს იარსება,[2] მაგრამ თავისი შესანიშნავი დადგმებით მან დიდი როლი შეასრულა ბათუმის საზოგადოების შემდგომი მუსიკალური აღზრდის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია მუსიკალური ხელოვნების განვითარება (ბათუმელებს დიდხანს ახსოვდათ ის სიამოვნება, რაც 1886 წელს აქ ლადო აღნიაშვილის მომღერალთა გუნდის გასტროლებმა გამოიწვიეს). 1921 წელს შეიქმნა „აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო „აჭარაში მუსიკალური სკოლების, ბიბლიოთეკა–სამკითხველოების გახსნა,

---

[1] თ. კომახიძე, ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, წ. I, ბათ., 1996, გვ. 145.

[2] იქვე, გვ. 203-204.

სასცენო ხელოვნების და მხატვრული თვითმოქმედების განვითარება, სახელდობრ ქართველ მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება, აგრეთვე აჭარაში გავრცელებული ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შესწავლა და მათი პოპულარიზაცია“.[1] საზოგადოებამ თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო მომღერლები, საერთოდ მუსიკის მოყვარულნი. იმავე წლის 10 ივლისს დიმიტრი ყუბანეიშვილის ინიციატივით და მონაწილეობით ბათუმში ჩამოყალიბდა „პირველი მომღერალთა გუნდი“,[2] რომლის ხელმძღვანელადაც ქუთაისიდან მოიწვიეს ცნობილი ლოტბარი მელიტონ კუხიანიძე (1875-1951). მან დ. ყუბანეიშვილთან ერთად დიდი მუშაობა გასწია გუნდის ფორმირებისა და რეპერტუარის შედგენისათვის. აქცენტი ძირითადად ქართველი კომპოზიტორების (დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ნ. სულხანაშვილი და სხვ.) ნაწარმოებების და ქართული ხალხური სამღერების დამუშავება-პოპულარიზაციაზე იქნა გადატანილი. 1922 წლის 11 ივნისს გაიმართა გუნდის პირველი საჯარო კონცერტი. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

აჭარის მომღერალთა გუნდი ძირითადად ბათუმსა და აჭარის რაიონებში მართავდა კონცერტებს, მაგრამ გასტროლებზე ხშირად გადიოდა საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქებშიც. ასეთ ვითარებაში გუნდი სულ უფრო იზრდებოდა შემოქმედებითად, მდიდრდებოდა რეპერტუარი, იხვეწებოდა საშემსრულებლო ოსტატობაც, ამიტომაც მას 1925 წელს სახელმწიფო აკადემიური გუნდი უწოდეს.

1928 წელს აკადემიურ გუნდთან ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული ჯგუფი. ქორეოგრაფად მოიწვიეს დავით ჯავრიშვილი. იგი ბეჯითად მოეკიდა მინდობილ საქმეს და მოკლე დროში დადგა უმშვენიერესი ცეკვები, მათ შორის „ხორუმი“ და განსაკუთრებით ეფექტური „ორსართულიანი ფერხული“.

---

[1] გ. გაბისონია, აჭარის სიმღერისა და ცეკვის შესწავლა და სახელმწიფო ანსამბლი, ბათ., 1959, გვ. 5-6.

[2] თ. კომახიძე, „ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები“, გვ. 153-154.

საქართველოს მომღერალთა გუნდების თბილისის 1929 წლის ოლიმპიადაზე აჭარის აკადემიურმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და ჯილდოდ საბჭოთა კავშირის ქალაქებში (მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი და ა.შ.) გასტროლების პატივი ხვდა წილად. საკონცერტო მოგზაურობაც (1929 წლის ივლისი) ასევე დიდი წარმატებით აღინიშნა და სპეციალისტების აღრთოვანებული შეფასება დაიმსახურა. გუნდმა ხელი შეუწყო ქართული სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების გატანას საკავშირო ასპარეზზე.

1932 წლის 11 ივნისს სახელმწიფო აკადემიურ გუნდს ბათუმის თეატრში არსებობის 10 წლის იუბილე გადაუხადეს. იუბილეზე აღინიშნა გუნდის მაღალი კვალიფიკაცია, მხატვრული ღირსებები და მისი წვლილი ქართული საგუნდო ხელოვნების განვითარებაში. იუბილესთან დაკავშირებით გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს მელიტონ კუხიანიძეს აჭარის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

1936 წელს გუნდთან ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული ჯგუფი ილიკო ხომერიკის ხელმძღვანელობით. იგი ცნობილი ლოტბარის ვარლამ სიმონიშვილის მოწაფე იყო. ამიტომ ეთნოგრაფიული გუნდი უპირატესად გურულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა, თუმცა რეპერტუარში ჰქონდათ აჭარული, იმერული, მეგრული, აფხაზური, სვანური და სხვ. სიმღერები.

პრესა, საგამომცემლო საქმიანობა

1921 წლისათვის აჭარას (ბათუმი) პრესისა და საგამომცემლო საქმიანობის დიდი ტრადიცია ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ბეჭდვითი სიტყვაც თავის სამსახურში ჩააყენა.

პირველი საბჭოური გაზეთი „უწყებები“ ბათუმში გამოვიდა 1921 წლის 19 მარტს. ის ორგვერდიანი, ლურჯი საღებავით დასტამბული ფურცელი, რომელიც ქუჩაში გასაკრავად იყო გამიზნული. იბეჭდებოდა შმაევსკის სტამბაში და ვრცელდებოდა უფასოდ. პირველი რედაქტორი გახლდათ ს. ჩიხლაძე, აქტიური თანამშრომლები – დ. დუმბაძე, თ. სიხარულიძე, თ. ჟღენტი, ა. ურუშაძე და სხვ. გაზეთი ძირითადად სააგიტაციო იყო. ამიტომაც მასში ბეჭდავდნენ ლოზუნგებს, მო-

წოდებებს, პროპაგანდისტულ წერილებს და ინფორმაციებს. რედაქცია მდებარეობა დღევანდელ გამსახურდიას ქუჩაზე, №11–ში ე.წ. საბაევის (საბაშვილი) სახლში. მისი ტირაჟი არ აღემატებოდა 500 ცალს.

გაზეთი მეტად რთულ პირობებში გამოდიოდა. მცირე იყო ლიტერატურული ძალები. მაშინ კი ბათუმში მოღვაწეობდნენ პროფესიონალი ჟურნალისტები (სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე და სხვ.), ისინი „ყელამდის ჩაფლულნი“ იყვნენ ყოველდღიურ მუშაობაში და გაზეთში სისტემატურად თანამშრომლობა ვერ ხერხდებოდა. ამასთან, რედაქციას არ ჰყავდა მუშკორები და სოფლკორები, „არც სხვა სახის კორესპონდენტები“ და „ორიოდე თანამშრომლის“ იმედად მუშაობდა.[1]

მალე ს. ჩიხლაძე თბილისში გადაიყვანეს. რედაქტორად დაინიშნა თ. ულენტი. მან ზოგიერთი რამ სასიკეთო გააკეთა გაზეთისათვის: გაიზარდა ტირაჟი (600 ცალამდე), შემოიკრიბა და დარაზმა ჟურნალისტები, თანამშრომლებს გაუზარდა ხელფასი და სხვა.

„უწყებების“ სახელით გაზეთი ორ წელს გამოდიოდა. 1923 წელს მას დაარქვეს „პროლეტარული ბრძოლა“ ფინანსური კრიზისის გამო იგი მალე დაიხურა. თურმე „ქართული გაზეთის დახურვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე“, რომლებმაც მოითხოვეს მისი აღდგენა და ამ მიზნით ფულად დახმარებასაც ჰპირდებოდნენ. მართლაც, მათი თანადგომით გამოვიდა გაზ. „ბრძოლა“, რის გამოც „მუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა“. 1924 წელს გაზეთს გადაარქვეს სახელი და უწოდეს „ფუხარა“. გაზეთის-1000 ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო წერდა რედაქციას, – „ფუხარა“ ბრწყინვალე ჩირაღდანი იყო, რომელიც გზას უნათებდა მშრომელთ და ჰქმნიდა საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს“. ამასთან, „იგი მედგრად იდგა რევო-

[1] კრ. აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925), ბათ., 1975, გვ. 398.

ლუციის სადარაჯოზე და ბოლშევიკური სისასტიკით ააშკარავებდა ჩვენს შინაურ და გარეშე მტრების მოღვაწეობას“.[1]

„უწყებებთან“ ერთად რუსულ ენაზე (პარალელურად) გამოდიოდა გაზ. „იზვესტია“-ც. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, ფინანსურ სიძნელეთა გამო, მისი გამოშვება შეწყდა. 1921 წლის დამლევიდან რუსული გაზეთი მაინც გამოვიდა, ამჯერად დამოუკიდებლად, „ტრუდოვოი ბატუმ“-ის სახელით.

1923 წლის 10 თებერვალს საინიციატორთა ჯგუფი იუწყებოდა „სალიტერატურო-სახელოვნო“ გაზეთ „ასპიროზი“-ს გამოცემას. მისი მიზანია მიაწოდოს მკითხველს „ქართული და უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები“. გაზეთის უახლესი თანამშრომლები იქნებოდნენ ს. აბაშელი, კ. გამსახურდია, ვ. გაფრინდაშვილი, ი. გრიშაშვილი, ტ. გრანელი, ვ. გუნია, პ. იაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, დ. შენგელია და სხვ.[2]

1924 წელს ბათუმში დაარსდა ლიტერატურული და მეცნიერული ჟურნალი „ისპირი“ (რედაქტორი ვ. გაბესკირია). იდეური თვალსაზრისით, იგი ცნობილი თბილისური ჟურნალის „კავკასიონის“ „ერთგვარი დამატება იყო“.[3] საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, „ისპირის“ თანამშრომლები მაშინ უკვე ცნობილი მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი და სხვ. ეკუთვნოდნენ „კავკასიონის“ გარშემო დარაზმულ ე.წ. „აკადემიურ ასოციაციას“, და მეორეც, რაც მთავარია, „ისპირი“ ხოტბას უძღვნიდა საკუთრივ ჟურნ. „კავკასიონს“, რომელსაც უნდა ეტვირთა ქართული მწერლობის აყვანა „უმტვერო თოვლით შემოსილ კავკასიონზე“. „ისპირის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ლიტერატურულ პროდუქციაში ავტორები (დუტუ მეგრელი, ლეო ქიაჩელი, ვიქტორ გაბესკირია და სხვ.) უმღეროდნენ „ძველ თემს“ – ქალს, სილამაზეს

---

[1] იქვე, გვ. 397-399. 1936 წელს გაზეთს „საბჭოთა აჭარა“ დაერქვას.

[2] იქვე, გვ. 395-396.

[3] შ. ქურიძე, მხატერული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათუმი, 1970, გვ. 6.

და მისდამი ტრფობას. შალვა დადიანი კი „აღძრავდა დროის საჭირბოროტო პრობლემას“, მაგრამ „ახლისათვის აქტიური მხარდაჭერის ნაცვლად ლოდინს ურჩევდა მკითხველებს, ვნახოთ, რა მოხდებაო“. ანალოგიური იყო კონსტანტინე გამსახურდიას განწყობა, რამდენადაც ღმერთს შესთხოვდა, გვიხსენიო. მართალია, თავად ჟურნალის რედაქცია თავის მოწოდებად თვლიდა „მხოლოდ სიყვარულს ქართული ხელოვნებისადმი“, რის გამო ამჯობინებდა „ლიტერატურული შკოლების გარეშე“ არსებობას, მაგრამ „განსაკუთრებული პრინციპებისაგან... გარეშე დოგმა“ ახალ ვითარებაში უკვე შეუძლებელი იყო და ჟურნალმაც „დაბადებისთანავე შეწყვიტა გამოსვლა“. ცხადია, ამაში დიდი როლი იმანაც შეასრულა, რომ ჟურნალი „არ იდგა მკვიდრ ადგილობრივ ნიადაგზე და ძირითადად თბილისელ მწერალთა ლიტერატურული პროდუქციით საზრდოობდა“.[1]

1924 წლის 14 დეკემბერს საინიციტივო ჯგუფი გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა აჭარისტანის“ გამოცემის წინადადებით. მისი მიზანი იქნებოდა მხარის შესწავლა ეკონომიკური, ყოფისა და სოციალურ ურთიერთობათა თვალსაზრისით. გაზეთს ექნებოდა 5 განყოფილება: ლიტერატურული, აღმოსაკლური, მეცნიერულ-ეკონომიკური, საბჭოთა საზოგადოებისა და სოციალისტური კულტურის საკითხები. ამასთან, თითოეულ განყოფილებას ექნებოდა თავისი ქვეგანყოფილება, რომელიც მოიცავდა მშენებლობას, სოფლის მეურნეობას, წიაღისეულს, ფლორას, ფაუნას და ა.შ. ჟურნალის გამოცემა ნავარაუდევი იყო ყოველთვე, ორ წიგნად, ქართულ და რუსულ ენებზე.[2]

1925 წლის დეკემბერში აჭარის ასსრ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველკვირეული საკუთარი ორგანოს „გოლოს ტრუდას“ გამოცემა. ჩამოყალიბდა სარედაქციო კოლეგია (ხარაბაძე, ჩუპრინი, იმედაძე, პირუმოვი, აბრამოვი), დაინიშნა რედაქტორი (ხარაბაძე). დადგენილება ავალებდა კავშირის მდივნებს „მიიღონ მხურვალე მონაწილეობა გაზეთის გა-

[1] იქვე, გვ. 6-7.

[2] აჭარის არ ცსა. ფონ. 2, აღწ. 1. საქ. 156, ფურც. 10.

მოცემაში და ჩაატარონ ფართო კომპანია კავშირის წევრთა შორის გაზეთის ხელის მოწერაზე“.[1]

1926 წელს გამოვიდა აჭარის პროლეტარულ მწერალთა ორგანო ჟურ. „აჭარისტანი“. მან ბრძოლა გამოუცხადა „აკადემიურ ასოციაციას“, აგრეთვე სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებს ანუ, როგორც თავად აღნიშნავდა, „ფუტურისტთა ფორმალისტურ ჩხირკედელაობას“ და იწყო ბრძოლა ლიტერატურაში პროლეტარული მწერლობის დამკვიდრებისათვის. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ „ისპირისაგან“ განსხვავებით „აჭარისტანი“ მონაწილეობდა 20-იანი წლების „ლიტერატურულ დაჯგუფებათა ურთიერთბრძოლაში და ფეხდაფეხ მიყვებოდა როგორც ქართულ, ისე რუსულ და საერთო საკავშირო ლიტერატურულ მოვლენებს“.[2]

საერთოდ, ჟურ. „აჭარისტანი“ უდღეური დარჩა. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მის ფურცლებზე ვერ თანამშრომლობდენ ადგილობრივი ავტორები. თავად სარედაქციო კოლეგიაც აღნიშნავდა: „აჭარისტანი ისე, როგორც საქართველოს ყოველი კუთხე, მდიდარია შემოქმედებითი ძალებით. თუ აქამდე ქართულ ლიტერატურაში აჭარელი მწერალი არ ჩანს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აჭარისტანი ყველასაგან მივიწყებული კუთხე იყო. ყველაზე ნაკლებად აჭარისტანის მცხოვრებთათვის ლიტერატურის ასპარეზი იყო გახსნილი. ეს საკითხი აქამდეც მოუგვარებელია. ბათუმში ჟურნალი არ იყო ამდენ ხანს, თბილისი კი შორს არის, ესეც არ იყოს, ძნელია ახალგაზრდებისათვის ჟურნალში შესვლა... განსაკუთრებით ეს ძნელია პროვინციისათვის, რომელიც ცენტრს დაშორებულია“.[3]

სხვა შორის, ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ჟურნალმა შემოიღო რუბრიკა „ახალი ძალების გამოფენა“. ამის გამო რედაქცია წერდა: „შეიძლება ბევრი ამ განყოფილებაში მოთავ-

---

[1] კრ. აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, გვ. 403.

[2] შ. ქურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[3] იქვე, გვ. 9.

სებულთაგან უნიჭო და უშედეგო დარჩეს, მაგრამ რედაქციას სჯერა, რომ აჭარისტანში ბევრი ხალასი ნიჭი აღმოჩნდება, რომ ჩვენი ჟურნალი ბევრს გაუკაფავს ლიტერატურული კარიერის ძნელ დასაწყისს. ხოლო აჭარაში, რომ ბლომად არიან პოეტური ნიჭით დაჯილდოვებულნი, ამას მოწმობს მდიდარი სახალხო პოეზია". ეს საპატიო დანაპირები ვერ შესრულდა — ჟურნალი მალე დაიხურა.[1]

1935 წლის 6 იანვარს ბათუმში გამოვიდა გაზ. „ლიტერატურული აჭარისტანის" პირველი ნომერი. რედაქტორი იყო გ. სულუხია — საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: — გრიგოლ გორგაძე, დავით დუმბაძე, ილია ქათამაძე, პარმენ ლორია, ჯემალ ნოღაიდელი, ლადო შარაშიძე და ნიკოლოზ კანდელაკი. გაზეთი იყო „ლელოს" ფორმატის 6 გვერდიანი, გემოვნებით ილუსტრირებული (მხატვრები თამარ აბაკელია, ნიაზ ხალვაში, კოტე გრძელიშვილი, ვლადიმერ კეშელავა). იგი, როგორც პირველი ნომრის მოწინავეშია აღნიშნული, მიზნად ისახავდა იმ „ბუმბერაზული წინსვლის მხატვრულ ჩვენებას", რამაც „შეარყია აჭარული ეგზოტიკა" და „ლენინის... ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების საფუძველზე აჭარისტანი გადავიდა ისტორიის დახლართული ვიწრო ბილიკებიდან შეუჩერებელი წინსვლის ფართო გზატკეცილზე". გაზეთი პირდებოდა მკითხველს, რომ გააცნობდა ძველ აჭარას, მშრომელთა ბრძოლას სოციალური და განთავისუფლებისათვის, გამოამზეურებდა მდიდარი ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს, დარაზმავდა ახალგაზრდებს და ლენინის ანდერძის განუხრელი შესრულებით ლიტერატურას გახდიდა „ჩვენი საერთო პროლეტარული საქმის ნაწილად". რამდენადაც ამ ვრცელი პროგრამის დამოუკიდებლად მიღწევის ძალა მაშინდელ კავშირს ნაკლებად გააჩნდა, ამდენად მას ფართო საზოგადოების დახმარების იმედი ჰქონდა. კიდეც აღნიშნავდა მოწინავეში: „თუმცა სუსტნი ვართ ჩვენ ჯერ მხატვრულ ლიტერატურაში, ჩვენი ძალები გაუწაფავია, ჩვენს სურ-

[1] იქვე.

ვილს, სამწუხაროდ, ჩვენი ღონე არ ეთანაბრება. ამიტომ დახმარებას ესაჭიროებთ და გვაქვს იმედი, სადაც ჩვენ გამოვდგებით ულონო, იქ საქართველოს კულტურული ძალები დაგვეხმარება".

საინტერესოა, რომ გაზეთი იბეჭდებოდა 4-ათასიანი ტირაჟით და მთელ საქართველოში ვრცელდებოდა.

უაღრესად მრავალფეროვანი იყო გაზეთის შინაარსი. მის ფურცლებზე აჭარის ცხოვრების ამსახველი მასალების გარდა დაბეჭდილი ლიტერატურულ–კრიტიკული სტატიები: ნარკვევები, წერილები მხატვრობაზე თუ ბავშვთა თვითშემოქმედების ოლიმპიადებზე, ნოველებზე, მოთხრობები, პოემები, თარგმანები, ფოლკლორული ნიმუშები, მათ შორის აჭარული ხალხური „ვეფხისტყაოსანი" პროზად (ჯემალ ნოღაიდელის ჩაწერილი) და სხვ. ყველა მასალა „ერთ გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა – ახალი ადამიანის აღზრდას, მასში კომუნისტური იდეალების ჩანერგვას, პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობების გაღვივებას."[1] გაზეთში გამოქვეყნებული მასალების ავტორებია ვახტანგ კოტეტიშვილი, აკაკი ფაღავა, ნიკოლოზ კანდელაკი, ჯემალ ნოღაიდელი, ილიას ქათამაძე, ლადო შარაშიძე, პოეტები ტიციან ტაბიძე, კარლო კალაძე, ხარიტონ ვარდოშვილი, ვარლამ ჟურული, ნესტორ მალაზონია, გრიგოლ ცეცხლაძე, აგრეთვე ახალგაზრდა დამწყები პოეტები თინა ჩიხლაძე, ფატი დადიანი, ალექსანდრე ჯორბენაძე, გრიგოლ აფხაზავა და ა.შ.

„ლიტერატურული აჭარისტანის" გამოცემა შეწყდა 2 თვის შემდეგ, სავსებით მოულოდნელად, ისე რომ სარედაქციო კოლეგიას არავითარი განცხადება არ გამოუქვეყნებია. სხვათა შორის, მაშინ შეწყვიტა არსებობა აგრეთვე ქუთათურთა ლიტერატურულმა გაზეთმა „სიტყვა და საქმე". ასე რომ, 1935 წლის მარტიდან ჩვენში გამოდიოდა მარტო ერთი „ლიტერატურული საქართველო."[2]

---

[1] შ. ქურიძე, წარსულის ფურცლები, ბათ., 1982, გვ. 131–132.

[2] იქვე, გვ. 154.

მას შემდეგ ბათუმში ასეთი გაზეთი აღარ გამოსულა, თუ არ ჩავთვლით ამა თუ იმ პოეტისადმი ანდა ლიტერატურული მოვლენისადმი მიძღვნილ სპეციალურ ერთდროულ ნომერს.

აღნიშნულის გარდა, 20-იან წლებში ბათუმში გამოდიოდა აგრეთვე გაზეთები: ბერძნულად „კომუნისტი“ და „ხარაუნგ“ („განთიადი“) და თურქულად „ენი ხაიათ“ („ახალი ცხოვრება“), აჭარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო ალმანახი „სანაპირო“ და „სიტყვა ტრიბუნიდან“ (1928 წ.), ხოლო მოგვიანებით „ლიტერატურულ სადარაჯოზე“ (1932 წ.).

გვაქვს შეუმოწმებელი ცნობა, რომ 30-იანი წლების დამლევს აჭარაში (ბათუმი) იბეჭდებოდა 7 გაზეთი.

პრესა-ჟურნალისტიკასთან ერთად, ახალი ხელისუფების ყურადღების არეალში იყო საბჭოთა საგამომცემლო სისტემის ორგანიზება. საქართველოს რევკომის 1921 წლის 5 ივლისის №49 დეკრეტით გამოცხადდა ტიპო-ლითოგრაფიის ყველა საწარმოს ნაციონალიზაცია, რითაც საგამომცემლო საქმე სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მართალია, რევკომმა 1921 წლის 25 ნოემბრის დეკრეტით კი დაუშვა კერძო ამხანაგობებისა და არტელების მიერ წიგნების გამოცემა, მაგრამ მხოლოდ განათლების სახალხო კომისარიატის მკაცრი კონტროლის ვითარებაში. ასე რომ, ახალი ხელისუფლების ხელთ რჩებოდა წიგნის ბეჭდვა–გავრცელების საკომანდო სიმაღლეები.

როგორ ვითარდებოდა ეს პროცესი აჭარაში? 1921 წლის 20 მარტს შეიქმნა სახალხო მეურნეობის ბათუმის საბჭო 14 განყოფილებით. მათ შორის იყო საგამომცემლო განყოფილებაც, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 25 მარტს. იგი მაშინვე შეუდგა არსებული სტამბების ნაციონალიზაციას. კერძო მფლობელებს ჩამოართვეს 8 სტამბა და 2 ლითოგრაფია. მათგან ერთი გადაიეცა ბათჩეკას, ორი კი გააერთიანეს მცირემწარმოებლურობის გამო. ასე რომ, 1922 წლისათვის აჭარის პოლიგრაფიულ ბაზას შეადგენდა 5 სტამბა, 1 ლითოგრაფია და 1 სამკინძაო. 1922 წლისათვის ყველა ეს საწარმო ე.წ. საბაევის სახლში განლაგდა.

1923 წლის ივნისში მუშაობას შეუდგა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ლიტერატურისა და გამომცემლობების მთავარი სამმართველოს განყოფილება. არსებობდა ორი კომისია: სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურისა. თავის მხრივ ეს უკანასკნელი იყოფოდა ქართულ, რუსულ და ნაცუმცირესობათა სექციებად.

ამავე დროს განათლების კომისარიატმა მოაწყო წიგნისა და ქაღალდის მაღაზიების, აგრეთვე ჯიხურების რეგისტრაცია. 1924 წელს ბათუმში გაიხსნა ლენინგრადისა და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობების მაღაზიები, რომელთა მეშვეობით ვრცელდებოდა ამ უკანასკნელთა გამოცემული წიგნები. მან 1931 წლამდე იარსება.

1925 წელს ჩამოყალიბდა პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტი, რომელიც გეგმავდა, არეგულირებდა და ხელმძღვანელობდა მთელ პოლიგრაფიულ სისტემას.

1921-1930 წწ. აჭარაში გამოიცა სულ 89 დასახელების წიგნი. მათგან ქართულად — 63, რუსულად — 24, თურქულად და ბერძნულად — თითო, ძირითადად პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ლიტერატურა. სახელმძღვანელოები არ გამოუშვიათ.

1931 წლის 18 მაისს დაარსდა აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა.[1] დამტკიცდა მისი დებულებაც. იმავე წლის 5 ივნისს შეიქმნა გამომცემლობის გამგეობა 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. გამგედ (1937 წლიდან დირექტორი) დაინიშნა ზ. მჟავია, გამომცემლობის მმართველობის თავმჯდომარედ - ს. ლორთქიფანიძე. გამომცემლობის პირველი წიგნი იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის სახელმძღვანელო ი. ჟღენტისა და ლ. ჩიმაკაძის ავტორობით „ჩვენი წიგნი". დაიბეჭდა 12-ათასიანი ტირაჟით.

გამომცემლობას მაშინ სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა. სტამბებს გააჩნდათ 30-40 წლის მოძველებული მოწყობილობა, რომელიც განუწყვეტელ რემონტს საჭიროებდა. ეს კი უარყოფითად მოქმედებდა შესრულებული სამუშა-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 4 აღწ 1. საქ. 533, ფურც. 55.

ოს ხარისხზე, აგრეთვე მწარმოებლურობაზე, ამიტომ 1934 წელს შეიმუშავეს მისი რეკონსტრუქციის სპეციალური პროექტი, რომელიც 1935 წლისათვის უნდა განეხორციელებიათ. საამისოდ გამოიყო მაშინდელი კურსით 300 ათასი მანეთი. თანხების უკმარისობის გამო საქმე სანახევროდაც ვერ გაკეთდა.

1939 წელს გადაწყდა სტამბისათვის სპეციალური შენობის აგება, მაგრამ არც მაშინ და არც 1940 წელს ეს არ განუხორციელებიათ. შემდეგ ომიც დაიწყო და საამისოდ არავის ეცალა.

სტამბის მცირე მწარმოებლურობის გამო გამომცემლობა სისტემატურად ვერ ასრულებდა გეგმებს. მაგ., 1936 წელს შესრულდა 19,2%, 1937 წელს - 48,7%, 1939 წელს – 82,3%, 1940 წელს – 42,3%. გეგმის შესრულებას ყოველწლიურად აფერხებდა ქაღალდის უკმარისობაც.

1931-1941 წლებში (ომის დაწყებამდე) აჭარაში გამოსცეს 242 სახელწოდების წიგნი, 1921-1941 წწ. კი მათგან ქართულად – 244, რუსულად – 85, თითო – თურქულად და ბერძნულად.

დაბეჭდილი წიგნები იყო მასობრივი ტირაჟით გამოცემული ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები, სსრკ, საქართველოს და აჭარის კონსტიტუციების ტექსტები, საარჩევნო დებულებები, აგრეთვე რევოლუციურ-ისტორიული თემატიკის წიგნები: ვ. თოდრიას „მოგონებანი რევოლუციური მოძრაობის შესახებ საქართველოში“, თ. ჟღენტის „1905 წელი გურიაში“, დოკუმენტების კრებული „1905 წელი. ბარიკადები ბათუმში“ და სხვ.

საერთოდ პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის ხვედრითი წილი განუხრელად იზრდებოდა. 1921-1930 წლებში დაბეჭდეს 46 დასახელების წიგნი, ხოლო 1931-1941 წლებში კი – 93, ე.ი. ორჯერ მეტი.

გამომცემლობა ბეჭდავდა საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას. 1936 წლიდან გამოსცეს „ბათუმის სუბტროპიკული ბოტანიკური ბაღის უწყებები“, ს. გინკულის „მაგნოლიები საბჭოთა სუბტროპიკებში“, ა. კოჟინას და ვ. შაინიძის „აჭარის ციტრუსები“, ვ. შანიძის „ავოკადო“

და სხვ. სულ 1921-1941 წლებში (ომამდე) დაიბეჭდა 25 სასოფლო-სამეურნეო დასახელების წიგნი, მათგან 13 – ქართულ ენაზე.

გამომცემლობა ყოველწლიურად ზრდიდა გამოცემული სახელმძღვანელოების რიცხვსაც. 1921-1941 წლებში გამოვიდა 79 დასახელების სასწავლო-პედაგოგიური ხასიათის წიგნი, მათ შორის 75 ქართულ ენაზე.

კინო, რადიო

საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია აჭარაში კინოსა და რადიოს განვითარებას. 1922 წლისათვის ბათუმში არსებობდა 5 კინო („აპოლო", „ბოგატირ" „ტრიუმფი", „ილუზიონი", „პალასი"), მაგრამ მათგან მხოლოდ 3 მუშაობდა. ამასთან, ისინი მხოლოდ ქალაქს ემსახურებოდნენ.

საგულისხმოა, რომ სათანადო საბრუნავი თანხების არარსებობის გამო, ნაციონალიზაციის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების განკარგულებით, თავდაპირველად კინოები იჯარით ჰქონდათ აღებული ცალკეულ მოქალაქეებს. მათ მუშაობას იდეურად ხელმძღვანელობდა ანდა აკონტროლებდა პოლიტგანი. ასეთ ვითარებაში კინომომსახურებას არსებითი გაუმჯობესება არ დატყობია. მოძრავი დანადგარების უქონლობის გამო მეპატრონეები ვერ ახერხებდნენ სოფლად გასვლას და უწინდებურად ფილმების ქალაქში დემონსტრირებით კმაყოფილდებოდნენ. ამიტომ პარტიის საოლქო კომიტეტის 1924 წლის 4 იანვრის დადგენილებით გაუქმდა კერძო პირებზე იჯარის პრაქტიკა და ამიერიდან კინოები უშუალოდ პოლიტგანს დაექვემდებარა ამან კინოსურათების ჩვენებას ორგანიზებული ხასიათი მისცა და გარკვეულად გააუმჯობესა „მოსახლეობის მომსახურება".[1] დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კინო სტაციონარების მოწყობას რაიონულ ცენტრებშიც (ხულო, ქედა, აჭარისწყალი), რადგან მოძრავი დანადგარები, სხვადასხვა მიზეზის გამო, შეფერხებით მუშაობდნენ და ვერ ახერხებდნენ შორეულ სოფლებში გასვლას.

---

[1] დ. დიასამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ 58.

1932 წლიდან კინოს ხელმძღვანელობის სფეროში არსებითი ცვლილება მოხდა. 26 მაისს აჭარის ასსრ ცაკის დადგენილებით ჩამოყალიბდა კინოფიკაციის კომიტეტი.[1] მის ფუნქციას შეადგენდა კინოქსელებისა და კინოთეატრების მუშაობაზე კონტროლი, ხელმძღვანელობა, ინსტრუქტაჟი, რეპერტუარის შედგენა, ანგარიშის წარდგენა საქართველოს კინოფიკაციის კომიტეტში და სხვ. ამ სახით კომიტეტი არსებობდა 1939 წლამდე. 26 აგვისტოს იგი გარდაიქმნა აჭარის კინოფიკაციის სამმართველოდ.[2] ახალი დებულების თანახმად სამმართველო წარმართავდა კინოფიკაციის მთელ საქმიანობას, აწყობდა სხვადასხვა ღონისძიებას, მიმოიხილავდა კინომომსახურების საკითხებს.

ხმოვანი კინო ნამდვილი გადატრიალება იყო მასობრივი ინფორმაციის ამ საშუალების როლსა და ადგილზე საზოგადოებაში. 1935 წლის 27 თებერვალს აჭარის ასსრ ცაკმა განიხილა სარაიონო ცენტრებში ხმოვანი და მოძრავი კინოდანადგარების ქსელის მოწყობა–გაფართოების საკითხი და დაადგინა: „სახკინმრეწვის ბათუმის განყოფილებამ 1935 წლის პირველი ნახევარის განმავლობაში მოაწყოს ხმოვანი კინოები შემდეგ სარაიონო ცენტრებში: ხულო, ქედასა და ქობულეთში“, რისთვისაც ადგილობრივ რაიაღმასკომებს უნდა გაეღოთ 1935 წლის ბიუჯეტიდან 35 ათასი მანეთი.[3]

* * *

კინოსთან ერთად, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები აქტიურად შრომობდნენ რადიოფიკაციის საქმის თანამედროვე ამოცანების დონეზე დაყენებისათვის. 1936 წლის 25 იანვარს, მაგ., ბათუმში რადიფიკაციისა და რადიოგადაცემათა გაუმჯობესების საკითხი სპეციალურად განიხილა აჭარის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა. სხდომაზე საგანგებოდ აღნიშნა ბინების რადიოფიცირების

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ 1. საქ. 120, ფურც. 437.
[2] იქვე, ს. 1019, ფ. 21; ს. 7, ფ. 3.
[3] აჭარის არ ცსა. ფონ. 4 აღწ. ს. 800, ფურც. 21.

დაბალი დონე (სულ იყო 670 წერტილი), აგრეთვე სუსტი აპარატურა, ხაზების არასწორი დამონტაჟება, ცუდი სმენადობა, ცელადი დენის არარსებობა, ხელოსანთა დაუდევრობა და სხვ., რის გამოც 1935 წლის დეკემბერში და 1936 წლის იანვარში რადიოკვანძი ქალაქში 21 დღეს არ მუშაობდა. მიღებულ დაგენილებაში ჩამოთვლილი იყო „საგანგებო ღონისძიებანი“ (10 ათასამდე ბინის რადიოფიცირება, 500-ვატიანი გამაძლიერებლის შეძენა–დაყენება, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის გაძლიერება, თეატრის წარმოდგენების ტრანსლაცია და სხვ.), რასაც უნდა მოჰყოლოდა ამ სფეროში არსებული ჩამორჩენილობების ლიკვიდაცია, განსაკუთრებით კი „ყველა მშრომელის ბინაში რადიოს დამკვიდრება“.[1]

1936 წლის 7 თებერვალს აჭარის ასსრ ცაკმა ისევ განიხილა ამ დარგში არსებული მდგომარება. გამოირკვა, რომ აჭარაში არსებული 42 წერტილიდან მოქმედებდა მხოლოდ 13. ასეთი მძიმე ვითარება იყო განათლების სახალხო კომისარიატის მხრივ სუსტი ხელმძღვანელობის შედეგი. თურმე „რადიოლაბორატორია გადაიტვირთა ქალაქის სამუშაოებით და ჩაშალა რადიო–ქსელის 1935 წლის გეგმა“. ამასთან, რადიოფიკაციაზე გამოყოფილი 47 ათასი მანეთიდან დანიშნულებისამებრ არ გამოუყენებიათ 5324 მანეთი. ამიტომ ცაკ-ის პრეზიდიუმმა დაადგინა „50 მოქმედი რადიოწერტის მოწყობა ყველა სასოფლო საბჭოში და მთავარ სოფლებში“.[2]

აჭარის ხელმძღვანელი ორგანოები მომდევნო პერიოდშიც ყურადღებას უთმობდნენ რეგიონის რადიოფიკაციას. 1939 წლის 29 სექტემბერს აღნიშნული საკითხი მოისმინა აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ და მიიღო დადგენილება სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებში რადიო-მომსახურების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. სახკომსაბჭომ ამჯერადაც მიუთითა, რომ „რადიომომსახურების საქმე ისევ ძალზედ მოისუსტებს“, განსაკუთრებით სოფლად, სადაც „არსებუ-

---

[1] ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, გვ. 425-426.

[2] იქვე, გვ. 427.

ლი რადიომიმღებები უმოქმედოდ დევს და გამოისულია ხმარებიდან."[1] სახკომსაბჭომ მკაცრად მოსთხოვა რაიაღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელებს ორი კვირის ვადაში უზრუნველყოთ აპარატები საჭირო სათადარიგო ნაწილებით და სათანადო რემონტის საფუძველზე შეძლონ დადუმებული რადიომიმღებების ამუშავება, თან მოაწყონ პერიოდული კურს-კონფერენციები კლუბების გამგეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად."[2]

[1] იქვე, გვ. 431.
[2] იქვე, გვ 431–432.

თავი II
ფაშისტური გერმანიის თავდასხმა სსრ კავშირზე

§ 1. სამხედრო სამობილიზაციო და თავდაცვითი საქმიანობა

1939 წლის სექტემბერში ფაშისტურმა გერმანიამ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო ევროპის ცენტრში, ხოლო მისმა მოკავშირეებმა – იაპონიამ და იტალიამ ომი გააჩაღეს შორეულ აღმოსავლეთსა და აფრიკაში. გერმანიამ მოკლე დროში დაიპყრო 16 ქვეყანა, უხეშად დაარღვია საბჭოთა კავშირთან 1939 წლის 23 აგვისტოს დადებული პაქტი და 1941 წლის 22 ივნისს, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. 153 კბილებამდე შეიარაღებულმა ფაშისტურმა დივიზიამ სსრკ საზღვრები გადმოლახა.

ქვეყანა ომში ჩაება, მთელი სახალხო მეურნეობა ომის რელსებზე გადავიდა და ყველაფერი მტერზე გამარჯვების ინტერესებს დაექვემდებარა.

მტერი 1940 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული ე.წ. „ბარბაროსას“ გეგმით მოქმედებდა და ელვისებური ომით აპირებდა მოწინააღმდეგის განადგურებას, მაგრამ ვეღარ მოახერხა, რადგან ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომელსაც არ ელოდა.

ომის პირველსავე დღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება სამხედრო მდგომარეობისა და 1905-1918 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა მობილიზაციის შესახებ.[1]

24 ივნისს შეიქმნა საევაკუაციო საბჭო ფრონტისპირა ოლ-

---

[1] „სკკპ ყრილობის, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ (შემდეგში: „სკკპ... რეზოლუციებში“), ტ.7, გვ. 211 (რუსულ ენაზე).

ქებიდან ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში სამრეწველო საწარმოების, მეცნიერების, კულტურისა და განათლების დაწესებულებების გადატანის, აგრეთვე მოსახლეობის გადაყვანის მიზნით.[1]

1941 წლის 29 ივნისს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღეს დირექტივა „ფრონტისპირა ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი", რომელშიც ჩამოყალიბებულია ქვეყნის, როგორც ეკონომიკის, ისე მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სამხედრო ყაიდაზე გადაყვანის პროგრამა. ამ პროგრამით ხალხის მოქმედების მთავარი დევიზი გახდა: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!"[2]

1941 წლის 30 ივნისს შეიქმნა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით, განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ომის დროს. იმავე წლის 19 ივლისს ი. ბ. სტალინი დაინიშნა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრად, ხოლო აგვისტოში — საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად.[3]

1941 წლის 3 ივლისს რადიოთი გამოვიდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი. მან სსრ კავშირის ხალხებს გააცნო 29 ივნისის დირექტივის შინაარსი, მოუწოდა მოსახლეობას შეეგნოთ ომის სიმძიმე, საფრთხის მთელი სიღრმე და გარდაექმნათ მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაექვემდებარებინათ ფრონტის ინტერესებისა და მტერზე გამარჯვების ამოცანებისადმი, ყოველგვარი დახმარება გაეწიათ ფრონტისათვის, განემტკიცებინათ არმიისა და ფრონტის ზურგი.[4]

---

[1] იქვე, გვ. 212.

[2] იქვე, გვ. 221.

[3] საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, ი. კაჭარავას რედაქციით, თბ., 1984, გვ. 399.

[4] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ,

აჭარა შეუდგა მტრის განადგურებისათვის დასახული ფართო პროგრამის განუხრელად განხორციელებას. პირველ რიგში განხორციელდა ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატების განმტკიცების ღონისძიებები. დროულად იქმნებოდა დამატებითი გასაწვევი პუნქტები, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები წვევამდელთა შორის ეწეოდნენ პოლიტიკურ, სამხედრო-პატრიოტულ და კულტურულ მასობრივ მუშაობას. ავტონომიური რესპუბლიკა ისე, როგორც მთელი ქვეყანა, მთლიანად მოიცვა მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის განწყობილებამ. ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართებოდა სახელდახელო ხალხმრავალი მიტინგები. ამით აჭარის მოსახლეობა, სხვა ხალხებთან ერთად, ერთსულოვნად გამოხატავდა აღშფოთებას ვერაგი ფაშისტების წინააღმდეგ და მზადყოფნას სამშობლოს დასაცავად. „ძლევამოსილ წითელ არმიასთან ერთად ვიბრძოლებთ მტრის მთლიანად განადგურებისათვის"! –აცხადებდნენ ისინი მიტინგებზე. მიტინგის ბევრი მონაწილე სურვილს გამოთქვამდა დაუყოვნებლივ ჩამდგარიყო მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. მართლაც, ასეც მოხდა. მობილიზაციის ოფიციალურად გამოცხადებისთანავე, ქობულეთის რაიონის სამხედრო კომისარიატში ასამდე განცხადება შევიდა.[1] 22 ივნისს აჭარის სამხედრო კომისარიატში ერთ-ერთი პირველი გამოცხადნენ ბათუმელი პედაგოგები კ. ჩხარტიშვილი, ი. დიასამიძე, მილიციის მუშაკი გ. რუსიძე და ბევრი სხვა.[2] ხულოს რაიონის სამხედრო კომისარიატში ფრონტზე წასვლა მოითხოვეს: ჩ. ბერიძემ, ა. ძირკვაძემ, მ. ბერიძემ, შ. ხარაბაძემ, ო. ძირკვაძემ, ს. ბერიძემ,[3] - სულ სამასამდე ახალგაზრდამ, რო-

---

თბ., 1951, გვ. 22-23.

[1] საქართველოს პრეზიდენტის არქივი (შემდგომში სპა), ფ. 14, აღწ. 1, ს. 11676, ფ. 42.

[2] გაზეთი „საბჭოთა აჭარა", 26 ივნისი, 1941.

[3] ა. თაყართქილაძე, კომკავშირი აჭარის მთიანეთში, ბათუმი, 1979, გვ. 42.

მელთაგან 224 სახელოვანი ვაჟკაცი გმირულად დაეცა მოსკოვისა და სტალინგრადის, ბრესტისა და სევასტოპოლის, კავკასიის და უკრაინის მისადგომებთან, ბალტიისპირეთისა თუ ლენინგრადის მიწებზე და სხვ. ქედის სამხედრო კომისარიატში ომის პირველ დღესვე 13 კაცი გამოცხადდა ფრონტზე მოხალისედ წასვლის სურვილით.[1]

მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩნენ. აჭარიდან სულ 900-ზე მეტი ქალი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, მათ შორის 80-მდე ქალიშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტიდან[2] (ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტი).

წითელი არმიის რიგებში წვევამდელთა მობილიზაცია წარმატებით მიმდინარეობდა. მობილიზაციის გამოცხადების დღიდან 1941 წლის 1 სექტემბრამდე აჭარიდან წითელი არმიის რიგებში გააცილეს 8.334 კაცი.[3] მარტო მოხალისე ახალგაზრდობის ოთხი გაწვევა განხორციელდა: პირველი – 1941 წლის სექტემბერში, მეორე – იმავე წლის ნოემბერში, შემდეგ ორი – 1942 წელს; პირველი მობილიზაციით, 1941 წლის სექტემბერში, ფრონტზე გააცილეს: ქ. ბათუმიდან – 77, ქობულეთის რაიონიდან – 25, ბათუმის (ამჟამად ხელვაჩაურის) რაიონიდან – 16 ახალგაზრდა. მეორე მობილიზაცია ამიერკავკასიის ფრონტის შევსებას ემსახურებოდა. ამჯერად ქ. ბათუმიდან გააცილეს 120 ახალგაზრდა. მესამე და მეოთხე მობილიზაციით ფრონტზე საავიაციო და სატანკო ნაწილებში მოხალისეებად გააგზავნა ქ. ბათუმიდან – 52, ქობულეთის რაიონიდან – 20, ბათუმის რაიონიდან – 5.[4]

---

[1] რ. ართმელაძე, სამშობლოს სახელოვანი შვილები (რუსულ ენაზე), ბათუმი, 1972, გვ. 213.

[2] აჭარის არქივთან არსებული ცსა პპოგ, ფ.1, აღწ. 6, ს. 119, ფ. 79; ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1941-1945 წ.წ.), გამოცემა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2005, გვ. 84 (შემდგომში: დასახ. წიგნი).

[3] აჭარის არ ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 6, საქ. 119, ფურც. 79

[4] ს. დუმბაძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის

ომის მძიმე დღეებში ფრონტზე წავიდნენ აჭარის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კულტურისა და მეცნიერების მუშაკები: საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ი. ი. ოქრუაშვილი, პარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანი ვ. გ. სურგულაძე; საბჭოთა, სამეურნეო პრესის მუშაკები: პ. ს. ციცხვაია, ტ. ლ. მჟავია, გ. ი. ტიკარაძე, ი. ი. მელაშვილი, ი. ა. სუთიძე, კ. შ. დობორჯგინიძე, გ. ნ. გაბუნია, ი. ა. ვადაჭკორია, ა. ს. კობახიძე, ა. მ. სულამანიძე, ნ. ნ. სამსონია, ი. ხ. დიასამიძე,[1] ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი ნური ნიჟარაძე და კიდევ სხვადასხვა დროს, 26 პროფესორ-მასწავლებელი და 232 სტუდენტი.[2]

ომის წლებში ერთ-ერთი საზრუნავი იყო რეზერვების მომზადება არმიის რიგების პერიოდულად შევსებისათვის.

ომის დაწყებასთან დაკავშირებით წითელი არმიის რიგების შესავსებად, მოქალაქეთა მობილიზაციასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობოდა მოსახლეობის საყოველთაო-სამხედრო მომზადებას.

1941 წლის 17 სექტემბერს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის მოქალაქეთათვის საყოველთაო-სამხედრო საქმის შესწავლის შესახებ.“ იმავე წლის 1 ოქტომბრიდან სსრ კავშირის 16-50 წლის მამრობითი სქესის მოქალაქეებისათვის შემოიღეს საჯალდებულო-სამხედრო სწავლება.[3]

აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად სათანადო მუშაობა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. მოსახლეობის საყოველთაო-სამხედრო მომზადების საქმეს წარმართავდნენ სამხედრო კომისარიატები. ამ მუშაობის გასაძლიერებლად აჭარაში პარტიისა და

წლებში (1941-1945), ბათუმი, 1983 გვ. 13.

[1] აჭარის არ ცსა, პპოგ, ფონ. 17, აღწ. 22, საქ. 518, ფურც. 10, 109, 140.

[2] ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცელი, ბათუმი, 1996, გვ. 13.

[3] История Коммунистической Партии Советского Союза, т.5, кн. 1, стр. 311.

კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში შეიქმნა სამხედრო განყოფილებები, აგრეთვე სამხედრო დარგში მდივნის, ხოლო საქალაქო და რაისაბჭოების აღმასკომებთან თავმჯდომარის მოადგილის შტატები. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ოპერატიულად განხორციელებასა და მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. მოეწყო საყოველთაო-სამხედრო სწავლებაში ჩაბმულთა აღრიცხვა, დაზუსტდა მოსამზადებელი კონტინგენტი და სხვა. საწარმოო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა შესაკრები პუნქტები. შედგენილ იქნა მეცადინეობების ჩატარების განრიგი და რეგლამენტი, ჩამოყალიბდა მსმენელთა ჯგუფები, რომელთა ხელმძღვანელებად შეარჩიეს სამხედრო საქმის გამოცდილი სპეციალისტები. აჭარისა და მისი რაიონების ხელმძღვანელი ორგანოებო სისტემატურად იხილავდნენ საკითხებს მოსახლეობის სამხედრო სწავლების მიმდინარეობის შესახებ. მიღებულ დადგენილებებში ანალიზი უკეთდებოდა გაწეულ მუშაობას, ჯამდებოდა მისი შედეგები და ისახებოდა პრაქტიკული, კონკრეტული ღონისძიებები ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ომის პერიოდში ქვეყანაში მოეწყო საყოვალთაო-სავალდებულო სამხედრო მომზადების სისტემაში ჩაბმულ მებრძოლთა ხუთი, ხოლო აჭარაში ექვსი რიგის სწავლება. იგი მოეწყო ქ. ბათუმში ქობულეთის რაიონში, სადაც მომზადდა 60 დაზგის მეტყვიამფრქვევე და ამდენივე სნაიპერი.[1]

საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლების ერთი დამატებითი რიგის ჩატარება იმაზე მიუთითებს, რომ აჭარას, როგორც ფრონტისპირა საქართველოს შემადგენელ ნაწილს, ეძლეოდა—თავდაცვის კადრებისა და საბჭოთა არმიის რეზერვების მომზადების დიდი დავალებები, რასაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა წარმატებით ახორციელებდა.

---

[1] ს. დუმბაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 19 (მასალები იხ. იქვე).

გარდა ამისა, დაიწყო საქალაქო და რაიონული აქტივის სამხედრო მომზადება. 1941 წელს სწავლებაში ჩაბმული იყო 296 აქტივისტი. ეს მუშაობა გრძელდებოდა ომის მთელ პერიოდში.

არმიის რეზერვების მომზადებისა და მოსახლეობის სამხედრო სწავლებაში ჩაბმისათვის აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატებთან შეიქმნა წრეები, რომლებშიც ახალგაზრდები სწავლობდნენ სამხედრო ტექნიკას. ისინი ამზადებდნენ საბრძოლო იარაღს და სასწავლო ნივთებს. ომის დაწყებიდან 1942 წლის მაისამდე მათ დაამზადეს და სამხედრო ნაწილების შტაბებს ჩააბარეს: 1350 ხელყუმბარა, ტანკის 11 მოდელი, 830 შაშხანა, 150 სხვადასხვა სამხედრო სასწავლო ნივთი. 1944 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლება გაიარა 1050 ახალგაზრდამ, მომზადდა 108 სნაიპერი, 71 მეავტომატე, 204 მეტყვიმფრქვეველი, 44 ტანკის გამანადგურებელი, 22 მესანგრე.[1]

ჰიტლერული გერმანიის მიერ კავკასიაზე შეტევის გაძლიერების დროს, 1942 წლის აგვისტოში სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატმა მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლების სისტემაში სამთო მსროლელთა ახალგაზრდული ქვეგანყოფილებების შექმნის შესახებ. ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო დაჩქარებული წესით 4.500 სამთო მსროლელის მომზადება. ეს ამოცანა დაევალათ საქართველოს მთიან რაიონებს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის მითითებით ქ. ბათუმის სამხედრო გარნიზონის ხელმძღვანელობამ აჭარაში შექმნა სამთო-მსროლელთა ახალგაზრდული შენაერთი, რომელიც დაკომპლექტდა 1926 წელს დაბადებული წვევამდელებით. მასში გაერთიანებული ახალგაზრდები გადიოდნენ სპეციალურ წვრთნას მთებზე გადასვლაში, განსაკუთრებით, ზამთარში. დიდი ყურადღება ექცეოდა თხილამურების მარჯვედ გამოყენებას, ზუსტად სროლას და ა.შ. ამ მიზნით ეწყობოდა

---

[1] ნ. პატარაია, აჭარის კომკავშირული ორგანიზაცია ისტორიიდან, ბათუმი, 1985, გვ. 138.

სისტემატური მეცადინეობები და მასობრივი შეჯიბრებები. სამთო-მსროლელთა გაერთიანებაში მომზადდა 350 სხვადასხვა სამხედრო სპეციალისტი, მათ შორის 100 ქალი. ეს კონტინგენტი სპეცგაწვევის მეშვეობით პერიოდულად ავსებდა წითელი არმიის რიგებს. ამ ხაზით დავალება წარმატებით ხორციელდებოდა.

ფაშისტური გერმანიის სარდლობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის დროს დიდ იმედებს ამყარებდა ე.წ. „მეხუთე კოლონაზე". მათი ანგარიშით ამ მოღალატეებს უნდა მოეშალათ სსრ კავშირის ერთიანობა და სიმტკიცე, შეეტანათ სრული ქაოსი ზურგში, ხელთ ეგდოთ და მოესპოთ ქვეყნის ეკონომიკური და სტრატეგიული რაიონები, თუ სამხედრო ბაზები. ამ მიზნით საბჭოთა ზურგში გზავნიდნენ თავიანთ ჯაშუშებსა და დივერსანტებს, იყენებდნენ სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებს, საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ პირებს.

აღნიშნული მდგომარეობა და მტრის მიერ ჩაფიქრებული ვერაგული ზრახვები საბჭოთა მოქალაქეებისაგან მოითხოვდა მაქსიმალურ სიფხიზლეს. სწორედ ამიტომ, მტრის საპარაშუტო დესანტებისა და დივერსანტების წინააღმდეგ საბრძოლველად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 24 ივნისის დადგენილებით შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებიც მოქმედებდნენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ოპერატიული ხელმძღვანელობით.

1941 წლის ივნისის ბოლომდე გამანადგურებელი ბატალიონები შეიქმნა საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში. აჭარაში ეს ღონისძიება გატარდა ორი დღის განმავლობაში. 1941 წლის 26 ივნისისათვის აჭარაში შინაგან საქმეთა განყოფილებებთან შეიქმნა ერთი საქალაქო და ოთხი რაიონული გამანადგურებელი ბატალიონი, 40-მდე ქვეჯგუფით.[1]

ზემდგომი საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებით, არმიის შენაერთებსა და გამანადგურებელ ბატალიონებში გაუქ-

[1] ს. დუმბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 86 (მასალები იხ. იქვე).

მდა სამხედრო კომისრების ინსტიტუტი და შეიქმნა მეთაურთა მოადგილეების თანამდებობა პოლიტიკურ ნაწილში. ანალოგიური გარდაქმნა ჩატარდა აჭარაში არსებულ გამანადგურებელ ბატალიონებშიც.[1] ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო გამანადგურებელ ბატალიონთა რიგების განმტკიცებისა და ქმედითუნარიანობის ამაღლებას. გამანადგურებელი ბატალიონების შექმნის შემდეგ აჭარაში განსაკუთრებით გაძლიერდა სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები, ფართოდ გაიშალა ბომბსაფარებისა და გაზსაფარების მშენებლობა.

1941 წლის 26 სექტემბერს აჭარის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით დაწესდა ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და გზაჯვარედინების დაცვა. 1942 წლის 20 ივლისს, როცა მტერი კავკასიას მოადგა და წინ მოიწევდა,აჭარის ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება აჭარის თავდაცვის ობიექტებზე, სასაზღვრო კოლმეურნეობებსა და სოფელ ადგილებში სადღეღამისო მორიგეობის დაწესების შესახებ. ამ დადგენილების განხორციელებაში მთავარი როლის შესრულება გამანდგურებელ ბატალიონებს დაეკისრათ.

გამანადგურებელი ბატალიონების ქვეჯგუფები შექმნილი იყო აჭარის თითქმის ყველა დაწესებულებასთან, საწარმოსთან, სასოფლო საბჭოებში, სოფლებში. ისინი, ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, იცავდნენ ხიდებს, გადასასვლელებს, გზაჯვარედინებს, სამხედრო თუ სამრეწველო ობიექტებს, თავდაცვის პუნქტებს; დაწესებული ჰქონდათ სადღეღამისო მორიგეობა ფაბრიკა-ქარხნებში, სამრეწველო საწარმოებში, სასოფლო საბჭოებში, კოლმეურნეობების კანტორებში და ა.შ. ყველა შემთხვევის შესახებ ოპერატიულ ცნობებს აწვდიდნენ თავდაცვის სათანადო ორგანოებს საჭირო რეაგირებისათვის.

გამანადგურებელი ბატალიონების უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ის რომ მათი აქტიური მოქმედების შედეგად თურქეთის ტერიტორიიდან შემოგზავნილი ყველა ჯაშუ-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 353, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 32.

ში დაკავებულ იქნა.

აი, როგორ იგონებს ბატალიონის მუშაობას ცნობილი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე დავით მამულაძე, რომელიც ომის წლებში ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა: „რაიონში შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონი, რომელშიც გაერთიანებული იყო რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივი მთლიანად. ბატალიონის უფროსად, როგორც წესი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო და საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა მე დამამტკიცა. სამხედრო საქმის დიდი გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“ – მეც დიდი მონდომებით, თავდადებული შრომით თავს ვართმევდი. პოლიტმეცადინეობის ორგანიზაციის საქმეს მე ვხელმძღვანელობდი. სამხედრო ვარჯიშსა და სროლას ასწავლიდა ჩემი მოადგილე, არმიიდან დემობილიზებული უფროსი ლეიტენანტი ამხ. შავიშვილი. ერთ თვეში ბატალიონი უკვე მზად იყო საბრძოლო დავალებების შესასრულებლად. მართალია, ბატალიონს არ უბრძოლია მტერთან პირისპირ, მაგრამ მის რიგებში მზადდებოდა არმიის რეზერვი, რომელთაგან ბევრი გაიწვიეს მოქმედ არმიაში. მათმა უმრავლესობამ თავი ისახელა ფაშისტ ურდოებთან ბრძოლაში, ბევრმა სიცოცხლე შესწირა სამშობლოსათვის ბრძოლას, ხოლო ვინც გადარჩა, მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული, დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ცხადია, ასე იყო ბათუმში და აჭარის სხვა რაიონებშიც“.[1]

ამრიგად, გამანადგურებელმა ბატალიონებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წითელი არმიის რიგების რეზერვებით შევსებაში, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში, სახელმწიფო საზღვრისა და სამრეწველო ობიექტების, რკინიგზის გადასასვლელების დაცვის საქმეში, დივერსანტ-ჯაშუშებისა და პანიკიორების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამით კიდევ

[1] დ. მამულაძე, რწმენით განვლილი გზა (მემუარები), ბათუმი, 1997, გვ. 47.

უფრო ამაღლდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის პოლიტიკური შეგნებულობა და გაძლიერდა სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა აჭარის ხელმძღვანელთა ყურადღება მასობრივ-თავდაცვითი და ფიზკულტურულ სპორტული მუშაობისადმი, ვინაიდან ეს სფეროც გარკვეულად ხელს უწყობდა ადგილზე თავდაცვითი ღონისძიებების ოპერატიულად გატარებას, აგრეთვე არმიის რეზერვების შევსებას.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებებიდან გამომდინარე, 1941 წლის 10 ივლისს აჭარის საოლქო კომიტეტმა განიხილა საკითხი „აჭარის ასსრ მოსახლეობის საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის სწავლების ორგანიზაციის შესახებ“. ამ დადგენილებით ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქ. ბათუმსა და რაიონებში, გატარდა საჭირო ღონისძიებები საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის სწავლებაში მოსახლეობის ჩაბმის უზრუნველსაყოფად. შეიქმნა სასწავლო ჯგუფები „მზად ვარ საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვისათვის“, რომლებშიც სავალდებულო წესით ჩააბეს 16-60 წლის ასაკის მოქალაქეები; სასწავლო ჯგუფები შეიქმნა საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და საცხოვრებელ სახლებში. მოსახლეობის მომზადება უნდა დამთავრებულიყო ქ. ბათუმში 1941 წლის ივლისის ბოლოს, რაიონებში – არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.[1] სწავლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აჭარის მოზრდილი მასახლეობისათვის გამოყო 10.000, ხოლო ბავშვებისათვის – 8000 აირწინაღი.[2]

ომის პერიოდში დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ თავდაცვით მუშაობას სოფლად. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ხულოს რაიონის მშრომელები. საუკეთესო შედეგები ჰქონდა დეკანაშვილების თავდაცვა-ავიაქიმიის პირველად ორგანიზაციებს. სა-

[1] აჭარის არ ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 6, საქ. 5, ფურც. 29.

[2] იქვე, ფურც. 42.

ჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის წრეებში სათანადო მომზადება გაიარა 275 კაცმა. მათმა უმრავლესობამ ფრიადზე შეისწავლა აირწინაღის ხმარების წესი. ისინი ინტერესით ეცნობოდნენ სასწრაფო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარ-საწინააღმდეგო ღონისძიებებს. თავდაცვითი მუშაობა კარგად მოაწყვეს, აგრეთვე, ამავე რაიონის სოფლებში: დღვანი, სხალთა, ღორჯომი, ხიხაძირი, უჩამბა,[1] ბათუმის რაიონის ახალშენში და კახაბერში.[2]

თავდაცვის საქმე, აგრეთვე, კარგად იყო ორგანიზებული ქედის რაიონში.

მუშაობის შემდგომი გაძლიერების მიზნით თავდაცვა-ავიაქიმიის საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან და პირველად ორგანიზაციებთან შეიქმნა თავდაცვა-ავიაქიმიის წევრთა სამხედრო სწავლების, საჰაერო, ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებზე მოხსენებების მომზადების, სკოლებში თავდაცვითი მუშაობის, სამხედრო საზღვაო საქმის სწავლებისა და სხვა მუდმივმოქმედი სექციები. ისინი მეთოდურ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევდნენ სამხედრო სწავლებას, ატარებდნენ ლექცია მოხსენებებს, ხელმძღვანელობდნენ თავდაცვის კუთხეების მუშაობას.[3]

საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის სწავლებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქ. ბათუმის სკოლებმაც. ქალაქის მერვე და მეორე სკოლების მოსწავლეები კარგად დაეუფლნენ ხელყუმბარების გამოყენებასა და ხელჩართული ბრძოლის ტაქტიკას.[4]

ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებების განხორციელებით, აჭარის თავდაცვა-ავიაქიმიის ორგანიზაციებმა 1941 წლის 1 ივლისიდან 1941 წლის 1 ნოემბრამდე 28-საათიანი პროგრამით მოზრდილ მოსახლეობასა და ბავშვებს შეასწავ-

---

[1] გაზეთი „საბჭოთა აჭარა", 12 ოქტომბერი, 1941.
[2] გაზეთი „საბჭოთა აჭარა", 4 სექტემბერი, 194.
[3] გაზეთი „საბჭოთა აჭარა", 2 ნოემბერი, 1941.
[4] აჭარის არ ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 6, საქ. 180, ფურც. 220.

ლეს საჰაერო და ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნორმატივები, ხოლო იმავე წლის 1 ივლისიდან 1942 წლის 1 იანვრამდე მოამზადეს სულ 82.500-მდე კაცი. საკონტროლო დავალება შესრულდა 100,9 %-ით. ამასთან ერთად, მომზადდა საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის 1020 ინსტრუქტორი. ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის სამსახურში იყო 168 ჯგუფი, მათგან საწარმოო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში – 36. შემოწმდა და შეკეთდა 15255 აირწინაღი, მათ შორის რაიონებში – 1885.[1]

თავდაცვის კადრების მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავრის ორგანიზაციებმა. ასე, მაგალითად, 1944 წელს მათ მოამზადეს „მშთ“ ნიშანზე 14.891 კაცი, „იმშ“ ნიშანზე – 4486 მოსწავლე, 65 სანიტარული რაზმი, 142 სანიტარი, 269 პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, 80 „მშთ“ და „იმშ“ ინსტრუქტორი, ჩამოაყალიბეს 287 ახალი სანიტარული საგუშაგო, 9 სასკოლო სანიტარული რაზმი. დონორთა რიგებში ჩადგა 1277 კაცი, აკრიფეს 75.790 მანეთი საწევრო შესატანი. მედდების კურსებზე 1945 წელს მომზადდა 1 ჯგუფი (30 კაცი), გადამზადდა 20 კაცი, გამოუშვეს სასწრაფო სანიტარული რაზმის ორი ჯგუფი (60 კაცი), „მშთ“ ნიშანზე გამოცდა ჩააბარა 1000 კაცმა, მომზადდა 20 ინსტრუქტორი, ჩამოყალიბდა სასკოლო სანიტარული რაზმის 4 ჯგუფი (100 კაცი), მომზადდა 100 საზოგადოებრივი სანიტარული ინსტრუქტორი. დონორთა რიგებში ჩადგა 1270 კაცი, შეგროვდა 80.000 მანეთი საწევრო ანარიცხები.[2]

დიდი ყურადღების შედეგი იყო და შემდგომში წარმატებების საფუძველიც გახდა თავდაცვის ორგანიზაციების რიგების ზრდა და მისი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება. 1941 წლის 1 იანვრისათვის 60 პირველადი ორგანიზაცია გაიზარდა 22731 წევრით; პირველადი ორგანიზაციების რაოდენობამ

---

[1] იქვე.

[2] აჭარის არ ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 9, საქ. 5, ფურც. 170.

მიაღწია 749 ერთეულს, რომლებშიც გაერთიანებული იყო 53.520 კაცი.[1] ომიანობის პერიოდში თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადების საქმეში აჭარის თავდაცვა-ავიაქიმიის ორგანიზაციები მოწინავეთა რიგებში იყვნენ და საქართველოში პირველი ადგილი დაიკავეს.[2]

ამრიგად, ომის პერიოდში აჭარის მასობრივი თავდაცვის ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადება-გადამზადებისათვის. უკვე 1941 წელის 8 სექტემბრისათვის აჭარაში საყოველთაო-სამხედრო სწავლება გაიარა 45.623 კაცმა. აჭარის თავდაცვის ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფრონტისათვის საჭირო კადრებისა და რეზერვების მომზადების საქმეში.

მიღწეული წარმატებები მეტყველებს იმ შეუნელებელ ყურადღებასა და ზრუნვაზე, რომელსაც იჩენდა აჭარის ხელმძღვანელობა ომის წლებში ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისა და სათანადო კადრების მომზადებით წითელი არმიის რეზერვების შექმნისათვის.

ომის პერიოდში აჭარაში ბევრი რამ გაკეთდა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და ფიზკულტურულ-სპორტული კადრების მომზადებისათვის.

1941 წლის სექტემბრიდან ავტონომიური რესპუბლიკის საშუალო სკოლებში IV კლასიდან შემოღებული იქნა სამხედრო-ფიზკულტურული სწავლება.[3]

1942 წლის 1 იანვრიდან აჭარის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები,[4] რომლებმაც ახალგაზრდობაში ფართოდ გაშალეს ფიზკულტურულ-სპორტული და სამხედრო-პატრიოტული მუშაობა. მათ ბათუმის სა-

---

[1] გაზეთი „საბჭოთა აჭარა", 27 აგვისტო, 1944.

[2] იქვე.

[3] აჭარის არ ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 162.

[4] იქვე, აღწ. 6, საქ. 440, ფურც. 184.

წარმოო-დაწესებულებებში, სამასწავლებლო ინსტიტუტსა და აჭარის სკოლებში ჩამოაყალიბეს ფიზკულტურული სექციები, რომლებშიც ჩააბეს ათასობით ახალგაზრდა. ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტიდან და აჭარის სკოლებიდან 2.000-ზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე გაერთიანდა ფიზკულტურულ სექციებში. გარდა ამისა, პერიოდულად ეწყობოდა მოსწავლეთა გასამხედროებული ლაშქრობები.

ომის წლებში აჭარაში ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების სისტემაში მომზადდა: „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ (მ'შთ) პირველი საფეხურის ნიშანზე – 2.037, „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“ (იმ'შთ) ნიშანზე – 5.817, ხელჩართული ბრძოლის მებრძოლი – 6877 კაცი და სპორტის სხვადასხვა სახეებში 449 საზოგადოებრივი ინსპექტორი.[1]

მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ აჭარაში მაღალ დონეზე მოეწყო მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია და სავალდებულო სამხედრო სწავლება, მომზადდა რეზერვები არმიის რიგების შესავსებად. ქმედითი ღონისძიებები გატარდა სამშობლოს თავდაცვის უზრუნველსაყოფად.

სამამულო ომის წლებში თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადება ბუნებრივი გაგრძელება იყო იმ დიდი მუშაობისა, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დიდ სამამულო ომამდე ტარდებოდა. ომმა კი კატეგორიულად მოითხოვა რესპუბლიკის მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული, სამობილიზაციო და თავდაცვითი საქმიანობის გაძლიერება, რასაც აჭარამ წარმატებით გაართვა თავი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის მთელ პერიოდში.

გერმანია-საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების ომის დაწყებისთანავე სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს ხელმძღვანელობამ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ამოცანად დაუსახეს, ეკონომიკის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სამხედრო ყაიდაზე გადაყვანას-

[1] ს. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

თან ერთად, უზრუნველეყოთ აჭარის ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის საიმედო დაცვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირ–თურქეთის სახელმწიფო საზღვრის დიდი ნაწილი (260 კმ, აქედან 210 კმ სახმელეთო და 50 კმ საზღვაო) აჭარის ტერიტორიაზე გადის.[1] თურქეთმა, გერმანიის სამხედრო სარდლობასთან შეთანხმებით, 30-ზე მეტი დივიზია განალაგა საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვარზე და ხელსაყრელ მომენტს ელოდა საქართველოზე თავდასხმისათვის. გერმანია, როგორც კი საქართველოში, და საერთოდ ამიერკავკასიაში შემოიჭრებოდა, თურქეთი სახელმწიფო საზღვარს გადმოლახავდა და გერმანიის მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა. ამიტომაც კავკასიის ფრონტზე რთული სიტუაცია შეიქმნა.

ცხადია, ასეთ პირობებში სახელმწიფო საზღვრის გამაგრება-დაცვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საზღვრის დიდი ნაწილი აჭარის მთაგრეხილზე გადის, მის გასწვრივ საავტომობილო გზები არ იყო. საზღვრის საკმაოდ დიდ უბანს საჭაპანო ტრანსპორტიც კი ვერ უდგებოდა. სასაზღვრო ზონები და სასოფლო საბჭოები მოკლებულნი იყვნენ სატელეფონო კავშირს. ყველაფერი ეს მეტად რთული ამოცანების გადაჭრას მოითხოვდა აჭარის ხელმძღვანელობისა და მესაზღვრეებისაგან. ამდენად ომის დაწყებისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე პასუხსაგები და დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული ამოცანა დაისვა – სახელმწიფო საზღვრის საიმედოდ დაცვა უკიდურესად რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში.

სსრ კავშირზე თურქეთის მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხით შექმნილი გარემოება ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის საზღვრის გამაგრება-დაცვისათვის მოითხოვდა ადამიანთა დიდ რეზერვებს. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ნ. ჩარკვიანმა, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდო-

[1] ნ. ნიჟარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ, ბათუმი, 1968, გვ. 5.

მარესთან ი. ბ. სტალინთან შეთანხმებით, 1941 წლის ოქტომბრიდან განახორციელა სერიოზული ღონისძიებები. კერძოდ, შეაჩერეს აჭარიდან მოსახლეობის მობილიზაცია[1] და პარტიის საოლქო კომიტეტს (პირველი მდივანი გ. გ. თვალჭრელიძე) და სახკომსაბჭოს (თავმჯდომარე ი. ხ. ფუტკარაძე) დაავალეს შეეჩერებინათ აჭარის საზღვრისპირა სოფლებიდან სამხედრო მობილიზაცია და მოსახლეობა მასობრივად ჩაებათ სახელმწიფო საზღვრის გამაგრებისა და დაცვის საქმეში. ანალოგიური ღონისძიებები განხორციელდა საქართველოს სხვა სასაზღვრო რაიონებშიც.[2] ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალების ოპერატიულად შესრულებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, აგრეთვე ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონულმა ხელმძღვანელებმა ფართოდ დარაზმეს მოსახლეობა. საზღვრების გამაგრების ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს უშუალოდ წარმართავდნენ მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო, ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაისაბჭოების აღმასკომები. ომის სიძნელეებით გამოწვეული მძიმე პირობების მიუხედავად, აჭარის მშრომელები ამ დავალებებს წარმატებით ახორციელებდნენ. ამ მხრივ ყველაზე რთული ვითარება იყო ხულოს რაიონში. აქედან გამომდინარე, მასშტაბური ღონისძიებები ხორციელდებოდა რაიონის ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის გასამაგრებლად. გზები პრიმიტიული ტექნიკური აღჭურვილობით გაჰყავდათ, სამუშაოები ფაქტობრივად ხელით სრულდებოდა.

სახელმწიფო საზღვრის გამაგრებისა და დაცვისათვის აუცილებელი იყო ნორმალური სამიმოსვლო გზები. ამ მიმართულებით ომამდე განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა ფრონტისა და ზურგის კავშირურთიერთობისათვის. ამასთან დაკავშირებით წითელი არმიის ტრანსპორტისა და საგზაო სამსახურის მთავარი სამმართველოს ყოფილი

---

[1] სპა, ფონ. 14, აღწ. 1, საქ. 11593, ფ.ფ.: 6. 8.

[2] იქვე, ფონ. 14, აღწ. 1, საქ. 12348, ფ. 22.

უფროსი, ტექნიკური ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ზ. კონდრატიევი წერს: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების თითქმის ყველა მთავარი მაგისტრალი მოუმზადებელი აღმოჩნდა ომიანობის დროის დატვირთვისათვის. ამის გამო საჭირო გახდა გრანდიოზულ სამშენებლო სამუშაოთა გაშლა გზების გასაუმჯობესებლად, მთის მდინარეებზე ხიდების ასაგებად და უღელტეხილებზე გზების გასაყვანად.“[1]

სახელმწიფო საზღვრის დაცვისათვის გზების უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ომამდე, 1941 წლის 25 მარტს განიხილეს საკითხი „აჭარის ასსრ რესპუბლიკის სანაპირო ზოლში ახალი გაუმჯობესებული გზების რემონტის შესახებ“ და დასახეს სათანადო ღონისძიებანი. გადაწყდა ახალი გზების მშენებლობა აჭარის საზღვრისპირა რაიონებში.[2] აჭარის საგზაო სამმართველომ გზების მშენებლობა დააკომპლექტა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, მუშახელით, მასალებითა და ტექნიკით. ომის საფრთხის გამო გზები შენდებოდა დამკვრელური წესით, საგანგებო პროექტის გარეშე. ამიტომ მშენებლებს ადგილზევე სახელდახელოდ ეძლეოდათ მითითებანი გასაყვანი გზის მიმართულებაზე, გაბარიტებსა და ზღვრულ ქანობებზე. დროის სიმცირის გამო, უმეტესად მიმდინარეობდა დასახლებულ სოფლებს შორის არსებული გზებისა და საცალფეხო ბილიკების გაფართოება. არსებულ გზებზე დაიგეგმა და აშენდა 2 ახალი დიდი გაბარიტის ხიდი მდ. მაჭახელაზე და სოფელ ხიხაძირში და ასამდე პატარ-პატარა გაბარიტის ხიდი სხვადასხვა ადგილას.[3]

მოსახლეობაში და მშენებლობის ობიექტებზე ატარებდნენ ახსნა-განმარტებებს, საუბრებს, ეწეოდნენ მოწინავეთა გამოცდილების შეგროვებას, განხილვა-განზოგადებას. მოსახლეობის დევიზი იყო: „უგზოობა აფერხებს ქვეყნის განვითარებას,

---

[1] З. Кондратьев, Дороги Войны, Мю, 1968 г., стр. 243.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. რ-2, აღწ. 1, საქ. 229, ფურც. 141.

[3] ს. დუმბაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 38 (იხ. მასალები იქვე).

მოვსპოთ უგზოობა!“. ამ დევიზით ყოველდღიურად თითოეულ რაიონში სამუშაოდ გამოდიოდა 2500-3000, ზოგჯერ 5000 კაცი[1].

ფაშისტური გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო დააჩქარა გზების მშენებლობა. მართალია, სამშენებლო ტექნიკა საკმარისი არ იყო და მუშაობა წერაქვით სრულდებოდა, მაგრამ შრომის მაღალი ორგანიზაციის, მშრომელთა და მშენებელთა სანაქებო აქტიურობის მეოხებით აჭარაში გზების მშენებლობა ძირითადად დადგენილ ვადაში – 1941 წლის აგვისტოსათვის დამთავრდა. გაიხსნა 50 კმ სიგრძის საავტომობილო გზა: ზამლეთი-ხიხაძირი-ბაკო, ჩირუხი (ხულოს რაიონი); აჭარისწყალი-ჩხუტუნეთი (ბათუმის რაიონი), ხოლო ქედაში შეკეთდა 40 კმ-ზე მეტი სიგრძის არსებული გზა, გაყვანილ იქნა 2კმ-ზე მეტი ახალი გზა. სულ 1941 წლის ბოლომდე აჭარაში ექსპლოატაციაში შევიდა 62 კმ ახალი და შეკეთდა 72,4 კმ არსებული გზა.[2]

„ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის მითითებით, - წერს თავის მემუარებში დავით მამულაძე, - დაიწყო თურქეთითან სახელმწიფო საზღვრის გამაგრება და ხულოს რაიონის მთებში ახალი სამანქანე გზების გაყვანა. ამ სამუშაოებს ძირითადად რაიონის მშრომელები ასრულებდნენ. სიმაგრეების მოსაწყობად და ახალი გზების გასაყვანად ყოველდღიურად 5.000-ზე მეტი კაცი მუშაობდა. მოკლე დროში გაყვანილი იქნა ახალი გზები: ხიხაძირიდან ჩირუხამდე 15 კმ და გოდერძის უღელტეხილიდან ღრმანამდე 8 კმ. მიწის სამუშაოებს ხელით ასრულებდნენ, არ იყო არც ბულდოზერი, არც გრეიდერი და არც სხვა ტექნიკა. არც შრომის ანაზღაურებას ღებულობდნენ. არა თუ შრომის ანაზღაურებას, პურსაც ვერ ვაძლევდით, ვინაიდან პური მუშა–მოსამსახურეებს ბარათებით ეძლეოდათ, კოლმეურნეებზე მისაცემი პურის ფონდი კი არ გვქონდა. თუ არა სამშობლოსადმი დიდი სიყვარული და

[1] დ. მამულაძე, დასახელებული მემუარები, ბათუმი, 1997, გვ. 46.

[2] ს. დუმბაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 38 (იხ. მასალები იქვე).

თავდადება, ამას ვერ გავაკეთებდით.“[1]

მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად, ასეთი ენთუზიაზმითა და პატრიოტული შემართებით მუშაობდნენ გზების შეკეთება-მშენებლობაზე აჭარის დანარჩენ რაიონებშიც.

აჭარაში საგზაო მშენებლობა უფრო დიდი მასშტაბით წარიმართა 1942 წლის მეორე ნახევრიდან, როცა კავკასიაში ბრძოლების გაფართოებასთან ერთად, გაიზარდა თურქეთის შემოჭრის საფრთხე. ეს კარგად ჩანს საგზაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდების ზრდითაც. ასე, მაგალითად, 1943 წელს სახელმწიფომ გამოყო 1.916.356, ხოლო, 1944 წელს – 3.890.665 მანეთი.[2]

სახელმწიფო საზღვრის დაცვაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მდინარე ჭოროხზე ხიდის მშენებლობას. ხიდის აშენებისათვის ადგილის შესარჩევად შემუშავდა რვა ვარიანტი. ერთერთი ვარიანტი ითვალისწინებდა ხიდის აშენებას სოფელ მახოს მიდამოებში. ის ვარიანტი უპირატესობით სარგებლობდა იმიტომ, რომ მშენებლობისათვის გრუნტი საიმედო იყო, ამასთან მდინარის კალაპოტი აქ შედარებით ვიწრო იყო და, რაც მთავარია, მდინარის გაღმა-გამოღმა მდებარე სოფლები ხიდით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. გაითვალისწინეს რა ეს მხარე, საპროექტო ორგანოებმა საბოლოოდ მოიწონეს ხიდის აგების მახოს ვარიანტი და 1943 წელს დაიწყო კიდეც მშენებლობა.

აჭარის ხელმძღვანელობამ ეს მშენებლობა თავდაცვის დამკვრელურ ობიექტად გამოაცხადა. ამიტომ მისი მშენებლობისათვის მობილიზებული იყო მნიშვნელოვანი მატერიალური და შრომითი რესურსები. განსაკუთრებით აქტიურობდა ახალგაზრდობა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ ხიდის ლითონ-კონსტრუქციები დაამზადა ბათუმის მანქანათშენი ქარხნის კოლექტივმა, ხოლო ხის მასალა (მორები) მდინარეზე დაცურე-

---

[1] დ. მამულაძე, დასახელებული მემუარები, ბათუმი, 1997, გვ. 46-47.

[2] ს. დუმბაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 38-39.

ბით ჩამოტანილ იქნა ხულოს რაიონის ხიხაძირის ს/საბჭოს სოფლებიდან. თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1944 წლის მეორე ნახევარში ხიდი საექსპლოატაციოდ გადაეცა, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო სახელმწიფო საზღვრის გამაგრება-დაცვას, არამედ მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების მოსახლეობის ტრანსპორტით ერთმანეთთან დაკავშირებას. გარდა ამისა, ხიდის აშენებამ დადებითად იმოქმედა მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირის სოფლების ეკონომიკის განვითარებაზე.

ომის პერიოდში აჭარაში, გარდა მახოს ხიდისა, საკავშირო-რესპუბლიკური და ადგილობრივი დანიშნულების გზებზე აშენდა სხვა ხიდებიც.

1944 წელს კიდევ უფრო გაძლიერდა ყურადღება შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრებისა და გზების მშენებლობისადმი. ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობამ მოითხოვა შავი ზღვის სანაპირო ზოლში სახელმწიფო გზის მოასფალტება. ამ სამხედრო დავალების შესასრულებლად აჭარის ხელმძღვანელობამ 1944 წლის 8 ივნისს მიიღო დადგენილება ბათუმ-ქობულეთის გზაზე ასფალტის დაგების შესახებ. ამ დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ ქობულეთისა და ბათუმის რაიონების ხელმძღვანელებს, ხოლო შეფობა გაუწია ბათუმის მთავარნავთობგასაღების სამმართველოს კოლექტივმა. გზის მშენებლობაზე ყოველდღიურად გამოჰყავდათ ქობულეთის რაიონიდან 100 კაცი და 16 ურემი, ბათუმის რაიონიდან — 50 კაცი და 10 ურემი.[1]

მოსახლეობის მუხლჩაუხრელი შრომით ბათუმ-ქობულეთის გზის შეკეთება — მოკირწყლა მოკლე დროში — 1944 წლის 4 სექტემბრისათვის დამთავრდა. ამავე პერიოდში დასრულდა თხილნარ-სარფის გზის მშენებლობაც, რამაც გაადვილა სასაზღვრო ნაწილების კავშირურთიერთობა თავდაცვის ცენტრთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან და მოსახლეობასთან.

---

[1] ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცელი, გვ. 39 (იხ. მასალები იქვე).

ომის მანძილზე და მის შემდგომაც აჭარის ხელმძღვანელობა ენერგიულად ზრუნავდა არსებული გზების წესრიგში მოყვანისათვის. სასოფლო საბჭოები და სოფლები მიმაგრებული იყვნენ გზებზე უბნების მიხედვით. მოსახლეობა საჭიროების შემთხვევაში წმენდდა გზებს ზვავებისა და თოვლისაგან. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, რკინიგზის ხაზებს იმის გათვალისწინებით, რომ სარკინიგზო თუ სასოფლო გზები მუდმივ მზადყოფნაში ყოფილიყო საგანგებო საჭიროებისას სატრანსპორტო დატვირთვისათვის და დაუბრკოლებლად გამტარუნარიანობისათვის.

კავკასიაზე ლაშქრობის ჰიტლერული გეგმა ითვალისწინებდა, აჭარის, პირველ რიგში, ქ. ბათუმის დაპყრობას და მის გადაქცევას გერმანიის პლაცდარმად აღმოსავლეთში სალაშქროდ, სადაც დაპყრობილი ქვეყნების ხარჯზე უნდა შეექმნათ აღმოსავლეთის დიდი იმპერია.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, რომელმაც კარგად იცოდა მტრის განზრახვა, მის ჩასაფუშად დასახა პრაქტიკული ღონისძიებები, გააძლიერა თავდაცვის პოზიციები. ამ მიზნით 1942 წლის 12 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის 60 ქალაქიდან ერთ-ერთ პირველში – ბათუმში შეიქმნა თავდაცვის კომიტეტი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. გ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ი. ხ. ფუტკარაძის, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. პ. კაპანაძის, ბათუმის გარნიზონის უფროსის ვ. ლ. ვილშანსკის და სხვათა შემადგენლობით.[1]

ბათუმის თავდაცვის კომიტეტის შექმნამ ხელი შეუწყო აჭარის ტერიტორიაზე თავდაცვითი ღონისძიებების ოპერატიულად შესრულებას, გაძლიერდა თავდაცვის ობიექტების კონტროლი და მათი ქმედითუნარიანობა, კიდევ უფრო გააქტიურდა მოსახლეობა, გამანადგურებელი ბატალიონები ფართო მასშტაბით ჩაებნენ თავდაცვის ღონისძიებებისა და სამხედრო

[1] აჭარის არ ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 6, საქ. 183, ფურც. 2.

დაეალებების შესრულებაში.

გარდა ამისა, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა აჭარის ხელმძღვანელობას დააეალა მოკლე დროში აეშენებინათ აეროდრომი ბათუმში, რათა უზრუნველეყოთ ქვეყნის საჰაერო საზღვრის დაცვა. დაეალების შესასრულებლად აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ 1941 წლის 2 ივლისის დადგენილებით აეროდრომის მშენებლობისათვის გამოჰყო 287 ჰა მიწის ნაკვეთი. რაიონული საბჭოების აღმასკომებმა აეროდრომის მშენებლობაზე მიაელინეს 700 კაცი და 20 ურემი. პატრიოტული სულისკვეთებით აღტკინებული მოსახლეობის თავდაუზოგავი შრომის შედეგად აღნიშნული აეროდრომი მოკლე დროში 1942 წლის ბოლომდე აშენდა.[1]

საჰაერო თავდაცვის უკეთ განხორციელების მიზნით, საქართველოს ტერიტორია დაიყო თავდაცვის ბრიგადებად. ერთ-ერთი იყო ბათუმის თავდაცვის ბრიგადა. მის დაქვემდებარებაში შედიოდნენ: ბათუმი, ფოთი, ახალციხე, ქუთაისი, ქობულეთი, მახარაძე (ოზურგეთი), ახალქალაქი, სამტრედია, ცხაკაია (სენაკი), აჭარისწყლის ხეობა. დაწესდა შუქშენილბვის №1 და №2 რეჟიმი, რომელთა გამოყენება ხდებოდა თავდაცვის ხასიათის კვალობაზე თავდაცვის სახალხო კომისარიატის განკარგულებით.

საზღვრების გამაგრების, სასაზღვრო რეჟიმის შემოღების, სამრეწველო საწარმოთა დაცვის გაძლიერების, ფრონტის დაეალებათა ოპერატიულად შესრულების საქმეში დიდი იყო სატელეფონო კავშირგაბმულობის როლი.

აჭარაში კავშირგაბმულობის საქმეს დიდი ხნით ადრე ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ის ძირითადად ქალაქ ბათუმისა და საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის ხასიათს ატარებდა. 20-30-იან წლებიდან აჭარის კავშირგაბმულობის ქსელი გაფართოვდა. მასში ჩაირთო ავტონომიური რესპუბლიკის რაიონები, სასოფლო საბჭოები. მაგრამ მიუხედავად დარგის გაფართოებისა, ის ვერ პასუხობდა ომიანობის დროს გაზრდილ

[1] ს. დუმბაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 40.

მოთხოვნებს. ამიტომაც აჭარის ხელმძღვანელობა განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა სატელეფონო კავშირურთიერთობის განვითარებას, რამეთუ მასზე ბევრად იყო დამოკიდებული სამხედრო თუ ოპერატიული დავალებების დროულად შესრულება, თავდაცვის საქმის უკეთ დაყენება. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ 1942 წლის 3 თებერვალს განიხილეს საკითხი „აჭარის ასს რესპუბლიკაში სატელეფონო—სატელეგრაფო კავშირის გაუმჯობესების შესახებ"[1]. მიღებული დადგენილების შესაბამისად კავშირგაბმულობის აჭარის კანტორა სისტემატურად აწყობდა ქალაქსა და რაიონებში სატელეფონო ხაზებისა და სადგურების პროფილაქტიკურ დათვალიერებას. აჭარის სატყეო მეურნეობამ დაამზადა და გამოიტანა 825 ბოძი, რომელიც კავშირგაბმულობამ გამოიყენა ახალი სატელეფონო ხაზების გასაყვანად თუ უვარგისი ბოძების შესაცვლელად. 1942 წელს შეკეთდა, აგრეთვე, აჭარწყალი–ხულოს სატელეფონო სადგურები და ხაზები, ქალაქის სატელეფონო სადგურები მომარაგდა სათანადო მასალებით. სატელეფონო ხაზების შეკეთება-რეკონსტრუქციის თუ ახალი ხაზების გაყვანის ოპერატიული დავალებები დროულად შესრულდა.

1941-1945 წლებში გაძლიერდა ყურადღება წითელი არმიის ნაწილებში წერილების, კორესპოდენციების, ამანათების დროულად გაგზავნასა და საერთო კავშირგაბმულობის მუშაობაზე. ამ მიზნით გატარდა არაერთი პრაქტიკული ღონისძიება, კერძოდ: კავშირგაბმულობის სისტემაში გაიზარდა საჭაპანო ტრანსპორტის რაოდენობა, საფოსტო განყოფილებებიდან დაშორებულ სოფლებში დამატებით დაინიშნა ფოსტალიონები, გადახალისდა კავშირგაბმულობის სისტემაში დასაქმებულ მუშაკთა შემადგენლობა, ამაღლდა თითოეული მათგანის პასუხისმგებლობა. რაიმე დავალების ან სამსახურებრივი მოვალეობის გულგრილად შესრულება თავდაცვის საქმის ღალა-

[1] ს. დუმბაძე, ფოსტა და კავშირგაბმულობა აჭარაში, თბ., 2004, გვ. 122.

ტის ტოლფასად იოელებოდა.[1] ომმა მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორც, ყველა მოქალაქის, ასევე კავშირგაბმულობის კოლექტივის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა. ამიტომაც იყო, რომ 1941 ქელს კავშირგაბმულობისა და საფოსტო საქმიანობის ომიანობის მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნისათვის სატელეფონო და სატელეგრაფო სადგურებში შემოღებულ იქნა კავშირგაბმულობის აჭარის კანტორის ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგეობა, რათა საფოსტო ოპერაციები შესრულებულიყო სწრაფად, ორგანიზებულად, ოპერატიულად. დაინერგა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შორის გამომგონებლობა და რაციონალური წინადადების წამოყენება მუშაობის საერთოდ გასაუმჯობესებლად, საფოსტო ოპერაციებისათვის დახარჯული დროის რაც შეიძლება შესამცირებლად, დანაკარგების აღსაკვეთად, საფოსტო და სატელეფონო აპარატურის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად და ა. შ.

გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს წითელ არმიაში ამანათების, წერილების, კორესპოდენციების დროულად გაგზავნას, საინფორმაციო მასალების ოპერატიულად მიღება—გაცემას, ფრონტსა და ზურგს შორის საფოსტო საქმიანობისა და საერთო კავშირგაბმულობის მუშაობის ომიანობის პირობების შესაბამისად წარმართვას.

ომის პერიოდში კავშირგაბმულობის აჭარის კანტორას სათავეში ედგა და მის მუშაობას მოქნილად წარმართავდა იოსებ ჩხიკვიშვილი. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შორის გამოირჩეოდნენ ნიკოლოზ ჩხიკვაძე, შალვა კაკაბაძე და სხვები.

ამრიგად, მოსახლეობის მობილიზაციით, წითელი არმიის რეზერვების მომზადებით, საგზაო მშენებლობისა და სატელეფონო კავშირურთიერთობების გაუმჯობესებით, საფოსტო მომსახურების გაძლიერებით, აჭარის ტერიტორიაზე გამავალი სახელმწიფო საზღვრის საიმედოდ გამაგრებითა და მტკიცე დაცვით, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში უზრუნველყო სამხედრო-სამო-

---

[1] აჭარის არ ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 6, საქ. 180, ფურც. 137, 138, 139.

ბილიზაციო და თავდაცვითი ღონისძიებების ოპერატიულად შესრულება. ამით მან თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა კაცობრიობის უბოროტეს მტერზე – ფაშიზმზე ძლევამოსილი გამარჯვების ისტორიულ საქმეში.

§ 2. ომის ფრონტებზე

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის დაწყებისთანავე ასობით ქართველი მეომარი ჩაება ფაშისტური არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათმა გმირობამ და მამაცობამ ასახელა სრულიად საქართველო.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები აჭარიდან, ისე როგორც სრულიად საქართველოს სხვა რეგიონების ქვეყნისთვის თავდადებული მეომრები, აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანიის ფაშიზმის მიერ თავმოხვეულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში. აჭარის წარგზავნილები მამაცურად იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის ფრონტებზე.

ფაშისტურ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის მძიმე დღეებში აჭარამ ფრონტზე გაგზავნა 25.000 მეომარი, აქედან ფრონტზე გმირულად დაიღუპა 8.000-ზე მეტი მეომარი.

ომის მრისხანე დღეებში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის აჭარიდან 12 კაცმა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო-საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა.[1]

ყველაზე პირველად ეს საპატიო ჯილდო ფინეთის ომში თავგანწირვის, მამაცობის და საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის მიიღო ბათუმელმა **ალექსანდრე სულაბერიძემ.**

---

[1] ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ), ბათუმი, 2005, გვ. 18.

1940 წლის 13 თებერვალს ფინეთის საზღვრის გარღვევისას, უშიშარი მებრძოლი ა. სულაბერიძე თავისი ტანკით, მიდიოდა რა მტრის ხანგრძლივ საცეცხლე წერტილებკენ, მიბჯნით ესვროდა მათ და სპობდა მოწინააღმდეგის ძალებს. ამ ბრძოლაში იგი დაიჭრა. მკურნალობის შემდეგ კვლავ ვიბორგის იერიშში მონაწილეობდა, თავისი ტანკი უკიდურესად მძიმე პირობებში მიჰყავდა და, ცუდი ადგილმდებარეობის მიუხედავად, ცეცხლით მხარს უჭერდა ქვეითებს. მოწინააღმდეგის მხრიდან გრიგალისებური ცეცხლის მიუხედავად, ალექსანდრე სულაბერიძე გაბედულად წინ მიიწევდა და ჩქარ მოძრაობაში მასიური ცეცხლით სპობდა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილებს. ვიბორგის გარეუბნამდე 100 მეტრი რჩებოდა, როცა ტანკი ნაღმზე აფეთქდა და თვით ალექსანდრე დაიჭრა, მამაცმა მეომარმა მაინც შესძლო მტრისგან თავის დაღწევა და ბრძოლის ველიდან თავის ნაწილში დაბრუნება.[1]

აჭარის წარგზავნილებმა ფაშისტებთან ომის ისტორიაში გმირობის უცნობი ფურცლები ჩაწერეს: ისრაფილ ჯინჭარაძემ, ალექსანდრე ბუგაევმა, ალექსანდრე გორბაჩევსკიმ, მიხაილ გორბაჩოვმა, დავით თავაძემ, გარი მერკვილაძემ, გიორგი ინასარიძემ, ისაი კახინეციმ, ბორის ლიტვინჩუკმა, კონსტანტინე ოლშინსკიმ, ვალენტინ შაპირომ.

ომის მრისხანე დღეებში უშიშარი შევარდნის სახელით გაიცნო მთელმა ქვეყანამ მახინჯაურელი ჭაბუკი **ისრაფილ ჯინჭარაძე**. ისრაფილ ჯინჭარაძემ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ჩრდილო–დასავლეთის ფრონტზე, სადაც თავის ილ–თვითმფრინავით 10 წარმატებით გაფრენისთვის წითელი ვარსკვლავის ორდენი დაიმსახურა.

ამ პირველ საბრძოლო გაფრენას მოჰყვა მამაცი მფრინავის ათობით სხვა საბრძოლო გაფრენები, სახელმწიფო ჯილდოები და ფრონტის სარდლობის სამადლობელი წერილები.

ომის პერიოდში ომის ფრონტებზე ისრაფილ ჯინჭარაძემ

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 793756, საქ. 46 ფურც. 75-76.

თვითმფრინავ ილ–2-ით 92 საბრძოლო გაფრენა მოახდინა, რომლის დროსაც პირადად გაანადგურა მტრის 82 ავტომანქანა, 27 ტანკი, 6 თვითმფრინავი აეროდრომზე, საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო 1 თვითმფრინავი, ჩაახშო საზენიტო არტილერიის 10 წერტი, საველე არტილერიის 5 ბატარეია, სამი ნაღმსტყორცნი წერტი. მოჰკლა და გაფანტა მოწინააღმდეგის 880–მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ააფეთქა საბრძოლო მასალების 6 საწყობი. სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის ი. ჯინჭარაძე დაჯილდოვებული იყო წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის I ხარისხის ორდენებით. მიღებული ჰქონდა თავდაცვის სახალხო კომისრის 4 მადლობა, ფრონტის სარდლობის 2, არმიის სარდლობის 5 და კორპუსის და დივიზიის მეთაურების 7 მადლობა, ომის პერიოდში 92 საბრძოლო გაფრენის წარმატებით ჩატარებისათვის, ბრძოლის ველზე გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისა და მამაცობისათვის ი. ჯინჭარაძეს მიენიჭა მთავრობის უმაღლესი ჯილდო – საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.[1]

1943 წლის 15 ოქტომბერს საბრძოლო დავალების შესრულების დროს უკრაინის ცაში დაიფერფლა მამაცი ქართველი შევარდნის სიცოცხლე აი, როგორც აგვიწერს სახელოვანი მფრინავი ი. ჯინჭარაძის უკანასკნელ საბრძოლო გაფრენას და მის დაღუპვას თანამებრძოლი ალექსი როგოჟინი: „1943 წლის 15 ოქტომბერი, პარასკევი, საბრძოლო განგაშით გაგვაღვიძეს, დილის 5 საათზე ჰაერში ჩვენი ავიაგამანადგურებლები აფრინდნენ. აი, დავიმარტოხელეთ მტრის ოთხი ტანკი. მე და ისრაფილი პიკირებით დავეშვით. ისრაფილმა რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების პირდაპირი მოხვედრით მტრის ტანკი ააფეთქა, მერე მტრის შავად შენიღბული საარტილერიო დივიზიონი შენიშნა და უმალ მისკენ გააქანა თავისი "მფრინავი ტანკი", პირდაპირი მოხვედრით მტრის საცეცხლე პოზიცია გაანადგურა და კვლავ ცაში აიჭრა, იქედან მი-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 793756, საქ. 13 ფურც. 244-245, 376-379.

ზანში ახალი მსხვერპლი ამოიღო,... იმ დღეს, მეორედ ავფრინდით. კვლავ გააფრთებული იერიში მტრის ტანკებზე და გამაყრუებელი აფეთქება. ის იყო პიკირებიდან გამოდიოდა, რომ ისრაფილის თვითმფრინავს ჭურვის პირდაპირი მოხვედრით ცეცხლი მოედო. ჩვენ კარგად გავიგონეთ მისი მშვიდი ხმა: „იცოცხლეთ, ჩემს მაგივრადაც, სამშობლოსათვის სტალინისათვის!“ ისრაფილმა ალმოდებული თვითმფრინავი მტრის საცეცხლე პოზიციებისაკენ გააქანა, რომელსაც ჯერ კიდევ ხის შენიღბული ტოტები ფარაედა. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა, მტრის საცეცხლე პოზიციაზე დიდ შავ ორმოს დაეღო ხახა“.

ასე გმირულად დაიღუპა ჩვენი საყვარელი მეგობარი, ჩვენი პოლკის სასახელო შვილი ისრაფილ ჯინჭარაძე.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მამაცობა და გმირობა გამოიჩინა **ალექსანდრე ბუგაევმა**. ალექსანდრეს მამა — ალექსანდრე ლაურენტის ძე ბუგაევი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩამოეიდა ქ. ბათუმში. მუშაობდა ბათუმის რკინიგზის სავაგონო დეპოში. აქვე შექმნა ოჯახი ქართველ მანდილოსანთან მარია დაეითის ასულ ტაბიძესთან. მათ გაუჩნდათ სამი შვილი, მათ შორის უმცროსი ალექსანდრე იყო. მას დედა ადრეე გარდაეცვალა. ისინი ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ. ალექსანდრე ბათუმის ქართულ საშუალო სკოლაში სწავლობდა. 1928 წელს ბუგაევის ოჯახი საცხოვრებლად ნოვოსიბირსკის ოლქში გადავიდნენ.

1941 წლის იუნისში ფაშისტური გერმანიის მიერ ომის დაწყებისთანავე, ალექსანდრე ბუგაევი არმიის რიგებში გაიწვიეს. ნიჭიერი ახალგაზრდა ალექსანდრე საინჟინრო სასწავლებელში ჩარიცხეს, რომლის დამთავრების შემდეგ გაგზავნეს 345 მესანგრეთა ბატალიონის ასეულის მეთაურად. ბატალიონს, სადაც ალექსანდრე ბუგაევი მსახურობდა, განსაკუთრებული მძიმე ბრძოლები მოუწია მტერთან მდ. ნარვის გადალახვის დროს. ა. ბუგაევის ასეულმა დიდი ბრძოლებით

[1] ს. ჯაეელი, „სამშობლოს ზეცა ჩემი სახელია“, ბათ. 1965, გვ. 54.

პირველად გადალახა მდ. ნარევა, მძიმე ბრძოლებით ხელთ იგდო მდინარის მეორე ნაპირზე მცირე პლაცდარმი. ასეულმა მტრის მასიური ცეცხლის პირობებში შეძლო მთელი მსროლელი პოლკის შემადგენლობის, თავისი შეიარაღებითა და ტექნიკით მდინარის მეორე ნაპირზე უდანაკარგოდ გადასვლა.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ალექსანდრე ბუგაევს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება.

ალექსანდრე ბუგაევი არმიის რიგებიდან დემობილიზებულ იქნა 1946 წელს, ცხოვრობდა ნოვოროსიისკში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, იყო სკოლის დირექტორი. გარდაიცვალა 1950 წელს.[1]

ომის წლებში სახელოვანი გზა განვლო ქობულეთელმა ალექსანდრე გორბაჩევსკიმ, იგი 1918 წელს ოდესის ოლქის პერვომაისკის რაიონის სოფელ ლუკოვსკში დაიბადა. მამამისი ივანე გორბაჩევსკი 1930 წელს ოჯახით მუდმივ საცხოვრებლად ქობულეთში გადმოსახლდა. მშობლებმა ახალგაზრდა ალექსანდრე ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში შეიყვანეს. იგი იმავე დროს ბათუმის საჰაერო კლუბ'შიც სწავლობდა.

1938 წელს ა. გორბაჩევსკი მოხალისედ შევიდა სტალინგრადის პილოტირების უმაღლეს სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1940 წელს, უმცროსი ლეიტენენტის წოდება მიიღო და ერთ-ერთ საავიაციო ნაწილ'ში მფრინავად დაინიშნა. როგორც კი ომი დაიწყო, გორბაჩევსკი ომში ჩაება. იმ მამაც მეომრებს შორის, რომლებმაც ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის და სხვა ქალაქების დაცვისათვის გმირულ ბრძოლებში, არის ა. გორბაჩევსკის სახელიც. 1942 წლის აპრილ'ში თვითმფრინავის

---

[1] კ. ცომაია, დიდი სამამ'ულო ომის გმირები აჭარიდან, ბათუმი 1995, გვ. 7-10. რ'უს'ულ ენაზე.

ჯგუფმა, რომელსაც ა. გორბაჩევსკი მეთაურობდა, ჩამოაგდო მტრის 5 თვითმფრინავი.[1]

ომის პერიოდში სხვადასხვა ფრონტზე ა. გორბაჩევსკიმ 400 საბრძოლო გაფრენა მოახდინა, პირადად ჩამოაგდო 16 და ჯგუფურად 7 მოწინააღმდეგის თვითმფრინავი, მოსპო მნიშვნელოვანი ცოცხალი ძალები და საბრძოლო ტექნიკა. ბრძოლის ფრონტებზე მამაცობისა და თავდადებისათვის გვარდიის კაპიტანს ალექსანდრე გორბაჩევსკის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[2].

ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლებში უშიშარი მებრძოლის სახელი დაიმსახურა **მიხეილ გორბაჩოვმა.** იგი 1917 წელს თბილისში დაიბადა, მამა ადრე გარდაეცვალა, დედამ პატარა მიხეილი 1927 წელს მუდმივ საცხოვრებლად ქ. ბათუმში ჩამოიყვანა. მან ბათუმის საჰაერო კლუბი დაამთავრა და 1938 წელს არმიის რიგებში გაიწვიეს, სტალინგრადის სამხედრო საავიაციო სასწავლებელში გაგზავნეს, სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა 1940 წელს და უმცროსი ლეიტენანტის წოდებით ახალგაზრდა ოფიცერი ქ. კიევში, შორსმოქმედი ავიაციის ესკადრილიაში მფრინავად გაგზავნეს.

ბათუმში აღზრდილი მიხეილ გორბაჩევი ომის დაწყებიდანვე გამანადგურებელი თვითმფრინავით სპობდა მტრებს ფრონტის ღრმა ზურგში. მან 1941 წელს მონაწილეობა მიიღო ლენინგრადის დაცვისათვის ბრძოლებში, მრავალჯერ დაბომბა მტრის სამხედრო ობიექტები ქ. ჰელსინკში. გაბედული მეომარი მ. გორბაჩევი მტერს ანადგურებდა ლენინგრადის, ვორონეჟის და სტალინგრადის ფრონტებზე. ომის პერიოდში გორბაჩევმა მოახდინა 250 საბრძოლო გაფრენა, რომლის დროს გაანადგურა მტრის 25 ტანკი, 12 თვითმფრინავი, 18 ავტომანქანა, დაანგრია და მოსპო 30-მდე საცეცხლე წერტი, აა-

[1] მათ ასახელეს სამშობლო, თბ. 1969, გვ. 137.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტრო (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33. აღწ. 79373, საქ. 11 ფურც. 199-200.

ფეთქა და დასწვა 9 ეშელონი საბრძოლო მასალით და ტექნიკით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 13 მარტის ბრძანებულებით, მ. გორბაჩოვს მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში სახელოვანი გზა განვლო ბათუმელმა დავით თავაძემ. მან 1936 წელს წარჩინებით დაასრულა ბათუმის საჰაერო კლუბის პილოტირების კურსი, მერე კი ხერსონის საავიაციო სასწავლებელში ჩაირიცხა. რომელიც 1938 წელს დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო, მფრინავ-ინსტრუქტორის სპეციალობით. იგი გაგზავნეს როსტოვის აეროდრომზე სამუშაოდ.

ომის დაწყების წინ დავით თავაძე ესკადრილიას მეთაურობდა. ომის პერიოდში მისი ესკადრილია გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა ფაშისტ დამპყრობლებს, სიცოცხლის დაუზოგავად ანადგურებდა მტრის ჯავშნიან მანქანებს სტალინგრადთან. თვითმფრინავთა რგოლის უფროსობისას მან 22-ჯერ წაიყვანა მოიერიშე თვითმფრინავთა ჯგუფი ალყაშემორტყმული მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალებისა და ტექნიკის დასაბომბავად.

ნოვოროსიისკის, როსტოვის, კურგანის, ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ესკადრილიის მეთაური კაპიტანი დ. თავაძე გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა გერმანელ დამპყრობლებს. სტალინგრადის ბრძოლებიდან დაწყებული ომის ფრონტებზე 18 თვეში დ. თავაძემ 109 საბრძოლო გაფრენა მოახდინა, რომლის დროს გაანადგურა 29 ტანკი, 150 ავტომანქანა, ჩაახშო 23 საზენიტო არტილერიის წერტი, მოსპო 28 საველე ქვემეხი, დაანგრია 29 საცეცხლე ძელმიწური, დასწვა ორი ორთქლმავალი, 11 რკინიგზის ვაგონი, 4 ადგილას დააზიანა რკინიგზის ლიანდაგი, მოსპო ხმელეთზე 9 და საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი, მტრის ჯარების თავშეყრის ადგილებში დაანგრია

[1] იქვე.

11 სახლი, გაანადგურა საბრძოლო და სხვა მასალებით დატვირთული 61 ოთხთვალა, გააჩაღა მტრის განლაგებაში ხანძრის 8 კერა, მოწინააღმდეგის არმიის ზურგში გაფანტა და ნაწილობრივ მოსპო 2000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.[1]

დ. თავაძე მტერთან შეტაკების დროს ბევრჯერ დაჭრილა, მაგრამ განკურნების შემდეგ კვლავ უბრუნდებოდა თავის ნაწილს და მისთვის ჩვეული მამაცობით ანადგურებდა მტერს ჰაერში, ზღვაზე თუ ხმელეთზე.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის დავით თავაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 19 აგვისტოს ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.[2]

გერმანელ ფაშისტებთან ომში ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო გიორგი ინასარიძემ. მან ომის დაწყების წინ ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა. შემდეგ ბათუმის საავიაციო კლუბში სწავლობდა, აქ კარგი სწავლით გამოიჩინა თავი, ფრენა შეიყვარა და მალე მოხალისედ წავიდა ოდესის სამხედრო-საავიაციო სკოლაში, რომელიც 1941 წელს წარჩინებით დაამთავრა, მფრინავ-მოიერიშის სპეციალობით. მოგვიანებით კი მოიერიშეთა სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში უმაღლესი განათლება მიიღო.

გ. ინასარიძე ომის დაწყების პირველი დღიდანვე ბრძოლის ველზე იყო. მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში მე-6 გვარდიულ მოიერიშე საავიაციო პოლკის შემადგენლობაში. კალინინისა და ბალტიის პირეთის პირველ ფრონტებზე მოქმედებისას, მან 139 წარმატებითი საბრძოლო გაფრენა მოახდინა, რომლის დროს პირადად მოსპო მტრის 108 სამხედრო ტვირთიანი ავტომანქანა, 10 ჯავშანტრანსპორტიორი, 34 საარ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 7937, საქ. 46, ფურც. 2-3.

[2] გაზ. „იზვესტია", 1944 წლის 20 აგვისტო.

ტილერიო ბატარეა, გაანადგურა და დააზიანა 15 ორთქლმავალი, 105 რკინიგზის ვაგონი.

გ. ინასარიძის საბრძოლო გზა ომის მნიშვნელოვან ბრძოლებზე გადის. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მოწინააღმდეგის ღრმადშენიღბული დაცვის გარღვევასა და განადგურებაში რუკვის, ნეველის, ვიტებსკის, ველიკიე ლუკის, დუხოვანუოის, სმოლენსკის, პოლოცკის რაიონებში, რისთვისაც 1945 წლის 18 აგვისტოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.[1]

გ. ინასარიძის საბრძოლო ეპიზოდები, მტრისადმი განსაკუთრებულ ეფექტურობით მიყენებული ზარალი, მის მიერ ოსტატურად ჩატარებული არაერთი საჰაერო ბრძოლა, როგორც ოსტატობისა და მამაცობის ნიმუში შეტანილია წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების საინფორმაციო დოკუმენტებში.[2]

ომის წლებში თავდადებული და უშიშარი მფრინავის სახელი დაიმკვიდრა გარი მერკვილაძემ. იგი 1923 წელს დაიბადა ქ. ბათუმში, სწავლობდა ბათუმის რკინიგზის სკოლაში, თანაც სპორტის ულამაზეს სახეს–ცურვას ეუფლებოდა და საპატიო შედეგსაც მიაღწია. იგი მოზარდთა შორის ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ახალგაზრდა სპორტსმენი ბათუმის საჰაერო კლუბშიც სწავლობდა. გ. მერკვილაძეს საშუალო სკოლა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ საჰაერო კლუბიდან 1940 წელს თბილისის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს.[3]

ომის დაწყებისას გ. მერკვილაძემ წარმატებით დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, სერჟანტის წოდება მიიღო, მფრინავად ჩარიცხეს გამანადგურებელი ავიაციის ესკადრილიაში და ფრონტზე გაგზავნეს. გარი მერკვილაძე შავი ზღვის სანა-

---

[1] „პრავდა“ 1945 წლის 20 აგვისტო.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 7937356, საქ. 19, ფურც. 245-250.

[3] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 6, 1963, გვ. 81.

პირის და ყუბანის ველზე წარმატებით ასრულებდა სარდლობის დავალებებს, რისთვისაც სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვეს.

1944 წელს გარი მერკვილაძემ ლეიტენანტის წოდება მიიღო, ხოლო 1945 წლის დამდეგს იგი უფროსი ლეიტენანტი ხდება და ესკადრილის უფროსის მოადგილედ ინიშნება. ამ ესკადრილიამ მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლები გადაიხადა პრაღის, ვენის განთავისუფლებისა და ბერლინის აღებისათვის. სწორედ გარის ესკადრილია პირველი შეიჭრა ფაშისტთა ბუნაგში ბერლინში. ომის ფრონტზე ყოფნის პერიოდში გ. მერკვილაძემ ჩაატარა 386 წარმატებითი საბრძოლო გაფრენა. ჰაერში მტერთან ბრძოლებსში სულ იფრინა 587 საათი და 30 წუთი, ჩაატარა 87 საჰაერო ბრძოლა, რომელთა დროსაც პირადად ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 13 თვითმფრინავი და ორი თვითმფრინავი ავიარგოლში. მან პირადად ჩამოაგდო მოწინააღმდეგის აეროსტატი. მოწინააღმდეგის ჯარებზე და ტექნიკაზე მიიტანა 97 იერიში.[1]

ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის და ამასთან გამოჩენილ მამაცობისა და გმირობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 27 ივნისის ბრძანებულებით გეარდიის უფროს ლეიტენანტს გარი ალექსანდრეს ძე მერკვილაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.[2]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში სახელოვანი გზა განვლო ბავშვობიდანვე ბათუმში აღზრდილმა **ისაი პავლეს ძე კაზინეციმ**. იგი დედამ დაობლებული ხუთ შვილთან ერთად ჩამოიყვანა ბათუმში საცხოვრებლად, მცირეწლოვნები იზრდებოდნენ ბავშვთა სახლში, სადაც ისწავლეს ცხოვრების, შრომის, ადამიანის სიყვარულის ფასი. 14 წლის ისაიმ დაიწყო შრომითი საქმიანობა, 1933 წელს ნიჭიერი ისაი გაგ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 795756, საქ. 31, ფურც. 88-89.

[2] „პრაუდა", 1945 წლის 29 ივნისი.

ზავნეს სარატოვის ნავთობის ტექნიკუმში სასწავლებლად. მისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა სორმოვოში, პარალერულად დაუსწრებლად სწავლობდა კიევის ნავთობის ინსტიტუტში, რის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბელორუსიაში ნავთობის წარმოება-გასაღების საწარმოს მთავარ ინჟინრად. სწორედ აქ მოუსწრო მას ომმა.

მტერმა ბელორუსიის დიდი ნაწილის ოკუპირება მოახდინა დაიკავეს მისი დედაქალაქი მინსკი.

ქვეყნის პატრიოტი ისაი კაზინეცი იატაკქვეშა პარტიზანულ მოძრაობაში ჩაება. ოკუპირებულ მინსკში 1941 წლის ბოლოს უკვე მოქმედებდა საქალაქო პარტიული ცენტრი 5 იატაკქვეშა რაიკომით და საწარმოო-ტერიტორიული პირველად პარტიული ორგანიზაციის ფართო ქსელით, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ს. ზაიაცი და ისაი კაზინეცი.

ბოლოს ისაი სათაოში ჩაუდგა მინსკის საოლქო პარტიულ იატაკქვეშა ორგანიზაციას, რომელიც ხელმძღვანელობდა ბელორუსიაში მტრის წინააღმდეგ ფართოდ გაშლილ პარტიზანულ მოძრაობას. პარტიზანები სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალებსა და ტექნიკას. მტერს უსპობდნენ მოქმედების საშუალებას, კოლოსალურ ზარალს აყენებდნენ მათ. იატაკქვეშელებმა შური იძიეს ბელორუსიის ხალხის ჯალათზე—ჰიტლერელ კუბასა და მის თანამებრძოლებზე, მინსკის საოლქო ჟანდარმერიის უფროსზე კალაზე და ცნობილ ფაშისტ ფაიტზე.

ისაი კაზინეცის შესაპყრობად ფაშისტებმა დიდი ჯილდო დააწესეს. 1942 წლის მარტში ისაი ფაშისტებმა შეიპყრეს, არაადამიანური ტანჯვის პირობებში აწამეს. ბოლოს მინსკის ცენტრალურ მოედანზე, სხვა თანამებრძოლებთან ერთად, 1942 წლის 9 მაისს ჩამოახრჩეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით ისაი კაზინეცს მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება. მინსკში ერთ-ერთ სკოლას მისი სახელი მიენიჭა, ქ. ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას ერქვა მისი სახე-

ლი.[1]

ფაშისტური გერმანიის მიერ წამოწყებულ მეორე მსოფლიო ომში არაერთი საგმირო საქმეების მოთავე გახდა ბათუმის აეროკლუბის ყოფილი ინსტრუქტორი **ბორის მიხეილის ძე ლიტვინჩუკი**. იგი 1917 წელს რკინიგზელის ოჯახში დაიბადა. დედა ქართველი ჰყავდა. ბორისი ერთი წლის იყო როცა მამამისის ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. ბორისმა თბილისში დაამთავრა სკოლა, ტექნიკური სასწავლებელი და მუშაობდა ქარხანაში ხარატად. ამავდროულად წარმატებით სწავლობდა თბილისის აეროკლუბში. სწავლების დამთავრების შემდეგ ბორისი დატოვეს მფრინავ-ინსტრუქტორად.

1937 წლიდან ბორის ლიტვინჩუკი ბათუმის აეროკლუბში მფრინავ-ინსტრუქტორად იწყებს მუშაობას, იგი უ–2 თვითმფრინავზე სწავლების ინსტრუქტორია. მალე კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასწავლებლად გაგზავნეს ეისკის სამხედრო-საზღვაო საავიაციო სასწავლებელში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ გაამწესეს შავი ზღვის ფლოტში 32-ე გამანადგურებელ საავიაციო პოლკში, უმცროს მფრინავ–გამანადგურებლის თანამდებობაზე. 1940 წლის ბოლოს ბ. ლიტვინჩუკი მიავლინეს მოსკოვში ახალი საავიაციო ტექნიკის შესასწავლად. მან კარგად აითვისა ახალი ტექნიკა, ბომბდამშენთა სპეციალობით.

ომის დაწყებიდანვე ბორის ლიტვინჩუკი ბრძოლის წინა ხაზზეა. 1941 წლის 1 აგვისტოს აქტიური მონაწილეობა მიიღო რუმინეთში კონსტანტის მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზისა და ნავთობსადენის ქარხნის დაბომბვა–განადგურებაში. ამ საბრძოლო ოპერაციის შემდგომ ლიტვინჩუკის ესკადრელიამ სარდლობისაგან მიიღო უფრო რთული საბრძოლო დავალება– რუმინეთის ღრმა ზურგში დაებომბა რკინიგზის ხიდი მდინარე დუნაიზე, ორ იარუსიანი ხიდის სიგრძე იყო 75 მეტრი, მის ქვემოდ გადიოდა ქვეყნის ცენტრალური საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტი, გარდა ამი-

[1] ს. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 232-233.

სა, ხიდის ქვეშ გადიოდა ნავთობსადენის სამი ხაზი, ხიდის დანგრევა გამოიწვევდა რკინიგზის გადაზიდვების მოშლას ბუხარესტსა და ვენას შორის, კონსტანტის ბაზასა და სამხრეთ რუმინეთის სამრეწველო რაიონებს შორის კავშირ-ურთიერთობების გაწყვეტას. ამდენად ხიდს ჰქონდა დიდი სამხედრო-ოპერატიული მნიშვნელობა და ჰიტლერელები ყველაფერს აკეთებდნენ მის ყოველმხრივ დასაცავად, ხიდის ახლოს ჰქონდათ საჰაერო თავდაცვის გამანადგურებელი ავიაციის აეროდრომი, ხიდის რაიონის ყველა მხარეში განლაგებული ჰყავდათ ყველა სახის საზენიტო არტილერია.

ბომბდამშენთა ესკადრელია, რომელშიაც ირიცხებოდა ბორის ლიტვინჩუკი, ხიდის დაბომბვის ოპერაციაში ღებულობდა მონაწილეობას. ბომბდამშენებმა პიკირებით 2500 მეტრის სიმაღლიდან დაიწყეს ბომბების ჩამოყრა, ირგვლივ იწვოდა ყველაფერი, წყალიც კი; იწვოდა ხიდის ქვეშ გამავალი ნავთობსადენები. ამ საბრძოლო ოპერაციის შემდეგ ბ. ლიტვინჩუკი დააწინაურეს ესკადრელიის მეთაურად.

ბორის ლიტვინჩუკმა ომის პერიოდში მოახდინა 450 საბრძოლო გაფრენა, პირადად ჩამოაგდო მტრის 16 თვითმფრინავი, 9 თვითმფრინავი ჯგუფურად. მოახდინა 20 საჰაერო დაზვერვა, შტურმით მოსპო ათეულობით ავტომანქანა, საარტილერიო დანადგარი, საწყობი საბრძოლო მასალით, ნავთობსაცავები, ორი ხიდი, მრავალი წყალგაყვანილობის ობიექტი.

ბორის ლიტვინჩუკს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 16 მაისის ბრძანებულებით მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. იგი სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო 6 ორდენით და მრავალი საბრძოლო მედლით.

ბორის ლიტვინჩუკი ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ მონაწილეობდა იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაამთავრა სამხედრო აკადემია, პოლკოვნიკი გავიდა პენსიაზე და ცხოვრების ბო-

ლო წლები ცხოვრობდა კალუგაში.[1]

აჭარაში დღემდე ომის თემებზე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში (ი. ართმელაძის, ი. ცერცვაძის, კ. ცომაიას, ს. დუმბაძის შრომები) აღიარებულია, რომ აჭარიდან ომში მონაწილეთა შორის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება წილად ხვდა 12 გაბედულ მეომარს, მათ შორისაა **კონსტანტინე თედორის ძე ოლშანსკიც.**

კონსტანტინე ოლშანსკი დაიბადა 1918 წელს, დედა ადრე გარდაეცვალა. ჯერ ახლო ნათესავებთან ცხოვრობდა, შემდეგ ბავშვთა სახლში. დაამთავრა პროფტექნიკური სასწავლებელი, მუშაობდა ორთლმქვლის მემანქანის თანაშემწედ. ქ. კურსკში გაიცნო პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ეკატერინე ნიკიფორის ასული პოპოვა და მასზედ დაქორწინდა. კონსტანტინე ოლშანსკი მალე არმიის რიგებში გაიწვიეს და ჩარიცხეს შავი ზღვის ფლოტის ელექტრო-მექანიკურ სკოლაში კურსანტად. სკოლა კონსტანტინემ წარჩინებით დაამთავრა. მას მიანიჭეს უმცროსი ლეიტენანტის ოფიცრის წოდება და დატოვეს სკოლაში კურსანტთა მოსამზადებლად, იგი ხელმძღვანელობდა სასწავლო ასეულს.

კ. ოლშანსკი ოფიცერი რომ გახდა, მასთან 1939 წელს ჩამოვიდა მეუღლე ეკატერინე ოლშანსკაია, ერთი წლის შემდეგ შეეძინათ შვილი ვალერი, ცხოვრობდნენ ბედნიერად, ხალისიანად. ახალგაზრდა ოფიცერი კონსტანტინე ოცნებობდა შავი ზღვის ფლოტის ოდესის საინჟინრო ინსტიტუტში სწავლის გაგრძელებაზე, მაგრამ ფაშისტური გერმანიის მიერ ომის დაწყებამ, შეცვალა მისი ჩანაფიქრი.

ომი რომ დაიწყო, შავი ზღვის ფლოტის ელექტრო-მექანიკური სკოლის პირადი შემადგენლობიდან ჩამოყალიბდა მეზღვაურ ფეხოსანთა ორი ბატალიონი. კ. ოლშანსკი გადაყვანილ იქნა ბატალიონის შტაბში სამუშაოდ.

ომის პირველ პერიოდში, ფაშისტური გერმანიის შეიარა-

---

[1] კ. ცომაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 49-50; ს. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 225-226.

ღებული ძალების დროებითი წარმატებებისა და ქვეყნის დასავლეთის დიდი ნაწილის გერმანელების მიერ ოკუპაციის გამო, შავი ზღვის ფლოტის სარდლობის 1941 წლის ნოემბრის ბრძანებით, შავი ზღვის ფლოტის ხომალდები ზურგის საწარმოები და ფლოტის სასწავლო დაწესებულებები გადმოყვანილ იქნა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. საქართველოს ზღვისპირეთში განლაგდა შავი ზღვის ფლოტის ელექტრომექანიკური სკოლის მთელი შემადგენლობა, სადაც უმცროსი ლეიტენანტი კონსტანტინე ოლშანსკი მსახურობდა.

კონსტანტინე ოლშანსკის ბატალიონი, რომ საქართველოს ზღვისპირეთში განლაგებული იქნა მისმა მეუღლემ ეკატერინემ, შვილი მშობლებთან, ქ. კურსკში გაგზავნა. თვითონ ქმართან საქართველოში ჩამოვიდა, აქ დაიწყო ცხოვრება, მუშაობა. ჯერ "საქჩაი"-ს ტრესტში, შემდეგ ბათუმის "ციტრუს კომბინატში", ბოლოს მთელი ომის პერიოდში და შემდეგაც (1947 წლამდე) მუშაობდა კურორტ ვაჭრობის ბათუმის რესტორან „კალიფორნიაში„ მთავარ ბუღალტრად. ცხოვრობდა, ქ. ბათუმში, პიონერის ქუჩა №28-ში (ახ. ნ. ჟორდანიას ქუჩა).

ომის მსვლელობა, ფრონტი შავი ზღვის ფლოტის ელექტრომექანიკური სკოლიდან მოითხოვდა რაც შეიძლება მეტი მეტურბინეების, ელექტრო და დიზელის სპეციალისტების მომზადება-გამოშვებას, სკოლამ წარმატებით გაართვა თავი ამ დავალებას. 1942 წლის განმავლობაში მომზადდა ასეთ სპეციალისტთა ორი გამოშვება. ამ საქმეში დიდი წვლილი სათვის უმც. ლეიტენანტ კ. ოლშანსკის მიანიჭეს ლეიტენანტის წოდება.

1943 წელს ფლოტის სარდლობამ დააკმაყოფილა ლეიტენანტ კონსტანტინე ოლშანსკის არაერთჯერადი თხოვნა ფრონტის წინა ხაზზე გაშვების შესახებ. იგი ჩარიცხეს ქ. ფოთში ახლად ფორმირებული შავი ზღვის ფლოტის აზოვის სამხედრო ფლოტილიის 384-ე ცალკე მოტომსროლელ ბატალიონში და დანიშნეს ბატალიონის მსროლელ მეავტომატეთა ასეულის მეთაურად. მალე მას მიეცა პირველი საბრძოლო დავალება დესანტი გადაესხათ მტრის ზურგში ტაგანროგის

ნავსადგურში და გადაეჭრათ მტრის გასასვლელი საზღვაო გზები. ოპერაცია, რომლის გეგმის შემუშავება და განხორციელება დაევალა კ. ოლშანსკის, წარმატებით დამთავრდა. ბატალიონის პირად შემადგენლობას მადლობა გამოეცხადათ, ხოლო დესანტის ხელმძღვანელი კ. ოლშანსკი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით. 1943 წლის სექტემბერში მარიუპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მამაცობისათვის კ. ოლშანსკი დაჯილდოვდა ალექსანდრე ნეველის ორდენით.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლები გადაიტანა კ. ოლშანსკიმ ქ. ნიკოლაევის განთავისუფლებისათვის. ერთ-ერთ იმდროინდელ დოკუმენტში წერია „ორ დღეღამეში, 1944 წლის 26-27 მარტს უფროსი ლეიტენანტის კ. ოლშანსკის რაზმმა დაძლია მტრის 18 შემოტევა, მწყობრიდან გამოიყვანა 700-მდე ჰიტლერელი, კ. ოლშანსკის 68 მედესანტეს წინააღმდეგ იბრძოდა მტრის სამი ბატალიონი, ე.ი. თითქმის მთელი სახმელეთო პოლკი. ქვეყანამ დააფასა მამაცურად დაღუპულთა გმირობა. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომ 68 მედესანტეს მათ შორის მათ მეთაურს კონსტანტინე ოლშანსკის მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ქ. ნიკოლაევში ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მიენიჭა კ. ოლშანსკის სახელი, ქალაქში გაიხსნა მემორიალური მუზეუმი, ქალაქის პორტის ტერიტორიაზე დაიდგა გმირ კონსტანტინე ოლშანსკის ძეგლი.[1]

ომის წლებში ბრძოლის სახელოვანი გზა განელო **ვალენტინ შაპირომ,** იგი ბათუმის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო სამსახურში 1940 წელს გაიწვია. მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებაში სტალინგრადის, სამხრეთის უკრაინის პირველი და მეოთხე ფრონტებზე. ომის ფრონტებზე ვალენტინ შაპირო უმეტესად მტრის ჯარების დაზვერვას ახდენდა. მზვერავ-გამანადგურებელმა თავი გამოიჩინა, როგორც გამბედავმა და მიზანმიმართულმა ოფიცერმა, დაზვერვას აწარმოებდა ყო-

[1] კ. ცომაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 69-71; ს. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222-223.

ველნაირ მეტეოროლოგიურ პირობებში, აგრეთვე საზენიტო არტილერიის ცეცხლქვეშ და ჰაერში მოწინააღმდეგის გამანადგურებელთა დიდი რაოდენობის ყოფნის დროს. როგორც წესი შაპირო ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა თავის საბრძოლო ნაწილში და ნებისმიერი მდგომარეობის მიუხედავად მისი სადაზვერვო, თუ სხვა მონაცემები ყოველთვის ზუსტი იყო.

ვ. შაპიროს პირველი საბრძოლო ნათლობა დაიწყო სტალინგრადის ბრძოლების ცხელ დღეებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც სამშობლოსათვის თავდადებულმა მეთაურმა. 1942 წლის სექტემბერში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მფრინავმა, იფარავდა რა სახმელეთო ჯარებს, უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვა და ჩამოაგდო მოწინააღმდეგის თვითმფრინავი.

სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ ვ. შაპირო მონაწილეობდა ბრძოლებში ბატაისკთან, როსტოვთან, ტაგანროგთან, სადაც გამოავლინა მამაცობა და გამბედაობა. 1943 წლის 7 თებერვალს, დაზვერვის დავალებების წარმატებით შესრულებასთან ერთად, როსტოვ-ბატაისკის მიმართულებით (დაადგინა მდინარე დონზე გადასასვლელების არსებობა და მდგომარეობა და მტრის ეშელონების ყოფნა რკინიგზის სადგურზე), შეხვდა მოწინააღმდეგის ხე-113 ტიპის თვითმფრინავს და უთანასწორო ბრძოლაში ჩამოაგდო იგი.[1]

უკრაინის მეორე ფრონტზე ვ. შაპირომ თავი გამოიჩინა არა მარტო როგორც გამოცდილმა მზვერავმა, არამედ როგორც მამაცმა საჰაერო მებრძოლმა. მან 113 საბრძოლო გაფრენა შეასრულა და საჰაერო ბრძოლებში მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი ჩამოაგდო. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბუდაპეშტის და გროზნოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში.

გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ვალენტინ შაპიროვ ომის პერიოდში შეასრულა სულ 590 გაფრენა, მათ შორის

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 793756, საქ. 54, ფურც. 80-81.

დაზვერვაში იყო 455-ჯერ, ჯგუფურ ფრენაში 61-ჯერ სახმელეთო ჯარების და ობიექტების დაბომბვაში მონაწილეობდა 72-ჯერ, მოწინააღმდეგის თვითმფრინავებზე იერიში მიიტანა 4-ჯერ, ჩაატარა 48 საავიაციო ბრძოლა, რომლის დროსაც პირადად ჩამოაგდო მტრის 12 თვითმფრინავი.

ომის წლებში არმიის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა წითელი დროშის ორი, სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით. 1946 წლის 15 მაისს ვალენტინ შაპიროს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.[1]

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, განსაკუთრებული ყირიმის დაცვის ბრძოლებში, აქტიურად იბრძოდა ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანის მკვიდრი **მემედ აბულაძე**. იგი 1938 წლიდან მსახურობდა არმიის რიგებში, მონაწილეობდა ფინეთის ომში. გერმანელმა ფაშისტებმა ომი, რომ გააჩაღეს და ქვეყნის სიღრმეში გააფრთებით მიიწევდნენ, მემედ აბულაძე უკვე ბევრ ბრძოლაში გამოწრთობილი მებრძოლი იყო და მზვერავთა ოცეულს მეთაურობდა.

1942 წლის 10 მაისისათვის გერმანელებმა დიდი ძალებით შემოუტიეს ქერჩს, ძალზე შეავიწროვეს ქუჩის დამცველები. 11 მაისს შტაბში გამოუძახეს მზვერავთა ოცეულის მეთაურს მ. აბულაძეს და სადაზვერვო დავალება მისცეს–პირველი ბატალიონისაგან არაფერი ისმის, კავშირი გაწყვეტილია, საჭიროა მტრის ტერიტორიის დაზვერვა და ბატალიონის ბედ-იღბლის დადგენაო.

მამაცმა მზვერავებმა მტრის ზონაში გაბედულად შეაღწიეს. "როცა მივუახლოვდი „დზოტს" (საცეცხლე წერტს), – იხსენებს ომგადახდილი მ. აბულაძე, – მაშინ მივხედი, რომ მტრის ბანაკში ვიყავი. ჩუმად გამოვაღე "დზოტის" კარი და შიგ ყუმბარა შევაგდე, სასწრაფოდ გაეცალე იქაურობას. მალე დავადგინე, რომ პირველი ბატალიონი მთლიანად განადგურებული იყო. უკან დაბრუნებულს შტაბში არავინ დაგვხდა,

---

[1] „პრაუდა", 1946 წლის 16 მაისი.

უკან დაეხიათ. ჩვენ კი ჰაერიდან გვბომბავდნენ და გვბომბავდნენ, ისე აირია ყველაფერი, რომ კაცი ვერ გაარჩევდი, საით წავსულიყავი, დღისით ჭაობებში და ტყეში ვიმალებოდით, ღამით კი ვცდილობდით მტრის რკალიდან დაგვეღწია თავი. როგორც იქნა, 20 მაისს ძლივს გამოვედით რკალიდან".[1]

სხვაც ბევრი ბრძოლები გადაიხადა მ. აბულაძემ ყირიმის, უკრაინისა და უამრავი დასახლებული პუნქტების განთავისუფლებისათვის. იგი მამაცურად იბრძოდა ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ავსტრიაში. ომის დამთავრების შემდეგ ომგადახდილი მშობლიურ რაიონში დაბრუნდა და შრომის ფერხულში ფრონტული შემართებით ჩაება.

ფაშისტურმა გერმანიამ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომ დაიწყო ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანის მკვიდრი **ყარაღა ხუშუტის ძე აბულაძე** სამხედრო რიგებში გაიწვიეს და სოხუმის მოკლევადიან ფეხოსანთა საოფიცრო სასწავლებელში გაგზავნეს.

საოფიცრო სასწავლებელი ყარაღა აბულაძემ წარმატებით დაამთავრა და 1941 წლის დეკემბერს ოფიცრის — უმცროსი ლეიტენანტის ჩინით 75—ე მსროლელი დივიზიის 34-ე მსროლელ პოლკში ოცეულის მეთაურად გაგზავნეს. ამ სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში ომის სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა ყარაღა აბულაძე 1943 წლის მარტამდე. აქედან კი იგი, როგორც მამაცი და პერსპექტიული ოფიცერი, გაგზავნეს ოფიცერთა ექვსთვიან გადასამზადებელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1943 წელს ლეიტენანტის ჩინით გაგზავნეს 296—ე ფეხოსანთა მსროლელ დივიზიის 962—ე მსროლელი პოლკის ასეულის მეთაურად, ხოლო 1944 წლის აგვისტოდან, როგორც გაბედული და მამაცი მებრძოლი, დანიშნეს იმავე დივიზიის 221—ე მსროლელი პოლკის მეავტომატეთა ოცეულის მეთაურად.

ხულოელი ვაჟკაცი ყარაღა აბულაძე მსროლელ ფეხოსანთა პოლკის შემადგენლობაში შეუპოვრად იბრძოდა 1945

[1] გაზ. „ხულო", 1998 წლის 15 მაისი.

წლის თებერვლამდე. 1945 წლის თებერვლის ბრძოლები კენინსბერგის მისადგომებთან საბედისწერო აღმოჩნდა, იგი მძიმედ დაიჭრა. სამხედრო ჰოსპიტალში (№02888ЭР) ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, 1946 წლის 10 ივნისს დემობილიზებული იქნა სამხედრო რიგებიდან, როგორც ომის ინვალიდი.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის, ყარაღა აბულაძე დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და მრავალი საბრძოლო მედლით.

ხულოელი ყარაღა აბულაძის ფრონტული ცხოვრების ისტორიასთან ერთად მეტად საინტერესოა მისი დაოჯახების ისტორიაც.

ყარაღა აბულაძემ ფრონტზე გაიცნო და შეიყვარა თანაფრონტელი ანტონინა ლაპშინა. ანტონინა დაიბადა ქ. სტალინგრადში, იქვე მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ სწავლა განაგრძო სტალინგრადის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც ომმა მოუსწრო. იგი ომში ინსტიტუტის მესამე კურსიდან გაიწვიეს. მისი საბრძოლო მამაცობა აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოებით—სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენითა და მრავალი საბრძოლო მედლით.

ომის დროს მან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა თავის თანამებრძოლს ყარაღა აბულაძეს. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ 1944 წლის მარტიდან, იგი ხულოში ჩამოვიდა. მუშაობა დაიწყო აგარის რვაწლიან სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, მოგვიანებით ამ საგანს ასწავლიდა ხულოს პედსასწავლებელსა და სოფელ ვაშლოვანის სკოლაში.

ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანში ომგადახდილებმა ანტონინა ლაპშინამ და ყარაღა აბულაძემ შექმნეს სანიმუშო ოჯახი. ყარაღა აბულაძე ადრე ასაკში უბედურ შემთხვევით გარდაიცვალა.

ერთგულმა მეუღლემ, ანტონინამ, ოჯახის პატრონობა თავად იკისრა, თანამებრძოლის და მეუღლის ერთგულება ბოლომდე ატარა და ქვეყანას აღუზარდა ოთხი შვილი და შვი-

დი შვილიშვილი.[1]

ქობულეთელი **შევქი აბდულ-ოღლი** ფაშისტურ გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა სამხრეთ-დასავლეთის და სტალინგრადის ფრონტებზე, უმცროსი ლეიტენანტის ჩინით, 219-ე სატანკო ბრიგადის 586-ე სატანკო დივიზიონის „ტ-34“ ტანკის მეთაურად.

1943 წლის 10-11 სექტემბერს შევქი აბდულ-ოღლი სატანკო ოცეულის შემადგენლობაში მონაწილეობდა ნოვო მერჩიკის სამხრეთ-დასავლეთით 184,5 სიმაღლის დაუფლებისათვის, სატანკო ჯარების გრნერალ-ლეიტენანტ სოლომოტინის განსაკუთრებული დავალების შესრულებაში.

სიმაღლეზე გამაგრებული მტერი ოთხ დღე-ღამეს აბრკოლებდა ჩვენი 375-ე მსროლელი დივიზიის მე-4 მსროლელი პოლკის ნაწილების წინსვლას. ღამით შეტევაში გადავიდა ოცეული და სძლია რა მტრის წინააღმდეგობა, დაეუფლა სიმაღლეს, რითაც ჩვენს ნაწილებს სწრაფი წინსვლის საშუალება მიეცა. ოცეულმა გაანადგურა ერთ ასეულამდე ჰიტლერელები, 20 ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტი, 2 ნაღმტყორცნი ბატარეია. გარდა ამისა, გაათავისუფლა ხუტორი ვოიტეპოვი, რომელშიც თავმოყრილი იყო მტრის ქვეითი ჯარის ორი ასეული.

ამ საბრძოლო ოპერაციაში შევქი აბდულ-ოღლიმ გამოავლინა სამხედრო ტექნიკის ცოდნა, მამაცობა და გამბედაობა, რისთვისაც იგი უკრაინის მე-2 ფრონტის ჯავშანსაწინააღმდეგო და მექანიზირებული ჯარების სარდლის ბრძანებით დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.[2]

ბათუმელი **გრიგოლ აბზიანიძე** გერმანელ დამპყრობლებს ებრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინის III და IV ფრონტებზე, უკრაინასა და ჩეხოსლოვაკიაში. 1942 წლიდან ვიდრე ომის დამთავრებამდე.

---

[1] გაზ. „აჭარა“, 2002 წლის 27 აპრილი.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 4402, ფურც. 107.

კარპატებში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში რიგით მეომარმა გრიგოლ აბზიანიძემ მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა. 1944 წლის 12 ოქტომბერს, მონაწილეობდა რა გააფრთებულ ბრძოლებში, სოფელ რუსკი ლოტიკის (ჩეხოსლოვაკია) ჩრდილოეთით, 933-ე სიმაღლეზე მტრის შეტევის უკუსაგდებად ავტომატიდან ზუსტი სროლით 10-ზე მეტი ფაშისტი მოსპო.

მამაცი მებრძოლი გრიგოლ აბზიანიძე 317 მსროლელთა დივიზიის 1944 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით დაჯილდოებულ იქნა მე-3 ხარისხის ორდენით.[1]

კავკასიის დაცვის ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა ბათუმელი კალისტრატე ადანია. იგი 1942 წელს აჭარის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო რიგებში გაიწვია, ჩაირიცხა 955-ე საარტილერიო პოლკის მე-8 ბატარეის მე-3 ქვემეხის მეთიზნედ.

ჩვენი ქვეითი ჯარის 1942 წლის 25 აგვისტოს შეტევის წინ, ეფრეიტორი კალისტრატე ადანიამ თავისი ქვემეხიდან ზუსტი გასროლით გაანადგურა მტრის ავტომანქანა. 1942 წლის 29 აგვისტოს, საცეცხლე პოზიციის ხშირი და ჩქარი ცვლით, სწრაფი დამიზნებით, მან უზრუნველყო ცეცხლის სწრაფი ტემპი—სამ წუთში ერთი და სამ წუთში მეორე მსხვილკალიბრიან ქვემეხიდან (152 მმ) გამოუშვი 50 ნაღმი, მიზანში პირდაპირი მოხვედრით გაფანტა მტრის მეავტომატეები და დათრგუნა ნაღმტყორცნი ბატარეა.

საბრძოლო დაკალებათა წარმატებით შესრულებისათვის მამაცი ეფრეიტორი კალისტრატე ადანია დაჯილდოვეს მედლით "მამცობისათვის".[2]

ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის მკვიდრმა აბდულ ანანიძემ გერმანული ფაშისტების მიერ წამოწყებულ ომში გმი-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 630300, საქ. 2739, ფურ. 371.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 1717, აღწ. 2, საქ. 10, ფურც. 101.

რობისა და მამცობის მაგალითი გვიჩვენა. იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1939 წელს, ფრონტის წინახაზზე იყო 1941 წლიდან 74-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 266-ე გვარდიული პოლკის შემადგენლობაში მეტყვიამფრქვევედ.

მეტყვიამფრქვევე, მებრძოლი აბდულ ანანიძე, ქვეყნის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, 74-ე გვარდიული მსროლელი ნიჟნი დნეპროვსკის ბოგდან ხმელნიცკის ორდენოსანი დივიზიის 266-ე გვარდიული პოლკის 1945 წლის 1 აპრილის ბრძანებით, დაჯილდოვდა მედლით — "მამაცობისათვის". მან მდინარე ოდერის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმის გაფართოებისათვის ბრძოლებში მამაცობისა და გამბედაობის მაგალითები გამოავლინა. ამ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა. აბდულ ანანიძეს ადრეც — 1941 წლის 25 ივნისს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე მიღებული ჰქონდა ჭრილობა.[1]

ქობულეთის რაიონის სოფელ კოხის მკვიდრი **ილია ანანიძე** მტერთან ბრძოლაში ჩაება 1941 წლის აგვისტოდან. იგი 1941 წლის აგვისტო-დეკემბერში იბრძოდა დონის ფრონტზე, ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტზეა, ახლა 175-ე საარტილერიო დივიზიის 282-ე მსროლელი პოლკის პირველ ბატალიონში, მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მემიზნედ.

ქობულეთელმა ილია ანანიძემ ვოლინის ოლქის ქალაქ ნოველისთვის გმირულ ბრძოლაში საბრძოლო გმირობის მაგალითი გვიჩვენა. მან 1944 წლის 29 მარტს ქალაქ ნოველისთვის საბრძოლო ოპერაციების დროს, როცა მოწინააღმდეგემ კონტრშეტევის წამოწყება სცადა, დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაანადგურა 15 ჰიტლერელი ფაშისტი და გაფანტა მტრის ქვეითთა ოცეული, რითაც ხელი შეუწყო კონტრშეტევის უკუგდებას.

1944 წლის 29 მარტს ჩატარებული სამხედრო ოპერაციისათვის მეტყვიამფრქვევე ასეულის მემიზნე ილია ანანიძე

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 717077, საქ. 600, ფურც. 32.

175-ე ურალის მსროლელთა დივიზიის 1944 წლის 14 აპრილის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა დიდების მე-3 ხარისხის ორდენით.[1]

ომის მძიმე დღეებში, სტალინგრადისათვის ბრძოლების პერიოდში ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის მკვიდრმა მურად ანანიძემ სტალინგრადის მებრძოლ ჯარების საბრძოლო მასალებითა და სურსათით მომარაგების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. იგი ომის ფრონტზეა 1941 წლის 20 აგვისტოდან, არმიაში კი 1925 წლიდან, სამხედრო რიგებში გაწვეულია ქ. ბათუმის სამხედრო კომისარიატის მიერ.

მურად ანანიძე სტალინგრადისათვის ბრძოლების მთელ პერიოდში ირიცხებოდა არმიის ზურგის ოპერატიულ ჯგუფში. ტრანსპორტირების რთულ პირობებში, მდ. ოლგაზე გავლით ასრულებდა ჯარების საბრძოლო მასალებითა და სურსათით უზრუნველყოფის ამოცანას.

მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ ყოველდღიურად მუშაობდა მარჯვენა ნაპირის გადასასვლელებზე, უზრუნველყოფდა საარმიო მფრინავი რაზმის მიერ მომარაგების ტვირთების მიღებას, მათ სწრაფ განაწილებას და ნაწილებისათვის გადაცემას. ასრულებდა სტალინგრადიდან დაჭრილების საჰოსპიტალო ბაზაში ევაკუაციის დავალებებს და აკონტროლებდა ჯარების უზრუნველყოფას ბრძოლისათვის საჭირო ყოველივე აუცილებლობით. არმიის ზურგის მიერ, სტალინგრადის დამცველი ჯარების მომარაგებისათვის გაწეული დიდ საერთო მუშაობაში მაიორმა ანანიძემ დიდი პირადი წვლილი შეიტანა.

მე-8 გვარდიული არმიის 1943 წლის 16 ივლისის ბრძანებით მურად ანანიძე დაჯილდოებული იქნა მედლით – "საბრძოლო დამსახურებისათვის."[2]

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 1712, ფურც. 56.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 68252, საქ. 1321, ფურც. 232.

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში **ბიჭიკო ანკუბაევმა** მამაცობისა და მხნეობის მაგალითი გამოავლინა. იგი 414-ე მსროლელი დივიზიის 1053-ე საარტილერიო პოლკის მეკავშირე იყო. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 1942 წლის დეკემბრიდან ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე, არმიის რიგებში გაწვეული იყო 1942 წელს ბათუმის სამხედრო კომისარიატის მიერ. გაწვევამდე იგი ცხოვრობდა—ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №6-ში (ახალი მისამართი — გიორგი ბრწყინვალის).

ქ. სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ბიჭიკო ანკუბაევმა გამბედაობისა და მამაცობის მაგალითები გამოამჟღავნა. 1944 წლის 9 მაისს საპუნ—გორის მიდამოებში ბ. ანკუბაევი იმყოფებოდა პოლკის სათვალთვალო პუნქტზე ჩვენი ქვეითი ჯარის საბრძოლო რიგებში, მოწინააღნდეგის ძლიერი ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ უწყვეტი კავშირი ჰქონდა ბატარეის მეთაურთან. მსროლელი ასეულის მეთაურის მოთხოვნით ბ. ანკუბაევმა ბატარეის მეთაურს გადასცემდა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტების განლაგებას. ბრძოლის დღის განმავლობაში არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მან 12 გარღვევა აიცილა, ბ. ანკუბაევის საზრიანი და უნაკლო მუშაობის შედეგად, ბატარეიამ მტრის სამი ტყვიამფრქვევი გაანადგურა და ნაღმტყორცნების ბატარეა ჩაახშო, რამაც ჩვენი ქვეითების წინსვლას შეუწყო ხელი.

414-ე ანაპის მსროლელი დივიზიის 1944 წლის 13 ივნისის ბრძანებით, ბ. ანკუბაევი დაჯილდოვდა დიდების მე-3 ხარისხის ორდენით.[1]

ბათუმელი **ოსმან ასათიანი** საბრძოლო ფრონტზეა ომის დაწყების დღიდანვე. საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას იღებდა კავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის და ბელორუსიის პირველ ფრონტებზე. იგი „სმერშ 20“-ის კონტრდაზვერვის განყოფილებასთან არსებული დაცვის სამსახურის ოცეულის

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 3236, ფურც. 91.

რიგითი მსროლელი იყო.

რიგითი მსროლელი ოსმან ასათიანი მე-20 მსროლელი დივიზიის საბრძოლო მოქმედებათა პერიოდში მძიმე ვითარების მიუხედავად ასრულებდა კონტრდაზვერვის განყოფილების სპეციალურ დავალებებს და ამასთან ავლენდა მამაცობასა და გმირობას დავალებათა შესრულების დროს. ოსმან ასათიანი ფხიზლად იცავდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებს, მან არაერთხელ აღკვეთა სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მცდელობა.

მე-20 მსროლელი ორგზის წითელდროშოვანი დივიზიის 1944 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით ოსმან ასათიანი დაჯილდოვდა მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის."[1]

ბათუმელი **მიხეილ აფხაზავა** სამხედრო რიგებში გაიწვიეს 1938 წელს. მან საოფიცრო სასწავლებელი დაამთავრა. ომის დაწყებიდანვე იგი ოფიცრის ჩინით ებრძვის ფაშისტ დამპყრობლებს.

მიხეილ აფხაზავამ სტალინგრადთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა, როგორც გაბედულმა და საზრიანმა ოფიცერმა, რისთვისაც იგი დაჯილდოებული იქნა მედლებით "მამაცობისათვის" და "სტალინგრადის დაცვისათვის".

1943 წელს გვარდიის უფროსი ლეიტენანტი, მიხეილ აფხაზავა იყო რა მე-8 გვარდიული მექანიზირებული ბრიგადის პირველი მოტომსროლელი ბატალიონის მეთაურის მოადგილე თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და გამბედავმა მებრძოლმა.

1943 წლის 18 აგვისტოს, დასახლებულ პუნქტ ხვაშევოისათვის ბრძოლაში მ. აფხაზავამ თავისი ბატალიონის პირველი ასეულით, ბრძოლისუნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად, შესძლო მოწინააღმდეგის არა ერთი იერიშის მოგერიება, რითაც სხვა ქვედანაყოფებს სოფელ ხვაშევოში გამაგრების შესაძლებლობა მისცა. შემდეგ თავისი ასეულით, მამაცი და გაბედული მანევრით ფლანგიდან შემოუარა სოფელ გრუზკო-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 3828, ფურც. 189.

ეს. უსწრაფესი ნახტომით შეიჭრა სოფელში და პანიკა გამოიწვია ჰიტლერელებში, რითაც საშუალება მისცა ჩვენს ნაწილებს მცირე დანაკარგებით დაეკავებინათ აღნიშნული დასახლებული პუნქტი, სამწუხაროდ თვითონ მიხეილ აფხაზავა გმირულად შეეწირა ამ საბრძოლო ოპერაციას.

მ. აფხაზავას 47-ე არმიის ჯავშანსაწინააღმდეგო და მექანიზირებული ჯარების მთავარსარდლის 1943 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებით დაღუპვის შემდეგ დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.[1]

ოცდაათი წელი იდგა სამშობლოს სადარაჯოზე ქვეყნის საამაყო შვილი **ასლან ბაჯელიძე**. 1941 წელს იგი პოლკის მეთაურის მოადგილე იყო სამწყობრო ნაწილში, ხოლო გერმანიის წინააღმდეგ სამამულო ომის დაწყების დღიდან — პოლკის მეთაური.

1944 წელს ა. ბაჯელიძე მე-17 არმიის მსროლელი დივიზიის მეთაურია, პოლკოვნიკის ჩინით. ამ დივიზიამ 1945 წელს იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად ისახელა თავი. 17 დღე-ღამეში გაათავისუფლა მონღოლეთის ჩახარის, ჩიფინის, ლინ-სიანისა და შახაიგუნის პროვინციების მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში იაპონელ ბურგუტებთან მდინარე—ხალხინ-გოლზე, მანჯურიაში და შიგა მონღოლეთში იაპონელებთან. დივიზიის ნაწილებმა ტყვედ ჩაიგდეს მოწინააღმდეგის 2000 ჯარისკაცი და ოფიცერი. მეტად რთულ მეტეოროლოგიურ და უგზოობის პირობებში, მონღოლეთის უწყლო უდაბნოში 200 კილომეტრი გაიარა, გადალახა დიდი ხინგანის მთაგრეხილი და სრულად შეინარჩუნა ბრძოლისუნარიანობა. დივიზიის მეთაური ასლან ბაჯელიძე ამ საბრძოლო ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის კუტუზოვის მე-2 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.[2]

ომგადახდილ ა. ბაჯელიძეს მკერდს ოთხი წითელი დრო-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 986, ფურც. 152.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 685196, საქ. 6716, ფურც. 164.

შის, სამამულო ომის მეორე ხარისხის, "საპატიო ნიშნის," კუტუზოვის მე-2 ხარისხის და მონღოლეთის პოლარული ვარსკვლავის ორდენები ამშვენებდა.[1]

გერმანელმა ფაშისტებმა ომი რომ დაიწყეს, ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნეს ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის მკვიდრი **დურსუნ ბაჯელიძე**. იგი თავიდანვე ჩაირიცხა 27-ე საარტილერიო ბრიგადის მე-8 ბატარიის რიგით მებრძოლად. დურსუნ ბაჯელიძემ საბრძოლო ოპერაციებში თავი გამოიჩინა, როგორც არმიის მედგარმა და გამბედავმა მებრძოლმა. 1945 წლის 20 თებერვლიდან 9 მარტამდე, ბრძოლებში დ. ბაჯელიძე ასრულებდა ქვემეხის ორი ნომრის–დამტენავისა და მემუხტის მოვალეობას. თავის ქვემეხის ცეცხლით ჩაახშო მოწინააღმდეგის 2 საარტილერიო ბატარეა, დაანგრია სამი ბლინდაჟი და გაანადგურა ეროი ქვემეხი და ერთი ჯავშანტრანსპორტიორი.

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის მე-8 საარტილერიო ვიტებსკის წითელდროშოვანი დივიზიის 27-ე გვარდიული საარტილერიო კუტუზოვის ორდენოსანი ბრიგადის 1945 წლის 27 აპრილის ბრძანებით დურსუნ ბაჯელიძე დაჯილდოებული იქნა მედლით – "მამაცობისათვის".[2]

ქობულეთის რაიონის სოფ. გვარიდან **ოსმან ბაჯელიძე** სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1940 წელს. იგი ბრძოლის წინა ხაზზეა ომის დაწყების დღიდანვე. ოსმან ბაჯელიძე სამედიცინო სამსახურის სერჟანტი, 307-ე მსროლელი სუვოროვის ორდენოსანი დივიზიის 837-ე საარტელერიო პოლკის სანინსტრუქტორი, ითვლებოდა თავისი საქმის მცოდნე ჯარისკაცად, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით ქვედანაყოფის მებრძოლეებისა და ოფიცრებს შორის. ბრძოლებში გამბედავი და თავდაჯერებული იყო. სანინსტრუქტორად მუ-

---

[1] ი. ცერცვაძე, უკვდავია მათი სახელი. ბათ., 1969, გვ. 51.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 5305, ფურც. 241.

შაობის პერიოდში, მისი მიზეზით ბატარეიას არ ჰქონია შენიშვნა ფრონტის ხაზზე ინფექციური დავადებების გავრცელების გამო.

1945 წლის 28 იანვარს ბრძოლებში, სოფელ რიაბოვოსთან, ო. ბაჯელიძემ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა თავისი მეთაური და უზრუნველყო მისი უშიშარ ადგილას გადაყვანა, რითაც გადაარჩინა ოფიცრის სიცოცხლე.

307-ე მსროლელ ნოვოზიბკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენოსანი დივიზიის 1945 წლის 18 აპრილის ბრძანებით, ოსმან ბაჯელიძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ბათუმის სამხედრო კომისარიატმა ომის ფრონტზე გაგზავნა ბათუმელი **ნიკოლოზ ბარანიკოვი**. იგი ეფრეიტორის ჩინით მსახურობდა 1313-ე მინსკის მსროლელი პოლკის პირველ მსროლელ ბატალიონში.

ნიკოლოზ ბარანიკოვმა გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლებში მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა. დაბა ბაიაგაზე შეტევისას პირველი შეიჭრა ამ დასახლებულ პუნქტში, სადაც თავისი პირადი იარაღით და ხელყუმბარით მტრის 12 ჯარისკაცზე მეტი მოსპო და 3 ჯარისკაცი ტყვედ აიყვანა.

173-ე მსროლელი პოლკის წითელდროშოვანი დივიზიის 1945 წლის 9 აპრილის ბრძანებით ნიკოლოზ ბარანიკოვი დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურიდან ფაშისტურ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იბრძოდა მამუდ ბერიძე. იგი ბათუმის სამხედრო კომისარიატმა არმიის რიგებში გაიწვია 1942 წელს. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 414-ე მსროლელი ანაპის დივიზიის 1053-ე საარტილერიო პოლკის შემადგენლობაში, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 56100, ფურც. 163.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690306, საქ. 847, ფურც. 151.

ტზე და ყირიმის ნახევარკუნძულზე.

ქერჩის ნახევარკუნძულზე ბრძოლის პერიოდში მ. ბერიძემ გამოაველინა განსაკუთრებული მამაცობა და ეშმაკობა. ბერიძის უნარიანი საქმიანობით და თავისი სპეციალობის ცოდნით სამეთაურო და სათვალთვალო პუნქტები ყოველთვის იყო უზრუნველყოფილი უწყვეტი კავშირით. პირადად მ. ბერიძემ ერთ დღეს, 1944 წლის 16 მარტს, მიუხედავად მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლისა, აღადგინა კავშირის ხაზის 7 გაწყვეტა, რითაც ხელი შეუწყო დივიზიონის ცეცხლის მართვას.

414-ე მსროლელი ანაპის დივიზიის 1944 წლის 31 იანვრის ბრძანებით მ. ბერიძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის მიერ მოხვეულ ომში მრავალრიცხოვან სახელოვან ქართველ მებრძოლთა შორის საპატიო ადგილი უკავია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის რაიონის სოფელ ბალაძების მკვიდრს **ნიკოლოზ ბერიძეს.**

ნ. ბერიძე 1938 წელს მოხალისედ წავიდა არმიაში, 1940 წელს ყაზანის სამეთაურო სასწავლებელი დაამთავრა, თანაც სნაიპერის კურსები გაიარა. როგორც მოწინავე კურსდამთავრებული, სასწავლებელში სნაიპერის მოსამზადებელი კურსების უფროსად დანიშნეს. მის მიერ მომზადებულ 85 ჯარისკაცს ომის წინა დღეებში მიენიჭა სნაიპერის სპეციალური თანრიგი.

1941 წელს ნიკოლოზ ბერიძე ხარკოვის უმაღლეს საავიაციო სასწავლებელში სწავლობდა. ომი რომ დაიწყო, სასწავლებელი ალმა-ატაში გადაიტანეს, სადაც ნიკოლოზმა სასწავლებელი შტურმანის კვალიფიკაციით დაასრულა.[2]

ბევრი ბრძოლები გადაიტანა ნ. ბერიძის ავიადივიზიამ ბელორუსიაში, პოლონეთსა და გერმანიაში. ბომბავდნენ გერმანელი ფაშისტების პოზიციებს ვარშავაში, პოზნანში, ლაიბიში

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 3103, ფურც. 89.

[2] ს. კაკაურიძე, საგ. სტ. „დიდი ბალანსი" გაზ. „აჭარა," 1991 წლის 18 სექტემბერი.

და ბერლინში.

ომის ფრონტებზე, ყველაზე დიდი ბრძოლა ალბათ ბერლინის შტურმი იყო, რომელსაც ბადალი არ მოეძებნება ომების ისტორიაში. 1945 წლის 16 აპრილის დილის 8 საათზე დივიზიამ მიიღო ფრონტის სარდლობის ბრძანება ბერლინის ცენტრში რაიხსტაგის დაბომბვის შესახებ. "მდინარე ოდერს რომ მიუახლოვდით, – იგონებდა ომის ვეტერანი ნ. ბერიძე – 450 მეტრის სიმაღლეზე მოვფრინავდით, მაგრამ კარგად ვამჩნევდით, რომ მდინარე ოდერის ორივე ნაპირი გიგანტურ ცეცხლში იყო გახვეული. მას დაემატა 81 ტონა ფუგასური ყუმბარები, ჰაერიდან რომ დავაყარეთ რაიხსტაგს. ერთი სიტყვით დ'ეღდა ყველაფერი! ამ ოპერაციის დროს საჰაერო ბრძოლებში დაიღუპა ჩვენი ავიადივიზიის 5 ბომბდამ'შენი სამაგიეროდ მტრის 16 ავიაგამანადგურებელი მოვსპეთ".[1]

ომის დამთავრების შემდეგ კიდევ ორი წელი დარჩა არმიის რიგებში კაპიტანი ნიკოლოზ ბერიძე, 1947 წლიდან კი მშვიდობიანი ცხოვრების ფერხულში ჩაება. მუშაობდა ბათუმის რაიონის სამხედრო კომისარიატის განყოფილების უფროსად. მერე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ავიაესკადრილიის შტაბში. ბოლოს კურორტების სისტემაში იმუშავა. სწორედ მაშინ დააჯილდოვეს სამკერდე ნიშნით "ჯანდაცვის ფრიადოსანი." სხვა ჯილდოებიც არ დაკლებია ნ. ბერიძეს. იგი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის 2-ე ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით, "ვარშავის განთავისუფლებისათვის".[2]

ამ ბოლო წლებშიც სათანადო შეფასება მიეცა ომგადახდილის საქმიანობას. იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. 1995 წელს მონაწილეობდა მოსკოვში ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გა-

---

[1] ნ. ბერიძე, საგ. სტ. „ასე დაეცა ბერლინი," გაზ. „აჭარა," 1998 წლის 9 მაისი.

[2] გაზ. „აჭარა," 1996 წლის 12 სექტემბერი.

მართულ გამარჯვების პარადში, როგორც აჭარის ომის ვეტერანთა წარმომადგენელი. 1966 წელს ნ. ბერიძე არჩეული იქნა აჭარის ომის, შრომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ორგანიზაციის საბჭოს თავჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ომის ფრონტებზე სახელოვანი გზა განვლო **ირაკლი ბერიძემ**. ბათუმის საზღვაო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჰიდროელექტრიკოსი ირაკლი ბერიძე 1939 წელს საზღვაო სამხედრო ფლოტში გაიწვიეს. ფაშისტურ გერმანიასთან ომის პერიოდში ირაკლი ბერიძე მონაწილეობდა ქერჩის სადესანტო ოპერაციებში, ნოვოროსიისკის, ყირიმის განთავისუფლებაში.

ირაკლი ბერიძე, ომში განვლილ გზას საინტერესოდ და შთამბეჭდავად გადმოგვცემს: „ომი ყველგან ომია, მაგრამ ზღვაში და ჰაერში სულ სხვაა იგი. ყუმბარებს ციდან ტყორცნიან წყალს, მართლა დუღს ყველაფერი. გასაქცევი არსადაა, ტყვიას თუ გადაურჩი, წყალი მოგიღებს ბოლოს. რამხელა სიფრთხილე გჭირდება დესანტის გადასხმისას, მრავალი საშიშროება ახლავს მას. ყველაფერი უნდა იღონო, მტერმა საიდანმე არ შეგამჩნიოს, თორემ მორჩა და გათავდა. არასოდეს დამავიწყდება ქერჩში დესანტის გადასხმა, მართლაც უზადოდ რომ განხორციელდა.

ჩვენს გემს სხვა ფუნქციაც ჰქონდა. რამდენჯერმე შეიარაღებით აღჭურვილები იმ გემებს ვიცავდით, ცოცხალი ძალები რომ გადაჰყავდათ. წყალქვეშა გემების წინააღმდეგ ბრძოლებშიც მიგვიღია მონაწილეობა. ყველფერი, რაც გადამხდენია, არ შეიძლება აღიწეროს, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად, რომ იტყვიან, ისეა სწორად.“ ამ მძიმე განცდის მომენტიდან ირაკლი ბერიძე თავის მხედრულ ცხოვრებიდან იგონებს უფრო მსუბუქ, მაგრამ ერთობ საინტერესო ეპიზოდს. აი, ისიც. „1945 წელს თებერვალში სამი დიდი სახელმწიფო მეთაურთა იალტის კონფერენციის მომსახურებაში ჩვენი ჯგუფიც მონაწილეობდა. ეს თავისთავად დიდი ნდობაც იყო და დიდი პასუხისმგებლობაც. გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარეთ“.

კონფერენციის მუშაობის დღეებში გაჩნდა და ელვისებუ-

რი სისწრაფით გავრცელდა ასეთი ანეკდოტი, – ყვება ბატონი ირაკლი, – დიდი სამეულის დარბაზში ფუტკარი შემოფრინდა, ჩერჩილს არ შორდებოდა... გაავებული ბზუის, ირგელივე უელის, რამდენჯერ სცადა მოშორება, იმჯერად არაფერი გამოუვიდა, რას ერჩის უინსტონს (ინგლისის პრემიერ-მინისტრს) ეს ფუტკარი? – ღიმილით კითხა რუზველტმა სტალინს. „Липой пахнет и потому'' უპასუხა ღიმილით საბჭოთა ლიდერმა. (აქ ორაზროვანი იუმორია: ლიპა ცაცხვია, რომლის ყვავილს განსაკუთრებით ეტანება ფუტკარი, „ლიპა“ აგრეთვე ფარშივს, ყალბს ნიშნავს).

ირაკლი ბერიძე გამარჯვების დღესაც საინტერესოდ იგონებს: „9 მაისი ყველასთვის სასიხარულო დღეა, – განაგრძობს ვეტერანი, – ყველასთვისაც მშვიდობა ძვირფასია, ვისაც სისხლი არ წყურია და ადამიანთა ხოცვა-ულეტაში არაა გაწაფული, ჩემთვის სხვა მხრივაც გამორჩეულია იგი. 9 მაისი ჩემი დაბადების დღეა და ამიტომ“ – ღიმილნარევი სიცილით დასძენს: „1945 წლის 9 მაისი თენდებოდა, ჩემს კაიუტაზე გაშმაგებით აბრახუნებდნენ. რა გჭირთ, გამოვეხმაურე გაბრაზებული, გააღე დაბადების დღეზე საჩუქარი მოგიტანეთო. ხეირიანად ჩაცმა ვერ მოვასწარი, არ მაცალეს, ვხედავ, ყველა ხელცარიელია... მესმის, გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაციაზე მოაწერა ხელი, ამაზე დიდი საჩუქარი რა გინდა, 9 მაისი გამარჯვების დღედ გამოცხადდაო. მერე გაიქცნენ, ქვემეხი ისროლეს, ვითომ ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად. ვინ გაპატიებდა ამას მაშინ, იმან გვიხსნა, რომ ცოტა ხანში ბრძანება მოვიდა, ზალპი მიეცით ქვეყანამ უნდა გაიგოს დიდ ომში გამარჯვებაო.“

ირაკლი ბერიძე დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და 12 საბრძოლო მედლით.[1]

1942 წლის დასაწყისში გერმანელმა ფაშისტებმა მოახერ-

[1] ს. დუმბაძე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში“ (1999–1945 წწ), ბათ., 2005, გვ. 123.

ხეს ჩრდილო კავკასიის მისადგომებისაკენ გამოჭრა, რითაც სერიოზული საფრთხე შეექმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, კერძოდ საქართველოს უშიშროებას. სამშობლოსათვის ამ მძიმე ჟამს არმიაში მოხალისედ წავიდა მახინჯაურელი **ახმედ ბერიძე**, იგი 1942 წლის მარტში სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ახმედი 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის 802-ე ლეგიონის მებრძოლი დიდი მონდომებით გადიოდა სამხედრო წვრათნას, შედეგმაც არ დააყოვნა და მას, როგორც კარგ მსროლელს, სნაიპერის შაშხანა ჩააბარეს.

392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა 1942 წლის აგვისტოში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ჩრდილო კავკასიაში მომხვდურ მტრებს. 22 აგვისტოს გერმანელებმა ბრძოლაში ჩააბეს დიდძალი ცოცხალი ძალა, ტანკები, არტილერია და შეტევაზე გადმოვიდნენ. მტერი ცდილობდა მოულოდნელი დარტყმებით მიეღწია საწადელისთვის. მაგრამ ქართველი მეომრები მედგრად დახვდნენ მტერს, რამდენიმე საათის ბრძოლა გერმანელების მარცხით დამთავრდა, მტერმა დიდძალი ტექნიკა, ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა და უკან დაიხია. 23 აგვისტოს გერმანელებმა კვლავ მოულოდნელი შეტევა განახორციელეს, ძლიერ შეუტიეს ლევან კვინიკაძის ათასეულის პოზიციებს, გაარღვიეს თავდაცვის ზღუდე და სიღრმეში შეიჭრნენ.

ათასეულის მეთაურმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და სანამ მტერი ფლანგების გაშლას მოახერხებდა, ათასეული კონტრშეტევაზე გადავიდა, სიბნელეში წინ გამოჭრილ მტერს მცელავი ცეცხლი შეაგება, ბრძოლაში ჩაებნენ არტილერისტები და ნაღმტყორცნელები. ქართველმა მეომრებმა რკალში მოაქციეს მტერი, დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა, ჰიტლერელებმა მარცხი იწვნიეს და უკან დაიხიეს.

მეორე დღეს, 24 აგვისტოს, დივიზიის გაზეთ „წინ გამარჯვებისაკენ“ კორესპოდენტი კ. დობორჯგინიძე, გაზეთისათვის ბრძოლების ამსახველი მასალების შესაკრებად, ესტუმრა ასეულის მეთაურს ლ. კვინიკაძეს. კითხვაზე თუ ვინ მიაჩნდა წინა დღით წარმოებული ბრძოლების გმირად, ათასეულის მე-

თაურმა უყოყმანოდ სნაიპერი ახმედ ბერიძე დაასახელა. თან დასძინა, პირადად შეახვედრებდა ამ მებრძოლს და ასეულიდან ახმედ ბერიძის გამოძახება ბრძანა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიწურში შემოვიდა მკვირცხლი მებრძოლი, იგი მეთაურის წინაშე წარსდგა და მოახსენა „თქვენი ბრძანებით გამოვცხადდი მებრძოლი ბერიძეო.“

ეს არის ჩვენი სნაიპერი, – გააცნო კორესპოდენტს ათასეულის მეთაურმა. შემდეგ ბერიძეს მიმართა: უამბე კორესპოდენტს, გუშინ გამართულ ბრძოლაში როგორ მოუსწრაფე სიცოცხლე თხუთმეტ ფაშისტს! მისი ნაამბობის შინაარსი ასეთი იყო, როდესაც გერმანელი ჯარისკაცების ერთი ჯგუფი იმ პოზიციებისაკენ გაიჭრა, რომელსაც ახმედ ბერიძე თანამებრძოლებთან ერთად იცავდა, მტერი ცდილობდა სიბნელეში ფარულად მიპარებოდა თავდაცვის ზღუდეს და უეცარი დარტყმით გაენადგურებინა თავდაცვაში მყოფი ქართველი მებრძოლები. ახმედის ფხიზელთვალს არ გამოეპარა მტრის ეს ჩანაფიქრი, მან შემმუსვრელი ცეცხლი შეაგება და ცელვა დაუწყო მტერს. ამ ბრძოლაში თხუთმეტი ფაშისტი დახოცა. გერმანელებმა ვერ გაუძლეს ბერიძის და მისი თანამებრძოლების გამანადგურებელ მასიურ ცეცხლს და დიდი დანაკარგებით უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში უჭკნობი საბრძოლო დიდება მოიპოვა ახმედ ბერიძემ.

ახმედ ბერიძემ კიდევ სხვა მრავალი ბრძოლა გადაიხადა ომის ფრონტზე, ერთ-ერთ ბრძოლის დროს იგი დაეცა ბრძოლის ველზე და ვეღარ ეღირსა მშობლიურ კერაზე დაბრუნებას.[1]

1944 წლის 26 მარტი გერმანელ ფაშისტებთან ომის ისტორიაში შევიდა, როგორც დიდმნიშვნელოვანი თარიღი. ამ დღეს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაცმა მეომრებმა 85 კილომეტრის მანძილზე გაარღვიეს მტრის დაცვა, გააფრთებული წინააღმდეგობის მიუხედავად გადალახეს მდინარე პრუტი და

---

[1] ე. ლომაძე, საგ. სტ. „ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას,“ გაზ. „აჭარა“, 1997 წელი 9 მაისი.

აღადგინეს მტრის მიერ დარღვეული სსრ კავშირის-რუმინეთის სახელმწიფო საზღვარი.

უკრაინის მეორე ფრონტის იმ მებრძოლ ნაწილებსა და შენაერთებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო 232-ე მსროლელი დივიზია, რომელშიც თავდადებით იბრძოდა ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, ხულოს რაიონის სოფელ მოფრინეთის მკვიდრი **სიმონ ბერიძე.**

ს. ბერიძემ ომის ფრონტებზე მძიმე და სახელოვანი გზა განელო. 20 წლის ჭაბუკი 1939 წელს არმიაში გაიწვიეს. ერთ თვეს თეთრფინელებთან მოუწია ბრძოლა. პოლკი, სადაც რიგითი ს. ბერიძე მსახურობდა, მანერჰაიმის ხაზზე იბრძოდა.

გერმანელ ფაშისტებთან ომი რომ დაიწყო, ს. ბერიძე დასავლეთის ფრონტზე მოქმედი მე-15 მსროლელი დივიზიის 47-ე პოლკის ნაღმტყორცნელთა ათეულის მეთაური იყო, მალე სერჟანტის წოდება მისცეს. ქალაქ ლიდასთან მტრის ჭარბ ძალებთან პირდაპირ შეხვედრისას ს. ბერიძის ათეულმა თავი გამოიჩინა, რისთვისაც მისი მეთაური ბერიძე მედლით „მამაცობისათვის“ დააჯილდოვეს.

1944 წლის იანვარში ს. ბერიძემ წარჩინებით დაამთავრა ივანოვოს სამხედრო–პოლიტიკური სასწავლებელი და ლეიტენანტის წოდება მიიღო. შემდეგ უკრაინის მეორე ფრონტი – 232-ე მსროლელი დივიზია. ამ დივიზიაში თავდადებით იბრძოდა ს. ბერიძე სახელმწიფო საზღვრის აღდგენისათვის ბრძოლებში, როგორც ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

1944 წლის მარტის დღეებში სიმონ ბერიძის ბატალიონს დაევალა ხელთ ეგდო კარპატების ერთი გზაჯვარედინი და დივიზიისათვის გზა გაეკაფა. დიდი სიძნელეების მიუხედავად ბატალიონმა შესძლო გზაჯვარედინის დაკავება, მაგრამ მტერს არ სურდა სტრატეგიული პოზიციის დატოვება და ბატალიონის წინააღმდეგ დიდი ძალები გამოიყენა. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. გერმანელებმა, რომლებიც ხუთჯერ სჭარბობდნენ ს. ბერიძის ბატალიონის ძალებს, ბატალიონს ალყა შემოარტყეს. უსურსათოდ დარჩენილი მებრძოლები უმ-

კლავდებოდნენ მტრის შემოტევას სამი დღის განმავლობაში. მეათე დღეს მიუვიდათ მაშველი ძალები და ალყა გაარღვიეს. ამ ოპერაციაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ს. ბერიძე სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.[1]

სიმონ ბერიძე ჩეხოსლოვაკიაშიც იბრძოდა. მისი მამაცობა ჩეხოსლოვაკიაში სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით აღინიშნა. 1945 წლის სექტემბერში სამი ორდენისა და ოთხი მედლის კავალერი ს. ბერიძე მშობლიურ ხულოს დაუბრუნდა, მშვიდობიან შრომაში ჩაება და იქაც ისახელა თავი.

ქვეყნის დაცვის სამსახურში იდგნენ ორი ძმა **კორნელი და ვარლამ ბესელიები.** ომმა ვარლამს ბრესტის ციხე-სიმაგრეში მოუსწრო. გარშემორტყმული პატარა სამხედრო გარნიზონი თითქმის მთელ თვეს იგერიებდა რიცხობრივად და საბრძოლო ტექნიკის მხრივ ბევრად ჭარბი მტრის იერიშებს. მამაცურად იბრძოდა ვარლამ ბესელია. იგი უთანასწორო ბრძოლაში მამაცურად დაეცა ბრესტის ციხე-სიმაგრეში. ვინ იცის, იქნებ მას ეკუთვნის ციხის ერთ-ერთი კედლის ნანგრევზე აღმოჩენილი წარწერა: „ვკვდები, მაგრამ არ ვნებდები. მშვიდობით სამშობლოვ!“

უმცროსმა ძმამ **კორნელი ბესელიამ** შური იძია. მან მტრის მრავალი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა გაანადგურა. იგი აქტიური მონაწილეა კურსკის რკალზე მომხდარი დიდი შეტაკებისა. აქ კ. ბესელია ცხენოსანთა დაზვერვის ოცეულს მეთაურობდა. მისი ნაწილი განლაგებული იყო კურსკსა და ხარკოვს შუა. მდინარის მეორე ნაპირი გერმანელებს ეკავათ. მტრის ტექნიკისა და ძალების შესწავლა დაევალა კორნელი ბესელიას ოცეულს. საჭირო იყო მოენის ხელში ჩაგდება. მეთაურმა ხუთი კაცისაგან სწრაფმოქმედი ჯგუფი შექმნა და მოქმედების გეგმა შეიმუშავა. ჯგუფმა მდინარეს შორიდან მოუარა და მტერს ზურგში მოექცა, ჯარისკაცებმა ცხენები სოფლის თავში დატოვეს. მზვერავები ხოხვით მიუახლოვ-

[1] ი. ცერცვაძე, დასახელებული ნაშრომი, ბათ. 1969, გვ. 182.

დნენ. ერთი გერმანელი გუშაგი ტყვიამფრქვევთან იჯდა. ის იყო უნდა წამომდგარიყო, რომ მის წინ მზვერაველები აღიმართნენ. ერთმა კონდახი ჩაარტყა თავში, მეორემ ტომარა ჩამოაცვა, კორნელიმ ტყვიამფრქვევი წამოკიდა, ხოლო დანარჩენებმა ტყვე ცხენებთან მიათრიეს.

მოენემ დიდი სამსახური გაუწია ნაწილს – ცნობილი გახდა მოწინააღმდეგის ძალთა რაოდენობა, შეიარაღება და განლაგება, მალე არმიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და მტერი დიდი დანაკარგებით უკუაქციეს.

შეტევით ბრძოლებში ბესელია დაიჭრა, მოიკეთა თუ არა, სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და ისევ ფრონტს დაუბრუნდა. იგი ბელორუსიის ფრონტზე ერთ-ერთი ბატალიონის ასეულის მეთაურად დანიშნეს. ბატალიონს ბრესტ–ვარშავის გზის გადაჭრა, ბრესტის ციხეში მოკალათებულ გერმანელთა განადგურება დაევალა. ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და ბევრი გერმანელი დაატყვევა. ამ დავალების შესრულებისათვის კორნელიმ ფრონტის სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

1944 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიის ნაწილები პოლონეთში შევიდნენ და ფაშისტ დამპყრობთაგან გაანთავისუფლეს იგი. ვარშავის მისადგომებთან კორნელი ბესელიაც იბრძოდა. იგი ამ ბრძოლებში სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.[1]

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ძველ გვარდიელ მეთაურთა რიგებში იდგა **ხუსეინ ბეჟანიძე**. მან ჯერ კიდევ 1926 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი და ქართულ მსროლელთა ნაწილში ოცეულის მეთაურად დაინიშნა, რომელიც მაშინ ბათუმში იდგა. ხ. ბეჟანიძე წარმატებით დაეუფლა საბრძოლო სწავლების ხელოვნებას და იგი მალე ასეულის მეთაურად დააწინაურეს. 1938 წლიდან, ვიდრე ომის დაწყებამდე, ნ. ბეჟანიძე ქედისა და ბათუმის რაიონების გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის კომისრად მუშაობ-

[1] „ომის გზებზე," წიგნ. მე-2 თბ.1968, გვ. 115-116.

და.

გერმანელ ფაშისტებთან ომის დაწყებისთანავე ხ. ბეჟანიძე 390-ე მსროლელი დივიზიის 784-ე პოლკის მეთაურად დანიშნეს, 1941 წლის ნოებერში 390-ე დივიზია ფრონტზე გაგზავნეს. ხ. ბეჟანიძის პოლკი კრასნოდარის მხარის დაბა აბინსკაიაში დაბანაკდა, შემდაგ კი 1941 წლის 17 დეკემბერს ქერჩის ნახევარკუნძულზე კაშიმბურუნთან დაიკავა საბრძოლო პოზიცია, აქ მიიღო პოლკმა პირველი საბრძოლო ნათლობა. ამ ბრძოლაში ხ. ბეჟანიძე დაიჭრა. იგი გამოჯანმრთელების შემდეგ 394-ე მსროლელი დევიზიის 808-ე მსროლელი პოლკის მეთაურად დანიშნეს. ეს დივიზია შედიოდა 46-ე არმიის შემადგენლობაში, რომელსაც ცნობილი მხედართმთავარი გენერალ-ლეიტენანტი (შემდგომში გენერალ-პოლკოვნიკი) კონსტანტინე ლესელიძე სარდლობდა. მაიორ ხ. ბეჟანიძის პოლკის ერთი ბატალიონი მარუხის უღელტეხილზე ებრძოდა მტერს. 1942 წლის დეკემბერში 394-ე მსროლელი დივიზია ტუაფსის რაიონში გადაიყვანეს და იგი 56-ე არმიის შემადგენლობაში შევიდა. 808-ე მსროლელმა პოლკმა ბეჟანიძის მეთაურობით ბევრი ბრძოლა გადაიხადა და მრავალი გამარჯვება მოიპოვა.

1943 წელს პოლკოვნიკი ხ. ბეჟანიძე 276-ე მსროლელთა დივიზიის 871-ე პოლკის მეთაურია. ბევრი საგმირო საქმეებია ამ პოლკის ანგარიშზე, რაზედაც მისი მეთაურის ექვსი ორდენი და მრავალი საბრძოლო მედალი მეტყველებდა.[1]

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელა **სერგო ბირკაიამ**. იგი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვია ბათუმის სამხედრო კომისარიატმა. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა 1943 წლის აპრილიდან. 1944 წლიდან სერგო ბირკაია ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა 414-ე მსროლელი ანაპის წითელდროშოვანი დივიზიის 1371-ე მსროლელი სევასტოპოლის პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის მე-3 ოცეულის მეთაურად.

ქ. სევასტოპოლის მისადგომებთან ბრძოლებში 1944 წლის

---

[1] ს. ტაბაღუა, რაც დავიწყებით არ იბინდება, ბათ., 1995, გვ. 24.

28 აპრილიდან 1944 წლის 12 მაისამდე ლეიტენანტმა სერგო ბირკაია, მხარს უჭერდა რა ჩვენი ქვეითა ჯარის წინსვლას, თავის ოცეულით გაანადგურა ხუთი ტყვიამფრქვევი და მოსპო 24 ჰიტლერელი. ბრძოლებში მამაცი და გამბედავი არ უშინდებოდა არავითარ სიძნელეებს, რომლებიც მას გზად ხვდებოდა.[1]

ბათუმელი **ალი-ოსმან ბოლქვაძე** საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა 1942 წლის მარტიდან. დაიჭრა 1942 წლის 2 დეკემბერს. 1943 წლის ბოლომდე ალი-ოსმან ბოლქვაძე უფროსი ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა 45-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 129-ე გვარდიული მსროლელი პოლკის საცეცხლე ოცეულის მეთაურად.

იაუნზემეის რაიონში 1943 წლის 20-22 თებერვალს შეტევითი ბრძოლების დროს ალი-ოსმან ბოლქვაძემ მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა. მისმა ოცეულმა საარტილერიო მომზადების დროს გაანადგურა მტრის სამი ტყვიამფრქვევის წერტი, რის შედეგადაც უზრუნველყო მეზობლად შეტევაზე მყოფი ქვეითი ჯარის წინსვლა. იგი ამ ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დატოვა და თავისი ოცეულის ხელმძღვანელობა გააგრძელა. მოწინააღმდეგე ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების მხარდაჭერით კონტრშეტევაზე გადმოვიდა მაზულკის რაიონში. ა. ბოლქვაძემ მისი ოცეულის ქვემეხების ცეცხლით მოწინააღმდეგის ტანკები ჩვენი ქვედანაყოფების განლაგებაში არ დაუშვა.

45-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 1943 წლის 15 მარტის ბრძანებით ა. ბოლქვაძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

აჭარის სამხედრო კომისარიატმა ფაშისტური გერმანიის მიერ წამოწყებულ ომში ფრონტის წინახაზე გაიწვია **რასიმ**

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690165, საქ. 7601, ფურც. 1904.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 687572, საქ. 879, ფურც. 834.

ბოლქვაძე. მან სქბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის დროს მიიღო ერთი მძიმე და ორი მსუბუქი ჭრილობა. ამიერკავკასიის ფრონტის 1943 ელის 31 მარტის ბრძანებით რ. ბოლქვაძე დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის დაწყების პირველი დღიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტი **ვიქტორ ბორჩხაძე**. მან პირველი საბრძოლო ნათლობა კავკასიის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში მიიღო.

1942 წლის იანვარს კავკასიის მთებში მე-9 მსროლელმა დივიზიამ დაიკავა საბრძოლო პოზიცია. ვ. ბორჩხაძე ამ დივიზიის 153-ე მსროლელი პოლკის 107 მმ-იანი ნაღმტყორცნი ბატარეის ერთ-ერთი მემიზნე იყო. ბატარეას მიეცა საბრძოლო დავალება-ცეცხლი გაეხსნა გერმანელებისათვის და იერიშით აეღოთ გერმანელების მიერ დაკავებული მეტად სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლე. ბატარეამ ცეცხლი გახსნა, მტერმა მასირებული ცეცხლით უპასუხა და ბატარეის ნაღმტყორცნი ააფეთქა, გაანადგურა ბატარეის პირადი შემადგენლობის ორი მესამედი, ბრძოლაში დაიღუპა ბატარეის მეთაურიც, უმეთაუროდ დარჩენილმა ბატარეამ სროლა შეაჩერა. დაიწყო უკან დახევა, საჭირო იყო ბატარეის დაუყონებლივ ამოქმედება, მაგრამ მეთაური არ იყო. ამ დროს ბატარეის სამოქმედო ხაზთან მივიდნენ დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი მედალნიკოვი და პოლკის მეთაური პოლკოვნიკი კასტრიგინი. „ამ მომენტში, – იგონებს ვ. ბორჩხაძე, – მე მოვახერხე უფროსებთან მისვლა, ვთხოვე ნება დაერთოთ ჩემთვის სათავეში ჩავდგომოდი ბატარეას. მეთაურს გაუკვირდა, რადგან ჯარისკაცს არ აქვს სათანადო მომზადება ბატარეის ხელმძღვანელობისათვის. მეთაური ჩაფიქრდა, ... დრო არ ითმენდა. მან ჯერ გაკვირვებული, მაგრამ შემდეგ აღტაცებული თვალებით შემომხედა. ჩემს თხოვნაზე დამთანხმდა. მტერს შემოტე-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 717037, საქ. 1496, ფურც. 271.

ვა უკვე დაწყებული ჰქონდა, მე და ჩემმა თანამებრძოლებმა გავუხსენით მასირებული ცეცხლი, მტერი უკუვაგდეთ. მტრის მიერ დაკავებული სიმაღლე გავათავისუფლეთ, ამის შემდეგ ჩვენი ნაწილი გადავიდა შეტევაზე".[1]

კავკასიის ბრძოლების შემდეგ ვ. ბორჩხაძე მონაწილეობდა ყუბანის, უკრაინის, პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. და ბოლოს იგი მამცურად ჩაება ბერლინის აღების ოპერაციაში. ვ. ბორჩხაძის ბრძოლებში განვლილი გზა 10 საბრძოლო ორდენითა და მედლით აღინიშნა.[2]

ომის დამთავრების შემდეგ ვ. ბორჩხაძე მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა 1954 წელს ქ. ლენინგრადში გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე შრომა, წლების განმავლობაში იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი, გეოგრაფიის კათედრის გამგე, ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში, მინიჭებული აქვს საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე აჭარიდან მამაკაცებთან ერთად 600-მდე ქალი იბრძოდა, რომლებსაც გერმანელ ფაშისტ მომხვდურთა წინააღმდეგ გმირობისა და მამაცობის არაერთი მაგალითი გვიჩვენეს. ამათგან ერთ-ერთია ბათუმელი **დარეჯან ბზეკალავა** იყო. მან ომის წინ დაამთავრა ბათუმის სააღრიცხვო-ეკონომიკური სასწავლებელი, 1942 წლის აპრილიდან კი სამშობლოს დამცველთა რიგებშია.

დ. ბზეკალავამ პირველი საბრძოლო ნათლობა კავკასიის დაცვისათვის გამართულ ბრძოლებში მიიღო, შემდეგ მონაწილეობდა როსტოვის განთავისუფლებაში. იბრძოდა სტალინგრადის მისადგომებთან, მეოთხე უკრაინის ფრონტზე და ბალტიისპირეთშიც.

ომის დამთავრების შემდეგ დ. ბზეკალავამ მთელი თავისი

---

[1] ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცლები, ბათ., 1996, გვ. 24.

[2] შ. ფალავანდიშვილი, საგ. სტ. „ვალმოხდილი". გაზ. „აჭარა" 1995 წლის 21 ივნისი.

ცხოვრება საბუღალტრო აღრიცხვას მოახმარა. წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ ბათუმის ლიმონათჩამომსხმელი ქარხნის, შემდგომ მახინჯაურის ბავშვთა სახლის უფროს ბუღალტრად, ბოლოს კი აჭარის პროკურატურაში განაგრძობს მუშაობას აჭარის დამსახურებული ბუღალტრის წოდებით.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის წლებში გაბედული და უნარიანი მეთაურის სახელი დაიმსახურა ბათუმელმა **ლეონტი ბრეგვაძემ.** 118-ე სატანკო ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ლ. ბრეგვაძე 1941 წლის ოქტომბრიდან მონაწილეობდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში. იგი 118 სატანკო ბრიგადას მეთაურობდა, მისი ფორმირების მომენტიდან. 1942 წლის მარტიდან მსხვილი სამხედრო შენაერთის უნარიანი ხელმძღვანელობისა და პირადი მამაცობისათვის 1943 წელს დაჯილდოვდა სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენით.

1943 წლის დეკემბერში 118-ე სატანკო ბრიგადამ რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი ლ. ბრეგვაძე 46-ე გვარდიული მსროლელ დივიზიასთან ურთიერთმოქმედებაში მონაწილეობდა მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევაში უელეზნიცას რაიონში და მოწინააღმდეგის ზურგში გასვლაში ჩურილოვო-პერევოზის ზღუდემდე. უშუალოდ პოლკოვნიკ ბრეგვაძის მეთაურობით ტ-34 ტანკების ბატალიონმა იერიში მიიტანა და გაარღვია მტრის გამაგრებული საყრდენი პუნქტი ტოპორი. იმავე დროს გაანადგურა ქვეითი ჯარის ბატალიონი, 18 ქვემეხი და სხვა შეიარაღება.

უსტ–დილის ჩრდილო დასავლეთით პლაცდარმის გაფართოებისათვის ბრძოლებში 118-ე სატანკო ბრიგადამ შეუჩერებლად შეუტია აიღო მოწინააღმდეგის საყრდენი პუნქტი ბოლშოე ტალანკინო, რომელიც ლენინგრადის შარაგზაზე მდებარეობდა, რითაც ხელი შეუწყო 119-ე გვარდიულ მსროლელი დივიზიის ქვეითებს ამ შარგზის დაკავებასა და შენარჩუნებაში. მოწინააღმდეგე, რომელიც იცავდა ბოლშოე ტალანკინოს, მთლიანად განადგურებული იქნა.

უკანასკნელ ბრძოლებში (16 დეკემბერი) 118-ე სატანკო

ბრიგადის ტანკებმა მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ წარმატებით გადალახეს ფონი მდინარე დომისიცაზე, შეუჩერებლად დაეუფლენ მოწინააღმდეგის ორ საყრდენ პუნქტს და ინარჩუნებდნენ მათ ქვეითთა ჯარის მოსვლამდე, ამასთან იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების მნიშვნელოვანი ძალების კონტრშეტევებს.

ბრიგადის მეთაურის პოლკოვნიკ ბრეგვაძის მიერ ტანკების უნარიანმა მართვამ ცოდნის გამოყენებამ უზრუნველყო წარმატება 118 სატანკო ბრიგადის მიერ ჩატარებულ ბრძოლებში. საბრძოლო წყობაში ყოფნისას, პოლკოვნიკი ლ. ბრეგვაძე პირადად ხელმძღვანელობდა სატანკო ბრიგადის ბრძოლებს, ყურადღებით აკვირდებოდა ქვეითთა ჯარის მოქმედებას, მხარს უჭერდა და ცეცხლით ურთიერთმოქმედებდა მასთან.

ბრიგადის უნარიანი მეთაურობისათვის პოლკოვნიკი ლ. ბრეგვაძე წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.[1]

პოლკოვნიკი ლ. ბრეგვაძის 118-ე სატანკო ბრიგადამ მთელი რიგი წარმატებითი საბრძოლო ოპერაციები ჩაატარა ბრიანსკისა და ბალტიის პირეთის მეორე ფრონტების ჯარების შემადგენლობაში. ბრიგადის ტანკები პირველად შეიჭრენ კასტორნაიაში, შემდეგ დაიკავეს პონიორი, მამაცურად იბრძოდნენ 1944 წლის ზამთრის ბრძოლებში ნეველის ჩრდილო-დასავლეთით. ბრიგადამ რამდენიმე გმირი და ასობით ორდენოსანი გამოზარდა. უზარმაზარი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას და ტექნიკას.

1944 წლის 10 იელისს გადავიდა რა შეტევაზე, ბრიგადამ არმიის მოძრავი ჯგუფის შემადგენლობაში ბრძოლებით გაიარა 120 კილომეტრზე მეტი გზა და 100-მდე დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა, მათ შორის შარაგზების კვანძი და მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტი კლიასტიცი. აღნიშნულმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენი ჯარების წინსვლას იდრიცკის მიმართულებით.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 43378, ფურც. 45.

პოლკოვნიკი ლ. ბრეგვაძე ბრიგადის მოქმედების უნარიანი ხელმძღვანელობისა და პირადი მამაცობისათვის, ბალტიისპირეთის მეორე ფრონტის 1944 წლის 30 ივლისის ბრძანებით დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე აჭარის წარგზავნილთა შორის იყვნენ ხელოვნების მუშაკებიც. ბევრმა მათგანმა მიატოვა სცენა და იარაღით ხელში შეება ფაშისტ მომხდურებს. სწორედ ასე მოიქცა ბათუმელი **ვარლამ (გუგული) გაბისონია**. იგი თავიდანვე ბუინაკსკის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს. 1942 წლის სექტემბერს, როცა მტერი კავკასიის უღელტეხილებს უტევდა. სასწავლებლის კურსანტები სასწრაფოდ შექმნილ სამთო მსროლელი ალპინისტურ რაზმში ჩარიცხეს, სოხუმში ჩაიყვანეს და იქედან სანჩაროს და ახუნდას მწვერვალებზე გაგზავნეს. მალე ალპინისტური რაზმი სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად სანჩაროს უღელტეხილის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება.

ერთ სუსხიან დღეს რაზმმა შეტევა დაიწყო, ვ. გაბისონიამ თავისი ქვედანაყოფით მარცხნიდან შემოუარა მტერს, რათა უკანდასახევი გზა გადაეჭრა მისთვის, მძიმე ბრძოლების შემდეგ მტერი სანჩაროდან გარეკეს. ამ უღელტეხილის განთავისუფლებისათვის ვ. გაბისონიამ სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

კავკასიის უღელტეხილზე წელში გატეხილი მტერი უკან იხევდა, 1942 წლის დეკემბრის ერთ დღეს ვ. გაბისონია შტაბში დაიბარეს და უკანდახეული მტრის განლაგების დაზვერვა, თანაც რუკის გადაღებაც უბრძანეს. მრავალი საათი გაატრეს ვ. გაბისონიას მზვერავებმა თოვლსა და ქარბუქში, მოწინააღმდეგის განლაგებაში. საგულდაგულოდ შენიღბულებმა ბევრი სიძნელე გადალახეს და საბრძოლო დავალება პირნათლად შეასრულეს. მეორე დღეს შენაერთის არტილერისტებმა გამანადგურებელი ცეცხლი დაატეხეს მტერს, შეტევაზე გადავიდ-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 43378, ფურც. 91.

ნენ და მტრის მიერ დაკავებული მნიშვნელოვანი ადგილები გაათავისუფლეს.[1]

ვ. გაბისონია მონაწილეობდა ყუბანში სტანიცების: სტარკორუნსკაიასა და ვასურინსკაიასთან გაჩაღებულ ბრძოლებში, აქტიურად იბრძოდა უკრაინაში. უკრაინის მეორე ფრონტის სარდლობამ იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა.

ფრონტული გაზეთი „ვბოი ზა როდინუ“ 1944 წლის 25 ნოემბერს წერდა: „ჰიტლერელ ბანდიტებთან ბრძოლაში შეუპოვრობა და ვაჟკაცობა გამოავლინა ვ. გაბისონიამ. ცხარე ბრძოლაში დაიჭრა მეთაური, გაბისონიამ დაინახა, რომ ოფიცერს სიარული აღარ შეეძლო, ცეცხლის ზონიდან გამოიყვანა იგი და მედპუნქტში მიიყვანა. შემდეგ, განაგრძო რა ბრძოლა, გაბისონიამ მოსპო რამდენიმე ჰიტლერელი, ხოლო ხუთი აიძულა ტყვედ ჩაბარებოდნენ“.

ოცეულმა, რომელსაც ვ. გაბისონია მეთაურობდა, მტერზე გამარჯვება ბერლინში იზეიმა. ომის დამთავრების შემდეგ, შინ დაბრუნებულმა ვ. გაბისონიამ კვლავ საგუნდო ხელოვნებას მოჰკიდა ხელი და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

ომის ქარცეცხლიან ისტორიაში არაერთი საგმირო ფურცელი ჩაწერა ბათუმელებმა **აკაკი გაგუამ**. იგი მსახურობდა ლეგენდარული პირველი გვარდიის სატანკო ბრიგადის მე-2 სატანკო ბატალიონის „ტ“ 34 ტანკის კოშკის მეთაურად. გვარდიის უფროსი სერჟანტი ა. გაგუა 1942 წლის 14 აპრილიდან ომის ბოლო დღემდე აქტიურად მონაწილეობდა ბრიანსკის კალინინის, პოლონეთის, გერმანიის ტერიტორიებზე გაჩაღებულ სისხლსმღვრელ ბრძოლებში.

1942 წლის 21 დეკემბერს სოფელ ვერიესტოას ახლოს, გერმანელების მიერ გამაგრებულ პუნქტზე შეტევის დროს, ტანკი რომლის კოშკის მეთაური იყო სერჟანტი ა. გაგუა. პირველი შეიჭრა მტრის განლაგებაში, გაანადგურა საწევარი ქვემეხითურთ, სამი ტყვიამფრქვევის წერტი, ერთი ტანკსაწი-

---

[1] ი. ცერცვაძე. უკვდავია მათი სახელი ბათ., 1969 გვ. 165.

ნააღმდეგო ქვემეხი, მოსპო ოცზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი.[1]

აკ. გაგუას საგმირო საქმეებზე მეტყველებს ისიც, რომ მარტო 1945 წლის 1 იანვრიდან 2 მაისამდე, მას მიღებული აქვს ქვეყნის უმაღლესი მთავარსადლის ი. სტალინის 5 პირადი მადლობა. ა. გაგუას საგმირო საქმეებზე პირველი სატანკო არმიის სარდალი გენერალ–პოლკოვნიკი ვ. კატუკოვი ბერლინის აღებისას წერდა: „თქვენ ბოლომდე შეასრულეთ პირადი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, დიდ სამამულო ომში სახელი გაუთქვით რუსულ იარაღს გერმანელი ოკუპანტებთან ბროლაში სამუდამოდ ასახელეთ სამხედრო გვარდია.

პირველი გვარდიული სატანკო არმიის სამხედრო საბჭო აღნიშნავს თქვენს გმირულ მონაწილეობას ისტორიულ ბრძოლაში გერმანიის იმპერიის დედაქალაქ ბერლინის აღებაში, გილოცავ ამ გამარჯვებას“.

1945 წლის 24 და 25 აპრილს გვარდიის უფროსმა სერჟანტმა ა. გაგუამ ბერლინის გარუბნის რუდოვის და ბრიტცის აღებისას გამოიჩინა მამაცობა და გმირობა, წარმატებით შეასრულა სარდლობის საბრძოლო დავალება, მისი ტანკის ეკიპაჟმა მოსპო მოწინააღმდეგის ქვემეხები და საცეცხლე წერტები. ა. გაგუას ეკიპაჟი ერთ-ერთი პირველი შეიჭრა ქ. რუდოვში და წარმატებით გადალახა ტელტოვის არხი. გააგრძელა რა შეტევა, გააფრთებულ ბრძოლაში გაანადგურა ერთი ტანკი “ვეფხვი“, 2 ქვემეხი, ამ ბრძოლაში იგი ფრონტის სარდლობამ დიდების მე-3 ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.[2]

გერმანელ ფაშისტებთან ომი რომ დაიწყო, ხათუნა გოგიშვილი ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. იგი ინსტიტუტის თანაკურსელებთან მარგო ცინცაძესთან, თინა იმნაძესთან, დარეჯან ღლონტთან და სხვებთან ერთად ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგა. ახალ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 68258, საქ. 132, ფურც. 222.

[2] ს. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

გაწვეულებმა პირველი სამხედრო მომზადება ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის დასახლებაში მოწყობილ ორთვიან კურსებზე გაიარეს, ხოლო შემდეგ გუდაუთაში 33-ე ბატალიონში ჩარიცხეს.

ბათუმელ წარგზავნილებს ბატალიონში კონკრეტული დავალებები მისცეს. მათ ეველებოდათ ბატალიონის ზონაში თვითმფრინავების ფრენაზე მეთვალყურეობა, კერძოდ, უნდა გამოეცნოთ თვითმფრინავის სახეობა, დაედგინათ ფრენის მიმართულება, ბომბმზიდველობა, შეიარაღების სახეობა და სხვა.

კავკასიის უღელტეხილებს მტერი რომ მოადგა და საშიშროება დაემუქრა კავკასიას, 33-ე ბატალიონის მეკავშირე-მეთვალყურე მებრძოლთა როლი და პასუხისმგებლობა ერთიორად გაიზარდა. ისინი არა მარტო მტრის თვითმფრინავებს უთვალთვალებდნენ, არამედ ხშირად ბრძოლებშიც მონაწილეობდნენ, ომის მძიმე დღეებს რომ იგონებს, ხათუნა გოგიშვილი წერს: "ჩვენი ნაწილი ერთხანს დისლოცირებული იყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაპში. განლაგებული ვიყავით სკოლის შენობაში. სექტემბრის დღეებში ჰიტლერელებმა დესანტი გადმოსხეს ამ სოფელში. მტრის ლიკვიდაციაში ჩვენს მებრძოლებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც. კარგად შეიარაღებულ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა სასოფლო საბჭო თავმჯდომარე ელადიმერ ჯოპუა, იგი ჩვენს თვალწინ გარდაიცვალა. ეს იყო პირველი მსხვერპლი, ბათუმელმა გოგონებმა თვალით რომ ვიხილეთ".[1]

... ომი მძვინვარებდა, გამწვავდა ბრძოლა ჯერ კავკასიის მისადგომებთან, შემდეგ სტალინგრადდთან. ფრონტის სარდლობის ბრძენებით კავკასიის ფრონტზე მოქმედ არტილერიის და სხვა ნაწილები გადასროლილი იქნენ სტალინგრადის ფრონზე. მათ შორის იყო 33-ე ბატალიონიც. სტალინგრადის ფრონზე მიმავალი მეკავშირეთა ბატალიონის ეშელონი მინ-

---

[1] ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცელი, ბათ. 1996, გვ. 87.

ვოდში გერმანელებმა დაბომბეს. ბატალიონის ბეჭრი მებრძოლი დაიღუპა, მაგრამ მეორე დღეს ეშელონმა მაინც განაგრძო გზა სტალინგრადისკენ.

სასტიკი და მძიმე იყო სტალინგრადის ბრძოლები, დაიწვა, გადაიბუგა და ფერფლად იქცია სტალინგრადი. მამაცებად და გმირებად იდგნენ სტალინგრადის დამცველები. მათ შორის იყვნენ ბათუმელი წარგზავნილებიც.

სტალინგრადის ბრძოლების დამთავრების შემდეგ ბათუმელი ხ. გოგიშვილი და მისი თანაკურსელ-თანამებრძოლები ერთად იბრძოდნენ ბალტიისპირეთშიც გამარჯვებაც ერთად იზეიმეს ლიტვაში.

ომგადახდილმა ხათუნა გოგიშვილმა გვიან გაიხადა ჯარისკაცის ფარაჯა, მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა და მის რჩეულთან თემელ მიქელაძესთან ერთად შესანიშნავი ოჯახი შექმნა. ხათუნამ და თემელმა კარგი შვილები და შვილიშვილები აღუზარდეს ქვეყანას.

ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა კვირიკეს მკვიდრი **ილიას გოგიტიძე**. იგი იბრძოდა 276-ე მსროლელი დივიზიის 271-ე მსროლელი ლეგიონის მესამე ბატალიონის შემადგენლობაში.

1942 წლის 16 აგვისტოდან 276-ე მსროლელმა დივიზიამ ორჯონიკიძიდან ქალქ ტემრიუკამდე მძიმე ბრძოლებით გაიარა 900 კილომეტრზე მეტი და 100-ზე მეტი დასხლებული პუნქტი გაათავისუფლა. ძნელი და აუწერელია ეს საბრძოლო გზა.

ამ დივიზიის 871-ე მსროლელი ლეგიონი მესამე ბატალიონის მეომრებმა ორჯონიკიძის მისასვლელთან სოფელ გიზელში მტრის ჭარბ ძალებს დიდი ზარალი მიაყენეს და აიძულეს სოფელი დაეტოვებინათ. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ოცეულის მეთაურმა ილიას გოგიტიძემ. ფრონტული გაზეთი ი. გოგიტიძის შესახებ წერდა: "ქეგანაყოფი, რომელსაც უმცროსი ლეინტენატი ი. გოგიტიძე მეთაურობს, ბრძოლის ველზე სასწაულებს ახდენს. პირველსავე ბრძოლაში მარჯვენა ფლანგზე

მოქმედებისას პირადად მოსპო ექვსი ჰიტლერელი და ამით პირადი მაგალითი უჩვენა მის ხელქვეითებს".[1]

ი. გოგიტიძის ოცეულმა თავი ისახელა აგრეთვე 1942 წლის 31 დეკემბერს ელხოტოვოს ბრძოლებში. მისი ოცეული პირველი შეიჭრა ქალაქში და დიდი არევ-დარევა შეიტანა მტრის რიგებში.

ი. გოგიტიძემ 1943 წლის 5 მარტის ბრძოლებში ფეხში დაიჭრა. ოთხ თვეში მეტხანს დაჰყო ილიასმა ესენდუკის ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტზეა, ამჯერად 897-ე სამთო მსროლელ პოლკში მოხვდა, მაგრამ 1943 წლის 18 სექტემბერს ყუბანში უკანასკნელი შეტევის დროს შრაპნელის ნამსხვრევებით მძიმე ჭრილობა მიიღო მკერდის არეში. 1943 წლის 23 ნოემბრიდან იწვა ბუინაკსკის ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტზეა. ამჯერად კი ქერჩში მოუხდა ბრძოლა.

1943 წლის 4 დეკემბერს ქალაქ ქერჩთან სოფელ კოტერლესში საარტილერიო მომზადების შემდეგ შეტევა დაიწყო. მტრის თავდაცვის განლაგებაში პირველი შეიჭრა ი. გოგიტიძის ოცეულის მეომრები. ისინი მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოხვდნენ, თითქმის მთელი ოცეული განადგურდა. რამდენიმე გადარჩენილმა მეომარმა სანგრებს შეაფარა თავი. შემდგომში ჩვენმა ჯარებმა გამანადგურებელი დარტყმები აგებეს მტერს ყირიმში და მალე გაბარჯვებაც იზიმეს.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლთა წინააღმდეგ სამკვდრო—საციცოცხლო ბრძოლაში სახელი გაითქვა ბათუმელმა **კაპიტონ გოგოლაძემ**. მან ბრძოლით განვლო რთული გზა ჩრდილო კავკასიის მისამგომებიდან ავსტრიის მთებამდე და თავისი დაზგის ტყვიამფრქვევით მრავაალი ფაშისტი შემუსრა.

კ. გოგოლაძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დუნაის გადალახვისას და ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში.

---

[1] ი. ცერცვაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 201).

1994 წლის სუსხიანი ზამთარი იდგა. 24-ე მსრულელი პოლკი, რომელშიც კაპიტონ გოგოლაძე ირიცხებოდა, მდ. დუნაის მიადგა. პოლკმა მდინარის გადალახვის ბრძანება მიიღო. მდინარის მეორე ნაპირი გერმანელებს საგულდაგულოდ ჰქონდათ გამაგრებული. მათ მასირებული სროლა ატეხეს, რანდენიმე სადესანტო ბარჟა ჩაძირეს. ბევრი მებრძოლი დაიღუპა. გადარჩენილები ნაპირზე გადავიდნენ და მტერს ეკვეთნენ.

კაპიტონ გოგოლაძემ თავისი დაზგის ტყვიამფრქვევისათვის მოხერხებული ადგილი შეარჩია და ფაშისტ ჯარისკაცებს მცელავი ცეცხლი გაუხსნა. დილით მტერმა მძლავრი საალტილერიო ცეცხლით უპასუხა. კაპიტონ გოგოლაძე ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. ჭრილობა გამჭოლი აღმოჩნდა, განკურნების შემდეგ მამაცი მეომარი სულ მალე ისევ მწყობრში ჩადგა.

1945 წლის 13 თებერვალს ბუდაპეშტი შტურმით იქნა აღებული.

ამ ბრძოლაშიც გვარდიელმა კაპიტონ გოგოლაძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. იგი ომის პერიოდში სამამულო ომის I-ლი ხარისხის ორდენით, მედლებით "მამაცობისათვის" და "ბუდაპეშტის აღებისათვის" დაჯილდოვდა.[1]

1941 წლის 22 ივნისს კვირას, დილის ოთხ საათზე დასავლეთ უკრაინის ქ. ლვოვის დასაყრდენთ საზღვარზე მდგომ სამხედრო ნაწილს, რომელშიც **რაფიელ გოგიშვილი** მსახურობდა, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მოუხდა ჩაბმა.

რ. გოგიშვილი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჭოკნარში დაიბადა. 1939 წელს ჯარში გაიწვიეს. ომის დაწყების წინ ქ. ლვოვის პოლკის უმცროს მეთაურთა სკოლა დაამთავრა და ათეულის მეთაურად დაინიშნა. მისი სამხედრო ნაწილი საზღვრისპირა რაიონში იყო დისლოცირებული.

ივლისის პირველ რიცხვებში სისხლის მღვრელმა ბრძოლამ ვინიცის ოლქში გადაინაცვლა. რაფიელ გოგიშვილის ნა-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 1009, აღწ. 1, საქ. ფურც. 3.

წილი ბაბინის რაიონს იცავდა. ბრძოლა მთელი ოთხ დღე-ღამე გაგრძელდა. ბაბინის ქარხნის და მისი მიმდებარე ტერიტორია ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ ბრძოლაში რ. გოგიშვილი მძიმედ დაიჭრა. უგონოდ მყოფი რაფიელი ანატოლი რიბკოს ოჯახმა შეიფარა, სოფელი გერმანელებმა დაიკავეს. ფარულად ერთი თვე დაჰყო რაფიელ გოგიშვილმა ანატოლი რიბკოს ოჯახში. მეტხანს გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ყველგან გერმანელები იყვნენ, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო საშიშროება, არც რაფიელს და არც მის მფარველ ანატოლ რიბკოს სახრჩობელა არ აცდებოდათ.

რ. გოგიშვილი, როცა მოღონიერდა და ფეხზე წამოდგომა შეძლო, გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო, რათა თავისიანებს შეერთებოდა. არ გამოდგა იოლი ფრონტის გზის გადალახვა. ბევრი სიარულის შემდეგ სოფელ უდიჩში ჩავიდა. ძალგამოლეულს ჭრილობა გაეხსნა, სისხლმა იწყო დენა. სოფლის მცხოვრებლებმა სოფელში დარჩენა ურჩიეს, სანამ ჭრილობები მოუშუშდებოდა. მეტი რა გზა ჰქონდა, გოგიშვილი ბედს შეურიგდა.

ამასობაში ფრონტის ხაზმა უდიჩიდან შორს გადაინაცელა. გერმანელები უფრო თავისუფლად დაეპატრონნენ სოფელს. ტყვეები ახლომახლოდან მორეკეს და ბანაკში ჩაამწყვდიეს, რ. გოგიშვილიც ამ ბანაკში მოხვდა. გონების დაკარგვადე სცემს, ძაღლებიც მიუსიეს ...

დიდი წვალების შემდეგ გაუტეხელმა რაფიელმა ტყვეთა ბანაკიდან გაქცევა მოახერხა და "შავი ტყის" სახელობის პარტიზნალ რაზმს შეუერთდა. პარტიზანთა თავდასხმები ჰიტლერელებისათვის მეხის დაცემა იყო, საიდანაც არ ელოდნენ, იქედან უტევდნენ "შავი ტყის" ბინადარნი.[1]

დიდი ბრძოლების შემდეგ პარტიზანთა ნაწილი, რომელშიც რ. გოგიშვილი იბრძოდა, ხმელნიცკის ოლქის სოფელ ჩაბანოვკაში მოქმედ წითელ არმას შეუერთდა. რ. გოგიშვილი 207-ე გვარდიულ მსროლელ პოლკში მოხვდა. ამ პოლკმა აქ-

[1] გაზ. „ლენინელი", 1985 წლის 28 თებერვალი.

ტიური მონაწილეობა მიიღო ქ. ჩერნოვიცის და სტაეროპოლის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში რ. გოგიშვილი მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ ექიმებმა აღარ მისცეს მწყობრში დაბრუნების ნება.

ომგადახდილმა რ. გოგიშვილმა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. შემდეგ მთელი მისი ცხოვრება ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს შეალია. ცხოვროდა ქობულეთში, წლების განმავლობაში მუშაობდა ოჩხამურის საშუალო სკოლაში.

უკრაინის თავდაცვით ბრძოლებში და ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქედის რაიონის სოფელ მერისის მკვიდრმა **ალექსანდრე გოგოლიშვილმა**. ომი რომ დაიწყო, ალექსანდრე სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა და სამხედრო სასწავლებელში გაგზავნა ითხოვა. ფაშისტებთან საბრძოლველად გოგოლიშვილების ოჯახიდან წავიდნენ ალექსანდრეს უფროსი ძმები ომერი და სულეიმანი. სამშობლოს დასაცავად წასულებს დედამ გზა დაულოცა.

ა. გოგოლიშვილმა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა. იგი 1942 წლის ივლისში ვორონეჟის ფრონტზე გაგზავნეს. აქ ახალგაზრდა ლეიტენანტს 159-ე მსროლელი დივიზიის 491-ე მსროლელი პოლკის ნაღმმტყორცნელთა ოცეული ჩააბარეს. ამ პერიოდში მძიმე თავდაცვითი ბრძოლები მიმდინარეობდა უკრაინაში, თანაც გერმანელები ხშირად გადმოდიოდნენ შეტევაზე. ვორონეჟის მისადგომებთან გერმანელებმა მორიგი შემოტევა განაახლეს. ამ შემოტევის დროს პირველი საბრძოლო ნათლობა ალექსანდრე გოგოლიშვილის ნაღმმტყორცნელთა ოცეულმა მიიღო. მტერს დიდი ზარალი მიაყენეს, მაგრამ დიდი იყო მსხვერპლი ალექსანდრეს ოცეულშიც. რამდენიმე კაცი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა, მძიმედ დაიჭრა ალექსანდრე გოგოლიშვილიც.[1]

---

[1] გაზ. „ოქტომბრის გზით", 1975 წლის 26 აპრილი.

ა. გოგოლიშვილი განკურნების შემდეგ კვლავ ფრონტზეა, ამჟამად ვოლხოვის ფრონტზე იბრძვის. ეს ფრონტი სულ მალე ლენინგრადის ფრონტს შეუერთდა და ლენინგრადის ფრონტად ჩამოყალიბდა. ლექსანდრე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში.

ალექსანდრემ მდინარე ნარვასთან არა ერთი ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მისი ნაღმმტყორცნი შიშის ზარს სცემდნენ ფაშისტ მომხდურებს.

1944 წლის თებერვალში, ასრულებდა რა სარდლობის მეტად საპასუხისმგებლო დავალებას, ალექსანდრეს ოცეულმა მასიური საარტილერიო ცეცხლი დაუშინა მტრის განლაგებას, რითაც მზვერავებმა ხელთ იგდეს ორი მოენე, რომლებმაც მეტად საჭირო ცნობები გადაცეს ფრონტის სარდლობას. იმავე წლის მარტში ასეთივე ოპერაცია შეასრულა ალექსანდრეს ოცეულმა-ამჟამადაც დაატყვევეს ორი მოენე, ფრონტისათვის მეტად საჭირო ცნობებით. ამ ბრძოლებში განოჩენილი მამაცბისათვს ფრონტის სარდლობამ ალექსანდრე გოგოლიშვილი სამამულო ომის I ხარისხის და წითელ ვარსკვლავის ორდენებით დააჯილდოვა.

სტალინგრადის ბრძოლებში მამაცურად იბრძოდა ბათუმელი **ალექსანდრე გოგიბერიძე**. როცა მეტი სატალინგრადისაკენ მიიწევდა, ა. გოგიბერიძის 120-ე მსრულელი ასეული ქალაქიდან 40 კილომეტრი დაშორებით იდგა. მას მტრის პირველი დარტყმა უნდა მიეღო და მისი წინსვლა შეეჩერებინა.

ა. გოგიბერიძის ასეული ფრონტის წინა ხაზზე განლაგდა მოხერხებული პოზიცია აირჩია და მთელი ორი დღე-ღამე შეუსვენებლივ თხრიდა ორმოებს ფუგასური ცეცხლსასროლებისათვის, რის შედეგადაც 1.5 კილომეტრზე დანაღმული ველი ცეცხლის ვეება ენებად აქცია და მტრის წინსვლა შეაჩერა. შემდეგ ისევ ახალი ზღუდის მომზადება, კვლავ შერკინება, გამარჯვება მძიმე მსხვერპლის ფასად, მტერი კი გაშმაგებით მოიწევდა სტალინგრადისაკენ. ასეულის წინააღმდეგ გერმანელთა ჭარბმა ძალებმა გამოილაშაქრეს, მაგრამ ამან ვერ შეაფერხა ა. გოგიბერიძის გაბედული მოქმედება. მტერს იქ

ურტყამდნენ, სადაც იგი არ მოელოდა. მტერი უკუაქციეს, ასეულმა ხელთ იგდო დიდძალი ნადაყლი. გაბედულმა მეთაურმა ა. გოგიბერიძემ ამ ბრძოლაში მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურა.

1942 წლის სექტემბერში ცხარე ბრძოლები გაჩაღდა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე. ა. გოგიბერიძის ასეულმა ახალი საბრძოლო პოზიცია დაიკავა. ის-ის იყო ასეული საბრძოლველად განლაგდა, პოლკის შტაბიდან მეკავშირე მოვიდა-ასეულის მეთაურს შტაბის უფროსი იბარებდა. შტაბის უფროსმა ასეულის მეთაური ა. გოგიბერიძე ვაუკაცური ბრძოლისათვის შეაქო და ახალი საბრძოლო დავალება მისცა. ლეიტენანტი, უკან, რომ ბრუნდებოდა ნაღმა ჰაერში აიტაცა და მარცხენა ფეხი მოწყვიტა. როცა მებრძოლებმა მიირბინეს, მეთაური სისხლში ცურავდა.[1]

1943 წელს ომგადახდილი მეომარი, როგორც ომის ინვალიდი მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა, მუშაობა დაიწყო გამწვანების ტრესტში. შემდეგ დიდხანს მუშაობდა ბათუმის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორად.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლთა წინააღმდეგ ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის არაერთი მაგალითი გვიჩვენა **მიხეილ გორდელაძემ**. იგი ომის პირველი დღიდანვე მოქმედ არმიაშია, იყო მე-10 გვარდიული ცალკე მოტომსროლელი ბრიგადის მეტყვიამფრქვეველთა ბატალიონის მსროლელი. საბრძოლო ოპერაციებში უშუალო მონაწილეა 1941 წლის 1 ივლისიდან, ფაშისტების შერკინებაში დაჭრილია სამჯერ.

მიხეილ გორდელაძემ განსაკუთრებული მამაცობა და გმირობა გამოიჩინა დასახელებულ პუნქტ ტოროდოკისათვის შეტევით ბრძოლებში. 1943 წლის 24 დეკემბერს შაშხანის ცეცხლს უშენდა სანგრებსა და სახლებში ჩასაფრებულ ფაშისტებს, თან ავტომატის სროლით წინ მიიწევდა, წინსვლის დროს შენიშნა დაჭრილი მეტყვიამფრქვეველი მეომარი, მაშინ მ. გორდელაძემ თავად მოჰკიდა ხელი ტყვიამფრქვევს

[1] ი. ცერცვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

და მტერს ცეცხლი გაუხსნა, რითაც წინსელის საშუალება მისცა ჩვენს ქვეით ჯარს. გერმანელებმა უკან დახევა დაიწყეს. ამ ბრძოლაში მ. გორდელაძემ პირადად მოსპო შვიდი ჰიტლერელი.[1]

1944 წლის 1 აგვისტოს ავიაციის თავდასხმის დროს მ. გორდელაძემ თავისი დაზგის ყვიამფრქვევით ჩამოაგდო მტრის თვითმფრინავი. მეორე დღეს ორ აგვისტოს ლიტვაში ვინკტაინის რაიონში ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხრიდან მტრის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი ტანკებისა და თვითმავალი არტილერიის მხარდაჭერით შეტევაზე გადმოვიდა, რათა ვინკტაინი ხელში ჩაეგდო. გვარდიის სერჟანტმა მიხეილ გორდელაძემ მტერი 200 მეტრზე მოუშვა და მიბრჯნით გაუხსნა ცეცხლი. მტერმა ბრძოლის ველზე სამოცი ჯარისკაცი და ოფიცერი დატოვა მოკლულთა სახით.

ომის ქარცეცხლიან წლებში, მტრის თვითმფრინავის ტყვიამფრქვევით ჩამოგდების და მტრის სამოცი ჯარისკაცისა და ოფიცერის განადგურებისათვის, მიხეილ სევარიანის ძე გორდელაძე, პირველი ბალტიისპირეთის ფრონტის 43-ე არმიის სარდლობის 1944 წლის 9 აგვისტოს №007 ბრძანებით დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.[2]

სამ წელიწადს იბრძოდა ბათუმელი ჟურნალისტი **ამირან გურგენიძე** ფაშისტ მომხდურების წინააღმდეგ 69-ე გვარდიული დივიზიის შემადგენლობაში. დივიზიამ განვლო სახელოვანი გზა გმირ ქალაქ სტალინგრადიდან ავსტრიის დედაქალაქ ვენამდე.

დივიზიის მეომრებმა სტალინგრადის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიიღეს უკრაინის და მოლდავეთის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლებში, კერძოდ კორსუნ-შევჩენკოვსკისა და იას-კი-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ.პოდოლსკი) ფონ. 33. აღწ. 690155, საქ. 4361. ფურც. 86.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 190155, საქ. 4361, ფურც. 86.

შინიოვის ოპერაციებში. უკრაინის მიწაზე სისხლი დაღვარა ამირან გურგენიძემაც. 1943 წლის პირველ სექტემბერს იგი პოლტავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ დაბრუნდა 69-ე გვარდიულ მსროლელი დივიზიის 139-ე გვარდიული საარტილერიო პოლკში და ომის დამთავრებამდე იბრძოდა ამ გვარდიული სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში.

დიდი ბრძოლები გადაიხადა გვარდიელებმა იას-კიშინიოვის ოპერაციის დროს. ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის ამირან გურგენიძე დააჯილდოვეს მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის". ეს მისი პირველი საბრძოლო ჯილდო იყო.

იას-კიშინიოვის ბრძოლების წარმატებით დამთავრების შემდეგ 69-ე დივიზიის მეომრები პირველნი გასცდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრებს და მეგობრების ხელი გაუწოდეს უნგრელ და ავსტრიელ მოსახლეობას. გვარდიული დივიზია კვლავ ჩაება ბრძოლაში. უნგრეთის მოხაჩის რაიონში წარმატებით გადალახეს ევროპის უდიდესი მდინარე დუნაი და ბრძოლა გააჩაღეს უნგრეთის ტერიტორიაზე, ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში. 1945 წლის 13 თებერვალს საბჭოთა მეომრებმა გაათავისუფლეს ბუდაპეშტი. ამ ბრძოლაში ამირან გურგენიძე დიდების მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.[1]

შეიარაღებული ძალების ძლევამოსილი ლაშქრობა გრძელდებოდა – მოვსპოთ მხეცი თავისივე ბუნაგში! თავისუფლება დავუბრუნოთ ევროპის ხალხებს! ასეთი იყო საბრძოლო მოწოდება. ამ უდიდესი მნიშვნელობის საკაცობრიო საქმისადმი უსაზღვრო ერთგული მეომრები სწრაფად მიწევდნენ წინ დასავლეთისაკენ.

ჯერი ავსტრიის დედაქალაქ ვენაზე მიდგა.

---

[1] ი. ცერცვაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

69-ე მსროლელი დივიზიის გვარდიელებმა შეტევისათვის ზღუდეები ქალაქის აღმოსაელეთით დაიკავეს. 1945 წლის 8 აპრილს გამთენიისას გვარდიელები შეტევაზე გადავიდნენ. ვენის ქუჩებში ხუთი დღე-ღამის განმავლობაში სხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა. მამაცი მეომრები ზედიზედ იკავებდნენ კვარტლებს, ქუჩებს, სახლებს. 13 აპრილს საბჭოთა ჯარებმა ვენა დაიკავეს. ვენის ბრძოლებში თავი ისახელა ამირან გურგენიძემ. მან აქ დიდების მეორე ხარისხის ორდენი დაიმსახურა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ამირან გურგენიძე რამდენიმე თვეს ავსტრიაში იმყოფებოდა. 1945 წლის მიწურულში კი მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა და კვლავ ჟურნალისტურ საქმიანობას მიჰყო ხელი და წლეების განმავლობაში ერთგულად ემსახურა ამ უაღრესად დიდსა და საპატიო საქმეს.

ომის დაწყების პირველი დღიდანვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაება ქობულეთელი **სულეიმან გრძელიძე**. მან ჟიტომირის მახლობლად მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. იგი მაშინ ოცეულს მეთაურობდა. ოცეული წარმატებით ასრულებდა საბრძოლო დავალების, თუმცა იძულებული შეიქმნა ბრძოლით დაეხია კიევისაკენ.

1941 წლის სექტემბერს დიდი ბრძოლები გაჩაღდა კიევის მისადგომებთან. მამაცურად იბრძოდნენ ს. გრძელიძის ოცეულის მებრძოლები. თითოეული გოჯი მიწა ფაშისტებს ძვირად უჯდებოდათ. გერმანელები დასავლეთიდან შემოტევით ვერაფერს გახდნენ. ბოლოს კიევის ფლანგიდან შემოუარეს და რკალში მოაქციეს. მტრის ზურგში დარჩა ს. გრძელიძის ოცეული. უთანასწორო ბრძოლები გრძელდებოდა. ხუთი დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალე მებრძოლებს ტყვია-წამალი გამოელიათ, ბევრი დაიხოცა. სულეიმანი კი გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს. 26 სექტემბერს გერმანელმა ოფიცერმა სულეიმანი შტაბში წაიყვანა, როგორც მოენე. სულეიმანმა ტყეში ღამის სიბნელით ისარგებლა და გერმანელი ოფიცერი ხელჩართულ ბრძოლაში მოჰკლა, გლეხის ტანსაცმელი გადაიცვა

და გაიქცა, დიდი სიძნელეების გადალახვით მიაღწია ჩვენი ჯარების განლაგებას.

უშიშარ ლეიტენანტ ს. გრძელიძეს უფროსი ლეიტენანტის წოდება მიენიჭა და ასეულის მეთაურად დაინიშნა. რამდენიმე თავის შემდეგ სულეიმან გრძელიძე სტალინგრადის გმირ დამცველთა რიგებშია, მას სტალინგრადის ერთ უბანზე მტრის ჭარბი ძალების უკუგდებისათვის აჯილდოებენ მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის", ხოლო მომდევნო ბრძოლებში—წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სტალინგრადის გმირული ბრძოლების დამთავრების შემდეგ ს. გრძელიძეს ანიჭებენ მაიორის წოდებას და ნიშნავენ მოტომექანიზებული მოიერიშე ბატალიონის მეთაურად. 1944 წლის დამდეგს მაიორ ს. გრძელიძის ბატალიონი ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში გერმანელების მიერ გამაგრებულ ფრონტის ხაზს მიადგა, წინ მძიმე ბრძოლები იყო. ბატალიონს გზა უნდა გაეკაფა ქვეითი ჯარებისთვის. ქალაქის დაკავებისას გააფრთებული ბრძოლების დროს სულეიმანი დაიჭრა, მაგრამ წამოწყებული ბრძოლა არ შეაჩერა, ქალაქი აღებული იქნა.[1]

მაიორ სულეიმან გრძელიძის ახალი საბრძოლო წარმატება ალექსანდრე ნეველის ორდენით აღნიშნა. ს. გრძელიძე ჭრილობების მოშუშებისთანავე კვლავ ფრონტზეა. მისი ბატალიონი ბრძოლებით გზას მიიკაფავდა დასავლეთისაკენ, მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილი თავზარს სცემდა მტერს. სწორედ იმხანად სულეიმან გრძელიძეს ომის პირველი ხარისხის ორდენით აჯილდოებენ.

„ეს მეხუთე ჯილდოა ჩემი-წერდა იმხანად სულეიმანი ფრონტიდან მშობლებს, – ისინი მძიმე და გაბედული ბრძოლით დავიმსახურე." ამ წერილის შემდეგ მხოლოდ სამი დღე იბრძოდა იგი. 1944 წლის 16 თებერვალს ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრილი სულეიმანის წინ ახმახი ფაშისტი გერმანელი აღიმართა... ტკივილი თითქმის დაავიწყდა, უკანასკნელი

[1] ომის გზებზე, თბ. 1968, გვ. 123-124.

ძალა მოიკრიფა და სიცოცხლეს გამოასალმა მტერი. ბატალიონის მებრძოლეებმა ტყვიით დაცხრილული მეთაური მაშინვე მიიყვანეს სამედიცინო ბატალიონში, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ქობულეთელი ვაჟკაცი სულეიმან გრძელიძე 1944 წლის 20 თებერვალს მიაბარეს ბელორუსიის მიწას.

ქ. ბათუმში მუდმივად მცხოვრები **ილია გრომოვი** სამხედრო რიგებში 1932 წელს გაიწვიეს. მან ომამდე დაამთავრა საავიაციო სასწავლებელი და გერმანელ დამპყრობლებმა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ომი რომ დაიწყო ი. გრომოვი ჩაება მტერთან ბრძოლაში და იმთავითვე უჩვენა განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობის მაგალითები, რისთვისაც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

1942 წლის აპრილში ი. გრომოვს დაევალა შორსმოქმედი ავიაციის ესკადრილიის ჩამოყალიბება ამ დავალებას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი. ესკადრილიის ჩამოყალიბების შემდეგ შემდეგ შესანიშნავად მოაწყო ახალგაზრდა მფრინავების მიერ ახალი მატერიალური ნაწილის ხელახალი შესწავლა ღამით ფრენისათვის. აპრილ-მაისის, პერიოდში მომზადებული იქნა 7 მფრინავი ღამით ყველა პირობებში ფრენისათვის, 2 მფრინავი — ჩვეულებრივ პირობებში ფრენისათვის.

1942 წლის 20 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე ი. გრომოვი შორსმოქმედი ავიაციის ჯგუფში მსახურობდა. სტალინგრადის ფრონტისათვის ესკადრილიამ 146 საბრძოლო გაფრენა შეასრულა, პირადად გრომოვმა კი 11.

1942 წლის 24 აგვისტოს ი. გრომოვის ეკიპაჟმა მდ. დონზე გადასასვლელის განადგურებისა და პუნქტ ვერტიაჩიში მოტომექანიზირებული ჯარების დაბომბვის საბრძოლო დავალება მიიღო კოროტაევოს რაიონში მიზანთან მისვლისას ეკიპაჟი მოწინააღმდეგის ორმა პროჟექტორმა დაიჭირა და საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. ი. გრომოვმა შტურმანს უბრძანა წყობილებიდან გამოეყვანა მტრის საზენიტო არტილერია და პროჟექტორები ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაენადგურებინა. დაბომბის შემდეგ ჩახშობილი იქნა სა-

ზენიტო ბატარეია, განადგურებული იქნა ასევე ორივე პროჟექტორი.

1942 წლის 25 აგვისტოს კოტლუბან–ვერტიაჩის რაიონში მოწინააღმდეგის მექანიზირებული ჯარისა და ტანკების დაბომბვის თაობაზე მიღებული საბრძოლო დავალების შესრულებისათვის, ამინდი მიზნის რაიონისაკენ მარშრუტზე განსაკუთრებულად ცუდი იყო (ღრუბლიანობა 8–10 ბალი, წვიმა) მიუხედავად ამისა ი. გრომოვმა დავალება სანიმუშოდ შეასრულა. მტრის ობიექტების დაბომბის შემდეგ წარმოიშვა ხანძრის ორი კერა და სამი ძლიერი აფეთქება.

ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტებზე სარდლობის საბრძოლო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის, შორსმოქმედი ავიაციის მფრინავი შემადგენლობის პილოტირების ტექნიკის კარგი ორგანიზაციისათვის ილია გრომოვი შორსმოქმედი ავიაციის სარდლობის 1944 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში სიმტკიცისა და გმირობის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა ბათუმელმა **იროდიონ გოგოტიშვილმა**. ომის პირველ დღეებიდანვე იროდიონი ქვეყნისდამცველთა რიგებშია, კარგი მხედრული სამსახურისათვის უფროსებმა იგი უმცროს მეთაურთა კურსებზე ჩარიცხეს, სადაც მოწინავე კურსანტს ვადაზე ადრე მიანიჭეს უმცროსი მეთაურის წოდება და მეთაურად დანიშნეს. ქ. ვორონეჟის მისადგომებთან მიიღო მან პირველი საბრძოლო ნათლობა.

ვორონეჟის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ი. გოგოტიშვილის ათეულმა რამდენიმე მებრძოლი დაკარგა, მაგრამ ათეულმა მაინც შეძლო საბრძოლო დავალების შესრულება. ამ ბრძოლაში გოგოტიშვილმა მიიღო წითელი ვარსკვლავის ორდენი.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 7095, ფურც. 1.

გოგოტიშვილი კურსკის გრანდიოზული ბრძოლის მონაწილეა. „მიიღო რა ჩვენმა შენაერთებმა საჭირო რაოდენობის საბრძოლო ტექნიკა და ცოცხალი ძალა, დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. ყველაფერი აირია ერთმანეთში – იგონებს ომგადახდილი იროდიონი–სუნთქვაც კი ძნელდებოდა, ისე ინგრეოდა ყველაფერი.“ მტერთან უთანასწორო ბრძოლა ჩვენების გამარჯვებით დამთავრდა ამ ბრძოლაში გოგოტიშვილი მძიმედ დაიჭრა, იგი სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს, სადაც მარჯვენა ხელის ამპუტაცია გაუკეთეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ომგადახდილი იროდიონი ოჯახს უბრუნდება, იგი მუშაობს ბათუმის ვაჭრობისა და საზკვების სისტემაში, სადაც მიანიჭეს აჭარის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.[1]

ბათუმის სამხედრო კომისარიატმა გერმანელ ფაშისტთა დამპყრობლების წინააღმდეგ ომში სამხედრო სამსახურში გაიწვიეს **ვლადიმერ გოგუაძე**. მან დაამთავრა საოფიცრო ტექნიკური სასწავლებელი და უფროსი ტექნიკოსი-ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა მე-100 სატანკო ბრიგადის მე-3 სატანკო ბატალიონის ასეულის უფროსის მოადგილედ ტექნიკურ ნაწილში. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 1944 წლიდან.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეტევით ბრძოლებში ვლადიმერ გოგუაძემ გამოიჩინა თავი, როგორც მამაცმა, გამბედავმა მეთაურმა, იმყოფებოდა რა ბატალიონის მოწინავე საბრძოლო განლაგებაში, მან როგორც ასეულის მეთაურის მოადგილემ ტექნიკურ ნაწილში, თავისი ასეულის ეკიპაჟს ბრძოლაში ტანკის ტექნიკური ექსპლოატაციის წესების ცოდნა მოსთხოვა და მოძრაობაში გაუმართაობის აღმოფხვრაში ეხმარებოდა მებრძოლებს. თავად კი მათთან ერთად მიდიოდა ბრძოლებში ფაშისტთა წინააღმდეგ და პირადად მოსპო მოწინააღმდეგის 5 ჯარისკაცი. ასეულმა რომელსაც ვ. გოგუაძე ემსახურებოდა, ძლიერი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ პირველმა გადალახა მდინარე ნადა და არ დაუკარგავს არცერთი

[1] ს. დუმბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

საბრძოლო მანქანა.

ბრძოლებში მამაცობისა და გამბედაობისათვის, უნარიანი ტექნიკური საქმიანობისათვის ვ. გოგუაძე 31-ე სატანკო ვისლენსკის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი კორპუსის 1945 წლის 7 მარტის ბრძანებით დაჯილდოვდა სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით.

ისე როგორც წინა ბრძოლებში, 1945 წლის იანვარ–თებერვლის საბრძოლო მოქმედებების პერიოდშიც ვ. გოგუაძემ თავი გამოიჩინა როგორც გაბედულმა და საზრიანმა მეთაურმა. სატანკო ბატალიონი იერიშით მიდიოდა რა წინ, გოგუაძეს აცნობებს, რომ მისი ბატალიონის 4 ტანკი სოფლის განაპირას ჭაობში ჩაეფლო და მტრის ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდა, ამას არ შეუშინებია გაბედული გოგუაძე, იგი ტანკებთან წავიდა, ერთი ტანკი თვითამოთრევის წესით ამოიყვანა, ხოლო დანარჩენი ამ ტანკის დახმარებით, ასევე ორი დაზიანებული ტანკი გოგუაძემ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა სოფელ შტეინთან. 1945 წლის 17 თებერვალს სოფელ კროშენში, როცა ბატალიონი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა მოწინააღმდეგესთან, გაბედულმა მეთაურმა გოგუაძემ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა დაზიანებული ტანკი.

ბრძოლის ველიდან დაზიანებული ტანკების ევაკუაციისათვის 31-ე სატანკო კორპუსის 1945 წლის 6 მაისის ბრძანებით ვ. გოგუაძე დაჯილდოვდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.[1]

მრავალი ჩვენი თანამემამულე ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლებში ამრავლებდა გმირულ ქართულ ტრადიციებს, ამათგან ერთ-ერთი იყო ბათუმელი **ვახტანგ დათუნაიშვილი.** იგი საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობს 1941 წლის 19 აგვისტოდან 1942 წლის 13 იანვრამდე კალინინის ფრონტზე, 1942 წლის 17 ივნისიდან 1943 წლის 1 იანვრამდე ვორონეჟის ფრონტზე. დაიჭრა 1942 წლის 13 იანვარს.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 687572, საქ. 2556, ფურც. 241.

1943 წლის სექტემბერში ვ. დათუნაშვილი უმცროსი ლეიტენატის ჩინით ირიცხებიდა 237-ე მსროლელი დივიზიის, 691-ე საარტილერიო პოლკის მე-7 ბატარეის საცეცხლე ოცეულის მეთაურად. 28 სექტემბერს გადაეიდა რა მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ბატარეასთან ერთად ვ. დათუნაშვილმა მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ, ჰაერიდან დაბომბვის პირობებში დაშლილ მდგომარეობაში აიტანა ქვემხის მატერიალური ნაწილები მარჯვენა ნაპირის 50-60 გრადუსის დაქანების ფერდობზე და ქვემეხის აწყობის შემდეგ პირდაპირი დამიზნების ცეცხლით შეხვდა მტერს ქიმზე. ვ. დათუნაშვილის ქვემეხმა 1943 წლის 28 სექტემბერს მოიგერია მოწინააღმდეგის 8 კონტრშეტევა. ჭურვების მიტანა უხდებოდათ ხელით, რაც აფერხებდა ცეცხლის ტემპს, მტერი კი ძალზე ახლო მანძილზე იყო. მაშინ დათუნაშვილი პირადი იარაღით იგერიებდა კონტრშეტევას. ასე გაანადგურა მან 16 ფაშისტი. სულ მალე დათუნაშვილის ქვემეხის წინააღმდეგ 6 ტანკი წამოვიდა. ქვემეხთან მარტოდ იყო, მაგრამ მამაცი ოფიცერი არ დაიბნა, მტრის ტანკები 150-200 მეტრზე მოუშვა, შემდეგ ცეცხლი გაუხსნა. მტრის 2 ტანკი დააზიანა, თანაც ქვეითი ჯარი ჩამოაცილა ტანკებს. მოწინააღმდეგემ უკან დაიხია, ბრძოლის ველზე დატოვა 50 მოკლული. ამ ბრძოლაში თავად დაიჭრა, მაგრამ თავისი პოსტი არ დატოვა და მწყობრში დარჩა. მტერი კვლავ უტევდა ბატარეის საცეცხლე ოცეულს, როცა მათ მტრის ჭარბი ძალების მოგერიების საშუალება არ ჰქონდათ, უფროსმა მეთაურმა მატერიალური ნაწილების დამალვა უბრძანა, მამაცმა მეთაურმა დათუნაშვილმა პირნათლად შეასრულა ეს დავალება და მხოლოდ მაშინ, როცა ძალა ეცლებოდა გმირს, იგი იძულებული იყო სანიტარულ ნაწილში წასულიყო.

ამ საბრძოლო ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისათვის ვ. დათუნაშვილი უკრაინის ფრონტის ჯარების სარდლის ჟუკოვის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი დროშის

ორდენით.[1]

1944 წლის მარტ-აპრილში უმცროსი ლეიტენანტი ვახტანგ დათუნაშვილი მსახურობდა 237-ე მსროლელ დივიზიის არტილერიის შტაბის მეკავშირე ოფიცრად არტილერიის კორპუსის შტაბთან. გაბედულმა ოფიცერმა დათუნაშვილმა არაერთხელ მოწინააღმდეგის ტყვიებისა და ჭურვების ცეცხლის მიუხედავად, ზუსტად და დროულად ჩააბარა პაკეტები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს დირექტივებს, საბრძოლო ბრძანებებსა და განკარგულებებს შეიცავდა. ასე იყო 1944 წლის 28 მარტსაც, როცა ბრძოლა სოფ. ლესკოვცისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, ვ. დათუნაშვილს კორპუსის შტაბიდან დივიზიის შტაბში საბრძოლო ბრძანება მიჰქონდა, მდგომარეობა ძალზე დაძაბული იყო, მოწინააღმდეგე შეიძლებოდა ყოველ წუთს ზურგიდან და ფლანგებიდან გამოჩენილიყო. ასეც მოხდა მან სოფლამდე მისვლა ვერ მოასწრო, რომ ცეცხლი გაუხსნეს ახლომდებარე ხევიდან. ვ. დათუნაშვილი ჩაწვა და საპასუხო ცეცხლი გაუხსნა, ეს ბრძოლა 25 წუთს გაგრძელდა, გამარჯვებული დარჩა დათუნაიშვილი, რომელმაც თავისი იარაღითა და ხელყუმბარით ხუთი ფაშისტი და მტრის ტყვიამფრქვევი მოსპო. პაკეტი დროულად ჩაბარდა დანიშნულებისამებრ, თითქმის იგივე განმეორდა სოფ. ცვინკენცლისთან ბრძოლებში.

გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის 237-ე მსროლელი დივიზიის 1944 წლის 25 აპრილის ბრძანებით ვახტანგ დათუნაშვილი ამჯერად დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

ფაშისტურ გერმანიამ მეორე მსოფლიო ომი რომ გააჩაღა, სწორედ იმ წელს გაიწვიეს ბათუმელი ნიკოლოზ დევაძე არმიის რიგებში. გერმანია–საბჭოთა კავშირის ომში ნ. დევაძე მონაწილეობს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე 1941 წლის ივ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 3069, ფურც. 26.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 7507, ფურც. 126.

ნისიდან 1942 წლის 10 თებერვლამდე, ამიერკავკასიის ფრონტზე–1942 წლის აპრილიდან-ნოემბრამდე, ბელორუსიის პირველ ფრონტზე–1944 წლის ივნისიდან-ნოემბრამდე, ბელორუსიის მეორე ფრონტზე 1944 წლის ნოემბრიდან ...

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მსროლელი ბატალიონისა და პოლკის რაციის რადისტად ყოფნისას გვარდიის სერჟანტმა ნ. დევაძემ გამოიჩინა გამბედაობა და მამაცობა. ბრძოლაში ალყაშემორტყმული, მტრის ცეცხლის ქვეშ, სიცოცხლისათვის რისკით უზრუნველყოფდა რადიოთი ბრძოლის უწყვეტ მართვას ბატალიონ-პოლკის რგოლში.

პოლკში რაციის რადისტად ყოფნისას გერენიატიდან ვისლამდე ბრძოლებში და ნარევის პლაცდარმზე მოწინააღმდეგის სიმაგრეთა გარღვევისას და შემდგომში ბრძოლებში თავისი უნარისა და მონდომების მეოხებით რადიოთი უზრუნველყოფდა დივიზიის შტაბის უწყვეტ კავშირს ზემდგომ შტაბებთან, რითაც ხელს უწყობდა დივიზიის საბრძოლო წარმატებებს.

ომის ფრონტებზე სარდლობის რადიოკავშირებით უნარიანი უზრუნველყოფისათვის, ომში 44 თვის განმავლობაში გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში გამოვლენილი პირადი ინიციატივისა და მონდომებისათვის ნიკოლოზ დევაძე 38-ე გვარდიული მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის სარდლობის 1945 წლის 30 მარტის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის წლებში სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებმა დიდებით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები და ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტური გერმანიის განადგურებაში. მათ შორის იყო ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეს მკვიდრი **ჯემალ დედოფალიძე** იგი 1939 წელს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის მესამე კურსზე იყო, როცა სამ-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 687572, საქ. 1168, ფურც. 16.

ხედრო-საზღვაო ფლოტში გაიწვიეს. სასწავლებელში მიღებული ცოდნა იქ კიდევ უფრო განამტკიცა. სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანს მალე კატარღის მართვა მიანდეს.

ჯ. დედოფალაძეს ომმა ქალაქ იზმაილში მოუსწრო. მტერი რუმინეთიდან მდ. დუნაის შემოჰყვა. ჩვენი ფლოტის მებრძოლებმა მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაშინ ფაშისტებმა მდინარე დანაღმეს. ჯემალსა და მის ამხანაგებს დაავალეს კატარღით გაენაღმათ მდინარე. ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი ელოდათ. მიუხედავად ამისა დავალება ჯემალმა წარმატებით შეასრულა.

ოდესის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში ჯემალ დედოფალიძეს უშიშრად გადაჰყავდა დესანტი, ხმელეთის მებრძოლებს აწვდიდა იარაღს და ჭურვებს. ერთი ხელით საჭეს მართავდა, მეორეთი—ავტომატს. ვინ მოთვლის, მტრის გააფრთებულ ცეცხლში რამდენჯერ გადასერა ბობოქარი ზღვა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა საბრძოლო დავალება დროულად, არ შეესრულებინა.

1943 წლის 10 სექტემბერს მტრის ქარიშხლისებურ ცეცხლში დაიწყო ნოვოროსისკის შტურმი. ჯემალსა და მის მეომრებს გელენჯიკიდან ნოვოროსისკის ნავსადგურში დესანტი გადაჰყავდათ. აბობოქრებული ზღვა ნაფოტიეით ათამაშებდა ტრაილერს, ჰაერიდან კი განუწყვეტლივ უშენდნენ მტრის თვითმფრინავები, მაგრამ უშიშარი მეომრები ასრულებდნენ საბრძოლო დავალებას.

დესანტი ხმელეთზე გადავიდა ჯ. დედოფალაძის ტრაილერი კი მთელი სისწრაფით უკან გამობრუნდა, მაგრამ კატარღას ნაღმმა გვერდი შეუნგრია. მწყობრიდან გამოვიდა მთავარი ძრავა, დაიღუპნენ ზემდეგი ი. კოცობი და მოტორისტი ბ. ნომეროვსკი, მეორე ჭურვმა იმსხვერპლა კომისარი და სამხედრო ექიმი, ტრაილერზე ხანძარი გაჩნდა კატარღაში. შემოიჭრა წყალი, ხომალდი მკვეთრად გადაიხარა მარჯვნივ. ტრაილერის მეთაურმა ა. კონოტოპმა ჯემალს დაავალა გემბანიდან ზღვაში მაშველი რგოლები გადაეშვა. როცა ჯემალმა

დავალება შეასრულა და ჯიხურში დაბრუნდა, გაისმა კიდევ ერთი აფეთქება და მეთაურმა გონება დაკარგა – იგი მძიმედ დაიჭრა.

"როცა თვალი გაეახილე,–იგონებს კატარღის მეთაური ანდრია კონოტოპი,–დაეინახე, რომ ღია ზღვაში ვარ და ჩემს გვერდით ჯემალ დედოფალიძეა, რომლიც მაშველი სარტყელით მიმაქანებდა.

როგორც შემდეგ გავიგე, ჯემალ ისკენდერის ძემ მძიმედ დაჭრილი გამომათრია საჭის ჯიხურიდან. წყალში გადამიშვა, მაშველი სარტყელი შემომარტყა და ცურვით მოშორდა ტრაილერს, რომელიც იწვოდა და ღია ზღვაში იძირებოდა. დილის 8 საათზე, წყალში ჩვენი 4 საათის ყოფნის შემდეგ, მოგვისწრო მაშველმა კატარღამ. გელენჯიკში წაგვიყვანეს. იქ გავიგე, რომ თურით ჯემალ ისკენდერის ძე დაჭრილი იყო ... ამის თაობაზე ჩვენი ფლოტის გაზეთი "წითელი შავზღველი" ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ჯემალ ისკენდერის ძე დედოფალიძე არის ჩვენი სამშობლოსა და მებრძოლი ამხანაგებისთვის უსაზღვრო ერთგულების მაგალითი."[1]

ჯემალ დედოფალიძის მამაცობასა და ვაჟკაცობაზე მეტყველებს ისიც, რომ მას ომის ფრონტებზე მიღებული ჰქონდა ჯილდოები: წითელი ვარსკვლავის ორდენი, მედლები–"ადმირალი უშაკოვი," "მამაცობისათვის," "სევასტოპოლის დაცვისათვის," "კავკასიის დაცვისათვის" და სხვა.

ჯემალ დედოფალიძე 1947 წლის აგვისტოში დაუბრუნდა ოჯახს, ზღვის სიყვარულს, მიწის სიყვარულმა სძლია და მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა და აგრონომის დიპლომით სოფელში აგრონომად დაიწყო მუშაობა.

სამშობლოს განსაცდელის ჟამს ბათუმის პირველი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ვენერა დვალი აჭარის სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა და ფრონტზე წასვლა

---

[1] მ. შვიდობაძე. საგ. სტ. „მუდამ მღელვარებით იგონებს", გაზ. „საბჭოთა აჭარა" 1971 წლის 26 სექტემბერი.

ითხოვა. იგი ომის დასასრულამდე ვაუკაცურად იხდიდა თავის მხედრულ ვალს სამშობლოს წინაშე.

პირველი საბრძოლო ნათლობა ვ. დვალმა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში, ტიხორეცკის მისადგომებთან მტრის თვითმფრინავებმა ქვეყნის დამცველებს ბომბები დაუშინეს. საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს, მტრის თვითმფრინავებს მეზენიტეებმა, ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, სხვებს კი ბრძოლის ველი დაატოვებინეს.

ვენერა დვალი სხვა გოგონებთან ერთად საარტილერიო–საზენიტო მზვერავ მეკავშირეთა მეხუთე ასეულში იბრძოდა. 1943 წლის შემოდგომაზე ასეული მდინარეზე გადადიოდა, გაღმიდან ფაშისტებმა სროლა აუტეხეს. ვენერას გვერდით ტატიანა კვაჭაძე აღმოჩნდა. „ვაი დედა!“ მოესმა მისი ხმა ვენერას და მაშინვე თანამემამულისაკენ გასწია. ტატიანას მტრის ტყვია მოხვედროდა და წყალში იძირებოდა. ვენერამ იგი ნაპირზე გამოიყვანა, მაგრამ უკვე მკვდარი იყო, საღამოს, ყველაფერი რომ ჩაწყნარდა, იქვე მდინარის პირას დაკრძალეს და ფიცი დადეს, შური ეძიათ მტერზე.

ფუჭ სიტყვად არ დარჩენილა ტატიანას საფლავთან დადებული ფიცი, თანამებრძოლებთან ერთად ვენერამ მამაცური ბრძოლით განვლო სალსკი, როსტოვი, სტალინგრადი, უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სადაც კი იბრძოლეს, მტერს აზღვევინეს ტატიანასა და სხვათა სისხლი.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. მზვერავ-მეკავშირეთა ასეული ლატვიის ერთ-ერთი ქალაქის ახლო იდგა. ვენერა დვალი ათეულს მეთაურობდა. ასეულის მეთაურმა ნ. რიაბუშკიმ ქალაქში მტრის განლაგების, ძალისა და შემადგენლობის დაზვერვა დაავალა.

ვენერა დვალი ხუთ მზვერავ გოგონას თანხლებით დავალების შესასრულებლად წავიდა. საშინლად ბნელოდა, მიწას გაკრული მზვერავ-მეკავშირეები გუმანით მიდიოდნენ! შეუმჩნევლად შეიპარნენ ქალაქში, რომელიც ფაშისტების ტანკებით იყო სავსე. ჩაინიშნეს მტრის განლაგება და უკან გამობრუნდნენ. ხიფათს თავი მაინც ვერ ააცილეს. მზვერავები

მტრის ჯარისკაცებს გადაეყარნენ. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა, მოსალოდნელი საშინელი შედეგი სახეზე იყო, მაგრამ ბედად კაპიტანი რიაბუშკი მთელი ასეულით დასახმარებლად წამოსულიყო. ალიონზე სამშვიდობოზე გავიდნენ, ცნობა დროულად მიაწოდეს ჯარის ნაწილებს და რამდენიმე დღეში ქალაქი მტრისგან გაათავისუფლეს.[1]

ომგადახდილი ვ. დვალი ორდენებით და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ ბათუმს. წლების მანძილზე ფრონტული შემართებით მუშაობდა ბათუმის საზოგადოებრივი კვების სისტემაში.

დიდი სამამულო ომის დაწყების გამო აჭარიდან არმიის რიგებში გაწვეული იქნა აჭარაში მომუშავე ექიმთა 24 პროცენტი, (ა. პერტია. ნარკვევები აჭარაში ჯამრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათ. 1959, გვ. 180) ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში აჭარიდან ფრონტზე წასულმა ექიმებმა მამაცობისა და გმირობის არა ერთი მაგალითი გვიჩვენეს. მათ შორის იყო ექიმი **ავნი დიასამიძე.**

ავნი დიასამიძე 1912 წელს დაიბადა ბათუმის რაიონის სოფელ მირვეთში. 1936 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა, აქედან კი, ომი რომ დაიწყო, ფრონტზე წავიდა.

ექიმი, ავნი დიასამიძე თავდაპირველად ყირიმის ფრონტზე იბრძოდა. 1941 წლის 20 ნოემბერს მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციაში, იგი 472-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში დაჭრილ მეომართა მიმღებ-დამხარისხებელი ოცეულის მეთაური იყო. მესამე რანგის სამხედრო ექიმის ჩინით. მან მოკლე დროში მიიღო 1500-ზე მეტი დაჭრილი მეომარი. ბრძოლის ველიდან მოყვანილი დაჭრილები ყოველთვის გარშემორტყმული იყვნენ ა. დიასამიძის სამედიცინო პერსონალის ყურადღებითა და გულისხმიერი მოვლით. ორგანიზებულად

---

[1] დ. თუდორაძე, საგ. სტ. „შურისძიება" გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1976 წლის 22 იენისი.

ხვდებოდა დაჭრილების სწრაფი და სწორი დახარისხება, მათი დროული მომზადება საოპერაციო დამუშავებისათვის. ქმნიდა შესანიშნავ პირობებს დაჭრილებისათვის აუცილებელი დახმარების აღმოსაჩენად.[1]

ამიერკავკასიის ფრონტზე ავნი დიასამიძე კვლავ 472-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში დაჭრილთა მიმღებ-დამხარისხებელ ოცეულს მეთაურობდა. ამ თანამდებობაზე დიდი საბრძოლო ოპერაციების გამოცდილებაზე დაყრდნობით ათასობით დაჭრილი მეომარი მიიღო ბრძოლის ველიდან და ყოველთვის თავისი ზუსტი დიაგნოზით და უნარიანი დახმარებით, ბევრ მათგანს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ჰქონდა რა დიდი ქირურგიული გამოცდილება, მან 1942 წლის ივნისიდან 1943 წლის მარტამდე დაამუშავა 850 დაჭრილი. ამ ხნის განმავლობაში პირადად ჩაატარა 85 მეტად რთული ოპერაცია მუცლის ღრუს ორგანოების, გულმკერდის და ძვლების მძიმე დაზიანებისას. შესანიშნავად ფლობდა სისხლის გადასხმის ტექნიკას, ყველა საპასუხისმგებლო ქირურგიულ ოპერაციას ატარებდა პლაზმის და ტრანფუზიის გამოყენებით, რითაც საგრძნობლად გაზარდა ოპერაციის შემდგომი დაჭრილთა გამოჯანმრთელების პროცენტი. სულ მის მიერ ჩატარებული იქნა 125 სისხლის გადასხმა.[2]

ავნი დიასამიძე აქტიურად მონაწილეობდა უკრაინის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. იგი, როგორც 472-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის წამყვანი ქირურგი, უზრუნველყოფდა დაჭრილთა მთელი ნაკადის ქირურგიულ დამუშავებას. მან თავდადებული შრომის შედეგად მიაღწია დაჭრილთა შორის სიკვდილიანობის შემთხვევების და დაჭრილთა განკურნების ვადის საგრძნობ შემცირებას, მათ მწყობრში უსწრაფეს დაბრუნებას, საჯარისო (საფრონტო) რაიონებიდან არმიის ზურგში ევაკუაციის გარეშე.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33. აღწ. 682516. საქ. 469. ფურც. 302.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33. აღწ. 68526. საქ. 999. ფურც. 301.

ფრიადზე ფლობდა რა ქირურგის სპეციალობას, მხოლოდ 1944 წელს ა. დიასამიძემ ჩაატარა 3000-ზე მეტი ოპერატიული ჩარევა, მათ შორის 500-ზე მეტი მუცლის, მკერდის, თავის ქალის და სხვა მძიმე ჭრილობათა ოპერაცია.[1]

სამამულო ომის ფრონტზე ავნი დიასამიძე წითელ ვარსკლავის ორი, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებითა და ბევრი საბრძოლო მედლით დააჯილდოვეს.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ავნი დიასამიძე სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, მუშაობდა ქალაქის №1 და რესპუბლიკურ საავადმყოფოში. იყო ქალაქის №1 საავადმყოფოს მთავარი ექიმი, უფროსი ორდენატორი, ქირურგიული განყოფილების გამგე.

როსტოვის მისადგომებთან მამაცობისა და გმირობის მაგალითი გვიჩვენა ბათუმელმა **იუსუფ დიასამიძემ**. იგი 1941 წლის 1 თებერვალს გაიწვიეს არმიის რიგებში. 1941 წლის ნოემბრის დამდეგს 515-ე არმიის მე-400-ე მსროლელთა დივიზია, სადაც ი. დიასამიძე მსახურობდა, როსტოვის მიმართულებით ქ. ბატაისკის რაიონში ფრონტის წინა ხაზზე გავიდა. მტერი სულ უფრო წინ მიიწევდა და უახლოვდებოდა ქ. როსტოვს. ქალაქის დამცველები ფხიზლობდნენ. იუსუფ დიასამიძე დივიზიის სარდლობამ სხვა მებრძოლებთან ერთად "მოენეს" მოსაყვანად გაგზავნა. "მოენე" გენერალ კლაისტის შტაბის ოფიცერი აღმოჩნდა. მას თან ძვირფასი ცნობები აღმოაჩნდა. მზვერავებმა შტაბს გადასცეს შესანიშნავი ნადავლი-მოწინააღმდეგის ოპერატიული რუკა და სხვა მეტად საჭირო დოკუმენტები. დივიზიამ განთიადისას ცეცხლი გახსნა, ჩვენები შეტევაზე გადავიდნენ და მტერს როსტოვიდან პირი აბრუნებინეს.

ი. დიასამიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყირიმის ბრძოლაშიც. იგი იბრძოდა ქერჩის მისადგომებთან. ამ ბრძო-

---

[1] რუსეთის ოავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33. აღწ. 686196. საქ. 227. ფურც. 52.

ლაში იუსუფი დაიჭრა, განკურნების შემდეგ ისევ ფრონტს მიაშურა. მტერმა დაიწყო პოდბოგროვის დაბომბვა. აქ ი. დიასამიძემ კონტუზია მიიღო. ყირიმის ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის ი. დიასამიძე წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს, ცოტა ხნის შემდეგ მისი მკერდი კიდევ ერთმა ასეთმა ორდენმა დაამშვენა.

ომის დამთავრების შემდეგ ი. დიასამიძე მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა. მუშაობდა ბათუმის ლითონჩამომსხმელი ქარხნის დირექტორად, შემდეგ აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის და აჭარის ასსრ კომუნალურ მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.[1]

ომის წლებში სახელოვანი გზა განვლო **იუსუფ აბდულის ძე** დიასამიძემ. იგი ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. მან პირველი საბრძოლო ნათლობა ფეოდისიის ბრძოლებში მიიღო. აქ იგი მედლით "მამაცობისათვის" დააჯილდოვეს.

შემდეგ ი. დიასამიძე სახელოვანი ქართული 414-ე დივიზიის მეკავშირეთა ასეულის მეთაურად დანიშნეს და ქერჩში საგანგებო დავალებების საუკეთესოდ შესრულებისათვის სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს, ამ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა. ორ თვეზე მეტ ხანს მკურნალობდა, შემდეგ კი ისევ მოწინავე ხაზზეა, სევასტოპოლის მკაცრ ბრძოლებში სარდლობის დავალებათა მამაცურად შესრულებისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.[2]

ომის დამთავრების შემდეგ იუსუფ დიასამიძე ბათუმის მეშვიდე სკოლის მასწავლებლად, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ, მეცხრე და პირველი სკოლების დირექტორად, აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილედ, ბოლოს კი №3 სკოლა-ინტერნატის დირექტორად მუშაობდა. პედაგო-

---

[1] ი. ცერცვაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 178.

[2] რუსეთის ომაედაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33. აღწ. 690155. საქ. 2794. ფურც. 33.

გიურ ფრონტზე უმწიკვლო და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ი. დიასამიძე ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე სახელი მოიხვეჭა **ხულუს მევლუდის ძე დიასამიძემ**. ხულუსი 1919 წელს ქედის რაიონის სოფელ ორცქაში დაიბადა. ქედის საშუალო სკოლა დაამთავრა და თავის სოფელში კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა. სამხედრო სამსახურში 1938 წელს გაიწვიეს. ფინეთის ომის დაწყებისთანავე ბრძოლაში ჩაება. შემდეგ ჩრდილოეთ ბუკოვინაში წარმოებულ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. გერმანელი ფაშისტების საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოჭრის პირველი დღიდანვე ბრძოლებშია უკრაინის ფრონტზე.

ხულუს დიასამიძის დედამ ფრონტიდან უკანასკნელი წერილი 1941 წლის ბოლოს მიიღო. ოჯახმა გმირ შვილზე დიდხანს არაფერი იცოდა ... ძიება დაიწყო და აი, გმირის დაღუპვიდან 50 წლის შემდეგ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთა პრეზიდიუმის მდივნის მენთეშაშვილის პირადი ხელმოწერით მოვიდა ცნობა, რომ ქედელი პატრიოტი ხულუს მევლუდის ძე დიასამიძე 1942 წელს საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის წითელი დროშის ორდენით იყო დაჯილდოებული.[1]

ქართული 414-ე მსროლელ ანაპის წითელდროშოვან დივიზიის 1371-ე მსროლელ პოლკის მეკავშირე ასეულში ტელეფონისტად მსახურობდა ბათუმელი **აკაკი ესაძე**. იგი საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობას ღებულობდა 1944 წლის 25 იანვრიდან, აქედან მოყოლებული მან საბრძოლო ოპერაციებში გამოავლინა მამაცობისა და გამბედაობის არა ერთი მაგალითი.

1944 წლის 7 მაისს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების სამხედრო ნაწილის გამაგრების გარღვევისას და უსახელო დაბისათვის ბრძოლაში უმცროსი სერჟანტმა აკაკი ესაძემ შეძლო უზრუნველეყო ნორმალური კავშირი წინმიმავალ ქვე-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 1009. აღწ. I. საქ. 79. ფურც. 2.

დანაყოფებსა და პოლკის შტაბს შორის. მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო და ნაღმტყორცნის ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოფხვრა მოწინააღმდეგის ჭურვების მიერ კავშირის ხაზის 17 წყვეტილობა, რითაც გამოაელინა მამაცობისა და გამბედაობის მაგალითი.

414-ე მსროლელი დივიზიის 1944 წლის 4 ივნისის ბრძანებით, აკაკი ესაძე დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტურ გერმანელებთან ომის პერიოდში ქართველებს სახელი გაუთქვა არმიის კადრის ოფიცერმა ბათუმელმა ალექსანდრე ვადაჭკორიამ. იგი ინჟინერ-კაპიტნის წოდებით მსახურობდა 116-ე ავიაგამანადგურებელ პოლკის უფროს ინჟინრად. 1943 წლის 1 იანვრიდან ამიერკავკასიის ფრონტზეა. პოლკის ტექნიკური შემადგენლობის ღრმა ცოდნით, ტექნიკური სამუშაოების მთელი პროცესის სანიმუშო ორგანიზატორობით, ტექნიკური შემადგენლობის მუშაობაზე სისტემატური კონტროლით, ინჟინერ-კაპიტან ალექსანდრე ვადაჭკორიამ პოლკის საბრძოლო თვითმფრინავების მატერიალური ნაწილების სრული და ყოველდღიურ მზადყოფნას მიაღწია–ეს იმით დასტურდება, რომ პოლკმა კრასნოდარ-ბაქო-თბილისი–ქუთაისი-გელენჯიკის მარშრუტით ფრონტზე გაფრენისას, 2500 კილომეტრი საჰაერო გზა გაიარა და ტექნიკური შემადგენლობის მიზეზით საფრენოსნო შემთხვევა არ ჰქონია. თვითმფრინავები ომის საწარმოებლად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო. 1942 წლის 4 დეკემბრიდან 1943 წლის 15 თებერვლამდე, ი-16 და ი-153 თვითმფრინავებზე შეცვლა 25 მ-62 და მ-63 ძრავა მათ შორის: 12 ძრავა შეცვალა გადაფრენისათვის მომზადების დროს, ხოლო 13 – გადაფრენისას და ფრონტზე. ძრავის შეცვალაზე იხარჯებოდა 8-12 საათი, ხოლო ძრავების ნაწილს შეცვლა ფრონტზე, ხდებოდა 5 საათის განმავლობაში.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 2700, ფურც. 117.

საბრძოლო ოპერაციების თვენახევრის (1943 წლის იანვარ-თებერვალი) განმავლობაში ავიაგამანადგურებელი პოლკის ტექნიკურ შემადგენლობასა და ავიასარემონტო სახელოსნოს მიერ აღდგენილი იქნა 24 თვითმფრინავი. მათ შორის 8 თვითმფრინავი, რომელიც დაზიანებული იყო საჰაერო ბრძოლებში და საქარხნო რემონტს მოითხოვდა.

ფრონტების მეწინავე აეროდრომზე ბაზირების დროს, როცა რთულდებოდა სათათარიგო ნაწილების და მასალების დროული მოწოდება ბრძოლებში ჩამოგდებული თვითმფრინავების ყველა გამოსადეგი ნაწილის გამოყენებით, ხდებოდა თავის დროზე დაზიანებული თვითმფრინავების აღდგენა ისე, რომ არ გაჩერებულა სარემონტო საქმიანობა სათათარიგო ნაწილების უქონლობის გამო.

ომის ფრონტებზე ალექსანდრე ვადაჭკორიას საზრიანობის და უნარიანობის მაგალითად გამოდგებოდა ის ფაქტი, რომ საჰაერო ბრძოლაში დაზიანებული თვითმფრინავი, რომელსაც გახვრეტილი ჰქონდა სიბრტყე, დაზიანებული–მიმმართველი ცოცები, პირამიდები და ლონჟერონის ქვედა სარტყელი აღდგენილი იქნა 20 სამუშაო საათის განმავლობაში, თვითმფრინავი, რომელზეც გატეხილი იყო სტაბილიზატორის უკანა ლონჟერონი აღდგენილი იქნა 5 საათში.

პოლკმა, სადაც უფროს ინჟინრად ა. ვადაჭკორია მსახურობდა, 1100-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა ჩაატარა და 700 საათზე მეტი იფრინა, გამართა 34 საჰაერო ბრძოლა, რომელთა შედეგად განადგურებული იქნა მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი. პოლკის თვითმფრინავების იერიშებით განადგურებული იქნა 66 ავტომანქანა, 50 ოთხთვალა სამხედრო ტვირთებით, 59 საცეცხლე წერტი, აფეთქებული იქნა 4 საბრძოლო მასალებიანი საწყობი, მოსპობილი იქნა მტრის 570 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამიერკავკასიის ფრონტზე 1943 წლის იანვარ-თებერვალში გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში 116-ე ავიაგამანადგურებელ პოლკის თვითმფრინავების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის პოლკის უფროსი

ინჟინერი ალექსანდრე ვადაჭკორია მე-5 საჰაერო არმიის 1943 წლის 23 მარტის ბრძანებით, დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით;

1943 წლის 10 მაისიდან 5 ივლისამდე 116-ე ავიაგამანადგურებელი პოლკი, სადაც ინჟინერ-კაპიტანი ა. ვადაჭკორია მსახურობდა საჰაეროდრომო კვანძის დაზვერვის და საბრძოლო დავალებების შესრულებასთან ერთად, პოლკი დიდ სამუშაოებს აწარმოებდა ახალი მატერიალური ტექნიკის ათვისებისათვის. ამ პერიოდში ა. ვადაჭკორიამ აჩვენა მუშაობის და მფრინავ ტექნიკური პირადი შემადგენლობის ხელმძღვანელობისა და სწავლების დიდი ორგანიზატორული უნარის ჭეშმარიტი ნიმუშები. გათენებიდან დაბნელებამდე იგი აეროდრომზე იმყოფებოდა, ასწავლიდა მფრინავ და ტექნიკურ შემადგენლობას. დაძაბული საბრძოლო მოქმედების პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი ფრონტზე ბელგოროდის მიმართულებით 1943 წლის 5-და 15 ივლისამდე პოლკი 3 დან 5 გაფრენას აკეთებდა. ამ ხნის განმავლობაში ტექნიკური შემადგენლობის მიზეზით ჰაერში არ ყოფილა მატერიალური ნაწილის არც ერთი წუნის შემთხვევა. თავისი მუშაობით ა. ვადაჭკორიამ უზრუნველყო საბრძოლო დავალებების წარმატებებით შესრულება.

1943 წლის 25 ივლისს 116-ე ავიაგამანადგურებელმა პოლკმა აეროდრომ სვიატოვოიზე გადაინაცვლა, ღებულობდა რა მონაწილეობას ბრიანსკ-სლავიანსკის, ნოვო-მოსკოვსკის, სილენნიკოვის, დნეპროპეტროვსკის და ზაპოროჟიეს მიმართულებებზე გაჩაღებულ ბრძოლებში. ამ პერიოდში პოლკი მთელი ძალების დაძაბვით ასრულებდა საბრძოლო ამოცანებს – 2-დან 5 პოლკგაფრენამდე დღეში. ეს დაძაბულობა წარმატებით უზრუნველყო პოლკის ტექნიკურმა შემადგენლობამ ა. ვადაჭკორიას ხელმძღვანელობით. მატერიალური ნაწილის წუნს ტექნიკური შემადგენლობის მიზეზით ადგილი არ ჰქონია.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ყოფნისას 1943 წლის 10 მაისიდან 20 ნოემბრამდე 116-ე ავიაგამანადგურებელ პოლკმა 2.676 თვითმფრინავგაფრენა შეასრულა და 2397 საათი იფრი-

ნა, ჩაატარა 401 საჰაერო ბრძოლა, ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 156 თვითმფრინავი. ამ პერიოდში ტექნიკური შემადგენლობისა და პოლკის ავიასარემონტო სახელოსნოს ძალებით რემონტი ჩაუტარდა 1894, ხოლო მიმდინარე შეკეთება 51 თვითმფრინავს, აღდგენილი იქნა 11 ავარიული თვითმფრინავი. საბრძოლო დავალებების შესრულებასთან და მატერიალური ნაწილის მომზადებასთან ერთად, ინჟინერ-კაპიტანმა ა. ვადაჭკორიამ დროულად მოაწყო მფრინავი და ტექნიკური შემადგენლობის სწავლება თვითმფრინავ ლა-5, მ-82-ის ზამთრის პირობებში ექსპლოატაციისათვის. სიცივეების დადგომის შემდეგ პოლკში ადგილი არ ჰქონდა მატერიალური ნაწილის გაფუჭებას ტექნიკური შემადგენლობის მიზეზით.

თავდადებული და დაუღალავი შრომით ა. ვადაჭკორიამ დაამტკიცა ქართველი კაცის მებრძოლი სულის სიმტკიცე, მინდობილი საქმისადმი თავდადება და ერთგულება.

ბათუმელი ა. ვადაჭკორია ომის ფრონტებზე გამოჩენილი საქმიანობისათვის ამჯერად მეორედ მე-17 საჰაერო არმიის 1944 წლის 17 აპრილის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში აქტიურად მონაწილეობდა ბათუმელი **დავით ვასაძე**. იგი სამხედრო რიგებში მსახურობდა კადრის ოფიცრად 1934 წლიდან, ომი რომ დაიწყო იგი კაპიტნის ჩინით მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში, 66-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში.

სოფ. კლეტსკაიას მიდამოებში მტრის თავდაცვის ხაზის გარღვევის პერიოდში კაპიტან დ. ვასაძის ხელმძღვანელობით სამხედრო ნაწილებში დაბრუნებული იქნა დივიზიის ნაწილებს ჩამორჩენილი 400 მეომარი.

1942 წლის დეკემბერში კაპიტანი დ. ვასაძე თავისი ბატალიონის 27 კაცის შემადგენლობით იმყოფებოდა თავდაცვაში მეხუთე ყორღანის მიდამოებში. ამ დროს მოწინააღმდეგის

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 1590, ფურც. 309-310.

ასეული სამი ტანკის თანხლებით იერიშზე გადმოვიდა. კაპიტან დ. ვასაძის მამაცობის შედეგად მტრის იერიში უკუგდებული იქნა. ამ ბრძოლებში იგი დაჯილდოვებული იქნა მედლით – „საბრძოლო დამსახურებისათვის."

სტალინგრადისათვის გმირულ ბრძოლებში დ. ვასაძემ არა ერთხელ გამოავლინა ჭეშმარიტი მამაცობა. 1943 წლის 12 ივლისის ბრძოლებში კაპიტანი დ. ვასაძე ასრულებდა რა დივიზიის მეთაურის დავალებებს, მოქმედი ნაწილების საბრძოლო განლაგებებში გაემგზავრა. მოწინააღმდეგის გააფრთებული საარტილერიო და ნაღმტყორცნის ცეცხლის მიუხედავად ყველა დავალება პირნათლად შეასრულა თავისი საქმეებით კაპიტანი დ. ვასაძე ხელს უწყობდა მტრის ამ უბანზე განადგურებას.

ფრონტზე საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის დ. ვასაძე 66-ე მსროლელი გვარდიული დივიზიის 1943 წლის 15 აგვისტოს ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის მიერ წამოწყებულ ომში, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას ღებულობდა **ასლან ვაშალომიძე**. იგი სამხედრო რიგებში გაიწვია ბათუმის სამხედრო კომისარიატმა. 1941 წლის ოქტომბრიდან 414-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას.

ომის ფრონტებზე გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის ა. ვაშალომიძე 414-ე მსროლელი დივიზიის 1942 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

1944 წლის მეორე ნახევარში ასლან ვაშალომიძემ, ყაედა რა მზვერაების ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით, მიიღო დავალება ერთ-ერთ სიმაღლიდან თვალთვალით დაეზვერა მოწინააღმდეგის საბრძოლო განლაგება. ჯგუფი მოწინააღმდეგის

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 682526, საქ. 732, ფურც. 83.

ტრანშეიდან 25-35 მეტრის მანძილამდე მივიდა. მოწინააღმდეგის 18 კაციანი ჯგუფი აწარმოებდა სამუშაოებს ფრონტის წინა ხაზზე. მათ შენიშნეს ა. ვაშალომიძის ჯგუფი და ტყვიამფრქვევისა და ნაღმტყორცნების ქარიშხალისებური ცეცხლი გაუხსნეს. მტრის ჯგუფი მზვერავებს მიუახლოვდა. ჯგუფის მამაცმა მეთაურმა ა. ვაშალომიძემ ცეცხლი გაუხსნა მათ და პირადად მოსპო 5 გერმანელი ჯარისკაცი, რომლებსაც თავად ამოაცალა დოკუმენტები. მოწინააღმდეგემ ბრძოლაში ახალი საცეცხლე წერტები ჩართო. ა. ვაშალომიძემ ისარგებლა მომენტით და მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები დაიმახსოვრა. ამ ბრძოლებში მან მიიღო კანტუზია, მაგრამ მამაცმა მეომარმა არ დატოვა თავისი პოსტი გათენებამდე აწარმოებდა თვალთვალით დაზვერვას, რის შედეგად ნაწილში მოწინააღმდეგის შესახებ ძვირფასი მონაცემებით გამოცხადდა.

ა. ვაშალომიძე ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის 414-ე მსროლელი დივიზიის 1944 წლის 4 მაისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა კვირიკის მკვიდრი **მურად ვერულიძე** ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას 1941 წლის 10 ივლისიდან ცენტრალურ ფრონტზე, დაიჭრა 1943 წლის 15 ოქტომბერს ბელორუსიის ფრონტზე.

მეტყვიამფრქვევე მურად ვერულიძე 1944 წელს გერმანელ დამპყრობლებს ებრძოდა 69-ე სუვოროვის ორდენოსანი დივიზიის 120-ე მსროლელი პოლკის შემადგენლობაში. 1944 წლის 24 ივნისს პოლესიეს ოლქის სოფ. რადინდომანოვიჩის რაიონში მოქმედებდა რა დაზგის ტყვიამფრქვევის ჯგუფში მ. ვერულიძემ შენიშნა, რომ მეზობელი ტყვიამფრქვევი დადუმდა. ძლიერი ცეცხლის ქვეშ მიცოცდა ცოცხლად დარჩენილ ჯგუფელის მეთაურთან, მასთან ერთად ტყვიამფრქვევი ახალ პო-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690150, საქ. 2774, ფურც. 100.

ზიციაზე გადაიტანა, პირადად გახსნა ცეცხლი და 15 ფაშისტი ჯარისკაცი გაანადგურა, რითაც წარმატებით უკუაგდო კონტრშეტევა და ხელი შეუწყო ჩვენი ქვეითი ჯარის წინსვლას.

აღნიშნულ ბრძოლაში გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის მურად ვერულიძე დაჯილდოვებული იქნა დიდების მე-3 ხარისხის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის ფრონტებზე სახელოვანი გზა განვლო სოფელ ქობულეთის მკვიდრმა **ახმედ ვერულიძემ,** მან ომის დაწყების წინ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი და ბათუმში დისლოცირებულ ქართულ მსროლელ ნაწილში დაინიშნა ერთ-ერთი ასეულის მეთაურად. 1940-1941 წლებში იყო ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის სამხედრო საქმის მასწავლებელი. როცა დაიწყო ომი, მან თხოვნით მიმართა აჭარის სამხედრო კომისარიატს, ფრონტზე გაეგზავნათ, მაგრამ პატრიოტი იქ მხოლოდ 1942 წლის იანვარში მოხვდა. აქედან იწყება მისი ფრონტული ბიოგრაფია.

1943 წლის დეკემბერი არმიის სარდლობამ მამაც მეთაურს სტრატეგიული პუნქტის დაცვა დაავალა. მტერს ჭარბი ძალები ჰყავდა. იგი არ ზოგავდა ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. გამბედაემა მებრძოლებმა სტრატეგიული პუნქტი შეინარჩუნეს. ამ ბრძოლაში ა. ვერულიძის ასეულის მეომრებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. მარტო ა. ვერულიძემ ათი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს.

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის ა. ვერულიძის მკერდი წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებმა და ოთხმა საბრძოლო მედალმა დაამშვენა. ვინ იცის, კიდევ რამდენ გმირობას ჩაიდენდა, მაგრამ ბუდაპეშტისთვის წარმოებულ ბრძოლებში, დუნაის გადა-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 1202, აღწ. 2, საქ. 59, ფურც. 72.

ლახვისას იგი მძიმედ დაიჭრა და გონებადაკარგული ტყვედ ჩაიგდეს. გონს რომ მოვიდა, დაკითხეს, მაგრამ გულადი მეომარი ვერ გატეხეს, კრინტიც ვერ დააძრევინეს და მაშინ გადაწყდა მისი ბედიც.

ტყვეს რამდენიმე ჰიტლერელი მიესია–ცეცხლში, ცეცხლში გასცა განკარგულება გერმანელმა და შეუდრეკელი ა. ვერულიძე დაწვეს.

1944 წლის აგვისტო-ნოემბერში ახმედ ვერულიძის საგმირო საქმეებსა და მის ტრაგედიაზე ალაპარაკდნენ დივიზიის, არმიის, ფრონტის გაზეთები, ჩვენს თანამემამულეზე პერიოდულად ქვეყნდებოდა წერილები „კომუნისტის“ და „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზეც. ახმედ ვერულიძის ხსოვნას შესანიშნავი ლექსი უძღვნა პოეტმა ნესტორ მალაზონიამ.[1]

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ფრონტებზე ბრძოლის სახელოვანი გზა განელო ხელვაჩაურის (ადრე ბათუმის) რაიონის სოფ. ახალშენის მკვიდრმა **შუქრი ვერძაძემ**. იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1942 წელს.

შ. ვერძაძე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის და უკრაინის მეორე და მესამე ფრონტებზე. იგი იბრძოდა 182-ე გვარდიული საარტილერიო დივიზიის 1820-ე გვარდიული საარტილერიო პოლკის შემადგენლობაში. იყო მესამე ბატარეის ნაღმტყორცნი.

1944 წელს გუბელიატაშთან ბრძოლებში როცა მოწინააღმდაგე ტანკებით და ქვეითი ჯარით საბრძოლო განლაგებას აკონტროლებდა და ჩვენს ბატარეიას ესროდა გვარდიის სერჟანტმა ვერძაძემ ჯგუფეულის შემადგენლობაში მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად ქარიშხლისებური ცეცხლი გახსნა მტრის წინააღმდეგ, რის შედეგადაც გაანადგურა მოწინააღმდეგის ჯავშანტრანსპორტიორი, ორი ტყვიამფრქვევის წერტი და ოცეულამდე ქვეითთა ჯარი, რითაც მტრის კონტრშეტევის უკუგდება უზრუნველყო. შ. ვერძაძე ამ საბრძოლო ოპერაციაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობი-

[1] ი. ცერცვაძე, დასახ ნაშრომი, გვ. 80.

სათვის 1945 წლის 29 იანვარს წარდგენილი იქნა დიდების მესამე ხარისხის ორდენის ჯილდოზე. უფრო ადრე 1945 წლის 1 იანვარს 182-ე საარტილერიო დივიზიის ბრძანებით შ. ვერძაძე დაჯილდოვებული იყო მედლით – „მამაცობისათვის."[1]

ბათუმის სამხედრო კომისარიატმა 1940 წელს სამხედრო რიგებში გაიწვია ბათუმელი **მიხეილ ზუბოვი**. იგი ომის პირველ წლებში დაიჭრა ორჯერ, ამ წლებშიეე დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით. უმცროსი სერჟანტი მ. ზუბოვი მსახურობდა მე-5 გვარდიული ცხენოსანი დივიზიის 24-ე გვარდიული ცხენოსანი პოლკის 76 მმ-იანი ქვემეხის მემიზნედ. 1943 წლის 22 სექტემბერს მ. ზუბოვი ღამით თავისი ქვემეხი პირდაპირ დამიზნებაზე გამოაგორა და მოწინააღმდეგიდან 100 მეტრში მყოფი მიბრჯნით ესროდა უკან დახეული მოწინააღმდეგეს, სადაც მოსპო ოცდაათამდე ჰიტრელერი და დააზიანა ერთი ავტომანქანა.

1943 წლის 23 სექტემბერს ზუბოვმა თავისი ქვემეხიდან ცეცხლის პირდაპირი დამიზნებით მოსპო მოწინააღმდეგის 15 ჯარისკაცი და ოფიცერი, თავადაც დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიატოვა და მანამ ანადგურებდა მოწინააღმდეგეს, სანამ მისი ქვემეხი მოწინააღმდეგემ არ დააზიანა.

ამ საბრძოლო ოპერაციაში გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის მ. ზუბოვი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

1944 წლის 7 იელისს ესკადრონს მიეცა ლიდა-კრიტიშუკს შორის მიმავალი დიდი შარაგზის გადაჭრის დავალება მ. ზუბოვი თავის ქვემეხით მხარს უჭერდა ესკადრონის მოქმედებას. მოწინააღმდეგეს მომზადებული ჰქონდა დაცვა და შარას გასწვრივ მისი ტანკები მოძრაობდნენ, რაც ხელს უშლიდა ესკადრიონის წინსვლას.

მ. ზუბოვმა მოწინააღმდეგის არტილერიისა და ნაღმტყორ-

---

1 რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 690306, საქ. 1129, ფურც. 116.

2 რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 656044, საქ. 375, ფურც. 210.

ცნების ცეცხლის ქვეშ გამოაგორა თავისი ქვემეხი და მოწინააღმდეგიდან 200 მეტრის მანძილზე პირდაპირი დამიზნებით პირველივე ჯერვით ცეცხლი გაუკიდა „პანტერას“ ტიპის ერთ გერმანულ ტანკს, ხოლო მეორე ჯერვით მუხლუხა დაუზიანა მეორე ტანკს, რომელიც ადგილზე გაშეშდა. ამით ესკადრონს საშუალება მიეცა დაცვაში მყოფი მოწინააღმდეგისათვის შეეტია და დასახული ამოცანა შეესრულებინა.

მე-3 გვარდიული ცხენოსანი კორპუსის 1944 წლის 28 იგლისის ბრძანებით სერჟანტი მიხეილ ზუბოვი დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.[1]

1945 წლის 30 აპრილს გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ შეტევით ბრძოლაში პოლკის ქვედანაყოფები, სადაც მ. ზუბოვი მსახურობდა, ცხარე ბრძოლებში ჩაებნენ კოპერნიცის დასაუფლებლად. მოწინააღმდეგეს საცეცხლე საშუალებების დიდი მარაგი გააჩნდა და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ჩვენს ნაწილებს, ცეცხლით შეაჩერა მათი წინსვლა. მოქმედებდა რა უშუალოდ ქვედანაყოფის მოწინავე რიგებში მიხეილ ზუბოვმა ქვემეხის პირდაპირ დამიზნებით გაანადგურა მტრის ტყვიამფრქვევის წერტები და 20-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ამით ქვედანაყოფებს საშუალება მისცა მცირე დანაკარგებით აეღოთ დასახლებული პუნქტი და ხელთ ეგდოთ დიდი ალაფი.

1945 წლის 1 მაისს მ. ზუბოვი მონაწილეობდა თავისი ქვემეხით მეწინავე რაზმში. იმ მომენტში, როცა მოწინააღმდეგემ თავისი ცეცხლით ჩვენი მეწინავე რაზმის წინსვლა შეაჩერა, ზუბოვმა დროის დაუკარგავად მოამზადა ქვემეხი პირდაპირი დამიზნება და ქვემეხის ზუსტი ცეცხლით მოწინააღმდეგის ერთი ჯავშანტრანსპორტიორი და ერთი საცეცხლე წერტი გაანადგურა.

ცოტა ხნის შემდეგ მოწინააღმდეგე ჭარბი ძალებით კონტრშეტევაზე გადმოვიდა ზუბოვმა ახლო მანძილზე მოუშვა

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 5191, ფურც. 183.

მტერი და თავისი ქვემეხის ახლოდან დამიზნებით მოსპო ორი საცეცხლე წერტი, ერთი ავტომანქანა და 15-მდე გერმანელი. მტრის შეტევა მოგერიებული იქნა.

მე-3 გვარდიული კავალერიის გროდნოს წითელდროშოვანი კორპუსის 1945 წლის 25 მაისის ბრძანებით მიხეილ ზუბოვი დაჯილდოვდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის მიერ წამოწყებულ ომში არა ერთი ქართველი ამრავლებდა გმირულ ქართულ საბრძოლო ტრადიციებს, ამათგან ერთ-ერთი ბათუმელი **ვახტანგ თავართქილაძე** იყო. ომი რომ დაიწყო, ვახტანგმა სამხედრო ფორმა ჩაიცვა და უმცროს მეთაუროა სასწავლებელში ჩაირიცხა, მან იგი 1942 წლის აგვისტოში დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტის ჩინით 51-ე გვარდიული დივიზიის შემადგენლობაში გაამწესეს. დივიზია აქტიურად იბრძოდა კურსკის შვერილისა და კიშინიოვის სისხლისმღვრელ საბრძოლო ოპერაციებში, ამ ბრძოლებში თავი ისახელა ვახტანგ თავართქილაძემ, მის შესახებ გენერალ-მაიორი ნიკოლოზ თავართქილაძე თავის წიგნში „მრისხანე დღეები“ წერს – მრავალი ჩვენი თანამემამულე ოფიცერი, სერჟანტი და ჯარისკაცი ბრძოლაში ამრავლებდნენ გმირულ ქართულ საბრძოლო ტრადიციებს „კურსკ-ბელგოროდ-ორიოლისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს არტილერიის ბატარეის მეთაურმა სერგო ხოფერიამ და ასეულის მეთაურმა ვახტანგ თავართქილაძემ.“

1944 წლის ბოლოს დივიზიამ სადაც ვ. თავართქილაძე მსახურობდა უმძიმესი ბრძოლები გააჩაღა უნგრეთის საზღვრების მისადგომებთან. ამ ბრძოლებშიც თავი ისახელა ვახტანგ თავართქილაძემ, მისი მამაცობისა და თავდადების შესახებ წერილები ქვეყნდებოდა დივიზიის „წითელარმიელის გაზეთში.“

სადგურ ელხოტოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 4792, ფურც. 7.

ვახტანგი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ იგი ისევ თავისივე ნაწილს დაუბრუნდა...

ვახტანგ თავართქილაძემ საბრძოლო ოპერაციებში უნარიანად ხელმძღვანელობდა თავის ქვედანაყოფს, ბრძოლებში თვით უწყენებდა ხელქვეითებს საბრძოლო მამაცობისა და თავდადების მაგალითებს. ერთ-ერთი სოფლის განთავისუფლების საქმეში მისი ასეულის ორი ოცეული ალყაში მოექცა, რთული მდგომარეობა შეიქმნა ამის შესახებ საფრონტო „წითელარმიული გაზეთი“ წერდა „გათენებისას დაიწყო შეტევა, იმდენად სქელი ნისლი იდგა, რომ რამდენიმე მეტრის მანძილზე აღარაფერი ჩანდა. მტერი სოფელში ჩასაფრებულიყო. ჩვენი ქვედანაყოფი სწრაფად გაიჭრა წინ და მეტისმეტად განზედაც, როდესაც ნისლი გაიფანტა, დავინახეთ, რომ გარემოცვაში მოვხვდით, მაგრამ უმცროსი ლეიტენანტი ვახტანგ თავართქილაძე არ დაიბნა, მებრძოლები არ შედრკენ, მალე მტრის ორი ნაღმსატყორცნი ჩააჩუმეს. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ გერმანელები შეეცადნენ იერიშზე გადმოსვლას, მაგრამ ამის საშუალება მამაცმა მებრძოლებმა არ მისცეს, პირიქით ვინც მათგან ბრძოლაში ცოცხალი გადარჩა, ძლივს ხოხვით გააღწიეს სამშვიდობოს.“

ომის ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ვახტანგ თავართქილაძეს მიღებული ჰქონდა სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენები.[1]

ომის ფრონტებზე სახელოვანი გზა განელო **ჰარმენ თავართქილაძემ**. იგი ბათუმის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო სამსახურში გაიწვია 1941 წლის 26 ივნისს. მცირე მომზადების შემდეგ სერჟანტის ჩინით მსახურობდა 414 მსროლელი დივიზიის 235 ცალკე მსროლელი სადაზვერვო ასეულის მეთაურად. საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას 1942 წლის 2 ნოემბრიდან ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე.

---

[1] ე. ლომაძე. ფრონტული ამბების სამყაროში, ბათ., 2005, გვ. 56-57.

პარმენ თავართქილაძემ ომის ფრონტებზე გამოჩენა არა ერთი მამაცობისა და გამბედაობის მაგალითი. 1943 წლის 29 სექტემბერს უფროსმა სერჟანტმა პ. თავართქილაძემ, როგორც მზვერავთა ჯგუფის უფროსმა მიიღო მთა გურკიანნაის მიდამოებში მოწინააღმდეგის დაცვის წინა ხაზის დაზვერვის და საცეცხლე წერტების აღმოჩენის დავალება. მზვერავმა პ. თავართქილაძემ მტრის უძლიერესი ტყვიამფრქვევისა და ნაღმტყორცნის ცეცხლის ქვეშ დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და დანაკარგების გარეშე დაბრუნდა ნაწილში.

სარდლობის დავალების დროულად და უდანაკარგოდ შესრულებისათვის პარმენ თავართქილაძე 414 მსროლელი დივიზიის 1943 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით დაჯილდოებულ იქნა მედლით – „მამაცობისათვის“.[1]

ხულოს რაიონის მაღალმთიან სოფელ ძირკვაძეების შაისმაილ თავართქილაძის ოჯახიდან მეორე მსოფლიო ომში ფრონტებზე ორ მთიელ ვაჟკაცს **მუხამედ და ოსმან თავართქილაძეებს** მოუწია მტერთან უთანასწორო ბრძოლაში სისხლის დაღვრა.

პირველად თეთრ ფინელებთან ბრძოლაში ჩაბმა **მუხამედ თავართქილაძეს** მოუწია. იგი 1918 წელს დაიბადა შაისმაილის მრავალსულიან ოჯახში, დედა ადრე გარდაეცვალა, მამა–შაისმაილი ყველაფერს აკეთებდა, რომ დაობლებულ შვილებს უდედობა არ ეგრძნოთ და ქვეყნისთვის სასახელო შვილები დაეზარდა, ეს ასეც მოხდა.

მუხამედმა ჯერ სოფლის დაწყებითი, შემდეგ ხულოს რაიონის პედაგოგიური ტექნიკუმი წარმატებით დაამთავრა. სრულიად ახალგაზრდას სოფ. ღორჯომის დაწყებითი სკოლის გამგეობა ანდეს, ნიჭიერმა და მონდომებულმა ყმაწვილმა ნდობა გაამართლა.

სწავლას მოწყურებულმა მუხამედ თავართქილაძემ 1939 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფა-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 1965, ფურც. 284.

კულტეტზე მისაღები გამოცდები ჩააბარა და დიდი ცხოვრების გზაზე ოცნებობდა, რომ საბჭოთა კავშირ–ფინელების ომი დაიწყო. მუხამედი არმიის რიგებში გაიწვიეს. 1939 წლის ოქტომბრიდან თეთრფინელებთან მოუწია ბრძოლებში ჩაბმა.

მუხამედისათვის საბედისწერო ჟამი 1940 წლის 23 თებერვლის ღამით, ქალაქ ვიბორგის მისადგომებთან დადგა. იგი ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, ერთდროულად ცხრა ჭრილობა მიიღო.

ბრძოლაში მიღებული ჭრილობები მეტად მძიმე აღმოჩნდა, ათი თვის მკურნალობის შემდეგ ექიმების გადაწყვეტილებით–მუხამედი, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი არმიის რიგებიდან დემობილიზებული იქნა.

ომგადახდილი მუხამედი მშობლიურ კერას დაუბრუნდა აქაც ფრონტული შემართებით შრომობდა და მხარში ედგა ოჯახს, თანასოფლელებს.

მუხამედი სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფ. ძირკვაძეების არასრული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, სოფ. ტუნაძეების არასრული სკოლის დირექტორად. 1944 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა ჯერ მუშაობდა პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად, შემდეგ რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგედ. ფრონტზე მიღებული ჭრილობების გამო ჯანმრთელობის გაუარესების მიუხედავად, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. იყო რამდენიმე მოწვევის რაიონული და სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

ბრძოლაში მიღებულმა ჭრილობებმა თავისი გაიტანა, სრულიად ახალგაზრდა მუხამედი 32 წლის ასაკში გარდაიცვალა. ომგადახდილი გმირის და სოფლის სახელოვანი შვილის მუხამედ თავართქილაძის შთამომავლები აგრძელებენ მამისეულ გზას.

ფაშისტურ გერმანიამ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ომი რომ დაიწყო, ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად შაისმაილ თავართქილაძის ოჯახიდან მეორე შვილი – მუხამედის უფროსი ძმა **ოსმან თავართქილაძე** წავიდა. ხულოელი ვაჟკაცი ოსმან თავართქილაძე შეუპოვრად იბრძოდა გერმანელ

ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ და ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის არაერთი მაგალითი გვიჩვენა.

ოსმან თაჯართქილაძეს, ისე როგორც ათასობით სხვა ქართველს ქერჩის მისადგომებთან მოუწია სამკვდრო–სასიცოცხლო მძიმე ბრძოლები, ამ ბრძოლებს შეეწირა ხულოელი მთიელი ვაჟკაცის სიცოცხლე.[1]

ფაშისტურ გერმანიის წინააღმდეგ ომში თავი გამოიჩინა ბათუმელმა **ერასტი თავბერიძემ**. იგი სამხედრო რიგებში გაიწვია აჭარის სამხედრო კომისარიატმა, ომის ფრონტზეა 1942 წლიდან. საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას 955-ე საარტილერიო პოლკის მე-7 ბატარეის შემადგენლობაში იყო მესამე ქვემეხის მემიზნე.

1942 წლის 30 აგვისტოს ე. თავბერიძის ქვემეხის ჯგუფეულმა ზუსტი სწრაფი დამიზნებით მოსპო მტრის ნაღმსატყორცნების ბატარია, გაანადგურა გერმანელთა მეავტომატეების ჯგუფი. ე. თაებერიძის ქვემეხი სრულის განმავლობაში აძლიერებდა მტრის წინააღმდეგ ცეცხლის უჩვეულო ტემპს. ამ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და საზრიანობისათვის ერასტი თავბერიძე დაჯილდოებულ იქნა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის".[2]

ყირიმის, გმირი ქალაქების–ქერჩის, ნოვოროსისკის, სევასტოპოლისათვის ბრძოლებში საქართველოს სხვა წარგზავნილებთან ერთად მამაცობის და თავგანწირვის მაგალითები გვიჩვენა ბათუმელმა **იური თავბერიძემ**.

ი. თაებერიძემ 1942 წელს ერთდროულად დაამთავრა ოზურგეთის საშუალო და მუსიკალური სკოლები. სწავლა გააგრძელა თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა სტუდიაში. იქ მისი დაწერილი სიმღერები რომ მოისმინეს, მეორე კურსზე დასვეს და ნება დართეს კონსერვატორიაში დასწრებოდა ჰარმონიისა და კომპოზიციის ლექციებს. მაგრამ

---

[1] გაზ. „აჭარა" 7 მაისი 1985 წ.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 5191, ფურც. 183.

ომი მძინვარებდა. მტერი გაშმაგებით მოიწევდა ქვეყნის სიღრმისში, ფაშისტები იპყრობდნენ ქალაქებსა და სოფლებს. სამშობლოს ამ გასაჭირის ჟამს საქართველოს ბევრი ახალგაზრდა მოხალისედ ჩადგა ქვეყნის დამცველთა რიგებში. სამშობლოს პატრიოტმა იური თავბერიძემაც წიგნი და ნოტები დროებით გვერდზე გადადო და იარაღი აისხა. პირველად კრასნოდარის მხარეში შეხვდა პირისპირ ვერაგ მტერს.

1942 წლის ნოემბერია, ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა კრასნოდარის მხარეში, მტერი უახლოვდება კრასნოდარს, ბომბავდა სოფლებს და დაბებს. მსროლელი დივიზია, სადაც ი. თავბერიძე ირიცხებოდა, ალყაში მოექცა. საჭირო გახდა მტრის ბანაკის დაზვერვა. ამ საპასუხისმგებლო საბრძოლო დავალების შესრულება თავად იკისრა იური თავბერიძემ. ღამის პირველ საათზე დაზვერვაზე სულ 14 კაცი წავიდა. ტყე–ტყე იარეს, გზა არ ჩანდა, ბოლოს ერთ დასახლებულ პუნქტში ნაქეიფარ გერმანელ ოფიცერთა ჯგუფს წააწყდნენ, სახლს ჯარისკაცი იცავდა. მამაცმა მზვერავებმა დაცვა მოხსნეს, მთვრალ ჩაძინებულ ოფიცერთა ჩანთებიდან საბუთები ამოიღეს და დილაადრიანად მეტად საჭირო საბუთებით დივიზიაში გამოცხადდნენ. მზვერავებს ოპერაცია შეუქმნეს და სახელმწიფო ჯილდოზე წარადგინეს. იურის ეს ჯილდო ქერჩის მისადგომებთან გადასცეს.

მერე ქერჩი-ქართველთა ნამდვილი სასაფლაო. დღეში 10–15 იერიშის მოგერიება უხდებოდა მსროლელი დივიზიის მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელშიც იური თავბერიძე მონაწილეობდა. 1943 წლის 23 თებერვალს იური თავბერიძის მცირერიცხოვან მეომართა ჯგუფი ქარხნის ტერიტორიას იცავდა. ღამით გერმანელთა მორიგი შემოტევის დროს მტრის ჭარბმა ძალებმა პირდაპირ იურის მეომართა ჯგუფს შემოუტიეს, მათი ამოხოცვა გარდაუვალი იყო, მაგრამ ყველას მოულოდნელად ქარხნიდან საყვირის ხმა გაისმა, მტერი შეკრთა, შეჩერდა, ჯიბის ფარნები ჩააქრეს და პანიკით მოცულებმა უკან დაიხიეს. იურის მეომრებმა დილამდე შეინარჩუნეს პოზიცია. მტრის მომდევნო შემოტევის დროს იური დაიჭრა, მაგრამ

ბრძოლის ველი არ მიუტოვებია, ბრძოლას განაგრძობდა.

საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი საზრიანობისა და მამაცობისათვის ნიჭიერი ახალგაზრდა მეომარი ასეულის პოლიტხელად დააწინაურეს. „მცირე მიწის“ ბრძოლებში ი. თავბერიძე კვლავ დაიჭრა, ამჯერად მეტად მძიმე ჭრილობა მიიღო. დიდხანს სოჭის ჰოსპიტალში მკურნალობდა. აქაც დაინახეს იურის ხელოვნებისადმი მისწრაფება და დაჭრილთა ანსამბლის ჩამოყალიბება შესთავაზეს. ჰოსპიტალი დიდი იყო და ანსამბლში 120-ზე მეტი კაცი გაერთიანდა. სიმღერას მოწყურებულმა დაჭრილმა მეომრებმა და იურის ხელმძღვანელობის ნიჭმა მალე შედეგი გამოიღო. ანსამბლმა ჰოსპიტლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და არა ერთხელ დაჯილდოვდა.

ი. თავბერიძემ მძიმე ჭრილობის გამო ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. სამამულო ომის პირველი და დიდების მესამე ხარისხის ორდენებით და მრავალი საბრძოლო მედლით მკერდდამშვენებული შინ დაბრუნდა. ერთხანს სამხედრო მასწავლებლად იმუშავა სკოლაში, პერიოდულად ამზადებდა საკოლმეურნეო სიმღერის გუნდებს, მართავდა კონცერტებს. მერე უმაღლესი განათლება მიიღო—ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ხელოვნებისადმი ინტერესი მაინც არ განელებია, პირიქით, ახლა იური თავბერიძე არა მარტო მღეროდა, არამედ თავად ქმნიდა ახალ სიმღერებს და ნიჭიერი კომპოზიტორის სახელს იხვეჭდა.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ი. თავბერიძემ 300-ზე მეტი კონცერტი გამართა, წაიკითხა 50 ლექცია, ჩაწერა 100 ხალხური სიმღერა და საცეკვაო მუსიკა. ვინ მოთვლის, რამდენ სკოლის კლუბში, თუ კულტურის სახლებში უფასოდ აუწყვია პიანინო თუ როიალი, ჩაუტარებია სიმღერის გაკვეთილი და შეუსრულებია ოპერა. იური თავბერიძე 12 საბავშვო ოპერის, 8 ოპერეტის, ბევრი რომანსის და ოპერის ავტო-

რია. ბათუმში დაიდგა მისი „საბავშვო ოპერა და ოპერეტა“.[1]

ღირსეულად დაფასდა ი. თავბერიძის ომისშემდგომი მოღვაწეობაც. იგი დაჯილდოებული იქნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამი საპატიო სიგელით, მიენიჭა აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, იყო მრავალი ფესტივალის ლაურიატი.

ომი რომ დაიწყო, ოჩხამურის სავადმყოფოში მომუშავე **სულიკო ბესარიონის ასული თავდიშვილი** ქობულეთის სამხედრო კომისარიათში დაიბარეს და ფრონტზე გაიწვიეს. იგი ჯერ ბაქოში ჩაიყვანეს; 47-ე არმიის სამედიცინო ნაწილში ჩარიცხეს, აქედან ნოვოროსიისკში გადაიყვანეს, იქედან კი 1942 წლის მაისში ქერჩში მოხვდა. იმ დღეებში ქერჩი რამდენიმეჯერ დაბომბეს, სადგური სემიკოლოდეცი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

„დახოცილებში ბორგავდნენ დაჭრილები, – იგონებს ომგადახდილი, ერთ სანგარს წავადექი, ქალის კივილი შემომესმა და რას ვხედავ, იგი დაბომბვის დროს ცოცხლად დამარხულიყო. ჩვენი თანაქალაქელი მედდა ქეთევან თურქია აღმოჩნდა. გაჭირვებით მივიყვანე ახლომდებარე ჰოსპიტალში. მაშინვე აღმოუჩინეს პირველადი დახმარება...“ თავად კი ისევ ფრონტის ხაზზეა: „ხოხვით მივიწევ წინ, ირგვლივ დაჭრილთა გოდება, მუდარა ისმოდა, – სესტრა, პომაგიტე – რომელს დავხმარებოდი, არ ვიცოდი, ძალიან გამიჭირდა. დაჭრილების მომსახურებას ვერ ავუდიოდი ... მეც დავიჭერი მკლავში, მაგრამ ბრძოლის ველი ვერ მივატოვე. ქერჩი იწვოდა. გერმანელებმა ალყა შემოარტყეს. სარდლობამ ბრძანება გასცა, პირველ რიგში დაჭრილები გადაგვეყვანა.“ 1942 წლის 29 მაისს მტერმა ქერჩი დაიკავა.[2]

1943 წლის დასაწყისიდან სულიკო თავდიშვილი უკრაინაშია. მსახურობდა მე-5 საავიაციო არმიაში სანიტარულ თვითმფრინავზე. სულიკომ ბრძოლით განვლო უკრაინა, პოლონე-

---

[1] ს. კაკაურიძე, საგ. სტ. გაზ. „აჭარა“ 1995 წლის 11 აპრილი.

[2] გაზ. „ქობულეთელი,“ 1995 წლის 5 მაისი.

თი, კარპატები, ბუდაპეშტი, ჩეხოსლოვაკია, ქალაქი ბრნო. ბერლინამდე ვერ მიაღწია, ვინაიდან 1945 წლის 2 მაისს დაიჭრა, მკურნალობდა ვენაში, სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც გაუკეთეს მძიმე ოპერაცია. ოპერაციამ 6 საათს გასტანა.

ომის დამთავრების შემდეგ ომის ინვალიდი სულიკო თავადიშვილი ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ ქობულეთს, შექმნა ოჯახი და კვლავ ჩადგა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

ფაშისტურ გერმანიის წინააღმდეგ ომში მამაცობისა და გამბედაობის მაგალითი გამოიჩინა **ოლიფანტე თევზაძემ,** იგი სამხედრო სამსახურში ბათუმის სამხედრო კომისარიატმა გაიწვია 1942 წელს, ჩაირიცხა 414-ე მსროლელი ანაპის დივიზიის 1371-ე მსროლელი პოლკის 120 მმ ნაღმტყორცნის მემიზნედ. მალე უმცროსი სერჟანტის წოდებაც მიიღო. ფრონტის წინა ხაზზეა 1942 წლის მეორე ნახევრიდან.

საბრძოლო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობისათვის ოლიფანტე თევზაძემ პირველად მედალი – „მამაცობისათვის" მიიღო.

1944 წლის 8 მაისს ქ. სევასტოპოლის მისადგომებთან ბრძოლებში ყოფნის დროს მემიზნე ო. თევზაძემ მეათე საბჭოთა მეურნეობის მიდამოებში თავისი ნაღმტყორცნის ცეცხლით მტრის სამი დატვირთული ავტომანქანა მწყობრიდან გამოიყვანა, გაანადგურა მოწინააღმდეგის 4 ტყვიამფრქვევის წერტი და მოსპო ცოცხალი ძალა – ოცამდე ჰიტლერელი.

სერჟანტი ი. თევზაძე ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტებთან ომის დაწყებამდე ქობულეთის პოლიკლინიკაში მუშაობდა აბაშის რაიონის სოფელ გაუწყნარელი გოგონა **ქეთევან თურქია.** მან 1940 წელს დაამთავრა ქ. ფოთის სამედიცინო ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ქობულეთის პოლიკლინიკაში ექთნის თანამდებობაზე. ომის დაწყებისთანავე

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 690158, საქ. 2700, ფურც. 149.

სამხედრო რიგებში გაიწვიეს. „მკურნალის ხელი ფრონტის მებრძოლსაც სჭირდება“, – განაცხადა მან. და ფრონტისაკენ გასწია.

რთული იყო ფრონტული ცხოვრება, მით უმეტეს, ქალისათვის. ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე გაუტარებია ქეთევანს დაჭრილების მოვლაში. ომის დროს დონორიც იყო იგი და საკუთარ სისხლსაც იღებდა დაჭრილთა გადასარჩენად.

ქ. თურქია ყირიმის ბრძოლის აქტიური მონაწილეა. ქერჩში, 47-ე არმიის საველე ჰოსპიტალში მუშაობდა უფროსი საოპერაციო დის თანამდებობაზე ლეიტენანტის სამხედრო წოდებით. ტყვიისა და ბომბების განუწყვეტელ წვიმაში, ალმოდებული შენობების შუქზე მონაწილეობდა ბრძოლის ველზე დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა სასწრაფო ოპერაციებში.

„ძნელია გადმოგცეთ ის გასაჭირი,–იგონებს ქეთევანი,– რაც გადამხდა აზოვის ზღვის კატარღით გადმოლახვისას. ზღვა სისხლით იყო შეღებილი ...

საბჭოთა ჯარები წინ მიიწევდნენ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ალტდამის აღებისას, საოპერაციოდ გამზადებულ ჯარისკაცს წინ მივუძღოდი, გერმანელებმა ბომბები დაგვიშინეს. მეორე დღეს დაჭრილი მიწაში ჩაფლული მიპოვეს და ჰოსპიტალში გამგზავნეს“.[1]

ქეთევანი ერთხანს ჰოსპიტალში მკურნალობდა, მერე შვებულება მისცეს. ერთი თვის შემდეგ კვლავ ფრონტს დაუბრუნდა. განსაკუთრებული მღელვარებით იგონებს ქეთევან ზონდერჰაუზენის ბრძოლებს. რაიხსტაგის კედელზე ჩემს წარწერასაც შეხვდებითო, – ამბობს ომგადახდილი: „იდიდოს მშვიდობამ მარად და მარად! ძირს ომის გამჩაღებლები!“ – ასე წაუწერია რაიხსტაგის კედელზე ქეთევანს.[2]

ქეთევან თურქიას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში აქტიური მონაწილეობა აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოე-

---

[1] გაზ. „ლენინელი“ 1985 წლის 26 თებერვალი.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა“ 1979 წლის 8 მარტი.

ბით: სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით „კავკასიის დაცვისა“ და „ბერლინის აღებისათვის.“ ომის დროს მიღებული აქვს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის მადლობები: ვარშავის, ალტდამის, შტუდგარტის, მდინარე ოდერზე მტრის დაცვის ხაზის გარღვევის და ბერლინის აღებისათვის.

ომის დამთავრების შემდეგ ქეთევან თურქიამ გერმანიაში 1947 წლის გაზაფხულამდე დაჰყო. მსახურობდა მაგდებურგში ჰოსპიტალში. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ ქობულეთს დაუბრუნდა და ისევ პოლიკლინიკაში განაგრძო მუშაობა.

ბათუმის სამხედრო კომისარიატმა **ვალერიან იმნაიშვილი** სამხედრო რიგებში გაიწვია 1942 წლის 15 აპრილიდან. იგი თავიდანვე ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტზე, 414-ე მსროლელი დივიზიის არტილერიის მეთაურის ოცეულის რადიოსადგურის უფროსი იყო.

1944 წლის აპრილში ქერჩის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სერჟანტი ი. იმნაიშვილი მუშაობდა რადიოსადგურის უფროსად და ენერგიულად უზრუნველყოფდა უწყვეტ რადიოკავშირს საარტილერიო ნაწილებთან და მეორე გვარდიულ წითელდროშოვან მსროლელ კორპუსთან, არა ერთხელ პირადად უმორიგია რადიოსადგურთან ცვლის გარეშე.

414-ე მსროლელ ანაპის დივიზიის არტილერიის მეთაურის 1944 წლის 23 აპრილის ბრძანებით, ვ. იმნაიშვილი დაჯილდოებული იქნა მედლით – „საბრძოლო დამსახურებისათვის“.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში ბათუმელმა **ალექსანდრე იმნაძემ** მტერთან ბრძოლაში გამოიჩინა მამაცობა და გამბედაობა. მონაწილეობდა ქერჩის ნახევარკუნძულზე დესანტის გადასხმაში; როგორც კატარღის მეთაურმა, საბრძოლო დავალების შესასრულებლად მტკიცედ დარაზმა კატარღის პირადი შემადგენლობა. ქარიშხლიანი ამინდის მიუ-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 6564, ფურც. 33.

ხედავად, მედესანტეთა პირველი ნაკადის გადასხმისას ზემდეგმა ა. იმნაძემ სანიმუშოდ შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა, გადასხა რა თავისი დესანტი, შეუდგა კატარღის განტვირთვას, რითაც უზრუნველყო მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო ცეცხლის პირობებში დესანტის გადასხმის შესახებ საბრძოლო ბრძანების წარმატებით შესრულება. შემდგომ დღეებში მისი კატარღის პირადი შემადგენლობა ქარიშხლის მიუხედავად აგრძელებდა საბრძოლო დავალების შესრულებას.

დესანტის გადასხმის თაობაზე სარდლობის საბრძოლო დავალების სანიმუშო შესრულებისათვის, მე-18 არმიის სარდლობის 1943 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით ა. იმნაძე დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ბათუმელი ექიმი გიორგი იმნაძე ბათუმის საქალაქო სამხედრო კომისარიატმა არმიის რიგებში გაიწვია 1943 წლის მარტს მესამე რანგის სამხედრო ექიმად ჩაირიცხა 347-ე მსროლელ დივიზიის 1179-ე მსროლელ პოლკში. გ. იმნაძე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 1944 წლის 15 აპრილიდან. 1179-ე მსროლელ პოლკის საბრძოლო ოპერაციების პერიოდში 1944 წლის 30 ივლისიდან 1945 წლის მაისამდე ექიმი იმნაძემ პირველ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა 730 დაჭრილ მეომარსა და ოფიცერს და დროულად გაგზავნა ისინი სამედიცინო სანიტარულ ბატალიონში. დაჭრილებს რთულ საბრძოლო ვითარებაში მოწინააღმდეგის არტილერიისა და ნაღმტყორცნების ცეცხლის ქვეშ უხვევდა ჭრილობებს. პოლკის გადანაცვლებისას იგი საბრძოლო რიგებთან ერთად წინ მიიწევდა და აუცილებელ სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილებს და პირადად ხელმძღვანელობდა ევაკუაციას. ძირითადი სამუშაოს გარდა ამისა, როგორც სტომოტოლოგი, დახმარებას უწევდა დაჭრილებს კბილის მკურნალობის მხვრივაც.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 251, ფურც. 22.

ექიმი გ. იმნაძე მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ომის ფრონტებზე ახმარდა დაჭრილებსა და ავადმყოფებისათვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და დროულ ევაკუაციას. ნახულობდა დროს იმისათვის, რომ მოწინავე ხაზზე მებრძოლებთან—სანგრებში და მიწურებში მისულიყო. იქ იგი მეომრებთან ატარებდა საუბრებს მოყინვის პროფილაქტიკის, გაცივების, კუჭნაწლავის და ინფექციური დაავადებების შესახებ. გ. იმნაძე პირადად წინა ხაზზე ატარებდა პროფილაქტიკურ აცრებს, გულისხმიერად ეპყრობოდა მეომრებს და ოფიცრებს.

სამხედრო სარდლობამ ღირსეულად დააფასა ექიმ გ. იმნაძის ომის ფრონტზე გაბედული და პროფესიული საქმიანობა, 51-ე არმიის 1945 წლის 22 მაისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის დაწყების პირველი დღიდანვე ომის ფრონტზეა ბათუმელი **რევაზ იმნაძე**. იგი სამხედრო რიგებში მსახურობდა 1939 წლიდან მედსამსახურის ლეიტენანტის ჩინით. ომი რომ დაიწყო იგი ჯერ ლენინგრადის დაცვის ბრძოლებში ღებულობდა მონაწილეობას.

ომის ფრონტებზე რ. იმნაძეს არა ერთხელ გამოუვლენია მამაცობა და თავგანწირვა დაჭრილ მებრძოლებსა და ოფიცრებისათვის დახმარების აღმოჩენის დროს.

რ. იმნაძეს კარგად ახასიათებს შემთხვევა, რომელიც 1944 წლის 15 აპრილს სოფ. უვაროვის მიდამოებში ფსკოვის მახლობლად მოხდა. სათვალთვალო პუნქტზე ბრიგადის მეთაურისგან გაგზავნილი რ. იმნაძე მტრის ქვეითი ჯარის საბრძოლო განლაგებაში აღმოჩნდა და ტყვიამფრქვევისა და ნაღტყორცნების ცეცხლში, სიცოცხლისათვის საფრთხის ქვეშ დახმარება აღმოუჩინა რამდენიმე ათეულ დაჭრილს და ორგანიზაცია უყო მათ ევაკუირებას.

კარელიის ყელზე ბრძოლების პერიოდში რ. იმნაძემ უნა-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 687572, საქ. 2740, ფურც. 62.

რიანად მოაწყო დაჭრილების ევაკუაცია.

მედიცინის სამსახურის ლეიტენანტი რევაზ იმნაძე ომის ფრონტებზე გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის დაჯილდოვებული იქნა მედლით ლენინგრადის დაცვისათვის და წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა ქობულეთის რაიონის სოფ კოხის მკვიდრმა **მიხეილ ინაიშვილმა**. იგი საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას 1941 წლის 6 ივლისიდან 1944 წლის 10 აგვისტომდე ბელორუსიის ფრონტზე, 1944 წლის დეკემბრიდან 1945 წლის 31 მარტანდე უკრაინის ფრონტზე.

1945 წლის 15 თებერვალს 22-ე მსროლელი კორპუსის 47-ე ნაღმტყორცნების ცალკე ბატალიონის სერჟანტმა მ. ინაიშვილმა 619 –ე კვარტალში იმ სარდაფის დაწვის დავალება მიიღო, სადაც გერმანელები გამაგრებული იყვნენ. მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ იგი მიხოხავდა შენობასთან და ცეცხლი სარდაფის ფანჯარაში ხელყუმბარა გადაისროლა, რის შედეგადაც მტერი ადგილზე იქნა განადგურებული.

22-ე მსროლელი კორპუსის 1945 წლის 31 მარტის ბრძანებით სერჟანტი მიხეილ ინაიშვილი დაჯილდოვდა დიდების მე-3 ხარისხის ორდენით.[2]

ფაშისტური გერმანიის მიერ წამოწყებულ ომში მამაცურად იბრძოდა ქობულეთელი ქალიშვილი **ჟუჟუნა ინაიშვილი**. 1944 წლის 25 მარტს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქ ბერისლავიდან 90 კილომეტრის დაშორებით, აქ ერთ-ერთ შემაღლებულ გორაკზე, განლაგებული იყო საჰაერო დაზვერვის მეთვალყურეობისა და შეტყობინების განცალკევებული ათასეულის საგუშაგო, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მტრის თვითმფრინავების გამოჩენის

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ პადოლსკი) ფონ. 33, ნა.690366, საქ. 1366, ფურც. 85.

[2] რუსეთი თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, ანაწ. 690155, საქ. 6156, ფურც. 306.

შემოხვევაში მათი ტიპის, ფრენის სიმაღლისა და მიმართულების დადგენისა და შესაბამისი ცნობების დაუყონებლივ საარტილერიო ბატარეებზე გადაცემისათვის, საგუშაგო მხოლოდ ქალიშვილებით იყო დაკომპლექტებული.

იმ დროს, როცა საგუშაგოზე მორიგეობა ცვლა მიმდინარეობდა, შენიშნეს, რომ საგუშაგოს გერმანელები ალყაში აქცევდნენ, მამაცმა ქალიშვილებმა საბრძოლო პოზიცია დაიკავეს, მებრძოლებს უკუნა ინაიშვილმა გამოეყო და ტელეფონთან მიირბინა, მაგრამ იგი არ მუშაობდა, საზრიანმა მებრძოლმა ახლა რადიოგადამცემით დახმარებისათვის შტაბს მიმართა. „გავიგეთ, გამაგრდით, დახმარება დაუყონებლივ იქნება“ – გაისმა შტაბიდან ღია ტექსტით გამოგზავნილი პასუხი.

საგუშაგოდან მცირერიცხოვანი მებრძოლი ქალიშვილები ბრძოლით იგერიებდნენ ჰიტლერელთა ოცეულის შემოტევას, მალე შტაბიდან გამოგზავნილმა ასეულმა მოუსწრო და ყველა გერმანელი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, თუმცა მაშველთა მოსვლამდე მამაც გუშაგებს მტრის მთელი ოცეულის ნახევარი ჰყავდათ მწყობრიდან გამოყვანილი.

ამ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის უკუნა ინაიშვილი წითელი ვარსკვლავის ორდენით იქნა დაჯილდოებული.[1]

გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში ფრონტებზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულების მაგალითები, გმირობა და მამაცობა გამოიჩინა ბათუმელმა **ვლადიმერ კალანდარიშვილმა,** იგი 35-ე ავიაგამანადგურებელი პოლკის კავშირგაბმულობათა უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა კაპიტანის ჩინით.

ვ. კალანდარიშვილი 35-ე ავიაგამანადგურებელ პოლკში, ომის დაწყებიდფანვე შესანიშნავად მოაწყო კავშირი და სრულ წესრიგში მოიყვანა დანადგარების „რედუტისა“ და „პეგმატიტის“ დამიზნების საშუალებები. პირადი ინიციატივით

[1] ვ. ლომაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96-97.

მიაღწია თვითმფრინავებთან ორმაგი რადიოკავშირის მანძილებისა და „რედ'ტითა" და „პეგმატიტით" მტრის თვითმფრინავების აღმოჩენის სიშორის გაზრდას. ფრონტზე მომზადდა მეკავშირეთა ასეული და დანადგარების პირადი შემადგენლობა საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, რის შედეგადაც ზემდგომი მეთაურის შემოწმებით მეკავშირეთა ათეული შეფასდა კარგზე. დანადგართა რადიოკავშირის შეუფერხებელი, უტყუარი მუშაობის წყალობით, დაკავებულ თანამდებობაზე მისი მუშაობის პერიოდში (1941-1944წ), პოლკის სამეთაურო პუნქტიდან თაყისი გამანადგურებლის მტრის თვითმფრინავებზე გაყვანისას პოლკმა ჩამოაგდო მიწინაარმდეგის 17 და დაზიანა 2 იუ-8 და ხე-111 ტიპის თვითმფრინავი.

მიუხედავად იმისა, რომ ი-153, ლაგ-3, ხარინი პ-2, „კატიხაუკი" და „სპიდფაირი-9" ტიპის თვითმფრინავებზე ხშირად იცვლებოდა მატერიალური ნაწილები, კაპიტანმა ვ. კალანდარიშვილმა შესანიშნავად მოამზადა რადიოკავშირის ექსპლოატაციის მცოდნე მფრინაველები, რომელთა ძალისხმევით რადიოკავშირი შეუფერხებლად მუშაობდა. ვ. კალანდარიშვილმა ომის ფრონტზე დიდი მუშაობა გაწია პოლკის სათადარიგო სამეთაურო პუნქტების რადიო და სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფისათვის.

35-ე ავიაგამანადგურებელი პოლკის კავშირგაბმულობის მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის, ფრონტებზე გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და ღირსშესანიშნავი დამსახურებისათვის კაპიტანი ვ. კალანდარიშვილი სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ბათუმის საზღვაო სასწავლებლის გემთწამყვანი განყოფილება დაამთავრა და გემის შტურმანის სპეციალობა მიი-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686046, საქ. 610. ფურც. 3.

ღო ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში დაბადებულმა გოგონამ ნინო კალანდაძემ, მასთან ერთად ეს სასწავლებელი დააამთავრა იულია ფაილოძემ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, **ნინო კალანდაძე** და **იულია ფაილოძე** შორეული აღმოსავლეთის სახომალდო ფლოტში ჩაირიცხნენ. გერმანელებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი რომ დაიწყეს ბათუმელი კურსდამთავრებულები შორეულ ნაოსნობაში იყვნენ.

„22 ივნისს ზღვაში გავიგე ომის დაწყების ამბავი, 28 ივნისს უკვე ამერიკაში ვიყავი, სევდამ ისე შემიპყრო რომ ქალაქში გავლა აღარ მინდოდა, სულ რადიოს ვუსმენდი, რომ გამეგო, რა ამბები ხდებოდა ფრინტებზე",–წერდა ნინო კალანდაძე მშობლებს.

1942 წელს ბათუმელი იულია ფაილოძე და ნინო კალანდაძე ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკაში.

– ეს იყო უჩვეულო შეხვედრა, – იგონებდა იულია, – ჩვენ, ნინოს და მე, თვალის დახამხამებაში გარს შემოგვეხვივნენ ამერიკელი ჟურნალისტები, მათ უკვირდათ, რომ გოგონები შტურმანები ვიყავით და კაპიტნის თანაშემწის მოვალეობას ვასრულებდით. მეორე დღეს მოგვიტანეს გაზეთები, სადაც ჩვენი ფოტოები იყო დაბეჭდილი".

1942 წლის 5 დეკემბერს ლამანშის სრუტეში ტანკერს „დონბა", რომელზედაც ნინო კალანდაძე იმყოფებოდა, გერმანელთა წყალქვეშა ნავის ტორპედო მოხვდა და მთელი ეკიპაჟი გემთან ერთად ოკეანეში ჩაიძირა. იულია გემზე წყნარ ოკეანეში იმყოფებოდა, როდესაც აცნობეს გემისა და მისი მეგობრის – ნინო კალანდაძის დაღუპვის ამბავი.[1]

გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის ომი რომ დაიწყო, ბათუმის სამხედრო კომისარიატმა არმიის რიგებში გაიწვია ბათუმის რაიონის სოფ. სარფის მკვიდრი **ხაკი კახიძე** (1941 წლის სექტემბერი).

ხ. კახიძე მძიმედ დაიჭრა 1942 წლის 29 დეკემბერს, მსუბუქად – 1944 წლის 19 ივლისს.

---

[1] ე. ლომაძე, ფრონტული ამბების სამყაროში, ბათ. 2005 გვ. 133-134.

იბრძოდა რა 812-ე მსროლელ პოლკის შემადგენლობაში მსროლელ-მეავტომატედ, შეტევითი ბრძოლის პერიოდში ხაკი კახიძე თავისი გაბედული მოქმედებით არაერთხელ გაუყოლებია მებრძოლები წინ, მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1945 წლის 16 აპრილს ჩვენი ჯარების შეტევის დროს ველზე ჩასაფრდა მტრის მეტყვიამფრქეველე და ხელს უშლიდა ასეულის წინსვლას. ხ. კახიძემ სიცოცხლის საფრთხის ქვეშ, მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ტყვიამფრქეველის წერტთან მიაღწია და ხელყუმბარებით მოსპო იგი, იმავე დროს, გაანადგურა სამი გერმანელი ჯარისკაცი და ერთი დაზგის ტყვიამფრქეველი.

მამაცი და გაბედული ხ. კახიძე 304-ე მსროლელი დივიზიის 1945 წლის 22 მაისის ბრძანებით, დიდების მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.[1]

სამშობლოს განსაცდელის ჟამს, როცა მტერი კავკასიას მოადგა, ბათუმის მე-20 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე მარგარიტა კარანაძე სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა და ფრონტზე მოხალისედ წასვლა ითხოვა. 1942 წლის 10 აპრილს ახალგაწვეულთა სავსე ეშალონი ბათუმიდან გავიდა.

მტერთან პირველი შერკინება მ. კარანაძეს ჯვრის უღელტეხილთან მოუხდა. კავკასიონის მაღალ მთებზე საჰაერო დაცვის მეომრები ფრთხილად იდგნენ ქვემეხებთან. ერთ დღეს ჩრდილოეთიდან მტრის ბომბდამშენები გამოჩნდნენ, საჰაერო მეკობრეებს ნგრევა და სიკვდილი მოჰქონდათ. იმ დღეს მარგარიტა დაჭრილ მეტყვიამფრქეველეს ცვლიდა. როგორც კი ფაშისტები ჩვენი მებრძოლების განლაგებას მიუახლოვდნენ, მეზენიტეებმა გრიგალისებური ცეცხლი გახსნეს. მტრის ერთი ბომბდამშენი კავკასიონის თვალუწვდენელ უფსკრულში ჩაიჩეხა.

მძიმე ბრძოლებით იყო აღსავსე მეომრების ყოველი ფრონ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690306, საწ. 3169, ფურც. 70.

ტ'ული დღე. იგი თავგანწირვით იბრძოდა ამიერკავკასიის, ჩრდილო-კავკასიის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და ბალტიის-პირეთის ფრონტების საჰაერო დაცვის ნაწილებში. მ. კარანაძეს განსაკუთრებით სტალინგრადის მისადგომებთან შეუპოვარი და სისხლისმღერელი ბრძოლები დაამახსოვრდა. მას, სხვა მეომრებისაგან განსხვავებით, ევალებოდა საჭიროების შემთხვევაში როგორც ავტომატის ხელყუმბარების, ასევე ტყვიამფრქვევის გამოყენება, ტელეფონის ხაზის აღდგენა და გამართვა. რაც ყველაზე მთავარია, ზედმიწევნით კარგად უნდა სცოდნოდა ყველა თვითმფრინავის გამოცნობა ჰაერში. დაკვირვებული და გონებაგახსნილი გოგონა ამ რთულ ამოცანას შესანიშნავად ასრულებდა. შეუმჩნეველი არასოდეს რჩებოდა მტრის უხმო თვითმფრინავის მოახლოებაც კი. მის მიერ გადაცემული ცნობების შემდეგ მტრის თვითმფრინავის მხოლოდ შავი კვამლის სვეტი რჩებოდა ჰაერში.[1]

მ. კარანაძე საბრძოლო ცხოვრებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, 1944 წლის 5 დეკემბერს ბატალიონის კომისრის მიერ მარგარიტას დედის სახელზე გამოგზავნილი ბარათი, მასში ვკითხულობთ: "თქვენი ქალიშვილი მარგარიტა იოსების ასული მსახურობს ჩვენს ნაწილში. იგი ჩვენი ნაწილის საუკეთესო, დისციპლინირებული და თავდაჭერილი გოგონაა. მარგარიტა მტკიცედ იცავს სამხედრო ფიცსა და წესდებას...ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს ნაწილის ხელმძღვანელობასა და და თანამებრძოლებს შორის, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით – საჰაერო დაცვის წარჩინებული".[2]

ომის დამთავრების შემდეგ ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მ. კარანაძე მხედრული შემართებით ჩაება მშვიდობიან შრომაში. დაამთავრა მოსკოვის კოოპერატიული ინსტიტუტი. დაჯილდოვდა "საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგე-

---

[1] ა. ზოიძე, საგ. სტ. „ბავშვებიც ჭედნენ ფრონტზე გამარჯვებას" გაზ. „აჭარა" 1995 წლის 21 იენისი.

[2] ა. ზოიძე, პატარა ხელებით გამოჭედილი დიდება, თბ. 1986, გვ. 99.

ლით.

ფაშისტურ გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე ომის დაწყების წინ, ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ლანჩხუთელმა გოგონამ **ტატიანა კვაჭაძემ** მუშაობა დაიჭყო ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ბავშვთა ბაგაში ექთნად.

1942 წლის აპრილში მოხალისედ წავიდა ფრონტზე, სადაც მისი ძმები- მიხეილი, არტემი და ნეერო უკვე გმირულად ებრძოდნენ მომხდურ მტერს. ტატიანა ჩარიცხული იქნა 17312-ე საზენიტო-საარტილერიო ქვედანაყოფში.

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ეწერში დარჩენილი ფრონტელთა მამა ვლადიმერი და დედა აღათი ხარობდნენ შვილების სამკუთხა წერილებით. მეომარი და–ძმები ფრონტიდან წერილებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ტატიანას დადნაფიცი ლიდა სხვა სამხედრო დანაყოფში იმყოფებოდა და აი 1944 წლის ზაფხულში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთ დღეს ტატიანამ ლიდას უთხრა: – ომი, ომია სამშობლო მსხვერპლს მოითხოვს და ვინ იცის, მტრის ტყვია რომელ ჩვენთაგანს დაეწევა, თუ დავიღუპო, გთხოვ ჩემი საფლავი უწარწეროდ არ დატოვო, მე ისეთი ძმები მყავს, ჩემს ცხედარს აუცილებლად სამშობლოში ჩაასვენებენო.

1944 წლის ივნისში, ერთ-ერთი მდინარის გადალახვის დროს ტატიანა მართლაც დაიღუპა. ლიდა ჭყონიამ და ფრონტელმა მეგობრებმა ტატიანა დაასაფლავეს და წარწერაც გაუკეთეს, მაგრამ ძმებმა დანაბარები ვერ შეასრულეს, რადგან სამივე გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.[1]

გერმანელ ოკუპანტებთან ომის ჩრდილო-კავკასიის და ყირიმის საბრძოლო ოპერაციებში მარჯვე და ენერგიული მოქმედებებით თავი გამოიჩინა ბათუმელმა **ვასილ კიკვიძემ**. იგი 1053-ე საარტილერიო პოლკის 1943 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით დაჯილდოებულ იქნა მედლით "საბრძოლო მამაცობისათვის".

---

[1] ე. ლომაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131-132.

1944 წლის მაისში სევასტოპოლისათვის ბრძოლებში ვ. კიკვიძე თავისი გაბედული მოქმედებით საბრძოლო მდგომარეობის ყოველგვარ პირობებში ყველა აუცილებლებით უზრუნველყოფდა დივიზიის პირად შემადგენლობას მოწინააღმდეგის საარტილერიო და ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ, არაერთხელ მიუტანია აუცილებელი მასალები დივიზიონის სამეთაურო პუნქტის მოსაწყობად, მისი პირადი ინიციატივით, მოეწყო საბრძოლო მასალების მოზიდვა, რითაც ხელი შეეწყო დივიზიის წინაშე დაყენებულ საბრძოლო ამოცანის შესრულებას. 1944 წლის 8 მაისს დივიზიონი საბრძოლო პოზიციებს იცვლიდა, რისთვისაც საჭირო იყო საბრძოლო მასალების დაუყონებლივ გატანა, რათა აუცილებლად შესრულებულიყო საბრძოლო ამოცანა. საბრძოლო მასალების განლაგების რაიონში და დივიზიის ზურგში მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ზემდებმა ვ. კიკვიძემ პირადი მონაწილეობით შესძლო საბრძოლო მასალების დაუყონებლივ გატანა, რითაც უზრუნველყო დივიზიის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანის შესრულება.

1053 საარტილერიო პოლკის დივიზიონის ზემდეგი ვასილ კიკვიძე 414-ე მსროლელი ანაპის დივიზიის 1944 წლის 13 ივლისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

მოსკოვის გმირ ქართველ დამცველთა შორის იყო **დავით კიწმარეიშვილი**. იგი 1941 წლის 2 ივლისს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. როგორც საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებული, გაგზავნეს საოფიცრო სკოლაში სტალინგრადის ოლქის ქ. დუბოვკაში. აქ 4 თვის სწავლის შემდეგ, როცა საფრთხე დაემუქრა ქვეყანას, სასწავლებლის კურსანტების შემადგენლობა მის დასაცავად გაგზავნეს.

მოსკოვის ბრძოლების მოჟაისკის უბანზე, სადაც დავით კიწმარეიშვილის თანაკურსელები იბრძოდნენ, 13 საათის გან-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 69015, საქ, 3236, ფურც. 44.

მავლობაში უმკლავდებოდნენ მტრის ჭარბი ძალების 14 შემოტევას. ამ ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის დ. კიწმარეიშვილი დაჯილდოვებული იქნა მედლით „მამაცობისათვის.“

მოსკოვის დაცვის ბრძოლების შემდეგ დ. კიწმარეიშვილი მონაწილეობდა ხარკოვის, ვორენეჟის ბრძოლებში და გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის დაჯილდოვდა სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით, ხოლო მდ. დონზე გადასვლისას მტერთან შეტაკების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის იგი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით. შემდეგ იყო სტალინგრადის უმძიმესი ბრძოლები, სადაც დაეითი სამამული ომის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ბოლოს დ. კიწმარეიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქ. კოტელნიკოვის ბრძოლაში, სადაც კვლავ ამჯერად მეოთხედ დაიჭრა და მამაცი მებრძოლი მწყობრიდან გამოვიდა.

დ. კიწმარეიშვილი 1943 წლის ბოლოს ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი დამობილიზებული იქნა არმიის რიგებიდან და ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას.

ფაშისტურ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში ქობულეთის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო სამსახურში გაიწვია **ილია კოტტუნენკო,** იგი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა ჩრდილოეთ–კავკასიის ფრონტზე 1942 წლის ოქტომბრიდან 1943 წლის აპრილამდე, უკრაინის მესამე ფრონტზე 1943 წლის აპრილიდან, დაიჭრა 1943 წლის აპრილში. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი კვლავ ფრონტის წინა ხაზეა, ამჯერად მე-20 გვარდიული მსროლელი კრივოი როგის წითელდროშოვანი დივიზიის მსროლელი ოცეულის მეთაური.

გვარდიის ლეიტენანტ ილია კოტტუნენკოს ოცეული, გავიდა რა სარკინიგზო პუნქტის ჩრდილო–აღმოსავლეთით ყორღანზე, დაინახა ასეულამდე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი, რომელიც მოყვებოდა გზას რკინიგზის ლიანდაგის გაყოლე-

ბით. მტერი ახლო მანძილზე მოუშვა და გრიგალისებური ცეცხლით შეხვდა. ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ მტერმა ოცდაათზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დატოვა და უკან დაიხია. ოცეულმა მის წინაშე დასმული ამოცანა–მოწინააღმდეგის მაშველი ძალისათვის გზის გადაჭრის შესახებ–წარმატებით შეასრულა. ამის შემდეგ ი. კოვტუნენკოს ოცეულს დაევალა გერმანელები 179-ე სიმაღლიდან განედევნა და დასახლებულ პუნქტ გადანის შემოგარენი გაეწმინდა. ლეიტენანტი კოვტუნენკო სატანკო დესანტით 179-ე სიმაღლეზე სწრაფად აიჭრა და ოცეული მტერთან მისაახლოებლად სწრაფად წაიყვანა. იძლეოდა რა მამაცობისა და გამბედაობის მაგალითს, სამოცზე მეტი გვამი დატოვა მტერმა ბრძოლის ველზე, ოცეულის მეთაურის პირადი მაგალითისა და უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად საბრძოლო ამოცანა შესრულებული იქნა. ამ ბრძოლაში გვარდიის ლეიტენანტმა კოვტუნენკომ პირადად მოკლა ცამმეტი ფაშისტი.

57-ე არმიის 1945 წლის 4 თებერვლის ბრძანებით, ი. კოვტუნენკო დაჯილდოებული იქნა წითელი დროშის ორდენით.[1]

ბათუმის რაიონის სოფელ ფერიაში აღსრდილმა **ვლადიმერ კოპალეიშვილმა** ბრძოლებით გაიარა მეორე მსოფლიო ომის გრძელი გზა ჯერ მონაწილეობდა ფინეთის ომში შემდეგ კი ფაშისტურ გერმანიასთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში.

ვლადიმერ კოპალეიშვილმა 1934 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, 1937 წელს ჯარში გაიწვიეს, სატანკო ნაწილში მოხვდა. დაამთავრა სპეციალური კურსები და კიევის სატანკო ბრიგადაში მექანიკოს-მძღოლად გაგზავნეს, ტ-26 ტანკი ჩააბარეს. წუთითაც არ მოშორებია თავის ტანკს, ასე გაატარა ფინეთის ომი და შემდეგ ბრძოლებით შეივიდა ბერლინშიც.

ფინეთთან ბრძოლაში ვლადიმერ კოპალეიშვილმა ავტო-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ 33, აღწ. 687672, საწ. 1009, ფურც 6.

რიტეტი მოიხვეჭა, ფინეთთან ომი მალე დამთავრდა. ვლადიმერი დემობილიზაციისთვის ემზადებოდა, მაგრამ მალე გერმანიამ ომი დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გამოცდილმა ტანკისტმა, უფროსმა ლეიტენანტმა ვ. კოპალეიშვილმა, ახლა გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ დაიწყო საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება.

კავკასიის დაცვის ბრძოლაში კოპალეიშვილი დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით. 1944 წელს ბელორუსიის მეორე ფრონტზე მან მედალი მამაცობისათვის და მეორე წითელი ვარსკვლავის ორდენი მიიღო.[1]

ბათუმის რაიონის სოფ. მახოს მკვიდრი **შუქრი კორილ-ოღლი** სამხედრო კომისარიატმა ომში 1941 წელს გაიწვია.

შუქრი კორილ-ოღლის საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობის შესახებ 374-ე ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკის მეთაური მისი დაჯილდოების ბრძანებაში წერდა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის და ამ დროს გამოვლენილი მამაცობისა და თავდადებისათვის ვაჯილდოვებთ მედლით „მამაცობისათვის“ წითელარმიელ, მე-4 ბატარეის ქვემეხის ნომერს კორილ-ოღლ შუქრი ოსმანის ძეს, იმისათვის რომ 1943 წლის 13 აგვისტოს სოფელ სორკოვკასთან და 1944 წლის 17 თებერვალს სოფელ ლოგოჩევკასთან ბრძოლებში მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო ცეცხლის მიუხედავად, სწრაფად და შეუსვენებლად ტენიდა ქვემეხს რომელმაც მტრის არაერთი შემოტევა უკუაგდო. ამ დროს განადგურდა ერთი ტანკი და ასეულამდე მტრის ქვეითა ჯარი. 4 მარტს ბრძოლაში კონტუზირებულმა კორილ-ოღლიმ ყურადღება არ მიაქცია მტრის ავიაციის ბომბდაშენას, ქვემეხი არ მიატოვა და პირდაპირი დამიზნებით გააგრძე-

[1] ს. დუმბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

ლა მტრის ქვეითთა ჯარის წინააღმდეგ სროლა".[1]

მდ. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლებში 1944 წლის 10 და 11 მაისს 374-ე საარტილერიო ტანკსაწინააღმდეგო პოლკის უმცროსმა სერჟანტმა კორილ–ოღლიმ მოიგერია მოწინააღმდეგის ქვეითთა თორმეტი კონტრშეტევა, მოსპო მოწინააღმდეგ სამოცამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დააზიანა ერთი ჯავშანტრანსპორტიორი და ორი მანქანა.

57-ე არმიის სარდლის 1944 წლის 31 მაისის ბრძანებით შუქრი კორილ-ოღლი დაჯილდოებული იქნა დიდების მე-3 ხარისხის ორდენით.[2]

გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ ომში მამაცობა და გმირობა გამოიჩინა ქობულეთის რაიონის სოფ. ქობულეთის მკვიდრმა **დავით კოსროშვილმა.**

დ. კოსროშვილი საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდა 1942 წლის 1 აგვისტოდან, 414-ე დივიზიის 1371 მსროლელი პოლკის ჯავშანგამტანთა ათეულის მეთაურად.

ქ. სევასტოპოლის მისადგომებთან ბრძოლებში ხუტორ ბეზიმიანნაიას იერიშის დროს 1944 წლის 7 მაისს მეჯავშანეთა ათეულის მეთაურმა დ. კოსროშვილმა თავის ათეულთან ერთად გაანადგურა 3 ტყვიამფრქვევის წერტი და ათამდე ჰიტრელერი, რის შემდეგ პირველად შეიჭრა მოწინააღმდეგის ტრანშეიაში და ავტომატის ცეცხლით პირადად მოსპო სამი ფაშისტი.

414-ე მსროლელი დივიზიის 1944 წლის 31 მაისის ბრძანებით გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის დ. კოსროშვილი დაჯილდოებული იქნა დიდების მესამე ხარისხის ორდენით.[3]

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33 აღშ. 717037. საქ. 1168., ფურც. 315.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა. (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 5147, ფურც. 122.

[3] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 3105, ფურც. 117.

ველად ბათუმიდან გაწვეულთა შორის იყვნენ ნოე ბესარიონის ძე კოსტავას ორი შვილი – გიგლა და შოთა კოსტავები. ძმებს ბათუმის №2 საშუალო სკოლა ჰქონდათ დამთავრებული.

გიგლა კოსტავას თავიდანვე ზღვა იზიდავდა და სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, მაგრამ იგი ვერ დაამთავრა, რადგან ომი დაიწყო და იგი ჩარიცხეს ბალტიის ზღვის ფლოტში მეზღვაურად. მეზღვაური ჯარისკაცის ფორმა ახალჩაცმული ჰქონდა, რომ მტერმა დაბომბა ბალტიის ფლოტის ის გემი, რომელზედაც გიგლა კოსტავა მსახურობდა, გემი ჩაიძირა მთელ ეკიპაჟთან ერთად, დაიღუპა გიგლაც.

გიგლას ძმა **შოთა კოსტავა** ფრონტზე გაიწვიეს ომის დაწყებისთანავე, როგორც პროფესიით მძღოლს, ახლადგაწვეულ რიგით ჯარისკაცს ავტომანქანა ჩააბარეს. იმ სამხედრო დანაყოფს, სადაც შოთა კოსტავა მსახურობდა, მეტად ძნელი ბრძოლები მოუწია ყირიმის ნახევარკუნძულზე. განსაკუთრებით რთული ბრძოლები ჰქონდათ ქერჩის სრუტესთან, მათ მტრის არაერთი შემოტევა მოიგერიეს. ერთ-ერთი ოპერაციის დროს შოთა კოსტავა დაიჭრა, ცოტა ხნის მკურნალობის შემდეგ, გაბედული მებრძოლი კვლავ ფრონტის მოწინავე ხაზზეა.

შოთა კოსტავამ ყირიმის ბრძოლების შემდეგ მძიმე ბრძოლები გადაიტანა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის, განსაკუთრებით მძიმე დღეები ჰქონდა მას ლენინგრადის მისადგომებთან ქალაქის ბლოკადის დროს, იგი მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის სურსათით მომარაგებაში. ერთ-ერთი ოპერაციის დროს იგი მძიმედ დაიჭრა, ხოლო ადრე დაზიანებული ხელი ისევ გაუმიზეზდა, 1944 წლის ბოლოს იგი სამხედრო რიგებიდან დემობილიზებულ იქნა, როგორც ომის ინვალიდი და როგორც სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მებრძოლი.[1]

---

[1] გაზ. „აჭარა", 2010 წლის 11-14 მაისი.

ომის შემდგომ პერიოდში, თითქმის 49 წელი მუშაობდა მანქანის მძღოლად. ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს. აჭარის მაღალმთიანეთიდან სამშენებლო მასალებს ეზიდებოდა ბათუმში.

ბათუმელი **კონსტანტინე კუცია** არმიის რიგებში მსახურობდა 1935 წლიდან. გერმანიის წინააღმდეგ ომში საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას 1942 წლის 20 აგვისტოდან.

ლეიტენანტი კონსტანტინე კუცია მსახურობდა 673-ე ცალკე მსროლელთა ბატალიონის მესანგრეთა პირველი ასეულის მეთაურის მოადგილედ. საბრძოლო დავალებას წარმატებით ართმევდა თავს, 1942 წლის 1 სექტემბერს მესანგრეთა ბატალიონის მეთაურმა უბრძანა აეფეთქებინა ხიდი მდინარე ბაქსანზე, რომელსაც მოწინააღმდეგე იცავდა. ლეიტენანტმა კუციამ თან წაიყვანა მესანგრეთა ჯგუფი და შეუდგა მოსამზადებელ სამუშაოებს. ხიდის დაზვერვისას მოწინააღმდეგემ ინტენსიური ცეცხლი გახსნა იარაღის ყველა სახეობიდან. ხიდის დაზვერვისას და მუხტის მომზადების შემდეგ 1941 წლის 1 სექტემბერს ცოცვით წაიღეს ფეთქებადი ნივთიერებით სავსე ყუთი. დანაღმეს რა ხიდი, სერჟანტ სულაძესთან ერთად ცეცხლი მოუკიდეს ცეცხლგამჩენ მილს და გამოცოცდნენ დასავლეთით. ზუსტად 24.00 საათზე ხიდის ორი მალი მთლიანად დაინგრა.

ლეიტენანტი კ. კუცია საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებული იქნა მედლით „მამაცობისათვის“.[1]

სამამულო ომის დაწყებისთანავე ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგა ქობულეთელი ვაჟკაცი **ასლან ლაზიშვილი**. იგი ფრონტის წინა ხაზზეა 1941 წლის 27 ოქტომბრიდან.

ა. ლაზიშვილმა 237-ე სატანკო ბრიგადის შემადგენლობაში გაიარა ომის მთელი სიმძიმე. იგი სატანკო ბრიგადაში

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 1170, აღწ. 2, საქ. 16, ფურც 2.

ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლად მსახურობდა, ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა მანქანა, რითაც მუდამ უზრუნველყოფდა მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ სატანკო ბრიგადის მზვერავთა ჯგუფის სწრაფ გადასროლას საჭირო მიმართულებით და ხელს უწყობდა მზვერავთა წინაშე დასმული ამოცანების დროულად შესრულებას. ა. ლაზიშვილმა 1942 წლის 22 ივლისს წარმატებით განახორციელა მეტად საპასუხისმგებლო მარში პოჩანის რაიონში, მან დიდი რისკის მიუხედავად, ბრძოლაში დაზიანებული მანქანა უსაფრთხო ადგილას გაიყვანა და სწრაფად შეაკეთა, რითაც უზრუნველყო მზვერავებზე მიცემული საბრძოლო დავალების დროზე შესრულება. ა. ლაზიშვილი ამ საბრძოლო დავალების სანიმუშო შესრულებისა და ამ დროს გამოჩენილ მამაცობასა და გულადობისათვის 237-ე სატანკო ბრიგადის მეთაურის ბრძანებით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

1943 წლის ნოემბერში ჩვენი ჯარების შეტევით ბრძოლებში ა. ლაზიშვილმა მტრის გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ თავისი ჯავშანტრანსპორტიორით უზრუნველყო საბრძოლო მასალების დროულად მიზიდვა ფრონტის მოწინავე პოზიციაზე, რითაც ხელი შეუწყო შემტევი სატანკო ბრიგადის ბრძოლებს წარმატებით განეხორციელებინათ საბრძოლო დავალება. აღნიშნული დავალების შესრულებისათვის ა. ლაზიშვილი დააჯილდოვეს მედლით „მამაცობისათვის.“

1944 წლის 16, 20 და 21 სექტემბერს ნაღმტყორცნებისა და ტყვიამფრქვევების მასირებულ ცეცხლქვეშ ა. ლაზიშვილმა, თავისი ჯავშანტრანსპორტიორით მზვერავები ფრონტის წინა ხაზე, საჭირო მოქმედების რაიონში გადაიყვანა, თავად კი საბრძოლო პოზიცია შეარჩია და მასირებული ცეცხლით მხარს უჭერდა მზვერავების მოქმედებას. 237-ე სატანკო ბრიგადის მეთაურის 1944 წლის 10 ოქტომბრის №02/დ ბრძანებით

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690306, საქ. 50, ფურც. 309.

სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ა. ლაზიშვილი დაჯილდოვდა მედლით „მამაცობისათვის.“[1]

საბჭოთა ქვეყნის ომის მატიანეში ოქროს ასოებით არის ნაწერილი კავკასიის გმირული დაცვა, რომელშიც დიდია საქართველოს შვილების დამსახურება.

გერმანიის მთავარსარდლობა ქალაქ როსტოვის აღებისა და მდინარე დონის ქვემო წელის გადალახვის შემდეგ შეუდგა კავკასიის დაპყრობის გეგმის –“ედელვაისის“ განხორციელებას, რისთვისაც სამი მიმართულებით უნდა განეხორციელებინა შეტევა. ამასთან დაკავშირებით ფრონტის ამ უბანზე გადმოისროლა 49-ე სამთო მსროლელი კორპუსი, რომელშიც შედიოდა მთებში ბრძოლისათვის კარგად გაწვრთნილი ოთხი ალპური დივიზია.

1942 წლის ივლისის ბოლოს კავკასიონის მთავარ ქედზე გერმანელების გამოჩენა ჩვენი 46-ე არმიის და მასში შემავალი მე-3 კორპუსის სარდლობისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამასობაში აგვისტოს მეორე ნახევრისათვის ფაშისტებმა უთანასწორო ბრძოლებში დიდი მსხვერპლის ფასად მოასწრეს, ქლუხორის, მარუხის და სხვა მთაგრეხილების დაპყრობა. დაიკავეს სოფელი ფსხუ, 25 კილომეტრით მიუახლოვდნენ გუდაუთას, 30-40 კილომეტრით სოხუმს.

1942 წლის 9 სექტემბერს მთელ ამიერკავკასიაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. ამიერკავკასიაში მცხოვრები ყველა ხალხი ერთიანი ფრონტით დადგა საშიში, მუხანათი მტრისგან სამშობლოს დასაცავად.

კავკასიის მთავარი უღელტეხილებიდან განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა მთაგრეხილ მარუხის რაიონში, სადაც გამძლეობის მამაცობისა და გმირობის არა ერთი მაგალითი გვიჩვენეს ქართველმა მეომრებმა, რომელთა შორის იყო ბათუმელი **ეგარსლან ლომაძე**. იგი დაიბადა 1922 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობანში. 1942 წელს დაამ-

---

1 რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690306, საქ. 1212, ფურც. 263.

ტაცრა ქ. ბათუმის რკინიგზის №21 საშუალო სკოლა და იმავე წლის 26 ნოემბერს გაიწვიეს ქვეყნის დამცველთა რიგებში.

1942 წლის მარტში ე. ლომაძე გაგზავნილ იქნა ბაქოს მე-სამე ფეხოსანთა სამხედრო სასწავლებელში, 6 თვიან სამეთა-ურო კურსებზე, მაგრამ კავკასიის ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო არ დააცალეს მისი დამთავრება, და იმა-ვე წლის ივნისის დასაწყისში გაგზავნილი იქნა მე-11 ცალკე სამთო მსროლელ რაზმში, რომელიც ბაქოს, თბილისის და სხვა ქალაქების საოფიცრო სასწავლებლის კურსანტებისაგან იყო დაკომპლექტებული. სულ ამ პერიოდში შეიქმნა 12 ცალ-კე სამთო მსროლელი რაზმი, რომელშიც ფაქტიურად ჩა-რიცხული იყო ოფიცრის დონეზე უკვე მომზადებული, ფიზი-კურად შერჩეული ჭაბუკები. მთებში ბრძოლისათვის 18-დღია-ნი მომზადების შემდეგ მე-11 და მე-12 რაზმები ეშელონით ჩა-იყვანეს ქ. სოხუმში (კელასურში), საიდანაც ფეხით გაუყვნენ მარუხისა და ნაურის მთაგრეხილებისაკენ, სადაც მიმდინარე-ობდა მძიმე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები.

მე-11 რაზმმა, რომელშიც ეგარსლან ლომაძე იმყოფებოდა, მარუხის რაიონის ნაურის უღელტეხილზე დაიკავა საბრძო-ლო პოზიცია და გზა გადაუღობა დროებითი წარმატებით გა-თავხედებულ მტერს, მკაცრი სტიქიის პირობებში უზრუნველ-ყოფდა მთაგრეხილის საიმედი დაცვას.[1]

როდესაც გერმანელები მარუხის მთაგრეხილზე ბრძოლებ-ში დიდ წინააღმდეგობებს წააწყდნენ, გადაწყვიტეს სხვა მი-მართულებით გაეძლიერებინათ ბრძოლები, ამიტომაც მტერი მონდომებით ცდილობდა ნაურის მთაგრეხილზე უპირატესო-ბის მიღებას, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია.

ერთ დღეს ალიონზე, როდესაც გადასასვლელი იყო ნის-ლში, მტერმა ისარგებლა ცუდი ხილვადობით, შეუმჩნეველად მიეპარა საბრძოლო საგუშაგო რაზმის პოზიციას, სადაც ე. ლომაძე იმყოფებოდა. მტერი შეეცადა მოულოდნელობის ფაქ-ტორით ესარგებლა, გამოეწვია პანიკა და ხელთ ეგდო უღელ-

[1] გაზ. „აჭარა", 1997 წლის 19 სექტემბერი.

ტეხილი, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. პირველი გასროლის ხმაზე ფეხზე დადგა მთელი რაზმი, დროულად ჩაერთო ბრძოლაში, "ედელვაისელებმა" თავის თავზე იწვნიეს ჩვენი მებრძოლების ერთიანობის ძალა და დიდი დანაკლისით უკან დაიხიეს.

მტერი მაინც არ ისვენებდა და მცირერიცხოვან მზვერავ მეთხილამურეთა ჯგუფით ცდილობდა ნაურის მთაგრეხილის დამცველთა შეიწროებას და მის დაპყრობას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თავდაცვაში მყოფმა ქვედანაყოფებმა, რომელთა შორის იყო ეგარსლან ლომაძის ათეული. მთაგრეხილზე ბრძოლა ხანმოკლე აღმოჩნდა. მტერმა გაქცევით თავს უშველა, მაგრამ დამცველთა ათეულში დანაკლისიც იყო. ამ ბრძოლაში დაიღუპა მებრძოლი ანდრეევი, დაიჭრნენ უფროსი ლეიტენანტი ხათრიძე, მებრძოლები იაკობაშვილი, ქოიავა და სხვები.

ნაურის გადასასვლელზე მოქმედი მე-11 სამთო მსროლელი რაზმი, რომელშიც მეავტომატეთა ასეულის ერთი ათეულის მეთაური იყო ე. ლომაძე, თავდაპირველად მოწყვეტილი აღმოჩნდა 46-ე არმიის მე-3 კორპუსის შტაბს, რომელიც სოხუმში იყო დისლოცირებული, მებრძოლები 12 დღის განმავლობაში სურსათის უქონლობის გამო შიმშილობდნენ, მათ ოდნავი მოძრაობაც კი არ შეეძლოთ, ეცემოდნენ თოვლში. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, ქართველ მებრძოლებმა ღირსეულად დაიცვეს კავკასიონის მთაგრეხილები და მტერს საქართველოში შემოსვლის საშუალება არ მისცეს.

ბუნების უმკაცრეს პირობებში ჩვენმა საჯარისო შენაერთებმა ჯერ მოგერიებით ბრძოლებში სისხლისგან დაცალეს უღელტეხილზე შემოჭრილი მტრის მსხვილი დაჯგუფებები, შემდეგ მძლავრი დარტყმებით გააფთრებულ ბრძოლაში დაიბრუნეს დაპყრობილი მთაგრეხილები, რითაც საბოლოოდ ჩაშალეს გერმანელ ფაშისტთა მთავარსარდლობის კავკასიონის დაპყრობის "ედელვაისის" გეგმა.

ამ საბრძოლო წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა 46-ე არმიის შემადგენლობაში მოქმედი მე-11 სამთო მსრო-

ლელმა რაზმმა, რომლის რიგებში იბრძოდა ბათუმელი ეგარსლან ლომაძე.

ომის დამთავრების შემდეგ 1947 წლის დასაწყისში ომგადახდილი ე. ლომაძე დემობილიზაციით დაუბრუნდა მშვიდობიან სამოქალაქო ცხოვრებას. მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში, 1953 წელს დაამთავრა ვაჭრობის საკავშირო ინსტიტუტი–მრავალი წლის განმავლობაში აჭარის ვაჭრობის სამინისტროს აპარატში იმუშავა. 1973 წელს დააწინაურეს საქართველოს მთავარი სახელმწიფო ინსპექციის საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორად აჭარაში. 1974-1984 წლებში იყო ბათუმის სასურსათო ვაჭრობის დირექტორი.

დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ ე. ლომაძეს ჩვეული აქტიური საქმიანობა არ შეუწყვეტია, მუშაობდა აჭარის ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ფრონტული შემართებით თანადგომას არ აკლებდა ომის თანამებრძოლებს, უჭრიდა კალამი, ბევრს წერდა მათ საქმიანობაზე. ბოლო დროს კი მათ საგმირო საქმიანობას ნიჭიერად დაწერილი წიგნიც კი უძღვნა, რამაც კიდევ უფრა აღამაღლა მისი აეტორიტეტი და სიყვარული.

ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთანავე ბათუმის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო სამსახურში გაიწვია **ვახტანგ ლომთათიძე**. იგი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას ღებულობდა 1944 წლის ნოემბრიდან.

მსახურობდა რა 769-ე სამთო-საარტილერიო კარპატების წითელდროშოვანი პოლკის დივიზიონის საბრძოლო კვების ოცეულის მეთაურად, 1944 წლის 13-დან 28 დეკემბრამდე ქ. კოშიცას სამხრეთ-დასავლეთით სოფ. ბაჩკოვის რაიონში გაჩაღებულ ბრძოლაში, მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო-სანაღმტყორცნო ცეცხლის მიუხედავად, დღე-ღამის ყველა დროში ძლევდა მთების ძნელადგასავლელ გზებს და დროულად უზრუნველყოფდა საბრძოლო მასალებით დივიზიონის

საცეცხლე პოზიციებს.

უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნის პერიოდში — 1945 წლის 18 იანვრიდან 10 თებერვლამდე საბრძოლო წყების ხშირ შეცვლისა და საბრძოლო გადასვლების მიუხედავად, მთის ძნელად გადასასვლელ გზებზე საპალნეებით მიჰქონდათ საბრძოლო მასალები ახალ საბრძოლო პოზიციებზე, რითაც შეუწყვეტელი ცეცხლის საშუალებას აძლევდა მსროლელ ქვედანაყოფებს.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლების ფრონტზე საბრძოლო დავალების სამაგალითო შესრულებისათვის 242-ე სამთო-მსროლელი წითელდროშოვან დივიზიის 1945 წლის 27 თებერვლის ბრძანებით ვ. ლომთათიძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტურ გერმანიასთან ომის პერიოდში ბათუმელი ტიმოთე მაცაბერიძე 414-ე მსროლელი ანაპის წითელდროშოვანი დივიზიის 479-ე საველე პურის ფურნის საცხობში მსახურობდა, საბრძოლო ბრძოლებში მონაწილეობდა 1942 წლის ნოემბრიდან ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე.

ტ. მაცაბერიძე დაკისრებულ საქმეს ასრულებდა კეთილსინდისიერად და თავდადებით საველე ფურნეში მუშაობის პერიოდში ქერჩის ნახევარკუნძულზე და შემდგომ შეტევით ოპერაციებში გამოიჩინა თავდადება. საბრძოლო მდგომარეობის არტილერიის ხშირი სროლისა და ჰაერიდან დაბომბვის მიუხედავად ტ. მაცაბერიძე არ ტოვებდა თავის პოსტს, ცდილობდა შეუფერხებლად მოემარაგებინა დივიზიის ნაწილები კარგი ხარისხის პურით, პატიოსნად ასრულებდა ნედლეულის მოტანასთან და საწვავის შოვნასთან დაკავშირებულ სხვა დავალებებს, დისციპლინირებული, მხიარული და მორალურად მტკიცე იყო.

414-ე მსროლელი დივიზიის 1944 წლის 18 ივლისის ბრძანებით ტიმოთე მაცაბერიძე დაჯილდოებული იქნა მედლით

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690306, საქ. 1473, ფურც. 24.

„საბრძოლო დამსახურებისათვის“[1]

ომის ფრონტზე იმ ქართველი ვაჟკაცების გვერდით, ვინც ფაშისტებს ებრძოდა, ქართველი ქალიშვილი **ანგელინა მახარაძეც** იყო. ანგელინამ საშუალო სკოლა, რომ დაამთავრა, მოხალისედ წავიდა ფრინტზე. ძალიან ძნელი იყო გოგონასათვის ჯარისკაცის ფარაჯასთან ერთად ავტომატის ტარება, მაგრამ მაინც მედგრად იდგა ქვეყნის დამცველთა რიგებში და მამაცური მოქმედებით არა ერთი მადლობა, ორდენი და მედალი დაიმსახურა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს არქივი და თვით ომგადახდილის პირადი დოკუმენტები გვამცნობენ, რომ ანგელინა ფრონტის წინა ხაზზე მტერს მამაცურად ებრძოდა 1943 წლის 6 მარტიდან ვიდრე ომის ბოლო დღემდე.

ა. მახარაძემ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ქერჩის სისხლისმღვრელ ბრძოლებში, ქერჩის მისადგომებთან, სადაც სისხლიმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული, იმ მსროლელი პოლკის შტაბს რომელშიაც ა. მახარაძე იბრძოდა, კავშირი გაეწყდა ფრონტის ხაზე ბრძოლებში ჩაბმულ ბატალიონთან პოლკის მეკავშირეთა ბატალიონის მეკავშირეებს ანგელინა მახარაძეს და ორ თანამებრძოლებს პოლკის სამეთაურო პუნქტიდან კავშირის დაუყოვნებლივ აღდგენის ბრძანება მისცეს,–ჩვენ შევძლებთ ამ დავალების შესრულბას,–ისე მტკიცედ განაცხადა მეკავშირე ანგელინა მახარაზემ, რომ მეთაურს ეჭვი არ შეპარვია. გაბედულმა მეკავშირეებმა თოვლსა და ყინვაში მტრის შეუმჩნეველად ხოხვით გაიარეს სახიფათო ადგილები და მალე კავშირიც აღდგენილი იქნა ბატალიონთან.

თვალი აღარ მოაშოროთ მტრის განლაგებას, ყოველი ცვლილება გადმოგვეცით, იერიში იწყება 6 საათსა და 20 წუთზე, – პოლკის სამეთაურო პუნქტიდან ცნობა გადასცეს მეკავშირეებს. ზუსტად დათქმულ დროს პოლკი შეტევაზე გა-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 7601, ფურც. 276.

დავიდა, გაიხსნა ორმხრივი მასირებული ცეცხლი. ანგელინამ ზურგში სითბო იგრძნო, მიხვდა, რომ დაჭრეს. დილამდე ჭრილობის შეხვევა არ მოხერხდა. ანგელინას პოსტი არ დაუტოვებია. მტერმა უკან დაიხია. ბევრი გერმანელი შეეწირა პოლკის მებრძოლთა ტყვიას, ბევრიც ტყვედ იქნა აყვანილი. ამ საბრძოლო ოპერაციაში სახრიანობისა და მამაცობისათვის ანგელინა მახარაძემ უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობა დაიმსახურა.[1]

ომი მძინვარებდა, ანგელინა მახარაძე თავის თანაპოლკელებთან ერთად ბრძოლებით წინ მიიწევდა. ყველა რთულ საბრძოლო ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მადლობებისა და არმიის სარდლობისაგან ორდენებსა და საბრძოლო მედლებს იმსახურებდა. მამაც მეომარ ა. მახარაძეს უმაღლესი მთავარსარდლის სტალინის მადლობა გამოეცხადა 1943 წლის 10 ოქტომბერს ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობისათვის, 1944 წლის 1 იანვარს უკრაინის საოლქო ცენტრის ქ. ჟიტომირის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის, 1944 წლის 18 აგვისტოს – მდინარე ვისლის გადალახვისა და ქ. სანდომირის აღებაში აქტიური მონაწილეობისათვის, 1945 წლის თებერვალს–მდინარე ოდერის გადალახვის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის და ბოლოს 1945 წლის 7 მაისს გერმანიის ქალაქ ბრესლუას აღებისათვის წარმოებულ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის (ა. მახარაძის პირადი არქივის ომის დროინდელი დოკუმენტები).

ა. მახარაძის ომის დროინდელი მამაცობის შესახებ თხრობა და გადმოცემა ადვილი სათქმელია, მაგრამ ... რა არ გადაიტანა, რის მოწმე არ იყო სამშობლოს დამცველი იმ მრისხანე დღეებში. ომის დამთავრების შემდეგაც ა. მახარაძე ასეთივე ერთგულებით და სიყვარულით ემსახურება საზოგადოებას, ქვეყანას, ომგადახდილ თანამებრძოლებს.

---

[1] გაზ. „აჭარა", 1995 წლის 21 ივნისი.

ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა ხელოვნებაზე შეყვარებული აკაკი მგელაძე. ომის დაწყებამდე იგი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურებოდა. 1936 წლიდან მუშაობდა სოფელ ქედლების დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად, მაგრამ სულ მალე მსახიობის თანდაყოლილმა ნიჭმა თავისი გაიტანა, ჯერ ხულოს სახალხო თეატრში წარსდგა მაყურებლის წინაშე, სადაც მისმა ხელოვნებამ თეატრის სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია და ბათუმის ახლადგახსნილ სახელმწიფო თეატრში მსახიობად მიიწვიეს.

ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს რომ დაესხა, ა. მგელაძე უკვე სახელმოხვეჭილი და ბათუმელთა საყვარელი მსახიობი გახლდათ. აკაკისათვის თეატრი ყველაფერი იყო, მაგრამ სამშობლოსათვის განსაცდელის ჟამს თეატრის სიყვარულს სამშობლოს დიდმა სიყვარულმა სძლია. ამის გამო იყო, რომ ომის პირველი დღიდანვე ქვეყნის პატრიოტი მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად.

ა. მგელაძე ივნისის დღეებში დაემშვიდობა ბათუმს, თეატრს, საყვარელ ოჯახს, ჯარისკაცის ფრაჯა ჩაიცვა და ფრონტის წინა ხაზს მიაშურა. მან სახელოვანი გზა განვლო ომის ქარცეცხლში. პირველი საბრძოლო ნათლობა აკ. მგელაძემ კავკასიის დაცვით ბრძოლებში მიიღო. შემდეგ თავგანწირვით იბრძოდა ბელორუსიის პირველ, მეორე და მესამე ფრონტებზე. მონაწილეობას იღებდა პრუსიის ქ. კენინსბერგისათვის წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, იერიშზე მიდიოდა ჰიტლერთა წინააღმდეგ ბერლინის ქუჩებში.

ქვეყანამ ღირსეულად დააფასა ბათუმელი პატრიოტის აკ. მგელაძის საგმირო საქმეები. იგი დაჯილდოებული იყო დიდების მესამე ხარისხის ორდენით, მედლებით "კენინსბერგის" და "ბერლინის აღებისათვის," მის საგმირო საქმეებზე მეტყველებს ისიც, რომ ომის ფრონტებზე მამაცობისა და გამბედაობისატვის მიღებული ჰქონდა მთავარსარდლის ი. სტალინის შვიდი პირადი მადლობა.

1945 წლის ნოემბერში ომგადახდილი აკ. მგელაძე მშობ-

ლიურ ბათუმს დაუბრუნდა, მაშინვე თავის საყვარელ თეატრს მიაშურა და მთელი თავისი ლამაზი ცხოვრება თეატრს შეალია. მან სიცოცხლის ბოლომდე იღვაწა ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და მრავალი დაუვიწყარი სახე შექმნა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქობულეთის მკვიდრს გიორგი მესხიძეს. ჰიტლერულმა გერმანიამ მეორე მსოფლიო ომი რომ წამოიწყო, გიორგი მესხიძე მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. იგი 1939 წლის ნოემბერში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა მოსკოვის პირველ მოტომსროლელ დივიზიაში. სწორედ აქ მოუსწრო მას ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ომმა. მოსკოვის დაცვით დაიწყო გ. მესხიძის საბრძოლო ნათლობა.

გ. მესხიძე იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, მონაწილეობას ღებულობდა მეტად რთულ ბრძოლაში სმოლენსკის მიმართულებით. 1943 წლის აგვისტოს ერთ-ერთ რთულ ბრძოლაში სამ გაბედულ მებრძოლთან ერთად ტყვედ აიყვანეს 27 გერმანელი ფაშისტი.

1945 წლის აპრილში დივიზიამ, სადაც გ. მესხიძე მსახურობდა, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლები გადაიტანა პრუსიაში. დივიზიამ ბელორუსიის მესამე ფრონტის სხვა ნაწილებთან ერთად გადალახა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარი და შტურმით აიღო ქ. კინისბერგი. ამ ბრძოლების აქტიური მონაწილეა გ. მესხიძე.

სახელმწიფომ ღირსეულად დააფასა გაბედული მებრძოლის თავდადება, გ. მესხიძე დაჯილდოებული იყო საბრძოლო მედლით "მამაცობისათვის", წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენებით.[1]

ომგადახდილი გიორგი მესხიძე თანდათანობით ყალიბდე-

[1] გაზ. „აჭარა" 1995 წლის 28 აპრილი.

ბა, როგორც უნარიანი და მზარდი სპეციალისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. წლების განმავლობაში იყო ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი, სოციალისტური უსრუნველყოფის მინისტრი, აჭარკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე. 1993 წლიდან კი ასრულებდა რესპუბლიკის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მეტად საპატიო მოვალეობას.

ომის მძიმე განსაცდელის ჟამს ფრონტზე წავიდა ბათუმელი გრიგორი მოსიძე. იგი მსახურობდა 196-ე მსროლელი დივიზიის 1450-ე ცალკე მეკავშირეთა ასეულის ტელეფონისტად, საბრძოლო მოქმედებებში ღებულობდა მონაწილეობას 1941 წლის ოქტომბრიდან.

გრ. მოსიძე გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლის პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც გაბედულმა და მამაცმა მეომარმა. ქ. ნოვოროსიისკისათვის ბრძოლებში, სტანიჩკის რაიონში გრ. მოსიძე კავშირით უზრუნველყოფდა მოქმედ ქვედანაყოფს.

1943 წლის 10-დან 14 სექტემბრამდე მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო-სანაღმტყორცნო და ტყვიამფრქვევების ცეცხლის მიუხედავად, 10-12 წუთის განმავლობაში აღდგენდა კავშირის ხაზის დაზიანებებს.

გრ. მოსიძემ "მცირე მიწაზე" ბრძოლებში თავი გამოიჩინა როგორც ერთგულმა ჯარისკაცმა. მე-18 არმიის 176-ე მსროლელი დივიზიის 1943 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით, დაჯილდოებული იქნა მედლით „მამაცობისათვის".[1]

გრ. მოსიძემ 1944 წლის პოლკის ერთერთ შეტევის დროს მოწინააღმდეგის საარტილერიო ცეცხლის შედეგად კავშირი დაზიანდა, რომლის აღსადგენად გაიგზავნა მეკავშირე გრ. მოსიძე. მტრის ცეცხლი ამ მიდამოებში წუთითაც არ შეწყვეტილა. გრ. მოსიძე სირბილით განაგრძობდა წინსვლას და 15 წუთის შემდეგ კავშირი აღდგენილი იქნა.

გრ. მოსიძემ სოფ. კრასნოეს მიდამოებში 20 წუთის გან-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 682526, საქ. 1457, ფურც. 69.

მაელობაში ღამით აღმოფხერა 5 დაზიანება, რითაც უწყვეტი კავშირით უზრუნველყო დივიზიის სარდლობა.

გრ. მოსიძე გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლენილი ცოდნის, მამაცობისა და გამბედაობისათვის 129-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 1944 წლის 10 აგვისტოს ბრძანებით დაჯილდოებული იქნა ამჯერად მეორე მედლით „მამაცობისათვის“.[1]

ომის ფრონტებზე სახელოვანი გზა განელო **ვლადიმერ მოსიძემ**. იგი გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლებში მონაწილეობდა 1941 წლის ოქტომბრიდან. მსახურობდა რა საშტაბო ოცეულის ტელეფონისტად ვლ. მოსიძე შენაერთის შეტევითი ოპერაციების დროს საბრძოლო მოქმედებისას მთელ პერიოდში იძლეოდა მამაცობისა და გ'ულადობის მაგალითს.

ვლ. მოსიძეს მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო და ნაღმტყორცნების ცეცხლის ქვეშ 1945 წლის 1 მაისს სატელეფონო კავშირი გაჰყავდა 325-ე მსროლელი პოლკის სამეთა'ურო პუნქტთან, საბრძოლო მოქმედებების რაიონში ქალაქ მორავსკა ოსტროვასთან მდინარის გადასასვლელზე.

1945 წლის 2 მაისს ვლ. მოსიძე მუშაობდა რა სახაზო სედამხედველად, მტრის ჭურვების აფეთქების ქვეშ 12 საათის განმავლობაში აღმოფხვრა სატელეფონო კავშირის ცხრა მოშლილობა.

ვლ. მოსიძე ფრონტზე გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის 129-ე მსროლელი დივიზიის 1945 წლის 2 ივნისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში სიმტკიცისა და გმირობის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვას მკვიდრმა **იასონ მოსიძემ**. იგი საბრძოლო

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), აღწ. 690155, საქ. 2333, ფ'ურც. 155.

[2] რ'უსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 690155, საქ. 5726, ფურც. 23.

ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას 414-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში, იყო შტაბის მძღოლი.

ქერჩის ნახევარ კუნძულზე გააფრთებული ბრძოლების დროს განსაკუთრებით მძიმე პირობებში (წვიმა, ტალახი, უგზობა) მოწინააღმდეგის არტილერიის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ ი. მოსიძე ყოველთვის გაბედულად და ზუსტად ასრულებდა საბრძოლო დავალებებს.

ავტომანქანები, რომელთაც მართავდა ი. მოსიძე, ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შეუფერხებლად მუშაობდა. ქერჩის ნახევარ კუნძულზე შეტევითი ბრძოლების პერიოდში და მტრის დევნის დროს ნაწილებში მიჰყავდა დივიზიის მეთაური, რომელიც საბრძოლო დავალებებს აძლევდა მებრძოლ ნაწილებს.

საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის ი. მოსიძე 414-ე მსროლელი დივიზიის 1944 წლის 2 მაისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის".[1]

იასონ მოსიძემ ქ. სევასტოპოლისთვის ბრძოლებში განსაკუთრებული მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა. მას ყოველთვის ზუსტად და დროულად მიჰქონდა საბრძოლო განკარგულებები დივიზიის ნაწილებში და ქვედანაყოფებში მოწინააღმდეგის უწყვეტი ცეცხლის ქვეშ შესძლო კარგად მოეწყო სურსათის მიტანა დივიზიის შტაბის ოპერატიულ ჯგუფში.

მთელი რიგი ბრძოლების დროს ა. მოსიძეს მეთაურის დავალებით საბრძოლო მასალები მიჰქონდა ბატალიონის საარტილერიო პუნქტზე და ამით აქტიურად უწყობდა ხელს გერმანელ ფაშისტთა განადგურებას ქ. სევასტოპოლთან.

ი. მოსიძე პატიოსანი და კეთილსინდისიერი სერჟანტი, მამაცი და გაბედული იყო ბრძოლებში. ბრძოლებში გამოვლენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის 414-ე მსროლელი ანაპის დივიზიის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებით დაჯილდო-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 690135, საქ. 2794, ფურც. 157.

ებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე სახელოვანი გზა განვლო **ვლადიმერ მოქერიამ**. ჩოხატაურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვლ. მოქერია მუშაობდა ქობულეთის რაიონის ჩაქვის სადაბო საბჭოს ფინაგენტად, 1939 წელს გაიწვიეს საჟალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ორიოლის 149-ე მსროლელი დივიზიის 479-ე პოლკში. ფაშისტური გერმანიის ომის დაწყებისას ვლ. მოქერია სწავლობდა მეთაურთა სკოლაში. „1941 წლის 22 ივლისს დილის 6 საათზე დაიწყო განგაში, ჩვენი სკოლის კურსანტები გაგვაგზავნეს ტამბოვის სამხედრო სასწავლებელში, – იხსენებს ვლ. მოქერია, – იქ ერთი კვირის მეცადინეობის შემდეგ დამნიშნეს ოცეულის მეთაურად. ეს იყო ის დრო, როცა მტერს დროებითი წარმატებები ჰქონდა, აქტიურად მოიწევდა წინ ქვეყნის სიღრმეში. პირველი ბრძოლები ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჩვენ უთანასწორო ბრძოლა გვიხდებოდა. დადგა რუსული ზამთარი, დაიწყო ყინვები, მტერი ახალი იერიშისათვის ემზადებოდა. ჩვენი ოცეული მოწინავე პოზიციებზე გადავიდა. მოწინააღმდეგეს, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გარდა, კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა. იგი ტყით გარშემორტყმულ გორაკზე იდგა, მათი ქვემეხები ზედ თავს დაჰყურებდა ჩვენს მეომრებს. ჩამოწოლილი ბურუსი გაიფანტა. შევნიშნე, რომ თოვლით დაფარულ მინდორზე ხოხვით თეთრ ტანსაცმელში გახვეული ჰიტლერელები მოიწევდნენ წინ. ამ დროს ტყიდან გამოვიდა მათი მეავტომატეთა დიდი ჯგუფი, ცხადი გახდა რომ მტერს ესარგებლა ნისლიანი ამინდით და ემზადებოდა შეტევისათვის. ჩვენ ჯერ კიდევ გამოუცდელ მეთაურებს ვერ შეენიშნა მტრის მანევრი. მე მაშინ განვსაზღვრე მოსალოდნელი საფრთხე და სასწრაფოდ დავუკავშირდი ასეულის მეთაურს, რომელმაც მიბრძანა უკან დავწეულიყავით, მაგრამ გვიანღა იყო. მტერი პირისპირ აღმოჩნდა

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 690155, საქ. 7601, ფურც. 15.

150-200 მეტრ მანძილზე, მისი ერთი ნაწილი ფლანგიდან ცდილობდა ალყაში მოექციეთ. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, ხელყუმბარებით გაგვერღვია ბრძოლის ველი. ამ კრიტიკულ მომენტში თვალი მოვკარი უპატრონოდ მიტოვებულ ტყვიამფრქვევს. გავიხადე ცეცხლი, მტერი ცეცხლის ალში გაეხვია".

ამ ბრძოლის შემდეგ ვლ. მოქერია ასეულის მეთაურის რანგში იბრძოდა ლენინგრადისა და ტოსნოს მისადგომებთან, 1942 წელს იგი მძიმედ დაიჭრა. მკურნალობდა ლენინსკი კუზნეცკის ჰოსპიტალში, საიდანაც დემობილიზებული იქნა. მუშაობა დაიწყო ისევ ჩაქვში, დაამთავრა ბათუმის სახელმჭიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. იმუშავა ინსტიტუტში პროფკავშირის თავმჯდომარედ, შემდეგ კი სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდგომ მასწავლებელთა ინსტიტუტში მეთოდისტად.[1]

ომის ფრონტებზე სახელოვანი გზა განვლო ბათუმელმა უმც. მედიცინის მუშაკმა **კარლო ნოდიამ**. მან ომის დაწყებიდანვე, მოქმედი მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონში ყოფნისას, 1941 წლის 23 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო ყირიმის ფრონტის ქ. ფეოდესიაში სადესანტო ოპერაციაში. ბრძოლის დროს კ. ნოდიამ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 35 დაჭრილი მეომარი, რომლებსაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. ამ ბრძოლაში იგი ხელში და ფეხში დაიჭრა; ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ სამხედრო ფერშალი ნოდია სამხედრო სამსახურის შემდგომი გავლისათვის 414-ე მსროლელი დივიზიის 479-ე ქვეითა პოლკში გაგზავნეს, ხოლო შემდგომ, როგორც საუკეთესო ფერშალი 347-ე ცალკე მესანგრათა ბატალიონში უფროს სამხედრო ფერშლად დანიშნეს.

347-ე მესანგრეთა ბატალიონში კ. ნოდიამ თავი გამოიჩინა 414-ე დივიზიის შეტევითი ბრძოლების დროს. 1943 წლის 20 სექტემბერს ტონელნაიას რაიონში მესანგრეებთან ერთად იმყოფებოდა, რომლებიც მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ხიდის განაღმვას აწარმოებდნენ. კ. ნოდიამ დახმარება არმოუჩინა ორ დაჭრილს და გამოიყვანა ისინი მოწინააღმდეგის ცეცხ-

---

[1] ს. დუმბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 125-126.

ლის ზონიდან.

1943 წლის 23 სექტემბერს მესანგრეთა ჯგუფთან ერთად, რომლებიც მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ გზის განაღმვას აწარმოებდნენ ხუტორ მაჩენკოს მიდამოებში, ფერშალმა ნოდიამ დაჭრილი მესანგრე გველესიანი, რომლის გამოყვანა არ შეიძლებოდა, გამალებული ცეცხლის გამო, არ დატოვა და მასთან დაღამებამდე იმყოფებოდა, რის შედეგაც მშვიდობით გამოიყვანა და სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში გაგზავნა.

დაჭრილ მესანგრესთან ყოფნის დროს 1367-ე მსროლელი პოლკის 8 მეომარი დაიჭრა, რომელთაც სამხედრო ფერშალმა კ. ნოდიამ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. ამ საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის სამხედრო ფერშალი კ. ნოდია 414-ე მსროლელი დივიზიის 1943 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის მსვლელობის პერიოდში კ. ნოდიას, როგორც ლიდერ და გამოცდილ მედიცინის მუშაკს, მიანიჭეს მედიცინის სამსახურის უფროსი ლეიტენანტის წოდება.

1944 წლის აგვისტოში ქ. სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მედიცინის სამსახურის უფროსი ლეიტენანტი კარლო ნოდია პირველ სამმედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილ მეომრებს, რის შემდეგ დაუყონებლივ გადაჰყავდა სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში, ამასთან იგი არ უშინდებოდა მტრის მიერ გზების ხშირ დაბომბვას. გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, კ. ნოდია დაჯილდოებული იქნა მედლით "მამაცობისათვის".[2]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა რიგითმა ჯარისკაცმა **ნიკოლოზ ნოდი-**

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 680044, საქ. 561, ფურც. 110.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, საქ. 7601, ფურც. 154.

ამ. იგი არმიის რიგებში გაიწვია ბათუმის საქალაქო სამხედრო კომისარიატმა. 1941 წლის ჩაირიცხა 47-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო ბრიგადის საშმართველოს ბატარეის მძღოლად. 1941 წლიდან ამიერკავკასიის ფრონტზეა, 1944 წლიდან — ბელორუსიის ფრონტზე.

რიგითი ნოდია აღმოსავლეთ პრუსიაში შეტევითი ბრძოლების პერიოდში 1945 წლის აპრილ მაისში მუშაობდა რა ბატარიის მმართვის მძღოლის თანამდებობაზე, საბრძოლო მარშის შესრულებისას თავი გამოიჩინა, როგორც გაბედულმა და მამაცმა მებრძოლმა. ხშირად მოქმედებდა რა მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ, ღამის უგზოობის პირობებში, მანქანა სრულ წესრიგში შეინარჩუნა. ზუსტად და დროულად ასრულებდა გადანაცვლების საბრძოლო მარშუტებს. თავისი მანქანით უაეარიოდ გაიარა 7000 კმ. მანქანა ყოველთვის საუკეთესო მდგომარეობაში ჰქავდა.

47-ე ცალკე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადის 1945 წლის 2 მაისის ბრძანებით ნ. ნოდია დაჯილდოებული იქნა მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის".[1]

ფაშისტურ გერმანიასთან ომის ბოლო პერიოდში 47-ე ცალკე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადას უხდებოდა დიდი მანევრებისა და საბრძოლო რიგების ხშირი ცვლა, ღამით და უგზოობის პირობებში. უგზოობის პირობისა და მოწინააღმდეგის კონტრშეტევის დროს რიგითმა ნიკოლოზ ნოდიამ ცეცხლიდან გამოიყვანა ბრიგადის შტაბის მანქანა, რომელშიც ბრიგადის საიდუმლო დოკუმენტები იყო.

საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ნიკოლოზ ნოდია 47-ე ცალკე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადის 1945 წლის 26 ივნისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 687572, საქ. 3838, ფურც. 110.

სკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში ბათუმელი **ტე-რენტი პატარაია** საბრძოლო ოპერაციებში თავისი პირადი მაგალითით აღაფროთოვანებდა მებრძოლებს. ტ. პატარაია 37-ე არმიის 392-ე მსროლელი დივიზიის მეტყვიამფრქვეველე ასეულში მსახურობდა.

1941 წლის 21, 22, 23 აგვისტოს ასეულის ზემდეგი ტ. პატარაია ყველაზე რთულ პირობებში პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს. თავისი სურვილით რამდენჯერმე წავიდა დაზვერვაში და ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები მოიტანა მტრის შესახებ.

ერთ-ერთ ასეთ დაზვერვისას შეიტყო და მეთაურს მოახსენა მოწინააღმდეგის სამი შენიღბული ტანკის და სატანკო დაჯგუფების ადგილმდებარეობა, რომელთა მიმართაც მაშინვე გახსნილი იქნა ცეცხლი.

გაბედული ტ. პატარაია დაჯილდოებული იქნა მედლით "მამაცობისათვის".[2]

ომის ფრონტებზე მამაცურად იბრძოდა ბათუმელი ახალგაზრდა **გრიგოლ პინიანცი**, იგი ომის დაწყებისთანავე წავიდა სამშობლოს დასაცავად. 1943 წლის დასაწყისში როგორც საზრიანი ახალგაზრდა მე-9 გვარდიული ბრიგადის კონტრდაზვერვის განყოფილებაში გაიგზავნა. საბრძოლო დავალების შესრულებისას იმავე წლის 15 თებერვალს კახოვკასთან მდინარე დნეპრის გადალახვის დროს დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტზეა მეორე უკრაინის ფრონტის მეათე გვარდიული კორპუსის 109-ე მსროლელ დივიზიაში.

გ. პინიანცი აქტიურად იბრძოდა ორჯონიკიძეში, მოზდოკში, ყუბანში, ტუაფსეში, კრასნოდარში, როსტოვში, სტანიცა

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 690306, საქ. 1597, ფურც. 47.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 1717, აღწ. 2, საქ. 16, ფურც. 2.

კრიმსკაიაში.

109-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 946-ე გვარდიული პოლკის უფროსის 1943 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებაში აღნიშნულია: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ვაჯილდოვებ წითელარმიელ გრიგოლ ასატურის ძე პინიანცის მედლით "მამაცობისათვის", იმისათვის რომ იგი 1943 წლის 26 სექტემბრიდან 1943 წლის 3 ოქტომბრამდე სოფელ გედელბერგზე შეტევის პერიოდში თავის ქვემეხს შეუფერხებლად უსრუნველყოფდა საბრძოლო მასალებით. გარდა ამისა დროზე მიჰქონდა ოპერატიული დოკუმენტები ფრონტის შტაბში და ამით ხელს უწყობდა ბრძანებების დროზე შესრულებას.[1]

1943 წლის ოქტომბრის დასაწყისში ერთ-ერთ შეტევითი ბრძოლის დროს გ. პინიანცი კვლავ მძიმედ დაიჭრა, რის შემდეგ, როგორც ომის ინვალიდი დემობილიზებული იქნა არმიის რიგებიდან.

ფრონტიდან დემობილიზაციის შემდეგ გ. პინიანცმა მუშაობა დაიწყო აჭარის საარქივო ორგანოებში. წლების განმავლობაში საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა, შემდეგ ცენტრალურ არქივში საინსპექტორო განყოფილების გამგედ, სადაც იმუშავა 2007 წლამდე, შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

ომის შემდგომ კეთილსინდისიერი მუშაობისათვის გრიგოლ პინიანცის საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა.[2] ომგადახდილი, ქვეყნის წინაშე დამსახურებული და ვალმიხდილი, გარდაიცვალა 2010 წელს.

ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს რომ დაესხა და დაიწყო საბჭოთა ქვეყნის ოკუპაცია, ბათუმის რაიონის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო სამსახურში გაიწვია ბა-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 717037, საქ. 851, ფურც. 158.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 109, აღწ. 1, საქ. 67, ფურც. 3.

თუმის რაიონის სოფ. ანგისის მცხოვრები **მიხეილ ჟელეზნიაკი**. იგი გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში ღებულობდა მონაწილეობას 1941 წლის 12 ივლისიდან 1942 წლამდე დასავლეთის ფრონტზე, 1942 წლის ივნისიდან 1943 წლის ნოემბრამდე ბრიანსკის ფრონტზე.

1944 წლის ივლისს მ. ჟელეზნიაკი, გვარდიის უმცროსი სერჟანტი, მსახურობდა 70-ე არმიის, 38-ე გვარდიული ლოზოვსკოეს მსროლელი დივიზიის 115-ე გვარდიული მსროლელი პოლკის მსროლელი ასეულის მეთაურად.

1944 წლის 22 ივლისს მდინარე დასავლეთ ბუგის გადალახვისათვის ბრძოლებში პირადი მამაცობით გამოიჩინა თავი, პირველმა გადალახა მდინარე და სოფელ სოლოვოტოჩში აღმართა დროშა.

საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისათვის მ. ჟელეზნიაკი 38-ე გვარდიული ლოზოვსკოეს მსროლელი დივიზიის 1944 წლის 27 ივლისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში აქტიურად მონაწილეობდა ბათუმელი **ივანე გრიგოლის ძე ჟუკი**. იგი არმიის რიგებში მსახურობდა 1934 წლიდან. ფაშისტურმა გერმანიამ ომი რომ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყო ი. ჟუკი კაპიტნის ჩინით მოქმედ არმიაშია და თავიდანვე ბრძოლებში გამოავლინა პირადი მამაცობა და გამბედაობა, რისთვისაც იგი პირველად დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

გვარდიის კაპიტანი ი. გ. ჟუკმა გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში განსაკუთრებით გამოავლინა თავი 1945 წელს. იგი 1945 წლის 20 მარტიდან 13 აპრილამდე განუწყვეტლივ იმყოფებოდა შემტევი ნაწილების საბრძოლო რიგებში, პირადად ხელმძღვანელობდა არტილერიის ნაწილების დაზვერვის ორგანოებს და დროულად ითხოვდა ცნობებს მოწინა-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 690655, საქ. 1383, ფურც. 177.

აღმდეგის შესახებ, რამაც სარდლობას საშუალება მისცა შეესაბამისი გადაწყვეტილებები მიეღო და დადგენილ სამიზნეებზე ცეცხლი ეწარმოებინა. ქ. ჩორნოსათვის ბრძოლებში 1945 წლის 27-28 აპრილს და ქ. ვენაში ქუჩების ბრძოლებში 1945 წლის 8-დან 12 აპრილამდე ი. ჟუკი ხელმძღვანელობდა საარტილერიო ნაწილების მოძრავ სათვალთვალო პუნქტებს, რამაც უსრუნველყო მოწინააღმდეგის სამიზნეებისა და დაჯგუფებების დადგენა და ხელი შეუწყო ქვეითი და სატანკო ჯარების მიერ ქალაქის აღებას.

გამოჩენილი მამაცობისა და გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში საარტილერიო ნაწილების დაზვერვის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის ი. ჟუკი უკრაინის მესამე ფრონტის 1945 წლის 20 აპრილის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის წლებში, კავკასიის დაცვისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლების მსვლელობისას შეუსრულდა ჯარში გასაწვევი ასაკი (18 წელი) **გენო რუხაძეს**. იგი დაიბადა 1925 წლის 29 იანვარს, სამტრედიის რაიონის სოფ. დიდ ჯიხაიში, აღიზარდა რუხაძეების მრავალშვილიან ოჯახში.

ომი რომ დაიწყო, გენო რუხაძის უფროსი ძმები — დავითი, სილოვანი და ალექსანდრე ფრონტებზე წავიდნენ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში. სილოვანი 1944 წელს ქერჩ-სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის დაიღუპა, მისი სახელი შეტანილია საქართველოს და აჭარის ომის ვეტერანთა საბჭოების მიერ გამოცემულ მარადიული ხსოვნის წიგნებში. ომის დამთავრების შემდეგ დავითი და ალექსანდრე რუხაძეები სახელმწიფო საბრძოლო ჯილდოებით დაუბრუნდნენ მშობლიურ საქართველოს.

რუხაძეების ოჯახის მომდევნო ვაჟი—გენო რუხაძე, სამხედ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, აღწ. 686186, საქ. 4954, ფურც. 124.

რო რიგებში გაიწვიეს 1943 წლის 22 იანვარს. იგი თავდაპირველად ჩარიცხეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფრონტის მოქმედი არმიის პირველ სათადარიგო პოლკში, რიგით ჯარისკაც–მეტყვიამფრქვეველად, სადაც დაჰყო 1943 წლის 30 ივნისამდე, შემდეგ კი გაგზავნეს ქ. ქუთაისში 296-ე მსროლელ დივიზიის უმცროს მეთაურთა (სერჟანტთა) მოსამზადებელ კურსებზე, რის დამთავრების შემდეგ, 1943 წლის აგვისტოს იგი ჩარიცხეს ქუთაისის 966 მსროლელ პოლკის მეტყვიამფრქვეველთა ასეულში ათეულის მეთაურად. ამ სამხედრო ნაწილში გენო რუხაძემ იმსახურა ომის დამთავრებამდე. იგი ყოველთვის საზრიანად და გაბედულად ასრულებდა ათეულის წინაშე დასმულ ყველა საპასუხისმგებლო დავალებას.

ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის ივლისში დაამთავრა 296-ე მსროლელი დივიზიის პარტიული სკოლა და გადაიყვანეს 414 მსროლელი დივიზიის კონტრდაზვერვის ოცეულში–ათეულის მეთაურად, სადაც იმსახურა 1947 წლის ბოლომდე. 1948 წლის იანვრიდან 1950 წლის ივნისამდე მსახურობდა 1371 მსროლელი პოლკის ოცმეთაურის თანაშემწედ, სანინსტრუქტორად და ქიმინსტრუქტორად.

გენო რუხაძე, როგორც პერსპექტიული სამხედრო კადრი, 1950 წლის ივლისში, 1371-ე მსროლელი პოლკის მეთაურთა წარდგინებით გაგზავნეს ქ. ლვოვის ნიკოლოზ შჩორსის სახელობის სამხედრო-სააფიცრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ (1952) მიანიჭეს ლეიტენანტის წოდება და გაგზავნეს ქ. ბათუმში განლაგებულ 1371-ე მსროლელი პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის მეთაურად, სადაც იმსახურა 1954 წლის მარტამდე.

1954 წლის მარტში გენო რუხაძე ქ. გორის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტმუშაკთა–ოფიცერთა მოსამზადებელ კურსებზეა, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ინიშნება ქ. ბათუმში დისლოცირებულ 145-ე სამთო მსროლელი დივიზიის 88-ე მსროლელი პოლკის ასმეთაურის მოადგილედ პოლიტდარგში.

1955 წლის დეკემბრიდან გენო რუხაძე ინიშნება წითელ-

წყაროს (ამჟამად დედოფლისწყაროს) რაიონის სამხედრო კომისარიატის მე-2 ნაწილის უფროსად, სადაც მიენიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება და მუშაობდა 1958 წლამდე.

1958 წლის მაისიდან გენო რუხაძე მუშაობას იწყებს შსს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე, ჯერ უბნის ინსპექტორად, შემდეგ განყოფილების, სამსახურებრივ-პროფესიონალური მომსადების უფროსად.

საქართველოს შს მინისტრის 1970 წლის აპრილის ბრძანებით გ. რუხაძე შეტანილია შსს-ს მოწინავე მუშაკთა საპატიო წიგნში. 1975 წელს ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების (30 წლის) საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს შს მინისტრის ბრძანებით გენო რუხაძეს მიანიჭეს კაპიტნის წოდება, ხოლო 1979 წლის საკავშირო შს მინისტრის ბრძანებით მიანიჭეს მაიორის წოდება.

1980 წლიდან გენო რუხაძე დამსახურებულ პენსიაზეა. მიუხედავად პენსიაზე ყოფნისა, გენო რუხაძე 1988-2004 წლებში კვლავ აქტიურად საქმიანობს თურქეთის გენერალური საკონსულოს გარე დაცვის ვეტერანთა ჯგუფის უფროსად.

გენო რუხაძეს სამხედრო და შსს ორგანოებში ხანგრძლივი და სანიმუშო საქმიანობისათვის მიღებული აქვს "სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი," 15 საბრძოლო და სამსახურებრივი დამსახურების მედალი, 20 სიგელი, 38 მადლობა.

გენო რუხაძე საქართველოს შს მინისტრის 1970 წლის №216 ბრძანებით შეყვანილია საქართველოს შსს-ს საპატიო საიუბილეო წიგნში, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნებით „ფრიადოსანი მეტყვიამფრქვევე," „ფრიადოსანი მესაზღვრე".

გენო რუხაძეს 2010 წლის 29 იანვრს შეუსრულდა დაბადებიდან 85 წელი. დამსახურებულ მეგობარს, ბატონ გენოს ვუსურვებთ ღირსეულად განელილ 85 წლისთავს და ვუსურვებთ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს.

ფაშისტური გერმანიის მიერ გაჩაღებულ ომში, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა **კონსტანტინე სანაძემ,** იგი ბათუმის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო რიგებში გაიწვია 1939 წელს. კ. სანაძემ სამხედრო

საოფიცრო სასწავლებელი დაამთავრა და ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა 1942 წლის 1 თებერვლიდან 414-ე მსროლელი დივიზიის 1367-ე მსროლელი პოლკის მეკავშირეთა ასეულის ტელეფონისტად ოცეულის მეთაურად.

1367-ე მსროლელი პოლკი ბრძოლებით მიიწევდა წინ ზედა გასტაგისაკენ, მეტელეფონეთა ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა კონსტანტინე სანაძემ ბატალიონის კავშირის უზრუნველყოფისას აღმოაჩინა, რომ მის მარაგში არსებული კაბელით ყველა ხაზს ვერ უზრუნველყოფდა. შეტევის შეუწყვეტელი გაგრძელებისათვის საჭირო იყო 1500 მეტრი კაბელის სასწრაფოდ შოვნა მხოლოდ მოწინააღმდეგესთან შეიძლება გამონახულიყო. გაბედულმა სანაძემ მიუახლოვდა ფრონტის წინა ხაზს და მისთვის მეტად საჭირო კაბელი მოძებნა მტრის საკაბელო ხაზზე. იგდო რა კაბელი ხელთ, უკან დაბრუნდა, მოწინააღმდეგის მიერ ცეცხლის არაერთხელ გახსნის მიუხედავად. იგი დაუზიანებლად გამოვიდა ცეცხლის ზონიდან და დროზე გამართა კავშირის ხაზი თავის ბატალიონთან. კავშირი აღდგა და შეუფერხებლად მუშაობდა მთელი შემდეგი ბრძოლის დროს.

საბრძოლო ოპერაციებსი გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის კონსტანტინე სანაძე 414-ე მსროლელი დივიზიის 1943 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

კავკასიის დაცვისათვის წარმოებული გმირული ბრძოლები უდიდესი მნიშვნელობის სამხედრო მოვლენა იყო გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ეს ბრძოლები შეუნელებელი დაძაბულობით მიმდინარეობდა თხუთმეტი თვის განმავლობასი 1942 წლის 25 იელისიდან 1943 წლის 9 აგვისტომდე. ამ სისხლიმღვრელ ბრძოლებში ათასობით ქართველი მონაწილეობდა, მათ შორის იყო სამშობლოს აქტიური მებრძოლი **შოთა სერაფიონის ძე სირაძე**. იგი თავიდან 51-ე მსროლელ ბრიგადაში მსახურობდა, სწორედ ამ ბრიგადას ხვდა წილად,

მონაწილეობა მიეღო ნივოროსიისკისათვის ბრძოლებში.[1]

51-ე მსროლელი ბრიგადა, რომელშიც შ. სირაძე იბრძოდა, 1943 წლის 12 თებერვალს ღამით 4 საათზე დაბა მისხაკოს რაიონში გადავიდა, რომელიც შემდგომ "მცირე მიწის" სახელწოდებით შევიდა ომის ისტორიაში. გერმანელთა სარდლობა საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ამ მცირე ტერიტორიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ითვლიდა, რომ იგი კავკასიაზე ახალი შეტევისათვის ძირითადი პლაცდარმი უნდა გამხდარიყო.[2]

გერმანელებმა მძაფრი იერიშები გააჩაღეს. ბრძოლაში ჩააბეს ქვეითთა და სატანკო ნაწილების დიდი ძალები.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში აქტიურად იბრძოდა შ. სირაძე იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა.

1943 წლის 7 ნოემბერს სამხედრო შენაერთი, რომელშიც შ. სირაძე მსახურობდა უკრაინის პირველ ფრონტზე ქ. ჟიტომირის მიმართულებით გადაიყვანეს. 1944 წლის იანვარ-თებერვალში პირდაპირი შტურმით აიღეს ჟიტომირი და ბერდიჩევი. 1944 წლის 10 მარტს ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს, როცა გერმანელი მეავტომატეები შეტევაზე გადმოვიდნენ, შოთა მძიმედ დაიჭრა. იმავე წელს დაბრუნდა სამშობლოში, როგორც ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, უმაღლესი განათლება მიიღო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება. წლების განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად ხულოსა და ქედის რაიონებში. შემდეგ კი საქართველოს საზოგადოება „ცოდნის" აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციაში იმუშავა.

ფაშისტური გერმანიის ომის დაწყების მთელი სიმძიმე პირველ რიგში ქვეყნის მესაზღვრეებს დაატყდა თავს. მამაცმა მესაზღვრეებმა მიიღეს მტრის პირველი დარტყმები. ომის ეს საშინელება წილად ხვდა ბათუმელ **მიხეილ სირაძეს**. იგი 1920 წელს ქ. ბათუმში დაიბადა 1940 წელს გაიწვიეს არმიის

---

[1] ს. ტაბაღუა, რაც დავიწყებით არ იბინდება, ბათ. 1995. გვ. 24.

[2] შ. მახარაძე, მეხტატეხაბი, ბათ. 1983. გვ. 19.

რიგებში. თაუდაპირველად მ. სირაძე დასაელეთ უკრაინის ლვოვის ოლქში სსრ კავშირ–პოლონეთის საზღვარზე გაამწესეს.

1941 წლის 22 ივნისს ღამის 5 საათზე მესაზღვრეებმა მიიღეს პირველი საბრძოლო ნათლობა. ისინი ერთხანს უმკლავდებოდნენ მტრის რიცხობრივ ჭარბ ძალებს, მაგრამ ფაშისტების შემოტევა ისე ძლიერი იყო, რომ ვერ გაუძლეს და ბრძოლით უკან დაიხიეს. ბრძოლის მესამე დღეს 25 ივნისს მიხეილ სირაძეს მტერთან ხელჩართული ბრძოლა მოუხდა და დაიჭრა. დაჭრილს პირველი დახმარება ლვოვის საველე ჰოსპიტალში აღმოუჩინეს, შემდეგ კი ხარკოვის ჰოსპიტალში მკურნალობდა, საიდანაც 1941 წლის სექტემბერში გამოწერეს და ფრონტზე გასაგზავნ ათასეულში გაამწესეს.

მალე ათასეული ფრონტზე გააგზავნეს. მიხეილ სირაძე ვოლოშილოვგრადთან ბრძოლის დროს სნაიპერთა ჯგუფის შემადგენლობაში იმყოფებოდა და და მის ანგარიშზე უკვე შვიდი მოკლული ფაშისტი ირიცხებოდა.[1]

ამ ბრძოლაში მიხეილი კელავ დაიჭრა, ისევ სამხედრო ჰოსპიტალში გამოჯანმრთელება და ისევ ფრონტის წინა ხაზი. ამჟამად იბრძვის 50-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში. აქტიურ მონაწილეობას იღებს დასახლებული პუნქტების ზუგრესის, მაკეევაკის, სტალინოს (დონეცკის) და სხვა ქალაქების გათავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

ომის ხანგრძლივმა მსვლელობამ, არმიის რიგების ზრდამ, არმიის ოფიცერთა შემადგენლობის მკვეთრი ზრდა მოითხოვა, მიხეილ სირაძე, როგორც მოწინავე მებრძოლი და საზრიანი ახალგაზრდა, დივიზიის ხელმძღვანელობამ სამხედრო სასწავლებელში გაგზავნა, სასწავლებელი 1944 წლის მაისში დაამთავრა ლეიტენანტის სამხედრო წოდებით და ისევ მეორე უკრაინის ფრონტზე გაგზავნეს. სადაც მონაწილეობდა ბელგრადის, პოლონეთისა და რუმინეთის განთავისუფლებაში.

1944 წლის ოქტომბრის დამდეგს უაღრესად მძიმე სის-

[1] გაზეთი „აჭარა", 1995 წლის 9 მაისი.

ხლისმღვრელი ბრძოლები დაიწყო უნგრეთის ტერიტორიაზე, ბუდაპეშტის მიმართულებით. მიხეილი სირაძე 910-ე მსროლელი ლეგიონის პირველ ათასეულში იბრძოდა. ათასეულმა მდინარე ტისა გადალახა და მის მარჯვენა ნაპირზე, 3-5 კილომეტრის სიღრმეში პლაცდარმი დაიკავა. 10 ოქტომბრის 6 საათზე ფაშისტების დიდი ძალები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. ათასეულის პირისპირ 12 ტანკი და დიდძალი ქვეითი ნაწილი აღმოჩნდა, რომელსაც მხარს უჭერდა ავიაცია. ჩვენი დივიზიის ტანკსაწინააღმდეგო არტილერია ჯერ კიდევ არ გამოსულიყო საბრძოლო პოზიციებზე და კბილებამდე შეიარაღებული მოწინააღმდეგის მთელი დარტყმის მოგერიება მხოლოდ მსროლელ ნაწილებს მოუხდათ. ეს იყო მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა–ორი დღის ბრძოლების შემდეგ ათასეულიდან 12 კაცი დარჩა. მაგრამ მტერმა მაინც ვერ მიაღწია დასახულ მიზანს და მამაცი მებრძოლები ტისას მარცხენა ნაწილზე დაკავებული პლაცდარმიდან ვერ უკუაგდო. ამ ბრძოლაში მიხეილ სირაძე მძიმედ დაიჭრა. იგი ბრძოლის ველიდან ძლივს გაიყვანეს და საველე ჰოსპიტალში მოათავსეს. აქ მძიმე ოპერაცია გაუკეთეს, ჯერ რუმინეთის ქალაქ არადაში, შემდეგ კრასნოდარში მკურნალობდა.[1]

ომის დამთავრების შემდეგ მ. სირაძე სამხედრო სამსახურს განაგრძობდა ახალციხესა და ახალქალაქში. 1949-1954 წლებში მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახური განაგრძო ანაპის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ლეგიონის მეთაურის მოადგილედ, მაიორის წოდებით.

1956 წელს ქართული დივიზიის დაშლის შემდეგ მ. სირაძე გაგზავნეს ყაზანში დისლოცირებული 96-ე მექანიზირებულ მსროლელ დივიზიაში. იქვე მიანიჭეს პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნეს. 1960 წელს მიხეილ სირაძე დააწინაურეს უფის გარნიზონის სპეცნაწილების პოლიტგანყოფილების

[1] შუიდობაძე, საგ. სტ. „ომის გზაზე,“ გაზ. „აჭარა,“ 1995 წლის 9 მაისი.

უფროსად. 1962 წელს მ. სირაძე თადარიგში გაეიდა. ომგადახდილი ოთხი საბრძოლო ორდენით და მრავალი საბრძოლო მედლით მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა. იგი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. იყო საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწე, შემდეგ ბათუმის ერთ-ერთი საწარმოს დირექტორი და ტრესტის მმართველი. მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განყოფილების გამგედ და ლექტორად.

ფაშისტებთან ომში და მშვიდობიან პერიოდში ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო **ტატიანა სირაძემ**. იგი ოზურგეთის სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრებისთანავე 1941 წლის 26 ივნისს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და ჩარიცხეს მე-9 სამთომსროლელ დივიზიაში სამედიცინო-სანიტარული ნაწილის უფროსი ექთნის თანამდებობაზე.

ტ. სირაძე აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის დაცვისა და უკრაინის განთავისუფლებისათვის, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და გერმანიაში წარმოებულ ბრძოლებში. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე აქტიური მონაწილეობისათვის ტ. სირაძე დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელვარსკვლავის ორდენებითა და მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის," ასევე ბრძოლების ცალკეულ ოპერაციებში გამოჩენილ მამაცობისათვის მიღებული აქვს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის არაერთი მადლობა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შემდეგ ტატიანა სირაძემ დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, წლების განმავლობაში მუშაობდა ქობულეთის სანატორიუმ "თოლიაში" ექიმ ორდინატორად: განყოფილების გამგედ, შემდეგ კი სანატორიუმის მთავარი ექიმის თანამდებობაზე.

მშვიდობიან პერიოდში ჯანმრთელობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშობისათვის ტ. სირაძე დაჯილდოებული იქნა ხალხთა მეგობრორის ორდენით მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა ქვეყანასთან უშუალოდ ომის გაჩაღებამდე არაერთ ქართველს მოუხდა ფინელებთან 1939–1940 წლების სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობა, ამათგან ერთ-ერთი ბათუმელი მაკარ სიორაძე იყო.

მაკარ სიორაძე არმიის რიგებში რომ წავიდა, მაშინ იგი ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. არმიაში ახალგაწვეულს მოუწია ფინელებთან ომში მონაწილეობა და განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მას მოუხდა ფინეთის "მანერჰეიმის" გამაგრებულ ადგილებში მძიმე ბრძოლების გადატანა. ცნობილია, რომ ამ "აუღებელი" ზღუდის წარმატებით გადალახვამ აიძულა ფინეთი, როგორც დამარცხებული ამ დაზავებაზე დათანხმებულიყო.

ფინეთთან ომში გამოცდილ მ. სიორაძეს ფაშისტურ გერმანიის მიერ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ წამოწყებულ ომმა მოუსწრო ქ. ბელცაში. მონაწილეობდა ოდესის, სტალინგრადის კენინსბერგის ბრძოლებში, მისი საბრძოლო დამსახურება აღინიშნა არა ერთი საბრძოლო ჯილდოთი და უმაღლეს მთავარსარდლის მადლობებით.

მაკარ სიორაძემ ომის შემდგომ დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი, რის შემდეგ მთელი მისი ცხოვრების წლები ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს მოახმარა.

ბათუმის სამხედრო კომისარიატმა 1938 წელს სამხედრო რიგებში გაიწვია **შოთა სიხარულიძე**. იგი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში ღებულობდა მონაწილეობას 1941 წლის 5 დეკემბრიდან 1942 წლის 11 აგვისტომდე სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე, ბელარუსიის მესამე ფრონტზე-1944 წლის 11 ოქტომბრიდან.

უფროსი ლეიტენანტი შოთა სიხარულიძე მსახურობდა რა 44-ე ნაღმტყორცნი პოლკის ბატარეის მეთაურად, 1944 წლის 16 ოქტომბერს ლანკოიმკის უბანზე მოწინააღმდეგის დაცვის ხაზის გარღვევისას სარდლობამ მისცა, მტრის №32-33 სანგრების პირველი ხაზის დანგრევის ბრძანება, რომელიც მამაცმა ოფიცერმა წარმატებით შეასრულა და სანგრების პირველი ხაზი ზუსტი და სწორი დამიზნებით რამდენიმე ადგილას აა-

ფეთქა.

იმავე დღეს შ. სიხარულიძემ ბატარეის ცეცხლით მოიგერია მოწინააღმდეგის ქვეითთა ორი ოცეულის კონტრშეტევა და დაანგრია 3 სანგარი. 1944 წლის 18 ოქტომბერს პირველად გადაჭრა გერმანიასთან სახელმწიფო საზღვარი №125-126 სასაზღვრო სადარაჯოს რაიონში.

გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის შ. სიხარულიძე 44-ე ნაღმტყორცნი ბრიგადის 1944 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებით შ. სიხარულიძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის მიერ წამოწყებულ ომში აქტიურად მონაწილეობდა სოფელ ახალშენის მკვიდრი **შაქრო (შაქირი) სურმანიძე**. იგი ბათუმის რაიონის სამხედრო კომისარიატმა ფრონტზე გაიწვია ომის დაწყებისთანავე, აჭარაში პირველი საყოველთაო მობილიზაციის დროს.

შ. თურმანიძე მოკლევადიანი სამხედრო გადამზადების შემდეგ ფრონტზე გაგზავნეს და ჩარიცხეს 33-ე მსროლელი პოლკის მებრძოლთა რიგებში. მას ამ პოლკის შემადგენლობაში არა ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება მოუხდა მტერთან.

შ. სურმანიძისათვის ომის ფრონტებზე გადატანილ საბრძოლო ოპერაციებიდან ყველაზე რთული და მძიმე იყო ქერჩის ბრძოლა. აქ იგი მძიმედ დაიჭრა. ბრძოლაში მიღებული ჭრილობა ისე მძიმე აღმოჩნდა, რომ სამხედრო ჰოსპიტალში ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ცნობილი იქნა როგორც ომის ინვალიდი და დემობილიზებული იქნა სამხედრო რიგებიდან (1943 წლის 30 იანვარს).

შ. სურმანიძე სამხედრო დემობილიზაციის შემდეგ დაუბრუნდა სოფელს და ჩვეული ფრონტული შემართებით, თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა შრომაში და ოჯახის სიყ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 687572, საქ. 1638, ფურც. 31.

ვარულში. თავის მეუღლე მერიემთან ერთად ქვეყანას აღუზარდა 10 შვილი.

ომგადახდილი, ბრძოლებში ორდენითა და საბრძოლო მედლებით დაჯილდოებული, ღირსეული და ყველგან ყველაფერში დაფასებული შ. სურმანიძე გარდაიცვალა 1999 წელს. დღეს მისეულ ცხოვრების კვალს აგრძელებენ მისი მრავალრიცხოვანი შთამომაყლობა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში **აგრაფინა და ბიქტორ ტაბაღუების ოჯახიდან სამი შვილი–მიშა (მიხეილი), ვარლამი და შოთა ტაბაღუები** ღებულობდნენ მონაწილეობას. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებისთანავე, ბათუმის სამხედრო კომისარიატმა ტაბაღუების ოჯახიდან უფროსი შვილები **მიხეილი (მიშა) და ვარლამი** გაიწვიეს ომის ფრონტებზე. მიხეილი კავკასიის დაცვის ბრძოლებში ღებულობდა მონაწილეობას. ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ფაშისტურ გერმანიასთან ომის დასაწყის'შივე, ერთობლივად ჩაება გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და განსაკ'უთრებით საოცარი სიმტკიცე, ერთიანობა, სამაგალითო გმირობა გამოიჩინეს კავკასიის დაცვის ბრძოლებში. კავკასიის დაცვის ბრძოლის პერიოდში (1942-1943 წ.წ.) საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთის სოფლებში: ფსოუ, გეანდარა, სოტააპი, საკენი, კავკასიონის მთაგრეხილებზე (გადასასვლელებზე: მარუხი–გულრიფშის რაიონი, დოუსი-ბზიფის ქედზე სოხ'უმის რაიონი, სანჩარო–სოხ'უმის რაიონი, ქლუხორი აფხაზეთის კავკასიონზე, ლაბა-სოხ'უმის რაიონი, ანჩხა–გუდაუთის რაიონი, ბეჩო–მესტიის რაიონი, სვანეთის კავკასიონზე).

სწორედ ამ ქართული მიწების დაცვას შეეწირა ფაშისტურ ტყვიას გმირი დამცველი **მიხეილი (მიშა)** ტაბაღუა, როგორც ათასობით სხვა ქართველს, რომლებსაც გვარის გამგრძელებლებიც არ დარჩენიათ, ალბათ, დარჩათ მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წუთებში ქართულად წარმოთქმული სიტყვები „ვაი დედა."

ომის მეტად მძიმე დღეები განელო **ვარლამ ტაბაღუამ,** იგი

ომის მთელ პერიოდში იბრძოდა მე-8-ე გვარდიული ბომბდამშენი საავიაციო დივიზიის შემადგენლობაში მსროლელ-რადისტად. მისი ბომბდამშენი ჯერ ქ. სერპუხოვის აეროდრომიდან ბომბებს უშენდა და ანადგურებდა მტრის სტრატეგიულ ობიექტებს, ხოლო ომის ბოლო პერიოდში საავიაციო დივიზიამ მძიმე ბრძოლები გადაიტანა პოლონეთის მიწა-ზე, პოლონეთის აეროდრომიდან ბომბავდა თვით ომის გამჩაღებლის სტრატეგიულ ობიექტებსა და ფრონტზე მყოფ ცოცხალ ძალებს.

საბრძოლო დავალებათა შესრულებისა და მტრის სტრატეგიული ობიექტების დაბომბვის დროს გამოჩენილი საზრიანი და გაბედული მოქმედებისათვის ვარლამ ტაბაღუა დაჯილდოებული იყო არაერთი საბრძოლო ორდენით და მედლით. ქეყნის ეროგული შეილის – ვარლამ ტაბაღუას ომის ფრონტებზე საგმირო საქმეებზე ნათლად მეტყველებს მისი ოჯახის არქივში დაცული ომის დროინდელი დოკუმენტი, გაცემული 224-ე გვარდიული წითელდროშოვანი პოლკის შტაბის უფროსის გვარდიის პოლკოვნიკი ტრიუნტოვის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ცნობით, სადაც ვკითხულობთ: "მიეცა რადისტელეგრაფისტს გვარდიის სერჟანტს ვ. ვ. ტაბაღუას, მასზედ, რომ სამამულო ომის პერიოდში მას უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მიერ გამოცხადებული აქვს მადლობები:

1. 1944 წლის 3 ივლისის ბრძანებით ქ. მინსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

2. 1944 წლის 28 ივლისის ბრძანებით ქ. ბრესტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

3. 1945 წლის 13 თებერვალს №277 ბრძანებით ბუდაპეშტის დაუფლების ბრძოლებში წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

4. 1945 წლის 30 მარტის №319 ბრძანებით ქალაქისა და სიმაგრე დანციგის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში წარ-

მატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

5. 1945 წლის 21 აპრილის №333 ბრძანებით ქალაქის და სიმაგრის კენინსბერგის ბრძოლებში წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

6. 1945 წლის 23 აპრილის №339 ბრძანებით ბერლინზე შეტევით ბრძოლებში გერმანელთა თავდაცვის გარღვევის წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

7. 1945 წლის 2 მაისის №369 ბრძანებით გერმანიის დედაქალაქის, გერმანიის იმპერიალიზმისა და ფაშისტური აგრესიის ცენტრის–ბერლინის დაუფლებისათვის ბრძოლებში წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

8. 1945 წლის 5 მაისის №362 ბრძანებით პორტის და სამხედრო-საზღვაო ბაზის–სვინემონდეს დაუფლებისათვის ბრძოლებში წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის.[1]

ომის დროს ვარლამ ტაბაღუას არაერთი ჭრილობა ჰქონდა მიღებული სხვადასხვა საბრძოლო დავალების შესრულების დროს, რომელიც ომის შემდეგაც ხშირად შეახსენებდა თავს.

ომის შემდეგ ვარლამ ტაბაღუა უბრუნდება ბათუმს და მუშაობს სხვადასხვა მსხვილ საწარმოებში–ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში და ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის სამმართველოში. ყოველთვის იგი საპასუხისმგებლო სამუშაოებზე მუშაობდა და მებრძოლი შემართებით აკეთებდა საზოგადოების და საქვეყნო საქმეს. რისთვისაც იგი ყოველთვის და ყველგან იმსახურებდა პატივისცემას და დიდ ავტორიტეტს.

დღეს ნაბრძოლ–ნაღვაწ ღირსეული ბათუმელის – ვარლამ ტაბაღუას საფლავზე ხშირად ნახავთ მისი ქალიშვილების – ნინას და კლარას, მიერ მიტანილ ყვავილებს. მძიმე ომგადახდილი, ოჯახის მოსიყვარულე მამა ჭეშმარიტად იმსახურებს ამას.

---

[1] ვ. ტაბაღუას ოჯახის არქივი, 224-ე ბომბდამშენი გვარდიული წითელდროშოვანი პოლკის ცნობა.

ბიქტორ ტაბაღუას ოჯახიდან კიდევ ერთმა, მესამე შვილმა –შოთა ტაბაღუამ გმირობისა და მამაცობის მაგალითები უჩვენა ომის ფრონტზე, იგი ომის დაწყებიდანვე წავიდა გერმანელი ფაშისტები წინააღმდეგ საბრძოლველად. შოთა ტაბაღუა შეუპოვრად და გაბედულად იბრძოდა ფეხოსანთა ათასეულში, ბრძოლებით გაიარა კავკასიის დაცვის მძიმე ბრძოლები, შემდგომ მისი ათასეული მოსვენებას არ აძლევდა უკან დახეულ მტერს, ყირიმამდე მიყვა მათ, ყირიმში კი მან გაბედული და საზრიანი საბრძოლო მაგალითი უჩვენა. აი რას მოგვითხრობს მასზე ქალაქ პოდოლსკში სამხედრო არქივში დაცული დოკუმენტები, „1943 წლის 10 იანვარს, სევასტოპოლის მახლობლად ხუტორ ბეზიამინთან მტრის ქვეითთა ნაწილის ჭარბი ძალები კონტრრშეტევაზე გადმოვიდა, იმ ადგილზე მხოლოდ მსროლელი ათასეულის დაზვერვაზე მყოფი 3 მებრძოლი იმყოფებოდა, გაბედულმა რიგით მებრძოლმა შოთა ტაბაღუამ ავტომატით ხელში თავისი ათეულის 2 მეავტომატე მებრძოლთან ერთად წინ აღუდგა მტრის მეტად ჭარბ ძალებს,.. კარგად შენიღბულმა მებრძოლებმა ახლო მოუშვეს მტერი და ავტომატების მასიური ცეცხლით შეაჩერეს მტრის შემოტევა და შემდგომ მათი უკან გაბრუნება. ამ საბრძოლო ოპერაციის დროს მებრძოლმა შოთა ტაბაღუამ პირადი ავტომატით მოსპო ოცდაორი გერმანელი ოკუპანტი“.[1]

შოთა ტაბაღუა ამ გაბედული მოქმედებისათვის სამხედრო სარდლობამ დააჯილდოვა “წითელი ვარსკვლავის ორდენით“.

ომის დამთავრების შემდეგ ომგადახდილი შ. ტაბაღუა ორდენებითა და საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა ოჯახს. ომის შემდეგ მას ხშირად შეახსენებდა ომში მიღებული ჭრილობები, მაგრამ იგი ფრონტული შემართებით იტანდა, შრომობდა და დიდი სიყვარულით ზრდიდა შვილებსა და შვილიშვილებს.

---

[1] პოდოლსკის სამხედრო არქივის, ათასეულის საარქივო ფონდი; გაზ. განახლებული აბაშა, 1989 წელი 30 მარტი.

ომგადახდილი შ. ტაბაღუა 80 წელს გადაცილებული, ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან, დღეს მის მრავალსულიან ოჯახში მის სახელს ატარებს მისი პატარა შვილიშვილი შოთიკო (შოთა) ტაბაღუა, ცხოვრება გრძელდება.

გერმანელი ფაშისტების მიერ წამოწყებულ მეორე მსოფლიო ომში აქტიურად იბრძოდნენ ნადია და თეოფანე ტაბაღუების ოჯახიდან ორივე ვაჟი **კარლო და სერგო ტაბაღუები.** უფროსი **კარლო ტაბაღუა** სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1942 წლის ივნისში, აგვისტოში სამხედრო მომზადება გაიარა მოსკოვის გარეუბანში.

1942 წლის 13 ივლისს იგი მშობლებს ატყობინებდა: "ახლა მოსკოვში ვართ, მომზადებას გავდივართ, როგორც ჩანს, აქ დიდხანს არ დავრჩებით, მალე ფრონტზე გაგვგზანიან... ამის არ მეშინია, რაც სხვისთვის იქნება, ის იქნება ჩემთვის... ჩემზე არ იდარდოთ." 12 აგვისტოს გამოგზავნილ წერილში იგი მშობლებს წერდა: "ჯერჯერობით არაფერი მიჭირს, 15 დღე ვიყავი მოსკოვის ახლოს ქ. ჩეხოვსკაიაში, 10 აგვისტოს ისევ გადმოგვიყვანეს მოსკოვში, ჯერ ფრონტზე არ გავყავართ, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ დიდხანს არ დაგვტოვებენ."

1942 წლის 11 სექტემბერს კარლო ტაბაღუა მშობლებს წერს მოსკოვიდან კიდევ ერთ წერილს: "სალამი, ჩემო ძვირფასო მშობლებო, მე ფრონტზე მივდივარ, თქვენ კარგად იყავით, თუ ცოცხალი გადავრჩი და თქვენ დამხვდით ეს იქნება ჩემი ბედნიერება, სხვა, დედა, სერიოჟა (სერგო – რედ.) მოეწყო უმაღლესში, თუ ფრონტზეა, დედა! შენ ფეხი რომ გტკიოდა, ეხლა რას გიშვება?.. როგორაა ჩვენების – ფრონტზე გაწვეულების – ბიძია ვანიჩკას (ვანოს), მამიდაშვილბიძაშვილების, შალიკოს (შალვა), გალაქტიონის, ბიჭუტის, ალიოშა შალამბერიძეების, მიშა (მიხაილი), ვარლამი, შოთა ტაბაღუების საქმეები. მათი წერილები თუ მოდის ფრონტებიდან,.. მოკითხვა გადაეცით უახლოეს ნათესავებს შალიკო ქურთელიას, სარდიონ გრიგორიას, გრიშა-ჟორა კოხრელიძეების ოჯახებს, მეზობლებს ქსენია – ბონდოს, ქსენია – მიხაკოს, ასათიანებს, გრიგოლიების, კორძაიების ოჯახებს,..

თქვენი კარლო."

ალბათ, ეს წერილი იყო ბოლო და გამოსათხოვარი, მისგან მეტი წერილი ოჯახს არ მიუღია.

როგორც შემდგომ რუსეთის ქ. პოდოლსკის სამხედრო არქივში დაცული ომის დროინდელი დოკუმენტებიდან ირკვევა 64-ე ქვეითი მსროლელი პოლკი, სადაც რიგითი მებრძოლი კარლო ტაბაღუა მსახურობდა, 1942 წელს გადაიყვანეს ფსკოვის ოლქის, ველიკიე ლუკის რაიონში, სადაც გამოზამთრებას აპირებდა მოსკოვის მისადგომებთან დამარცხებული, უკან დახეული მტერი, რათა გაზაფხულისათვის კვლავ მოსკოვის მიმართულებით საბრძოლო ოპერაციები განეახლებინათ. ამ გეგმის მისაღწევად გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს მათ ხელში არსებულ ყველა რესურსს. ველიკიე ლუკი გერმანელებმა აქციე მიუვალ ციხესიმაგრედ, იმჟამინდელ ამერიკის "ასოშეიტ პრესის" სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი წერდა „Немцы ïàåÂàÀpèëë Великие Луки в одну из основных крепостей, которая была укреплена с применением всех a‹byabŵj и упорно защищались".[1]

როგორც ცნობილია, ველიკიე ლუკში გადის მოსკოვ-რჟევ-რიგის რკინიგზის მთავარი მაგისტრალი, ამიტომ ველიკიე ლუკის მტრის დაჯგუფების განადგურებას ამ რაიონის მტრისაგან განთავისუფლებას ქვეყნისათვის ჰქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

საბჭოთა არმიის სარდლობამ ადრე ზაფხულში დაგეგმა ზამთრის დაწყებისთანავე ომის მთელ ფრონტზე ზამთრის დიდი საბრძოლო ოპერაციები და განსაკუთრებით ეს შეეხებოდა ველიკიე ლუკის რაიონს. როგორც ჩანს, საბჭოთა სამხედრო სარდლობის ეს გეგმა ცნობილი გახდა გერმანიის სამხედრო დაზვერვისათვის. გერმანიის სარდლობამ დაიწყო ისედაც გამაგრებულ ველიკიე ლუკის რაიონში დამატებითი ძალების თავმოყრა, 1942 წლის მეორე ნახევარსა და ნოემბრის პირველ ნახევარში ლენინგრადის მისადგომებიდან გად-

[1] П. Е. Иванова „Великие Луки" 1968 გვ. 81.

მოიყვანეს ბრძოლებში გამოცდილი მოტორიზებული და ქვეითი სატანკო დივიზიები.[1]

ფსკოვის ოლქის ველიკიე ლუკის რაიონში თავმოყრილ გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ველიკიე ლუკის განთავისუფლებისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლები დაიწყო 1942 ლის 25 ნოემბერს და იგი გრძელდებოდა 1943 წლის 17 იანვრამდე, 55 დღე და ღამე.

როგორც რუსეთის ქ. პოდოლსკის სამხედრო არქივისა და ქ. ველიკიე ლუკის სამხედრო კომისარიატის ომის პერიოდის დოკუმენტებით ირკვევა, 64-ე ქვეითი პოლკი, სადაც ქართველი მებრძოლი კ. ტაბაღუა მსახურობდა, სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა ველიკიე ლუკიდან ახლო 13 კმ მდებარე სოფ. კუპუიში განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სოფ. კუპუისათვის და საერთოდ ველიკიე ლუკისათვის ბრძოლა იოლი როდი იყო. ბრძოლის ველზე შეპყრობილი ტყვეები ამბობდნენ, ნაბრძანები ჰქონდათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, უნდა შეენარჩუნებინათ დაკავებული პოზიციები და მართლაც, გააფთრებით იცავდნენ თავს, მაგრამ მტრის წინააღმდეგობა იმსხვრეოდა, სოფელი ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, გამარჯვება მაინც ჩვენ მეომრებს ხვდათ წილად, სოფლიდან მტერი გარეკილი იქნა, მაგრამ უზომოდ დიდი მსხვერპლის ფასად. ამ პატარა სოფლისთვის საბრძოლო ოპერაციებში დაიღუპა 1200 ქვეყნის გმირი დამცველი, ამაზე ბევრად მეტი – გერმანელი ფაშისტი.

დღეს რუსეთის ამ შორეულ მხარეში-ფსკოვის ოლქის, ველიკიე ლუკის სოფ. კუპუიში აღმართულია 12 მეტრი სიმაღლის ძეგლი წარწერით „Память Героям Защитникам Родины“. აქ ძმათა სასაფლაოზე ჩამწკრივებულია ფაქიზად შესრულებული მემორიალური დაფები სოფლის განთავისუფლებისათვის 1200 დაღუპულთა ოქროს ასოებით წარწერიანი გვარ-სახელები, ამ მებრძოლთა შორის 18 ქართველის გვარი იკითხება, მათ შორის კი კარლო ტაბაღუას გვარი და სახელი...

---

[1] სსრკ დიდი სამამულო ომი, ტ. 3, გვ. 15.

სოფ კუპუის ბრძოლებში გმირულად დაღუპული კარლო ტაბაღუას დაღუპვიდან, სულ რაღაც რამდენიმე დღეში, გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში ებმება კარლოს უმცროსი ძმა **სერგო ტაბაღუა.**

დამპყრობლების წინააღმდეგ ომში გაბედულ მეომართა შორის იყო ამ წიგნის თანაავტორი სერგო ტაბაღუა, რომელმაც ორ ათეულზე მეტი ნაშრომი ნარკვევი, სტატია, პუბლიკაცია მიუძღვნა ომის თემებს. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, მოსკოვის, პოდოლსკის სამხედრო არქივებში, მას ასობით ქართველ გმირთა საბრძოლო ეპიზოდი გამოუტანია დღის სინათლეზე, მაგრამ დღემდე პირადად არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია თავის თავზე, რადგან ამბობს: "ჩემთვის მეტად ძნელია იმ ქარცეცხლიანი დღეების გახსენება, მტრის ტყვიით გაგმირული თანამებრძოლი ბიჭების დასახიჩრებულ სახეების გახსენება, მით უმეტეს, უფრო ძნელია და უხერხულიც დაღუპულთა გვერდით თავის თავზე ფიქრი, წერა და წიგნში ფიქსირება." ამ მისიის შესრულება ვიკისრეთ ჩვენ (რ. რიჟვაძე – მთ. რედაქტორი), საჭირო მასალები მოვიკვლიეთ სახელმწიფო და საუწყებო არქივებში და თვით სერგო ტაბაღუას პირად არქივში, რასაც ვაქვეყნებთ წინამდებარე წიგნში.

1941 წელს, როცა ფაშისტურმა გერმანიამ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი დაიწყო, სერგო ტაბაღუა მხოლოდ მე-10 კლასის მოსწავლე იყო. 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა სკოლა და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხა, მან სწავლის გაგრძელების მაგივრად ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა, იგი 1943 წლის იანვრიდან, ომის დამთავრებამდე (1945 წლის 9 მაისი) მოქმედ არმიაში, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. ომის დამთავრების შემდეგაც, კიდევ სამი წელი მოუხდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა. რიგითი ჯარისკაცის – სერგო ტაბაღუას გრძელი ფრონტული გზა განსაკუთრებით გამოირჩევა კავკასიის დაცვითი ბრძოლებით – სტანცია ლაზარევსკაიას,

ყირიმი – ქერჩის და სიმფეროპოლის, ბელორუსიაში – ვიტებსკის, პოლონეთში – პოზნანის, გერმანიაში – ოდერ-კიუსტრინის და ბერლინის აღების ბრძოლებით.

მთელი ომის პერიოდში რიგითი მებრძოლი სერგო ტაბაღუა 734 ცალკე მსხვილკალიბრიან (85 მილიმეტრიან) საარტილერიო პოლკში მსახურობდა და ქვემეხის ცეცხლით უმასპინძლდებოდა ჰიტლერის მიერ წამოწყებულ უსამართლო ომის გამჩაღებლებს.

სერგო ტაბაღუამ პირველი საბრძოლო ნათლობა სტანცია ლაზარევსკაიაში მიიღო. 1943 წლის იანვარ–თებერვალში ტუაფსესთან და კავკასიის უღელტეხილებთან წინ გამოჭრილი მტერი მიისწრაფოდა, რათა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელთ ეგდო კავკასიის მთავარი უღელტეხილები და შემდგომ განევითარებინა ბრძოლები ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლებში სტანცია ლაზარევსკაიადან მარაგდებოდა ძირითადად კავკასიის საუღელტეხილო ადგილებში, თოფლსა და ყინვაში გამაგრებული ჩვენი გმირი დამცველები – ცოცხალი ძალებით, საბრძოლო ტექნიკით და სურსათ-სანოვაგით. აქ კავკასიის მთის კალთებიდან ზღვის პირა ზოლის ტერიტორიის მცირე მონაკვეთზე თავმოყრილი იყო უამრავი სარეზერვო ჯარების ნაწილი, სამხედრო ტექნიკა და სურსათ–სანოვაგე. ყოველივე ამას მტრის თვითმფრინავებისაგან დაცვა სჭირდებოდა, მხოლოდ საარტილერიო ძალებს შეეძლო უზრუნველეყო კავკასიის ფრონტის წინა ხაზის ცოცხალი ძალებით შევსება, საბრძოლო ტექნიკითა და სურსათ სანოვაგით მომარაგების უსაფრთხოება.

კავკასიის დაცვით ბრძოლებში სტრატეგიულად ისეთ მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიც სტანცია ლაზარევსკაია იყო, გერმანელებს სისტემატიური იერიში მიქონდათ მძიმე ბომბდამშენ "იუნკერებით" და მოიერიშე გამანადგურებელი "მესერშმიტებით". მტრის ამ საჰაერო ძალებს მასიურ ცეცხლს უშენდა საზენიტო საარტილერიო პოლკის ქვემეხები და საშუალებას არ აძლევდა მათ ბომბები ჩამოეყარათ ჩვენი სარეზერვო ჯარების თუ საუღელტეხილო გადასასვლელების

მიმართულებით. "ხშირი იყო შემთხვევები, – იხსენებს ფრონტელი სერგო ტაბაღუა, – როცა მტრის მფრინავები საზენიტო არტილერიის ქვემეხების მასიური ცეცხლის გამო თავიანთ ბომბებს ჩვენი ჯარის განლაგების ნაცვლად, უკან გაბრუნებულები უთავბოლოდ ზღვაში ჰყრიდნენ".

კავკასიის დაცვითი ბრძოლების შემდეგ 734-ე პოლკი უკან დახეულ მტერს კვალდაკვალ მისდევდა: როცა ყუბანის ვაკეზე გავიდნენ, ბრძოლის მთელი სიმძიმე უფრო მეტად ფეხოსანთა, მოტომექანიზირებულ და სატანკო ნაწილებს დააწვა, საზენიტო არტილერიის საბრძოლო მოქმედება უფრო შემსუბუქდა, ამან კი საშუალება მისცა ფრონტის სარდლობას საზენიტო არტილერიის ნაწილების შესვენებისა და შევსებისათვის.

734-ე საზენიტო ცალკე პოლკის დასვენების, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შევსების ადგილად ფრონტის სარდლობის ბრძანებით მიჩნეული იქნა ქ. კრასნოდარის გარეუბანი სოფ. პერვომაისკაია, მართალია, პოლკი ამ სოფელში შესასვენებლად იყო განლაგებული, მაგრამ დღე არ გავიდოდა, რომ გერმანელთა შორსმფრენი მძიმე ბომბდამშენების "იუნკერების" მოგერიება და მათთან ბრძოლა რომ არ მოწეოდათ.

734-ე საარტილერიო პოლკის ქ. კრასნოდარის გარეუბანში შევსება-"შესვენების" დროს ბატონ სერგოს ფრონტულ ცხოვრებაში მოულოდნელი რამ მოხდა. მას რუსეთის ამ შორეულ კუთხეში მოულოდნელად "ეწვია" ფრონტის სხვა მოქმედ მსროლელ დივიზიიდან რიგითი ჯარისკაცი, თანასოფლელი – თანაკლასელი ფრონტელი ტიტე (ტიტიკო) კომახიძე, ამ შეხვედრას ბატონი სერგო დიდი ინტერესით იხსენებს: „ტიტე განსაკუთრებით, მოხერხებულობით და ნიჭითაც გამოირჩეოდა თანაკლასელებს შორის, მისგან ყოველთვის რაღაც ახალს, თან საქმიანს ან სრულიად სასაცილო – მოსალხენს ველოდით, ამიტომ ქვემეხების ქუხილიდან ახალგამოსულს სულაც არ გამკვირებია ამ შორეულ ქვეყანაში და ისიც ფრონტიდან ახალგამოსულს მისი "სტუმრობა," ... მოვიკითხეთ ერთმანეთი, მოვიხსენიეთ გულისტკივილით თანაკლასელ აბესალომ ახობაძის დაღუპვის ამბავი, მოვიკითხეთ სხვა ფრონტე-

ლი დაღუპულები, დაჭრილი ნაცნობი თანასოფლელები, გავიხსენეთ ჩვენი ფრონტზე გამოცილებისას მოწყობილი თანასოფლელ და თანაკლასელ ყანიჩკას (ვანო) ოჯახში გამართული ვახშამ – შეხვედრები, საუბრისას ტიტემ მოულოდნელად მკითხა – მშობლებმა, თუ იციან შენი ძმის – კარლოს ფრონტზე დაღუპვის ამბავიო ... – მამამ კი, დედამ არა, – ვუპასუხე მე – ... ალბათ მამაჩემი დედას არ ეტყვის ომის დამთავრებამდე და ჩემი დაბრუნებამდე, თუ დავბრუნდი".

ტიტემ ამ პასუხზე, უხმოდ, მისთვის უჩვეულო დუმილით და ჩვეული მოხერხებულობით სადღაც ნაშოვი არაყის ბოთლი ზურგჩანთიდან ამოიღო ... მოვიხსენიეთ ომში დაღუპულ–დაჭრილ ნაცნობები, შინ დაბრუნება ვუსურვეთ და ცრემლმორეულები, ერთმანეთს უხმოდ დავცილდით, ფრონტზე ნახული საშინელების შემდეგ გადარჩენის არცთუ ისე დიდი იმედი არსებობდა..."

1943 წლის მიწურულს ფრონტის მოწინავე ნაწილებმა მთლიანად გაწმინდეს ყუბანის მთელი ტერიტორია. უკან დახეული მტერი ყირიმის ნახევარკუნძულზე გადავიდა. ყირიმში თავი მოიყარა გერმანიის და მისი მოკავშირეების სამხედრო ნაწილების დიდმა ძალებმა, აქ დაგროვდა სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობა, მტერმა ისედაც გამაგრებული ყირიმი მიუვალ ციხე სიმაგრედ აქცია.

კავკასიის, ყუბანისა და სტალინგრადის ისტორიული ბრძოლების შემდეგ ყირიმის განთავისუფლების ჯერი დადგა. ფრონტის მოწინავე ნაწილებმა დიდი ბრძოლებისა და დიდი დანაკარგების ფასად ყირიმში ყუბანიდან ქერჩის სრუტით მცირე–მცირე ჯგუფების სადესანტო ნაწილები გადასახეს, რომლებმაც ყირიმის მიწაზე თანდათანობით, მძიმე ბრძოლებით დაიკავეს შეტევითი ოპერაციების დასაწყებად ზღვისპირა სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი მცირე პლაცდარმი, დაიწყო ყირიმის გასათავისუფლებლად შეტევით ოპერაციების დიდი სამზადისი.

შეტევითი ოპერაციების მზადების პერიოდში გაიზარდა მოთხოვნილება საარტილერიო ნაწილებზე, პირველ რიგში კი

საზენიტო არტილერიაზე. ახლა ყირიმში 734-ე საზენიტო საარტილერიო პოლკის გადასხმის მომენტი დადგა.

ყირიმში მტერზე შეტევის ოპერაციის დაწყების წინ 734 საარტილერიო პოლკი ბოლო სადესანტო ნაწილი იყო. საზღვაო სადესანტო კატარღიდან ქერჩის ნახევარკუნძულზე პოლკის ბოლო ქვემეხი რომ ააგორეს, ფრონტის წინა ხაზი ისე ახლოს იყო, რომ მტრის შაშხანის ტყვიასაც მწყობრიდან გამოყავდა პოლკის პირადი შემადგენლობა და ტექნიკაც.

ასეთ პირობებში პოლკი დიდი პრობლემების წინაშე იდგა ჯერ ახლოს მდგომი მტრისაგან თავის თავი დაეცვა და ამასთან, უნდა შეესრულებინა სარდლობის ბრძანება—დაუყოვნებლივ მომზადებულიყო შეტევითი ოპერაციებისათვის. მებრძოლებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი დასმულ ამოცანებს.

1944 წლის 11 აპრილს დილის ხუთ საათზე ქერჩის პლაცდარმის ფრონტის მთელ ხაზზე დაიწყო დიდი საარტილერიო შეტევისთვის მზადება. გაიხსნა მასიური ცეცხლი. ამოქმედდა ს. ტაბაღუას 734 საარტილერიო პოლკის ქვემეხი, პოლკის ცალკეული ბატარეა, საბრძოლო დანადგარები მსხვილკალიბრიანი ქვემეხებით 15-კილოგრამიან ჭურვებს აყრიდნენ მტერს. 30-წუთიან საარტილერიო სროლის შემდეგ, მოიერიშე თვითმფრინავებმა, სატანკო ნაწილებმა შემუსრეს ქერჩის ციხე-სიმაგრის თაედაცვითი პოზიციები, მებრძოლმა ქვეითებმა "ურას" შეძახილებით, ქალაქის გარეუბანი დაიკავეს. ქერჩზე საარტილერიო მომზადება და შეტევითი ბრძოლები ისე სწრაფად და კარგად ორგანიზებულად განვითარდა, რომ ქალაქში განლაგებულმა მტრის მთავარმა ძალებმა ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედეს და ქალაქი თითქმის უბრძოლველად დატოვეს. ქალაქში გამთენიისას შეეჯა პოლკის მოწინავე დანაყოფი და უკან დახეულ მტერს კვალდაკვალ დაედევნა.

ქერჩის ბრძოლების შემდეგ 734-ე პოლკი ქ. სიმფეროპოლშია, აქ კი პოლკმა ბრძანება მიიღო, საარტილერიო ქვემეხები რკინიგზის ეშელონში სასწრაფოდ ჩაეტვირთათ და შორს ბელორუსიაში, ვიტებსკის რაიონში ალყაში მოქცეულ გერმანელთა მსხვილ დაჯგუფების განადგურებაში მიეღოთ მონაწი-

ლეობა. ბრძანების მიღების მესამე დღეს პოლკის პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ქვემეხი მუსრს ავლებდა ალყაში მოქცეულ მტრის ძალებს ბელორუსიაში, ვიტებსკის რაიონში.

გერმანელებთან მეტად მძიმე ხანგრძლივი ომი გრძელდებოდა, იგი დასრულების ფაზაში შედიოდა. 1945 წლის იანვრიდან ბრძოლები პოლონეთის განთავისუფლებისათვის მიმდინარეობდა, 25 იანვარს პირველ ბელორუსიის ფრონტის მოწინავე ნაწილებმა ალყაში მოაქციეს ქ. პოზნანის 60 ათასიანი მტრის დაჯგუფება. ალყაში ასეთი დიდი ძალის განადგურება მოითხოვდა დამატებით დიდ ძალებს. განსაკუთრებით საჭირო იყო საარტილერიო ქვედანაყოფები. როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა 734-ე ცალკე საარტილერიო საზენიტო პოლკის ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობაში შეყვანა და მისი გადასროლა პოლონეთის მიწაზე ქ. პოზნანის მისადგომებთან. ვიტებსკიდან-პოზნანში გადასვლას და იქ ბრძოლებს ასე იხსენებს სერგო ტაბაღუა – "1945 წლის იანვრის მეტად სუსხიანი, ოცგრადუსიანი ყინვიანი დღეა, მძიმე ქვემეხები ვიტებსკის რკინიგზის სადგურში სამხედრო ეშალონის რკინიგზის ღია ვაგონებში ჩავტვირთეთ. გეზი პოლონეთისაკენ ავიღეთ, მეორე დღეს ეშალონი პოლონეთის მიწაზეა, გვიან საღამოს გავიარეთ მტრის მიერ მიწასთან გასწორებული პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა. შემდგომ სამხედრო ეშალონი რკინიგზის სადგურებში თითქმის შეუჩერებლივ, დიდი სიჩქარით მიისწრაფვის ალყა-შემორტყმულ პოზნანისაკენ. მოულოდნელად ჰაერში სულ დაბალ სიმაღლეზე ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდა მტრის მოიერიშე თვითმფრინავ „მესერშმიტების" რამდენიმე ჯგუფი, პირველმა სამმა მოიერიშემ დაზვერვითი ჩამოქრილება განახორციელა, მეორე სამეულმა ცეცხლი გაგვიხსნა, მაშინვე ჩვენ, დიდი სიჩქარით მიმავალი ეშალონის ღია ვაგონებზე მაგრად დამაგრებული ქვემეხებიდან ცეცხლი გავხსენით, მალე გათამამებული მტრის ერთი თვითმფრინავი ჩვენი ქვემეხის ჯურვის აფეთქების ალში გაეხვია და იქვე ტყეში დაიფერფლა. მტერი მაინც თავისას არ იშლიდა, ცდილობდა, რადაც არ უნდა

დაჯდომოდა, სამხედრო ეშელონი მწყობრიდან გამოეყვანა, მტრის მოიერიშეთა და ბომბდამშენთა ახალი გუნდი გამოჩნდა, დადგა ჩვენი ეშელონის დაღუპვის გარდაუვალი წუთები, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, იმავე წუთებში ჰაერში საიდანღაც გამოჩნდა ჩვენი სახელგანთქმული "იაკების" სამეულთა გუნდი, მტერმა მათთან საჰაერო ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედა და უკანვე გაფრინდა... გადაურჩით, სამხედრო ეშელონი კვლავ დიდი სიჩქარით გზას პოზნანისაკენ განაგრძობს, თებერვლის გვიან ღამით ჩვენი სამხედრო ნაწილი უკვე პოზნანის მისადგომებთანაა, ქვემეხები ვაგონებიდან გადმოვაგორეთ, საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანეთ, გვიან ღამით, გამთენიის ხანს, უკვე ჩვენი ქვემეხები მასიურ ცეცხლს უშენდა პოზნანში ალყაში მოქცეულ მტრის განლაგებებს."

პოზნანის ბრძოლების შემდეგ სერგო ტაბაღუა გერმანიაში, ვარშავა-ბერლინის მთავარ გზაზე – მდინარე ოდერის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქ. კიუსტრინშია. იქ, სადაც მზადდებოდა მთავარი შეტევითი ოპერაციები გერმანიის დედაქალაქ ბერლინზე. აქ ბრძოლების შესახებ მეტად აღელვებული ყვება ომგადახდილი: "მთელი ომის მსელელობაში მომიხდა მრავალ საბრძოლო ოპერაციაში უშუალო მონაწილეობა, მაგრამ ბერლინის შეტევიტ ოპერაციებში მონაწილეობა იყო რაღაც განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული, მძიმე და საინტერესო.

1945 წლის 15 აპრილს მეტად გააქტიურდა გერმანელთა ავიაცია, მტერმა იგრძნო რა ბერლინზე მთავარი დარტყმების მოახლოება, მთელი საჰაერო ძალები ოდერზე, კიუსტრინის უბანში თავმოყრილი ჩვენი ძალების წინააღმდეგ მიმართა. აქ, მდ. ოდერის გადასასვლელ ვარშავა–ბერლინის მთავარ გზაზე, ქ. კიუსტრინში მტრის მრავალრიცხოვან ბომბდამშენებს და მოიერიშე გამანადგურებლებს ჩვენი საჰაერო ძალები დაუპირისპირდა, მთელი დღე მდ. ოდერის სანაპიროზე და ქალაქის თავზე ჰაერში ნამდვილი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლები მიმდინარეობდა, იყო წუთებიც, როცა ჩვენ საზენიტო ქვემეხებს საშუალება არ ჰქონდა მტრის თვითმფრინავი მი-

ზანში ამოიღო, რადგან ჩვენი გამანადგურებელი "იაკები" მათ "კუდში აჯდა," საშიში იყო, ქვემეხიდან გასროლით მტრის თვითმფრინავთან ერთად ჩვენი თვითმფრინავიც არ ჩამოგვეგდო. ასე მიილია ის დღე. გვიან საღამოს ბრძანება მივიღეთ, 16 აპრილს დილით ადრე დაიწყებოდა ბერლინზე დიდი შეტევითი ოპერაციები. მთელი ღამე ქვემეხთან გავატარეთ. ზუსტად დილის ხუთ საათზე დაიწყო ბერლინის მიმართულებით მძლავრი მასიური შეტევითი საარტილერიო მომზადება, მრავალ ათასი ქვემეხის, ნაღმტყორცნის, ლეგენდარული "კატიუშების" და მათ შორის ჩვენი 734-ე საარტილერიო პოლკის ქვემეხების გასროლისაგან თვალისმომჭრელად გასხივოსნდა მთელი არემარე. 30-წუთიანი მძლავრი, მასიური საარტილერიო სროლების შემდეგ, ჰაერში დაიკლაკნა ათობით ფერადი რაკეტა, ამ სიგნალზე აინთო ათობით პროჟექტორი, რომლებიც განლაგებული იყო ქ. კიურსტენის და მდინარე ოდერის სანაპიროზე ყოველ 200 მეტრზე, მათ შორის რამდენიმე პროჟექტორი განლაგებული იყო ჩვენი 734-ე საარტილერიო პოლკის საბრძოლო პოზიციაზე. დაიწყო ბერლინზე საერთო იერიში. პროჟექტორები ანათებდა ბრძოლის ველს, თვალს ჭრიდა მოწინააღმდეგეს, ხოლო ჩვენს ტანკებს, ქვეით ჯარს, სიბნელეში იერიშის ობიექტს უნათებდა. საერთოდ, იერიშის დაწყებისთანავე მთელი ფრონტის არტილერიამ, მათ შორის, ჩვენი საარტილერიო პოლკის ქვემეხებმა გააძლიერეს ცეცხლი მტრის პოზიციაზე. ქვეითებმა და ტანკებმა იერიშით გასწიეს წინ, გამთენიისას მოიერიშეთა მოწინავე ძალებმა გადალახეს მტრის პირველი პოზიცია და დაიწყო მეორე პოზიციის იერიში. მოწინააღმდეგეთა ჯარი პირდაპირ ჩაიძირა ცეცხლის ალში. ჰაერში აღიმართა მტვრის და კვამლის შეუვალი კედელი. პროჟექტორების მძლავრ სხივებსაც კი არ შეეძლო მასში გატანება. ყოველივე ეს მეტად მძიმე, მაგრამ საინტერესო და ძალზე შთამბეჭდავი სურათი იყო. ამას ჩემში დავიწყება არ უწერია."

ბერლინზე შეტევის დაწყების შემდეგ ფაშისტების დღეები დათვლილი იყო. 23–24 აპრილს ბელორუსიის I ფრონტის მო-

წინავე ნაწილები სპობდნენ ჰიტლერელებს ბერლინის მისადგომებთან. 30 აპრილს 14 საათზე აიღეს რაიხსტაგის ძირითადი ნაწილი, 1 მაისის დღის ბოლოსათვის რაიხსტაგის მთლიანი შენობა გაიწმინდა ჰიტლერელებისაგან. 9 მაისს, 0 საათსა და 43 წუთზე, გერმანიის სახელით, გენერალ ფელდმარშალ კაიტალმა ხელი მოაწერა. გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციას.

1945 წლის 9 მაისის ღამეს 65 წლის შემდეგ ბატონი სერგო ტაბაღუა ასე იხსენებს: „9 მაისის ღამეს, ჩვეულებრივ, მთელი პოლკის შემადგენლობა კვლავ საბრძოლო მზადყოფნაშია, მტრის თვითმფრინავების თუ ჯარის სხვა სახეობის ძალების თავდასხმის მოლოდინში, უცებ გაისმა საბრძოლო განგაში, ქვემეხები საბრძოლველად გავამზადეთ, ისმის ბატარეის მეთაურის უჩვეულო გაოგნებული ყვირილის ხმა, ბრძანების ფორმით მოწოდება "ცეცხლი, ცეცხლი!, ურაა, ურაა, ჩვენ გავიმარჯვეთ," ამ "ბრძანებაზე" აჭუხდა ჩვენი მრავალ ბრძოლაში გამოცდილი ქვემეხები, ახლა მისი ჭურვები სკდება გერმანიის ცაში, ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად ვისროდით მტერთან საბრძოლველად წინასწარ მომზადებულ ბოლო ჭურვებს. დილით ადრე ქვემეხების მიწურებში გამარჯვების საზეიმო საუზმე მოგვიტანეს, ჯარისკაცის საცელე სუფრას არც გერმანული არაყი და ბავარიული ლუდი აკლდა. 9 მაისს, გვიან დილით, პირველად მრავალწლიანი ომის მსვლელობის შემდეგ, უსაფრთხო ძილის საშუალება მოგვეცა. ამ დღესაც ჩემში დავიწყება არ უწერია."

დიდი ომი დამთავრდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერგო ტაბაღუას სამხედრო სამსახურში ყოფნა კიდევ სამი წელი მოუხდა, აქედან ერთი წელი გერმანიაში, ბერლინის გარეუბანში, ხოლო ორი წელი – აზეირბაიჯანში, კასპიის ზღვის კუნძულ ნარგენზე იმსახურა.

1948 წელს ს. ტაბაღუა სამხედროდან დემობილიზებული იქნა, იმავე წელს მან ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო უმაღლესი ცოდნის მიღება, ინსტიტუტი 1952 წელს დაამთავრა. 1952–1954 წლებში მუშაობდა ბათუმის №3 საქალაქო

ბიბლიოთეკის გამგედ, ხოლო 1954 წლიდან უწყვეტი 60 წელი იმუშავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, აქედან ორ ათეულ წელზე მეტი – დირექტორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

სერგო ტაბაღუა არქივში თუ უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის კვალდაკვალ ეწევა ღრმა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მან 1974 წელს წარმატებით დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ისტორიის მეცნიერებაში, სამეცნიერო-საკანდიდატო დისერტაცია, 1975-1990 წლებში მოამზადა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა.

1983 წლის 10 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, სერგო ტაბაღუა შეყვანილი იქნა საქართველოს შრომითი კოლექტივების ისტორიის პრობლემების კვლევის სამეცნიერო საკორდინაციო საბჭოს წევრად, 1991 წლის 5 აპრილს კი საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილ "ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელ ასოციაციაში" ინდივიდუალურ წევრად. სერგო ტაბაღუას გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, ხუთი მონოგრაფია, ათობით საგაზეთო სტატია და პუბლიკაცია, იგი თანაავტორია აჭარის ისტორიის ოთხტომეულის – IV ტომისა და წინამდებარე წიგნის – "აჭარა II მსოფლიო ომის პერიოდში".

სერგო ტაბაღუა სამეცნიერო–კვლევით მუშაობას კარგად უთავსებს უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ მუშაობას – კითხულობს საქართველოს ისტორიას, მსოფლიოს და ეროვნული კულტურის ისტორიას, ასევე, არქივში მრავალწლიანი მუშაობის პრაქტიკას კარგად იყენებს, რომ წაუკითხოს სტუდენტებს ლექციების კურსი წყაროთმცოდნეობაში, არქივმცოდნეობაში.

სერგო ტაბაღუას საბრძოლო და შრომითი აქტივობა აღინიშნა არა ერთი სახელმწიფო საბრძოლო თუ შრომითი ჯილდოებით, იგი დაჯილდოებულია 10-ზე მეტი საბრძოლო ორდე-

ნითა და მედლით, მათ შორის, საბრძოლო მედლით – "ბერლინის აღებისათვის" (რომელიც დღეს მისი ოჯახის რელიქვიაა). მისი საბრძოლო და შრომითი აქტივობა აღინიშნა აგრეთვე მრავალი მადლობით და საპატიო სიგელით. 1968 წელს მას მიენიჭა აჭარის, 1971 წელს კი – საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

გერმანელ ოკუპანტებთან ომის ფრონტებზე თავი ისახელა ქობულეთის რაიონის სოფ. ლელვას მკვიდრმა **ხასან მემედის ძე ტაკიძემ**, იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1939 წელს. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 1941 წლის 29 ივნისიდან, მსახურობდა მე-2 გვარდიელი მე-8 კავალერიის პოლკში, სადაც პირველად 1943 წლის 29 თებერვალს დააჯილდოვეს მედლით "მამაცობისათვის".

ხასან ტაკიძეს 1945 წლის 18 აპრილს ნისკის რაიონში მებრძოლ კოლონიის უფროსად ყოფნისას თავს დაესხა მოწინააღმდეგის მეავტომატეთა ჯგუფი. შეტაკებისას მამაცმა მებრძოლმა თავდამსხმელ მეავტომატეთა ჯგუფის მოგერიება შეძლო და თხუთმეტი თავდამსხმელი მოსპო, ორი კი ტყვედ აიყვანა.

1945 წლის 28 აპრილს სადგურ გერნას მიდამოებში ხასან ტაკიძემ ესკადრიონში ყოფნისას მოიგერია მტრის ორი კონტრშეტევა და ამავე დროს მოგერიებისას მოსპო მოწინააღმდეგის ექვსი ჯარისკაცი.

ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის გვარდიის რიგითი ჯარისკაცი **ხასან ტაკიძე** მე-8 გვარდიულ წითელდროშოვანი კავალერიის პოლკის მეთაურმა წარადგინა წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებაზე (რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა /ქ. პოდოლსკი/, ფონ. 33, ანაწ. 690306, საქ. 2523, ფურც. 136. საქმეში ბრძანება დაჯილდოების შესახებ არ აღმოჩნდა, ხოლო მე-2 მსროლელი დივიზიის დოკუმენტებში, ბრძანება ტაკიძის დაჯილდოების შესახებ ვერ იქნა მიკვლეული).

ქობულეთის რაიონის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო რიგებში გაიწვია **ასლან ხასანის ძე ტაკიძე** 1938 წელს. გერ-

მანელებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი რომ დაიწყო ა. ტაკიძე 26-ე მსროლელი დივიზიის 312-ე პოლკის ქვეითი დაზვერვის ოცეულის მეთაურია, იგი საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა უშუალო მონაწილეობას 1942 წლის აპრილიდან.

ა. ტაკიძე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ არა ერთი შეტევითი ბრძოლების მონაწილეა. კენისბერგთან 1945 წლის 5-დან 17 აპრილამდე ქვეითი დაზვერვის ოცეულის მეთაურმა პირნათლად შეასრულა მოწინააღმდეგის წინა ხაზის დაზვერვის არა ერთი საბრძოლო დავალება — ძვირფასი ცნობები მოიტანა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტისა და საინჟინრო ნაგებობის განლაგების შესახებ, რითაც ხელს უწყობდა შემტევ ძალებს საბრძოლო ამოცანების დროული შესრულებას. მსროლელებთან ერთად, იგი თავისი ოცეულით მონაწილეობდა მოწინააღმდეგის კონტრშეტევის უკუგდებაში, ავლენდა რა პირად მამაცობისა და გამბედაობის მაგალითებს. ბრძოლებში მიღებული ჰქონდა ორი მსუბუქი და ერთი მძიმე ჭრილობა.

26-ე მსროლელი სუვოროვის ორდენოსანი დივიზიის 1945 წლის 12 მაისის ბრძანებით ასლან ხასანის ძე ტაკიძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მტერს მამაცურად და შეუპოვრად ებრძოდა **ვახტანგ მიხეილის ძე ტუღუში,** იგი ბათუმის საქალაქო სამხედრო კომისარიატმა ომის წინა ხაზზე გაიწვია 1942 წლის იანვრის. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 1942 წლის 1 აგვისტოდან, ჩრდილო კავკასიის ფრონტზე. 1943 წლის 21 ნოემბერს 1367-ე მსროლელი პოლკის ბრძანებით ვ. ტუღუში დაჯილდოებული იქნა მედლით "მამაცობისათვის."

ფრონტის ქერჩის მონაკვეთზე ბრძოლებში სერჟანტ ვ. ტუღუშმა თავი გამოიჩინა, როგორც ბრძოლებში მამაცმა და შეუპოვრმა მებრძოლმა. 1944 წლის 10 მაისს სტრელეცკის ყუ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 680196, საქ. 1808, ფურც. 21.

რის რაიონში გაანადგ'ურა ორი საცეცხლე ძელმიწური, დაახშო დაზგის ტყვიამფრქვევის საცეცხლე ძელმიწური, ჩაახშო დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლი და მოსპო მტრის ოცამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ამჯერად ვ. ტულ'ეში დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის პერიოდში არაერთი გმირული მაგალითი უჩვენეს 414-ე ქართ'ული მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა, ამათგან ერთ-ერთი იყო ბათ'უმელი **ტოფია ფრანგიშვილი**. ომი რომ დაიწყო, ტოფია ფრანგიშვილი ბათ'უმის ვაჭრობის ტექნიკ'უმის კ'ურსანტი იყო. 1942 წლის 13 მარტიდან იგი ახალ ჩამოყალიბებ'ულ 414-ე ქართ'ული მსროლელი, დივიზიის რიგითი მებრძოლია, იგი ჩაირიცხა ახალ დაკომპლექტებ'ულ 1375 მსროლელი პოლკის 76-მილიმეტრიანი საარტილერიო ბატარიის მეკავშირეთა ოცეულ'ში.

414-ე ქაროული მსროლელი დივიზია აქტიურ მონაწილეობას ღებ'ულობდა ყუბანის და ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვითი ბრძოლებში. დივიზიას 1942 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში მოუხდა დაღესტანის და ჩეჩნეთ-ინგ'უშეთის ტერიტორიაზე არა ერთი თავდაცვითი ზღ'უდეების მშენებლობა-გამაგრება, რომ სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ დროებით გამარჯვებით წინ მომაეალ გერმანელებისათვის. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა მტერი მაინც წინ მიიწევდა. გერმანელთა მოწინავე ნაწილები ღრმად შეიჭრა მოზდოკის რაიონში, გავიდა მდ. თერგის ნაპირებზე და ისწრაფოდა თავისი არმიის ერთი ნაწილით შორიდან შემოევლოთ გროზნოსათვის და კასპიის სანაპიროებით გაჭრილიყო ბაქოსაკენ, ხოლო მეორე ნაწილით კავკასიის კალთებისაკენ მიეშ'ურებოდა, რათა ხელთ ეგდოთ კავკასიონის გადასასვლელები, ამ მიზნის მისაღწევად მტერმა თერგის ნაპირებთან თავი მოუყარა დიდ ძალებს. თერგის ნაპირებთან გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 7601, ფ'ურც. 217.

თერგისპირეთში გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდა 414-ე ქართული მსროლელი დივიზია, განსაკუთრებით მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწია დივიზიის 1375-ე მსროლელ პოლკს, სადაც ტოფია ფრანგიშვილი მსახურობდა. პოლკის მებრძოლები იგერიებდა მტრის გააფრთებულ შემოტევებს თერგის პირა სტარო-იურტის, გორიაჩევსკაიას და სხვა სტრატეგიულ მნიშვნელობის ადგილებში, ამ ბრძოლების ერთ-ერთ ეპიზოდს ასე იხსენებს ტოფია ფრანგიშვილი: "ჩვენი დიდი წინააღმდეგობის გამო მტერმა მთელი თავისი ძალები ჩააბა ბრძოლაში. ... ჩვენი პოზიციები იბომბებოდა ჰაერიდან, ხმელეთიდან გვიშენდნენ ყველა სახის იარაღიდან ცეცხლს, ჩვენი პოზიციები ცეცხლის ალში იყო გახვეული ... მახსოვს მტრის მოიერიშე თვითმფრინავების გუგუნი, ბომბების, ჭურვების გამაყრუებელი აფეთქებები, და ... გონს რომ მოვედი, თეთრხალათიანთა ხელში, საკეცეზე ვიწექი, ჯერ საველე სამედიცინო ნაწილში, შემდეგ სამხედრო ჰოსპიტალში."

ჰოსპიტალიდან გამოწერის შემდეგ ბატონი ტოფია ფრანგიშვილი გაგზავნეს 406-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში, რომლის დისლოკაციის ადგილი ახალქალაქი იყო. აქ კი, ზურგში მყოფს, სულით მებრძოლს, ფრონტის წინახაზზე წასვლის სურვილი არ ასვენებდა.

1944 წლის თებერვალს ტოფია ფრანგიშვილმა სხვა მებრძოლებთან ერთად განცხადებით მიმართეს სარდლობას, მოქმედ არმიაში გაგზავნის შესახებ, სარდლობამ დააკმაყოფილა გაბედულ მებრძოლთა თხოვნა, ტოფია და მისი თანამებრძოლები მოქმედ არმიაში გაგზავნეს.

1944 წლის მარტიდან ბატონი ტოფია ფრანგიშვილი კვლავ ფრონტის ხაზზეა, ახლა უკრაინაში, მე-8-ე შორს მსროლელი მსხვილკალიბრიანი საარტილერიო დივიზიონში, ოცმეთაურის მოადგილედ, მონაწილეობს უკრაინის განთავისუფლებისათვის წარმოებულ არა ერთ რთულ საბრძოლო ოპერაციებში.

უკრაინის განთავისუფლებისა და საბრძოლო ოპერაციების, თვით ომის გამჩაღებელ გერმანიის ტერიტორიაზე გადა-

ტანის შემდეგ, მე-8 საარტილერიო დივიზიონი პრუსიაშია, კენინსბერგის მიმართულებით საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას, აქ კი კენინსბერგის ახლო მდებარე პატარა დასახლებულ პუნქტში–პუტიაკში მიიღეს სასიხარულო ცნობა – გერმანიის სრული კაპიტულაციის შესახებ.

ომის დამთავრების შემდეგ ფრონტელ ტოფია ფრანგიშვილს კიდევ მთელი ორი წელი მოუწია სამხედრო რიგებში სამსახური. 1947 წელს დემობილიზებული ოჯახს დაუბრუნდა. ნაომარი შვილის შინ დაბრუნებამ დიდად გაახარა ქალბატონი ლუბა და ბატონი ფილიპე ფრანგიშვილების ოჯახი, მაგრამ დიდ სიხარულს მაინც ახლდა დიდი სინანული, რადგან ლუბა და ფილიპემ ხომ ომის ფრონტზე სამი შვილი ლევანი, გრიგორი, და ტოფია გაგზავნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი ყველაზე უმცროსი ტოფია დაუბრუნდა ოჯახს, უფროსი შვილების – ლევანი და გრიგორის ნაცვლად ორი სამკუთხა ბარათი მოუვიდათ მშობლებს. ერთი იუწყებოდა: „თქვენი შვილი ლევანი გმირულად დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში," მეორე კი იტყობინებოდა: „თქვენი შვილი გრიგორი უგზოუკვლოდ დაიკარგა მტერთან ბრძოლაში."

1948 წლიდან ვალმოხდილი ტოფია ფრანგიშვილი ისევ ბათუმშია, რამდენიმე წელი იმუშავა აჭარის სახშემოსავლებისა და სახკრედიტების სამმართველოში, 1954 წელს გადაყვანილი იქნა ქედის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროს გამგედ, სადაც იმუშავა 1957 წლამდე, ამ წლიდან კი როგორც გამოცდილი და კვალიფიცირებული მუშაკი გადმოყვანილი იქნა ისევ სამმართველოში მთავარი რევიზორის თანამდებობაზე, სადაც იმუშავა 1987 წლამდე. 1988-2000 წლებში მუშაობდა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტში სამნეო ნაწილის გამგედ, 2001 წლიდან კი იგი აირჩიეს ქ. ბათუმის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს ომის ვეტერანებთან აქტიურ საქმიანობას.

ტოფია ფრანგიშვილის საქმიანობა, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, აღინიშნა მრავალი ჯილდოებით – იგი დაჯილ-

დოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, მრავალი საბრძოლო მედლით, 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდება, ხოლო 2003 წელს დაჯილდოვდა აჭარის არ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდა ქედის რაიონის სოფ. ქედის მკვიდრი **მიხეილ ქათამაძე**. იგი გერმანელ დამპყრობლებს ებრძოდა 1941 წლის 22 ივნისიდან ლენინგრადის, დასავლეთის, ჩრდილოეთის, უკრაინის მეორე და მესამე ფრონტებზე. 1943 წლის 5 ოქტომბერს დაიჭრა ჩრდილოეთის ფრონტზე, 1944 წლის 24 აგვისტოს კვლავ დაიჭრა უკრაინის მესამე ფრონტზე, კონტუზია მიიღო 1944 წლის 2 დეკემბერს უკრაინის მეორე ფრონტზე.

81-ე მსროლელი დივიზიის, 238-ე გვარდიელი პოლკის მე-2 მსროლელი ასეულის ხემდეგმა მიხეილ ქათამაძემ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ლენინგრადის დაცვის, ქ. ოდესის განთავისუფლების და ბუდაპეშტის აღების ბრძოლებში, რისთვისაც იგი 81-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 1945 წლის 15 ივლისის ბრძანებით დაჯილდოვებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ქობულეთის რაიონის სოფ. ქაქუთის მკვიდრი **ნური ზაბითის ძე ქართველაძე** (ასეა დოკუმენტში. შეიძლება იყოს ქარცივაძე ს. ტ.) გაბედულად ებრძოდა გერმანელ დამპყრობლებს. იგი არმიის რიგებში გაიწვიეს 1940 წლის 2 თებერვალს. საბრძოლო მოქმედებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1941 წლის დეკემბრიდან.

1945 წლის 22 მარტს ლატვიის სოფ. ბელშის მიდამოებში შეტევით ბრძოლაში ნ. ქართველაძე მოქმედებდა მედგრად და მამაცურად. ჩვენების საჯარისო ქვეითთა წინსვლას, ხელს უშლიდა მტრის მიერ შენიღბული საცეცხლე წერტები. გაბე-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 670306, საქ. 2856, ფურც. 441.

დ'ულმა ნ. ქართველაძემ წ'ლის ზ'ედე გადალახა, ჩ'მად მიეპარა საცეცხლე წერტილს, ხელ'მბარები დააყარა და გზა გაუხსნა შეტევაზე გადას'ლ ქვეით ჯარს.

ამ გაბედული მოქმედებისათვის ნ. ქართველაძე 51-ე გვარდიული მსროლელი დივი'ზიის 1945 წლის 4 აპრილის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე გამბედაობისა და მამაცობის არა ერთი მაგალითი გვიჩვენა ბათ'მელმა **მიხეილ ქორიძემ**. იგი არმიის რიგებში მსახ'რობდა 1938 წლიდან. გერმანელ დამპყრობლებმა ომი რომ დაიწ'ეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, უფ. სერჟანტი მ. ქორიძე მსახ'რობდა მე-5 არმიის 65-ე მსროლელი კორპუსის არტილერიის სარდლის საშ'ტაბო ბატარეის რადიოსადგ'რის უფროსად, ბრძოლებში მონაწილეობდა სამხრეთ დასავლეთის და ბელორუსიის ფრონტებზე.

1943 წლის 65-ე მსროლელი კორპუსის შეტევითი ბრძოლების დროს უფ. სერჟანტი მიხეილ ქორიძე იმყოფებოდა სათვალთვალო პუნქტზე და უზრუნველყოფდა უწ'ვეტ კავშირს დივიზიებთან. მოწინააღმდეგის ძლიერი და სატყვიამფრქვეო ცეცხლის ქვეშ ბრძოლების მსვლელობისას აღადგენდა რადიოსადგ'რის დაზიანებებსა და გაუმართაობას.

65-ე მსროლელი კორპ'სის არტილერიის სარდლის 1943 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებით მ. ქორიძე დაჯილდოებული იქნა მედლით "მამაცობისათვის".[2]

მ. ქორიძემ აღმოსავლეთ პრუსიაში მტრის დაცვის გარღვევისა და შემდგომი შეტევითი ბრძოლების დროს 1944 წლის 15-16 ოქტომბერს თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და საზრიანმა მებრძოლმა. იმყოფებოდა რა სამეთაურო პუნქტზე მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოფხვრა კავშირგაბმ'ლობის ყველა დაზიანება რადიოტექნიკის შესანიშნავი ცოდნისა და მიხვედრილობის შედეგად უზრუნველყო უწ'ვე-

---

[1] რ'სეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 4140, ფურც. 29.

[2] რ'სეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 867, ფურც. 119.

ტი რადიოკავშირი შემტევ ნაწილებტან.

65-ე მსროლელი კორპუსის არტილერიის სარდლის 1944 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით, მ. ქორიძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

აღმოსავლეთ პრუსიაში მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევისას 1945 წლის 12 თებერვალს დრეევენიგან-ტუშენკატენაის ზღუდეზე იმყოფებოდა რა სამეთვალყურეო პუნქტზე, მ. ქორიძემ მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლის ქვეშ უნარიანად მოაწყო უწყვეტი რადიოკავშირი საარტილერიო ნაწილებთან. ქალაქ ალენბურგისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ არ შეუშინდა საშიშროებას, შეაკეთა დაზიანებული რაცია და სწრაფად აღადგინა კავშირი, რითაც სარდლობა უზრუნველყო ბრძოლა წარმატებით მართვის საშუალებით.

65-ე მსროლელი კორპუსის 1945 წლის 19 თებერვლის ბრძანებით მ. ქორიძე დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის II ხარისხის ორდენით.[2]

მეორე მსოფლიო ომში გერმანელ ფაშისტების დამარცხების შემდეგ, ბათუმელ მ. ქორიძეს ომის გაგრძელება გერმანელ ფაშისტების მოკავშირე იაპონიის წინააღმდეგაც მოუწია, იქაც იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მ. ქორიძე დაჯილდოებული იქნა მედლით "მამაცობისათვის".[3]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მრავალი ჩვენი თანამემამულე ამრავლებდა ქართულ საბრძოლო ტრადიციებს, ამათგან ერთ-ერთი იყო **ავთანდილ ალექსანდრეს ძე დაჭავა**, იგი არმიის რიგებში გაიწვიეს ბათუმის საქალაქო სამხედრო კომისარიატიდან, მსახურობდა 302-ე ტერნოპოლის წითლდროშოვანი მსროლელი დივიზიის 825-ე მსროლელი

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 4995, ფურც. 99.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 687572, ფურც. 24.

[3] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 687572, საქ. 2783, ფურც. 107.

პოლკის მსროლელი ბატალიონის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო ნაწილში.

საბრძოლო ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1944 წლის მაისიდან უკრაინის I ფრონტზე და ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის ა. ღაჭავა დაჯილდოვებული იქნა სამამულო ომის II ხარისხის ორდენით.

1945 წლის 14 იანვარს, როცა მოწინააღმდეგემ სოფ. კონციმოსტის რაიონში დიდი ძალებით წამოიწყო ავთანდილ ღაჭავას ბატალიონის საბრძოლო განლაგებაზე კონტრშეტევა, ა. ღაჭავა იმყოფებოდა რა მეომრებთან ერთად ქვედანაყოფებში, შესძლო კონტრშეტევის უკუგდების ორგანიზება და მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალის მიყენება, მიუხედავად ამისა ღაჭავას ბატალიონი მაინც მოჭრილი აღმოჩნდა პოლკის ყველა ქვედანაყოფისა და პოლკის უფროსისაგან. ყოველ წუთში მდგომარეობა იძაბებოდა და უარესდებოდა, საბრძოლო მასალები კი იწურებოდა. პირადად იმყოფებოდა რა ქვედანაყოფში ა. ღაჭავამ ერთი ასეულით შეუტია ჭარბ ძალების მქონე გერმანელებს, პოლკის განლაგების მიმართულებით. ამ ბრძოლებში ა. ღაჭავას ასეულმა მძიმე ბრძოლებით აღადგინა საბრძოლო მასალების მისატანი და კავშირის გზები, კონტრშეტევა მოგერიებული იქნა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა ასეულამდე მოკლული ჯარისკაცი და ბევრი შეიარაღება.

მე-60 არმიის ჯარების სარდლობამ 1945 წლის 7 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ დროს გამოვლენილი მამაცობისა და გმირობისათვის კაპიტანი ავთანდილ ღაჭავა დააჯილდოვა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.[1]

---

[1] რუსეთის თაედაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 2, საქ. 48, ფურც. 67-68.

ომი რომ დაიწყო, დარეჯან ანდრიას ასული ღლონტი ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსისი სტუდენტი იყო. ომი მძვინვარებდა, მტერი ჩრდილოეთ კავკასიას მოადგა. ქვეყანა შველას ითხოვდა. 600 ქალი აჭარიდან მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა.[1] ფრონტზე წასვლის სურვილი გამოთქვა 80–მდე სტუდენტმა გოგონამ, მათ შორის ერთ-ერთი პირველი დარეჯან ღლონტი იყო.

დარეჯანმა სამხედრო მომზადების პირველი დღეები საქართველოში გაიარა. თანდათან შეეგუა სიძნელეთა დაძლევას. კარგად შეისწავლა მტრის თვითმფრინავების თვალთვალი და მიღებული ცნობების საზენიტო ნაწილებისათვის გადაცემა, აითვისა მეკავშირის სპეციალობაც. სათანადო საბრძოლო წვრთნის შემდეგ ბატალიონი საქართველოდან დაიძრა. მათი ეშელონი ჩრდილოეთ–კავკასიაში გაჩერდა და მტერთან პირველი შერკინება აქ მოუხდათ.[2]

როცა ფრონტზე გარდატეხა დაიწყო და ჩვენმა ჯარებმა შეტევითი ბრძოლები განავითარეს, საჰაერო დაზვერვის ათუ-ლიც, რომელშიც დარეჯან ღლონტი ირიცხებოდა, ბატლიონთან ერთად წინ მიიწევდა. 1944 წელს კი მისი საზენიტო ნაწილი შორს ლატვიის მისუინცში იყო დაბანაკებული. მტერი უბრძოლველად არ ტოვებდა არც ერთ დასახლებულ პუნქტს. მტრის ავიაცია დღე'ში რამდენჯერმე ბომბავდა ჩვენი ჯარის ნაწილებს. ერთ ძლიერი იერი'შის დროს იმ ადგილზე, სადაც ბატალიონის ქვემეხი იყო, ცარიელი ორმოებიღა დარჩა. გადარჩა რამდენიმე კაცი. მათ თანამებრძოლეების ძებნა დაიწყეს. მიწურში ნახევრად დამარხული უმცროსი სერჟანტი დარეჯან ღლონტი ნახეს. დაჭრილი ქალაქ დაუგავპილსის ჰოსპიტალში მიიყვანეს. მძიმედ დჭრილის მკურნალობა ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა. განკურნების შემდეგ მისი საბრძოლო მწყობრში ჩაყენება უკვე არ შეიძლებოდა და სამშობ-

---

[1] ჟურ. „ჭოროხი" 1984, №5, გვ. 48–49.

[2] ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცელი, ბათ. 1996, გვ. 78.

ლოს წინაშე ვალმოხდილი სახლში გამოისტუმრეს.

დარეჯანი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. ერთხანს ხელმძღვანელ პასუხმგებელ სამუშაოზე იმუშავა, ბოლოს კი თავის პროფესიას–განათლებას დაუბრუნდა, აქაც დიდხანს ხელმძღვანელ სამუშაოზეა. დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დარეჯან ღლონტს მიენიჭა აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. მრავალი მედლით და სიგელით აღინიშნა მისი საბრძოლო და შრომითი დამსახურება.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში ბათუმის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო სამსახურში გაიწვია **მიხეილ რაჟდენის ძე ღლონტი** 1942 წლის 1 იანვარს. იგი ჩაირიცხა 117-ე წითელ დროშოვანი მსროლელი დივიზიის 275-ე მსროლელი პოლკის 120 მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების ბატარეის მსროლელად.

მიხეილ ღლონტი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 1943 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიისა და მეორე ბელორუსიის ფრონტებზე. მან საბრძოლო ოპერაციებში გმირობისა და მამაცობის არაერთი მაგალითი გვიჩვენა.

მ. ღლონტი 1945 წლის თებერვალში ქალაქ პოზნანის რაიონში ალყაშემორტყმულ გერმანელთა დაჯგუფების განადგურებაში მონაწილეობდა, ნაღმსატყორცნით ზუსტად და სწრაფად მოქმედებდა, მან ხუთი სატყვიამფრქვეველო წერტი გაანადგურა და ათზე მეტი გერმანელი ჯარისაცი მოსპო.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის მიხეილ ღლონტი 117-ე მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის 1945 წლის 7 აპრილის ბრძანებით დაჯილდოვებულ იქნა დიდების მესამე ხარისხის ორდენით.[1]

---

[1] რუსეთის თაედაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 2834, ფურც. 220.

ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინაში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა **მადლენა ნიკოფორეს ასული შავიშვილი**. იგი 1942 წლის აპრილში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მ. შავიშვილი მოქმედ არმიაში და ფრონტის წინა ხაზზეა არმიაში გაწვევის პირველი დღიდანვე მსახურობდა 280-ე საზენიტო საარტილერიო დივიზიაში.

მ. შავიშვილი თავისი საზენიტო ქვემეხით სამხედრო ობიექტებს იცავდა ჩრდილოეთ კავკასიაში, გროზნოში, სამხრეთ და უკრაინის ფრონტებზე. მ. შავიშვილს დნეპროპეტროვსკში მეტად სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდის საზენიტო დაცვის უზრუნველყოფისათვის მიღებული აქვს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის პირადი მადლობა, ხოლო ომის ფრონტებზე აქტიური მონაწილეობისათვის – სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი და საბრძოლო მედლები.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მ. შავიშვილი ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1956 წლიდან მუშაობს ქობულეთის ბავშვთა ძვალ–სახსრების ტუბერკულიოზურ საავადმყოფოში პედაგოგად. 1993 წლიდან დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

ბათუმის რაიონის სოფელ შარაბიძეების მკვიდრმა **ხასან ყარადას ძე შარაბიძემ** ომის ფრონტებზე მეტად სახელოვანი გზა განვლო. იგი ფაშისტურ გერმანიის წინააღმდეგ ომში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა 1942 წლის 1 აგვისტოდან ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტზე და ყირიმში, დაიჭრა 1942 წლის 13 ნოემბერს. 1943 წლის 15 ნოემბერს 1367-ე მსროლელი პოლკის ბრძანებით ბრძოლებში გამორჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის დაჯილდოებულ იქნა მედლით "მამაცობისათვის".

1944 წლის აპრილში ყირიმის ნახევარკუნძულზე კოლმეურნეობა "ბოლშევიკის" მიდამოებში ხასან შარაბიძემ ნაღმტყორცნის ზუსტი ცეცხლით დაანგრია მტრის ბლინდაჟი და მოსპო მტრის ჯარისკაცების ჯგუფი.

1945 წლის 9 მაისს "სეროტის" რაიონში ხ. შარაბიძე იგე-

რიებდა რა მტრის იერიშს, გაანდგურა მოწინააღმდეგის თხუთმეტამდე ჯარისკაცი და დაზგის ტყვიამფრქვევი.

უფროსი სერჟანტი ხასან შარაბიძე გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი გამბედაობისა და გმირობისათვის 1367-ე მსროლელი პოლკის წარდგინებით მსროლელ დივიზიის სარდლობის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ქალაქ ბათუმის ბარცხანის დასახლებაში მკვიდრმა **ბორის დავითის ძე შარაშიძემ** ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში უშიშარისა და შეუპოვარი მებრძოლის სახელი დაიმსახურა. იგი ფაშისტური გერმანიის მიერ წამოწყებულ ომში მონაწილეობდა 1942 წლის 1 აგვისტოდან 1943 წლის 1 იანვრამდე ამიერკავკასიის ფრონტზე, 1943 წლის 1 იანვრიდან ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტზე.

ბორის შარაშიძე ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა 414-ე მსროლელი სახელოვანი დივიზიის 1053-ე საარტილერიო პოლკის დივიზიონის დაზვერვის უფროსად.

ლეიტენანტმა ბორის შარაშიძემ ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების ბრძოლებში, მეთაურობდა რა დივიზიის დაზვერვას, მუდმივად იმყოფებოდა ქვეითი ჯარის საბრძოლო განლაგებაში, საიდანაც ზვერავდა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტებს და კორექტირებას უკეთებდა დივიზიონის არტილერიის ცეცხლს. ლეიტენანტმა ბ. შარაბიძემ გურლიატნაიას მთის ძირში გამართულ ბრძოლაში მიხოხდა მტრის თავდაცვის წინა ხაზთან და მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ კორექტირება გაუკეთა დივიზიონის ქვემეხთა ცეცხლს. ბრძოლის დღეს შარაშიძის დივიზიონმა ჩაახშო ერთი ნაღმტყორცნი ბატარეის ცეცხლი და მოსპო ორი ტყვიამფრქვევი, რითაც ხელი შეუწყო მოიერიშე ქვეითი ჯარის წინსვლას.

გერმანელ დამპყრობლების წინაარმდეგ ომში გამოჩენილ

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686195, საქ. 2712, ფურც. 57.

გამბედაობისა და გმირობისათვის ანაპის 414-ე მსროლელი დივიზიის 1943 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით ბორის შარაშიძეს დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათის მკვიდრი **რევაზ იბრაიმის ძე შუშანიძე** არმიის რიგებში გაიწვიეს 1939 წელს. ფაშისტურ გერმანიამ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ომი, რომ დაიწყო იგი უკვე გამოცდილი სამხედრო მოსამსახურე იყო და გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ ომის დაწყებისთანავე ჩაება მათთან სამკვდრო—სასიცოცხლო ომში.

რევაზ შუშანიძე აქტიურად იბრძოდა რუსეთის, პოლონეთის, გერმანიის ტერიტორიებზე წარმოებულ ბრძოლებში, მათ შორის ვარშავის განთავისუფლებისა და ბერლინის აღებისათვის ბრძოლებში.

რევაზ შუშანიძის საბრძოლო დამსახურება აღინიშნა "სამამულო ომის I ხარისხისა" და "დიდების III ხარისხის ორდენებით", საბრძოლო მედლებით "მამაცობისათვის", "ვარშავის განთავისუფლებისათვის" და "ბერლინის აღებისათვის".

ომის დამთავრების შემდეგ შუშანიძე რევაზი ფრონტული შემართებით საქმიანობდა შრომით ფრონტზე, იგი ჯერ იყო მარადიდის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი, შემდგომ კირნათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, საიდანაც დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. პენსიაზე გასვლის შემდეგაც რევაზ შუშანიძე აქტიურად მონაწილეობდა სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი ყოველთვის თავში ედგა სოფელში წამოწყებულ ყოველ კეთილ საქმეს, რისთვისაც იგი დაჯილდოებული იქნა აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, "სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, არჩეული იყო რაიონულ და სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

ჭეშმარიტი და ღვაწლმოსილი მოქალაქე, დიდი ადამიანური ღირსებით დაჯილდოებული რევაზ შუშანიძე ვალმოხდი-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 1965. ფურც. 258.

ლი წაიდა, ქვეყნისათვის უანგარო სამსახურის სამაგალითო ბიოგრაფია დაუტოვა რაიონს, სოფელს, თავისიანებს.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მრავალ ქართველ მებრძოლთა შორის იყო **გრიგოლ ანთიმოზის ძე ჩაგანავა**, იგი მებრძოლთა რიგებში ჩადგა საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე 1942 წლის აგვისტოში, თავიდანვე მსახურობდა ფეხოსანთა მსროლელი დივიზიის, 61-ე მსროლელ პოლკში, რიგით ჯარისკაცად. 1943 წლის ივლისში გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ჯერ 54-ე, ხოლო შემდეგ განამწესეს 125-ე პოლკის მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ობიექტის დაცვის სამსახურში.

გრ. ჩაგანავას ამ მნიშვნელოვანი ობიექტის დაცვის მძიმე სამსახურში ყოფნა ომის დამთავრების შემდეგაც მთელი სომი წელი მოუწია. არმიის რიგებიდან დემობილიზებულ იქნა 1948 წლის ივნისში.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ გრ. ჩაგანავა ბათუმში იწყებს შრომით საქმიანობას, ქმნის ოჯახს და მთელი მისი ცხოვრების წლებს ბათუმელებთან შრომაში, ოჯახის სიყვარულში, ხალხის სამსახურში და კეთილი საქმეების კეთებაში ატარებს.

გრ. ჩაგანავამ ჯეშმარიტად უმწიკვლოდ 45 წელი იმუშავა აჭარის საარქივო ორგანოებში, აქედან ორი ათეული წელი ცენტრალური არქივის დირექტორი იყო.

დიდია გრ. ჩაგანავას დამსახურება საარქივო საქმიანობაში, მისი მუშაობის პერიოდში სამინისტროებში და უწყებებში დამუშავდა და ეროვნულ საარქივო ფონდს მუდმივ შესანახად შეემატა მეტად ფასეული ნახევარ მილიონზე მეტი საქმე.

გრ. ჩაგანავამ თავისი შრომითი საქმიანობით და უბრალოებით არაერთ ახალგაზრდას ასწავლა შრომის ფასი, სიმართლით ცხოვრება, ურთიერთგამტანობა, ადამიანის სიყვარული.

ღირსეულად დაფასდა გრ. ჩაგანავას საქმიანობა, მას ომის ფრონტებზე მიღებული ჰქონდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი და არაერთი საბრძოლო მედალი, სამხედ-

რო სარდლობის მადლობები. იგი აჭარის არ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით და საქართველოს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით დაჯილდოებული იყო ქების სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა აჭარის არ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში სახელოვანი გზა განვლო გალაქტიონ ბეგლარის ძე ჩხაიძემ. იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1941 წლის აპრილში. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვე იმსახურა ქ. ბელგოროდში 277-ე საარტელერიო პოლკში.

გ. ჩხაიძემ პირველი საბრძოლო ნათლობა სმოლენსკის დაცვისთვის წარმოებულ ბრძოლებში მიიღო. იგი იბრძოდა მე-10 არმიის მე-7 მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში. მიუხედავად სმოლენსკთან თავგანწირული ბრძოლებისა, დივიზია მტრის ჭარბი ძალების წინაშე ვერაფერს გახდა და სხვა ნაწილებთან ერთად ჯერ ქ. ვიაზმიასკენ ხოლო შემდეგ ქ. მოსკოვისაკენ დაიხია.

1941 წლის დეკემბრის დასაწყისში დივიზიამ მოსკოვის მისადგომებთან მიიღო შევსება ციმბირის სამხედრო ოლქიდან და მოამზადა ყველა პირობა შეტევაზე გადასვლისათვის. 6 დეკემბერს დილის 4 საათზე მოსკოვის სხვა დამცველ-ნაწილებთან ერთად დივიზია შეტევაზე გადავიდა. მძიმე ბრძოლების შემდეგ გაათავისუფლეს კრიუკოვი და ბრძოლებით წინ წაიწიეს 60-70 კილომეტრით.

1942 წლის თებერვალში მე-10 არმიის მე-7 მსროლელი დივიზია, სადაც ჩხაიძე იბრძოდა, გადასროლილი იქნა კალინინის ფრონტზე. 1942-43 წლებში სისხლისმღვრელი ბრძოლებით გაათავისუფლეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქები: ველიკიე ლუკი, ფსკოვი, ნოვგოროდი.

1944 წლის დასაწყისიდან გ. ჩხაიძე ლატვიის ტერიტორიაზე აქტიურად მონაწილეობს დასახელებული პუნქტების აპოჩკას, ვილიანის და სადგურ ნერჩასთვის წარმოებულ ბრძოლებში. მტერთან ბრძოლებში გ. ჩხაიძე ორჯერ დაიჭრა, პირველად მკურნალობდა პეტაშკოვის, ხოლო მეორედ გორკის

სამხედრო ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ კელავ არმიის რიგებში დგებოდა.

ომის ფრონტებზე მამაცობისა და გმირობისათვის გ. ჩხაიძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I ხარისხის ორდენებით, მედლებით, "მოსკოვის დაცვისათვის," "მამაცობისათვის" და "სამხედრო დამსახურებისათვის."

ომის ფრონტებზე სახელოვანი გზა განელო **გრიგოლ ვლადიმერის ძე ჩხაიძემ.** იგი ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში დაიბადა, 1938 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი, რის შემდეგ მუშაობდა ქედის რაიონის სოფელ გოგიაშვილების დაწყებითი სკოლის გამგე მასწავლებლად. 1939 წელს სწავლა განაგრძო ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში, მაგრამ მისი დამთავრება ვერ მოასწრო, 1940 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.[1]

ომის დაწყებამდე გრ. ჩხაიძე მსახურობდა კიევის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ საარტილერიო პოლკში, ჯერ ქალაქ როდომისლში, შემდეგ ქ. ჟიტომირში.

ომის დაწყების პირველი დღიდანვე საარტილერიო პოლკი, სადაც გრ. ჩხაიძე მსახურობდა, ბრძოლაში ჩაება სახელმწიფო საზღვრიდან 80 კილომეტრზე მდებარე ქალაქ კრემეცთან. აქ მტერთან გაადრთებულ ბრძოლებში ტანკების ერთ-ერთი შემოტევის მოგერიების დროს გრ. ჩხაიძე დაიჭრა. ქ. სუმაში სამხედრო ჰოსპიტალში ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ იგი კვლავ ფრონტზეა, მეხუთე გვარდიული საარტილერიო პოლკის შემადგენლობაში აქტიურად მონაწილეობს ქალაქების – ხარკოვისა და ჩუგუევის თავდაცვით ბრძოლებში.

1942 წლის სექტემბრიდან გრ. ჩხაიძე მე-7 გვარდიული საარტილერიო პოლკის მეომართა რიგებშია. პოლკი სტალინგრადის დაცვის ბრძოლებში მეორე გვარდიული საარტილერიო დივიზიის დაქვემდებარებაშია და აქტიურად მონაწილეობდა მტრის გარემოცვასა და ლიკვიდაციაში.

1942 წლის ზაფხულის ბოლო დღეებში მტერთან მრავალ-

---

[1] ს. დუმბაძე, წარუშლელი ფურცელი, ბათუმი 1986, გვ. 40.

გზის შერკინების შემდეგ გრ. ჩხაიძის მე‘შვიდე გვარდიული საარტილერიო პოლკის მეომრები მდინარე ვოლგის მახლობლად, კამიშინის რაიონის ერთ სოფელში ძალას იკრეფდნენ, ამ დროს მდინარე დონზე გააფრთებულ ბრძოლებში მიმდინარეობდა, მტერი სტალინგრადისაკენ მოიწევდა.

1942 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მე‘შვიდე საარტელერიო პოლკმა ცეცხლის წეიმაში მდინარე ვოლგის მახლობლად, სადგ‘ურ კოტოლ‘ებანის რაიონ‘ში საბრძოლო ხაზი დაიკავა. დაიწყო სტალინგრადისათვის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა, რომელმაც 1943 წლის 2 თებერვლამდე გასტანა.

არც ერთი საათი არ ყოფილა სიმშვიდე სტალინგრადის მისადგომებთან: განუწყვეტლივ ქუხდნენ ქვემეხები და ნაღმტყორცნები, ზანზარებდა დედამიწა, მოწინააღმდეგის გამუდმებულ იერიშებს ჩვენები კონტრშეტევით პასუხობდნენ, ხოლო 17 სექტემბერს ფრონტის წინახაზის ხანგრძლივი საარტილერიო დამ‘შაების შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ. სტალინგრადის დამცველები ცეცხლითა და ვაშას ძახილით გადაეშვნენ მოწინააღმდეგის სანგრებში, ხიშტებით ამორეკეს იქედან ჰიტლერელები და დაიკავეს თავდაცვის პირველი და მეორე ხაზის სიმაგრეები. მაგრამ მტერმა მოახერხა სხვა ფრონტებიდან ავიაციის გადმოსროლა. მცირე მონაკვეთზე ჰაერში მტრის ათასზე მეტი სხვადასხვა სისტემის ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი მოქმედებდა. შეტევა შეჩერდა, ფაშისტები არაფერს ზოგავდნენ, მსხვერპლს არ ერიდებოდნენ, რათა ხელთ ეგდოთ ქალაქი სტალინგრადი.

... არ იქნა, ჰიტლერელებმა ვერ შეძლეს მშვიდობის დამცველთა ნებისყოფის გატეხვა. ლეგენდარული 62-ე არმიის და მის დაქვემდებარებაში მყოფ გვარდიული საარტელერიო პოლკის მეომრების, დევიზი იყო “ვოლგის იქეთ ჩვენი მიწა არ არის“.[1]

1942 წლის 19 იანვარს სამხრეთ–დასავლეთის, დონისა და

---

[1] გრ. ჩხაიძე, საგ. სტ. „მტრის პირისპირ“ გაზ. „საბჭოთა აჭარა.“ 1963 წლის 30 იანვარი.

სტალინგრადის ფრონტების ჯარები შეტევაზე გადაიდნენ, 23 ნოემბერს შემტევი არმიები შეერთდნენ და ჰიტლერის "უძლეველი" მეექვსე არმია (22 დივიზია) გარემოცვაში აღმოჩნდა.

მტერზე შეტევით ბრძოლებში მამაცურად იბრძოდნენ მეშვიდე გვარდიული საარტილერიო პოლკის მეომრები. დღისით და ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ უკვე ხერხემალგატეხილ მტერს.

31 იანვარი, მტერი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ჩვენი საარტილერიო "მუსიკის" შემდეგ, – იგონებდა ომგადახდილი გრ. ჩხაიძე, – მე-6 არმიის სარდალი პაულიუსი თავისი შტაბით ტყვედ ჩავეგებარდა. შუადღისას ქალაქის ცენტრი დავიკავეთ. მაგრამ ჩრდილოეთ ნაწილში ქარხნის რაიონში ჰიტლერელებმა თავი გამოიდვეს და კაპიტულაციაზე უარი განაცხადეს, რის იმედით? – ეშმაკმა იცის!

... და მაშინ, როცა სტალინგრადში ყველაფერს დამთავრებულად ვთვლიდით და ვზეიმობდით, მოულოდნელად ახალი საბრძოლო ხაზის დაკავების ბრძანება მივიღეთ, ბრძანება ჩვეული სისწრაფით შევასრულეთ და 2 თებერვალს სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილში შემორჩენილ ფაშისტებს გრიგალისებური ცეცხლი დავუშინეთ. ეს იყო სტალინგრადში ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა.[1]

სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ გრ. ჩხაიძე აქტიურად მონაწილეობდა ფაშისტებისაგან დონის როსტოვის, სევასტოპოლის, ორსკის, ბობრუისკის, მინსკის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, მდ. ნემანის გადალახვის შემდეგ მონაწილეობდა ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის განთავისუფლებაში.

1945 წლის მარტში მეშვიდე გვარდიული საარტილერიო პოლკის მეომრები პირველები შევიდნენ აღმოსავლეთ პრუსიაში. კენიგსბერგთან გაფართოებულ ბრძოლებში ტანკების ერთ-ერთი შემოტევის მოგერიების დროს გრ. ჩხაიძე კვლავ მძი-

---

[1] გრ. ჩხაიძე, საგ. სტ. „მტრის პირისპირ" გაზ. „საბჭოთა აჭარა." 1963 წლის 30 იანვარი.

მედ დაიჭრა.

ომის ფრონტებზე გრ. ჩხაიძის სამხედრო დამსახურების ნათელი დადასტურებაა სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენები. მრავალი საბრძოლო მედალი და სარდლობის არა ერთი მადლობა.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ გრ. ჩხაიძემ განაგრძო სწავლა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1950 წელს დაამთავრა ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა გაზ. "საბჭოთა აჭარის" რედაქციაში, პერიოდულად ბეჭდავდა სტატიებს ჟურნალ–გაზეთებში, გამოიცა მისი წიგნებიც: 1962 წელს "ძალა ნოვატორი" და 1972 წელს "სიცოცხლეს გაუმარჯოს" ამ წიგნებში და საგაზეთო სტატიებში ავტორი აცოცხლებს საკუთარი თვალით ნახულ და განცდილ ომის ეპიზოდებს, თანამებრძოლთა ვაჟკაცურ და დაუვიწყარ სახეებს.

დღემდე უვარსკვლავო გმირის სახელით ცნობილია **დავით მიხეილის ძე ჩხაიძე**. ომის დაწყების წინ დავით ჩხაიძემ ბათუმის სუბტროპიკული ტექნიკუმი დაამთავრა. იგი 1939 წელს ქობულეთის სამხედრო კომისარიატმა სამხედრო სამსახურში გაიწვია. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ჯერ უმცროს მეთაურთა კურსები, ხოლო შემდეგ კიევის საარტილერიო სასწავლებელი დაამთავრა და ფრონტზე 371 ქვეითი დივიზიის 93-ე საარტილერიო პოლკში ბატარეის ოფიცრად დანიშნეს.

აქედან იწყება დავით ჩხაიძის საბრძოლო გზა. ბათუმელი თანამემამულის საგმირო საქმეებზე მოგვითხრობენ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის (ქ. მოსკოვი) და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში (ქ. პოდოლსკი) დაცული დოკუმენტები. კითხულობ ამ დოკუმენტს და გული სიამაყით გეევსება, რომ შენს გვერდით წლების განმავლობაში ცხოვრობდა და საქმიანობდა, კაცობდა და მეგობრობდა მუდამ დინჯი, დიდი კაცთმოყვარე, ოდნავ მოღიმარი კაცური კაცი (ს.ტ.).

დავით ჩხაიძე მოქმედ არმიაში იყო 1941 წლის 22 ივნისიდან, დასავლეთის ფრონტზე. 1941 წლის 29 აგვისტოდან, 1944

წლის 10 აგვისტომდე ბელორუსიის მესამე ფრონტზე, ხოლო 1945 წლის 10 აგვისტოდან შორეული აღმოსავლეთის ფრონტზე.

დავით ჩხაიძე ფაშისტურ გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის და მამაცობისათვის დაჯილდოებული იქნა ორი ნეველის, სამამულო ომის I ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.[1]

ომის დაწყების პირველსავე დღეს აჭარის სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა პედაგოგი **კუკური კალისტრატეს ძე ჩხარტიშვილი** და ფრონტზე მოხალისედ წასვლა ითხოვა.

ომის დროს კუკური ჩხარტიშვილი მუდამ მოწინავე ხაზზე იმყოფებოდა და ბევრჯერ მიჰყავდა თავისი ქვედანაყოფი მძაფრ შეტევაზე, რამდენიმეჯერ დაიჭრა და გამოჯანმრთელებისთანავე ისევ ბრძოლებში ჩაება.[2]

სევასტოპოლისათვის ჯოჯოხეთურ ბრძოლებში მონაწილეობდა კ. ჩხარტიშვილი, აქ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო. ერთ-ერთი შემოტევისას დაიჭრა, შემდეგ კავკასიონის მთებში ებრძვის ფაშისტებს. მონაწილეობს ნეფტეგორსკის, სტანცია სვერსკაიას, ხოლმსკაიას, აბინსკაიას და სხვა ბრძოლებში.

კუკური ჩხარტიშვილმა ბრძოლებით გაიარა უკრაინა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, მძიმე იყო ქალაქ დუვლესთან ბრძოლა, ამ ბრძოლაში, კ. ჩხარტიშვილი მძიმედ დაიჭრა.

1945 წლის იანვარში ჩვენმა ჯარებმა აიღეს გერმანიის ქალაქი გირაუ, რომლის კომენდანტად კაპიტანი კუკური ჩხარტიშვილი დაინიშნა. მისი საბრძოლო დამსახურება ღირსეულად დააფასა ქვეყანამ დააჯილდოვა იგი სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

---

[1] ს. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 18, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონდ. 33, ანაწ. 6816191, საქ. 78156, ფურც. 130.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი) ფონ. 33, აღწ. 68096, საქ. 6972, ფურც. 35.

კ. ჩხარტი შვილი ომის შემდგომ წლებშიც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ეწეოდა. წლების მანძილზე სახელმწიფო გამომცემლობაში ტექნიკურ რედაქტორად მუშაობდა, შემდეგ იყო სტამბის დირექტორი, აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივის უფროსი მეცნიერ მუშაკი. კულტურის დარგში მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა.

ფაშისტების წინააღმდეგ ომის ფრონტებზე მამაცობის და გმირობის მაგალითი გვიჩვენა **დავით კალისტრატეს ძე ჩხარტიშვილმა**. იგი აჭარის სამხედრო კომისარიატმა არმიის რიგებში გაიწვია 1940 წელს, როდესაც მოსკოვის სამხედრო-იურიდიული აკადემია დაამთავრა და ფრონტისაკენ გაუდგა გზას.

ოფიცერი დავით ჩხარტიშვილი ვაჟკაცურად იბრძოდა სტალინგრადში, დონზე, უკრაინაში და ბერლინის მისადგომებთან. 1943 წლის 23 იანვარს გვარდიის უფროსი ლეიტენანტი დ. ჩხარტიშვილი, ასრულებდა რა კორპუსის შტაბის სპეციალურ დავალებას კშესინის რაიონში, ქ. პოზნანის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩასაფრებულ გერმანელებს წააწყდა. მტერმა ცეცხლი გაუხსნეს და ყუმბარები დაუშინეს დ. ჩხარტიშვილის ავტომანქანას. გვარდიის უფროსი ლეიტენანტი დ. ჩხარტიშვილი არ დაიბნა, მძღოლს სიჩქარის მომატება უბრძანა, თავად კი ცეცხლი გახსნა ტყვიამფრქვევიდან, რის შედეგადაც საფრთხეს თავიდააღწია და საბრძოლო დავალება წარმატებით შეასრულა შეასრულა. მეორე დღეს 24 იანვარს დ. ჩხარტიშვილმა მიიღო პირველ მოტომსროლელ ბატალიონში საბრძოლო დავალების კორპუსის მეთაურის ბრძანების მიტანის დავალება. მიემართებოდა რა ღია მანქანით, იგი მტრის ძლიერ საარტილერიო ცეცხლქვეშ მოხვდა, გზის მანქანით გაგრძელება არ შეიძლებოდა, დ. ჩხარტიშვილი ჩამოქვეითდა და ორი მეავტომატის თანხლებით საბრძოლო დავალება დროულად შეასრულა. აღნიშნულ დავალებათა შესრულებისათვის იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოეს.

1945 წლის 20 აპრილს, როგორც მე-20 გვარდიული მექანიზირებულ ბრიგადის შტაბის მეკავშირეს, დ. ჩხარტიშვილს დაევალა კორპუსის მეთაურის ბრძანების მიტანა მე-20 ბრიგადაში, რომელიც ამ დროს ბრძოლებს აწარმოებდა ქ. ეკნერსთან. გზად მომავალს ჩასაფრებული მტრის დიდი ჯგუფი გადაეღობა. მამაცმა მეკავშირემ მაშინვე ტყვიამფრქვეველის ცეცხლი გახსნა და შეტევაზე გადავიდა, მოსპო ათი მეავტომატე, გაარღვია მტრის რკალი და დროზე შეასრულა მეთაურის მეტად მნიშვნელოვანი დავალება. ამ დავალების შესრულებისა და მამაცობისათვის დ. ჩხარტიშვილი დააჯილდოეს სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მძიმე ბრძოლები გადაიტანა **კონსტანტინე ცაგარეიშვილმა**. იგი ქ. ბათუმის სამხედრო კომისარიატმა სავალდებულო სამსახურში გაიწვია 1938 წლის 8 სექტემბერს, ის იყო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზაციას ელოდა, რომ ფაშისტურმა გერმანიამ ომი გააჩაღა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რის გამო მას ომის დაწყებისთანავე მოუწია საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება.

თავიდან კ. ცაგარეიშვილი მონაწილეობდა 55-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში დასავლეთი ფრონტზე. პირველად დაიჭრა მარცხენა ხელში ბარანოვიჩის ოლქის ლომინოს რაიონში გაჩაღებულ მძიმე ბრძოლებში. მეორედ დაიჭრა 1941 წლის 22 აგვისტოს მარცხენა ფეხში კურსკის ოლქის სადგურ მარშაკის რაიონში, იმავე წლის 17 დეკემბერს იგი მესამედ დაიჭრა.

მესამედ ჭრილობის განკურნების შემდეგ კონსტანტინე ცაგარეიშვილი განაწესეს 153-ე სმოლენსკის მსროლელ დივიზიაში, სადაც 1943 წლის 29 სექტემბერს, ქ. სმოლენსკის განთავისუფლებისათვის მძიმე ბრძოლებში მიიღო კონტუზია, ხოლო დასავლეთ ფრონტზე ქ. ბელეცში კვლავ დაიჭრა მარ-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 68619, საქ. 6952, ფურც. 170.

ცხენა ფეხში, ამ ბრძოლებში ლეიტენანტი კ. ცაგარეიშვილი ასრულებდა მსროლელი ასეულის მეთაურის მოვალეობას.

ომის ბოლო 1945 წელს კონსტანტინე ცაგარეიშვილი მსახურობდა 392-ე მსროლელი დივიზიის 790 მსროლელ პოლკში, მსროლელი ოცეულის მეთაურად. ამავე დივიზიის წარდგინებით, კონსტანტინე ცაგარეიშვილი დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე მამაცობის და გმირობის მაგალითს იძლეოდა ხულოს რაიონის სოფელ ბანის მკვიდრი **ვლადიმერ დავითის ძე ცენტერაძე**. გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა 1942 წლის 17 აგვისტოდან ვორონეჟის ფრონტზე.

1944 წლიდან უფროსი სერჟანტი ვლადიმერ ცენტერაძე გერმანელ ფაშისტებს ებრძვის მე-4 გვარდიული საჰაერო-სადესანტო დივიზიის მე-15 გვარდიული საჰაერო-სადესანტო მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონის ნაღმსატყორცნების ასეულის ჯგუფის შემადგენლობაში.

1944 წლის 20 აგვისტოს სოფ. ხანტაშის მიდამოებში მტრის დაცვის გარღვევისას მიიღო ჯგუფეულის მეთაურის ბრძანება მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ ვლადიმერ ცენტერაძის ასეული აწარმოებდა ზუსტ და უწყვეტ ცეცხლს, რის შედეგადაც მოწინააღმდეგის მავთულხლართებში დანაღმულ ველში გააკეთა გასასვლელი, რითაც უზრუნველყო თავისიანი ქვეითი ჯარის წინსვლა და ამავე დროს გაანადგურა 37-მმ ქვემეხი და ორი ხელის ტყვიამფრქვევი.

ბრძოლაში თავისი ჯგუფეულის უნარიანი და გაბედული ხელმძღვანელობისათვის მე-15-ე გვარდიული საჰაერო-სადესანტო მსროლელი პოლკის მეთაურთა მიერ ვლადიმერ ცენტერაძე წარდგენილი იქნა დიდების მესამე ხარისხის ორდე-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 744808, საქ. 1231, ფურც. 2.

ნის ჯილდოზე.[1]

1944 წლის 30 დეკემბერს ვლადიმერ ცენტერაძემ ქ. მიშკალდის რაიონში შეტევითი ბრძოლის დროს გაანადგურა 12 გერმანელი ჯარისკაცი და ჩაახშო დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლი.

აღნიშნულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის უფ. სერუანტი ვლადიმერ ცენტერაძე მე-15-ე გვარდიული მსროლელი პოლკის მეთაურის 1945 წლის 7 თებერვლის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა მედლით "მამაცობისათვის".[2]

კავკასიის დაცვის ბრძოლებში თავი ისახელა ბათუმელმა ამბროსი ცინცაძემ. იგი 1942 წლის მარტიდან ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე აქტიურად ებრძვის გერმანელ მომხვდურებს.

ა. ცინცაძე 414-ე მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის შემადგენლობაში მონაწილეობდა ამიერკავკასიის, ყუბანის და ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ქერჩში ბრძოლების დროს ა. ცინცაძეს რიგი საპასუხისმგებლო დავალებები მიეცა, რომლებსაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი. 1944 წლის 11 იანვარს პომისის მთის მიდამოებში მნიშვნელოვანი და სასწრაფო დოკუმენტების მიტანა დაევალა 1335-ე მსროლელი პოლკის შტაბში. მიუხედავად მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, დავალება წარმატებით შეასრულა. სასწრაფო დოკუმენტებთან დაკავშირებული ასეთივე სასწრაფო დავალება მიეცა 3 თებერვალს ბეზიმიანის მთასთან, რომელიც ისე სწრაფად შეასრულა. მიყვებოდა რა ტელეფონის ხაზს 1367-ე მსროლელი პოლკისაკენ სატელეფონო კავშირის აღდგენა და მტრის ცეცხლქვეშ დროზე მიიტანა მეტად აუცილებელი შეტყობინებები.

ქ. სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ა.

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686136, საქ. 135, ფურც. 29.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 717037, საქ. 86, ფურც. 198.

ცინცაძემ გამოვლენა საბრძოლო დავალების შესრულების ორგანიზაციის განსაკუთრებული ნიჭი და უნარი. ამით მან ფრონტის სარდლობას მისცა საშუალება რაც შეიძლება სწრაფად წარემართა მტრის განადგურების ოპერაციები.

საბრძოლო ოპერაციებში გამორჩენილი თავდადებისა და გამბედაობისათვის ა. ცინცაძე 414 მსროლელი დივიზიის 1944 წლის 20 მაისის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტებთან ომის პირველი დღიდანვე ქვეყნის დამცველთა რიგებში იბრძოდა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის წარჩინებული კურსდამთავრებული **მიხეილ ძნელაძე**.[2] მან ბრძოლების რთული და ძნელი გზა განვლო. ომმა მ. ძნელაძეს კიევის ახლოს სამხედრო ბანაკ რუიშჩეოში მოუსწრო. აქ მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. როგორც მოწინავე და საზრიანი ახალგაზრდა მებრძოლი მ. ძნელაძე ქ. ხარკოვის სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელში გაგზავნეს.[3] აქ მიხეილს სხვა კურსანტებთან ერთად მოუწია ქ. ხარკოვის დაცვით ბრძოლებში მონაწილეობის მიღება, ხოლო შემდეგ დონბასში ქ. კრასნოდონისთვის ბრძოლა. საომარ ოპერაციებში აქტიური მონაწილეობისათვის, მას ვადამდე ანიჭებენ პოლიტხელის წოდებას და ნიშნავენ საარტილერიო ლეგიონის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელად. იგი გაბედულად მიუძღოდა 164-ე მსროლელ დივიზიის ახალგაზრდა მებრძოლებს მოსკოვის მისადგომებთან გაჩაღებულ ბრძოლებში. აქ მოგებული ბრძოლების შემდეგ მ. ძნელაძე აქტიურად მონაწილეობდა სმოლენსკისა და ვიტებსკის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. ამ ბრძოლაში მიხეილი დაიჭრა, მაგრამ სულით მებრძოლ, ფრონტის წინა ხაზი მაინც არ დაუ-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 3105, ფურც. 113.

[2] პ. პატარაია, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ბათ., 1980, გვ. 30.

[3] ს. დუმბაძე წარუშლელი ფურცლები. ბათ. 1996, გვ. 38.

ტოვებია.[1]

რიგა–შიაულიაის რაიონში საბჭოთა ჯარის ნაწილებმა ალყაში მოაქციეს მტრის დიდი დაჯგუფება. სწორედ მაშინ ფრონტის სარდლობამ გაბედული მეომრებისაგან შეიქმნა 30 კაციანი ჯგუფი, რომელსაც გერმანელების განლაგებაში უნდა შეეღწია და იქ მეთაურთა დახოცვით არევ-დარევა გამოეწვია. ძალიან ძნელი დავალება იყო დასმული მამც მებრძოლთა წინაშე საბრძოლო დავალების შესრულება გამბედაობასთან ერთად, მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს, მამაცობასა და თავგანწირვას. მიხეილ ძნელაძემ თავის მებრძოლებთან ერთად ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ მეტად რთულ საბრძოლო დავალებას. ფრონტის სარდლობამ ამ საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის ყველა მონაწილე დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით. მიხეილ ძნელაძე დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

ფაშისტებთან ომში გარდატეხის შეტანასა და ჩვენი ჯარების შეტევით ბრძოლებში მ. ძნელაძემ ძნელი გზა განელო. ბრძოლებით გაიარა რუჟესკი, სმოლენსკი, ვიტებსკი, მინსკი, ვილნიუსი, რიგა, იბრძოდა ქვეყნის სახელგანთქმული სარდლების ჩერნიახევსკისა და ბაგრამიანის სამხედრო ნაწილებში.

ომის დამამთავრებელ ეტაპზე ქვეყანა ომის შემდგომი პერიოდისათვის უმაღლესი სამეთაურო კადრების მომზადებაზე ზრუნვას შეუდგა. ფრონტზე თავგამოჩენილი ნიჭიერი ოფიცრების შერჩევას დაკვირვებით ახდენდა. ამჯერად არჩევანი ოფიცერ ძნელაძეზე შეჩერდა. იგი 1944 წლის ბოლოს ლენინგრადის უმაღლეს სააფიცრო სკოლაში გაგზავნეს. სწორედ აქ მოუსწრო მას 9 მაისმა. აქ მან პირადად იხილა, როგორი აღფრთოვანებით შეხვდნენ გმირი ლენინგრადელები ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

ბევრი ორდენი, საბრძოლო მედალი და საპატიო სიგელია

---

[1] ი. თაებერიძე, საგ. სტ. გაზ., „აჭარა" 1995 წლის 21 ივნისი.

[2] ს. კაკაურიძე, საგ. სტ. გაზ „აჭარა" 1997 წლის 18 ნოემბერი.

მიხეილ ძნელაძის არგარიშზე, მაგრამ მას განსაკუთრებით ეამაყება, რომ მისი სახელი მინსკის საბრძოლო დიდების მუზეუმის საპატიო წიგნშია შეტანილი და თაობიდან თაობებს რომ გადაეცმა იმათ ვაჟკაცობის ამბავი, ვინც ბელორუსიის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის სიმამაცისა და გმირობის მაგალითებს იძლეოდნენ.

ფაშისტებთან ომის დამთავრების შემდეგაც მ. ძნელაძე აგრძელებს სამხედრო სამსახურს. იგი ინიშნება თბილისის საჰაერო თავდაცვის დივიზიონის უფროსის მოადგილედ, 1948 წელს კი ბათუმში გადოჰყავთ და 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის სატანკო ლეგიონში მსახურობს. 1956 წლიდან ამავე ლეგიონის უფროსის მოადგილეა, ვიდრე ქართული დივიზიის დაშლამდე.

სამხედრო საქმეზე შეყვარებული მიხეილ ძნელაძე, ქართული დივიზიის დაშლის შემდეგაც არ მოშორებია სამხედრო საქმეს. ერთხანს აჭარის სამხედრო კომისარიატის მეორე განყოფილების უფროსად მუშაობდა, შემდეგ იყო ხულოს და შუახევის რაიონების სამხედრო კომისარი, ბოლოს ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით გავიდა თადარიგში.

სამოქალაქო სამსახურშიც მ. ძნელაძე პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მოვალეობის შესრულებას, ასეთი შემართებით საქმიანობდა იგი ქ. ბათუმის ომის შრომისა და შეიარაღებულ ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზედაც.

ქ. ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენიდან ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში აქტიურად მონაწილეობდა **ესე ოქროპირის ძე ხარატი**. იგი 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონის შემადგენლობაში საბრძოლო მოქმედებაში ღებულობდა მონაწილეობას ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტებზე.

კავკასიისათვის დაცვით ბრძოლებში ე. ხარატი 414-ე მსროლელი დივიზიის 1943 წლის 14 ოქტომბრის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის."

ყირიმისათვის ბრძოლებში ზემდეგმა ესე ხარატმა თავი

გამოირჩინა როგორც მამაცმა მებრძოლმა და სამეურნეო საქმიანობაში შესანიშნავმა ორგანიზატორმა. საბრძოლო ვითარების უმძიმეს პირობებში მან შეძლო სანიმუშოდ მოეწყო სამეურნეო ათეულის საქმიანობა, წარმატებით შეასრულა რამდენიმე საბრძოლო დავალება. მაგალითად, ქერჩის ნახევარკუნძულზე ე. ხარატის უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ აწარმოებდა სამზარეულოსათვის საწვავის დამზადებას და მიტანას, სანიმუშოდ მოაწყო ცხელი საჭმელის მიტანა ბრძოლის წინა ხაზზე. სევასტოპოლისათვის ბრძოლებში სამეურნეო ათეულის საქმიანობა ასევე მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული, რამაც ხელი შეუწყო ქვედანაყოფებს წარმატებით შეესრულებინათ საბრძოლო დავალებები.

საბრძოლო ოპერაციების დროს გამოჩენილი მამაცობისა და შესანიშნავი სამეურნეო საქმიანობისათვის ზემდეგი ესე ხარატი 414-ე მსროლელი დივიზიის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მამაცურად იბრძოდა ბათუმელი **შალვა სამსონის ძე ხახნელიძე**, იგი საბრძოლო მოქმედებაში ღებულობდა მონაწილეობას 1942 წლის 1 აგვისტოდან.

ლეიტენანტმა შალვა ხახნელიძემ, რომელიც მეთაურობდა რა 255-ე ცალკე მზვერავ ასეულს ყირიმისათვის ბრძოლებში, თავი გამოირჩინა, როგორც გაბედულმა და მამაცა მეთაურმა. მან დროულად შეასრულა მეთაურთა მიერ დაყენებული საბრძოლო ამოცანები.

ქერჩის ნახევარკუნძულზე შეტევის დროს 235-ე ცალკე მზვერავი ასეული ყოველთვის მიდიოდა 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილების საბრძოლო რიგების წინ, დროულად ასრულებდა დავალებებს. სევასტოპოლისათვის ბრძოლებში შ.

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 190155, საქ. 7601, ფურც. 174.

ხახნელიძემ მოწინააღმდეგის სანგრებში ხელჩართულ შეტაკებებში პირადად მოსპო რვა მოწინააღმდეგის ჯარისკაცი და ოფიცერი.

414-ე მსროლელი დივიზიის ბრძანებით უფ. ლეიტენანტი შალვა ხახნელიძე დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის მიერ გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომი და ფაშიზმის საერთოდ, იმდენად დიდი საფრთხე იყო რომ ჩვენი ქვეყანა გადაიქცა გამბედავობის, მამაცობის და გმირობის მოქმედების არენად.

ჩვენს ქვეყანას საფრთხე რომ დაემუქრა ბევრი ქართველი, მამაცი და გამბედავი ახალგაზრდა ომის იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში თავისი ნება-სურვილით მოხალისეთ წავიდა ქვეყნის დასაცავად. ამათგან ერთ-ერთი აჭარიდან იყო ქობულეთელი **დავით ხახუტაიშვილი.**

ომი რომ დაიწყო დავითს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას არმიის რიგებში გასაწვევი ასაკი (18 წ.) არ ჰქონდა დასრულებული. მიუხედავად ამისა თავის ქობულეთელ თანატოლ-ამხანაგებთან ერთად ფრონტზე წავიდნენ მოხალისედ.

დავით ხახუტაიშვილის ფრონტული ცხოვრების ისტორიიდან ყველაზე მძიმე მაინც კავკასიის დაცვისათვის ბრძოლები აღმოჩნდა. იგი კავკასიის უღელტეხილებთან მტერთან გამართულ საბრძოლო ოპერაციებში დაიჭრა, რის გამო სამხედრო რიგებიდან დემობილიზებული იქნა, როგორც ომგადახდილი – ომის ვეტერანი.

ომის შემდეგ დავით ხახუტაიშვილის ცხოვრება იწყება ჯერ სწავლით და მეცნიერების დაუფლებით, შემდეგ კი მეცნიერებაში და საზოგადოებრივი საქმიანობის მეტად ნაყოფიერი და ამაღლებული პერიოდი.

დავით ხახუტაიშვილმა ომის დამთავრების შემდეგ დაამთავრაუმაღლესი სასწავლებელი, დაიცვა სამეცნიერო

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 7601, ფურც. 171.

ხარისხი, დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და დიდ წარმატებასაც მიაღწია. გახდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-როორესპონდენტი. იყო 20 წლის მანძილზე ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შეუცვლელი დირექტორი. იყო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საზოგადო მოღვაწე.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 10-ზე მეტი მონოგრაფია.

ომგადახდილი, ომის ვეტერანი, დიდი სწავლული, ნიჭიერი მეცნიერ-მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, ოჯახისა და, საერთოდ დიდი კაცთმოყვარე გარდაიცვალა 1999 წ.

კავკასიის თავდაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში სახელოვანი გზა განვლო ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითის მკვიდრმა, შემდგომში ცნობილმა ბათუმელმა **ტიტე მელიტონის ძე ხინთიბიძემ**. ომი რომ დაიწყო, ტიტე ხინთიბიძე ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე დამამთავრებელ სახელმწიფო გამოცდას აბარებდა. 22 ივნისს ომი დაიწყო. 23-ში ქართული ენა ჩააბარა, ინსტიტუტი ადრე დაამთავრა და ფაშისტებთან მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

გერმანელი ფაშისტების უეცარი თავდასხმა, ომის მსვლელობის მასშტაბები მოითხოვდა სამხედრო მეთაურთა კადრების დიდ რაოდენობას და მათი დაჩქარებულ მომზადებას. ქვეყანაში შეიქმნა უმცროს და საშუალო მეთაურთა მოსამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები. საშუალო მეთაურთა კურსები გაიხსნა ქ. სოხუმშიც, სადაც ომში ახალგაწვეული ტ. ხინთიბიძეც გაგზავნეს, კურსები მან წარმატებით, ოთხ თვეში დაასრულა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო.

უმცროსი ლეიტენანტი ტ. ხინთიბიძე 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის 1375-ე მსროლელ პოლკში გაგზავნეს და იქ მეტყვიამფრქვეველთა ოცეული ჩააბარეს. კავკასიის თავდაცვით ბრძოლებში 414-ე ქართული მსროლელი დივიზია სოფელ იშჩერსკაიას მისადგომებზე გამანადგურებელ ბრძოლე-

ბით სისხლისაგან ცლიდა მტერს, მაგრამ თავადაც დიდ ზარალს ნახულობდა. ამ უთანასწორო ბრძოლებში ახალგაზრდა ოფიცერი ტ. ხინთიბიძე მძიმედ დაიჭრა.

დაჭრის წინ, მდინარე თერგის სანაპიროსთან ტ. ხინთიბიძეს მეტყვიამფრქვეველთა ოცეულმა 1375-ე მსროლელი პოლკის სხვა ნაწილებთან ერთად, ფრონტის ხაზის მეორე ეშელონში რომ იდგნენ, ფრონტის ხაზზე სასწრაფოდ წინ წაწევისა და პირდაპირ შტევაზე გადასვლის ბრძანება მიიღო.

"მწყობრში ვართ, –იგონებს ომის ვეტერანი, ტ. ხინთიბიძე, –შუაღამე გადასულია ... დეკემბერია, სიცივე ძვალსა და რბილში ატანს, ... ინათა მიუხედით, რომ ბრძოლის ხაზს ვუახლოვდებოდით. სანგრები დავიკაევთ. ბატალიონის მეთაური ბრძანებას იძლევა: როგორც კი "კატიუშას გაისვრიან, შეტევაზე გადავდივართ"... "კატიუშამ" დაიგრიალა და ცეცხლის ნიაღვარმა მიდამოს გადაუარა, – წინ, – წინ გავეცი ბრძანება და ჩემი ოცეული და არა მარტო ჩემი ოცეული, არამედ მთელი ბატალიონი დაიძრა მტრის სიმაგრეებისაკენ ... არც ერთი გასროლა ... ცდები და გავრბივარ, თან ვყვირი წინ ... ცეცხლი ფაშისტებს ... ჯარისკაცები იერიშზე მიდიან, დრო და დრო გადარბენებით ...

მორიგი გადარბენისას ვწვები და ... გასროლა ... ტკივილი არ მიგვრძნია. უცებ მარცხენა ხელი შეხტა და ფარაჯის სახელოდან სისხლმა ითქრიალა. მაშასადამე, დავიჭერი. მობრუნება ვერც კი მოვასწარი უზარმაზარი ყუმბარა ჩემგან ახლო ორიოდე მეტრში დაეცა, მაგრამ არ გასკდა, ჰაერის ტალღამ ამიტაცა და ისევ მიწას დამანარცხა ... უცებ ტყვიები გაწვიმდა.

... სანგრიდან სანიტრებმა ამომიყვანეს, "ფურგონზე" დამაწვინეს და სანიტარული ბატალიონისაკენ გამაქანეს.[1]

ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ, ქ. მახაჩყალაში გადაიყვანეს, იქედან კი თბილისში – არამიანცის სავადმყოფოში. აქ თვეზე მეტხანს იმკურნალა. ჭრილობა იმდენად მძიმე იყო,

[1] ტ. ხინთიბიძე, ყველას რაიმე აქვს სახსოვარი, ბათ. 1997, გვ. 61.

რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარმა ქირურგმა, როცა ავადმყოფი ბოლოს მოინახულა და მისი ავადმყოფობის ისტორიას გაეცნო, ბრძანა: "ექვსი თვის შვებულება – არც მერე წაიყვანენ, ხელი ცუდად აქვს, მაგრამ ახლა მეტი არ შეიძლება, უმაღლესდამთავრებულია, ზურგში მეტს გააკეთებს, ვიდრე ფრონტზე."

გამართლდა მთავარი ქირურგის წინაგრძნობა – "ზურგში მეტს გააკეთებს ვიდრე ფრონტზე," მართლაც, ფრონტიდან შინ დაბრუნების შემდეგ ტიტე ხინთიბიძემ სამშობლოს სამსახურის დიდი გზა განვლო.

ომის შემდეგ ტ. ხინთიბიძემ 1945 წლის სექტემბრიდან მუშაობას იწყებს აჭარის სახალხო კომისართა საბჭოში იურიდიულ ნაწილის გამგედ, 1946 წლის ივლისიდან მას მინისტრთა საბჭოს საოქმო ნაწილის გამგედ აწინაურებენ, 1951-1954 წლებში გაზეთ "საბჭოთა აჭარის" რედაქციაში მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ მუშაობს, ხოლო 1954 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბეჭდვით ორგანოებში იწყებს მუშაობას. საქმიანობას შეალია საუკუნის მესამედზე მეტი.

ბეჭდვით ორგანოებში მუშაობის პერიოდში ტიტე ხინთიბიძე ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას, თავდაპირველად მისი თარგმნები ქვეყნდება აჭარის ჟურნალ გაზეთებში, შემდეგ გამოდის ცალკე წიგნებად (თ. სახიევა, საგ. სტ. "სიხარული არ მოგაკლდეთ," "აჭარა" 1998 წლის 5 სექტემბერი; ნ. დიასამიძე, ასაკი ვეტერანს არ ნიშნავს, გაზ. "აღორძინება", 1998 წლის 29 სექტემბერი). ბოლო დროს (1997 წ) დაიბეჭდა ტ. ხინთიბიძის მეტად ნიჭიერად დაწერილი ავტობიოგრაფიული მოთხრობა "ყველას რაიმე აქვს სათქმელი".

ომის ფრონტზე თუ ზურგში, სადაც უბრძოლია თუ უმუშავია, ყველგან ყველა საქმე სამშობლოს დიდი სიყვარულით უკეთებია, რითაც ყველგან დამსახურებული ავტორიტეტი მოუხვეჭია და დიდი სიყვარულიც დაუმსახურებია.

1998 წელს ტ. ხინთიბიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ქების სიგელით დაჯილ-

დოვდა. ღვაწლმოსილი პიროვნება 2003 წელს გარდაიცვალა ბათუმში. იგი ღირსეულად დაიტირეს ბათუმელებმა, დაასაფლავეს მის მშობლიურ სოფ. ძიმითში, იქ ბევრი კარგი სიტყვა ითქვა მასზედ.

ქაროველ მამაც მებრძოლთა შორის ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო **ვლადიმერ ივანეს ძე ხიხაძემ**. როცა გერმანელმა ფაშისტებმა ომი დაიწყო გაბედული ახალგაზრდა უყოყმანოდ დადგა ქვეყნის დამცველთა რიგებში, მან მცირე მიწიდან – ომის დამთავრებამდე ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო.

თავდაპირველად, ელადიმერი მეავტომატეთა ქვეგანაყოფში ჩარიცხეს, რომელიც, 165-ე საზღვაო ფეხოსანთა ბრიგადას ეკუთვნოდა, ქვედანაყოფი მთებში იყო განლაგებული, სადაც საომარ მომზადებას გადიოდა.

პირველი საბრძოლო ნათლობა ე. ხიხაძემ 1943 წლის თებერვალში "მცირე მიწაზე" წარმოებულ ბრძოლებში მიიღო. აქ იგი მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ სადგურ კრიმსკაიას განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა. აქაც ერთ-ერთ ბრძოლაში კელავ დაიჭრა, ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ ის ისევ ფრონტზეა. ამჯერად, საზღვაო ქვეითთა მე-8 ბრიგადის მეავტომატეთა მე-9 ქვეგანაყოფში.

1943 წლის 10 სექტემბერს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ე. ხიხაძე მესამედ დაიჭრა და ისევ სანიტარული ნაწილი – ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ ელადიმერი მე-8 გვარდიული ბრიგადის შემადგენლობაში მონაწილეობს ტამანის ნახევარ კუნძულზე წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში. ამ ბრძოლებში ელადიმერი ისევ მძიმედ დაიჭრა, რიგით მეოთხეჯერ, ამჯერად დიდხანს დაჰყო ჰოსპიტალში.[1]

1944 წლის დასაწყისში არმია, რომელშიც ელადიმერი მსახურობდა, უკრაინაში იბრძვის. შემდეგ ე. ხიხაძე იბრძოდა 138-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში. ამ დივიზიამ ბრძოლების სახელოვანი გზა განვლო ამიერ და იმიერ კარპა-

[1] შ. მახარაძე, მეხტატეხაში, ბათ. 1983, გვ. 24.

ტების განთავისუფლებისათვის. კარპატების მთების გადალახვის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის.

გენერალ-ლეიტენანტი ვასილი ეფიმის ძე ვასილევი, რომლის საჯარისო შენაერთის შემადგენლობაში იბრძოდა ვლადიმერ ხიხაძე, მის საბრძოლო თვისებებზე და მამაცობაზე შემდეგს წერს "ომის დროს კორპუსსა და დივიზიაში", რომელსაც მე ვმეთაურობდი მე-18 არმიის შემადგენლობაში, სამხედრო სამსახურს გადიოდა ვლადიმერ ხიხაძე, ის მაშინ იყო 21–23 წლის ასაკის, უფროსი სერჟანტის წოდებით.

ის იყო უმამაცესი ჯარისკაცი – მეთაური, ოფიცრის წოდების უქონლობის მიუხედავად, მეთაურობდა მეავტომატეთა ოცეულს, ბევრჯერ იყო დაზვერვაში, სადაც იჩენდა მამაცობას, გამძლეობას და ამტანობას. ოთხჯერ იყო დაჭრილი. მესამე დაჭრის შემდეგ მან მტკიცედ განაცხადა უარი სამედიცინო ნაწილში წასვლაზე".

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების ბრძოლებში გმირობისა და მამაცობის მაგალითი გვიჩვენა ვ. ხიხაძემ. 138-ე კარპატის მსროლელი დივიზიის დოკუმენტებში ვკითხულობთ: „1945 წლის 9 მარტს ამხ. ხიხაძემ გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და გაბედულმა მებრძოლმა. ამხ. ხიხაძე ორ მებრძოლთან ერთად დივიზიის მეთაურის სათვალთვალო პუნქტის დასაცავად გაიგზავნა. ამ დროს მოწინაღმდეგეებმა სათვალთვალო პუნქტის გარემოცვას დაესხა. ხიხაძე სხვა მებრძოლებთან ერთად ჩაება ბრძოლაში, მან 3 ჰიტრელერი პირადად გაანადგურა. მოწინააღმდეგემ იმავე დღეს მეორეჯერ სცადა სათვალთვალო პუნქტზე შეტევაზე გადასვლა. ვ. ხიხაძემ შექმნა მებრძოლთა ჯგუფი და მასთან ერთად უკუაგდო მტრის კონტრშეტევა".[1]

1945 წლის 10 აპრილს, დივიზიის მეთაურის სათვალთვალო პუნქტზე ყოფნისას, ვ. ხიხაძემ შენიშნა, რომ მტერი ჩვენი

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 5124, ფურც. 175.

ნაწილის ზურგში გასხლტომას ლამობდა და სათვალთვალო პუნქტს შეუტია. ვ. ხიხაძემ მაშინვე შექმნა მებრძოლთა ჯგუფი და მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. ბრძოლა ერთ საათს გაგრძელდა, ე. ხიხაძემ ამ ბრძოლაში პირადად ექვსი მოწინააღმდეგე გაანადგურა.

ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის 138-ე კარპატის წითელდროშოვანი კუტუზოვის ორდენოსანი დივიზიის სარდლობამ 1945 წლის 20 მაისის ბრძანებით ვ. ხიხაძე — დიდების მე–3 ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.[1]

ვლადიმერ ხიხაძემ ომის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სახელმწიფოს უშიშროების ორგანოებში. ჯერ თბილისში, ხოლო 1954 წლიდან ბათუმში გადმოყავთ სამუშაოდ. ოცდაათი წელი იმუშავა ამ ფრიად პასუხსაგებ საქმეზე. 1976 წელს მაიორის სამხედრო წოდებით დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მრავალი ჩვენი თანამემამულე ამრავლებდა გმირულ ქართველ მებრძოლთა ტრადიციებს, ამათგან ერთ-ერთი იყო ბათუმელი **მირიან იასონის ძე ხუფუნია,** იგი ფრონტის წინა ხაზზეა 1941 წლის ნოემბრიდან. იგი აქტიურად მონაწილეობდა 993-ე საზენიტო საარტილერიო პოლკის საბრძოლო ოპერაციებში მეოთხე ბატარეის საცეცხლე ოცეულის მეთაურის პოსტზე.

ლეიტენანტმა მ. ხუფუნიამ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა როგორც ინიციატიეიანმა, მტკიცე ნებისყოფის და მამაც მებრძოლმა მეთაურმა. 1944 წლის 16 იანვარს ახმატოვ-ნაგორნაიას რაიონში გერმანელების უკან დახევის დროს, ლეიტენენტმა ხუფუნიამ გამოიჩინა მოხერხება და მძიმე საბრძოლო პირობებში ოცეულის მმართვის უნარი, მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის მოახლოების დროს პირდაპირი დამიზნებით გაანადგურა მოწინააღმდეგის ტანკი, ბრძოლის დროს ტანკებზე მყოფი თხუთმეტი გერმანე-

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 5033, ფურც. 44.

ლი მეავტომატე. ბრძოლის დროს მისმა საზენიტო ქვემეხებმა ჩამოაგდო ექვსი და დააზიანა სამი თვითმფრინავი. ლეიტენანტი ხუფუნია ამ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.[1]

1944 წლის აგვისტო-სექტემბერში მ. ხუფუნიას, ბატარეის მებრძოლებმა მოიგერიის მტრის თვითმფრინავების არა ერთი საერო თავდასხმები. ამ ბრძოლებში ჩამოაგდეს იუ-87 ბომბდამშენი თვითმფრინავი და ქვემეხთა ცეცხლით დაწვეს 5 ავტომანქანა.

ამ ბრძოლაში მ. ხუფუნია 27–ე არმიის 1944 წლის სექტემბრის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

მამაცმა და გაბედულმა ოფიცერმა მ. ხუფუნიამ ომის პერიოდში 993–ე საზენიტო არტილერიის პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო მტრის თხუთმეტი თვითმფრინავის ჩამოგდებაში, შვიდი ტანკის (მათ შორის ოთხი "ვეფხვი") და ერთ ასეულამდე ჯარისკაცის და ოფიცრის განადგურებაში.

1945 წლის 6, 7, 8 იანვარს მ. ხუფუნიას ბატარეამ ქ. ბუდაპეშტთან უკუაგდო მტრის 22 კონტრშეტევა, ამასთან გაანადგურა მოწინააღმდეგის ორი ტანკი, ტანკების და დესანტის ერთ ასეულამდე მეავტომატე. მ. ხუფუნია პირადი საბრძოლო გამბედაობით და გმირობით აღაფრთოვანებდა თავის ქვედანაყოფების მებრძოლებს, რითაც დიდი წვლილი შეიქონდა მტრის უკუგდება ქ. ბუდაპეშტთან.

მ. ხუფუნია ბუდაფეშტისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის 46–ე არმიის არტილერიის სარდლის 1945 წლის 15 თებერვლის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა სამა-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 496, ფურც. 256.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 3004, ფურც. 276.

მ'ულო ომის I ხარისხის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე გამბედაობისა და მამაცობის მაგალითი გამოიჩინა ბათ'უმელმა, ბარცხანის მკვიდრმა **საბა ხუხუნაიშვილმა**. იგი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში ღებ'ულობდა მონაწილეობას 1942 წლის იანვრიდან. იბრძოდა 414–ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში, 443–ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიის მესამე ბატარეის შემადგენლობაში ქვემეხის მეთაურის თანამდებობაზე, უფროსი სერჟანტის ჩინით.

1943 წლის 27 ივლისის 414–ე მსროლელი დივიზიის ბრძანებით უფროსი სერჟანტი საბა ხ'უხუნაიშვილი საბრძოლო ოპერაციებ'ში გამოჩენილი მამაცობისა და გმირომისათვის დაჯილდოებ'ული იქნა მედლით „მამაცობისათვის."

ყირიმის ნახევარკ'უნძ'ულზე ბრძოლებ'ში 1944 წლის 19 იანვრიდან 10 აპრილამდე უფ. სერჟანტმა საბა ხ'უხ'უნაიშვილმა გამოავლინა თავისი ხელქვეითების ხელმძღვანელობის უნარი, 1944 წლის 19–31 იანვრამდე იგი ეხმარებოდა 1371–ე მსროლელ პოლკს, რომლის დროსაც ტოპოგრაფიული 91,1 აღნიშვნის ჩრდილოეთით თავისი ქვემეხის ცეცხლით გაანადგურა ორი ტ'ყვიამფრქვევი, დაანგრია ხ'უთი ბლინდაჟი, რითაც ხელი შეუწ'ყო მსროლელი ქვედანაყოფების წინსვლას. 1944 წლის 5 აპრილს 92,7 სიმაღლის რაიონში 1371–ე მსროლელი ქვედანაყოფის მხარდაჭერისას წარმატებით აწარმოებდა ცეცხლს მტრის ტრანშეებზე.

414 მსროლელი დივიზიის 1944 წლის 4 მაისის ბრძანებით, საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირომისათვის ს. ხ'უხუნაიშვილი დაჯილდოებული იქნა წ'ითელი ვარსკვლავის ორდენით.[2]

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში ბათ'უმის სამხედრო კო-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686096, საქ. 7012, ფურც. 330.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 2007, ფურც. 87.

მისარიატმა სამხედრო სამსახურში გაიწვია **გიორგი რაფიელის ძე ჯამბერიძე**. იგი მსახურობდა 414–ე მსროლელი დივიზიის 1367–ე მსროლელი პოლკის 120 მმ ბატარეის საცეცხლე ოცეულის მეთაურად ლეიტენანტის ჩინით, უშუალო საბრძოლო ოპერაციებში ღებულობდა მონაწილეობას 1942 წლის 15 ნოემბრიდან.

ლეიტენანტი გ. ჯამბერიძე 1943 წლის 1 ოქტომბერს, სტანცია ვიშესტებლისკაიასაოვის ბრძოლებში, 120 მმ ნაღმტყორცნიდან ესროდა რა მტრის საბრძოლო განლაგებებს, თვითონ მოექცა მტრის არტილერიის გრიგალისებურ ცეცხლში, სადაც დაიჭრა.

ამან იგი ვერ შეაჩერა და განაგრძო მის წინაშე დასახულ ამოცანის – მოიერიშე შემტევი ნაწილებისათვის ხელშეწყობა. მტრის განლაგებებზე ნაღმების დაშენა დიდხანს გააგრძელა, რამაც დასძლია მოწინააღმდეგის შეუპოვრობა და ჩვენ მსროლელებს წინ წაწევისა და დაკავებულ მიჯნაზე გამაგრება, მძიმედ დაჭრილი ლეიტენანტი გ. ჯამბერიძე ბრძოლის ველიდან მხოლოდ საბრძოლო ოპერაციის დამთავრების შემდეგ გამოვიდა.

ფრონტზე გამოჩენილი გმირომისათვის 414–ე მსროლელი დივიზიის 1943 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით გ. ჯამბერიძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე მამაცობისა და გმირობის მაგალითს იძლეოდა **სარდიონ ლუკას ძე ჯიბლაძე**, იგი არმიის რიგებში გაიწვია ბათუმის სამხედრო კომისარიატმა 1941 წლის 24 აგვისტოს. ფაშისტურ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა 1942 წლის 2 აგვისტოდან 37–ე არმიის 392–ე მსროლელი დივიზიის, 790–ე მსროლელი პოლკის შემადგენლობაში, ტყვიამფრქვევის ასეულის ზემდეგად.

1942 წლის 14 სექტემბერს ზემდეგმა ს. ჯიბლაძემ მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ გადასცურა მდინარე ბაქსანი და

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686044, საქ. 1965, ფურც. 221.

გადავიდა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. ბრძოლის ველზე შეაგროვა და თავის ნაწილში მიიტანა ორი სამამულო წარმოშობის შაშხანა და ერთი მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევი.

ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის სარდიონ ჯიბლაძე დაჯილდოებული იქნა მედლით "მამაცობისათვის".[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში სახელი გაითქვა ხიდების სამშენებლო ასეულის მეთაურმა, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერმა აბელ ჯინჭარაძემ, იგი აჭარის სამხედრო კომისარიატმა არმიის რიგებში გაიწვია 1942 წელს.

აბელ ჯინჭარაძემ 1942 წელს ნოემბერ–დეკემბერში სარდლობის საბრძოლო დავალებების შესრულების დროს, მდინარე ოლგაზე სვეტლი იახოს ნავმისადგომების მშენებლობისას ობიექტების დაბომბვისა და მოწინააღმდეგის ავიაციის ტყვიამფრქვევების ცეცხლის მიუხედავად, აგრეთვე ლენინსკთან მდ. ახტურზე ხიდების მშენებლობაზე გამოიჩინა თავდადება და მამაცობა.

ა. ჯინჭარაძის ქვედანაყოფი მაღალხარისხოვნად და დროლად ასრულებდა სარდლობის ყველა დავალებას.

ფრონტის სარდლობის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით და ვადაზე ადრე შესრულებისათვის და მუშაობის წარმატებით ორგანიზაციისათვის ა. ჯინჭარაძე სტალინგრადის ფრონტის 1942 წლის 29 დეკემბრის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის".[2]

1944 წლის მაისში ინჟინერ კაპიტანმა აბელ ჯინჭარაძემ სანიმუშოდ მოამზადა საინჟინრო ბატალიონის პირადი შემადგენლობა და მასალები სივაშზე ჩონგარის ხიდის ასაშენებლად, მშენებლობის ადგილზე 12 საათში გადაიყვანა ყველა აუცილებელი სამშენებლო მასალები. 150 მეტრი სიგრძის ჩონგარის ხიდი 5 დღის ნაცვლად 48 საათში აღადგინა, რი-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 1717, აღწ. 2, საქ. 16, ფურც. 75.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 652525, საქ. 170, ფურც. 211.

თაც უზრუნველყო შეტევაზე მყოფი ჯარებისთვის უმოკლესი მიმართულებით ყველა შეიარაღების და მასალის შეუფერხებელი მიზიდვა.

იმავე დროს 15 საათში აღადგინა მოწინააღმდეგის მიერ 5 ადგილზე აფეთქებულ დამბაზე გადასასვლელი, რითაც უზრუნველყო ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა დროებით ხიდზე სივაშის გავლით. თავად ენერგიულად მუშაობდა, როგორც მშენებლობის უფროსი ასევე, მობილიზაციას უკეთებდა ბატალიონების მთელ პირად შემადგენლობას ჩონგარის ხიდის ადრე აღდგენისათვის.

სივაშზე გადასასვლელის უზრუნველყოფისათვის მეოთხე უკრაინის ფრონტის სარდლობის 1944 წლის 11 მაისის ბრძანებით ინჟინერ–კაპიტანი აბელ ჯინჭარაძე დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[1]

1944 წლის ნოემბერს ინჟინერ–კაპიტანი აბელ ჯინჭარაძე, მოწინააღმდეგის მიერ უკან დახევის დროს აფეთქებული ხიდების აღდგენას ასრულებდა სამუშაოებს აუცილებელ სამშენებლო მექანიზმების უქონლობის პირობებში და მიუხედავად ამისა ვადაზე ადრე შეასრულა მდინარე ბისტრიცა სოლოტვინსკაიაზე ქ. სტანისლავთან ღრმა წყალზე 120 მეტრი სიგრძის და 45 მეტრი სიგრძის დამბაზე ხიდის მშენებლობის ტექნიკურად რთული ამოცანაა. ასევე, ამოიღო და გამოიყენა მოწინააღმდეგის მიერ აფეთქებული ფერმები, რითაც ვადაზე ადრე უზრუნველყო მოძრაობის აღდგენა.

ა. ჯინჭარაძემ ბატალიონის ძალებით ერთ დღე-ღამე ნახევარში ააშენა 60 მეტრის სიგრძის ხიდი მდ. საკუშე სოფელ სმოლნიკთან, რითაც უზრუნველყო საბრძოლო ტექნიკის გადატანა. ბატალიონი ყოველთვის მოძრაობდა სხვა მებრძოლ ნაწილებთან ერთად, რითაც უზრუნველყოფდა საბრძოლო ტექნიკის დროულ გადატანას და მოძრაობის აღდგენას.

აფეთქებული ფერმების აღდგენისა და მორგებაში გამოჩე-

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 1965, ფურც. 23.

ნილი ინიციატივისათვის, სარდლობის დავალებების ვადაზე ადრე და წარმატებით შესრულებისათვის ინჟინერ–კაპიტანი აბელ ჯინჭარაძე მეოთხე უკრაინის ფრონტის 1944 წლის 3 ნოემბრის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის მე–2 ხარისხის ორდენით.[1]

ომის ფრონტებზე დაჭრილ მებრძოლთა სიცოცხლის გადასარჩენად თავდაუზოგავად იბრძოდა ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის მკვიდრი მაგამედ რაჟდენის ძე ჯინჭარაძე. იგი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდა 1941 წლის 23 ივნისიდან. დაიჭრა პირველად 1942 წლის 20 იანვარს და მეორედ 20 აპრილს.

მ. ჯინჭარაძე მსახურობდა 55-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში სანიტარულ ასეულში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დივიზიის 1944 წლის 11 ნოემბერის ბრძანებით დაჯილდოებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

1945 წელს გვარდიის რიგითი არმიელი მაგამედ ჯინჭარაძე ირიცხებოდა 166-ე გვარდიული მსროლელი პოლკის სანიტარულ ასეულში. შეტევითი ბრძოლების დროს, 1945 წლის 13 იანვრიდან 1945 წლის 2 მარტამდე, ქალაქების – გუმბენერის, პრეისიშარღაუს, ცინტერის მისადგომებთან და შლერვინის რაიონში (აღმოსავლეთ პრუსია) მ. ჯინჭარაძემ მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 23 დაჭრილი მებრძოლი და ოფიცერი იარაღითურთ.

ბრძოლის ველიდან 23 დაჭრილის გამოყვანისათვის, 166–ე გვარდიული პოლკის 1945 წლის 16 მარტის №74 ბრძანებით დაჯილდოვებული იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით მ. ჯინჭარაძე.

ომის დამთავრებისას ფრონტებზე, გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მაგამედ ჯინჭარაძე 28–ე არმიის 1945 წლის 26 მაისის №41/დ ბრძანებით დაჯილდოებული იქნა

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690306, საქ. 2280, ფურც. 16.

სამამ'ელო ომის მეორე ხარისხის ორდენით.[1]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მამაც'ურად იბრძოდა ბათ'უმელი **ნიკოლოზ ვარლამის ძე ჯინჭარაძე,** იგი ომის დროს მსახ'ურობდა 43–ე საზენიტო არტილერიის დივიზიის 464-ე საარტილერიო პოლკში.

მ'უშაობდა რა არტილერიის პოლკში საპარკო ოცეულ'ში მძღოლად შეტევის პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და უშიშარმა მებრძოლმა. 1945 წლის 19 აპრილის საბრძოლო მარშის დროს. ბატარეია ხელებიჩევის რაიონში მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცა. ამ დროს ნ. ჯინჭარაძე დაიჭრა და მანქანა დაზიანდა. იმის ნაცვლად, რომ სამედიცინო პ'უნქტში წასულიყო, მანქანა შეაკეთა და მტრის ცეცხლიდან გამოიყვანა. ფაშისტ'ური გერმანიის წინააღმდეგ ომის პერიოდში ნ. ჯინჭარაძე ორჯერ იყო დაჭრილი.

ომის ფრონტებზე გამოჩენილი მამაცობისათვის ნ. ჯინჭარაძე 43–ე საზენიტო არტილერიის დივიზიის 1945 წლის 26 მაისის №41/დ ბრძანებით დაჯილდოებული იქნა დიდების მესამე ხარისხის ორდენით.[2]

საბჭოთა ქვეყნის მთავარი ქალაქის–მოსკოვის დამცველ ქართველთა შორის ბევრნი იყვნენ აჭარის წარგზავნილებაც. მათ შორის გამოირჩეოდა **სარდიონ ჯიჯეიშვილი.** იგი 1941 წლის ივლისში, მ'უშაობდა რა აჭარის საოლქო კომიტეტში საორგანიზაციო–საინსტრ'ქტორო განყოფილების გამგედ, გაგზავნილ იქნა მოსკოვის სამხედრო–პოლიტიკურ აკადემიასთან შექმნილ სამხედრო კომისართა სამთვიან კ'ურსებზე. კ'ურსების დამთავრების შემდეგ დაინიშნა მე-4 ცალკე მსროლელი ბრიგადის პირველი ბატალიონის სამხედრო კომისრად. ნოემბრის შ'უა რიცხვებში თოვლსა და ყინვაში ბატალიონი მოსკოვის დაცვისათვის გამართულ სამკვდრო–სასიცოცხლო

---

[1] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 686196, საქ. 599, ფურც. 120.

[2] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცა (ქ. პოდოლსკი), ფონ. 33, აღწ. 690155, საქ. 5147, ფურც. 122.

ბრძოლაში ჩაება.

"ბევრჯერ ღღისით და ღამით, – იგონებდა ომგადახდილი ს. ჯიჯეიშვილი, – მტერს იერიშები მოჰქონდა ჩვენი ბატალიონის სანგრებზე. ბომბებს გვაყრიდნენ თვითმფრინავებიდან, მაგრამ მაინც ვერ შეძლო, გადმოელახა თავდაცვის ზღუდე, რომელსაც ბატალიონი იცავდა, მებრძოლები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩდნენ. მართალია, ჩვენ გვაკლდებოდა მებრძოლები, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში იწრთობოდნენ და კაუდებოდნენ დარჩენილი მეთაურები და ჯარისკაცები".[1]

მძიმე და სასტიკი ბრძოლები გადაიტანა ს. ჯიჯეიშვილმა 1941 წლის 5 დეკემბერს, ერთ-ერთ სოფლის მისადგომებთან მტერთან ხელჩართულ ბრძოლის დროს გმირულად დაეცა ბატალიონის მეთაური ი. იუდინი, უმეთაუროდ დარჩენილ ბატალიონს სათავეში ჩაუდგა კომისარი ს. ჯიჯეიშვილი და მეომრები ახალ იერიშზე წაიყვანა, აიძულა მტერი დაეტოვებინა დაკავებული პოზიცია. ამ ბრძოლებში ს. ჯიჯეიშვილი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ შემცველელის მოსვლამდე ბრძოლის ველი არ დაუტოვებია.

სამხედრო ჰოსპიტალში ხანგრძლივი მკრნალობის შემდეგ სარდიონ ჯიჯეიშვილმა ინვალიდობის გამო ფრონტზე დაბრუნება ვერ შეძლო. მოსკოვისათვის ბრძოლაში აჭარის წარგზავნილმა ს. ჯიჯეიშვილმა წითელი ვარსკვლავის ორდენი და საბრძოლო მედალი დაიმსახურა.[2]

ფრონტიდან დემობილიზებული მეომარი კვლავ პარტიულ სამუშაოსეა. ირჩევენ საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად, შემდეგ–მოსკოვში უმაღლეს პარტიულ სკოლაში დ 40 წელი დაყო აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებელ პოსტზე.

ამრიგად, წიგნში მოყვანილი ფაქტობრივი მასალები ერ-

---

[1] ს. ჯიჯეიშვილი, „მშობლიურ დედაქალაქთან", გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1966 წლის 8 ნოემბერი.

[2] ი. ცერცვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

თხელ კიდევ უდავოდ გვარწმუნებს, რომ ომის ფრონტებზე აჭარის წარგზავნილებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობლებზე ისტორიული გამარჯვების საქმეში.

ოცდახუთი ათასი მეომარი ჩაება აჭარიდან მტერთან სისხლისმღერელ ბრძოლებში. ათასობით ვეტერანმა დაუკავშირა შემდგომ თავისი ბედი საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს. ყველა ისინი ღირსია არამცთუ ითქვას მათ შესახებ ამ წიგნში, არამედ ცალკე წიგნებიც დაიწეროს. მათი გმირობის შესწავლა გრძელდება.

ამჟამად კი წიგნის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს ამ განზრახვის შესრულებისათვის, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ომგადახდილთა ოჯახებს.

§ 3. ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობა

აჭარის წარგზავნილთაგან ბევრმა ისახელა თავი ევროპის ხალხთა პარტიზანულ მოძრაობაშიც. ისინი იყვნენ ყოფილი ტყვეები, რომლებიც არ შეურიგდნენ თავიანთ მძიმე ხვედრს, გაიქცნენ პარტიზანებთან და საკუთარი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის დასამარებაში. ჩვენს ხელთაა საინტერესო დოკუმენტი ქართველი ხალხის საამაყო შვილის მემედ კონცელიძის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ენვერ ხოჯა. ამ ცნობა–დახასიათებაში ქართველი ვაჟკაცის შესახებ ნათქვამია: „მ. ფ. კონცელიძე 1943 წლის დეკემბრიდან იმყოფებოდა ალბანეთის განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ და ამავე დროს მეოთხე პარტიზანული რაზმის პოლიტსამმართველოს უფროსად. თავისი საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი გერმანელებზე ჩვენს გამარჯვებას. ომის განმავლობაში მებრძოლებს უნერგავდა მხნეობას, მამაცობას, პატრიოტიზმს და მტრისადმი სიძულვილს,

სარგებლობდა სარდლობის დიდი ნდობით, ჯარისკაცების სიყვარულით, მშვიდობიანი მოსახლეობის პატივისცემით. მისი მეთაურობით განხორციელდა რამდენიმე დიდი ოპერაცია, რომელმაც დააჩქარა ათობით დასახლებული პუნქტისა და ათასობით ალბანელის განთავისუფლება ფაშისტური უღლისაგან. ამიტომ ამხ. მ. კონცელიძე იმსახურებს მადლიერი ალბანეთის საპატიო მოქალაქის წოდებას და პირველი ხარისხის „დიდების“ პარტიზანულ ორდერს“.[1]

ვინ არის მ. კონცელიძე? რით დაიმსახურა მან ალბანეთის მაშინდელი ხელმძღვანელის ესოდენ მაღალი შეფასება?

მემედ ფეზლის ძე კონცელიძე მახინჯაურელია. დაიბადა 1912 წლის 15 დეკემბერს. მიიღო უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება და ჯერ ოჩხამურში, შემდეგ კი ლაითურის ჩაის მეურნეობაში ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობდა. ჯარში გაიწვიეს ოზურგეთიდან, ომის დაწყების მეორე დღესვე. იყო 46-ე არმიის პოლკის მეთაურის მოადგილე. მარუხის უღელტეხილისათვის ბრძოლების მონაწილეა. 1942 წლის 5 სექტემბერს დაატყვევეს. ჯერ იუგოსლავიაში ჰყავდათ, შემდეგ გადაიყვანეს ალბანეთში და მუშათა ბატალიონის შემადგენლობაში ამუშავებდნენ ბარმაშის ხიდის აღდგენაზე. სწორედ აქ, იბრაიმ ნოვოსელის მეშვეობით, დაუკავშირდა იგი ალბანელ პარტიზანებს, 1943 წლის 10 აგვისტოს გაიქცა ტყვეობიდან და „აკმარიას“ („სახალხო შურისმაძიებელი“) ბატალიონს შეუერთდა. მემედ კონცელიძის პირველი საბრძოლო ნათლობა შედგა იმავე წლის სექტემბერში კორჩის რაიონში სოფ. შტელის მახლობლად. ამ ბრძოლაში, თუ მის მოგონებას ვერწმუნებით, პარტიზანებმა მოსპეს მტრის „200-მდე ჯარისკაცი, ხელთ იგდეს 133 ცხენი და დიდძალი იარაღი“. როგორც კადრის ოფიცერი და ომში გამოცდილების მქონე, ოთხი თვის შემდეგ დააწინაურეს მეოთხე ბრიგადაში პირველი ბატალიონის შტაბის

---

[1] საქართველოს უახლოესი ისტორიის არქივი (შემდეგ შემოკლებით: სუია), ფ. 2514, ს. 603, ფ. 14; აბ. სურგულაძე, ქართველები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ წინააღმდეგობების მოძრაობაში (1939-1945), ბათ., 1995, გვ. 156.

წევრად. ამავე დროს, დაინიშნა ნაღმმტყორცნელთა ასეულის მეთაურად.

1943 წლის დამლევს მ. კონცელიძე გადაიყვანეს გამანთავისუფლებელი არმიის გენერალურ შტაბში (თან შეუთავსეს მეოთხე ბრიგადის პოლიტსამმართველოს უფროსობა) და ენვერ ხოჯასთან და ალბანეთის სახალხო არმიის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, უშუალოდ მონაწილეობდა გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერატიული გეგმების შემუშავებაში. კიდევ მეტი, როგორც თავად ენვერ ხოჯა წერს, ქართველი ვაჟკაცის ხელმძღვანელობით „განხორციელდა (ალბათ დაიგეგმა კიდეც – ა.ს.) რამდენიმე დიდი ოპერაცია, რომელმაც დაარქარა ათობით დასახლებული პუნქტისა და ათასობით ალბანელის განთავისუფლება ფაშისტური უღლისაგან".

მ. კონცელიძემ რუსულთან ერთად კარგად იცოდა თურქული ენა და ამიტომ, როგორც პოლიტსამმართველოს უფროსი, დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა ალბანელ მოსახლეობაშიც და პარტიზანებს შორისაც. ყველას „უნერგავდა მხნეობას, მამაცობას, პატრიოტიზმს და მტრისადმი სიძულვილს", რის გამოც „სარგებლობდა სარდლობის დიდი ნდობით, ჯარისკაცების სიყვარულით, მშვიდობიანი მოსახლეობის პატივისცემით" (ენვერ ხოჯა).

მ. კონცელიძის სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ერთი ეპიზოდი: 1944 წლის აპრილში გერმანელებმა ალბანელ პარტიზანთა წინააღმდეგ გადაისროლეს სომეხთა ლეგიონი. სარდლობამ მ. კონცელიძეს დაავალა პროკლამაციების შედგენა და ლეგიონერებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაშლა პარტიზანთა რიგებში მათი მიზიდვის მიზნით. საქმის მოგვარებას რამდენიმე დღე დასჭირდა. 5, 10, 30, 50-კაციან ჯგუფებად პარტიზანებს მიუვიდნენ სომეხი ლეგიონერები და ლეგიონიც დაიშალა. სამაგიეროდ პირველი სახალხო ბრიგადის შემადგენლობაში მაოგან შეიქმნა ბატალიონი, რომლის მეთაურად დროებით დაინიშნა თვით მემედ კონცელიძე. თავის მეომრებ-

თან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში. აღნიშნული ბრიგადის მეთაურის ხსია კომბას ხელით შევსებულ ქართველი პარტიზანის პირად სააღრიცხვო ბარათში ნათქვამია: მ. კონცელიძე „ყველა ოპერაციაში გამოირჩევა გამბედაობით“, არის „მამაცი და მედგარი“, „უმწიკვლო ყოფაქცევის ბრწყინვალე პიროვნება“.[1]

მ. კონცელიძე მოესწრო ომის დამთავრებას. იგი გამარჯვებული დაუბრუნდა სამშობლოს, თუმცა შექმნილი მდგომარეობის გამო სდუმდა თავის საბრძოლო თავგადასავალზე (გარდაიცვალა 1963 წელს). ვინ იცის, იქნებ სწორედ უხუმრად ყოფნის გამოა, რომ „პირველი ხარისხის „დიდების“ პარტიზანულმა ორდენმა,“ რასაც აღნიშნავდა ენვერ ხოჯა, გმირამდე ვერ მოაღწია. ალბათ ამის გამოცაა, რომ 1987 წელს გამოცემული „წიგნი მარადიული უკვდაეებისა“ მას „უგზო-ულელოდ დაკარგულთა“ სიაში მოიხსენიებს.[2] არადა, მემედ კონცელიძე და მისი სასახელო საქმეები შორეულ ალბანეთში ჭეშმარიტად იმსახურებს ფართოდ იყოს ცნობილი საქართველოსათვის.

შორეულ იტალიაში მამაცობით გაითქვა სახელი ბათუმელმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, რომელიც იტალიელ პარტიზანებს შორის ცნობილი იყო „მარეშალო ნიკოლას“ სახელით (მარეშალო იტალიურია და ნიშნავს ზემდეგს). იგი იყო „რემო სერვადეის“ ბრიგადის „პეპინოს“ ბატალიონის ჯარისკაცი და იტალიის ეროვნული გმირის, სახელგანთქმული ფორე მოსულიშვილის მხარდამხარ იბრძოდა. ამ უკანასკნელის გმირული სიკვდილის (3.XII.1944) შემდეგ ნ. ვაჩეიშვილი მის ნაცვლად ასრულებდა აღნიშნული ბატალიონის თანაშემწის (მოადგილის) მოვალეობას. სწორედ მას დაევალა გერმანელების მიერ შეპყრობილი პარტიზანების მეთაურის – ედო დელგრატას გატაცება ქ. ნოვარას საავადმყოფოდან, სადაც ფაშისტების ზედამხედველობის ქვეშ მკურნალობდა წამების შემდეგ (მოშვე-

[1] სუია, ფ. 2514, ს. 603, ფ. 15.

[2] იხ. წიგნი მარადიული უკვდაეების, თბ., 1987.

ბულ წვერზე მას ცეცხლი წაუკიდეს). ამისათვის მამაცმა ქართველმა პარტიზანმა შეუმუშავა მეტად უბრალო, მაგრამ გაბედული გეგმა. კერძოდ, შეარჩია ნოვარის კარგი მცნობი სამი იტალიელი თანამებრძოლი (ნელო, ჯანი და ბაჩიჩა), გამოაწყო სამოქალაქო ტანსაცმელში და ავადმყოფთა ნახვის დღეს, დღისით-მზისით, მსუბუქი მანქანით მიადგნენ საავადმყოფოს. ეჭვი რომ არავის შეპარვოდა, ბაჩიჩას ხელში ეკაჟა მუყაოს კოლოფი – ავადმყოფის „მოსაკითხი“. პარტიზანები დაუბრკოლებლად შევიდნენ შენობაში და მიუკაკუნეს მეორე პალატას, სადაც იწვა ედო დელგრატა. მცველმა გუშაგმა კარი გამოაღო. შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. მებრძოლები პისტოლეტებით შევარდნენ პალატაში და სანამ ფაშისტი ჯარისკაცები გონს მოვიდოდნენ, უხმაუროდ განაიარაღეს. ბაჩიჩამ, რომელიც აქამდე კართან იდგა დერეფანში და მოსალოდნელი შემთხვევითობისაგან თანამებრძოლებს იფარავდა, გახსნა ყუთი და იქიდან კოსტუმი ამოიღო. პარტიზანებმა ედო გამოაწყვეს, შემდეგ კი სწრაფად გაჩნდნენ მანქანასთან და ყოველგვარი გართულების გარეშე გასწიეს სოფ. ვაპრიოსაკენ, სადაც ბატალიონის მეთაური, კარგა ხანს, არალეგალურად მკურნალობდა პატრიოტი ქალიშვილის როზიტას ოჯახში.

გარიბალდიელთა სარდლობამ ღირსეულად დააფასა ედო დელგრატას განთავისუფლება და ამასთან დაკავშირებით გამოცემულ „განსაკუთრებულ ბრძანებაში“ აღნიშნა: „გავიდნენ რა ბაზიდან, რომელიც იმყოფებოდა შორს ნოვარიდან, პარტიზანები შევიდნენ ქალაქში. მათ შეაღწიეს მთავარი საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში და მოწინააღმდეგების გუშაგების ცდების მიუხედავად, გაათავისუფლეს იქ მყოფი ბატალიონის მეთაური. მამაცმა გარიბალდიელებმა განაიარაღეს ტჯვის მცველი ფაშისტური მილიციის 3 ჯარისკაცი, რითაც გამოამჟღავნეს ზიზღი შიშისადმი, გულგრილობა და გამჭრიახობა“.[1]

---

[1] Секкья П., Москателли Ч., Монте-Роза ступилась в Милан, М., 1978, с. 310.

ამ გაბედულ აქტს კი აღწერენ პ. სეკიაც და ჩ. მოსკატელიც, მაგრამ არ აღნიშნავენ ოპერაციის ხელმძღვანელისა და მონაწილეთა ვინაობას. აი მათი სიტყვები: 24 იანვარს „ბრიგადა „სერვადეის“ რამდენიმე გაბედული პარტიზანი შეიპარა ნოვარის საქალაქო საავადმყოფოში, სადაც იწვა ფაშისტების მიერ ტყვედ შეპყრობილი დაჭრილი ბატალიონის მეთაური. განაიარაღეს რა სამი მცველი, პარტიზანებმა იგი გაიტაცეს“.[1]

იტალიის პარტიზანულ მოძრაობაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის სარდლობამ ნიკოლოზ ვაჩეიშვილი გარიბალდის ვარსკვლავით დააჯილდოვა.

იტალიაში მამაცურად იბრძოდა აგრეთვე ჩვენი თანაქალაქელი შალვა კვასხვაძე, რომელიც იყო სტალინის სახელობის ქართველთა პარტიზანული რაზმის კომისარი (მეთაური კოტე ლეჟავა). თითქმის ერთი წლის განმავლობაში იგი ქართველ მებრძოლებთან ერთად შიშის ზარს სცემდა იტალიელ და გერმანელ ფაშისტებს. შალვა კვასხვაძემ და კოტე ლეჟავამ ისე გაითქვეს სახელი, რომ სადაც კი გამოჩნდებოდნენ ნოვარის პროვინციაში, ყველგან გაისმოდა აღტაცებულ იტალიელთა მისალმება: „ვივა ჯორჯიანო“.[2]

ამ რაზმის მებრძოლი იყო ხულოს რაიონის სოფ. კვატიის მკვიდრი ნიაზ ვეზირის ძე ხოზრევანიძე. იგი 1938 წელს გაიწვიეს ჯარში და სამხედრო სამსახურს გადიოდა ესტონეთში (ტალინი). ომში პირველი დღიდანვე ჩაება, ფეხში დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. იყო სალასპილსის ტყვეთა ბანაკში. სხვა ქართველებთან ერთად იქ ჩაეწერა ეროვნულ ლეგიონში. მოიარა საფრანგეთი, 1943 წლის დამლევს ჩაიყვანეს იტალიაში, სადაც პატრიოტებთან კავშირისა და წარმატებუ-

---

[1] იქვე, გვ. 311.

[2] იტალიელი მკვლევარი მაურო გალენი გენუის პროვინციაში მოქმედ პარტიზანთა შორის ასახელებს „ორესტეს“ ბრიგადის „ვილას“ რაზმის მეთაურის მოადგილეს, „შესანიშნავ მებრძოლს“ ბათუმელ პაველე გვასალიას, რომელიც ცნობილი იყო „პაოლოს“ ფსევდონიმით (Galleni M., Partigiani sovietice nells Resistanza Jtaliana, Roma, 1967, p. 115-116). სამწუხაროდ, მის შესახებ სხვა მასალა ვერ მოვიძიეთ.

ლი გაქცევის წყალობით აღმოჩნდა პარტიზანებთან ნოვარის პროვინციაში კოტე ლეჟავასთან ერთად. ი. სტალინის სახელობის ქართული რაზმის შემადგენლობაში მან გაიარა ბრძოლის სახელოვანი გზა, მონაწილეობდა იტალიელ და გერმანელ ფაშისტებთან ხელჩართულ შეტაკებებსა თუ ჩასაფრებებში, ე.წ. „სარკინიგზო ომში“. სხვებთან ერთად დადიოდა დაზვერვაზე და სხვ., რითაც საკუთარი წვლილი შეჰქონდა მტერზე გამარჯვებაში. ნ. ხოზრევანიძე დაბრუნდა სამშობლოში (გარდ. 1998 წელს).[1]

პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მატიანეში გმირობის საინტერესო ფურცლები ჩაწერა ბათუმელმა გენრიხ (გენო) ჯაველიძემ. იგი ლეგენდარული ვლადიმერ ძნელაძის („შავი ვალოდია“) რაზმის შემადგენლობაში იბრძოდა. ვლ. ძნელაძე და გ. ჯაველიძე სხვა 16 ქართველთან ერთად 1943 წლის მაისში გაიქცნენ რადომის ლეგიონერთა ბანაკიდან და თან გაიტაცეს 17 შაშხანა და ეროი ტყვიამფრქვეული. თავდაპირველად ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ ლუკოვოს რაიონში. მათ პირველივე დღეებში დაარბიეს სოფ. გრაბოვას პოლიციის საგუშაგო, აყარეს ლიანდაგი და გადაჩეხეს აღმოსავლეთით მიმავალი მტრის ეშელონი პიონკი-დემბლინის სარკინიგზო მაგისტრალზე სოფ. გარბატკასთან. ამას მოჰყვა სხვა დივერსიები ლიუბლინ-ვარშავის გზის გასწვრივ (რამდენიმე კილომეტრზე მოშალეს სატელეფონო ხაზი), სოფ. ზაბოლოტიეში დაატყვევეს ფაშისტი პოლკოვნიკი, ანტოპოლში ააფეთქეს სპირტის ქარხანა, უსტიმოვოში ფოსტა და ა.შ.

1943 წლის აგვისტოში ვლ. ძნელაძის რაზმი გაერთიანდა თეოდორე კოვალიოვის რაზმთან პარჩევის ტყეში მოქმედ პარტიზანთა გაძლიერება-გააქტიურების მიზნით. მართლაც, იმავე წლის დამლევამდე ქართველები მონაწილეობდნენ მრავალ ოპერაციაში, ე. წ. „სარკინიგზო ომში“ მტრის ობიექტების აფეთქებაში, დასახლებულ პუნქტების გათავისუფლებაში. გ. ჯაველიძე აქტიურად მონაწილეობდა ყველა ამ ოპერაციაში.

[1] ბიოგრაფიული მასალა მოგვაწოდა პროფ. ს. დუმბაძემ.

14 დეკემბერს გალიციელ ესესელთა 70-კაციან რაზმთან ერთ-ერთ ბრძოლაში იგი დაიჭრა კიდეც, მაგრამ თანამებრძოლები არ მიუტოვებია.

მტერთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობით, ასევე, დისციპლინითა და გულთბილი დამოკიდებულებით ქართველებმა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი პატივისცემა დაიმსახურეს. ომის შემდგომ გამოცემულ მოგონებაში გენო ჯაველიძე კიდეც აღნიშნავდა: „როცა ღამით მივადგებოდით ვინმეს ოჯახს... საკმარისი იყო გვეთქვა, ქართველები ვართო და ცხესიმაგრისათვის უბრად ამართული კარი ერთბაშად გაიღებოდა“.[1] და ეს იმ დროს, როდესაც პარტიზანების, მით უმეტეს საბჭოთა პარტიზანებისათვის დახმარებაში ოდნავ ეჭვმიტანილ ოჯახებს გერმანელები დედაბუდიანად ჟლეტდნენ. მართლაც, გ. ჯაველიძის სიტყვით, გარეოლინთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა პარტიზანი მიხეილ ცუცქირიძე. სამკურნალოდ იგი მახლობელ ხუტორ იანოვეკში სანდო გლეხის ოჯახმა შეიფარა. ფაშისტებმა მიაგნეს დაჭრილს და საჯაროდ დახვრიტეს. დახვრიტეს აგრეთვე ოჯახის ყველა წევრი, 10 წლის გოგონას გარდა, რომელიც ბედად მაშინ არ იყო სახლში.[2]

პოლონეთში, ლიუბლინის სავოევოდოს ტომაშუვ-ლიუბელსკის პოვიატში (რაიონი) მოქმედებდა პარტიზანული რაზმი, რომელსაც სიმონ ჩიქოვანი მეთაურობდა (ცნობილი იყო „კაზიკ ქართველის,“ „კაზიკის“ ან „კაზიმეჟის“ ფსევდონიმებით). 1944 წლის დამდეგისათვის მის რაზმში 56 მებრძოლი იყო. პოლონელებთან ერთად მასში ერთიანდებოდნენ ქართველებიც, რომელთა შორის მცირე ხნით იყო ცნობილი ბათუმელი პედაგოგი სულეიმან ხახვაც. სამწუხაროდ, იგი მალე დაიჭრა მძიმედ და რაზმს საერთოდ ჩამოშორდა ისე, რომ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა აღარ მიუღია.[3] სამაგიეროდ, მისი მოგონებები საინტერესო დარჩა თვით რაზმის სახელოვანი მე-

---

[1] გ. ჯაველიძე, სისხლი სისხლისა წილ, თბ., 1973, გვ. 47.

[2] გ. ჯაველიძე, მოგონების ფურცლები, გაზ. „საბჭოთა აჭარა,“ №91, 1970.

[3] აბ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

ოაურის სიმონ ჩიქოვანის ვინაობის დასადგენად და, რაც მთავარია, საბრძოლო თვისებების დასახასიათებლად. ს. ხახვას სიტყვით, კაზიკი „საოცრად გამბედავი და მოუხელთებული კაცი იყო, ლეგენდები დადიოდა მასზე“.[1]

ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, სან-მარსელში, რომელიც შედიოდა „მეთერთმეტე სამხედრო ოლქში“, იბრძოდა ხელვაჩაურის რაიონი სოფ. თხილნარის მკვიდრი შაქრო ცინცაძე. მტერთან შეტაკებებში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი, ოლქის მთავარსარდლის დივიზიის გენ. ალარდის ბრძანებით, დაჯილდოვდა „სამხედრო ჯვრის ბრინჯაოს ვარსკვლავით“ სარდლობის დახასიათებით, იგი „იყო აქტიური წევრი შეიარაღებული ბრძოლების მორბიხან'ში, მონაწილეობდა მტრის ბადრაგთან მრავალრიცხოვან ხელჩართულ შეტაკებაში... ამჟღავნებდა გამბედაობას და მამაცობას, რის წყალობითაც გაათავისუფლეს მრავალი ტყვე“. სხვა საბუთში კი ნათქვამია: „მე, მეორე ასეულის მეთაური კაპიტანი ჟესიუ ვადასტურებ, რომ კაპრალი შაქრო ცინცაძე... მაკი 1943 წლის დეკემბრიდან, ჩვენ შემოგვიერთდა 1944 წლის ივნისში სან-მარსელის ბანაკში. ეს მებრძოლი ყოველთვის გამოირჩეოდა სამაგალითო დისციპლინითა და საუკეთესო მოქმედებით მარზანის სექტორში ბრძოლების დროს“ (შაქრო ცინცაძის საოჯახო არქივიდან).

აჭარის წარგზავნილთაგან რამდენიმე მებრძოლი მონაწილეობდა ტექსელის ეპოპეაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ქობულეთის რაიონის სოფ. ლეღვას მკვიდრი ასლან წილოსანი და შუახეველი შოთა ფუტკარაძე. გერმანელების წინააღმდეგ აჯანყების მძიმე დღეებში, მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებისას, მათ ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისა და თანამემამულეთა სიცოცხლის გადასარჩენად. მაგ. 1945 წლის 11 მაისს შალვა ასათიანი და ასლან წილოსანი პირისპირ შეეჩეხნენ ფაშისტების ოცეულს. შეხვედრა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ქართველებმა იარაღი ვეღარ იხმარეს და შე-

[1] იხ. Газ. „Батумский рабочий“, №218, 1957.

იპყრეს. ოთხმა გერმანელმა დახვრეტის მიზნით ისინი გზიდან, არხის პირზე გადაიყვანა. სულ უკანასკნელ მომენტში სასიკვდილოდ განწირულთა მაჯაზე საათები შენიშნეს და ნადავლს დახარბდნენ, შეხსნა მოინდომეს. ამ დაყოვნებით ისარგებლეს ქართველებმა, ელვის სისწრაფით დაძრეს „ქურთუკის ქვეშ“ დამალული რევოლვერები და ორი გერმანელი ძირს დასცეს.“ ახლა მათი მშველელი მახლობელი ტყე იყო, გაიქცნენ კიდეც, მაგრამ გადარჩენილებმა ავტომატის ცეცხლით მოცელეს შ. ასათიანიც და ა. წილოსანიც. ბედად, ამ დროს მაშველი გამოჩნდა. თურმე მახლობლად თანამემამულეები იმყოფებოდნენ, რომლებიც სროლის ხმაზე მაშინვე ტრაგედიის ადგილზე გაჩნდნენ. ფაშისტები დაფრთხდნენ და ბრძოლას თავი აარიდეს. საბოლოოდ, დაჭრილები ჰოლანდიელებმა წაიყვანეს და დიდი რისკის ფასად „მოკლე დროში მოარჩინეს“ კიდეც. ანალოგიურ ვითარებაში გერმანელებმა ასევე დაატყვევეს კირილე რაზმაძე, ტიტე ლომაძე და დავით კობახიძე, მაგრამ ისინიც სასწაულებრივ გადაურჩნენ დახვრეტას. მოულოდნელად გამოჩნდა შუახეველი შოთა ფუტკარაძე, რომელმაც ჰოლანდიელი ისტორიკოსისა და მწერლის ვან დერ ელისის სიტყვით, „ძლიერი ცეცხლით აიძულა ფაშისტები მიეტოვებინათ ტყვეები და გაქცეულიყვნენ“.[1] ასეთი შემთხვევა კი მრავლად იყო, რის გამოც ჰოლანდიელები ქართველთა მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილნი და აქტიურად ეხმარებოდნენ მტერთან ბრძოლაში.

ტექსელზე უკვდავი გმირობა გამოიჩინა ელადიმერ შეყილაძემ (სხვადასხვა პუბლიკაციაში, სხვადასხვა სახელით მოიხსენიება 'უფრო ვარლამად. გვარსაც არასწორად, შეყრილაძეს მიუთითებენ). ომის დაწყებისთანავე იგი ძმასთან ერთად ბათუმის კომისარიატმა გაიწვია ჯარში. იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. 1941 წლის დამლევს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს (შემონახულია სამხედრო კომისარიატის ცნობაც, უგზოუკვლოდ დაიკარგაო). მოიარა რუსეთისა და ბელორუსიის

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №109, 1956.

ტყეთა ბანაკები. შემდეგ მოხვდა პოლონეთში, სადაც გადატანილი ტანჯვა-წამებისაგან თავის დაღწევის მიზნით ეროვნულ ლეგიონში ჩაეწერა. იყო საფრანგეთშიც, საიდანაც სხვებთან ერთად ჩაიყვანეს ჰოლანდიაში. აჯანყება, რომ დაიწყო, ვ. შეყილაძე იყო ოცმეთაური და აქტიურად მონაწილეობდა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში. ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ქართული აჯანყების აქტიური მონაწილე გიორგი გარსევანიშვილი ვარლამ შეყილაძეს ასე ახასიათებდა: „ჩვენი ასეულის ტერიტორიაზე სიწყნარე იყო, ბიჭები თავიანთ სანგრებში ისვენებდნენ, მხოლოდ ერთი ოცეული, რომელსაც ვარლამი შეყილაძე ხელმძღვანელობდა, ასეულიდან გასული იყო. მას „მფრინავ ოცეულს“ ეძახდით, მოულოდნელად ესხმოდა თავს გერმანელებს და შიშის ზარს სცემდა. შეყილაძე მეტად გამბედავი და შეუპოვარი მეთაური იყო, რასაც იტყოდა შეასრულებდა კიდეც. აჯანყების დაწყების მერე, წუთიც არ დაუსვენია, მუდამ ცეცხლის ალში ტრიალებდა თავის მებრძოლეებით. ყველა მებრძოლს უხარიოდა მის ოცეულში მოხვედრა და მის გვერდით ბრძოლა. იგი ვერაფრით გამოირჩეოდა რიგითი მებრძოლებისაგან, ბრძოლის დროს მათსავით გადადიოდა შეტევაზე, ბევრი განკარგულება არ უჭვარდა, მთელი ოცეულის წინაშე განიხილავდა საბრძოლო მოქმედებების გეგმას, თითოეულ მებრძოლს დაუსახავდა კონკრეტულ ამოცანას და მერე გაცემდა განკარგულებას – აბა, ბიჭებო წინ! – ეს იყო და ეს, მისმა მებრძოლებმა იცოდნენ, რომ სხვა განკარგულებას ვერ მიიღებდნენ, თითოეული მათგანი ცდილობდა მეთაურის დავალება შეესრულებინა“.[1]

ვლადიმერ შეყილაძე პირადი მამაცობით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს. 14 აპრილს ტექსელზე „ფლუგპლაცის“ მისადგომებთან მან დიდი გმირობა გამოიჩინა. დავალების შესასრულებლად მიმავალი ვ. შეყილაძე ოცეულთან ერთად წააწყდა ჰოლანდიელის სახლში მოწყობილ გერმანელთა საფარს და ჩაება უთანასწორო ბრძოლაში. კრიტიკულ მომენტში ოც-

[1] გ. გარსევანიშვილი, ერთი ასეულის ამბავი, თბ., 1968, გვ. 53.

მეთაურმა თავისიანებს თავგანწირვის მაგალითი უჩვენა. აჯანყების მონაწილის, გიორგი გარსევანიშვილის სიტყვით, მან „ხელყუმბარები მოითხოვა, ერთად შეკრა ხუთი ცალი და მებრძოლებს მიუბრუნდა: აბა, ბიჭებო, მე გავხოხდები, სახლს მიეახლოვდები და ხელს რომ ავწევ, თქვენ სახლის მეორე სართულს ცეცხლი დაუშინეთ. მართლაც, ვ. შეყილაძე მიუახლოვდა სახლს და ასწია ხელი, რაც ცეცხლის გახსნის ნიშანი იყო. ერთდროულად გაისმა ტყვიამფრქვეველების, ავტომატებისა და შაშხანების სროლის ხმა. ამ ხმაურში და ცეცხლში ვლადიმერი სწრაფად წამოიმართა, მოიქნია მარჯვენა ხელი და მეორე სართულის ფანჯრებისაკენ გასტყორცნა ხელყუმბარების კონა... წუთიც და იგრიალა ხელყუმბარებმა, ახადა სახლს სახურავი და ხანძარი გაუჩინა. სროლა შეწყდა. ბიჭებმა დასძახეს „ვაშა, გაუმარჯოს ოცმეთაურსო“. წამოიშალნენ დასირბილით გაემართნენ ოცმეთაურისაკენ, მაგრამ ის უძრავად იწვა მიწაზე და სისხლში ცურავდა... ვარლამს გულმკერდის არე დაცხრილული ჰქონდა“.[1]

ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ აჯანყებაში 750 ქართველი მონაწილეობდა. აქედან გადარჩა მხოლოდ 228. გერმანელებთან უთანასწორო ბრძოლის ველზე დაეცა 522 ქართველი, მათ შორის ბათუმელი ვლადიმერ შეყილაძე.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღეს შეყილაძეების ოჯახში ინახება ვლადიმერ (ვარლამ) შეყილაძის ომში წასვლამდე დაწერილი არა ერთი ლექსი. მათში იგი უმღეროდა სამშობლო საქართველოს, სიყვარულს, ძმობა-მეგობრობას, სიკეთეს, პატიოსნებას... სამშობლოდან შორს გადაკარგული, ტყვეობაში მყოფი ვლადიმერი, ალბათ,. ფიქრებში და მოგონებებში ლექსებითაც ეხმიანებოდა მოხუც თეთრწვერა მამას, მამიდას, დებს, ძმას, ბათუმელ ტოლ-ამხანაგებს. სამწუხაროა, რომ ამ ლექსებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ალბათ ბათუმელ გმირს ჩაატანეს ტექსელის ძმათა სასაფლაოში.

---

[1] გ. გარსევანიშვილი, ერთი ასეულის ამბავი. თბ., 1968, გვ. 54.

დღეს ტექსელზე 522 ქართველი განისვენებს. საძმო საფლავში მათ შორის ბათუმელი ვლადიმერ შეყილაძე, რომელთა განსასვენებელს რუდუნებით უვლის კუნძულის მადლიერი მოსახლეობა.

* * *

ადამიანებმა ყოველთვის უნდა იბრძოლონ ტკბილობაში, კიდრე აქათ უმცირესი შესაძლებლობაც კი.

იაკობ ჯულაშვილი

1993 წელს პრესაში[1] გამოვაქვეყნეთ სტატია „სიკვდილზე ძლიერნი", რომელშიც, სხვათა შორის, პირველად, აღვწერეთ მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკში, ე.წ. „სიკვდილის ფაბრიკებში" გამოკეტილი ქართველი ტყვეების შეურიგებლობა ბედისადმი და მოწამებრიუი თავგადასავალი. ამასთან, მივუთითებდით რა არსებული მასალის სიმწირე-ნაკლებობას, ვწერდით საკითხის ღრმად შესწავლის აუცილებლობაზე, რომ სრულად აგვესახა ომის განმავლობაში ტყვე თანამემამულეთა მონაწილეობა და მამაცობა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში გაჩაღებულ ანტიფაშისტურ ბრძოლაში. ვიმედოვნებდით, რომ ჩვენთვის ხელმიუწვდომელ თუ უცნობ ლიტერატურაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს პოდოლსკის არქივში, აგრეთვე თვით ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკების კანცელარიების მასალებში კიდევ მოიძიებოდა დამატებითი ცნობები აღნიშნულ საკითხზე, რითაც ნათელი მოეფინებოდა უჩინარი ფრონტის მრავალი აქტიური მონაწილის ჩვენთვის უცნობ სახელებს და მათ საგმირო საქმეებს.

ჩვენი იმედი გამართლდა. რუსმა მკვლევარმა ე. ბროდსკიმ, რომელმაც შეისწავლა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა როლი საკონცენტრაციო ბანაკებში გაჩაღებულ ანტიფაშისტურ ბრძოლაში, შეადგინა სია იმ ტყვეებისა, რომლებიც

[1] გაზ. „აჭარა," №59, 1993.

ფაშისტებმა აწამეს, დახოცეს და დაწვეს მაუტჰაუზენისა და დახაუს ბანაკებსა და მათ ფილიალებში 1944 წლის 4 ივლისიდან 1945 წლის 17 მარტამდე. ამ სიაში მითითებულია 24-მდე უცნობი ქართველის გვარი.

ომის განმავლობაში მათ ოჯახებს, როგორც წესი, აცნობებს: „დაიკარგა უგზოუკვლოდ“. არადა, თითოეულის უკან დგას ათობით ადამიანი, რომელთაც არ სჯერათ ამ არაფრის მთქმელი ცნობისა, თვალი გზისკენ უპყრიათ და დღესაც ელოდებიან მათ გამოჩენა-დაბრუნებას. ცხადია, ასეთ ვითარებაში ძნელია ახლობელს ჩაუკლა მოლოდინის უკანასკნელი სხივი, მაგრამ ამ გრანდიოზულ ომში ქართველთა მონაწილეობისა და გამარჯვებაში შეტანილი წვლილის ღირსეულად წარმოჩენა გადაუდებლად მოითხოვს მათ დასახელებას. აი ისინიც (ფრჩხილებში მითითებულია დაბადების თარიღი): მიხეილ ბადიძე (ალბათ ბლადიძე, 25. 09. 1918), გრიგოლ გაბელაშვილი (26. 08. 1922), ვასილ გოზაშვილი (16.03.1905), ალექსი ჯოხაძე (1908), აკაკი ჟორჟოლიანი (3.04.1906), არკადი კალიტაძე (ალბათ კაციტაძე), გრიგოლ ყვავაძე (15.07.1909), ამბროსი კვეტენაძე (15.01.1918), ავთანდილ ქოჩიაშვილი (25.04.1922), სერგო ლორთქიფანიძე (31.03.1917), ივანე მენთეშაშვილი (1922), იაკობ ნადირაშვილი (2.10.1918), ვასო ნიკოლაშვილი (8.03.1909), პიმენ ფოფხაძე (15.12.1921), ლევან ტატიშვილი, შალვა ტატიშვილი (15.10.1915), იასონ ტყეშელაშვილი (1910), ვიქტორ თედოშვილი (ალბათ თედიაშვილი, 15.10.1919), სიმონ ფირცხალაიშვილი (07.06.1919), შაქრო ფლურიძე (ალბათ ილურიძე, 1895), ავთანდილ ჭავჭიძე (25.12.1918), შოთა ჩიხლაძე (29.12.1918), ზაქარია შარაშიძე (16.06.1918) და მემედ ფარტენაძე (25.05.1918). ეს კი იმას ნიშნავს, რომ 24 „გაცოცხლებული“ თანამემამულის სახელმა ამიერიდან სამუდამოდ დაიფანა „მარადიული ხსოვნის წიგნში.“

მკითხველი შეამჩნევდა, მაუტჰაუზენში თუ მის ფილიალებში დახვრეტილ ქართველთა შორისაა აჭარის მკვიდრი მემედ ფარტენაძე. ბათუმელი ფარტენაძეების დახმარებით მოხერხდა, ზოგად შტრიხებში, „უგზოუკვლოდ დაკარგული“ მა-

მაცი ქართველი ჯარისკაცის თავგადასავლის აღდგენა.

მემედ ისმაილის ძე ფარტენაძე ხელვაჩაურელია, სოფელ ზანაქიძეებში ცხოვრობდა და იქვე სწავლობდა. აჭარიდან პირველი მობილიზაციისას, 1937 წელს, გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. სამი წელი იმსახურა ჯარში და ვალმოხდილი დაუბრუნდა ოჯახს. მამა თურმე ჩქარობდა მის დაქორწინებას. თავად ადრე დაქვრივებული, ფიქრობდა, რძალი შემოგვიყვა ოჯახში და ქალის საქმეში მაინც შეგვეხიდებაო, მაგრამ ნათქვამია „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.“ სწორედ ასე მოხდა. ერთი წლის თავზე მემედი ისევ გაიწვიეს არმიაში, ამჯერად ერთთვიან სტაჟირებაზე. ეს იყო 1941 წლის უაღრესად შფოთიან მაისში. 22 ივნისს კი მრისხანე ომიც დაიწყო და ხელვაჩაურელ ახალგაზრდას სამშობლოში დაბრუნება და ოცნების ასრულება აღარ ეწერა. მემედს უფროსი სერჟანტის ჩინი ჰქონდა და პირდაპირ ფრონტზე მოხვდა (ჩანს, ყირიმში იბრძოდა).

ომის შემდეგ ოჯახის წევრები დიდხანს ელოდნენ მემედს, ახლა დაბრუნდებაო, მაგრამ იგი არა და არ ჩანდა. უიმედო ლოდინში მამა გარდაიცვალა. და-ძმებს მაინც არ სჯეროდათ მემედის დაღუპვა. იმედი, რომ გადაეწურათ, ვიღაცამ ამბავი მოიტანა, ქობულეთში ჩამოსულმა ფრანგმა თქვა, ამ გვარის კაცი ჩვენთან ცხოვრობსო. დაფაცურდნენ ნათესავები. ორჯერ წერილიც კი გააგზავნეს დატოვებულ მისამართზე საფრანგეთში, მაგრამ უშედეგოდ ბარათები უკანვე დაუბრუნდათ, მაშინ მიღებული წარწერით „ადრესატი ადგილზე არ იმყოფებაო“. შემდეგ ხმა გავრცელდა – მემედი თურქეთშია, დაქორწინდა და ორ ვაჟკაცს ზრდისო, მაგრამ არ იქნა ამ ცნობის ჭეშმარიტების დადგენაც.

ახლა კი, როგორც იქნა, საიდუმლოებასაც ნათელი მოეფინა. ირკვევა, რომ 1918 წლის 25 მაისს დაბადებული მემედ ფარტენაძე ფრონტზე ტყვედ ჩაუვარდა ფაშისტებს. იგემა სიმფეროპოლისა და პოლტავის ოლქის (ზინკოვის) ბანაკების საშინელებები, შემდეგ კი გერმანიაში ჩაიყვანეს. იქ ქართველი ტყვე იყო „ოსტარბაიტერი“, რომელსაც სხვადასხვა საქმეზე

ამუშავებდნენ. შესაძლოა მემედ ფარტენაძე სწორედ მაშინ ჩაება ტყვეთა არალეგალურ საქმიანობაში, რაც გამჟღავნდა. ფაშისტებმა იგი შეიპყრეს და ჩააგდეს მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც დაიღუპა კიდეც 1944 წლის 26 ივნისიდან ომის დამთავრებამდე განვლილ პერიოდში.

საერთოდ, საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეთა ანტიფაშისტურ ბრძოლაში აჭარის მკვიდრთა მონაწილეობაზე ძალზე მწირი მასალაა. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი პარტიზანის ბორის შურღაიას აღწერილი ტყვე „აჭარელი მამუდას“ ეპიზოდი.[1] მართალია იგი მტერთან პირდაპირ შერკინებაში არ დაღუპულა და გაძაღლებულ სიცოცხლეს საზარელი სიკვდილი ამჯობინა (გერმანულმა ნაგაზებმა დაგლიჯეს), მაგრამ უკანასკნელ წუთებშიც კი შეწყალება არ ითხოვა, რაც ლაპარაკობს მის დიდ შემართებაზე, მტრისადმი ზიზღსა და შეურიგებლობაზე. ცხადია, ამ ფრონტზე მაუტჰაუზენსა თუ მის ფილიალებში დაღუპული მემედ ფარტენაძის ამბავი ერთი დიდი შტრიხით ავსებს აჭარის შვილების მონაწილეობას საკონცენტრაციო ბანაკებში გაჩაღებულ ანტიფაშისტურ ბრძოლაში.

შტუტჰოფის (პოლონეთი) საკონცენტრაციო ბანაკში 1942 წლის დამდეგიდან იმყოფებოდა ცნობილი ყინულმჭრელის „სიბირიაკოვის“ ლეგენდარული კაპიტანი ანატოლი კაჭარავა თავისი ეკიპაჟითურთ. მან იქ შექმნა არალეგალური ორგანიზაცია და „შეუდგა გამოსვლისათვის მზადებას“. ორგანიზაცია დაუახლოვდა ბანაკის ზოგიერთ მცველს, რომლებიც „დათანხმდნენ აჯანყებულთათვის იარაღის მიწოდებაზე, ამის მიუხედავად, შეიარაღებული გამოსვლა შტუტჰოფში არ შედგა“.[2] ფრონტის ხაზის მიახლოების გამო 1945 წლის იანვარში ესესელებმა ბანაკის 25 ათასი პატიმარი დასავლეთით გაირეკეს, მაგრამ მიუსწრეს საბჭოთა არმიის ნაწილებმა და ისინი გაათავისუფლეს.

---

[1] იხ. მისი, ქართველები იტალიის ომში, თბ., 1971.

[2] Семиряга М., Советские люди в европейском Сопротивлении, М., 1970, с. 309-310.

ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი იყო იერემია თავაძე. საბჭოთა არმიაში იგი პოლიტმუშაკი იყო. ეს რომ გამჟღავნებულიყო, მას უეჭველად სიკვდილი ელოდა. ამიტომ ტყვეებს შორის თავს რიგით ჯარისკაცად ლიტვინოვად ასაღებდა. იერემია თავაძე ბუხენვალდის არალეგალური ცენტრის ნდობით აღჭურვილი პირი იყო და მის სხვადასხვა დავალებას ასრულებდა. მონაწილეობდა საბოტაჟსა და დივერსიებში ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობისას და თუმცა მცირე, მაგრამ მაინც საკუთარი წვლილი შეჰქონდა მტერზე გამარჯვებაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ი. თავაძემ გამოაქვეყნა საყურადღებო მოგონება, რომელშიც აღწერა ბუხენვალდის ტყვე ქართველთა შეურიგებლობა ბედისადმი და მტრისადმი დაუმორჩილებლობის მრავალი საინტერესო ფაქტი, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა საკონცენტრაციო ბანაკების ტყვე ქართველთა ანტიფაშისტურ ბრძოლებზე.[1] სხვათა შორის, ამ წიგნით გახდა ცნობილი ბუხენვალდელ ქართველებში პოპულარული გერმანულად პერიფრაზირებული ხალხური სიმღერა „სამი ძმები გურულები."

„დრაი ბრუდერ გურულიშე
არბაიტენ ყანასა,
არბაიტენ, გუტენ მახენ
რუფენ, რუფენ ნანასა" და ა.შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოდ შეუსწავლელია გერმანიაში მყოფ ე.წ. „ოსტარბაიტერთა" ანტიფაშისტური საქმიანობა. არადა ე.წ. „შრომითი მობილიზაციით" საბჭოთა ტერიტორიიდან ფაშისტებმა იძულებით გაიყვანეს მილიონობით ტყვე, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ქართველებიც. გვაქვს საამისო ცნობა ფადიმე ხასანის ასულ ომერიძის შესახებ. იგი მახინჯაურელია. დაამთავრა ბათუმის აეროკლუბთან არსებული საფრენოსნო სკოლა და 1942 წლის იანვარში, ხაბურზანიას გვარით, გადაისროლეს ყირიმში პარტიზანული ჯგუფის განკარგულებაში. ასრულებდა სხვადასხვა დავალე-

[1] ი. თავაძე, ბუხენვალდი არ უნდა განმეორდეს, ბათ, 1973.

ბას. სიმფეროპოლის ქუჩებში ერთ-ერთი რეიდის დროს ფაშისტებმა იგი შეიპყრეს და სამუშაოდ გერმანიაში გაგზავნეს. მოხვდა ბერლინში, კერძოდ შარლოტენბურგში, სადაც მოსამსახურედ ედგა ექიმის ოჯახს. იქ დაუახლოვდა სხვა „აღმოსავლელ მუშებს“ და ჩაება არალეგალურ საქმიანობაში – იყო ბერლინისა და მის რაიონში მოქმედი „ანტიფაშისტური მოძრაობის ცენტრალური საბჭოს რწმუნებული“. გაჰქონდა პროკლამაციები. 1944 წლის 6 აგვისტოს, დავალების შესრულებისას, მის ველოსიპედს დაეჯახა ავტობუსი. ფ. ომერიძემ მოიტეხა მარჯვენა ხელი, დაიზიანა თავიც, მაგრამ არ შეეპუა ტკივილებს და სიცოცხლისათვის დიდი რისკის ფასად პროკლამაციები მაინც მიუტანა ორგანიზაციის ხელმძღვანელს – ერვინ კლიუგეს.

ომის შემდეგ მამაცი ქართველი ქალიშვილი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს (გარდაიცვალა 1969 წელს).

რა თქმა უნდა, ევროპულ წინააღმდეგობაში აჭარიდან წარგზავნილებისა თუ ჩვენი თუ ჩვენი თანაქალაქელების მონაწილეობის ეს სურათი სრული არაა. ბევრის ვინაობა და მათი გმირული თავგადასავალი ჯერ კიდევ უცნობია. მაგ. ნიკოლოზ ჩხაიძე ავსტრიაში იყო გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი და მონაწილეობდა ტყვეთა ანტიფაშისტურ არალეგალურ ბრძოლაში. იგი ის ბედნიერი გამონაკლისია, რომელმაც გადაიტანა ბანაკის საშინელებანი, გადაურჩა კრემატორიუმში სიკვდილს და ომის შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდა. ია-ვარდებით არც აქ დახვედრიან. შესაბამისი უწყება კარგა ხანს იმას ირკვევდა, ნიკოლოზ ჩხაიძე როგორ გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ მრავალჭირგამოვლილმა ვაჟკაცმა მაინც დაამტკიცა თავისი სიმართლე და დღეს ბათუმში ცხოვრობს. ცხადია, ნიკოლოზ ჩხაიძით სია არ ამოიწურება. ამიტომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს შემდგომ ღრმა შესწავლას. ერთი კი ფაქტია, მათ უცხოეთშიც წმიდად ატარეს ქართველი კაცის სახელი და ღირსეულად მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე.

თავი III
აჯარის სახალხო მეურნეობა ომის დროს

§ 1. მრეწველობა და ტრანსპორტი

გერმანია – სსრ კავშირის ომის დასაწყისში, როცა ფაშისტური გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს გერმანიას და მის სატელიტებს მნიშვნელოვანი სამხედრო-მატერიალური უპირატესობა ჰქონდათ, ფაშისტმა დამპყრობლებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყნის დასავლეთი ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელზედაც მოდიოდა სსრ კავშირის თუჯის გამოდნობის 71 პროცენტი, ფოლადის - 58, ქვანახშირის მოპოვების - 63 და ელექტროენერგიის გამომუშავების - 45 პროცენტი.[1]

ომმა სახალხო მეურნეობის წინაშე დააყენა რთულ ამოცანები. ყველა მისი დარგი დაუქვემდებარა ფრონტის ინტერესებს. ფრონტს ყოველდღიურად სულ უფრო მეტი საჭურველი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა, ტანსაცმელი და სურსათი ესაჭიროებოდა. სამრეწველო საწარმოები უმოკლეს ვადაში უნდა გადასულიყვნენ სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე. ამან მოითხოვა საწარმოთა გარდაქმნა, სამრეწველო წარმოების მთელი სტრუქტურის ძირეული შეცვლა, კადრების გადამზადება, ადგილობრივი მოსახლეობისა და ნედლეულის გამოძებნა. სსრ კავშირის მოსახლეობამ ღირსეულად დაძლია სამხედრო ყაიდაზე ეკონომიკის გარდაქმნის მთელი სიძნელეები და უმოკლეს ვადაში უზრუნველყო შეირაღებული ძალები საბრძოლო ტექნიკით და სხვა მასალებით.

კარგად შეარაღებული და ევროპის ომში გამოცდილი ფაშისტური გერმანიის ჯარების წინააღმდეგ ომის წარმოება მოითხოვდა ფრონტის ინტერესებს დამორჩილებოდა მრეწველობის და ტრანსპორტის მთელი კომპლექსი.

---

[1] История Великой Отечественной Войны Советского Союза, 1941-1945 годы, т.2, м., 1961, стр. 544.

ამასთან დაკავშირებით, გაზეთი "პრავდა" მოწინავე სტატიაში წერდა: „მუშაობა, რომელიც თავდაცვის საჭიროებასთან დაკავშირებული არ არის, შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიდოს".[1]

აჭარის მოსახლეობამ, მთელი ქვეყნის მშრომელების მხარდამხარ, დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე. ომის დაწყებისთანავე შემცირდა რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებული ზოგიერთი არააუცილებელი ხარჯი, რომელთაც უშუალო კავშირი არ ჰქონდათ თავდაცვასთან. ქ. ბათუმის და რაიონული საბჭოების დაქვემდებარების დაწესებულებების შენახვისათვის გამოიყო საჭირო სახსრების მინიმუმი, დროებით შეჩერდა მოსწავლეთა ბანაკების, საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის აჭარის ფილიალის და ტურისტური ბაზების მუშაობა, მაქსიმალურად იკლო ყველა სახის ინვენტარის შეძენაზე და ხელოვნების სხვადასხვა დარგზე გათვალისწინებულმა ხარჯებმა, დროებით შეჩერდა სოფლად სკოლების მშენებლობა. ამ გზით დაიზოგა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1941 წლის მეორე ნახევარში ქვეყნის მრეწველობის საომარ მდგომარეობაზე გადაყვანას და სხვა თავდაცვით ღონისძიებებს მოხმარდა 121.422 ათასი მანეთი.[2]

ომმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მრეწველობას იგივე ამოცანები დაუყენა, რაც მთელი ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს მრეწველობის წინაშე იყო დასმული, კერძოდ: აჭარის სამრეწველო საწარმოებს დაუყონებლივ უნდა დაეწყოთ სამხედრო პროდუქციის წარმოება, მიეღოთ ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებული სამრეწველო მოწყობილობა და მასალები, აეწყოთ ისინი აჭარაში არსებულ სამრეწველო საწარმოებში, შეექმნათ ახალი საამქროები იარაღის დასამზადებლად.

მიუხედავად სიძნელეებისა, აჭარის მრეწველობამ შეძლო

---

[1] газета „Правда", 1941 г., 10 июля.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 332, აღწ. 1, საქ. 52, ფურც. 11.

სამრეწველო საწარმოებში ახალი საამქროების მოწყობა და ახალი დანადგარების დადგმა სამხედრო პროდუქციის დასამზადებლად. ასე მაგალითად, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მოეწყო ნაღმებისა და ნაღმსატყორცნების დასამზადებელი საამქრო.[1]

ბათუმელ მენავთობეთა კვალდაკვალ, მანქანათმშენებლებმა აითვისეს საზენიტო ქვემეხების ჭურვების, ხოლო მომთუთიებლებმა – ნაღმსატყორცნების, ხელისა და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების დამზადება. ასე იყო აჭარის სხვა სამრეწველო საწარმოებშიც, რომლებიც ომის დაწყებიდან სულ ერთ თვეში შეუდგნენ საჰაერო თავდაცვისათვის საჭირო სპეციალური ხელსაწყოების წარმოებას, ხოლო 1942 წლის დასაწყისიდან უკვე მასიურად იწყეს საბრძოლო იარაღისა და საჭურველის-ნაღმსარტყორცნების, ნაღმების, ავიაბომბების, ხელყუმბარების, საზენიტო არტილერიის ჭურვების დამზადება-გამოშვება. მარტო 1942 წლის თებერვალში აჭარის საწარმოებმა სამხედრო უწყებებს გადასცეს 49 ათასი ნაღმი.[2]

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის იმ მითითებათა საფუძველზე, რომ მკვეთრად გადიდებულიყო სამხედრო პროდუქციის წარმოება ზურგის რაიონებში, მოხდა საქართველოს საწარმოთა დაჯგუფება და კოოპერირება, მათი პროფილისა და საწარმო შესაძლებლობათა მიხედვით. საწარმოთა იმ ჯგუფს, რომელსაც 82-მილიმეტრიანი საბატალიონო ნაღმსატყორცნების დამზადება დაეკალა, მიეკუთვნა ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა, რომელსაც 1942 წლის იანვრიდან უნდა დაემზადებინა ნაღმსატყორცნები. ეს დავალება თავიდანვე წარმატებით სრულდებოდა. ომის წლებში ქარხანა ამზადებდა, აგრეთვე, ხელისა და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებს.[3]

ომის პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონ-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ I-პ, ანაწ.6. საქ. 181, ფურც. 75.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. I-პ, ანაწ. 6, საქ. 165 ფურც. 17.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.8, თბ., 1980. გვ.115.

და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პროდუქციას. დიდი იყო ამ ქარხნის ხვედრიითი წილი არა მარტო აჭარის მრეწველობაში, არამედ საქართველოს და საკავშირო თავდაცვითი მრეწველობის სისტემაში. ომის დაწყებასთან დაკავშირებით დიდად გაიზარდა მოთხოვნილება საწვავზე, განსაკუთრებით ბენზინისა და საავიაციო ნავთზე. აუცილებელი გახდა ქარხანას დაუყონებლივ გარდაექმნა მუშაობა ფრონტის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ქარხნის კოლექტივმა სწრაფად აითვისა ბენზინის ბ-74-ის წარმოება. მსოფლიო პრაქტიკაში პირველად იქნა შემუშავებული დაბალხარისხოვანი ნავთობიდან საავიაციო ნავთის მიღების მეთოდი. ათვისებული იქნა, აგრეთვე კრეკინგაზიდან ბენზინის მიღების პროცესები. ამ პროცესის დანერგვით ქარხანა იმავე რაოდენობის ნედლეულიდან ყოველთვიურად აწარმოებდა 400 ტონით მეტ ბენზინს. ბათუმელ მენავთობელთა კოლექტივმა 1941 წლის ბოლომდე სახელმწიფოს გეგმის ზევით მისცა 9.511 ტონა ბენზინი, სულ ომის პირველ წელს – 866.336 ტონა.[1] 1942 წლის დასაწყისიდან მასიურად დაიწყო ქარხნისათვის მანამდე უჩვეულო პროდუქციის – საბრძოლო იარაღ-საჭურველის – ჯერ ნაღმების,[2] შემდეგ კი ნაღმსატყორცნების გამოშვება.[3]

საავიაციო მრეწველობის დაკვეთებს ასრულებდა ბათუმის ფირფიცრის ქარხანაც, რომელმაც ომის პირველი დღეებიდანვე დაიწყო საავიაციო მრეწველობისათვის საჭირო სხვადასხვა ხის ნაკეთობათა დამზადება. სამხედრო დაკვეთების დროულად შესასრულებლად ქარხანა მუშაობდა განუწყვეტლივ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში.[4]

აჭარის მრეწველობის საომარ ყაიდაზე გადაყვანა აჭარის საწარმოებს შორის პირველ რიგში მანქანათსაშენ ქარხანას შეეხო, ქარხანამ თითქმის მთლიანად შეწყვიტა სამოქალაქო

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 133, აღწ. 2 საქ. 5.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ 1-ა, აღწ 6, საქ. 165, ფურც. 2.

[3] იქვე საქ. 181, ფურც. 75-76.

[4] აჭარის არ ცსა, ფონ. 2. აღწ. I, საქ. 252, ფურც. 17.

პროდუქციის წარმოება და დაიწყო საომარი იარაღ-საჭურველის დამზადება. ის ჯერ ნაღმების ნაწილებს, ხოლო შემდეგ საზენიტო ჭურვებს, ნაღმებს, ნაღმსატყორცნებს ამზადებდა.[1]

ომის დაწყების პირველ ხანებშივე შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დიდი ზარალი განიცადა, ბევრი სამხედრო გემი დაიღუპა, ბევრი დაზიანდა ბრძოლებში. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მყოფი გემშემკეთებელი საწარმოები გერმანელი ოკუპანტების ხელში აღმოჩნდა, ამიტომ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის გემშემკეთებელ სახელოსნოს[2] თავიდანვე დააწვა მთელი სიმძიმე. სახელოსნომ ომის დაწყებისთანავე დაიწყო მუშაობა ომის მოთხოვნების შესაბამისად. სახელოსნოში თავიდანვე შემოღებულ იქნა სადღეღამისო მუშაობა, დამყარდა მტკიცე სამხედრო დისციპლინა, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. ამის შემდეგ სახელოსნომ შეძლო მწყობრში დაებრუნებინა საომარ მოქმედებაში დაზიანებული შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ათეულობით სხვადასხვა სახის საბრძოლო გემი.[3]

ომის დაწყებიდანვე სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდნენ აგრეთვე აჭარის სარეწაო კავშირის საწარმოებიც. მაგალითად, არტელმა „მეტალურგმა“ 1941 წელშივე დაიწყო სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღის ნაწილების გამოშვება. 1942 წლის იანვრიდან კი მასობრივად შეუდგა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოებას.[4] სამხედრო-თავდაცვით დაკვეთებს აჭარის სარეწაო კავშირის სხვა არტელებიც ასრულებდნენ.

ომის წლებში აჭარის მშრომელებმა ბევრი კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო პროდუქ-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 981, აღწ I, საქ. II, ფურც. 24.

[2] ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან 1921 წლიდან არსებობდა გემთშემკეთებელი სახელოსნო, რომელიც 1943 წლის იანვრიდან გადაკეთდა გემთშემკეთებელ ქარხანად, შემდეგ კი მის ბაზაზე შეიქმნა გემთმშენებელი ქარხანა (აჭარის არ ცსა, ფონ. 455, ანაწ. I, საქ. 4, ფურც. 103).

[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 455, აღწ. I, საქ. 56, ფურც. 143-144.

[4] აჭარის არ ცსა, ფონ. 559, აღწ. I, საქ. 60, ფურც. 8.

ციის გამოშვებაში. ქობულეთის რაიონის ბუკნარის ეთერზეთოვანი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ომამდე გერანისა და ბაზელიკისაგან ზეთს ხდიდა, ომის დაწყებიდან სულ მალე დაიწყო ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის ისეთი პროდუქციის გამოშვება, როგორიცაა ნატურალური სამედიცინო ქაფური, რომელსაც ამზადებდა იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იყო ყოველდღიურად 30 000 ამპულის დასამზადებლად. აქვე დაიწყო, აგრეთვე, ლიმონმჟავა ნატრიუმის გამოშვება, რომელიც იხმარება დონორის სისხლის დაკონსერვებისათვის. ქარხანა, აგრეთვე, სამხედრო ქარხნებისათვის ამზადებდა დისტილირებულ წყალს, სათხილამურო ჯოხებს — სამთო მსროლელ ნაწილებისათვის და ყავარჯნებს დაჭრილებისათვის.[1]

აჭარაში ჯერ კიდევ ომამდე ქვეყნის სამედიცინო მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბათუმის კოფეინის ქარხანას, რომელიც მუშაობდა ჩაის ნარჩენების ბაზაზე. ომის დროს განსაკუთრებით გაიზარდა მისი როლი და მნიშვნელობა, რადგანაც უკვე აღარ იყო საზღვარგარეთიდან კოფეინის შემოტანის შესაძლებლობა. ქარხანა ყოველწლიურად ამზადებდა ათობით ტონა კოფეინს, რითაც სამამულო ომის წლებში ქვეყანას თავიდან ააცილა ყოველწლიურად 30 ტონა კოფეინის საზღვარგარეთიდან შემოტანის ხარჯები.[2]

ომის მრისხანე დღეებში, როდესაც ფრონტს მეტი რესურსები და მეტი საომარ საშუალებები სჭირდებოდა, აჭარაში ბევრგან ხერხდებოდა მათი გამონახვა. მაგალითად, ბათუმის №1 სახელოსნო სასწავლებელმა ომის დასაწყისშივე სათანადო რესურსების გამოძებნით აითვისა და დაიწყო ნაღმის კორპუსების გამოშვება, ხოლო 1942 წლის მარტიდან მასიურ გამოშვებაზე გადავიდა და თვეში 3000 ცალ კორპუსს ამზა-

---

[1] ს. ტაბაღუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ბათ., 1974, გვ. 24.

[2] ს. დუმბაძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის წლებში, ბათ., 1983 გვ. 50.

დებდა.[1]

ომმა მოითხოვა მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოების მუშაობის გარდაქმნა ფრონტის მოთხოვნილებათა შესაბამისად. საჭირო იყო მეტი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა აუცილებელი საგნები. ბათუმის №5 სამკერვალო ფაბრიკამ დაიწყო დაბამბული შარვლების, გიმნასტიორკების, ქუდების და საცვლების შეკერვა არმიის და ფრონტის მებრძოლებისათვის.[2] ციტრუსკომბინატმა აითვისა და დაიწყო ხილისა და ხორცის კონსერვების დამზადება.[3] აჭარის ჩაის ფაბრიკებმა ათასობით კილოგრამი ზეგეგმითი ჩაის მზა პროდუქცია მისცეს ქვეყანას. მარტო ბათუმის ჩაის ფაბრიკამ ომის პირველ წელს გეგმის ზევით გამოუშვა 6.698 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქცია.[4]

აჭარის სარეწაო კოოპერაციის საწარმოები ომის დაწყებიდანვე ფრონტისათვის ამზადებდნენ მრავალი სახეობის პროდუქციას – ავტოტრანსპორტისათვის რკინის ჯაჭვებს, შუქშენიღბვის საგნებს, ტყვიამფრქვევების საყრდენებს, საწვიმრებს, ქამრებს, ხელთათმანებს, საჰაერო თავდაცვის სპეციალურ ხელსაწყოებს და ინვენტარს, სანიტარულ საკაცეებს და ჩანთებს, სასიგნალო ალმებს, სამედიცინო და სანიტარულ ხალათებს, ცეცხლგამჩენი ბომბების ამოსაღებ მარწუხებს, სულ მათ ომის წლებში დაამზადეს და ფრონტს მიაწოდეს 100-ზე მეტი დასახელების ფრონტისათვის მეტად აუცილებელი საგანი.[5]

აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, ომის დაწყებიდან 3-4 თვის განმავლობაში განხორციელდა მრეწველობის მთავარი დარგის გადაყვანა ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის წარმოებაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის მთელი ეკონომიკის სამხარ ყაიდაზე გადაყვანა დასრულდა

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 1-3, აღწ. 6, საქ. 465, ფურც. 2.
[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 274, აღწ. I, საქ. 8, ფურც. 13.
[3] აჭარის არ ცსა, ფონ, 674 აღწ. I, საქ. 71, ფურც. 40.
[4] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1942 წლის 11 იანვარი.
[5] აჭარის არ ცსა, ფონ. 599, აღწ. I, საქ. 80, ფურც. 1-2.

1942 წლის მეორე ნახევრისთვის, როცა დაიწყო დაძაბული ბრძოლები კავკასიის და კერძოდ, საქართველოს საზღვრების დასაცავად.

საომარ ყაიდაზე გარდაქმნილმა აჭარის მრეწველობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში. ეს წვლილი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო კავკასიის დაცვისა და ჩვენს სასარგებლოდ ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში, როცა კავკასიის დამცველი ჯარების მომარაგება მოწყვეტილი იყო ქვეყნის ცენტრალურ ბაზებს და მთელი კავკასიის ფრონტის მომარაგება ძირითადად ამიერკავკავკასიის რესპუბლიკებს–საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უხდებოდა.[1]

დაძაბული გმირული ბრძოლები კავკასიის დაცვისათვის მიმდინარეობდა თითქმის თხუთმეტი თვის განმავლობაში - 1942 წლის 25 ივლისიდან 1943 წლის 9 ოქტომბრამდე.[2] 1942 წლის ივლისის დამლევს და აგვისტოს დამდეგს მოწინააღმდეგემ, რომელსაც სამხედრო ძალისა და ტექნიკის მხრივ აშკარა უპირატესობა ჰქონდა, შეძლო გადასულიყო მდინარე ყუბანზე, აგვისტოს შუა რიცხვებში აიღო მოზდოკი და დაეუფლა თითქმის ყველა უღელტეხილს. სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ქალაქი სოხუმი.

სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე მტრის ჯარებმა დაიპყრეს მაღალმთიანი სოფელი ფსხუ, დაანგრიეს, გაძარცვეს და ააწიოკეს მთელი მოსახლეობა. ფაშისტური თვითმფრინავები ბომბებს უშენდნენ სოხუმს და ფოთს, არ ზოგავდნენ მშიდობიან მოსახლეობას, ანგრევდნენ სკოლებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს. მიუხედავად ჩვენი ჯარების ძლიერი წინააღმდეგობისა, სოხუმისა და გუდაუთის მიმართულებით ზოგ ადგილას მტერი 20-25 კილომეტრზე მიუახლოვდა შავი ზღვის სანაპიროს და დაუინებით მიიწევდა წინ, სოხუმისკენ. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები.

---

[1] გ. კ. ჟუკოვი, „მოგონებები და ფიქრები", თბ., 1970, გვ. 452.

[2] ნ. კალაძე, უდრეკი კავკასიონი, თბ., 1943, გვ. 3.

სამშობლოს განსაცდელის ჟამს საქართველოს მრეწველობამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა ფრონტის დასახმარებლად. რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებმა აითვისეს იარაღ-საჭურველის გამოშვების რთული პროცესები, გაზარდეს ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვება. მთლიანად მათ 1942-1943 წლებში აითვისეს, დაამზადეს და ფრონტს მიაწოდეს 200-ზე მეტი დასახელების იარაღ-საჭურველი და თავდაცვითი დანიშნულების სხვა პროდუქცია.[1]

ომის მეტად რთულ პერიოდში სამშობლოს დაცვაში აქტიურად მონაწილეობდნენ აჭარის მრეწველობის საწარმოთა შრომითი კოლექტივები. კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, გემთშემკეთებელი, მანქანათსაშენი, ხის დასამუშავებელი, მომთუთიებელი, ქიმიური და სხვა ქარხნების, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა მთელი თავიანთი საქმიანობა ფრონტის ინტერესებს დაუმორჩილეს და ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო იარაღ-საჭურველის და თავდაცვითი დანიშნულების სხვა პროდუქციის დამზადებაზე გადავიდნენ. ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივი მასობრივად უშვებდა 82-მილიმეტრიან ნაღმსარტყორცნებს,[2] ხის დასამუშავებელი კომბინატი საავიაციო მრეწველობისათვის ამზადებდა სხვადასხვა სახის ნაკეთობებს, მანქანათსაშენი ქარხანა – საზენიტო ჭურვებს, ნაღმებს და ნაღმსარტყორცნებს,[3] მომთუთიებელი ქარხანა – ხელყუმბარებს, ნაღმსარტყორცნებს და სხვა საომარი იარაღის ნაწილებს. მარტო მომთუთიებელი ქარხანა ყოველთვიურად ამზადებდა 20-30 ათას ხელყუმბარას.[4]

ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა ძირითადად მუშაობდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური დაკვეთების შესრულებაზე, უმთავ-

---

[1] ა. იოსელიანი, „საქართველოს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში", თბ., 1958, გვ. 151.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 13, ფურც. 142.

[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 1-ა, აღწ. 5, საქ. 465, ფურც. 2.

[4] აჭარის არ ცსა, ფონ. 267, აღწ. 1, საქ. 18, ფურც. 7-8.

რესად მეომრებისათვის კერავდა ტანსაცმელს. 1943 წელს ფაბრიკამ ფრონტელი მეომრებისათვის დაამზადა 358 ათასი ცალი საცვალი, 21 ათასი დაბამბული სათბუნებელი, 17 ათასი შარვალი, 99 ათასი ქუდი და მრავალი სხვა სახის ტანსაცმელი. სამხედრო დაკვეთების გეგმას ფაბრიკა მუდამ გადაჭარბებით ასრულებდა. ფაბრიკის კოლექტივის შრომითი აქტივობა ომის წლებში იმდენად მაღალი იყო, რომ ზოგჯერ მუშები ოჯახშიაც ასრულებდნენ სპეცდაკვეთებს.[1]

ომის მძიმე დღეებში ბაქოს მენავთობთა მსგავსად, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში დანერგილი იქნა ნავთობის გადამუშავების მოწინავე მეთოდები, გაუმჯობესდა ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები, ფართოდ დაინერგა ნავთობის მეორადი გამოხდა საავიაციო ნავთის მისაღებად, მკვეთრად შემცირდა ნავთობის დანაკარგები. ქარხანაში ბრძოლა ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმისათვის სამხედრო დროის კანონად იყო გამოცხადებული, რის შედეგადაც მარტო 1943 წელს ქარხნის კოლექტივმა ქიმიკატების მომჭირნეობით ხარჯვით ქვეყანას მისცა 3.653.0 ათასი მანეთის ეკონომია, ხოლო ნავთობის გადამუშავების დროს დანაკარგების შემცირების გზით კი გეგმის გადაჭარბებით აწარმოა 553 ტონა საავიაციო ნავთი.[2] ყოველივე ამან უზრუნველყო ქარხნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანამ 1943 წელს ნავთობი ნაკლები რაოდენობით მიიღო, ვიდრე 1942 წელს, საავიაციო ნავთობისა და ბენზინის წარმოება მაინც გაიზარდა. მაგალითად, 1943 წელს გამოშვებული იქნა 32.788 ტონა საავიაციო ნავთი, 1942 წელს 26.692 ტონის ნაცვლად, ბენზინი – 170.380 ტონა, ნაცვლად 160.459 ტონისა, საწვავი ნავთი 102.196 ტონა, ნაცვლად 79.759 ტონისა.[3]

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ ომის პერი-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 267, აღწ. 7, საქ. 301, ფურც. 75.
[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 133 აღწ. I, საქ. 29, ფურც. 462.
[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 133, აღწ. I, საქ. 36, ფურც. 17.

ომის ოთხი წლის მანძილზე – 1941 წლის ივნისიდან 1945 წლის ივლისამდე ქვეყანას მისცა 171.878 ტონა საავიაციო ნავთი, 690.876 ტონა ბენზინი, 30.534 ტონა ნიგროლი, 566.601 საწვავი ნავთი, 33,876 ტონა სოლარის ზეთი, 177,744 ტონა ავტოლი, 8.855 ტონა ტრანსფორმატორის ზეთი, 131.304 ტონა ნავთობი, 103.050 ტონა ძრავის საწვავი, 710.640 ტონა სათბობის ზეთი, 470.628 ტონა ფლოტის მაზუთი და სხვა პროდუქცია. სულ 3.095.988 ტონა საწვავი მასალა.[1] თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან ერთად აქტიურად საქმიანობდნენ აჭარის სარეწაო კოოპერაციის საწარმოები, რომლებიც 1942-1943 წლებში ასრულებდნენ ამიერკავკასიის ფრონტის და შავი ზღვის ფლოტის დაკვეთებს.[2]

კავკასიის დაცვისა და ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში, ბათუმის გემთმშენებელ ქარხანას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ბრძოლებში შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემების დროულად შეკეთების უზრუნველყოფის საქმეში. ქარხანამ განსაკუთრებით დიდი სამუშაოები შეასრულა 1943 წელს. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობამ შეადგინა 2.683. ათასი მანეთი, რაც თითქმის ერთი მილიონი მანეთით ჭარბობდა 1942 წელს შესრულებულ სამუშაოებს. 1943 წელს ბათუმელმა გემთშემკეთებელმა მწყობრში ჩააყენეს 48 სხვადასხვა ტონაჟის გემი,[3] მათ შორის დიდი გემები და სახაზო ხომალდები: „იუპიტერი“, „კრასნაია მოლდავია“, „კრასნი კუბან“, „ჩაპაევი“, „კურსკი“, „ტოროსი“ და სხვა. ბათუმელ გემთშემკეთებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნაღმოსან „ოგნევოის“ ჯერ კიდევ ომამდე, სევასტოპოლში დაწყებულ მშენებლობა ბათუმის გემთშემკეთებელ ქარხანაში დამთავრდა. ეს ამ ქარხნის კოლექტივის დიდი შრომითი გამარჯვება იყო.[4]

---

[1] ს.დუმბაძე, დას. ნაშ., გე. 44; აჭარის არ ცსა, ფონ. 133, აღწ. I, საქ. 44. ფურც. 150.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 559, აღწ. I, საქ. 80, ფურც. 4.

[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 455, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 106.

[4] ს. დუმბაძე, დას. ნაშ., გე. 47.

ბათუმის გემთშემკეთებელი ქარხანა და ბათუმის სევასტოპოლიდან ევაკუირებული გემთშემკეთებელი ქარხანის ბათუმის ფილიალის კოლექტივი ომის წლებში სხვა სახის ოპერატიულ დავალებებსაც ასრულებდა. მაგალითად, 1944 წელს მდინარე ჭოროხზე აშენდა ხიდი, რომლის მთელი ლითონკონსტრუქციები ფილიალის კოლექტივმა დაამზადა. ხიდს მაშინ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის ტერიტორიაზე გამავალი სახელმწიფო საზღვრის დაცვისათვის. ომის დროს გემთშემკეთებელთა თავდადებული შრომა სათანადოდ დაფასდა. ქარხნის 136 მუშაკი დაჯილდოვდა მედლებით „სტალინგრადის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ომის ძირეული გარდატეხის პერიოდში წარმატებები ქვეჯინის სამხედრო ეკონომიკაში და ახალ-ახალი გამარჯვებები ფრონტებზე ხელსაყრელი პირობებს ქმნიდა საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის, ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე იქმნება ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი ახალი საწარმოები. 1943 წლის 20 აპრილს ბათუმში ამუშავებდა ასანთის ფაბრიკა. მოსახლეობის სათბობით უზრუნველყოფის მიზნით 1943 წლის მარტში ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ნავთობის ნარჩენების ბაზაზე შეიქმნა სათბობ მასალათა წარმოების საწარმო.[1] 1943 წლის აგვისტოდან ბათუმში მუშაობას იწყებს ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო იარაღების მექანიკური დანადგარებისა და მანქანათა მოწყობილობების დამამზადებელი მექანიკური სახელოსნო.[2] 1943 წლიდან რაიონულ მრეწველობის საწარმოთა ბაზაზე ყალიბდება რაიონული სამრეწველო კომბინატები.[3] ადგილობრივი ნედლეულისა და სამრეწველო საწარმოთა ნარჩენების ბაზაზე 1943 წელს ბათუმსა და ქობულეთში ეწყობა საპარფიუ-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 42, ანაწ. I, საქ. 40, ფურც. 5.
[2] იქვე, ფონ. 170, აღწ. I, საქ. 25, ფურც. 16.
[3] იქვე, ფონ. 2, აღწ. I, საქ. 1391, ფურც. 17.

მერიო, სახერხი და თოკის დამამაxადებელი საწარმოები.[1]

მიუხედავად სიძნელებისა, ახლად შექმნილმა საწარმოებმა წარმატებით გაართვეს თავი დავალებათა შესრულებას და მრავალი ახალი სახის ფართო მოხმარების საქონელი გამოუშვეს, 1943 წლის დამლევამდე ბათუმის სათბობ მასალათა წარმოებამ 54 ტონა სათბობი ბრიკეტი დაამზადა, ბათუმის საპარფიუმერიო ფაბრიკამ — 1092 კგ ოდეკალონი, 1212 კგ ხელსაბანი საპონი, 160კგ საჭმელი სოდა, 200 კგ კბილის ფხვნილი, ბათუმის ასანთის ფაბრიკამ — 54250 კოლოფი ასანთი.[2]

1943 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები აფართოებენ სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებას. ბათუმის მომთუთიებელი ქარხნის კოლექტივმა, სხვა მნიშვნელოვან დაყალებებთან ერთად, წარმატებით გაართვა თავი ფართო მოხმარების საგნების გამოშვებას და ამ მიმართულებით 1943 წლის პირველი ნახევრის გეგმა 141 პროცენტით შეასრულა, ხოლო წლის ბოლომდე გამოუშვა 2.864,2 ათასი მანეთის პროდუქცია, 1943 წელი დიდი წარმატებებით აღნიშნა ბათუმის კოფეინის ქარხნის კოლექტივმაც. ქარხანამ 1942 წელს გამოშვებული 1,263 კგ კოფეინის ნაცვლად, 1943 წელს გამოუშვა 1836 კილოგრამი.[3] დიდი შრომითი აქტივობით მუშაობდა ბათუმის ხორცკომბინატის კოლექტივი, რომელმაც 1943 წელს გადაამუშავა 5.202.7 ცენტნერი ხორცი, დაამზადა 1795.9 ცენტნერი ძეხვი, 550,8 ცენტნერი ცხიმი, 52,0 ათასი ცალი კატლეტი, გამოუშვა 65,9 ცენტნერი სარეცხი საპონი და სხვა.[4]

ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვება გაიზარდა აჭარის სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოებშიც, რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები დიდი გადაჭარბებით ას-

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1944 წლის 1 მარტი.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 96, ანაწ. I, საქ. 549, ფურც. I, ფონ. 267, აღწ. I, საქ. 93, ფურც. 70.

[3] იქვე, ფონ. 866, აღწ. I, საქ. 14, ფურც, 16.

[4] აჭარის არ ცსა. ფონ. 866, ანაწ. I, საქ. 14, ფურც. 16.

რულებდნენ დავალებებს ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, რაც ქვემოდ მოყვანილი ცხრილიდანაც სჩანს.

ცხრილი 1

აჭარის სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალ საწარმოთა მიერ ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვება 1943 წელს

№3 რიგზე	არტელების დასახელება	საერთო პროდუქციის გამოშვება (ათას მანეთებში)		მათ შორის ფართო მოხმარების პროდუქცია (ათას მანეთებში)		შენიშვნა
1	"მკერავი"	809,0	1010,6	718,0	990,8	
2	"მელითონე"	1 205,0	1 235,0	494,0	551,7	
3	"ბიტრემონტი"	1 609,0	1 816,0	1 885,0	1 636,2	
4	"რაზნოპრომი"	1 814,0	1 982,0	1 461,0	1 673,3	
5	"გუუტრან-სპორტი"	2 002,0	2993,7	51,0	117,7	

ომის ბოლო წლებში ფრონტზე მიღწეულმა წარმატებებმა და ეკონომიკის მძლავრმა აღმავლობამ შესაძლებელი გახადა სამოქალაქო ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაზრდა. სახელმწიფოს 1944-1945 წლებში უკვე შეეძლო სახსრები დაებანდებინა ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის. ეს პროცესი მთლიანად შეეხო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობასაც.

აჭარის სამრეწველო საწარმოებს შორის ფართო მოხმარე-

ბის საგნების წარმოების გაფართოება პირველ რიგში შეეხო ბათუმის მომთუთიებელ ქარხანას. თუ ქარხანა 1941-1943 წლებში უმეტესად ამზადებდა ფრონტისათვის საჭირო პროდუქციას – ხელყუმბარებს, ნაღმსარტყორცნებსა და სხვა საბრძოლო იარაღსა და მის ნაწილებს, ომის ბოლო წლებში ძირითადად უშვებდა სამოქალაქო ფართო მოხმარების საგნებს.

ომის ბოლო წლებში ფართო მოხმარების საგნების ასორტიმენტი და წარმოება გაიზარდა ბათუმის ქიმიურ ქარხანაშიც. 1944 წელს ქარხანამ სულ მოკლე ხანში აითვისა შაბიამნის წარმოება და სოფლის მეურნეობას მისცა მეტად საჭირო 50 ტონა შაბიამნის ხსნარი. ხოლო ბოლო 1945 წელს შეძლო დაემზადებინა 256 ტონა რაოდენობით. ქარხანამ აითვისა, აგრეთვე, ფართო მოხმარების პროდუქციის – კომბინირებული საკეების, საკანცელარიო საგნების, ტუნგის ლაქის და სხვათა წარმოება. ომის ბოლო – 1945 წელს ქარხანა უშვებდა 10-ზე მეტ დასახელების სამოქალაქო ფართო მოხმარების საგნებს.[1]

ომით გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად, აჭარაში მშრომელთა მაღალმა შრომითმა აქტივობამ, საწარმოებში გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული წინადადების ფართოდ დანერგვამ, ადგილზე ნედლეულის გამონახვამ, შრომის ნაყოფიერების სისტემატურმა ზრდამ, უზრუნველყო ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოებში განვითარების ომამდე დონის შენარჩუნება, რაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდანაც ჩანს.

ცხრილი 2

№ რიგზე	წ ლ ე ბ ი	გამოშვებული პროდუქცია (ათას მანეთებში)	შესრულება პროცენტებში 1940 წელთან შედარებით
1	1940	5 357,1	–
2	1941	7 143,2	133,3
3	1942	7 396,3	82,1

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 42, აღწ. I, საქ. 40, ფურც. 5, საქ. 48, ფურც. I.

4	1943	4 016,0	75,0
5	1944	4 648,9	86.8
6	1945 (პირველი ნახევარი)	2 529,0	—

ომის ბოლო წლებში წარმატებით საქმიანობდნენ აჭარის სარეწაო კოოპარაციის საწარმოთა კოლექტივებიც, რომლებიც ძირითადად დასაქმებული იყვნენ სამოქალაქო ფართო მოხმარების საქონლის დამზადებაზე და დიდი წვლილი შეჰქონდათ საერთოდ მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით მომარაგების საქმეში. აჭარის სარეწაო კოოპერაციის მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელებისა, მაინც შეინარჩუნეს განვითარების ომამდელი დონე.

ომის წლებში აჭარის სამრეწველო საწარმოთა წარმატებებში დიდი წვილი მიუძღვით აჭარის ენერგეტიკული დარგის მუშაკებს. საგრძნობლად გაიზარდა ამ დარგის საწარმოთა სიმძლავრე. ომის უკანასკნელ – 1945 წელს აჭარაში მუშაობდა 20 დიდი და პატარა ელექტროსადგური, რომლებმაც გამოიმუშავეს 90 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ეს კი 209 პროცენტით ჭარბობდა აჭარაში ომამდე გამომუშავებულ ელექტროენერგიას.[1]

ამრიგად, მოყვანილი მონაცემები მეტყველებენ, რომ ომამდელ ხუთწლედებში შექმნილმა აჭარის მრეწველობამ გაუძლო ომით გამოწვეულ სიძნელეებს. სამრეწველო საწარმოთა ძირითადმა ნაწილმა შეინარჩუნა სამრეწველო განვითარების ომამდე დონე და თავისი პროდუქციით და საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა ფრონტისა და ზურგის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

[1] აჭარის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ, 1958 გვ. 18.

* * *

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ტრანსპორტს უჭირავს. ტრანსპორტის როლი ქვეყნის ეკონომიკაში ყოველთვის დიდია, განსაკუთრებით კი, ომის პერიოდში.

ფაშისტური ოკუპანტების წინააღმდეგ გაჩაღებულმა ომმა ტრანსპორტს დიდი ამოცანები დაუსახა. ომის პერიოდში ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე დამოუკიდებული იყო ფრონტისათვის იარაღსაჭურველის და სურსათის მიწოდება, ჯარის ნაწილების გადაყვანა, ფრონტისა და ზურგის კავშირურთიერთობის განმტკიცება, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მომსახურება.

ომის პერიოდში, ისე როგორც ომამდე, აჭარაში წამყვანი დარგი იყო საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. ომის დაწყებისთანავე აჭარის ტრანსპორტის ბევრი მუშაკი ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგა, ზურგში დარჩენილები კი გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ფრონტის მომარაგებისათვის, ყველაფერს აკეთებდნენ მტერზე გამარჯვების მისაღწევად.

გერმანია–საბჭოთა კავშირის ომის მატიანეში საპატიო ადგილი უჭირავს შავი ზღვის ფლოტს, ბათუმის, სოხუმის, ფოთის ნავსადგურებს, ის უდიდესი ამოცანები, რომლებსაც ომის წლებში შავი ზღვის ფლოტი ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების ჯარებთან ურთიერთმოქმედებით და შავი და აზოვის ზღვების ტრანსპორტის მუშაკთა მონაწილეობით ასრულებდა, წარმატებით ვერ განხორციელდებოდა ბათუმის, სოხუმის და ფოთის ნავსადგურების შრომითი კოლექტივების თავდადებული შრომის გარეშე. სწორედ საქართველოს ნავსადგურები იყო ომის ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში შავი და აზოვის ზღვების აუზების ხომალდებსა და გემების ძირითადი ბაზა, ამ ნავსადგურებით წარმოებდა უკრაინის და ყირიმის სანაპირო რაიონების მოსახლეობის, ჯარის, სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი ტვირთებისა და საბრძოლო ტექნიკის ევაკუაცია, აქედან იგზავნებოდა ოდესისა და სევასტოპოლის გმირული გარ-

ნი'სონებისათვის მებრძოლები, იარაღი, საბრძოლო მასალა და სხვა მატერიალ'ური საშ'უალებანი. ძირითადად ამ ნავსადგურებში წარმოებდა მრავალი დიდმნიშვნელოვანი სადესანტო ოპერაციების ჩატარებისათვის გათვალის'წინებ'ული ჯარების მომზადება და ეკიპირება. მარტო კავკასიის დაცვის პერიოდში საქართველოს ნავსადგურებიდან ზღვით გადაყვანილი იქნა 213 ათასზე მეტი კაცი და გადატანილი იქნა 260 ათასამდე ტონა სამხედრო ტვირთი.[1]

1943-1945 წლების დამდეგს, ისე როგორც ომის პირველ პერიოდში, შავი და აზოვის ზღვების საბრძოლო გემებსა და ხომალდებს ძირითადად კვლავ საქართველოს ნავსადგურებში ჰქონდათ ბაზა, აქედ გადიოდნენ მომზადებას ის ჯარები, რომლებიც მონაწილეობდნენ ნოვოროსიისკ-ტამანის და ქერჩის სადესანტო ოპერაციებში. ტამანის ნახევარკუნძ'ულზე მოქმედი ჩრდილოკავკასიის ფრონტის ჯარებისათვის დიდი რეზერვები და მატერიალ'ურ-ტექნიკური საშ'უალებანი იგზავნებოდა ბათუმის, ფოთის, სოხ'უმის ნავსადგურებიდან, ამ ნავსადგურების კოლექტივები უზრ'უნველყოფდნენ ჯარების გადაყვანას და დიდძალი ტვირთის გადატანას. გარდა ამისა, დიდ მ'უშაობას ეწ'ეოდნენ ნავსადგურის ნაგებობათა მშენებლობის, გაფართოებისა და სრულყოფისათვის. საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები 1945 წელს კვლავ განაგრძობდნენ დიდი რაოდენობით ტვირთების გადაზიდვას. გადიდდა როგორც შიგარესპუბლიკური, ისე საექსპორტო-საიმპორტო ტვირთბრუნვა.

ომის წლებში და, განსაკუთრებით, კავკასიის დაცვის პერიოდში, დაძაბული მ'უშაობა მოუხდა ამიერკავკასიის რკინიგზის მ'უშაკებს. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანა, რომელიც ჰიტლერულმა არმიამ დაისახა, ფრონტისა და ზ'ურგის კომ'უნიკაციების მოშ'ლა იყო. დაიკავა რა ომის პირველ დღეებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჰიტლერელებმა ამით დიდად გაართულეს ამოცანები, რომლებიც არაოკ'უპირებული

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1980, ტ. 8, გვ. 131.

ტერიტორიების რკინიგზების წინაშე იდგა. ამიერკავკასიის რკინიგზელებს აუწერელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მით უმეტეს, რომ იგი 1942 წლის ზაფხულიდან ფრონტისპირა გზა გახდა. მას ევალებოდა სამხრეთის ფრონტების საჭიროებისათვის ჯარების გადაყვანა, საბრძოლო ტექნიკის აღჭურვილობის, საომარი მასალებისა და სურსათის გადაზიდვა. რკინიგზის მუშაობაზე იმ წლებში ყველაფერი იყო დამოკიდებული. ამიერკავკასიელ რკინიგზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ღირსეულად გაართვეს თავი ომით გამოწვეულ სიძნელეებს და შრომითი გმირობის არაერთი მაგალითი გვიჩვენეს. ასობით რკინიგზელი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, აქედან შვიდს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა (კ. ცქიტიშვილი, დიადი გამარჯვების საწყისები, თბ., 1974, გვ. 176).

ომის რთულ ვითარებაში რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძის მუშაკებმაც. ომის წლებში ბათუმელი რკინიგზელები თავდადებული შრომით ყველაფერს აკეთებდნენ ფრონტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და წარმატებებსაც აღწევდნენ. ბათუმის სადგური ერთ-ერთი მოწინავე იყო ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ომის მთელ პერიოდში სადგურში საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის და ექსპლოატაციის ტექნიკური ნორმების დარღვევის არც ერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი.[1]

ომის წლებში ფრონტის თავის დროზე მომარაგების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რამდენიმე მატარებლის შემადგენლობათა ერთდროულად გაფორმებას, სწრაფად შედგენასა და დაშლას, საწვავი მასალის მომჭირნეობით ხარჯვას. და ამ მიმართებითაც ბათუმელ რკინიგზელებს დიდი წარმატებები ჰქონდათ. რკინიგზელმა მ. მანჯგალაძემ წინადადება შეიტანა მატარებლის შედგენისა და დაშლისადმი ახა-

[1] ა. იოსელიანი, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 40.

ლი მიდგომის შესახებ. ეს წინადადება დაინერგა წარმოებაში და მალე გავრცელდა ამიერკავკასიის რკინიგზის თითქმის ყველა სადგურში (გაზ. „კომუნისტი“, 1945 წლის 5 აგვისტო). ბათუმის რკინიგზის კვანძის მუშაკები დიდ წარმატებებს აღწევდნენ საწვავი მასალის ეკონომიის დარგში. მემანქანეები მატარებლის ყოველ მარშრუტზე ასობით კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომიას ახერხებდნენ.[1]

განსაკუთრებით ომის ბოლო წლებში კიდევ უფრო გაუმჯობესდა ბათუმელ რკინიგზელთა მუშაობა. 1944 წელს რკინიგზის ბათუმის კვანძის ტვირთბრუნვამ 874.074 ტონას გადააჭარბა. სავაგონო დეპოს ბრიგადამ, რომელსაც ვ. არველაძე ხელმძღვანელობდა, 1944 წელს 10 წუთით შეამცირა ვაგონების გასინჯვის დრო და პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის სავაგონო დეპოების მოწინავე ბრიგადებს შორის (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1944 წლის 21 ივლისი). სათბობის ეკონომიკისათვის მოწყობილ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა რკინიგზის დეპოს ბრიგადამ, რომელსაც ნ. დარჩია ხელმძღვანელობდა. მარტო 1944 წლის ივნისში ნ. დარჩიას ბრიგადამ 3.677 კილოგრამი სათბობი დაზოგა (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1944 წლის 11 ივლისი). 1945 წელს შეჯიბრებაში თავი ისახელა რკინიგზის კვანძის ვაგონ-სარემონტო ბრიგადამ, რომელსაც კ. უგულავა ხელმძღვანელობდა, ვალდებულებით გათვალისწინებული 43 ვაგონის ნაცვლად შეაკეთა 47 ვაგონი.[2]

ომის წლებში აჭარის ტრანსპორტის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის საშუალებებს. ომამდე აჭარაში იყო ერთი ბათუმის აეროპორტი, რომელიც ქ. ბათუმს საჰაერო გზით აკავშირებდა ქვეყნის სხვა ცენტრებთან. ომის დროს, როცა მტერი კავკასიისაკენ გამოიჭრა, საჭირო გახდა ქვეყნის სამხრეთით არა მარტო საზღვაო და სახმელეთო, არამედ საჰაერო ჭიშკრის გამაგრებაც. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა საჭი-

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1944 წლის 11 ივლისი.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 1-პ, აღწ. 9, საქ. 3, ფურც. 87.

როდ მიიჩნია აჭარაში დამატებით აეროდრომის აშენება. აჭარის მშრომელებმა მოკლე დროში შეასრულეს ეს უმნიშნელოვანესი სამხედრო დავალება.[1]

აჭარაში, როგორც ომამდე, ასე ომის წლებშიც, შიდა მიმოსვლის წამყვანი საშუალება იყო საჭაპანო და საავტომობილო ტრანსპორტი. საავტომობილო ტრანსპორტი უმთავრესად ემსახურებოდა ავტონომიური რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებს, საწარმო-დაწესებულებებს, ხოლო საჭაპანო ტრანსპორტი გადამწყვეტ როლს ასრულებდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში, გზებისა და ხიდების მშენებლობაში, სასაზღვრო სამხედრო ნაწილების მომსახურებაში.[2]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტი, ისე როგორც მთელი საქართველოს სატრანსპორტო მეურნეობა, ომის წლებში დიდ სიძნელეებს განიცდიდა. მნიშვნელოვნად შემცირდა საავტომობილო პარკი, არ ჰყოფნიდა სათადარიგო ნაწილები, რის გამოც ავტომანქანების უმეტესი ნაწილი უქმად იდგა. სახალხო მეურნეობის გადაზიდვების მთელი სიმძიმე საჭაპანო ტრანსპორტს დააწვა, თუმცა აქაც იგრძნობოდა გამწევი ძალის მწვავე ნაკლებობა. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, აჭარის საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტმა სახალხო-სამეურნეო გადაზიდვების ამოცანები წარმატებით შეასრულა და საჭირო დახმარება გაუწია რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საჯარო ნაწილებს.

ამრიგად, ომის პერიოდში ტრანსპორტმა, ისე როგორც მრეწველობამ საერთოდ, დიდი როლი შეასრულა ფრონტისა და ზურგის გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში, ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის განმტკიცებას, ფრონტთან ზურგის დაკავშირებას და ყოველივე ამით გარკვეული წვლილი შეიტანა ფაშისტურ ოკუპანტებზე გამარჯვების საქმეში.

---

[1] ს. დუმბაძე, დას. ნაშ., გვ. 58.

[2] ს. დუმბაძე, დას. ნაშ., გვ. 59.

§ 2. სოფლის მეურნეობა

ომმა სოფლის მეურნეობა ახალი რთული ამოცანების წინაშე დააყენა. ომის პირველ პერიოდში ჰიტლერული გერმანიის მიერ ჩვენს ევროპული ნაწილის ნაყოფიერი მიწების – უკრაინის, რუსეთის და ბელორუსიის რესპუბლიკების უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რაიონების დროებითმა დაპყრობამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საგრძნობლად დაცემა. ქვეყანაში 1942 წლისათვის ნათესი ფართობების რაოდენობა ომამდელთან შედარებით შემცირდა 20,4 მილიონ ჰექტარით. დროებით დაკარგულ ტერიტორიაზე, ოკუპაციამდე საბჭოთა ადამიანებს მოჰყავდათ ქვეყნად წარმოებული მარცვლეულის მთელი პროდუქციის 38 პროცენტი, შაქრის – 84 პროცენტი. ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 30 პროცენტი და ღორის სულადობის 60 პროცენტი. ომით გამოწვეული სიძნელეების გამო ძლიერ დაეცა მოსავლიანობა, ომამდელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება საგრძნობლად შემცირდა. 1942 წლისათვის მარტო მარცვლოვანი კულტურის წარმოება ქვეყანაში შემცირდა ომამდელი 95,5 მილიონი ტონიდან 29,7 მილიონ ტონამდე.[1]

როცა ქვეყანა ასეთი სიძნელეების წინაშე იდგა, მტერი ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიიდან გატანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით კვებავდა თავის არმიას და ხალხს. მარტო ომის დაწყებიდან 1944 წლის 31 მარტამდე ჰიტლერელმა დამპყრობლებმა გერმანიაში გაზიდეს 92.000.000 ტონა მარცვალი, 622,000 ტონა ხორცი, 2.500.000 ტონა ფურაჟი, 3.200.000 ტონა კარტოფილი, 1,200.000 ტონა სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტი.[2]

---

[1] История Великой Отечественной Войны Советского Союза 1941-1945 годы, м., 1961, т. 2, стр. 521.

[2] ს. ტაბაღუა, „აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში", ბათ., 1974, გვ. 64.

ქვეყანას ეს უდიდესი ზარალი რომ აენაზღაურებინა, მოსახლება და შეიარაღებული ძალები უზრუნველყო სურსათსანოვაგით, ხოლო მრეწველობა – ნედლეულით, საჭირო იყო გადიდებულიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში, პირველ რიგში საჭირო იყო ზურგის რაიონებში გაზრდილიყო მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობები, პირუტყვის სულადობა, სოფლის მეურნეობის მოსაცლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ გააფთრებული ომის მსელელობა საქართველოს, კერძოდ, აჭარის სოფლის მშრომელებს კონკრეტული ამოცანის წინაშე აყენებდა: მნიშვნელოვნად გაედიდებინა მარცვეულისა და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობები, გაეჩაღებინათ ბრძოლა უხვი მოსაცლისათვის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლებისათვის, მიეწოდებინათ ფრონტისათვის და მოსახლეობისათვის რაც შეიძლება მეტი კვების პროდუქტი. გადამჭრელი ზომები მიეღოთ ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ტუნგოს, ხეხილის მოვლისა და მათი მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, მთელი ძალების მობილიზაციით უზრუნველყოთ მრეწველობა ნედლეულით, რათა რამდენადმე მაინც აენაზღაურებინათ ის დანაკლისი, რაც გამოწვეული იყო მტრის მიერ ქვეყნის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონების დროებით ოკუპაციით.

აჭარის სოფლის მეურნეობა, ისე, როგორც მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობა, დიდ სიძნელეებს განიცდიდა იმის გამოც, რომ ომის დაწყებისთანავე თითქმის შეწყდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომარაგება მანქანებით, ქიმიური სასუქებით და სხვა მასალებით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად შემცირდა შრომისუნარიან მამაკაცთა რიცხვი. ომით გამოწვეული სიძნელეები, სოფლის მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის მთელი სიმძიმე ერთიანად დააწვა ზურგში დარჩენილ მოხუცებს, ქალებსა და მო-

ზარდებს, მათ შეცვალეს ფრონტზე წასული კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ომით გამოწვეული მძიმე პირობების მიუხედავად, შრომითი აქტივობის ამაღლების შედეგად, ღირსეულად გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ სამეურნეო ამოცანებს. ომიანობის პირველი წელიწადი აჭარის სოფლის მეურნეობაში დამთავრდა ისე, რომ თითქმის ყველა კულტურის მიხედვით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა გეგმიური დავალებანი, რაშიც სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდი დახმარება გაუწიეს სამრეწველო საწარმოთა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა. მათ დაამზადეს და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს მიაწოდეს სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ინვენტარი, აგრეთვე მანქანების ხელსაწყოები და სათადარიგო ნაწილები. ამას გარდა, საწარმოო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები მონაწილეობდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტები და ზოგადსაგამანათლებლო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები ორგანიზებულად მიდიოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.

ომის წლებში სამშობლოსათვის მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნა აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პირველხარისხოვან ამოცანად იქცა. სხვა ღონისძიებებთან ერთად, საჭირო გახდა გადიდებულიყო ნათესი ფართობები, პირველ რიგში, ერთწლიან კულტურათა ფართობი. 1941 წლის 4 ნოემბერს აჭარის ხელმძღვანელმა ორგანოებმა განიხილეს საკითხი ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობის გადიდების შესახებ.[1] მიღებული დადგენილებით აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რაიაღმასკომებს წინადადება მიეცათ დროებით შეეწყვიტათ ვენახისა და ხეხილის ბაღების გაშენება, ჩაის თესვა, თუთის რგვა. ამ კულტურების

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. I, საქ. 130, ფურც. 6.

გასაშენებლად მომზადებული ნიადაგი უნდა გამოეყენებინათ, პირველ რიგში, მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების დასათესად. ომის მოთხოვნილებების შესაბამისად, აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დაიწყეს ახალი, მანამდე გამოუყენებელი მიწების ათვისება, მრავალწლიანი ნარგავების პლანტაციების რიგთა შორის ერთწლიანი კულტურების თესვა, რის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები. მაგალითად, თუ აჭარაში 1940 წელს სულ დათესილი იყო 8.053 ჰექტარი სიმინდი, 1941 წელს დაითესა 8216, 1942 წელს მისი ფართობი გადიდდა 10.107 ჰექტარამდე, ე.ი. სოფლის მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის პერიოდში აჭარაში სიმინდის ნათესი ფართობი გაიზარდა 2.054 ჰექტარით.[1] ასევე გაიზარდა კარტოფილის ნათესი ფართობი. თუ 1940 წელს აჭარაში სულ დათესილი იყო 1.384 ჰექტარი, 1941 წელს – 1552, 1942 წელს კარტოფილის ნათესი ფართობი გაიზარდა 1862 ჰექტრამდე. ასევე ითქმის თამბაქოს ფართობის გადიდებაზე. 1940 წელს თამბაქო აჭარაში დარგული იყო 771 ჰექტარზე, 1942 წელს კი დაირგო – 894 ჰექტარზე.[2]

სულ აჭარაში მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობი 1942 წლისათვის, 1941 წელთან შედარებით, გადიდდა 2.213 ჰექტარით და მისმა საეროო ფართობმა მიაღწია 16.420 ჰექტარს.[3] ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ნათესი ფართობი გადიდდა 492 ჰექტარით და მისმა საერთო ფართობმა 1942 წლისათვის შეადგინა 2750 ჰექტარი.[4] ნათესი ფართობის ზრდასთან ერთად, ომის მძიმე პირობებში, სასუქების უკმარისობის მიუხედავად, შენარჩუნრბული იქნა სიმინდის საექტრო მოსავლიანობის ომამდელი დონე, ხოლო კარტოფილის საშუალო საჰექტრო მოსავალმა გადააჭარბა ომამ-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 84, აღწ. I, საქ. 1612, ფურც. 2.
[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 84, აღწ. I, საქ. 1612, ფურც. 2.
[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 178, აღწ. I, საქ. 739, ფურც. 2.
[4] აჭარის არ ცსა, ფონ. 178, აღწ. I, საქ. 739, ფურც. 3.

დელ დონეს. ასე, მაგალითად, 1940 წელს სიმინდის საჰექტარო მოსავალი რესპუბლიკაში უდრიდა 7,88 ცენტნერს, 1941 წელს – 7,8 ცენტნერს, 1942 წელს – 7,9 ცენტნერს; კარტოფილისა – 1940 წელს – 48,1 ცენტნერს, 1941 წელს – 50,7, ხოლო 1942 წელს – 52,4 ცენტნერს.[1]

ომის პირველ წლებში, სოფლის მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის საწყის პერიოდში, მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, სოფლის მეურნეობის მუშაკების თავდადებული შრომის შედეგად შესაძლებელი შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება. 1940 წელს აჭარაში სიმინდის საერთო მოსავალი შეადგენდა 63.464 ცენტნერს, 1942 წლისათვის კი 74.916 ცენტნერს გადააჭარბა. ასევე კარტოფილის საერთო მოსავალი აჭარაში 1940 წელს თუ შეადგენდა 74.089 ცენტნერს, 1942 წლისათვის გაიზარდა 97.776 ცენტნერამდე. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ჩაის კულტურის დარგშიც. აჭარის ჩაის პლანტაციებში 1941 წელს მოკრეფილი იქნა 11.439.296 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.[2]

ომის დაწყებისთანავე მკვეთრად ამაღლდა აჭარის სოფლის მშრომელთა შრომითი აქტივობა, რაც სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებაში გამოიხატა. საბრძოლო ლოზუნგებად იქცა მოწოდებანი: „ვიდრე დავალებას არ შეასრულებ, შინ ნუ წახვალ!“, „შეასრულე შენი სამუშაო და იმუშაე ფრონტზე წასული ამხანაგის მაგიერადაც!“, „ვიმუშაოთ ისე, როგორც ფრონტი მოითხოვს!“, „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“.

ომის პერიოდში სამეურნეო ამოცანების გადაჭრა შეუძლებელი იყო მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის გარეშე. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ასევე ფაბრიკა-ქარხნებში, ჩნდებიან შრომის ახალი გმირები – ორასოვნები და მრავალასოვნები. ისინი სასახელოდ ასრუ-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 84, აღწ. I, საქ. 1612, ფურც. 2.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1942 წლის 28 იანვარი.

ლებენ ნაკისრ ვალდებულებებს და შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევიან.

ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობის წევრმა ფადიმე თურმანიძემ 1941 წლის 12 აგვისტოს ჩაის კრეფის გამომუშავების 14 ნორმა შეასრულა (გაზ. „კომუნისტი“, 1941 წლის 1 სექტემბერი). ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის წევრი ალექსანდრა ვასილიადი გამომუშავების ყოველდღიურ ნორმას სისტემატურად 300 პროცენტით ასრულებდა. კოლმეურნე ქალები ხაჯერ კაკაბაძე, აიშე ჯიჯავაძე, ხატიჯე კაკაბაძე და მრავალი სხვა გეგმიურ დავალებათა შესრულების მრავალასოვნები იყვნენ და ჩაის კრეფის დარგში ზედიზედ აღწევდნენ სარეკორდო მაჩვენებლებს. ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა ხაჯერ კაკაბაძემ მარტო ერთ დღეს, დღიური ნორმის 13,3 კილოგრამის ნაცვლად, მოკრიფა 145 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რითაც ჩაის კრეფის ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. მოწინავეთა მაგალითზე იზრდებოდა ორასოვანთა და მრავალასოვანთა რიგები. მარტო ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1941 წლის ბოლოს 510 ორასოვანი და მრავალასოვანი იყო, აქედან კოლმეურნეობებში 200 და საბჭოთა მეურნეობებში — 310.[1]

გააფთრებული ომის მსვლელობა სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე აყენებდა ამოცანას — კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაეღიდებინათ მარცვლეულისა და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობები, გაეჩაღებინათ ბრძოლა უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი აღმავლობისათვის, გადამჭრელი ზომები მიეღოთ ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ტუნგოს, ხეხილის მოვლისა და მისი მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, მთელი ძალების მობილიზაციით უზრუნველეყოთ მრეწველობა ნედლეულით.

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 2, აღწ. I, საქ. 151, ფურც. 20.

მიუხედავად ომით გამოწვეული არნახული სიძნელეებისა, აჭარის სოფლის მოსახლეობამ ღირსეულად გადაჭრა მათ წინაშე მდგომი ამოცანები. 1943-1945 წლებში მიღწეულ იქნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომ ზრდა. უზრუნველყოფილ იქნა ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების მკვეთრად გადიდება. მთელი ნათესი ფართობი ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1945 წელს, 1940 წელთან შედარებით, 18,3 ათას ჰექტრიდან 21,6 ათას ჰექტრამდე გაიზარდა. მათ შორის: სახელმწიფო მეურნეობებში – 0,2 ათას ჰექტრიდან 0,4 ათას ჰექტრამდე, კოლმეურნეობებში – 12,5 ათას ჰექტრიდან – 15,1 ათას ჰექტრამდე, დამხმარე მეურნეობებში – 3,5 ათასი ჰექტრიდან – 6,1 ათას ჰექტრამდე.[1]

აჭარის კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა სიმინდის და კარტოფილის ნათესი ფართობები. სიმინდის ნათესი ფართობები 1945 წლისათვის, 1940 წელთან შედარებით, 8.053 ჰექტრიდან გაიზარდა 16.088 ჰექტრამდე, კარტოფილის – 1.538 ჰექტრიდან 2.353 ჰექტრამდე.[2]

ომის პერიოდში სასუქების უკმარისობის, აგრეთვე, აგროტექნიკური წესების დარღვევის გამო, ომამდელთან შედარებით, ერთგვარად შემცირდა მარცვლის საჰექტრო მოსავლიანობა. მაგალითად, სიმინდის საჰექტრო მოსავალი 1945 წლისთვის 1940 წელთან შედარებით შემცირდა 7,78 ცენტნერიდან – 6,56 ცენტნერამდე.

მიუხედავად მარცვლეული კულტურების საჰექტრო მოსავლიანობის შემცირებისა, ომის წლებში ერთწლიანი კულტურების მთელი პროდუქცია, ნათესი ფართობების ზრდის შედეგად დიდად ჭარბობს 1940 წლის დონეს. ცალკეული კულტურების მიხედვით, შემდეგი სურათი გვაქვს: სიმინდის მოსავალი 1943 წლისთვის 1940 წლის 63404 ცენტნერიდან გაიზარდა 78917 ცენტნერამდე, კარტოფილის მოსავალი, შესაბამისად,

---

[1] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ. 1958, გვ. 26.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 84, ანაწ. I, საქ. 1612, ფურც. 2; ფონ. 178, აღწ. I, საქ. 789, ფურც. 1.

74.080 – 93.012, ხოლო შემდგომ, 1944-1945 წლებში მოსავალმა კიდევ უფრო იმატა და 1945 წლისათვის 127.603 ცენტნერს გადააჭარბა.[1]

სამშობლო განსაცდელის ჟამს, მაშინ, როცა ფრონტის და ზურგის სურსათით მომარაგებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეძლეს ომის წლებში სამშობლოსათვის მიეცათ მეტად საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები – სიმინდი 337.047, ხოლო კარტოფილი – 512.312 ცენტნერი.[2]

ომის დროს, ისევე, როგორც ომამდე პერიოდში, საქართველო კვლავ რჩებოდა საბჭოთა კავშირში ჩაით, ციტრუსებით, მევენახეობის და მეხილეობის პროდუქტებით ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად მომმარაგებლად, ამ საქმეში გარკვეული ადგილი ეჭირა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასაც.

ჩაის კულტურა აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, სოფლის მეურნეობის სიამაყეს და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ომის წლებში აჭარაში, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, გატარებული ღონისძიებებისა და მოსახლეობის მაღალი შრომითი აქტივობის შედეგად შენარჩუნებულ იქნა ომამდე არსებული პლანტაციების საერთო ფართობი – 5391 ჰექტარი.[3]

სასუქებისა და ქიმიკატების ნაკლებობამ, აგრეთვე ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური წესების დარღვევებმა ომის ბოლო წლებში გამოიწვია როგორც ჩაის საშუალო საჰექტრო, ასევე საერთო მოსავლის დაცემა. თუ 1941 წელს აჭარის ჩაის პლანტაციებში მოკრეფილი იქნა 9.993 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1945 წელს მოიკრიფა მხოლოდ 4.882 ტონა. ასევე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა ჩაის საჰექტრო მოსავალი. თუ 1941 წელს ერთ ჰექტარზე, რესპუბლიკაში სა-

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 84, აღწ. I, საქ. 1612, ფურც. 2.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 84, აღწ. I, საქ. 1612, ფურც. 2.

[3] აჭარის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ. 1958, გვ. 39.

შუალოდ მოკრიფეს 3.311 კილოგრამი, 1945 წელს ჩაის საჰექტრო მოსავალი 993 კილოგრამამდე შემცირდა.[1]

ციტრუსოვანთა კულტურას, ჩაის კულტურასთან ერთად, აჭარის სოფლის მეურნეობაში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. როგორც ცნობილია, საქართველოში 1941, 1942 და 1943 წლებში მკაცრი ზამთრის გამო ძლიერ დაზიანდა ციტრუსოვანთა პლანტაციები. მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაუდებელი ღონისძიებები დაზიანებულ ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის. 1943 წელს ბათუმის რაიონში დარგული იქნა 60.233 ძირი ციტრუსი, ქობულეთის რაიონში დაირგო და რემონტი ჩაუტარდა 196.363 ძირს.

1944 წელს ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენისათვის კიდევ უფრო მეტი ღონისძიება ჩატარდა. ავტონომიურ რესპუბლიკაში დაირგო 143.637 ძირი ციტრუსი, აქედან მანდარინი – 41,515 ძირი, ლიმონი – 54,637, ფორთოხალი – 47,457 ძირი.

ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენისა და მათი შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებათა გატარების შემდეგ ომის ბოლო წელს ციტრუსოვანთა კულტურების საერთო ფართობი მიუახლოვდა ომამდელ დონეს. 1945 წლისათვის რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი ყველა კატეგორიის მეურნეობებში უდრიდა 7.146 ჰექტარს.[2]

ჩაის, ციტრუსების და სხვა მრავალწლიან კულტურებთან ერთად, ომის წლებში აჭარაში მეტად დიდი ყურადღება მიექცა ტუნგის პლანტაციების გაფართოებას. ცნობილია, რომ ომის წლებში, ქვეყნის თავდაცვითი მნიშვნელობის მთელი რიგი საწარმოებისათვის პირველხარისხოვანი ტექნიკური და სამედიცინო სამრეწველო ნედლეულის მიმწოდებელი იყო საქართველო. ამ მრავალწლიან კულტურებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტუნგი.

---

[1] აჭარის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ. 1958, გვ. 31.

[2] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ. 1958, გვ. 31.

ტუნგის კულტურა საქართველოში სამრეწველო მიზნით ოცდაათიან წლებში გაშენდა. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იგი მხოლოდ საქართველოში იყო გაშენებული. ტუნგი იძლევა სწრაფად შრობად ძვირფას ტექნიკურ ზეთს. იგი 300 სხვადასხვა სახის გამოყენების საგანია ავიაციაში, გემთმშენებლობაში, ელექტროტექნიკაში, რეზინის მრეწველობაში და სხვა.[1]

ომის პერიოდში ტუნგის კულტურას ავტონომიურ რესპუბლიკაში ეჭირა 2928 ჰექტარი. იგი უმთავრესად გაშენებული იყო ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ომის პერიოდში არსებობდა ტუნგის ორი საბჭოთა მეურნეობა – ჯიხანჯურის და კოხის, რომლებსაც ეჭირათ 500 ჰექტარი ფართობი.[2]

ტუნგის ნარგაობების კარგად მოვლა-პატრონობამ უზრუნველყო მოსავლიანობის ზრდა. თუ 1940 წელს მოკრეფილი იყო 1233 ტონა ნაყოფი, 1945 წლისათვის მისი მოსავალი გაიზარდა 3649 ტონამდე. სულ ომის პერიოდში აჭარამ ქვეყანას მისცა ომისათვის მეტად საჭირო 8.441 ტონა ტუნგის ნაყოფი.[3]

ომის დაწყებისთანავე დიდი ყურადღება მიექცა სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგის – მეცხოველეობის განვითარებას. მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე დიდად იყო დამოკიდებული ფრონტისა და ზურგის უზრუნველყოფა მეცხოველეობის პროდუქტებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა თავიდანვე კარგად იზრუნეს მეცხოველეობის განვითარების დონის ამაღლებისათვის. კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში, როცა ფაშისტი დამპყრობლები, ამიერკავკასიის სიღრმისაკენ მოიწევდნენ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების წლიური გეგმები და სახელმწიფოს ჩააბარეს ბევრად მეტი მეცხოველეობის

---

[1] ნ. ინაიშვილი, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გარდაქმნა, წიგნში „საბჭოთა საქართველო 40 წელი", თბ. 1961, გვ. 269.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. I-ჰ, აღწ. 9, საქ. I, გვ. 39.

[3] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1971 წლის 15 იულისი.

პროდუქტი, ვიდრე 1941 წელს.[1]

საქონლის საკვები კულტურების ფართობის შემცირებამ, რომლის ხარჯზე გაიზარდა ერთწლიანი კულტურების-სიმინდის და კარტოფილის ნათესები, უარყოფითი გავლენა იქონია მესაქონლეობის შემდგომ განვითარებაზე. ომის ხანგრძლივობამ შეაფერხა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება. რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა. პირუტყვის სულადობის საერთო რაოდენობა. 1943 წლის ბოლოსათვის აჭარა'ში 1940 წელთან შედარებით 4117 სულით ნაკლები პირუტყვი იყო.[2]

ომით გამოწვეული სიძნელეების დაძლევის მიზნით, შეიქმნა მეცხოველეობის დარგში სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და მისი აპარატის სპეციალური შტატი. სახკომსაბჭოს და რაიაღმასკომების სხდომებსა და თათბირებზე ხშირად იხილებოდა მეცხოველეობის განვითარების საკითხები, ისახებოდა ღონისძიებები ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის. გატარებულმა ღონისძიებებმა და მშრომელთა აქტივობამ უზრუნველყო ომის ბოლო წლებში მეცხოველეობის სულადობის არა მარტო ომამდელი დონის-შენარჩუნება, არამედ შესამჩნევი მატებაც. ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1943 წელთან შედარებით 1944 წლის ბოლოსათვის 20.287 სულიდან გაიზარდა 20.822 სულამდე.[3] ომის უკანასკნელი – 1945 წელი ასევე მიღწევებით აღინიშნა: 1945 წელს, 1944 წელთან შედარებით, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 3,657 სულით.[4]

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ომმა მაინც თავისი კვალი დააჩნია მეცხოველეობის საერთო განვითარებას. ომით გამოწ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1980 ტ.8, გვ. 135.

[2] საბჭოთა აჭარა 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ. 1961, გვ. 99.

[3] აჭარის არ ცსა, ფონ. 178, აღწ. I, საქ. 775, ფურც. 46.

[4] აჭარის არ ცსა, ფონ. 332, აღწ. I, საქ. 73, ფურც. 65.

ეული სიძნელეების გამო პირუტყვის საერთო სულადობამ მაინც ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. 1945 წელს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობებში პირუტყვის საერთო სულადობა უდრიდა 76,9 ათას სულს, ხოლო ომის დაწყებამდე იყო 81,0 ათასი სული.[1]

პირუტყვის საერთო სულადობის შემცირების მიუხედავად, აჭარის მშრომელებმა მაინც შესძლეს ომის ბოლო წლებში მესაქონლეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოზე ჩაბარების ოდენობა მიეახლოებინათ ომამდელი დონისათვის, ხოლო ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ჩაბარება ომამდელთან შედარებით გაეზარდათ კიდეც.

სულ ომის პერიოდში აჭარაში აწარმოეს და სამშობლოს მისცეს 36289.4 ცენტნერი ხორცი, 22318,2 ცენტნერი მატყლი და 2338145 ცალი კვერცხი.[2]

საკოლმეურნეო შრომის და უხვი მოსავლის მოყვანის ძირითად მწარმოებელ ძალას წარმოადგენდნენ სოფლის მშრომელი ქალები. მათ ომის ძნელბედობის დღეებში გმირული შრომის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენეს, საკოლმეურნეო შრომის დამკვრელები და შრომის ფრონტის ნამდვილი გმირები გახდნენ. ბევრმა მათგანმა მთავრობის მაღალი ჯილდო-ორდენები და მედლები დაიმსახურა.

ომის დღეებში საქვეყნოდ გაითქვა სახელი ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა ხაჯერ კაკაბაძემ. მან ომის პერიოდში არაერთხელ დაამყარა ჩაის კრეფის საკავშირო რეკორდი. ქვეყნის განსაცდელის ჟამს ხაჯერ კაკაბაძის თავდადებული შრომა, მისი პატრიოტული შრომითი აქტივობა მთავრობამ ღირსეულად დააფასა და აღნიშნა სხვადასხვა ჯილდოებით, მათ შორის შრომის წითელი დროშის ორდენით. ხაჯერ კაკაბაძის შრომითი აქტივობის შესახებ 1944 წელს ქვეყნის ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი „იზვესტია" მოწინავეში წერდა: „საქარ-

---

[1] საბჭოთა აჭარა 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ. 1961, გვ. 77.
[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1971 წლის 22 იენისი.

თველოს კოლმეურნეობების ხელმძღვანელებთან ერთად საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის დაუღალავად იბრძვიან რიგითი მშრომელები. მათ შორის, ერთ-ერთი პირველთაგანია ხაჯერ კაკაბაძე – ქობულეთის რაიონის სტურუას კოლმეურნეობების მეჩაიე. მისმა რგოლმა 144 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მან მოკრიფა 11.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და 1087 შრომადღე გამოიმუშავა. ასეთები ბევრია საქართველოში და მათ ადიდებს მთელი ჩვენი ქვეყანა".[1]

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ფრონტისა და ზურგის უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა კოლმეურნეობებში შრომის სწორმა ორგანიზაციამ და შრომის დისციპლინის მაღალ დონეზე დაყენებამ. ომის წლებში საწარმოო ბრიგადების გაძლიერება, სანარდო სისტემების განმტკიცება, ყოველგვარი გაუპიროვნების ლიკვიდაცია, ნოვატორების გამრავლება და მოწინავე გამოცდილების მასობრივად დანერგვა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად იქცა.

შრომის სწორმა ორგანიზაციამ და შრომის დისციპლინის მაღალმა დონემ უზრუნველყო რესპუბლიკის საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცება, კოლმეურნეობების ფულადი შემოსავლის სისტემური ზრდა, რისი მაჩვენებელია ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ცხრილი 3

ფულადი შემოსავალი აჭარის კოლმეურნეობებში (1940-1945 წწ.)

№3 რიგზე	რაიონის დასახელება	1940	1941	1942	1943	1944	1945
1	ქობულეთის	11.6661001	20472623	17257471	19816563	38475256	36589353
2	ბათუმის	21945307	8778160	10247391	15404276	24344467	22084357

[1] „Известия", 1944 г., 8 января.

3	ქედის	2.334.149	2.277269	3.791696	8153524	11117033	13453938
4	ხულოს	3.510459	4.483321	9008959	14271394	16283538	22128527
5	სულ აჭარის ასსრ	38450916	36011343	40305519	57645757	92321624	94256275

კოლმეურნეობების საერთო ფულად შემოსავალთან ერთად, იზრდება კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი ერთ შრომადღეზე. 1941 წელს საშუალოდ რესპუბლიკაში ერთ შრომადღეზე განაწილდა 3,44 მანეთი. 1943 წელს – 4,51, 1946 წელს კი – 6,20 მანეთი.[1]

ომის წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შემოსავლიანობის საერთო აღმავლობასთან ერთად ხორციელდება კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდების სისტემური ზრდა. 1941 წელს აჭარის ასსრ კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდების შესავსებად გამოიყო 4.529.739 მანეთი, 1943 წელს – 8.118.976, ხოლო 1945 წელს 13.078.656 მანეთი.[2]

ამრიგად, აჭარის სოფლის მეურნეობის მოსახლეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საერთო საქმეში და ომის სიძნელეების მიუხედავად, კიდევ უფრო განავითარა და განამტკიცა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები.

§ 3. განათლება, მეცნიერება და კულტურა

1941-1945 წლების ომმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა აჭარის განათლების სისტემაში. 1 სექტემბერს ბევრი მოსწავლე სკოლაში არ მისულა (მარტო ბათუმში გა-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 84, აღწ. I, საქ. 1582, ფურც. 55.
[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 48, აღწ. I, საქ. 1612, ფურც. 3-4.

მოცხადდა 2523 მოწაფე 9035-დან). ომში გაწვეულ პედაგოგთა ადგილები სკოლაში (განსაკუთრებით სოფლად) დაიკავეს უცენზო და, ზოგ შემთხვევაში, გამოუცდელმა პირებმა. დაიხურა ზოგიერთი საშუალო სკოლაც (სულ 13), ხოლო ნაწილი არასრული ან დაწყებით სკოლად გადაკეთდა. ისიც საოქმელია, რომ ბათუმისა და ქობულეთის რამდენიმე სკოლაში განთავსდნენ სამხედრო ნაწილები, აგრეთვე ოკუპირებული სსრ კავშირის დასავლეთი ოლქებიდან ლტოლვილები. საქმეს აფერხებდა აგრეთვე სახელმძღვანელოების და სასკოლო ნივთების მძაფრი უკმარისობაც. და მაინც, ამდენი დაუძლეველი პრობლემის მიუხედავად, ხელისუფლება ყველა შესაძლებელ ღონისძიებას ახორციელებდა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ფრონტის საჭიროებისათვის დღითიდღე მზარდი ხარჯების მიუხედავად, მარტო სასკოლო შენობათა და ინვენტარის შეკეთებაზე გამოყვეს: 1942 წელს — 440 ათასი, ხოლო 1943 წელს — 689 300 მანეთი.[1] სწორედ სკოლისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგი იყო, რომ 1944-1945 სასწავლო წლიდან აჭარის სკოლებში წარმატებით განხორციელდა შვიდწლიან ბავშვთა სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა.

ომის წლებში აჭარის სკოლები ჩაებნენ ფრონტისათვის დასახმარებლად ზურგში გაჩაღებულ პატრიოტულ შრომით საქმიანობაში. მოსწაელეები აქტიურად მონაწილეობდნენ მინდვრის სამუშაოებში. 1942 წლის ზაფხულში კოლმეურნეობებში იმუშავა 6 543 მოსწავლემ და 70 031 შრომადღე გამოიმუშავა. მოპოვებული წარმატებისათვის აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა „საციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა აჭარის სკოლების 11 მოსწავლე, მათგან ბათუმის რაიონიდან — 3, ქობულეთის რაიონიდან — 8. ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარის სკოლებში მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიისათვის ჯართის ჩაბარებაში, თავდაცვის ფონდის გაძლიერებაში, სატანკო კო-

[1] გრ. ბაბილოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ლონისა და ავიაესკადრილიის „ნორჩი პიონერისა“ და „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობისათვის თანხების შეგროვებაში. 1944-1945 სასწავლო წელს მათ ფრონტის დახმარების ფონდში შეიტანეს 301 706 მანეთი, ხელი მოაწერეს ან გაავრცელეს სახელმწიფო სესხის 362 835 მანეთის ობლიგაცია[1] და სხვ., რითაც მცირე, მაგრამ მაინც საკუთარი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვებაში

* * *

შეიცვალა პედაგოგიური ინსტიტუტში ცხოვრებაც. გამოსაშვები კურსების ბევრმა სტუდენტმა იარაღი აისხა და ფრონტს მოხალისედ მიაშურა.

17 ივლისს შეიქმნა თავდაცვის შტაბი (უფროსი — ა. ვერულიძე, პოლიტხელი — მ. სტამბოლიშვილი). 1941-1942 წლებში ზურგში აქტიური მუშაობისათვის ინსტიტუტი გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოეს.[2]

საერთოდ, ომის განმავლობაში სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დიდი პოლიტიკური სიმწიფე გამოავლინეს. 10 ლექტორი და 130-ზე მეტი სტუდენტი პირველივე დღეებიდან აქტიურად მონაწილეობდა ფრონტზე ფაშისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელთაგან ბევრი გმირის სიკვდილით დაეცა, ხოლო მრავალი — ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ კოლექტივს.

ინსტიტუტის პროფესორ–მასწავლებლები სისტემატურად კითხულობდნენ ლექციებს მოსახლეობაში, ჯარის ნაწილებსა და გემებზე, დიდძალი თანხები შეიტანეს სატანკო კოლონისა და საავიაციო ესკადრილიის მშენებლობისათვის, შეაგროვეს ჯართი, ჯარისკაცებისათვის ტანსაცმელი და სხვა საჭუჭრები, სტუდენტები აქტიურად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა სახის სამუშაოთა შესრულება-

---

[1] იქვე, გვ. 124-125.

[2] პ. პატარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

ში.[1]

ომის პერიოდში შავი ზღვა მტერთან ბრძოლის არენად გადაიქცა. ამასთან დაკავშირებით, ბათუმის საზღვაო სასწავლებლის მუშაობას ერთ-ერთი პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან მკვეთრად ამაღლდა მოთხოვნილება კვალიფიციურ საზღვაო კადრებზე. მართლაც, ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი იბრძოდნენ ბალტიის ზღვაზე და ჩრდილოეთ-ყინულოვან ოკეანეში, სამსახურს გადიოდნენ კასპიის ზღვის ფლოტილიაში, წყნარი ოკეანის ფლოტში.

გაიზარდა სახელოსნო სასწავლებლის როლი და დანიშნულება, რადგან ასრულებდა მნიშვნელოვან სამხედრო დაკვეთებს. 1941-1945 წლებში მან შეასრულა 847 500 მანეთის ღირებულების სამუშაო, მათ შორის, დიდი რაოდენობის სამხედრო დაკვეთა. სასწავლებელს ჰყავდა 100-კაციანი ე.წ. საფრონტო ბრიგადა. რომელმაც შეაკეთა და მწყობრში ჩააყენა 19 ხომალდი, აგრეთვე მრავალი სატრანსპორტო საშუალება და დამხმარე საცურაო მოწყობილობა. თავდადებული შრომით გამოირჩეოდნენ შ. გვალია, ა. მოგელაძე, კ. შკუროვსკი და სხვა. 1943-1945 წლებში საფრონტო ბრიგადას ხელმძღვანელობდა ევგენია კაკაბაძე, რომელიც დიდი გადაჭარბებით ასრულებდა ყოველდღიურ დავალებას და თავის კოლეგებს შრომითი გმირობის მაგალითს უჩვენებდა. ამასთან, სასწავლებლის 81 წარგზავნილი იბრძოდა ფრონტზე და საკუთარი წვლილი შეჰქონდა მტერზე გამარჯვებაში.[2]

* * *

ახალი ვითარების შესაბამისად გარდაიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების საქმიანობა. ამ მხრივ მნიშვნელოვნად ამაღლდა სახელმწიფო მუზეუმის როლი. მისი თანამშრომლები პატრიოტული

---

[1] იქვე, გვ. 32-45.

[2] შ. თოდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27-29.

ხასიათის დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, ჯარის ნაწილებსა თუ ევაკოჰოსპიტლებში, სადაც კითხულობდნენ ლექციებს წარსულში ჩვენი ხალხის საბრძოლო გმირობაზე, აწყობდნენ მოძრავ თემატურ გამოფენებს, აქვეყნებდნენ ნაშრომებს (ხარიტონ ახელედიანმა გამოსცა წიგნები „ნარკვევები აჭარის წარსულიდან“ და „აჭარა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში“ და სხვ.), თანამშრომლობდნენ პრესაში და ადამიანებს მტერზე გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდნენ.

საგულისხმოა, რომ მუზეუმი პრაქტიკულად ეხმარებოდა ფრონტს. კერძოდ მან სახელმწიფოს ჩააბარა 1,5 ტონა ჯართი, 320 კგ ფერადი ლითონი, 3,2 კგ ვერცხლი, თავდაცვის ფონდში შეიტანა 72000 მანეთის ობლიგაცია, აგრეთვე თბილი ტანსაცმელი და სხვა საჭუქრები გაუგზავნა მეომრებს და ა.შ.[1]

ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, მუზეუმმა 1944 წელს სოფ. ხუცუბანში არქეოლოგიური გათხრებიც ჩაატარა (ხელმძღვანელი პროფ. ავთანდილ იოსელიანი). ბრინჯაოს ნივთებთან (სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები...) ერთად მაშინ აღმოჩნდა რკინის ხანჯლის ფრაგმენტები, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. XIII–VII ს–ბით.[2]

ომის თემატიკაზე ასობით მოძრავი გამოფენა მოაწყო რეევოლუციურმა მუზეუმმაც. მისი თანამშრომლები სისტემატურად კითხულობდნენ ლექციებს წარმოება-დაწესებულებებში, ჰოსპიტლებსა და ჯარის ნაწილებში.

ანალოგიური იყო საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობაც. ყველაფერი ეს კი ემსახურებოდა მტერზე იდეოლოგიურ გამარჯვებას.

ფრონტის მოთხოვნილებების ოპერატიულად დაკმაყოფილებას ისახავდა მიზნად მრეწველობისა და სოფლის მეურნე-

---

[1] აჭარის სახელმწიფო მუზეუმი (გზამკვლევი), გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 41, იხ. აგრეთვე, ა. იოსელიანი, ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან, თბ., 1969; აბ. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, თბ., 1972.

ობის გადამამ'უშავებელ მრეწველობასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობა. ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია და მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო გაერთიანების ჩაქვის ფილიალმა. მეთესლეობის განყოფილებამ ა,კად. ქსენია ბახტაძის ხელმძღვანელობით სწორედ ომის წლებში გამოიყვანა ქართული ჩაის ახალი ჯიშების „ქართული №1“ და „ქართული №2,“ რომლებიც გამოირჩეოდნენ საუკეთესო ხარისხით. ამ ჯიშების გამოყვანას და მის ბაზაზე უხვი მოსავლის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არმიისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. კიდეც ამიტომ ღირსეულად დაფასდა ქ. ბახტაძის ღვაწლი – მას პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა და „საპატიო ნიშნის“ ორდენითაც დააჯილდოვეს.[1]

ომის წლებში დიდი წარმატებები ჰქონდა საკონსერვო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალს. იგი მუშაობდა ციტრუსოვანი ნაყოფისა და სხვადასხვა ხილის გადამუშაების ტექნოლოგიის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პრობლემებზე. დაძაბული შრომის შედეგად ფილიალის მეცნიერმუშაკებმა დაამუშავეს ციტრუსოვანთა ნარჩენებიდან ეთეროვანი ზეთის დამზადების ახალი ტექნოლოგიური მეთოდი. ომის პირობებში ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეთეროვანი ზეთები, რაც ასე აუცილებელია ტექნიკური პროცესებისათვის, მანამდე უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ახლა კი ბათუმელ მეციტრუსეთა ამ გამოგონებით მილიონობით თანხა და დროც დაიზოგა.[2]

საყურადღებო იყო სამკურნალო მცენარეთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის საცდელი ზონალური ქობულეთის სადგურის მუშაობის შედეგები. აქ

---

[1] დაწვრილებით იხ. შ. ფალავანდიშვილი, ა. ბეჟანიძე. აღმაელობის გზით, ბათ. 1974, გვ. 31-32; ს. ტაბაღუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ბათ. 1974, გვ. 78.

[2] ს. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

გამოავლინეს არაერთი (ზოგი ცნობით, 50) სამკურნალო მცენარე, რომელიც, როგორც სამკურნალო საშუალება, წარმატებით გამოიყენებოდა კუჭის წყლულის თუ სხვადასხვა სახის ჭრილობების მოსაშუშებლად.[1] ანალოგიური მუშაობა, ბათუმის სამხედრო ჰოსპიტლის დაკალებით, წარმატებით მიმდინარეობდა აგრეთვე ბოტანიკურ ბაღში, სადაც თანამშრომლებმა ადგილზე გამოყვანილ სამკურნალო მცენარეებში გამოძებნეს ახალი (ზოგი ცნობით, 17) სამკურნალო საშუალება მალამოსა და პრეპარატების დასამზადებლად. ეს დიდი დახმარება იყო ჯანდაცვის სფეროსათვის.

* * *

არსებითად შეიცვალა ხელოვნების დარგების საქმიანობა. ზოგი სამსახური საერთოდ დაიხურა, ზოგი მკვეთრად შეიკვეცა პირადი შემადგენლობის ფრონტზე წასვლის გამო, ხოლო ზოგისა ამაღლდა მათი სპეციფიკის გამო. ამ მხრივ აღსანიშნავია ბათუმის ახალგაზრდა თეატრი. საბრძოლო ლოზუნგების – „ყველაფერი ფრონტს," „ყველაფერი გამარჯვებისათვის" – შესაბამისად, უმოკლეს ხანში გარდაიქმნა მისი მუშაობა. ფრონტს მიაშურეს და მტრის წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ მსახიობები: ა. მგელაძე, გ. ახელედიანი, ი. ზოიძე, ხ. მიქელაძე, ს. თურმანიძე, დ. ნოზაძე, გ. გოგიბერიძე, შ. კომახიძე, ვ. ძიძიგური, ა. წილოსანი, მხატვარი ა. ფილიპოვი, ტექნიკური პერსონალიდან ხ. ჯიჯავაძე, ფ. მატვეევი, ა. ტოროსიანი და სხვ. მათგან დაილუპნენ მსახიობები: ს. ბაკურიძე, ს. ბასილაძე, ო. ბერძენიშვილი, დ. გუჯაბიძე, ა. კუკულაძე, ტ. გოქსაძე და სხვ. ეს იყო ის უმნიშვნელოვანესი წვლილი, რაც ბათუმის თეატრმა გაიღო მტერზე გამარჯვებისათვის.

ზურგში დარჩენილმა თეატრის კოლექტივმა უპირველესად გარდაქმნა მუშაობა და თავისი რეპერტუარი ფრონტის ამოცანებს დაუქვემდებარა. უკვე ახალი სეზონის გახსნისთანავე (1941 წლის 17 სექტემბერი) თეატრმა წარმოადგინა დრამა

[1] იქვე, გვ. 79-80.

„ბერლინის გასაღები," რომელიც შეეხებოდა რუსეთ-პრუსიის ე.წ. 7-წლიან ომში რუსეთის გამარჯვებას და ბერლინის აღებას. არჩევანი ამ პიესაზე არ იყო შემთხვევითი. იმ ვითარებაში, როდესაც მტერმა უზარმაზარი ტერიტორია დაიპყრო და მოსკოვს უახლოვდებოდა, პიესის ფინალი–ბერლინის გასაღების რუსებისათვის გადაცემა, მაყურებელს განაწყობდა ოპტიმისტურად და საბოლოოდ გამარჯვების რწმენას უძლიერებდა.

ამ სულისკვეთებით იყო შემდგარი თეატრის რეპერტუარი არა მარტო 1941-1942 წლისათვის, არამედ საერთოდ ომის დროის ყველა სეზონისათვის. მაყურებლის დიდი მოწონებით სარგებლობდა ქართული, რუსი და უცხოელ დრამატურგთა პიესების საფუძველზე განხორციელებული დადგმები: „გენერალი ბაგრატიონი" (ა. შერვაშიძე). „საგუშაგოზე" (ვ. სობკო), „ლიუბოვ იაროვაია" (კ. ტრენიოვი), „სიკვდილთან ახლოს" (ი. იალუნერი), „კიკვიძე" (ვ. დარასელი), „ოლეკო დუნდიჩ" (ა. რუშევსკი), „პარტიზანები" (გ. მდივანი) და სხვ.

ომთან დაკავშირებით წინა პლანზე წამოიწია საქართველოს „ისტორიული წარსულის თემატიკამ, რაც, მშვიდობიან დროს, "კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის" პროპაგანდის პირობებში, შედარებით არასასურველად ითვლებოდა. მართლაც, ომის განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ა. სუბათაშვილ–იუჟინის „ღალატი," ლ. გოთუას „მეფე ერეკლე," მ. ჯაფარიძის „უამთაბერის ასული" და სხვ.

საგულისხმოა, რომ ომის მთელ მანძილზე თეატრი აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო-საშეფო მუშაობაში. საკმარისია ითქვას, რომ მას ჰყავდა ორი ბრიგადა, ხელმძღვანელობდნენ ზორბეგ ღლონტი და გიორგი დოლონაძე. მათ რეპერტუარში იყო სკეტჩები, სცენები, ლექსები, სიმღერები. ომის განმავლობაში მათ ასობით კონცერტი ჩაატარეს ჰოსპიტალში, ჯარის ნაწილებში, სამხედრო გემებზე, წარმოება–დაწესებულებებში, რითაც აძლიერებდნენ მტერზე გამარჯვების იმედსა და რწმენას.

თეატრის კოლექტივს ღირსეულად დაუფასდა ომის გან-

მაყლობაში აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა და მიენიჭათ: საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება რეჟისორებს – ა. ჩხარტიშვილს და შ. ინასარიძეს; საქართველოს დამსახურებული არტისტისა – ი. კობალაძეს, მ. ხინიკაძეს, ნ. ფხაკაძეს; აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტისა – ლ. აფხაზავას, ა. გრანელს, გ. დოლონაძეს, ნ. თეთრაძეს, პ. ინწკირველს, ი. კაიკაციშვილს, ა. სარჯველაძეს, ლ. სვანელს, ე. ჭუმბურიძეს და სხვა. ეს მტერზე გამარჯვებაში თეატრის გაღებული დიდი მსხვერპლის ღირსეული აღიარებაც იყო.

მოსახლეობაში სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის დიდი მუშაობა გასწია აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (1939 წელს მას ეწოდა აჭარის სახელმწიფო კაპელა, თუმცა 1944 წელს ისევ ძველი სახელი დაუბრუნდა). მართალია, ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი მუშაობა მრავალი ახალგაზრდა წევრის არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით, მაგრამ იმ მძიმე წლებშიც კი სისტემატურად მაროავდა კონცერტებს სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტალებში, აგრეთვე, შრომით კოლექტივებში, ამხნევებდა და გამარჯვების რწმენა შეჰქონდა მებრძოლებში, მშვიდობიან მოქალაქეებში. სულ ომის წლებში ანსამბლმა 300-მდე საშეფო კონცერტი გამართა.[1] საშეფო საქმეში დიდი დამსახურებისათვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელები და მსახიობები არაერთხელ დააჯილდოვეს ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით.

ომის ამოცანებისა და ფრონტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას დაექვემდებარა აჭარის გამომცემლობის საქმიანობაც. ომის პირველივე დღეებში ფრონტს მიაშურა ბევრმა კვალიფიციურმა მუშა-მოსამსახურემ და ახალგაზრდა მწერალმა (ადამ იაშვილი, ნიკ. გულუა, აკაკი ბუკია, დომენტი გოგუაძე და სხვა.), შემცირდა (გაძნელდა) ქაღალდის მოწოდება. ყოველივე ამან მკვეთრად დასცა გამომცემლობის მწარ-

[1] გ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30.

მოებლობა. ამიტომაც ომის დაწყების შემდეგ დაიბეჭდა მხოლოდ 6 დასახელების წიგნი. სულ 1941-1945 წლებში გამოსცეს 39 დასახელების წიგნი 172 ათასი ტირაჟით. ბეჭდვის გეგმა შესრულდა: 1942 წელს – 48,4%, 1943 წელს – 45,3%, 1944 წელს – 29,2%.

ომის დაწყებისთანავე გამოვიდა აჭარის მწერალთა კრებულები "სისხლი სისხლის წილ" და "ბრძოლა გამარჯვებამდე." 1942 წელს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლის დღეებში დაიბეჭდა კრებული "ყველაფერი ფრონტისათვის" (რუსულ ენაზე). 1943 წელს – „ჩვენ გავიმარჯვებთ", 1944 წელს – "სამშობლოსათვის, სტალინისათვის" და ა.შ. სულ ომის დროს გამოქვეყნდა 6 ასეთი კრებული 17. 300 ტირაჟით.

დიდი მოვლენა იყო 1944 წელს გალაკტიონის "ოქრო აჭარის ლაჟვარდში" გამოცემა. 1941-1945 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა 32 დასახელების მხატვრული ლიტერატურის ნიმუში 156 175 ტირაჟით, რომლითაც აჭარის გამომცემლობამ გარკვეული წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვებაში.

გარდაიქმნა პრესისა და რადიოს მუშაობაც. ქაღალდის უკმარისობისა და თანამშრომელთა ფრონტზე წასვლის გამო, გაძნელდა მისი ყოველდღიური გამოცემა. ამის მიუხედავად, გაზეთსა და რადიოს მაინც ოპერატიულად მიჰქონდათ მართალი სიტყვა ადამიანებამდე, აწვდიდა ახალ ცნობებს ფრონტზე არსებული ვითარების შესახებ, ბეჭდავდა სამხედრო-პატრიოტული შინაარსის ლექსებს (1944 წელს "საბჭოთა აჭარაში" პირველად გამოქვეყნდა ფრ. ხალვაშის ლექსი საბჭოთა კავშირის გმირ ისრაფილ ჯინჭარაძეზე) და მოთხრობებს, ნარკვევებს სახელმოხვეჭილ მებრძოლებზე, რითაც ყველას მტერზე გამარჯვების რწმენას უმტკიცებდა.

თავი IV
აჭარის მოსახლეობის აქტივობა ომის წლებში

§1. ფრონტისადმი დახმარება

ომის წლებში ფაშისტური გერმანიის და მის მოკავშირეთა ძალები მოსალოდნელი საშიშროების გამო ზურგის მშრომელები და შეიარაღებული ძალები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მათ საერთო ინტერესები ასულდგმულებდათ. ფრონტისა და ზურგის ერთიანობა ზრდიდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების სიძლიერეს და ქმნიდა მტერზე გამარჯვების რწმენასა და პირობებს.

ომის დროს ზურგის და ფრონტის ერთიანობამ თავი იჩინა არა მარტო იმაში, რომ ზურგი შეუფერხებლად შრომობდა და სამხედრო მრეწველობას აწვდიდა ნედლეულს და არმიას ამარაგებდა სურსათით, არამედ იმაშიც, რომ ნებაყოფლობით აგროვებდა სახსრებს არმიის შესაიარაღებლად, აგროვებდა თბილ ტანსაცმელსა და საჩუქრებს მეომრებისათვის, ახდენდა სახელმწიფო სამხედრო სესხის ობლიგაციებისა და ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციას.

ჯერ კიდევ 1941 წლის ზამთრის დადგომამდე, ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში ფართო კამპანია გაჩაღდა არმიის მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმელისა და ფეხსაცმლების შესაგროვებლად. აჭარის მოსახლეობა აქტიურად ჩაება ამ კეთილშობილურ მოძრაობაში, რომელმაც რესპუბლიკაში თავიდანვე ორგანიზებული მასობრივი ხასიათი მიიღო.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა 1941 წლის 8 სექტემბერს მიიღო დადგენილება "წითელი არმიისათვის თეთრეულისა და თბილი ტანსაცმლის შეგროვების ორგანიზაციის შესახებ." დადგენილების პრაქტიკული განხორციელების მიზნით, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ხელმძღვანელობით შეიქმნა საოლქო კომისია. ანა-

ლოგიური კომისიები შეიქმნა პარტიის ბათუმის საოლქო და რაიონულ კომიტეტებში, სასოფლო საბჭოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოო-დაწესებულებებში. საოლქო, რაიონულ და ადგილობრივ კომისიებს სათავეში ჩაუდგნენ პარტიული კომიტეტების მდივნები, აღმასკომების და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.[1]

აჭარის მოსახლეობამ ამ პატრიოტული საქმის დაწყებიდან სულ მოკლე ხანში დიდძალი თბილი ტანსაცმელი და ნიყთი შეაგროვა საჩუქრად არმიის მეომრებისათვის. უკვე 1941 წლის 7 ოქტომბრისათვის წითელი არმიის მებრძოლეებს გაუგზავნეს 699 თბილი წინდა, 409 ქურთუკი, 588 თბილი ქუდი, 1.364 წყვილი თბილი საცვალი, 1925 ცალი ტანსათბურა, 2180 ხელთათმანი, 1.249 წყვილი ფეხსაცმელი, 503 ყელსახვევი და სხვა.[2]

1942 წლის იანვრისათვის საქართველოს მშრომელებმა ფრონტებზე 60 ვაგონი საჩუქრები გაგზავნეს, მათ შორის აჭარიდან იყო 4 ვაგონი. 1942 წლის 20 იანვრისათვის აჭარიდან ფრონტებზე გაიგზავნა 17 დასახელების 45 ათასამდე თბილი ტანსაცმელი და თეთრეული. საჩუქრებთან ერთად, აჭარის მოსახლეობამ მეომრებს გაუგზავნა გულთბილი წერილები, რომლებშიც გამოხატავდა ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებით გამოწვეულ აღფრთოვანებას და აღწერდა პატრიოტულ აღმავლობას შრომის ფრონტზე.[3]

საჩუქრების მიღებით აღფრთოვანებული მეომრები, გრძნობდნენ რა ზურგის მოსახლეობის მხარდაჭერას და ყოველდღიურად ზრუნვას, ფიცს დებდნენ, რომ მთელი შემართებით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ ვერაგი მტრის გასანადგურებლად. მოსკოვის დამცველი ერთ-ერთი

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ., 1-პ, ანაწ. 6, საქ. 96, ფურც. 1-2.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1941 წლის 7 ოქტომბერი.

[3] აჭარის არ ცსა, ფონ., 1-პ, ანაწ. 6, საქ. 180, ფურც. 92.

ჯავშნოსანი მატარებლის პირადი შემადგენლობა საქართველოში გამოგზავნილ წერილში წერდა: „ჩვენ არაერთხელ წაგიკითხავს თქვენი თავდადებული შრომის შესახებ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ქარხნებსა და ფაბრიკებში, აჭარის ჩაისა და მანდარინის პლანტაციებში... ზურგი და ფრონტი ერთიანი სამხედრო ბანაკია. ჩვენ, ჯავშნიანი მატარებლის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები ფიცს ვდებთ—მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ და, თუ საჭირო იქნება სიცოცხლეც შევწიროთ მტერზე გამარჯვების საქმეს“.[1]

მოქმედ არმიაში, თბილ ტანსაცმელთან ერთად, აჭარის მშრომელები გზავნიდნენ დიდძალ საახალწლო საჩუქრებს. ქობულეთის რაიონის მოსახლეობამ 1941 წელს მოქმედ არმიაში საჩუქრად გაგზავნეს 538 ამანათი, სოფელ დაგვის მოსახლეობამ — 94, ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა — 38, ოჩხამურის ჩაის ფაბრიკამ — 39, სოფელ ბობოყვათის მოსახლეობამ 25 ამანათი.[2]

ძვირფასი ამანათების მიღებით აღფრთოვანებული მებრძოლები მადლიერების წერილებით პასუხობდნენ ქართველ მოსახლეობას, ერთ-ერთ ასეთ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ №„6“ ნაწილის მებრძოლებმა, მეთაურებმა, პოლიტმუშაკებმა, რომლებიც ჩვენი საყვარელი სამშობლოს ღირსების, თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი რუმინელ-იტალიელი მაჩანჩალების წინააღმდეგ, დღეს მივიღეთ დიდძალი საჩუქრები აჭარის მშრომელებისაგან. საჩუქრები მივიღეთ ქობულეთის, ბათუმის და ხულოს მოსახლეობისაგან...

თქვენმა ძვირფასმა საჩუქარებმა ჩვენ უსაზღვროდ აღგვაფრთოვანა. გიძღვნით, ძვირფასო ამხანაგებო, გულის სიღრმიდან ამოღებულ წითელარმიულ მადლობას... ჩვენ გმირულად ვიბრძვით და ვიბრძოლებთ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, ვანადგურებთ და კვლავ გავანად-

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა,“ 1942 წლის 20 დეკემბერი.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა,“ 1942 წლის 2 იანვარი.

გურებთ საზიზღარ მტერს, დიდების ახალ ფურცლებს ჩაწერთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაში."[1]

თბილი ტანსაცმლისა და სხვა საჩუქრების შეგროვებას და მოქმედ არმიაში გაგზავნას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ყოველი დღესასწაულის, ახალი წლის, თუ ღირსშესანიშნავი საბრძოლო წარმატებების აღსანიშნავად აჭარის მოსახლეობისაგან საჩუქრები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ფრონტზე, იქედან კი მოდიოდა მადლობის წერილები. მოქმედ არმიაში საჩუქრების გაგზავნა და ფრონტელი მებრძოლებისაგან საპასუხო წერილების მიღება ფრონტისა და ზურგის, არმიისა და მოსახლეობის მტკიცე ერთიანობის ნათელი დადასტურება იყო.

ომის პერიოდში ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცებაზე მნიშვნელოვან პატრიოტულ და მამობილიზებელ გავლენას ახდენდა მიმოწერები რესპუბლიკის მშრომელებსა და მოქმედ არმიაში მყოფ ქართველ მეომრებს შორის.

ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტების ქართველ მეომართა მოწოდებაში საქართველოს მოსახლეობისადმი ნათქვამია: "ქართველი ხალხის შვილები – სტალინგრადის დიდი ეპოპეის მონაწილენი, ქალაქის დამცველები, ჩრდილოეთ კავკასიაში მოპოვებულ გამარჯვებათა მონაწილენი, ქართველები, რომლებიც სახელოვანი წითელი არმიის რიგებში იცავენ დიად სამშობლოს ფრონტის მთელ სიგრძეზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, გმირულად იხდიან ვალს სამშობლოს წინაშე ...

ჩვენ მუდამ გვახსოვს მშობლიური საბჭოთა საქართველო, მისი ამაყად აზიდული მთები, აყვავებული ველ-მინდვრები და ჩვენი ხალხის შრომით ბაღნარად და ვენახებად ქცეული მხარე, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. მუდამ თვალწინ გვიდგას ჩვენი ციხე-კოშკები–წინაპართა გმირობისა და ვაჟკაცობის უკვდავი მოწმენი – და გულის ფიცარზე გვაწერია

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1942 წლის 22 მარტი.

მშობლიური ქართული მიწის სიყვარული.

ბრძოლის ველზე ფიცს ვდებთ საყვარელი სამშობლოს წინაშე, რომ ულმობლად მოვსპობთ პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოებს–ჩვენი ხალხის მუხანათ და სასტიკ მტერს – და შეუპოვარი ბრძოლით კვლავ დაგუმტკიცებთ ჩვენს ერთგულებას ჩვენს სამშობლოს."

ამ მიმოწერას საკმაოდ ინტენსიური ხასიათი ჰქონდა და ხელს უწყობდა ქართველი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების მობილიზაციას დიდ ომში გამარჯვებისათვის. და ეს იყო პასუხი სამშობლოს მოწოდებაზე "ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!".

აჭარის მოსახლეობამ განსაკუთრებით ისახელა თავი და დიდი პატრიოტული შემართება გამოიჩინა სამშობლოს თავდაცვის ფონდის შექმნის საქმეში. 1941 წლის 30 ივლისს მათ რადიოთი მოისმინეს მოსკოვის მოქალაქეთა ინიციატივა თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნის შესახებ და უდიდესი ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი მოსკოველთა მოწოდებას.

აჭარის მოსახლეობას თავდაცვის ფონდში შეჰქონდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტები, პირადი ფულადი დანაზოგები,სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, ოქროს და ვერცხლის ძვირფასი ნივთები და სხვა ქ. ბათუმის მოსახლეობამ 1941 წლის 1 სექტემბრისათვის თავდაცვის ფონდში შეიტანა 2.503.964 მანეთი, აქედან 1.860 ნაღდი ფული, 12.600 ტონა ჯართი, დანარჩენი კი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები.[1] საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის აპარატის მუშაკებმა 1941 წლის სექტემბრის დამდეგს თავდაცვის ფონდში შეიტანეს 452 მანეთი ფულად და 11.600 მანეთის ობლიგაციები. სულ აჭარაში 1941 წლის 6 სექტემბრისათვის თავდაცვის ფონდში შეტანილი იყო–3.887.400 მანეთი.[2]

თავდაცვის ფონდის შექმნაში თავი ისახელა ხულოს რაი-

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1941 წლის 21 სექტემბერი.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1941 წლის 6 სექტემბერი.

ონმაც, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა მაღალმთიანი ხიხაძირის სასოფლო საბჭოს მოსახლეობამ. ხიხაძირის ინიციატივას მხარი აუბეს სხვა რაიონების მშრომელებმაც. ქედის რაიონის აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 4.120 მანეთის ობლიგაცია და იკისრეს ამ მიზნით ყოველთვიურად გაეღოთ თითო დღის ხელფასი ომის მსვლელობის მთელ მანძილზე.[1]

ფრონტისადმი დახმარებისათვის ძალთა მობილიზაციის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების ანტიფაშისტურ მიტინგს (1942 წლის 23 აგვისტოს) და ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგს (1942 წლის 27 სექტემბერს), რომლებიც ქ. თბილისში გაიმართა. ამ მიტინგების მონაწილეებმა მთელი ამიერკავკასიის მშრომელებისა და ახალგაზრდობის სახელით ფიცი დადეს, რომ კიდევ უფრო მაღლა აწევდნენ ხალხთა მეგობრობის სახელოვან დროშას, ყოველმხრივ გააძლიერებდნენ ფრონტისადმი დახმარებას.[2]

ამიერკავკასიის ხალხებისა და ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მოწოდებებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი აჭარის მოსახლეობამ. მათ აიღეს ვალდებულება, რომ მთელი ქართველი ხალხის მხარდამხარ კიდევ უფრო გაზრდიდნენ ფრონტისადმი დახმარებას, ქვეყნის სამხედრო ძლიერებისათვის ზრუნვას.

საქართველოს სოფლის მშრომელებმა 1942 წლის დამლევს წამოაყენეს წინადადება საკუთარი დანაზოგებით სატანკო კოლონა "საქართველოს კოლმეურნის" აშენების შესახებ. აჭარის მშრომელები ფართოდ ჩაებნენ ამ შესანიშნავ პატრიოტულ წამოწყებაში და დაუყოვნებლივ შეუდგნენ თანხების შეგროვებას. ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვის

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1941 წლის 11 სექტემბერი.

[2] ს. ტაბაღუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ბათ., 1974, გვ. 105.

კოლმეურნეობის წევრებმა კამპანიის დაწყებიდან 5 დღეში ხსენებულ ფონდში შეიტანეს 60.000 მანეთი, ხულოს რაიონის სოფელ მეკეიძეების კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა 50.000 მანეთი და ა.შ.[1]

სატანკო კოლონა "საქართველოს კოლმეურნის" ასაგებ ფონდში თავიანთი დანაზოგებიდან დიდძალი თანხები შეიტანეს ცალკეულმა პიროვნებებმა.,მათ შორის, ქედის რაიონის სოფელ ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯელილ ბერიძემ–50.000 მანეთი (გაზ. "საბჭოთა აჭარა," 1943 წლის 5 იანვარი), ხულოს რაიონის სოფელ გოგაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. თურმანიძემ–25.000 მანეთი, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. დევაძემ და ამაყე კოლმეურნეობის წევრებმა გ. დეკაძემ და მ. გორჯელაძემ, 10 ათასი მანეთი თითოეულმა.[2]

ქვეყანამ ღირსეულად დააფასა მოსახლეობის პატრიოტული თავდადება. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი წერდა ჯ. ბერიძეს: "გმადლობთ თქვენ, ამხანაგო ბერიძე, თქვენი მზრუნველობისათვის წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე, მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა".[3] ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლისაგან ასეთივე წერილი მიიღო ხულოს რაიონის სოფელ გოგაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. თურმანიძემ.

სატანკო კოლონა "საქართველოს კოლმეურნის" მშენებლობის ფონდში თანხების შეგროვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქობულეთის რაიონის მშრომელებმა. თანხების შეგროვება ქობულეთში ფრონტისა და ზურგის ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად იქცა. სულ მოკლე დროში რაიონში შეგროვდა 1.000.000 მანეთი, რის გამოც ქობულეთის რაიონის

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1943 წლის 17 იანვარი.
[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1943 წლის 17 იანვარი.
[3] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1943 წლის 18 აპრილი.

აღმასკომის თავმჯდომარეს ჯ. მეგრელიძეს უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი წერდა: "გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ქობულეთის რაიონის კოლმეურნეებს, რომლებმაც 1.000.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა "საქართველოს კოლმეურნის" ასაგებად."[1]

სატანკო კოლონა "საქართველოს კოლმეურნის" ასაგებად აჭარაში სულ შეგროვდა 4.777.359 მანეთი. მოსახლეობამ ამ პატრიოტული თაოსნობის სიმბოლური გამოხატულებაა ტანკი, რომელიც დღეს მაღალ კვარცხლბეკზე დგას ქედის რაიონის სოფელ წონიარისში.[2]

1943 წლის დასაწყისში საბჭოთა ჯარების ძლიერი შეტევით აღფრთოვანებული აჭარის მოსახლეობა, აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის "საბჭოთა საქართველოს" ფონდის შექმნაში. ამ ფონდში მათ სულ შეიტანეს 10.448.000 მანეთი. აღნიშნული ესკადრილია, რომელიც 1943 წლის 22 მარტს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საავიაციო ნაწილს, მაშინვე დადგა სააბრძოლო ხაზზე მტრის გასანადგურებლად.[3]

აჭარაში დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა თანხების შეგროვება სამხედრო თვითმფრინავების ესკადრილია "საქართველოს მედიცინის მუშაკის" მშენებლობისათვის. ფონდის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მედიკოსები, აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საევაკუაციო ჰოსპიტლების მუშაკები და ჰოსპიტლებში სამკურნალოდ მყოფი დაჭრილებიც კი. ქობულეთის საევაკუაციო ჰოსპიტლის უფროსის ჟარკოვსკის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ი. ბ. სტალინი წერდა: "გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ჰოსპიტლის მუშაკებს და მკურნალობაზე მყოფ მეომრებს ავიაესკადრილიის "საქართველოს მედიცინის მუშაკის" მშენებლობის ფონდისათვის ფულად 43.412

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა," 1943 წლის 16 მარტი.

[2] ს. დუმბაძე, „აჭარის პატრიოტული ორგანიზაცია დიდ სამამულო ომის წლებში," ბათ., 1983, გვ. 120.

[3] ს. ტაბაღუა, დას. ნაშ. გვ. 107.

მანეთის და 31.412 მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შეგროვებისათვის".[1]

ბათუმის სამხედრო ჰოსპიტლის კოლექტივი და მკურნალობაზე მყოფი დაჭრილი მეომრები ახალი ინიციატივით გამოვიდნენ და გადაწყვიტეს შეეგროვებინათ თანხა თავისი ჰოსპიტლის სახელობის თვითმფრინავის მშენებლობისათვის, რისთვისაც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი ჰოსპიტლის უფროსს კოოპტიევსკის წერდა: "გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ბათუმის სამხედრო ჰოსპიტლის პირად შემადგენლობას, დაჭრილებს და ავადმყოფებს, რომლებმაც შეაგროვეს ფულად 56.960 მანეთი და 43.075 მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები თვითმფრინავ "ბათუმის სამხედრო ჰოსპიტლის" მშენებლობისათვის".[2]

ქვეყნის დიდი სიყვარული ედო საფუძვლად აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივას — აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებად სპეციალური ფონდის შექმნის თაობაზე. ამ მისაბაძი თაოსნობის წამომწყებნი იყვნენ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ახალგაზრდები. ქარხანაში სახელდასახელოდ გამართულ მიტინგზე ქარხნის მეორე საამქროს ზეინკალთა ბრიგადირმა პ. პაცელუევმა განაცხადა: „მე მხურვალედ ვუჭერ მხარს ჩვენი ქარხნის ახალგაზრდათა ინიციატივას „აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელობის ავიაესკადრილიის მშენებლობის შესახებ." მიტინგის რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ქარხნის მთელ კოლექტივს აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელობის ავიაესკადრილიის მშენებლობის ფონდში შეაქვს ერთი დღის ხელფასი. ბათუმის ახალგაზრდა მენავთობეთა თაოსნობას მხარი დაუჭირა აჭარის მთელმა ახალგაზრდობამ. ყველგან გაიმართა სახალხო მიტინგები. ახალგაზრდები გამოთქვამდნენ

---

[1] გაზ. „Зария Востока" 1944 წლის 3 ნოემბერი.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა" 1944 წლის 14 სექტემბერი.

მზადყოფნას ამ პატრიოტული წამოწყების ბოლომდე განხორციელებისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობამ ამ ფონდში შეიტანა 53.691 მანეთი.[1]

რესპუბლიკის ახალგაზრდებთან ერთად, წითელი არმიისათვის დახმარებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს მოსწავლეებმაც. მათ გადაწყვიტეს აეგოთ სატანკო კოლონა "ნორჩი პიონერი". აი, რას წერდა მაშინ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მე-7 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე სურიე ხალვაში: "დაე, პიონერებისა და მოსწავლეების სახსრებით აგებული მრისხანე მანქანებით ჩვენმა უშიშარმა ტანკისტებმა სასტიკად იძიონ შური პირსისხლიან ჰიტლერელებზე და გაათავისუფლონ ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი ფაშისტური ურდოებისაგან".[2]

აჭარის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა, ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სატანკო კოლონა "საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის" მშენებლობის ფონდის შექმნაში. ქ. ბათუმის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა შეაგროვეს 162.452 მანეთი, ქობულეთის რაიონის–110.000 მანეთი. სულ აჭარის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა სატანკო კოლონა "საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის" მშენებლობის ფონდში შეიტანეს 419.525 მანეთი.[3]

სამხედრო ტექნიკის მშენებლობის ფონდისათვის თანხების შეგროვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმაც. გერმანელი ფაშისტების მიერ კიეველი ოსტატ-ფეხბურთელების მხეცურად დახოცვის გამო, ქართველმა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს სოლიდარობის ნიშნად მათ სახელზე აეგოთ თვითმფრინაეთა ესკადრილია. ამ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ აჭარის სპორტული კოლექტივებიც. 1944 წლის 23 თებერვალს აჭარის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტ-

---

[1] ს. დუმბაძე, დას. ნაშრომი, გვ. 121.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. I-პ, აღწ. 6, საქ. 495, ფურც. 37.

[3] აჭარის არ ცსა, ფონ. I-პ, აღწ. 6, საქ. 495, ფურც. 37.

ში გამართა სახელდახელო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კიეველ ოსტატ ფეხბურთელთა ხსოვნას. მიტინგის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, კიეველ ფეხბურთელთა სახელობის საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებ ფონდში შეეტანათ 5-5 დღის ხელფასი. გარდა ამისა, ბათუმელმა ფეხბურთელებმა გამართეს ორი მატჩი და მთელი შემოსავალი ჩარიცხეს ამ ფონდში.[1]

ომის წლებში მოსახლეობაში ყოველწლიურად ერცელდებოდა სახელმწიფო სამხედრო სესხი, რომლის პირდაპირი დანიშნულება ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება იყო. აჭარის მშრომელებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო სახელმწიფო სამხედრო სესხის გავრცელება. ისინი ნებაყოფილობით აწერდნენ ხელს სესხზე და შეიძინეს 135.218 ათასი მანეთის ობლიგაცია.[2]

იმდენად დიდი იყო მოსახლეობის პატრიოტული აღტყინება ამ საქმეში, რომ უმოკლეს ვადაში მთავრდებოდა სახელმწიფო სამხედრო სესხებზე ხელმოწერა. მაგალითად, 1944 წელს 2-3 დღეში გავრცელდა 36.611.000 მანეთის სამხედრო სესხი და გეგმა 6.011.000 მანეთის გადაჭარბებით შესრულდა.[3]

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხუსეინ ჯიჯავაძე ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: "ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთი დანაზოგიდან, 4 მანეთის, ნაღდ ანგარიშზე შეიძინეს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის 360.000 მანეთის ობლიგაცია, პირადად მე შევიძინე 50.000 მანეტის სესხი და მიღებული ობლიგაცია მთლიანად შევიტანე ჩვენი სამშობლოს თავდაცვის ფონდში". ასეთივე წერილებით პატაკობდნენ ქვეყანას ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოსმან მგელაძე, იმავე კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი იუსუფ

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა" 1944 წლის 26 თებერვალი.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 331, აღწ. 1, საქ. 52, ფურც. 33.

[3] აჭარის არ ცსა ფონ. 332, აღწ. 1, საქ. 60, ფურც. 22.

კონცელიძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ხალას სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჰაიდარ ფალავანდიშვილი. თითოეულმა მათგანმა 50.000 მანეთის სამხედრო სესხის ობლიგაციები შეიძინა და შეძენილი ობლიგაციები თავდაცვის ფონდში შეიტანეს.[1]

თავდაცვის ფონდში თანხების თავმოყრის ერთ-ერთ ფორმად იქცა, აგრეთვე, ფულისა და ნივთების ლატარია, რომელიც ომის დროს 4-ჯერ მოეწყო. ამ წამოწყებას აჭარის მოსახლეობა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და დიდი აქტივობა გამოიჩინეს. ლატარიის ბილეთების შეძენით აჭარიდან თავდაცვის ფონდში შევიდა 11.175.000 მანეთი.[2]

აჭარის მოსახლეობამ ომის პერიოდში ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეიტანეს სულ 27.271.400 მანეთი, აქედან 135.210.000 მანეთის ობლიგაცია, 11.175.000 მანეთის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები, 3.195 გრამი ვერცხლი, 890 გრამი ოქრო. ყოველივე ეს ქვეყნის სამხედრო ძლიერებას და მტერზე გამარჯვების საქმეს მოხმარდა.[3]

ამრიგად, აჭარის მოსახლეობამ ომის პერიოდში თავდადებულ შრომასთან ერთად, დიდძალი თანხები შეაგროვეს შეიარაღებული ძალებისათვის სამხედრო ტექნიკის შესაძენად, რითაც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ფრონტს, შეიარაღებულ ძალებს, ხელი შეუწყეს ფრონტისა და ზურგის, არმიისა და ხალხის ერთიანობას და ყოველივე ამით ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში.

---

[1] აჭარის არ ცსა ფონ. 332, აღწ. 1, საქ. 60, ფურც. 60.
[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 382, აღწ. 1, საქ. 60, ფურც. 22.
[3] ს. ტაბაღუა, დას. ნაშ. გვ. 124.

§ 2. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე ზრუნვა

ომის პერიოდში სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებულ მზრუნველობას ირენდნენ ფრონტელთა და ომის ინვალიდთა ოჯახებისადმი. ომის დასაწყისშივე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ომის ინვალიდებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის, სხვადასხვა შეღავათის დაწესების და ასეთი ოჯახის წევრების შრომითი მოწყობის მიზნით. სახელმწიფო შეღავათებისა და მატერიალური დახმარების გარდა, სახელმწიფო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სახელმწიფო დაწესებულებები ნახულობდნენ დამატებით შესაძლებლობებებს ომის ინვალიდთა და ფრონტელთა ოჯახების მორალური მხარდაჭერისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ მუშები, და გლეხები, ახალგაზრდები და მოსწაულეები.

ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვამ, როგორც მთელ ქვეყანაში, ისე აჭარაშიც, თავიდანვე ფართო ხასიათი მიიღო. აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 29 ივნისის დადგენილებით, ჩამოყალიბდა რესპუბლიკის ქალაქსა და რაიონებში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისთვის დახმარების დამნიშვნელი კომისიები, რომლებიც დროულად შეუდგნენ მუშაობას. მათ შეისწაელეს ფრონტელთა ოჯახების მდგომარეობა და ათასობით ოჯახს დაუნიშნეს სახელმწიფო დახმარება.[1]

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე ზრუნვის საქმეში სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე ზოგიერთი შეღავათის დაწესებას. სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭომ 1941 წლის 5 აგვისტოს მიიღო დადგენილება სამხედრო მოსამსახურეებისათვის მთე-

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 332, აღწ. 1, საქ. 40, ფურც. 1-2.

ლი ომის განმავლობაში ბინის უფასოდ შენახვის შესახებ. არმიაში გაწვეული იმ პედაგოგების სამედიცინო და ვეტერინარული სამსახურის მუშაკების ოჯახებს, რომლებიც არმიაში გაწვევამდე სასოფლო ადგილებში მუშაობდნენ, მიეცათ უფლება მთელი ომის პერიოდში უფასოდ ესარგებლათ ბინით, გათბობით და განათებით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით უშვილობისა და მარტოხელობის გადასახადიდან განთავისუფლდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლები. სამხედრო სამსახურში გაწვეულ კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობები განთავისუფლებული იქნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან.[1]

ფრონტელთა შვილებს პირველ რიგში ღებულობდნენ საბავშვო ბაღებში, ბაგებში, ბავშვთა სახლებში, პიონერთა ბანაკებში. სწავლის ქირისაგან გათავისუფლდნენ რიგითი შემადგენლობის და უმცროს მეთაურთა შვილები – საშუალო სკოლების მე-8-10 კლასების მოსწავლეები, ტექნიკუმების და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ეს შეღავათები 1942 წლიდან გავრცელდა და ამ შეღავათებით და უპირატესობით 50-იანი წლების დამდეგამდე სარგებლობდნენ, აგრეთვე, არმიიდან დაჭრის და დაავადების გამო გათავისუფლებულ მეომართა და ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე გავრცელებული შეღავათები მთელი ქვეყნის მასშტაბით ასეულ მილიონობით მანეთს შეადგენდა. მარტო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან გათავისუფლდა 1.351 ოჯახი, რომელთა გადასახადის საერთო თანხა 489.753 მანეთს აღწევდა. ასეულ ათას მანეთში გამოიხატებოდა, აგრეთვე, ის შეღავათები, რომლებითაც აჭარიდან გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები სარგებლობდნენ ისეთი გადასახადების გადახდისაგან განთავისუფლებით, რო-

[1] ს. ტაბაღუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ბათ., 1974, გვ. 111.

გორიცაა ბინის ქირა, სამხედრო გადასახადი, სახელმწიფოზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარება და სხვა. მარტო 1944 წელს ყველა სახის გადასახად-გამოსაღებებში გაერცელებული შეღავათები აჭარის რესპუბლიკაში შეადგენდა 4.121.0 ათას მანეთს.[1]

ქვეყნის დამცველთა და ომში დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის უკეთ დაყენების მიზნით საკავშირო სახკომსაბჭოს 1943 წლის 22 იანვრის დადგენილებით შეიქმნა სამხედრო მომსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო მოწყობის საქალაქო და რაიონული განყოფილებები, რომელთაც ევალებოდათ სამხედრო მოსამსახურეთა და ომში დაღუპულთა ოჯახების სახელმწიფო დახმარებითა და პენსიებით უზრუნველყოფა, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრების შრომითი მოწყობა და მატერიალური დახმარების ღონისძიებათა გატარება. განყოფილებებში შეიქმნა ბიუჯეტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ფონდი. 1943-1945 წლებში ამ ფონდიდან დახმარების სახით საქართველოში გაიცა 27 მილიონი მანეთი ფულად, 489.729 ფუთი მარცვლეული, 82.223 ფუთი საკვები პროდუქტები 44.11 ოჯახს გაუუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები, 5.578 ოჯახს მიეცა ახალი ბინა, 751 ოჯახისათვის აიგო ახალი სახლები.

1943-1945 წლებში რესპუბლიკის საბავშვო სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, საზაფხულო ბანაკებსა და გამაჯანსაღებელ მოედნებზე გაიგზავნა სამხედრო მომსახურეებისა და სამამულო ომის ინვალიდთა 144 ათასზე მეტი ბავშვი, ამ წლებში საპატრონოდ აყვანილი იქნა ობლად დარჩენილი 4387 ბავშვი.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებმა ომის წლებში სხვა მნიშვნელოვან დახმარებასთან ერთად სახელმწიფო დახმარების და პენსიის სახით 30 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს.[2]

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 332, აღწ. 1, საქ. 60, ფურც. 21.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 332, აღწ. 1, საქ. 60, ფურც. 73.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო მოწყობის საქალაქო და რაიონული განყოფილებების შექმნის შემდეგ, აჭარაში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე ზრუნვამ მიიღო მეტად ორგანიზებული ხასიათი. რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში მასობრივად ჩამოყალიბდა ფრონტელთა ოჯახების დამხმარე კომისიები, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებთან შეიქმნა იურიდიული კონსულტაციები, რომლებიც მოსახლეობას უფასო კონსულტაციებს უწევდნენ სახელმწიფო დახმარების, პენსიების დანიშვნისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შეღავათების გავრცელების საკითხებზე. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე დახმარება მრავალმხრივი და ქმედითი გახდა, განყოფილებებმა, ჩამოყალიბებიდან სამი თვის განმავლობაში შესძლეს რესპუბლიკაში მცხოვრებ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 109 საცხოვრებელი სახლის შეკეთება. მათი მუშაობის ყურადღების ცენტრში იდგა, აგრეთვე, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შრომისუნარიან წევრთა სამუშაოზე მოწყობის საკითხი. 1943 წელს სხვადასხვა საწარმოში სამუშაოზე მოეწყო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 700 შრომისუნარიანი წევრი, 1944-1945 წლებში–600.[1]

ომის მძიმე დღეებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვეყნის დამცველთა ოჯახების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებას. რესპუბლიკის სოფლის შრომითი კოლექტივები სისტემატურად აგროვებდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ასე, მაგალითად, ქედის რაიონის მოსახლეობამ სამხედრო მოსამსახურეთა 256 ოჯახს დახმარების სახით შეუგროვა 4.731 ფუთი სიმინდი და 534 ფუთი კარტოფილი.[2]

ომის ინვალიდთა ოჯახებზე მზრუნველობა ომის დროს

---

[1] აჭარის არ ცსა, ფონ. 332, აღწ. 1, საქ. 60, ფურც. 75.

[2] აჭარის არ ცსა, ფონ. 1-პ, აღწ. 6, საქ. 453, ფურც. 19.

ჭეშმარიტად საერთო-სახალხო საქმედ იქცა. რესპუბლიკაში სისტემატურად ტარდებოდა: "დახმარების კვირეული", ფაბრიკა-ქარხნებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთ მეურნეობებთან იქმნებოდა სპეციალური ბრიგადები, ბევრ საწარმოში დაზოგილი მასალებიდან ფრონტელთა ბავშვებისათვის კერავდნენ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოსახლეობა ეხმარებოდა სამხედრო მოსამსახურეთა და ომის ინვალიდთა ოჯახებს ბოსტნებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში, კოლმეურნეობები გამოყოფდნენ სპეციალურ მიწის ნაკვეთებს და ქმნიდნენ სასოფლო–სამეურნეო პროდუქტების ფონდს.

ქვეყნის დამცველთა ოჯახებზე საერთო-სახალხო ზრუნვის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების "დახმარების კვირეულის" ჩატარება. აჭარაში ასეთი კვირეული 1943-1944 წლებში ჩატარდა სამჯერ. 1943 წლის 10-17 ნოემბერს კვირეულის დროს შეგროვდა 282.770 მანეთი, 19.116 კილოგრამი სიმინდი, 1.176 კილოგრამი ლობიო, 9.028 კილოგრამი კარტოფილი, 1.938 კუბური მეტრი შეშა, 3.118 კილოგრამი ხილი, 10 კილოგრამი თაფლი, 45 კილოგრამი ნიგოზი, 1944 წელს კი – 524.005 მანეთი, 4.352.768 კილოგრამი სიმინდი, 1.232 კილოგრამი ლობიო, 30.282 კილოგრამი კარტოფილი, 387 კილოგრამი ბრინჯი, 10.954 ერთეული სამრეწველო საქონელი და ნავთი.[1]

ომის ფრონტზე აჭარიდან წარგზავნილი მებრძოლები კარგად გრძნობდნენ მათი ოჯახებისადმი ყოველდღიურ მზრუნველობას და დახმარებას. ისინი ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებში უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდნენ და გულთბილ მადლობას უხდიდნენ აჭარის მოსახლეობას იმ მზრუნველობისათვის, რასაც ისინი მათი ოჯახების და შვილების მიმართ იჩენდნენ. აჭარიდან წარგზავნილი ფრონტელი რიგითი ჯარისკაცი ზამბახიძე ქ. ბათუმის აღმასკომის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველ-

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა" 1944 წლის 16 დეკემბერი.

ყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებას წერდა: „მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სახით ჩემი ბავშვებისადმი მზრუნველობა და დახმარების საქმე საიმედო ხელშია“.[1] ფრონტელი ალი-ოსმან ბერიძე ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილ წერილში წერდა: „დიდ მადლობას ეუცხადებ ადგილობრივ ორგანოებს იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ ჩემს ოჯახს აღმოუჩინეს. ეს მე მამხნევებს და ძალას მმატებს ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა'ში“.[2] ასეთ წერილებს იწერებოდა აჭარიდან ფრონტზე წასული ბევრი სხვა მებრძოლი.

ომის პერიოდში ფრონტისადმი ყოველგვარი დახმარება, ფრონტელთა ოჯახებზე ზრუნვა აუმჯობესებდა ფრონტელთა განწყობილებას, აღაფრთოვანებდა მათ მასობრივი გმირობისათვის.

§ 3. დახმარება დაჭრილი მეომრებს, ევაკუირებული მოსახლეობისა და ომით დაზარალებული რაიონებისათვის

ომის პერიოდში თავდაცვის ღონისძიებებისა და ფრონტის უზრუნველყოფის ამოცანების განხორციელებასთან ერთად, მეტად საპასუხისმგებლო და დიდი მზრუნველობის საგანი გახდა დაჭრილი მეომრების, ევაკუირებული მოსახლეობის, მტრის მიერ დაზარალებული და დროებით ოკუპირებული რაიონების დახმარება.

ევაკუირებული საწარმოებისა და მოსახლეობის მიღების, დაბინავების, მათი საქმიანობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისა და თავდაცვის სამსახურში ჩაყენების, არმიის დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა მკურნალობის საქმეში, დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა, მათ შორის,

---

[1] აჭარის არ ცსა. ფონ. 10, აღწ. 1, საქ. 296, ფურც. 31.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა“ 1944 წლის 21 მაისი.

საქართველომ.

ამიერკავკასიაში ამ საქმის ხელმძღვანელობისათვის ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოსთან შეიქმნა ევაკუირებული საწარმოების და მოსახლეობის მოწყობისა და განაწილების საბჭო. ამ საბჭოს მიერ გაწეულ დიდ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ კავკასიისათვის ბრძოლების დროს ქ. ნოვოროსიისკიდან საქართველოში – ჯერ ფოთში და შემდეგ – ბათუმში – ევაკუირებულ იქნა გემთსაშენი ქარხანა, რომელიც მოკლე დროში ააწყვეს და ჩააყენეს თავდაცვის სამსახურში. აქვე მოქმედებდა სევასტოპოლის ევაკუირებული ქარხნის ფილიალი.[1]

ომის პერიოდში, ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკა გადაიქცა უმთავრესად ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში დაჭრილი და ავადმყოფი მეომრების ჰოსპიტალიზაციის კერად. ქართველთა დევიზი იყო: "თითოეულ ზურგში მყოფს ახსოვდეს თავისი მოვალეობა – დაეხმაროს დაჭრილ წითელარმიელს, ან ავადმყოფ მეომარს ყველაფრით, რითაც კი შეუძლია." ამ დევიზის განხორციელების შედეგი იყო, რომ ჰოსპიტლები განლაგდა ბევრი სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო შენობაში, ისინი ჰოსპიტლად გადაკეთდა. ომის პირველ დღეებში საქართველოში გაიხსნა 74 ჰოსპიტალი, რომლებშიც ერთდროულად მკურნალობდნენ 40 ათას დაჭრილსა და ავადმყოფს.[2] საქართველოს, ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, უფრო მეტი მუშაობა ეხდებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა ამ რესპუბლიკებში განლაგებულ ჰოსპიტლებში საწოლთა რაოდენობა. კერძოდ, 1943 წელს სულ ამიერკავკასიაში იყო 9.500 სამედიცინო საწოლი, მათგან აზერბაიჯანში – 2.500, სომხეთში – 1000 და საქართველოში კი 6000. [3]

---

[1] კ. ტოტოჩავა, ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარება აჭარაში (1921-1958 წ.წ.), ბათუმი, 1975, გვ. 144-145.

[2] კ. ცქიტიშვილი, დიადი გამარჯვების საწყისები, თბ., 1974, გვ. 207.

[3] სპპა, ფონდ. 5451, აღწ. 24,, საქ. 208, ფ. 48.

ომში დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთა სამედიცინო მომსახურების კარგად დაყენებისათვის დიდი მუშაობა გასწია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კოლექტივმა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით, ბათუმში შეიქმნა ევაკოპუნქტი. აქ თავიდანვე დაწესდა სამედიცინო პერსონალის სადღეღამისო მორიგეობა. ისინი ერთდროულად ღებულობდნენ 2000-მდე დაჭრილ მეომრებსა და ავადმყოფებს. აქედან ხდებოდა მათი განაწილება ბინებსა და ევაკჰოსპიტლებში. [1]

დაჭრილი და ავადმყოფი მეომრების სამკურნალო მომსახურების უზრუნველსაყოფად გაფართოედა ბათუმის საავადმყოფო ქსელი, გაიზარდა საწოლთა რიცხვი. სასტუმროების "ინტურისტის" და "პირველი მაისის" შენობებში მოეწყო ევაკჰოსპიტლები. აჭარის შავიზღვისპირა საკურორტო დაწესებულებებში: სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტულ ბაზებში — ქობულეთში, ციხისძირში, მწვანე კონცხზე, მახინჯაურსა და ბათუმში — მოეწყო ანალოგიური დაწესებულებები. დაიწყო დაჭრილი და ავადმყოფი მეომართა სადღეღამისო მკურნალობა და სამედიცინო მომსახურება. [2]

დაჭრილთა სამედიცინო მომსახურების მაღალ დონეზე დაყენებისა და ჰოსპიტლებზე დახმარების ორგანიზაციის მიზნით აჭარის ხელმძღვანელობის 1941 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა ევაკოჰოსპიტლებისა და წითელი არმიის დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა მომსახურების-დახმარების კომიტეტი, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისარი ნეერესტან შაშიკაშვილი, [3] ხოლო ჯანმრთელობის სახალხო კომისარი-

---

[1] აჭარის ცსა, ფონ. რ-2, აღწ. 1, საქ. 254, ფ. 123.

[2] აჭარის ცსა, ფონ. რ-2, აღწ. 1, საქ. 254, ფ.ფ. 12, 13, 14.

[3] მარადიდული ნეერესტან შაშიკაშვილი პირველი აჭარელი ქალი იყო, რომელიც 7 წლის ასაკში 1915 წელს მამამ რეჯებ შაშიკაშვილმა სასწაულებლად მიაბარა ბათუმის ქალთა გიმნაზიაში. 1925 წელს აჭარელ

ატთან შექმნილ საევაკუაციო ჰოსპიტლის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. აჭარის ჯანდაცვის კომისრის მოადგილე ამბროსი პერტია.[1]

საქართველოს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებით აჭარის ტერიტორიაზე თავდაპირველად შეიქმნა 5 საევაკუაციო ჰოსპიტალი. მათთვის გამოყოფილი იყო სანატორიუმებისა და სასტუმროების შენობები: ქობულეთის კურორტსამმართველოს სასტუმრო "ქობულეთი", პროფკავშირების დასასვენებელი სახლი, ციხისძირის და მახინჯაურის დასასვენებელი სახლები, მწვანე კონცხის სანატორიუმის შენობა.[2] შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა ჯერ ათამდე[3], საბოლოოდ კი 24-მდე 2000-მდე საწოლით.[4]

აჭარის მედიცინის მუშაკები ენერგიის დაუზოგავად ემსახურებოდნენ ჰოსპიტლებში მოთავსებულ დაჭრილებსა და ავადმყოფ მეომრებს, ყველაფერს აკეთებდნენ მათი ჯანმრთელობის აღსადგენად და მებრძოლთა თუ ხურგის მშრომელთა მწყობრში ჩასაყენებლად.

ბათუმის ვენერიული დისპანსერის მთავარი ექიმი სამუელ უარკოვსკი ქობულეთში საევაკუაციო ჰოსპიტლის გახსნის დღიდანვე სათავეში ჩაუდგა მის მუშაობას და მთელი ომის

გოგონათა შორის პირველი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ასპირანტურაში დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მშობლიური კუთხე აჭარა, განიცდიდა ექიმთა ნაკლებობას. დასპეციალებული იყო მეანგინეკოლოგად. 1938 წლიდან მუშაობდა აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისრად, 1948 წლამდე, რის შემდეგ ოჯახით თბილისში გადავიდა. დაამთავრა ასპირანტურა. დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის („მასალები აჭარის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ისტორიის შესწავლისათვის (1921–1948 წ.წ)," 1961 წელს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი) „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ისტორია (1801–1941)," იყო პროფესორი. მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში კათედრის გამგედ, გარდაიცვალა 1976 წელს.

[1] გაზ. „აღორძინება", 10 აპრილი, 1997, გვ. 7.

[2] ს. ტაბაღუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ბათუმი, გვ. 93.

[3] ს. დუმბაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 33 (მასალები იხ. იქვე).

[4] აჭარის ცსა, ფონ. 1, აღწ. 5, საქ. 356. ფ. 1-5.

განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას.

ვალერიან მაქაცარია ომის წლებში აჭარაში მომუშავე ჰოსპიტლების წამყვანი ქირურგი-კონსულტანტი იყო. ვინ მოთვლის, რამდენი ოპერაცია გაუკეთებია მას და სიკვდილისაგან უხსნია დაჭრილი ახალგაზრდა მებრძოლები.

საქართველოში ცნობილი ექიმი გიორგი ხეჩინაშვილი ომის მძიმე პერიოდში სათავეში ედგა აჭარაში განლაგებულ ჰოსპიტლებში მყოფ დაჭრილთა მკურნალობის საქმეს და ერთგულად ემსახურებოდა მათ.

კავკასიისათვის ბრძოლების დღეებში აჭარაში ჰოსპიტლებში საწოლთა რაოდენობა ერთიორად გაიზარდა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ჰოსპიტლები გადაიქცნენ ათასობით დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლისა და მეთაურის გაჯანსაღების კერად[1].

აჭარაში მომუშავე ექიმები: ემინე ასლანზადე, ლუბა წეროძე, ალექსანდრა მასხულია, რამიზ ინაიშვილი, ლუდმილა გვალია, თამაზ უგულავა, ავნი და ვახტანგ დიასამიძეები, ირაკლი ცერვინიდი, აკაკი ტიკარაძე, ალმირზა ბოლქვაძე, ჭოლა კილაძე, ფილიპე ხუტულაშვილი და სხვ. ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დაძახილზე ფრონტზე წავიდნენ.[2] ადგილზე დარჩენილი ექიმები დაასაქმდნენ სამხედრო ჰოსპიტლებში და აჭარის სამკურნალო დაწესებულებებში.

აჭარის ჰოსპიტლებში სამედიცინო პერსონალთა მიერ გაწეული თავდადებული მუშაობის საილუსტრაციოდ მოვიტანთ სასტუმრო "ინტურისტში" მოთავსებული №360 სამხედრო ჰოსპიტლის საქმიანობიდან მხოლოდ ერთ მაგალითს – "ინტურისტის" პირველ და მეორე სართულებზე მოთავსებული იყო ქირურგიული განყოფილება. ქერჩიდან და სევასტოპოლიდან დაძრულ გემებს დაჭრილები უნდა ჩამოეყვანათ. ჰოსპიტლის მედპერსონალი მათ მისაღებად ემზადებოდა. საზარელი ცნობა მოვიდა ქალაქში, რამაც შეძრა ქალაქის მოსახლეობა, ჰოსპიტლის კოლექტივი დაჭრილებით სავსე ერთი გემი 400-

---

[1] ს. ტაბაღუა, დასახელებული წიგნი, გვ. 94.

[2] გაზ. „აჭარა", 12 მაისი, 1995.

მდე დაჭრილით გერმანელებს ჩაეძირათ. როცა ქალაქში მორიგი დაჭრილებით სავსე სხვა გემი შემოვიდა, ჰოსპიტლის სამედიცინო და დამხმარე პერსონალს დაჭრილები გულზე მიხუტებული გადმოჰყავდათ და აწვენდნენ პალატებში. ზოგს ხელი არ ჰქონდა, ზოგს – ფეხი. იყო დაბრმავებულებიც და სულ უფეხოდ დარჩენილებიც ბევრნი იყვნენ. "ინტურისტში" მოთავსებულ ჰოსპიტლში მუშაობდა ქირურგი, პროფესორი მიხეილ ჩაჩავა. მასთან ერთად მუშაობდა ახალგაზრდა ექიმი, 21 წლის ქალიშვილი, ქეთევან შალვას ასული ჭანტურიშვილი, რომელიც ომის პირველ დღეს, 1941 წლის 22 ივნისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, აქ მოაელინეს სამუშაოდ (შემდგომში იგი ცნობილი ექიმის ვალერიან კვაჭაძის – აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს უცვლელი მთავარი ექიმის – მეუღლე და მეგობარი გახდა). ჰოსპიტალში დასაქმებული ექიმების, მედდებისა და საერთოდ სამედიცინო პერსონალის მუშაობა ფრონტზე გამოჩენილი გმირობის ტოლფასი იყო. ქეთევან ექიმს, გაჩერება არ ჰქონდა, ხან ერთს უხვევდა ჭრილობას, ხან მეორეს, დაბრმავებულს თვალებს უწმენდდა, სასწორწარკვეთილებაში ჩავარდნილთ ანუგეშებდა. ვინ მოთვლის, რამდენს და რას აკეთებდა დაჭრილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, სიცოცხლის შესანარჩუნებლად თუ გამოსაჯანსაღებლად.

დიდი ხნის შემდეგ, ქეთევანი იმ დაუვიწყარ დღეებს სევდანარევი, მაგრამ სიამაყით განზავებული ტონით იგონებდა ... "ექიმები ვერას გაუხდებოდით, მთელი მოსახლეობა გულისხმიერებით რომ არ ამოგვდგომოდა გვერდით. ბევრ დაჭრილს თავისი ხელით ჭამაც არ შეეძლო. ყველაზე ძნელი გამოდგა იმ უწვერულვაშო ბიჭების ცქერა, "დედა, მიშველე"-ს ძახილში რომ ამოსდიოდათ სული."[1]

კავკასიასთან ფრონტის ხაზის მოახლოებასთან დაკავშირებით, ჰოსპიტლების ქსელი ფართოვდებოდა. მათი რიცხვის ზრდა სიძნელეებს ქმნიდა მომარაგებასა და სამედიცინო მომსახურებაში, სამედიცინო მომსახურებას ართულებდა ის გა-

[1] გაზ. „აჭარა", 28 აპრილი, 1995.

რემოებაც, რომ ომის დაწყებამდე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს აჭარაში მომუშაე ექიმთა 24 პროცენტი, არ კმაროდა აგრეთვე საშუალო სამედიცინო პერსონალი.[1] შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით და სამედიცინო კადრების საკითხის გადასაწყვეტად აჭარის ხელმძღვანელობის მითითებით ჯანდაცვის სახალხო კომისარიატმა 1941 წლის ბოლომდე მოაწყო სხვადასხვა სახის მოკლევადიანი კურსები, რომლებზეც მოამზადეს 532 მედმუშაკი.[2] ამ ღონისძიებამ საგრძნობლად გააუმჯობესა დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მკურნალობის საქმე. გარდა ამისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და არმიის მეომრებისათვის ზრუნვის მკაფიო გამოხატულება იყო დონორობა.

1941-1945 წლებში ქ. ბათუმსა და აჭარის რაიონულ ცენტრებში შეიქმნა სისხლის გადასხმის სპეციალური ცენტრები, რომლებიც მოსახლეობაში ატარებდნენ ლექცია-მოხსენებებს, საუბრებს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების საქმეში დონორების მნიშვნელობაზე.

ომის პირველ დღეებში დონორთა რიგებში გაერთიანდა 990 კაცი.[3] ხოლო ომის დაწყებიდან ექვსი თვის მანძილზე მარტო ბათუმის სისხლის გადასხმის სადგურში დონორთა რიცხვმა 1500 კაცს გადააჭარბა.[4] ხოლო ომის დაწყების დღიდანვე ამ სადგურს დაევალა ყოველდღიურად 10 ლიტრი სისხლის დამზადება. ხოლო ომის პერიოდში დამზადდა 2.000 ლიტრი სისხლი.[5] ბათუმის სადგური მთელი ომის მანძილზე აწარმოებდა დაჭრილებისათვის სისხლის კონსერვაციას, შრატების, პლაზმისა და პლანცეტურისისხლის დამზადებას. სადგური კონსერვირებული სისხლით ამარაგებდა აჭარის, ოზურ-

---

[1] ა. პერტია, ნარკვევები აწარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათუმი, 1995, გვ. 180.

[2] ს. ტაბაღუა, აჭარის მშრომელები საბჭოთა კაეშირის დიდ სამამულო ომში, ბათუმი, 1976, გვ. 92-93.

[3] აჭარის ცსა პპოგ, ფონდ. 1, აღწ. 8, საქ. 5, ფ. 308.

[4] ა. პერტია, ნარკვევები აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათუმი, 1959, გვ. 122.

[5] აჭარის ცსა პპოგ, ფონ. 1, აღწ. 8, საქ. 349, ფ. 30.

გეთის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ზესტაფონის, ფოთის და ზოგიერთი სხვა ქალაქებისა და რაიონების საავადმყოფოებსა და ჰოსპიტლებს.[1] ცხადია, პირველ რიგში და ყველაზე მეტად აწვდიდა აჭარის ტერიტორიაზე განლაგებულ ჰოსპიტლებს, რადგან დაჭრილთა ყველაზე მეტი რაოდენობა აქ იყო. კარგად მუშაობდა აგრეთვე სისხლის გადსხმის ხულოს სადგური. სადგურის44 აქტივისტმა დაიმსახურა ნიშანი „საპატიო დონორი“.

ომის დროს, აუადმყოფ და დაჭრილ მეომართა მაღალკვალიფიციურ მკურნალობასთან ერთად, საჭირო იყო სანიტარული კეთილდღეობის შენარჩუნება ზურგსა და ფრონტზე. ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით საჭირო იყო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. ტარდებოდა მუცლის ტიფის, მალარიის საწინააღმდეგო აცრები. ამ მიზნით აჭარის რაიონებში ყოველწლიურად შემოვლებს ატარებდნენ სამედიცინო დარგის მრავალრიცხოვანი სპეციალისტები. სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება ნიშნავდა წითელი არმიის ჯანსაღი შევსების უზრუნველყოფას, სახალხო მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფის საქმის მოწესრიგებას.

მედიცინის მუშაკთა გმირული შრომის, სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობისა და ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებების გაძლიერებით, შესაძლებელი გახდა მთელი ომის მანძილზე ეპიდემიების თავიდან აცილება და ზოგიერთი ინფექციური დაავადების ყოველწლიურად შემცირება, – აღნიშნავდა ერთ-ერთ ინტერვიუში აჭარის ჯანდაცვის მაშინდელი სახალხო კომისარი ნევრესტან შაშიკაშვილი.

მან ბევრი რამ გააკეთა ჯანმრთელობის დარგის წინ წამოწევისათვის, მოსახლეობის სამედიცინო და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ომამდე, ომის წლებში და მის შემდეგაც ფეხით ჩამოივლიდა აჭარის შორეულ სოფლებს, ყურადღებას აქცევდა მოსახლეობის ჯანმრთელობას; ბევრი გააკეთა არა მარტო სამედიცინო მომსახურე-

[1] აჭარის ცსა, ფონ. 73, აღწ. 1, საქ. 48, ფ. 1.

ბის გასაუმჯობესებლად, არამედ ქალთა შორის მუშაობის მხრივაც.

ომის დროს თითქმის ყველა სასოფლო საბჭოში არსებობდა სამედიცინო პუნქტი, ამბულატორია, ხოლო რაიონულ ცენტრში (ქობულეთი, ქედა, ხულო) – რაიონული სავადმყოფოები, რომლებიც ემსახურებოდნენ რაიონების მოსახლეობას. ომის დროს აჭარაში სულ იყო 51 საექიმო უბანი. ბევრ მათგანს სტაციონარული საწოლებიც ჰქონდა (ბათუმის რაიონის აჭარისწყლის, ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს, ჩაქვის და სხვა საბჭოები).

სამედიცინო მომსახურების საოანადო დონეზე დაყენებისათვის აუცილებელი იყო ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება. ყოველწლიურად, თბილისში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში იგზავნებოდნენ სოფლის ექიმები. გარდა ამისა, თბილისიდან იწვევდნენ გამორჩენილ ქირურგებს, მკურნალებს, რომელთა დახმარებითა და მონაწილეობით ადგილებზე ეწყობოდა მასობრივი შემოვლები, კონსულტაციები, თეორიული კონსულტაციები. კითხულობდნენ ლექცია-მოხსენებებს სამედიცინო თემებზე და ა.შ.

დიდი მუშაობა განხორციელდა ევაკუირებულ სამრეწველო საწარმოთა თავდაცვის სამსახურში ჩაყენებისათვის, გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოების, დაჭრილ მეომართა მკურნალობისა და მათი ჯანმრთელობის აღდგენისათვის. გაწეული მუშაობის შედეგად, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე განლაგებულ ევაკოჰოსპიტლებში იმკურნალა ერთ მილიონზე მეტმა დაჭრილმა და ავადმყოფმა რიგითმა მებრძოლებმა თუ ოფიცერმა. მათგან დაახლოებით 70 % განკურნების შემდეგ კვლავ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.[1] ამ დიდ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს აჭარის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა ჰოსპიტლებმა და გამაჯანსაღებელმა დაწესებულებებმა.

---

[1] ს. დუმბაძე. დასახელებული წიგნი, გვ. 32-33.

* * *

ომის დროს თავდაცვის ღონისძიებებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულებასთან ერთად, დასახული იყო მტრის მიერ ოკუპირებული რაიონების დახმარების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

როგორც ცნობილია, მტერმა ელვისებური ომის გეგმით პირველ დღეებში წარმატებებს მიაღწია და ხელთ იგდო საბჭოთა ქვეყნის ეროპული ნაწილის საკმაოდ დიდი ტერიტორია, სადაც ცხოვრობდა 88 მილიონი კაცი და აწარმოებდა სსრ კავშირის თუჯის წარმოების 71 %, ფოლადის–58 %, ქვანახშირის მოპოვების 63 % და ელექტროენერგიის გამომუშავების – 45 %. გერმანელმა დამპყრობლებმა ქვეყანას მიაყენეს 679 მილიარდი მანეთის ზარალი, დანგრიეს და გაანადგურეს ორი ათასამდე ქალაქი, 70 ათასზე მეტი სოფელი, 31.850 ფაბრიკა და ქარხანა, 98 ათასი კოლმეურნეობა, 1.876 საბჭოთა მეურნეობა, 2.890 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 6.000 საავადმყოფო, 3.000 პოლიკლინიკა, დისპანსერი, ამბულატორია, 976 სანატორიუმი, 656 დასასვენებელი სახლი, 82.000 სკოლა, 334 უმაღლესი სასწავლებელი, 605 სამეცნიერო-კვლევიტი ინსტიტუტი; 427 მუზეუმი, 43.000 ბიბლიოთეკა, 4.709.000 საცხოვრებელი სახლი.[1]

საბჭოთა ჯარებმა 1942-1943 წლების ზამთრის ბრძოლების შედეგად ძირეული გარდატეხა მოახდინეს ომის მსვლელობაში. მოპოვებული გამარჯვებების შედეგად საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების თანდათანობით განთავისუფლება. 1943 წლის 21 აგვისტოს სახელმწიფოში მიღებული იქნა დადგენილება "გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".[2]

ამ დადგენილებით, ამოცანად დაისახა ოკუპაციისაგან

---

[1] Н. Вознесенский, Военная экономика СССР в период Отечественной войны, м., 1947, стр. 159, 161.

[2] История Великой Отечественной Войны Советского союза. 1941-1945 г. т. 4, М., 1962, стр. 617.

განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის რაც შეიძლება მალე აღდგენა და მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა; უნდა აღდგენილიყო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები; კოლმეურნეობებისათვის უნდა დაებრუნებინათ სხვა ოლქებში ევაკუირებული პირუტყვი, ტექნიკა, მატერიალური რესურსები, უზრუნველეყოთ კადრებით, სპეციალისტებით, ფინანსურად.

უნდა ითქვას, რომ ეს ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება იყო. მისი განხორციელების შედეგად მწყობრში ჩადგებოდა მრავალდარგოვანი საბჭოთა ეკონომიკის უდიდესი რგოლი, რაც გაზრდიდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, გააძლიერებდა ზურგს, ხელს შეუწყობდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ფრონტებზე, დააჩქარებდა მტრის განდევნას საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიიდან.

შეიგნო რა ამ ისტორიული დადგენილების უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მის შესასრულებლად ამოქმედდა მთელი საბჭოთა ხალხი, ყველა რესპუბლიკა, მათ შორის საქართველო.

ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაც. დადგენილების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით, აჭარის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. ამ მიზნით შეიქმნა რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული კომისიები,[1] რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ განთავისუფლებულ რაიონებზე დახმარების საქმეს.

როგორც კი სტალინგრადში დამთავრდა ბრძოლები და განთავისუფლდა აბსოლუტურად განადგურებული ქალაქი, მაშინვე აჭარაში შეიქმნა სტალინგრადის აღდგენის ფონდი, რომელშიც მოსახლეობას შეჰქონდათ თანხები. ამ ფონდში ხულოს რაიონმა მოსახლეობამ შეიტანა 650.107 მანეთი.[2] 1943 წლის აჭარის ხალხური შემოქმედების კოლექტივებმა მათ მი-

[1] ს. ტაბაღუა, დასახელებული წიგნი, გვ. 116.

[2] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 4 ნოემბერი, 1944.

ერ ჩატარებული საღამო-წარმოდგენებით შეკრებილი 127.040 მანეთი მთლიანად ჩარიცხეს სტალინგრადის აღდგენის ფონდში. ანალოგიური მუშაობა ფართოდ გაიშალა ქ. ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმოო დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, სკოლებში და აჭარის ყველა რაიონში – კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მოსახლეობა საკუთარი ინიციატივით აწყობდა განთავისუფლებულ რაიონებზე დახმარების კვირეულებს. გამომუშავებული თანხები შეჰქონდათ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულთა დახმარების ფონდში. მათ დიდი დახმარება გაუწიეს სტალინგრადის ოლქის მოსახლეობას.

მტრის ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს ერთსულოვნად ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძისა და ბათუმის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივები. ჩაებნენ რა ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პატრიოტულ მოძრაობაში, ისინი, დაზარალებულ რაიონებში რკინიგზის ხაზების აღდგენით სამუშაოებში მატერიალური დახმარების პარალელურად, უშუალოდ მონაწილეობდნენ დაზიანებულ და მწყობრიდან გამოსული ორთქლმავლების შეკეთება-აღდგენაში. ამზადებდნენ სათადარიგო ნაწილებსა და ხელსაწყოებს და აგზავნიდნენ დაზარალებულ რაიონებში. ასე, მაგალითად, რკინიგზის ბათუმის საეაგონო დეპომ 1944 წლის ივნისში დაამზადა და განთავისუფლებულ რაიონებს გაუგზავნა 50 სახის სხვადასხვა ხელსაწყო.[1]

ომში დაზარალებულ რაიონებზე დახმარებაში განსაკუთრებით აქტიურობდა აჭარის ახალგაზრდობა. გარდა ტექნიკისა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და ინსტრუმენტებისა, ისინი აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, წინდებს, საკანცელარიო ნივთებს, მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას და უგზავნიდნენ დაზარალებული რაიონების მოსახლეობას. მაგალითად, 1943 წელს შეაგროვეს და განთავისუფლებულ რაიონებს გაუგზავნეს 13.530 ცალი სხვადასხვა სახის თბილი ტანსაცმელი, 2.785 ცალი სასოფლო-სამეურნეო

[1] ს. ტაბაღუა, დასახელებული წიგნი, გვ. 118 (მასალები იხ. იქვე).

ინვენტარი და ინსტრუმენტი.[1]

1943 წელს აჭარის ახალგაზრდებმა ახალი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ, პირველებმა საქართველოში, იკისრეს დონბასის ოლქის ქ. კრასნი ლუჩის მაღაროელებზე შეფობა. 1943 წლის ნოემბერში დონბასელებს გაუგზავნეს 3 ვაგონი საახალწლო საჩუქრები — ციტრუსოვანთა ნაყოფი, თამბაქო, ჩაი, ხილი, სახალხო საგნები, თბილი ტანსაცმელი და სხვ. ვაგონებს თან ახლდნენ აჭარის ახალგაზრდობის წარმომადგენლები დ. სვანიძე და ი. მურუზიდი. მათ, საჩუქრებთან ერთად, დონბასელებს წაუღეს აჭარის ახალგაზრდობის გულთბილი წერილები. საჩუქრებით დატვირთული ვაგონები კრასნი ლუჩის მოსახლეობამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო. საჩუქრების გადაცემა ხალხთა მეგობრობის ნამდვილ ზეიმად იქცა. მეგობრობა კი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა ომის დროს მტერზე გამარჯვების, მტრის ოკუპაციისაგან გათავისუფლებულ რაიონებში დანგრეული მეურნეობის უსწრაფესად აღდგენისა და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის, ომით გამოწვეული ყველა სიძნელის დასაძლევად.

ამ ძმური დახმარების პასუხად, უკრაინელმა მაღაროელებმა ვალდებულება აიღეს კიდევ უფრო გაეძლიერებინათ მუშაობის ტემპი და დაეჩქარებინათ დანგრეული მაღაროების აღდგენა.

აჭარიდან საჩუქრების ჩატანას ერთსულოვნად გამოეხმაურა უკრაინის კრასნი ლუჩის გაზეთი "სტალინსკი ზაბოი". ის წერდა: "ქალაქ კრასნი ლუჩის ახალგაზრდები და ყველა მშრომელი მხურვალე მადლობას გიგზავნით თქვენ, აჭარის ახალგაზრდებს, ძმური დახმარებისათვის".[2]

დონბასელი მაღაროელებისათვის აჭარის ახალგაზრდობა ყოველწლიურად ზრდიდა დახმარებას. სულ გაგზავნა 17.987 ცალი ინსტრუმენტი და მოწყობილობა, 28 პნევმატური ჩაქუჩი, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა სკოლების ბიბლიო-

---

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 28 იანვარი, 1944.

[2] ს. ტაბაღუა, დასახელებული წიგნი, გვ. 119 (მასალები იხ. იქვე).

თეკებისათვის და სხვ.[1]

აჭარის მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევდა მტრისაგან ახლად განთავისუფლებული რაიონების დახარალებულ მოსახლეობას სოფლის მეურნეობის აღდგენაში, უგზავნიდნენ მათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარ-მოწყობილობას, თესდნენ მათ დასახმარებლად ჰექტრებს და მოწეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს უგზავნიდნენ.

მტრისგან გათავისუფლებული რაიონების მოსახლეობისთვის თავისი პროფესიული ხელი და ადამიანური თბილი სიტყვა არ დაუკლიათ აჭარის მედიცინის დარგის მუშაკებსაც. აჭარიდან არაერთი მედიკოსი წავიდა სამუშაოდ ომით დახარალებულ რაიონებში, თავიანთი პროფესიული ოსტატობითა და ჰუმანურობით უანგარო დახმარების ხელი გაუწოდეს მათ, რითაც დაეხმარნენ ომით მიყენებული იარების მოშუშებაში.

ამრიგად, აჭარის მოსახლეობამ ომის მეტად მძიმე პერიოდში ერთსულოვანი დარაზმულობით მეგობრული ხელი გაუწოდა და დიდი დახმარება აღმოუჩინა ომში დაჭრილ და დაავადებულ მეომრებს, ომის გამო საქართველოში ევაკუირებულ მოსახლეობას და მტრისაგან ახლად განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობას. ამ საქმიანობამ კი დიდი როლი ითამაშა გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების საერთო საქმეში.

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 26 იელისი, 1944.

დასკვნა

მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილები გვასწავლის, რომ ომისა და აგრესიის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის აუცილებელია მსოფლიო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებისა და ხალხების ძალისხმევის გაერთიანება. თუ ეს დროულად არ განხორციელდება, ადამიანებს მოუწევთ დიდი მსხვერპლის გაღება და აურაცხელი უბედურების გადატანა. აგრესიისა და სამხედრო ავანტურის პოლიტიკას, რა ფორმითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, დროულად უნდა გაეწიოს გადამწყვეტი და მტკიცე წინააღმდეგობა. ამას გვავალებს არა მარტო წარსულის მწარე გაკვეთილები, არამედ წარმოუდგენლად უფრო მძიმე მოსალოდნელი შედეგები ომებისა.

მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი ობიექტური გაკვეთილია ისიც, რომ მან განსაკუთრებული დამაჯერებლობით გვიჩვენა თანამედროვე პირობებში ამა თუ იმ სახელმწიფოს მსოფლიო ბატონობისათვის მისწრაფების განუხორციელებლობა.

მართალია, მეორე მსოფლიო ომი ისტორიის კუთვნილებაა და ის აღარაა ისეთი აქტუალური, როგორც ორმოცდაათი, ორმოცი, ოცდაათი, ოცი წლის წინ იყო, მაგრამ მისი შედეგები და გაკვეთილები ყოველთვის გასათვალისწინებული და ანგარიშგასაწევია. მათი შესწავლა, გააზრება, ომის ხასიათის ახსნა, წარმოშობის მიზეზების ცოდნა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს ფაშისტური გერმანიის, იმპერიალისტური იაპონიისა და მათი მოკავშირეების განადგურება გახდეს მწარე გაკვეთილი უფრო ტრაგიკული მომავალი ომის მსურველებისათვის.

მსოფლიო გლობალური პროცესების დარეგულირებაში ჰეგემონიზმის (რომელიც დიქტატორის როლში გამოდის საბოლოოდ) თავიდან ასაცილებლად და კოლექტიური ძალების როლის გასაძლიერებლად მიზანშეწონილად გვესახება ყველა კონტინენტზე შეიქმნას ევროკავშირისა და ევროსაბჭოს

მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურები კონტინენტის შიგნით სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. კონტინენტზე მდგომარეობისადმი პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, მათ დაეკისროთ. ისინი ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე. მაშასადამე, თანამედროვე მსოფლიო გლობალური პროცესების დარეგულირების, ეროვნული თავისუფლებისათვის მხარდაჭერის თუ მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჰეგემონი კონტინენტზე უნდა იყოს არა რომელიმე ზესახელმწიფო, არამედ კონტინენტთა კავშირები, ხოლო მსოფლიო მასშტაბით უმაღლესი დონის საერთაშორისო ძალა – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – გაერო. თავის დროზე მისი შექმნის მიზანიც ხომ ეს იყო: მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოს დემოკრატიულ საწყისებზე მოწყობა, ახალი ომების აღკვეთა, მშვიდობის გარანტირება.

თანამედროვე პირობებში, როგორც არაერთხელ აღინიშნა სახელმწიფოთა მეთაურების მიერ, საჭიროა გაეროს როლის და ავტორიტეტის ასამაღლებლად ახალი წესდების შემუშავება, მისი უზენაესი საერთაშორისო ძალის განმტკიცება, ამასთან, უნდა გაიზარდოს ნებისმიერი სახელმწიფოს და კონტინენტთა კავშირის პასუხისმგებლობა გაეროს წინაშე.

მსოფლიოს სახელმწიფოებისა და ხალხების მშვიდობიან თანაარსებობას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ალტერნატივა.

ომი ხელყოფაა სიცოცხლისა, რომელიც ადამიანისათვის ღვთისაგან მინიჭებული უფლებაა. ამიტომ, რა მოტივითაც და ფორმითაც უნდა ხორციელდებოდეს იგი, დანაშაულია ღვთისა და კაცობრიობის წინაშე.

აქედან გამომდინარე, კაცობრიობამ, საბოლოოდ, კატეგორიული უარი უნდა თქვას სამხედრო შეიარაღებაზე, ომებზე, ყოველგვარი საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

არა მარტო მსოფლიო ომები, არამედ რევოლუციებიც (შეიარაღებული აჯანყების ფორმით) უნდა გამოირიცხოს საზო-

გადოების ცხოვრებიდან. ყველა საკითხი, თუნდაც რევოლუციური გარდაქმნები, მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას.

რა ბედნიერება იქნება, რომ ომებისა და სამხედრო შეიარაღებისათვის საჭირო ხარჯები მოხმარდებოდეს საზოგადოების თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ამაღლების კეთილშობილურ საქმეს.

პირთა სახელები

ა	გვ. №
აბაკელია თ.	90
აბა'შელი ს.	87
აბდ'ულ–ოღლი შევქი	144
აბ'ულაძე მემედ	141, 142
აბ'ულაძე ყარაღა	142, 143
აბზიანიძე გრიგოლ	144, 145
აღანია კალისტრატე	145
ანდრეევი	238
ანდღ'ულაძე დავით	83
ანჯაფარიძე ვ.	74, 76
ანანიძე აბდ'ულ	145, 146
ანანიძე ილია	146, 147
ანანიძე მ'ურად	147
ანკ'უბაევ ბიჭიკო	147
ალექსიძე დიმიტრი	79, 80
არაყი'შვილი დ.	84
ართილაყუა შ.	62
არველაძე ვ.	363
ასათიანი შალვა	334, 335
ასათიანი ოსმან	148, 149
ასლანზადე ემინე	409
ასტრალი მ.	62
ართმელაძე რ.	9, 102
აფხაზავა გრიგოლი	91
აფხაზავა ე.	72
აფხაზავა მიხეილ	149
აფხაზავა ლ.	386
აღნიაშვილი ლადო	83
ახვლედიანი ხარიტონ	56, 382
ახვლედიანი. გ	46, 384
ახმეტელი სანდრო	78
ახობაძე აბესალომ	274

ბ

ბაბილოძე გრ. 39, 67, 379
ბალანჩივაძე მ. 48
ბადიძე (ალბაი ბლადიძე) მიხაილ 339
ბარანიკოვი ნიკოლოზ 152
ბა'ეჯაძე ალი 9, 33, 35
ბაჩიჩა 330
ბაჯელიძე ასლან 150, 151
ბაჯელიძე დ'ურსუნ 151
ბაჯელიძე ოსმან 151, 152
ბახტაძე ქსენია 383
ბაკ'ურიძე ს. 384
ბასილაძე ს. 384
ბეჟანიძე ხუსეინ 161
ბერაძე პაინტელეიმონ 78
ბერიძე მამ'უდ 152, 153
ბერ'ეჩაშვილი დ. 62
ბერიძე ახმედ 157, 158, 159
ბერესი კ. 83
ბე'ხრ'უდნაია ბ. 48
ბერიძე ს. 101
ბერიძე ჩ. 101
ბერიძე ირაკლი 155, 156
ბერიძე ნიკოლოზ 153, 154
ბერძენიშვილი ო. 384
ბერიძე სიმონ 159, 160
ბესელია კორნელი 160, 161
ბესელია ვარლამ 160
ბირკაია სერგო 162
ბიბილეიშვილი ი. 66
ბოლქვაძე ალი–ოსმან 82
ბოლქვაძე რასიმ 163, 164
ბოლქაძე ლამარა 78
ბორჩხაძე ვიქტორ 164, 165
ბოლქვაძე ალი მირზა 163, 164, 409

ბზეკალაძე დარეჯან 165, 166
ბრეგვაძე ლეონტი 166, 167, 168
ბროდსკი ე. 338
ბუკია აკაკი 386
ბუხნიკაშვილი გ. 72, 73, 79
ბეგაევი ალექსანდრე 125, 127

გ

გაბელაშვილი გრიგოლი 339
გაბისონია ვარლამ (გუგული) 84, 168, 169, 386
გაბისკირია ვ. 87
გაგუა აკაკი 169, 170
გამსახურდია კ. 87
გარნელი (დარჩია) ა. 72
გარსევანაშვილი გეორგი 336
გაფრინდაშვილი ვ. 87
გვასალია პაველ 331
გვალია ლ. 409
გვალია შ. 381
გვარიშვილი ნანა 70
გოგვაძე ვლადიმერ 185, 186
გოგიტიძე ილიას 172, 173
გოგვაძე დიმიტრი 386
გოგიშვილი ხათუნა 170, 171
გოგიშვილი რაფიელ 174, 175
გოგიტიშვილი იროდიონ 184, 185
გოგიბერიძე ალექსანდრე 177, 178
გოგოლიშვილი ალექსანდრე 177, 178
გოგოლაძე კაპიტონ 173, 174
გოთუა ლ. 385
გომელაური ზ 74
გომანი ნ. 56
გორგაძე გრიგოლ 90
გოძიაშვილი ნიკო 76
გორბაჩევსკი ალექსანდრე 125, 128, 129

გორბაჩევი მიხაილ 125, 129
გორდელაძე მიხაილ 178, 179
გოქსაძე ტ. 384
გრძელიძე ს'ულეიმან 181, 182
გრძელი'შვილი კოტე 90
გოგიბერიძე გ. 384
გოზაშვილი ვასილი 339
გრი'შა'შვილი იოსებ 87
გრანელი ტ. 87, 386
გრიგოლია კ. 46
გრომოვი ილია 183, 184
გ'უგ'უნავა ნ. 45, 47, 54
გუგ'უშვილი ა. 72
გ'უნია ვ. 87
გულუა ნიკ. 386
გ'ურგენიძე ამირან 179, 180, 181
გ'ურინშტეინ ლ. 83
გუჯაბიძე დ. 384

დ

დადიანი შალვა 69, 88
დადიანი ფატი 91
დიასამიძე დ. 43, 44, 95
დავითაია ვ. 79, 80
დათ'უნაი'შვილი ვახტანგი 186, 187
დარჩია ნ. 363
დედოფალიძე ჯემალ 189, 190, 191
დევძე ნიკოლოზ 188, 189
დვალი ვენერა 191, 192, 193
დიასამიძე ავნი 193, 194, 195, 409
დიასამიძე იუს'უფ 194, 195, 196, 197
დონაძე ვ. 46
დოლონაძე გიორგი 385, 386
დუმბაძე დ. 85
დუმბაძე მ. 46
დუმბაძე დავით 62, 63, 90

დუმბაძე სერგო	12, 21, 102, 103, 104, 106, 113, 116, 117, 118, 119, 121, 122, 124, 135, 156, 165, 171, 307, 349, 397, 408, 413, 448

ე

ესაძე აკაკი	197, 198
ენვერ ხოჯა	326, 329

ვ

ვადაჭკორია ალექსანდრე	198, 199, 200
ვარშანიძე მამია	68, 70
ვასაძე დავით	201, 202
ვასაძე აკაკი	72, 78
ვარდოშვილი ხარიტონ	91
ვანეიშვილი ნიკოლოზ	329, 330, 331
ვრონსკი ე.	82
ვაშალომიძე ასლან	202, 203
ვასილიადი ალექსანდრე	370
ვაჩიშვილი ნიკოლოზ	329
ვერულიძე ახმედ	204, 205, 380
ვერულიძე მურად	203, 204
ვერძაძე მუქრი	205, 206
ვოზნესენსკი ნ.	414

ზ

ზამბახიძე ქ.	404
ზოიძე ი.	384
ზომლეთელი ნოე	61
ზუბოვი მიხეილ	206, 207, 208

თ

თავაძე ი.	9
თავაძე დავით	125, 130, 131
თავაძე იერემია	342
თავართქილაძე ა.	101
თავართქილაძე ვახტანგ	208

თავართქილაძე პარვენ 209, 210
თავართქილაძე მუხამედი 210, 211, 212
თაყართქილაძე ოსმან 211, 212
თაებერიძე ერისტო 212
თაებერიძე იური 212, 213, 214
თავადიშვილი სულიკო 215, 216
თაქთაქიშვილი შ. 48
თეეზაძე ოლიფანტე 216
თეთრაძე ნ. 386
თოდაძე შ. 49, 50, 361
თოდრია სილიბისტრო 61
თოღრია ე. 94
თედოშვილი ვიქტორ 339
თოთიბაძე ს. 46
თურმანიძე ს. 384
თურმანიძე ჯ. 370
თურქია ქეთევან 215, 216, 217

ი

იაკობაშვილი 238
იაშვილი ე. 46
იაშვილი პ. 87
იაშშვილი ადამ 386
იანქოშვილი პ. 72
იმედაშვილი ნ. 6
იმედაშვილი ალექსანდრე 74
იმნაიშვილი ვალერიან 218
იმნაძე ალექსანდრე 218, 219
იმნაძე გიორგი 219, 220
იმნაძე რაჟაზ 220, 221
იმნაძე თინა 170
იმნაიშვილი მიხაილ 221
ილუშინი ე. 46, 48
იოსელიანი ა. 352, 362
იოსელიანი შალვა 70, 382, 385
ინასარიძე შალვა 77

ინაიშვილი რამაზ 409
ინაიშვილი ჭუჭუნა 221, 222
ინაიშვილი ნ. 374
ინაიშვილი სანდრო 83
ინასარიძე გიორგი 125, 131, 132
ინწკირველი პ. 386

კ

კაკაბაძე ხაჯერ 370, 376, 377
კაკაბაძე სატიჯე 370
კაკაბაძე შალვა 123
კაკაბაძე ეგენი 381
კაიკაციშვილი ი. 386
კაზინეც ისაი 125, 133, 134
კალაძე წ. 351
კალაძე რაჟდენ 61
კალაძე კარლო 91, 351
კალიტაძე არკადი 339
კაკაურიძე ს. 153, 215, 308
კაკულაძე ა. 384
კეტენაძე ამბროსი 339
კანდელაკი ნიკოლოზ 90, 91
კალანდარიშვილი ვლადიმერ 222, 223
კალანდარიშვილი კ. 53
კალანდაძე ნინო 224
კაპანაძე ა. 44
კარანაძე მარგარიტა 225, 226
კაჭარავა ანატოლ 341
კახიძე ხაკი 224, 225
კვაჭაძე ტატიანა 192, 227
კვაჭაძე ვალერიან 410
კვასხაძე შალვა 331
კეშელავა ვლადიმერ 90
კიკვიძე ვასილ 222, 223
კილაძე ჭოლა 409
კიტ\რშონი ვ. 82, 83

კიწმარეი'შვილი დავით 228, 229
კლდია'შვილი დავით 75
კლი'ეგე ერვინ 343
კობალაძე იუს'უფ 78, 385
კობახიძე დავით 335
კობახიძე ხასან 64
კომახიძე თ. 47, 48, 64, 83, 84
კომახიძე ი. 82
კომახიძე ტიტე 274, 275
კომახიძე შ. 384
კოეტ'უნენკო ილია 229, 230
კოპალეი'შვილი ელადიმერ 230, 231
კორილ–ოღლი შუქრი 231, 232
კოსროშვილი დავით 232, 233
კოსტავა გიგლა 233
კოსტავა შოთა 233, 234
კონოტოეი ა. 190, 191
კონცელიძე იუს'უფ 398, 399
კონცელიძე მემედ 326, 327, 328, 329
კოტეტი'შვილი ვახტანგი 91
კოცობი ი. 190
კუხიანიძე მელიტონ 84, 85
კ'უცია კონსტანტინე 234

ლ

ლაზიშვილი ასლან 234, 235
ლეჟავა კოტე 331
ლეჟავა თ. 62
ლომაძე ტიტე 335
ლომაძე ეგარსლან 158, 209, 222, 224, 236, 237, 239
ლორია პარმენ 63, 65, 66, 70, 90
ლორთქიფანიძე ნ. 46, 87
ლორთქიფანიძე ე. 78
ლორთქიფანიძე ს. 93
ლომთათიძე ვახტანგ 239, 240
ლიტვინ'უკი ბორის 125, 135, 136

ლორთქიფანიძე სერგო 339

მ

მამულაძე დავით 108, 117, 118
მალაზონია ნესტორ 63, 67
მანჯგალაძე მ. 362
მალკინი ბ. 83
მარგველაშვილი ვ. 72
მარჯანიშვილი კოტე 76
მანაგაძე შოთა 77
მაყაშვილი კოტე 87
მასხულია ალექსანდრე 409
მატვეევი ფ. 384
მაცაბერიძე ტიმოთე 240
მახარაძე ანგელინა 241, 242
მახარაძე ვასილი 61, 62
მდივანი მარო 72
მდივანი გოიორგი 80, 82
მგელაძე ოსმან 398
მგელაძე აკაკი 243, 244, 384
მერკვილაძე გარი 125, 132, 133
მელაშვილი ი. 395
მეგრელი დუტუ 87
მესხიძე გიორგი 244, 245
მენთეშაშვილი ივანე 339
მენთეთაშვილი სტეფანე 56
მიქელაძე ხ. 384
მოგელაძე ა. 381
მოსიძე გიორგი 245
მოსიძე იასონ 246, 247
მოსიძე ვლადიმერ 246
მოსკოვსკაია 83
მოქერია ვლადიმერ 248, 249
მთვარაძე ს. 81
მჟავია ზ. 93
მულოვი ტ. 383

ნ

ნათმელაძე მ. 6
ნადარეიშვილი პ. 46
ნადარეიშვილი იაკობ 339
ნახუცრიშვილი გ. 81
ნელო 330
ნიკოლაიშვილი ვასო 339
ნიკოლაძე ნიკო 65
ნიჟარაძე ნადიმ 114
ნოღაიდელი ა. 46
ნოზაძე დ. 384
ნოდია ნიკოლოზ 250, 251
ნოდია კარლო 249, 250
ნომეროვსკი ბ. 190
ნოღაიდელი ჯემალ 62, 69, 70, 90, 91
ნუცუბიძე გ. 62
ნუცუბიძე ა. 32

ო

ოლშინსკი კონსტანტინე 125
ომერიძე ფადიმე 342, 343

პ

პატარაია პ. 9, 307
პატარაია ბ. 45, 380
პატარაია ტერენტი 252
პერტია ამბროსი 9, 193, 411
პინიანცი გრიგორ 252, 253

ქ

ქელეზნიაკი მიხეილ 254
ქლენტი ი. 93
ქლენტი თ. 85, 86, 94
ქორჭოლიანი აკაკი 339
ქორდანია გ.კ. 351
ქუკი ივანე 254, 255

ჟურული ვარლამ 91

რ

რაზმაძე კირილე 335
რამიშვილი გ. 62
როზიტა 330
რურუა პარმენ 62, 65
რუსიძე კაპიტონ 70
რუსიძე გ. 101
რუხაძე გენო 255, 256, 257
რუხაძე დაით 255
რუხაძე სილოვანი 255
რუხაძე ალექსანდრე 255

ს

საყვარელიძე საულე 61
სანაძე კონსტანტინე 257, 258
სვანელი ლ. 386
სარჯველაძე ა. 386
სახნიაშვილი 82
სეფერთელაძე ი. 60
სიმონიშვილი ვარლამ 85
სეიშვესკაია მ. 82
სირაძე ტატიანა 262
სირაძე შოთა 258, 259
სირაძე მიხეილ 259, 260
სიხარულიძე თ. 61, 62, 85
სიხარულიძე შოთა 263, 264
სკამკიჩაიშვილი ნუნუ 39
სობკოვი 385
სტალინ ი. 56, 100, 395, 396, 398
სტამბოლიშვილი მემედ 380
სურგულაძე აბელ 10, 11, 12
სუმბათაშვილი ალექსანდრე 74, 385
სულხანიშვილი ნ. 84
სულუხია გ. 63

სურგულაძე აბ. 333, 382, 448
სულაბერიძე ალექსანდრე 124, 125
სურმანიძე შაქრო (შაქირ) 264, 265

ტ

ტაბაღუა მიშა (მიხეილ) 265
ტაბაღუა ვარლამი 265, 266, 267
ტაბაღუა კარლო 269, 270
ტაბაღუა შოთა 265, 268
ტაბაღუა სერგო 9, 10, 12, 29, 39, 162, 170, 259, 269, 272, 280, 281, 365, 383, 393 395, 399, 401, 408, 409, 411, 415, 416, 417, 448
ტაბიძე ტიციან 91
ტაბიძე გ. 87
ტაკიძე ხასან 282
ტაკიძე ასლან 282, 283
ტატიშვილი ლევან 339
ტატიშვილი შალვა 339
ტოდინა 83
ტოროსიან ა. 384
ტიკარაძე აკაკი 409
ტოტორავა კ. 10, 406
ტოროშელიძე მალაქია 86
ტრახიმოვიჩი ვ. 83
ტრენოვი კ. 385
ტყეშელაშვილი იასონ 339
ტუღუში ეახტანგი 284

უ

უგულავა თამაზი 409
ურუშაძე ა. 85
ურუშაძე ვ. 72

ფ

ფალავანდიშვილი პაიდარ 399
ფალიაშვილი ზაქარია 48, 84

ფალავანდიშვილი შ. 165, 383
ფაილოძე იულია 224
ფარტენაძე მემედ 339, 340, 341
ფაღავა აკაკი 74, 75
ფარცხლაძე ა. 48
ფილიპოვა ა. 384
ფირცხალაიშვილი სიმონ 339
ფოფხაძე პიმენ 339
ფოცხვერაშვილი კ. 84
ფრანგიშვილი ტოფია 284, 285
ფლურიძე შაქრო 339
ფხაკაძე ნ. 386
ფუტკარაძე შოთა 334, 335
ფუტკარაძე ნ. 384

ქ

ქავთარაძე სერგო 71, 86
ქანთარია ია 78
ქათამაძე ი. 46, 90
ქათამაძე მიხაილ 287
ქათამაძე ილიას 91
ქაშაკიშვილი ვალერიან 48, 83
ქართველაძე ნური 287, 288
ქოიავა 238
ქოჩიაშვილი ავთანდილი 339
ქორიძე მიხაილ 288, 289
ქუთათელაძე ნ. 62
ქურიძე შ. 62, 66, 67, 78, 87, 89, 90, 91
ქურიძე სანდრო 61

ღ

ღამბაშიძე შ. 72
ღაჭავა ალექსანდრე 289, 290
ღლონტი დარეჯან 170, 291, 292
ღლონტი მიხაილ 292
ღლონტი ზორბეგი 395

ღოღობერიძე მ. 53

ყ

ყუბანი'შვილი დიმიტრი 84
ყურაშვილი 82
ყვავაძე გრიგოლ 339

შ

შავაძე ო. 10
შავი'შვილი მადლენა 293
შავი'შვილი გ. 62
შანიძე ი. 10
შანიძე ე. 94
შანშია'შვილი სანდრო 81
შაპირო კონსტანტინ 125, 139, 140, 141
შარაბიძე ხასან 293, 294
შარაშიძე ბორის 294, 295
შარა'შიძე ზაქარი 339
შარაშიძე ლადო 10, 77, 90, 91
შაშიკაშვილი ნეკროსტან 407, 412
შაშიკაშვილი რ. 407
შერვაშიძე ამირან 67, 68, 70, 81, 385
შენგელაია დ. 87
შეყილაძე ელადიმერ (ვარლამ) 335, 336, 337, 338
შკუროვსკი კ. 381
შიფრინა ა. 83
შმაევსკი 85
შუბლაძე შ. 63, 70
შუშანიძე რევაზ 295

ჩ

ჩაგანავა გრიგორი 296, 297
ჩაელეიშვილი ა. 67
ჩაჩავა მიხეილ 410
ჩარკვიანი კ. 114
ჩიმაკაძე ლ. 46, 93

ჩიტაია გიორგი 56
ჩიქოვანი სიმონ 333, 334
ჩიხლაძე შოთა 339
ჩიხლაძე თინა 91
ჩხარტიშვილი არჩილ 79, 385
ჩხარტიშვილი კუკური 101, 302, 303
ჩხარტიშვილი დავით -
ჩხაიძე ნიკოლოზ -
ჩხაიძე გალაქტიონ 297, 298
ჩხაიძე დავით 301, 302
ჩიხლაძე ს. 86
ჩხაიძე გრიგოლ 298, 299, 300, 301
ჩხიკვიშვილი იოსებ 123
ჩხიკვაძე ნიკოლოზ 123

ც

ცაგარელი ა. 82
ცაგარეიშვილი კონსტანტინე 304, 305
ცერცვაძე ი. 153, 160, 169, 170, 173, 205, 325
ცენტერაძე ვლადიმერ 9, 305, 306
ცერვინიდი ირაკლი 409
ციცინაძე შაქრო 334
ცინცაძე მარგო 170
ცინცაძე ამბროსი 306, 307
ცკვიტიშვილი კ. 362, 401
ცომაია კ. 10, 128, 137, 139
ცუცგირიძე მიხაილ 333

ძ

ძირკვაძე ა. 101
ძნელაძე მიხაილ 308, 309
ძირკვაძე ო. 101
ძიძიგური ვ. 384

წ

წეროძე ლუბა 408

წილოსანი ასლან 334, 335, 384

ჭ

ჭანტ'ურია ტ. 48
ჭანტურია ლ. 53
ჭავჭია ათანდილ 72, 339
ჭანტ'ურიშვილი ქეთინო 41
ჭიაურელი მ. 74
ჭირაქაძე ა. 53
ჭ'უმბ'ურიძე ე. 386
ჭყონია მემედ 65

ხ

ხალვაში ნიაზი 90
ხალვაში ფრიდონ 70, 387
ხათრიძე 238
ხარატი ესე 309, 310
ხარაბაძე შ. 101
ხარაზი ლ. 10
ხახვა სულეიმან 333, 334
ხახუტაიშვილი დავით 311, 312
ხეჩინაშვილი მ. 409
ხახნელიძე შალვა 310, 311
ხინთიბიძე ტიტე 312, 313, 314, 315
ხიხაძე ელადიმერ 315, 316, 317
ხინიკაძე მერაბ 79, 385
ხომერიკი ილიას 86
ხოზრევანიძე ნიაზ 331, 332
ხოფერია სერგო 208
ხ'უნდაძე ტ. 46
ხ'უსკივაძე ი. 46
ხუფუნია მირიან 317, 318, 319
ხუხუნაიშვილი საბა 319
ხუტ'ულაშვილი ფილიპე 409

ჯ
ჯაბახიშვილი იუანე 69
ჯაბახიშვილი ნ. 72
ჯაველიძე გენრიხ 333
ჯამბერიძე გიორგი 320
ჯაფარიძე მ. 385
ჯაყელი ა. 29
ჯაყელი ს. 127
ჯიბლაძე სარდიონ 320
ჯინჭარაძე მაგამედ 323, 324
ჯინჭარაძე ისრაფილ 125, 126, 127
ჯინჭარაძე ნიკოლოზ 324
ჯიჯეიშვილი სარდიონ 324, 325
ჯინჭარაძე აბელ 321, 322, 323
ჯიბუტი ნ. 114
ჯიჯეიშვილი გრ. 14, 15, 16, 17, 21
ჯიჯეიშვილი ვ. 62
ჯიჯავაძე ალექსი 370
ჯიჯავაძე აიშე 370, 384
ჯიჯავაძე ხ. 398
ჯოპუა ვლადიმერ 170
ჯორბენაძე ალექსანდრე 91
ჯოხაძე ალექსანდრე 339